ალ. ᲕᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ძველი რომის ისტორია

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1992

63.3(0)
ნ 394

წიგნი წარმოადგენს პროფ. ალ. წერეთლის „ძველი რომის“ პირველი და მეორე ნაწილების ხელმეორე, გადამუშავებულ გამოცემას. იგი მოიცავს რომის სახელმწიფოს ისტორიას მისი წარმოქმნიდან ვიდრე რესპუბლიკის ხანის დასასრულამდე. ნაშრომში თანამიმდევრულად არის განხილული რომის ისტორიის აღნიშნული ხანის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება.

განკუთვნილია სტუდენტებისა და ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ნ. ლომოური
რეცენზენტები: ს. ყაუხჩიშვილი
გ. გამრეკელი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992

C503010000
Ц ———————
608(06)92

ISBN 5—511—00415—4

რედაქტორისაგან

ძველი ქვეყნების ისტორიის სწავლება ჩვენში თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დაიწყო და იმთავითვე წამოიჭრა ქართულ ენაზე სათანადო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შექმნის აუცილებლობის საკითხი. ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ეს საპატიო და ფრიად პასუხსაგები საქმე ითავა, პროფესორი ალექსანდრე წერეთელი იყო; იგი იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც ქართული საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და განათლების საფუძვლებთან იდგა.

ალექსანდრე იოსების ძე წერეთელი დაიბადა 1889 წელს. 1915 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1918 წელს დატოვებულ იქნა თბილისის უნივერსიტეტში ძველ ისტორიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად, სოლო 1922 წელს აირჩიეს საბერძნეთისა და რომის ისტორიის კათედრის ასისტენტად; მასვე მიენდო ანტიკური ისტორიის კურსის კითხვაც; შემდეგი წლიდან კი იგი უკვე ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კურსსაც კითხულობდა. 1927 წელს ალ. წერეთელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წლიდან სათავეში ჩაუდგა ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრას.

ალ. წერეთელი 20-იანი წლებიდან ნაყოფიერად მუშაობს ძველი ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე; მის პირველსავე ნაშრომებს, სამეცნიერო ინტერესთან ერთად, ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ გამიზნული იყო სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოებად. ქართულ ენაზე ძველი ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოთა შექმნის ჭეშმარიტ მოთავედ სწორედ პროფესორი ალ. წერეთელი უნდა მივიჩნიოთ. ეს არის მისი განსაკუთრებული და დაუვიწყარი დამსახურება. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებზე ქართველ ისტორიკოსთა მრავალი თაობა აღიზარდა.

ჯერ კიდევ 1923—1924 წლებში ალ. წერეთელმა გამოსცა სახელმძღვანელო ნაკვეთები: „კრეტა-მიკენის საბერძნეთი“, „ჰომეროსის საზოგადოება“, „სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში“,

მომდევნო წლებში წიგნების მთელი რიგი: „სტრაბონის სეისახთეა", „ძველი აღმოსავლეთი, ეგვიპტე და ბაბილონია", „ძველი საბერძნეთი", I ნაწილი, ხოლო 1935 წელს — „ებრაელთა ისტორია". აქ კარგა ხნით შეჩერდა ალ. წერეთლის ნაყოფიერი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და შემოქმედებითი მოღვაწეობა. ალ. წერეთელი ქართული ინტელიგენციის იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ და წლების განმავლობაში შორეულ მხარეებში მოუხდათ იძულებითი ყოფნა. მაგრამ უჩვეულო სულიერი სიმტკიცით დაჯილდოვებულმა ალ. წერეთელმა გაუძლო მძიმე განსაცდელსა და ტანჯვას, გულგაუტეხელი დაბრუნდა გადასახლებიდან და შესაშური ენერგიით შეუდგა საქმიანობას, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი და მკვლევარი.

მოკლე დროის მანძილზე ალ. წერეთელმა გამოსცა დამსმარე სახელმძღვანელოები: „სირია და ფინიკია", „ძველი საბერძნეთი" (გამოიცა სამჯერ — 1956, 1958 და 1966 წწ.), „ძველი რომი" ორ წიგნად, გამოკვლევა „მარკუს ტულიუს ციცერონი" და არაერთი სამეცნიერო სტატია.

ყველა დასახელებული წიგნი მეცნიერების იმ დონის შესაბამისად იყო დამუშავებული, როდესაც ისინი იქმნებოდა. მასალა გადმოცემულია ღრმა ცოდნით, პედაგოგიური გამართულობით და ცოცხალი ენით. ეს წიგნები დღესაც უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ძველი ისტორიის შესწავლაში.

ანტიკური ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებშიაც საბერძნეთისა და რომის ისტორიის კურსი თანამიმდევრულად და სასწავლო პროგრამის შესაბამისად იყოს გადმოცემული, ჩვენ არსებითად არ გაგვაჩნია ალ. წერეთლის წიგნების გარდა. 30-იან წლებში რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოები კარგახანია მოძველდა და, ამდენად, ასეთ სახელმძღვანელოებზე მოთხოვნა ძალზე დიდია. „ძველი საბერძნეთის" გამოცემა, როგორც ვთქვით, ავტორმა სამჯერ შეძლო, რის შედეგადაც სახელმძღვანელო საკმაოდ დაიხვეწა. „ძველი რომის" ხელმეორედ გამოცემა კი ალ. წერეთელს აღარ დასცალდა, იგი 1967 წ. გარდაიცვალა. მან ვერ მოასწრო ამ სახელმძღვანელოს მესამე წიგნის დაწერაც, რის გამოც თხრობა მხოლოდ რესპუბლიკის დასასრულამდეა.

დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ „ძველი რომის" ხელახლა გამოცემა, რამდენადაც მას უაღრესად საჭირო და სასარგებლო წიგნად მივიჩნევთ სასწავლო პროგრამასთან დაახლოებისა და სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოს ხმარების გაადვილების მიზნით, წიგნები საგრძნობლად შემოკლდა და ორივე ტომი ერთ წიგნად გაერთიანდა.

უახლესი ლიტერატურის საფუძველზე ხელახლა დაიწერა პირველი თავი: „აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა“. ეს თავი დაწერა ალ. წერეთლის მოწაფემ, უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის დოცენტმა ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა. სხვა მხრივ ტექსტი უცვლელად არის დატოვებული, ოღონდ ზოგან შევსებულია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე. წიგნს დავურთეთ დამხმარე ლიტერატურის ნუსხა.

ზემოხსენებულ შესწორებათა შეტანა შესაძლებლად მივიჩნიეთ, რადგან ამის თაობაზე განსვენებულ მეცნიერს მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ვესაუბრეთ, ვიცოდით, რომ იგი ნაშრომის გადამუშავებას საჭიროდ მიიჩნევდა და არსებითად გადამუშავების პრინციპული მხარეები მასთან შეთანხმებული იყო.

თავი პირველი

აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა

1. აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები

აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია ადამიანთა საზოგადოების განვითარებისათვის. სახელწოდება „იტალია" თავდაპირველად მხოლოდ ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს ეწოდებოდა. მან ძველადვე მიიპყრო ბერძენი კოლონიზატორების ყურადღება[1]. ძვ. წ. III საუკუნეში ეს სახელწოდება გავრცელდა მთელს ნახევარკუნძულზე, ხოლო იმპერიის დასაწყისში ამ ცნებაში უკვე თანამედროვე ჩრდილო იტალია, ე. ი. მდინარე პოს ველი იგულისხმებოდა.

აპენინის ნახევარკუნძული ვიწრო ზოლად იკრება ხმელთაშუაზღვაში. ჩრდილოეთით მისი ბუნებრივი საზღვარია ალპების მთები, რომლებიც სამი მხრიდან კრავენ მდინარე პოს (ძველი პადუნის) ველს და გამოყოფენ იტალიას დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან. ალპების განშტოებას წარმოადგენს აპენინის მთები, რომელთა ჯაჭვი თან სდევს მთელ ნახევარკუნძულს ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. აპენინის მთები თანდათან დაბლდება სამხრეთის მიმართულებით.

კუნძული სიცილია მესინის ვიწრო სრუტით გამოიყოფა ნახევარკუნძულისაგან. გეოლოგიურად სიცილია ხმელეთის გაგრძელებაა. წყლით დაფარული აპენინის მთების სამხრეთი ნაწილი გრძელდება სიცილიაშიც.

---

[1] ანტიკური ტრადიციის მიხედვით სწორეულ ბერძნებმა დაარქვეს საძოვრებით მდიდარ ამ მხარეს „იტალია", რომელსაც უკავშირებენ სიტყვა ვიტულუსს, ე. ი. „ხბოს". ამ ტრადიციის მიხედვით ამ სიტყვიდან წარმოიქმნა სახელწოდება „ვიტალია", ანუ „იტალია", რომელიც სიტყვა-სიტყვით „ხბოს ქვეყანას" ნიშნავს.

სამი მხრიდან აპენინის ნახევარკუნძული შემოფარგლულია ხმელთაშუაზღვის ნაწილებით. აღმოსავლეთიდან მას ეკვრის ადრიატიკის ზღვა, სამხრეთიდან — იონიის, ხოლო დასავლეთიდან — ტირენის და ლიგურიის ზღვები. ეს სანაპიროები მოუხერხებელია ნაოსნობისათვის. მაგალითად, აღმოსავლეთ სანაპიროზე არის ბუნებრივი ნავსადგურები, მისი ნაპირები ან ფლატეებიანი ციცაბოა, ან კიდევ მდიდარია მეჩეჩებით. შედარებით უფრო მოსახერხებელია სამხრეთი სანაპირო. რაც შეეხება აპენინის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროს, იქ რამდენიმე ღრმა ბუნებრივი უბეა, რაც შედარებით მოსახერხებელს ხდის მას ნაოსნობისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთ სანაპიროს შუა ნაწილი, კერძოდ კი. კამპანიაში თანამედროვე ნეაპოლიტანური და სალერნის ყურეები.

კუნძულის სისტემის სიღარიბე, ბალკანეთის ნახევარკუნძულთან შედარებით. გარკვეულად აფერხებდა ზღვაოსნობის განვითარებას. სიცილიის ჩრდილოეთით მდებარე კუნძულების ჯგუფი ცნობილია ლიპარის და ეგათის კუნძულების სახელწოდებით. შედარებით უფრო მსხვილი კუნძულები — სარდინია და კორსიკა ხმელთაშუაზღვის საკმაოდ დიდი მანძილით არის დაცილებული. აპენინის ნახევარკუნძულის სისტემაში გარკვეული ადგილი უჭირავს მცირე კუნძულებს: კაპრეას (თანამედროვე კაპრი) და ილვას (თანამედროვე ელბა).

იტალიის ფართობი 300000 კვადრატულ კილომეტრს აღემატება. ძვ. წ. ათასწლეულის პირველ ნახევარში ჰავა უფრო ნოტიო იყო. ჩრდილოეთში ჰავა უფრო ზომიერი იყო, ხოლო იტალიის შუა და, ნაწილობრივ. სამხრეთ რაიონებში — უფრო რბილი. აღსანიშნავია, რომ სამხრეთი იტალია, რომელიც გვალვიან მხარედ არის ცნობილი, ძველად უფრო მდიდარი ყოფილა ნალექებით და, როგორც ძველი ავტორები გაღმოგვცემენ, აქ „ცა ყოველთვის ნათელი ყოფილა და ზღვა თბილი, ხოლო უამინდობა — იშვიათი“. თუმცა აპენინის ნახევარკუნძულის ჰავა არ იყო ერთგვაროვანი და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იგი თანდათან იცვლებოდა, მას მაინც ახასიათებდა ზომიერება: ზამთარი ყოველთვის თბილი იყო და ზაფხული მშრალი. ჩრდილოეთში (პადუნის ველი) სუბტროპიკული ჰავა იყო, ზამთრის საშუალო ტემპერატურა 0 გრადუსს არ აღემატებოდა, სამხრეთში კი — 10-სა და —11 გრადუსს შორის მერყეობდა. წლიური ნალექი — 500—1500 (2000) მილიმეტრი იყო. ნალექის მაქსიმალური რაოდენობა ზამთარზე მოდის. იტალიის მდიდარი ფლორა ნაყოფიერი ნიადაგი და კარგი ჰავა საუცხოო პირობებს ქმნის იტალიის ფლორის სიმდიდრისათვის.

იტალია, ბალკანეთის ნახევარკუნძულთან შედარებით, მდიდარი იყო წყლის რესურსებით, მაგრამ მდინარეთა უმრავლესობა არ იყო გამოსადეგი ნაოსნობისათვის, უდიდესი სამდინარო არტერია იყო მდინარე პადუსი თავისი შენაკადებით. მდინარეები — პადუსი, რუბიკონი, მეტაგროსი და აუფილუსი — ადრიატიკის ზღვას ერთვის, ხოლო არნო, ტიბროსი, ლირისი და ვოლტურნი — ტირენის ზღვას. ეს მდინარეები იმდენად დაკნინებულია, რომ იტალიას აკლია წყლის რესურსები.

თოვლის დნობას მთებში პატარა მდინარეების ადიდება და ნიადაგის დაჭაობება მოსდევდა. ეს ძალიან ხშირი მოვლენა იყო. მდინარე ტიბროსის ქვედა დინებაზე ბევრი ჭაობი იყო, რომელთა დაშრობა ძნელი გახლდათ იმდროინდელი ტექნიკის პირობებში. მაგალითად, ტუსკანის და პომპტინის ჭაობები გაუვალად ითვლებოდა.

ჩრდილო და შუა იტალია იმთავითვე მდიდარი იყო ტბებით. ალპებში მდებარეობდა ვერბანის (თანამედროვე ლაგო მაჯორის) და ვენაკის (თანამედროვე გორტეს) ტბები. ეტრურიაში მდებარეობდა ცნობილი ტრაზიმენის ტბა, ლაციუმში — რეგილიის და ალბანის ტბები, სამნიუმში ფუცინის ტბა.

იტალიის ცალკეული ოლქები არ იყო ბუნებრივად გამოყოფილი ერთიმეორისაგან. მთელი აპენინის ნახევარკუნძულის რელიეფსა და ნიადაგს წარუშლელი კვალი დააჩნია მოქმედმა ვულკანებმა (ვეზუვი, ეტნა, სტრომბოლი), სწორედ ამ მოქმედი და ჩამქრალი ვულკანების მოქმედების შედეგია იტალიისა და სიცილიის ნიადაგის ნაყოფიერება.

ძვ. წ. I ათასწლეულში რომაელებს მოჰყავდათ ყურძენი, ზეთის ხილი, წაბლი, გარგარი და სხვა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ციტრუსები, რომლებიც აქ მხოლოდ შუა საუკუნეებსა და ახალ დროში ჩნდება. ამ პერიოდში იტალიაში პირველად ჩნდება კვიპაროსი და პინია (იტალიური ფიჭვი). მარცვლეულის კულტურებიდან რომაელებს მოჰყავდათ ხორბალი, ჭვავი, ქერი. აპენინის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი დაფარული იყო ტყეებით. ამის შესახებ ბევრს წერდნენ რომაელი ავტორები. მაგალითად, პოლიბიოსი მოიხსენიებს მუხის ტყეებს, სადაც აძოვებდნენ ღორებს, რომაელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მიწათმოქმედებას და მეცხოველეობის განვითარებას. მათ დიდი რაოდენობით ჰყავდათ მსხვილი რქოსანი საქონელი, ცხვრები, თხები, ღორები და სხვა. დიდი იყო ინტერესი მეცხენეობისა და მეფრინველეობისადმი. რომაელი მწერლების ცნობებით ტყეები სავსე იყო გარეული ცხოველებითა და ფრინველებით.

იტალია მდიდარი იყო მარმარილოთი და სამშენებლო ქვით ილ-

ვას კუნძულზე რომაელები მოიპოვებდნენ რკინას, ხოლო ეტრურიაში — სპილენძსა და კალას.

აპენინის ნახევარკუნძულს ცენტრალური ადგილი ეკავა ხმელთაშუაზღვის აუზში. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბალკანეთისა და პირინეის ნახევარკუნძულებთან, დუნაის აუზისა და აფრიკის ქვეყნებთან. აპენინის ნახევარკუნძულს არ ჰქონდა ისტორიული განვითარების პირობები, იგი დაშორებული იყო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან. სამშენებლო მასალებისა და ნაწილობრივ წიაღისეული სიმდიდრის არ სებობას შედეგად მოსდევდა ქვეყნის ავტარქია და გარკვეულად აფერხებდა ადგილობრივი მოსახლეობის საგარეო ურთიერთობას. ამიტომ ისინი ჩამორჩებოდნენ უახლოეს მეზობლებს — ბერძნებსა და კართაგელებს, რომლებიც ბატონობდნენ სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში.

2. მოსახლეობა

აპენინის ნახევარკუნძულის სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილია ნეოლითური ხანის ნაკვალევი. ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში რომანიოლის მღვიმეში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ქვის იარაღები (ცულები, კაჟისაგან დამზადებული ისრის პირები და სხვა). ლაციუმში აღმოჩენილ ნეოლითურ სადგომში არქეოლოგებმა ნახეს ქვის საფხეკები, ცულის პირები და სხვა სამეურნეო იარაღები, რომლებიც წააგავს ნეანდერტალელის სადგომში აღმოჩენილ იარაღებს. ლიგურიის მთებში აღმოაჩინეს ნეოლითური ხანის მოხატული სადგომი. ამ სადგომებში მცხოვრებმა ადამიანებმა არ იცოდნენ მწარმოებლური მეურნეობა. ისინი ეწეოდნენ შემგროვებლობას, ნადირობასა და მეთევზეობას.

ნეოლითური ხანის ადრეული სადგომები თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულით. ამ პერიოდის ძეგლების შესწავლა მოწმობს იმას, რომ ადამიანები თანდათანობით ტოვებდნენ გამოქვაბულებს და მღვიმეებს და სახლდებოდნენ ჭოხებში, რომელთა ჯგუფები შეადგენდნენ პატარ-პატარა სოფლებს. თანდათან ვითარდებოდა მეჯოგეობა. აპენინის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილში აღმოცენებული ნეოლითური კულტურის ცენტრები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და დიდ გავლენას ახდენდა ურთიერთზე.

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება გადასვლა ენეოლითის ხანაზე, რომელიც დაკავშირებულია სპილენძის ათვისებასა და მის გამოყენებასთან სამეურნეო ცხოვრებაში. ამ პერიოდში ადამიანები ცხოვრობდნენ მრგვალი, ოვალური ან სწორკუთხა მოყ-

ვანილობის ქოხებში, რომლებიც ხისაგან იყო გაკეთებული და შემდეგ გარედან — შელესილი თიხით.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში აპენინის ნახევარკუნძულზე გამოჩნდა ახალი მოსახლეობა, რომელიც თავის საცხოვრებელ ქოხებს აგებს ხიმინჯიან საფუძველზე. ამ ხიმინჯებიანი დასახლებების ნარჩენებს თანამედროვე იტალიელები უწოდებენ „ნოყიერ მიწას“, ხოლო ამ კულტურას მთლიანად ეწოდება ტერამარის კულტურა. ამდროინდელი სადგომები მდიდარია ბრინჯაოს ნივთებით (სამომარი იარაღი, საყოფაცხოვრებო საგნები). ამ სადგომებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცხოველთა რქებისა და ძვლებისაგან დამზადებული ნივთები და საკმაოდ განვითარებული კერამიკული ნაწარმი. აშკარად ჩანს, რომ ამ პერიოდში განვითარებული ყოფილა მესაქონლეობა და მოსახლეობას დიდი რაოდენობით ჰყოლია მსხვილი რქოსანი საქონელი, ღორები, ჩვენ პირველად აპენინის ნახევარკუნძულზე ვხვდებით ცხენსა და ორბორბლიანი ურმის კვალს. ტერამარის კულტურა აღმოცენდა ჩრდილო იტალიაში, მან დიდი გაელენა მოახდინა ლაციუმის კულტურაზე.

ძვ. წ. I ათასწლეულს აპენინის ნახევარკუნძულზე ჩნდება რკინა. ამ ღროს ჩრდილო იტალიაში გამოჩნდა ახალი მოსახლეობა, რომელმაც თან მოიტანა ახალი კულტურა. ამ კულტურას პირობითად ვილანოვას კულტურა ეწოდება[1]. ამდროინდელ სადგომებში დიდი რაოდენობით გვხვდება რკინისაგან დამზადებული სხვადასხვა საგანი. აგრეთვე თიხისა და ბრინჯაოს ჭურჭელი შემკული რთული გეომეტრიული ორნამენტით. ამ კულტურას ათარიღებენ ძვ. წ. 900—500 წლებით.

ძვ. წ. I ათასწლეულს აპენინის ნახევარკუნძულზე იყო ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა, ამიტომ იტალიური ტომების ეთნოგენეზის საკითხი არის ძველი ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა. დაახლოებით ძვ. წ. IV საუკუნეში იტალიის ტომები შემდეგნაირად იყვნენ დასახლებული: ჩრდილოეთში, ე. წ. ცისალპურ გალიაში (მდ. პადუნის ველი) ბინადრობდნენ გალური. ანუ კელტური წარმოშობის ტომები (ინსუმბრები, ცენომანები, ბოები და სენონები). ამ ტომებს ეკავათ აგრეთვე მიწები უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, აპენინის მთებსა და ადრიატიკის ზღვას შორის. მდინარე პადუსის დელტის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ ვენეტები. რესპუბლიკური ხანის რომში აპენინის მთების ჩრდილოეთ ნაწილში, თანამედროვე გენუის სანაპიროზე და ზღვისპირა ალპების

---

[1] ეს არის სოფელ ვილანოვას სახელწოდება, სადაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ამ კულტურის კვალი.

ზოლში ცხოვრობდნენ ლიგურები, ანუ ლიგიები[1]. გორაკიან ოლქში ტიბროსის დასავლეთით ტირენის ზღვამდე ცხოვრობდნენ ეტრუსკები, რომლებსაც ბერძნები ტირენებს უწოდებდნენ, უფრო აღმოსავლეთით — უმბრები და პიცენები. ტიბროსის დინების სამხრეთით ბორცვებიან ველზე ცხოვრობდნენ ლატინები. ჩრდილოეთიდან მათ ესაზღვრებოდა საბინები, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ექვები, აღმოსავლეთის მხრიდან ლატინებს ესაზღვრებოდნენ ჰერნიცები, ხოლო სამხრეთიდან — ვოლსკები. შუა იტალიის ცენტრალურ ნაწილში, პიცენების სამხრეთით, ცხოვრობდნენ სამნიტები. სამხრეთ იტალიაში, კამპანიის ოლქში ცხოვრობდნენ ე. წ. „კამპანიელები", რომლებიც ეთნიკურად მიეკუთვნებოდნენ ოსკური და სამნიტური წარმოშობის ტომებს. მათ ადრევე განიცადეს ბერძნების დიდი გავლენა. სამხრეთ იტალიის ერთ ნაწილში ცხოვრობდნენ ლუკანები და ბრუტიები, ხოლო აპულიასა და კალაბრიაში ცხოვრობდნენ მესაპები, იაპიგები და სხვა. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში კუნძულ სიცილიაზე ცხოვრობდნენ სეკულები და სიკონები, რომლებიც გააძევეს კუნძულის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილებიდან ბერძენმა და კართაგენელმა კოლონიზატორებმა.

ლინგვისტური თვალსაზრისით აპენინის ნახევარკუნძულის მოსახლეობა იყოფა შემდეგ ენობრივ ჯგუფებად: კელტური (გალური), ვენეტური, ოსკურ-უმბრული, ლატინურ-ფალესკურ-სეკულური, მესაპური, სიკონური და ეტრუსკული. ვინაიდან ლიგურული და პიცენური ენების შესახებ მასალები ძალიან მცირეა, ამიტომ მათ არ გამოყოფენ ცალკე ენობრივ ჯგუფებად. ამრიგად, ლიგურული, პიცენური და ეტრუსკული ენების გარდა, დანარჩენი ენები ერთიანდებიან სამ ჯგუფად: 1. კელტური, 2. იტალიკური (უმბრები, ლატინები, ფალესკები, სეკულები, სამნიტები, ექვები და შუა იტალიაში მცხოვრები სხვა ტომები); 3. ილირიული (ვენეტები და მესაპები). ამ ჯგუფების წარმოშობის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი რომის ისტორიის შესწავლისათვის.

მეცნიერებაში დღესაც გრძელდება დავა დაწყებული XIX საუკუნის ენების კუთვნილების შესახებ. ერთხანს ვარაუდობდნენ, რომ ეს სამივე ენობრივი ჯგუფი მიეკუთვნებოდა ინდოევროპულს. დღისა-

---

1 ცნობილია, რომ ლიგურები ითვლებიან აპენინის ნახევარკუნძულის უძველეს მოსახლეებად. ისინი თავდაპირველად საფრანგეთში და პირინეის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. ვარაუდობენ, რომ ლიგურებმა შექმნეს ნეოლითური ხანის კულტურა. შემდეგ ისინი სხვა ტომებმა განდევნეს ჩრდილო-დასავლეთისაკენ. თავიანთი ცხოვრების წესი ლიგურებმა შეინარჩუნეს ძვ. წ. I საუკუნემდე. ზოგიერთი მკვლევარი მათ ენას ინდოევროპული ენების ჯგუფს მიაკუთვნებს, მაგრამ ამ ჰიპოთეზას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს.

თვის მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ მეორე ჯგუფი (იტალიკური), ყველაზე მრავალრიცხოვანი, მიეკუთვნება ინდოევროპული ენების ჯგუფს.

XX საუკუნის 20—30-იან წლებში ფიქრობდნენ, რომ იტალიკები ავტოხთონები იყვნენ, დღეისათვის მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ ეს მოსული მოსახლეობაა, თუმცა არ არის დადგენილი მათი პირვანდელი სამშობლო, მიგრაციის მარშრუტი და დრო.

ამ ტომებს შორის ყველაზე უკეთ არიან ცნობილი გალები, რადგან ისინი გვიან მოვიდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე და მათი გამოჩენა აქ აღნუსხულია წერილობით წყაროებში, ხოლო მიგრაციის კვალი ჯეროვნად არის შესწავლილი არქეოლოგების მიერ.

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში კელტებს ეკავათ მთელი ევროპა ბრიტანეთიდან დუნაის პირამდე. ენობრივად და მატერიალური კულტურის მიხედვით გალები მიეკუთვნებიან კელტებს. ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს გალებმა გადალახეს ალპები და რამდენიმე ტალღად შეიჭრნენ იტალიაში, სადაც ცხოვრობდნენ ლიგურები და ეტრუსკები. არქეოლოგიური მასალიდან ჩანს ბრძოლის ნაკვალევი. მოსახლეობის ერთი ნაწილი შეერწყა გალებს. სენონების ტომი შეიჭრა ჩრდილოეთ უმბრიაში. მხოლოდ ვენეტები გადაურჩნენ გალების შემოსევას. ძვ. წ. IV საუკუნის 20-იან წლებში გალები შეიჭრნენ ეტრურიაში. ამას დაუსრულებელი ბრძოლები მოჰყვა რომაელებსა და გალებს შორის.

რთულია ლატინებისა და სამნიტების ეთნოგენეზის დაზუსტება, მიუხედავად იმისა, რომ მათი ენები წააგავს ერთიმეორეს, ლატინები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ორ ტალღად შეიჭრნენ იტალიაში. პირველი ტალღა (პროტოლატინები) შეესივნენ იტალიას ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში. როგორც ჩანს, მათ აქ დახვდათ ადგილობრივი (ნეოლითური ხანის) მოსახლეობა, რომელიც მათ გაუნადგურებიათ, მაგრამ ბევრი რამ შეუთვისებიათ მათგან. მეორე ტალღა (პროტოიტალიკები) მოვიდნენ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. მათ მრავალი აღგილიდან გააძევეს პროტოლატინები, რომლებიც დაიყვნენ ცალკეულ ჯგუფებად (ლატინები, ფალესკები, სიკულები), პროტოიტალიკებმა დაიკავეს უზარმაზარი ტერიტორია უმბრიიდან ბრუტიამდე და ამის შემდეგ დაიყვნენ ცალკეულ ჯგუფებად. ილირიული ჯგუფის ტომები, როგორც ჩანს, შემოიჭრნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილიდან, ეს არის ზოგადი ვარაუდები იტალიურ ტომთა წარმოშობის შესახებ, რომლებიც მოითხოვენ დაზუსტებასა და შემდგომ დამუშავებას.

3. ეტრუსკები

ეტრუსკული დამწერლობა და ენა აპენინის ნახევარკუნძულის ეპიგრაფიკული გამოცანაა. ცნობილია, რომ რომის სახელმწიფოს წარმოქმნამდე დასავლეთ ევროპაში ყველაზე მდიდარი კულტურა ეტრუსკებს ჰქონდათ. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მათ მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირი დაამყარეს ხმელთაშუაზღვის აუზის სხვა ხალხებთან. ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში (დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნიდან) დაიწყო ეტრუსკული კულტურის დაცემა, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც ეტრუსკებთან განვითარებული იყო მონათმფლობელური საზოგადოება, იტალიისა და საერთოდ დასავლეთ ევროპის სხვა ტომებს ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილება ჰქონდათ.

ეტრუსკებმა დაგვიტოვეს მდიდარი მატერიალური კულტურა. ჩვენამდე მოაღწია ეტრუსკული წარმოშობის ნეკროპოლებმა, ქალაქებისა და ნაგებობების ნაშთებმა და მრავალრიცხოვანმა საყოფაცხოვრებო ნივთმა. არქეოლოგიური გათხრები და ის ცნობები, რომლებსაც გვაწვდის ანტიკური ტრადიცია, საშუალებას გვაძლევს უკეთ შევისწავლოთ ეტრუსკების სულიერი და მატერიალური კულტურა. ეტრუსკებში იყვნენ შესანიშნავი ხელოსნები, გამოცდილი მეზღვაურები და ძლიერი ვაჭრები. ისინი შესანიშნავად იცნობდნენ სამთამადნო საქმეს, ამუშავებდნენ სპილენძსა და რკინას, რომელიც მოიპოვებოდა ეტრურიაში. ეტრუსკული ხომალდები დაცურავდა მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში, ყველგან ავრცელებდა ეტრუსკულ საქონელსა და მათი ხელოვნების ნიმუშებს. ცნობილია, რომ ძვ. წ. VII—V საუკუნეებში ეტრუსკებმა დადეს სავაჭრო ხელშეკრულებები რომთან, კართაგენსა და ათენთან.

ეტრუსკები იყვნენ მხატვრული ხელოსნობის უბადლო ოსტატები. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი კერამიკული ნაწარმი, ფრესკები, მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებები, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძისაგან დამზადებული სხვადასხვა საგანი. ეტრუსკების სახვითი ხელოვნება რეალისტური და ნატურალური ხასიათისაა. განსაკუთრებით იგრძნობა ბერძნების ძლიერი გავლენა ეტრუსკების სულიერ კულტურაზე. ეს მკაფიოდ ჩანს სარწმუნოებაში. მაგრამ ბერძნული სარწმუნოებისაგან განსხვავებით ეტრუსკული რელიგია უფრო პირქუშია. მაგალითად, ეტრუსკული სარწმუნოების მიხედვით საიქიო ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს მრავალრიცხოვან ბოროტ დემონს. ისინი ადამიანებს ძვირფასი საჩუქრებით, შეწირულობებით და აღაზიანთა მსხვერპლად შეწირვით უნდა მოესყიდათ. ამ სარწმუნოე-

ბას თან ახლდა მრავალი რთული რიტუალი. ყველაფერი ეს, როგორც ცნობილია, შეისისხლხორცა რომაულმა სარწმუნოებამ. რაც შეეხება ეტრუსკების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამ მხრივ მეცნიერებას მრავალი სარვეზი აქვს, რომელთა შევსება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ეტრუსკული წარწერების ამოკითხვის შემდეგ. ზოგადად, კი ცნობილია, რომ ეტრუსკული გვაროვნული არისტოკრატია ექსპლუატაციას უწევდა მონებსა და სოფლის მოსახლეობას. ადრემონათმფლობელურ საზოგადოებაში, რომელიც გააჩნდათ ეტრუსკებს, ბევრი იყო პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთი, განსაკუთრებით ძლიერი იყო მატრიარქატის გადმონაშთები. ეტრუსკებს, როგორც ჩანს, არ გააჩნდათ ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. ეს იყო ავტონომიური პოლისების ფედერაცია. ცნობილია 12 პოლისის ფედერაცია.

ძვ. წ. VII—V საუკუნეების ეტრუსკების პოლიტიკური როლი ძალიან დიდი იყო. ისინი განუყოფლად ბატონობდნენ მდინარე პადუნის ველზე, დიდ როლს თამაშობდნენ ლაციუმში. დიდი იყო ეტრუსკული ენისა და კულტურის ზეგავლენა რომაულ კულტურაზე, რომელიც თავის მხრივ ბერძნულ კულტურასთან ერთად თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის საფუძველთა საფუძველია. ამდენად, განსაზღვრელია ეტრუსკი ხალხის დამსახურება მსოფლიო კულტურის წინაშე. უფრო გვიან, როდესაც რომის იმპერია შეიქმნა, ეტრუსკებისაგან ათვისებული კულტურული და ენობრივი მემკვიდრეობა გადაიქცა მსოფლიო საკუთრებად. ამიტომაა, რომ ეტრუსკული სიტყვები: სპორტი, კლიენტი, მეცენატი, ცეზარი (აქედან წარმოებული ცარი და კაიზერი) და სხვა მრავალი დამკვიდრებულია მსოფლიოს ხალხთა ლექსიკონში.

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, როდესაც ჩაესვენა ეტრუსკების დიდების მზე და დაიწყო რომის აღზევების ხანა, რომაელებმა ხელთ იგდეს მათი მიწა-წყალი და მოახდინეს ეტრუსკი ხალხის ასიმილაცია. ასე სამუდამოდ გაქრა ეტრუსკი ხალხი და მათი ენა. დარჩა მხოლოდ ეტრუსკული ხელოვნების მრავალრიცხოვანი ნიმუში და დაახლოებით ათი ათასი წარწერა და ერთი პატარა წიგნი, დაწერილი ეტრუსკულ ენაზე.

ენათმეცნიერების, ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების წინაშე დგას ორეცნობიანი ამოცანა, რომელიც მოითხოვს ამოხსნას. პირველი უცნობი არის ეტრუსკების ეთნოგენეზის საკითხი, რომელიც გულისხმობს პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე: ვინ არიან ეტრუსკები? ვის ენათესავებიან ისინი? და სად არის მათი თავდაპირველი სამშობლო? მეორე უცნობი — ეს არის ეტრუსკების ენა, მისი ნათესაური კავშირი სხვა ენებთან.

ანტიკური ტრადიციის მიხედვით ეტრუსკები მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილიდან მოვიდნენ იტალიაში. ჰეროდოტეს მიხედვით, მათი თავდაპირველი სამშობლო იყო ლიდია. მათ აღმოსავლურ წარმოშობას მოწმობს აგრეთვე ერთი წარწერა კუნძულ ლესბოსიდან. როგორც ჩანს, ეტრუსკების გამოჩენა აპენინის ნახევარკუნძულზე დაემთხვა ბერძნების გამოჩენას. სახელწოდება „ეტრუსკები", დამკვიდრებული თანამედროვე მეცნიერებაში მემკვიდრეობით არის მიღებული რომაელი ავტორებისაგან, რომლებიც მოიხსენიებენ მათ, როგორც „ეტრუსკებს" და „ტუსკებს". ბერძნები მათ „ტირენებს" ან „ტირსენებს" უწოდებდნენ. თვით ეტრუსკები კი თავიანთ თავს „რასენებს" უწოდებდნენ.

ეტრუსკული კულტურისა და ისტორიის საიდუმლოებას ნათელი მაშინ მოეფინება, როდესაც საბოლოოდ დადგინდება მათი დამწერლობა და ენა. ე. ი. ამეტყველდება მათი წარწერები. უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ეტრუსკული ეპიგრაფიკა მრავალი მკვლევრის ყურადღებას იპყრობდა. ისინი ცდილობდნენ ამოეკითხათ იგი. ამ მკვლევრებს შორის იყვნენ ჭეშმარიტი სწავლულები. მაგრამ მათ შორის იყო აგრეთვე მრავალი დილეტანტიც. ინტერესი ეტრუსკული ენისა და კულტურის მიმართ ჩნდება ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, მაგრამ ამ საკითხების მეცნიერული შესწავლა დაიწყო მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს იტალიელმა სწავლულებმა.

ჩვენს დროში თითქმის ყოველწლიურად ქვეყნდება ნაშრომები, რომელთა ავტორები ცდილობენ ამოიკითხონ ეტრუსკული დამწერლობა. ამ ცდების უმრავლესობა წარუმატებლად მთავრდება, ვინაიდან მათი ავტორები ისტორიულ საფუძველს კი არ ემყარებიან, არამედ ფუჭ თეორიებსა და ჰიპოთეზებს. ზოგ შემთხვევაში მკვლევრები დარწმუნებული არიან იმაში, რომ უკვე მიაგნეს დამწერლობის ამოსაკითხ გასაღებს და კიდეც ახერხებენ პატარ-პატარა წარწერების ამოკითხვას (მაიანი, ვ. გიორგიევი), მაგრამ ეს არ ნიშნავს ეტრუსკული დამწერლობის ამოკითხვას. ასეთი კურიოზები კლასიკურ ფილოლოგიაში საკმაოდ ხშირია. ცნობილია, რომ 1959 წელს მ. ვენტრისის მიერ B-ხაზოვანი დამწერლობის ამოშიფრვას წინ უსწრებდა მრავალი მკვლევრის ცდა — ამოეკითხათ ეს დამწერლობა და ვენტრისმა გულდასმით შეისწავლა მათი გამოკვლევები და გამოიყენა თავის ძიებაში.

როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა სახის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მკვლევართა წინაშე თავისი ხასიათის შესაბამისად სხვადასხვა ამოცანას აყენებენ, ერთ შემთხვევაში, სიძნელე იმაში

მდგომარეობს, რომ სავსებით უცნობია, როგორც დამწერლობის ნიშნები, ასევე წარწერის ენა. მეორე შემთხვევაში, დამწერლობის ნიშნები იკითხება, მაგრამ ენა უცნობია. მესამე შემთხვევაში, დამწერლობის ნიშნები გაუგებარია, მაგრამ წარწერის ტექსტის შინაარსი მეტ-ნაკლებად გასაგებია წარწერის ცალკეული ელემენტების საშუალებით.

ეტრუსკული ტექსტები მეორე შემთხვევას მიეკუთვნება. მათი დამწერლობის ნიშნები ადვილი გამოსაცნობია ბერძნულთან გარეგანი მსგავსების გამო. ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი შექმნილია, რომელიმე ძველი ბერძნული ანბანის საფუძველზე, მაგრამ წარწერების ენა სავსებით გაუგებარია. ეტრუსკული წარწერების უმრავლესობა უაღრესად ლაკონიური და ერთგვაროვანია. დღეისათვის დადგენილია ზოგიერთი ცნება, ტერმინი და თანამდებობის პირის აღმნიშვნელი სახელწოდებები. ცნობილია აგრეთვე ზოგიერთი ღმერთის სახელი, რამდენიმე ზმნა და ნაცვალსახელი, რაც საშუალებას აძლევს მკვლევრებს ჩასწვდნენ ამა თუ იმ წარწერის შინაარსს. მაგრამ იმის გამო, რომ უცნობია თვით ენა და მისი სისტემა ტექსტების წაკითხვა შეუძლებელი ხდება. ეტრუსკული დამწერლობის ამოკითხვის საქმეში უთუოდ დიდ დამსახურებას გაგვიწევდა ბილინგვები, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისათვის ცნობილი ორიოდე ეტრუსკულ-ლათინური ბილინგვა მხოლოდ საკუთარ სახელებს შეიცავს. პატარა „წიგნი", რომელიც დაწერილია სელის ქსოვილზე, დღეისათვის ჯერ არ არის ამოკითხული. უძველესი ეტრუსკული ტექსტები თარიღდება ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისით, ხოლო ყველაზე გვიანდელი — ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისით. წარწერები, შესაბამისად, დაყოფილია ორ ნაწილად: 1. ძველი ეტრუსკული (ძვ. წ. VII—V სს.); 2. ახალი ეტრუსკული (ძვ. წ. III—I სს.).

XVII საუკუნის მეცნიერებაში გაბატონებული იყო აზრი ეტრუსკების აღმოსავლური წარმოშობის შესახებ. ამ აზრს საფუძვლად დაედო ჰეროდოტეს ცნობილი შეხედულება, რომ ეტრუსკები ლიდიიდან არიან ჩამოსახლებული, აგრეთვე ბერძნული ელემენტის გავლენა ეტრუსკულ კულტურაზე. ამ თეორიის მომდევრები იყენებდნენ აგრეთვე მითებს, ლეგენდებს და წარწერას ე. წ. „ზღვის ხალხების" შესახებ.

XVIII საუკუნის გერმანელმა მკვლევრებმა გააიგივეს რასენების სახელწოდება რეტებთან, რომლებიც ალპებში ცხოვრობდნენ და შექმნეს ე. წ. „რეტული" თეორია, რომლის მიხედვითაც ეტრუსკები ჩრდილოეთიდან არიან გადმოსახლებული აპენინის ნახევარკუნძულზე.

XIX საუკუნეში ნიბურმა, მომზენმა და სხვა მკვლევრებმა გამოიყენეს ეს თეორია ახალი ე. წ. ნორდული, ანუ ჩრდილოეთის ხალხების

თეორიის დასასაბუთებლად. ამ უკანასკნელს კი, როგორც ცხობილია, დღესაც ჰყავს თავისი მიმდევრები.

XX საუკუნის იტალიის ნაციონალისტებმა უგულებელყვეს ყველა პირველწყარო, წინამორბედი ავტორების მეცნიერული გამოკვლევები და კატეგორიულად განაცხადეს, რომ ეტრუსკები ავტოხტონები არიან.

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებიც ტარდებოდა მდინარე პადუსის შესართავთან, შუქი მოჰფინა ბერძნულ-ეტრუსკულ ქალაქ სპინას ისტორიას და კიდევ ერთხელ დაასაბუთა ეტრუსკების აღმოსავლური წარმოშობა და მათი კავშირი ბერძნულ სამყაროსთან. ამ უკანასკნელ აღმოჩენასთან დაკავშირებით ბულგარელმა სწავლულმა აკად. ვ. გიორგიევმა გამოთქვა აზრი, რომ ეტრუსკები წარმოშობით ტროელები არიან, ომის დროს მათ დატოვეს თავიანთი სამშობლო და გადასახლდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე[1]. ზ. მაიანი კი, როგორც ცნობილია, ცდილობს დაასაბუთოს ეტრუსკებისა და მათი ენის ილირიული წარმოშობა[2].

---

[1] აკადემიკოსმა ვ. გიორგიევმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ეტრუსკული დაწერილობის ამოშიფვრას. ვ. გიორგიევი, ცნობილი ლინგვისტი და აღმოსავლეთმცოდნეა. კარგად იცის ხეთური ენა. ეტრუსკული და ხეთური ენების პარალელური შესწავლის გზით გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ეს არის მონათესავე ენები და რომ ხეთური ენის შესწავლით აღვილად იკითხება ეტრუსკული ეპიგრაფიკა.

[2]. იხ. З. Майани, Этруски начинают говорить, М., 1966. ავტორი ცდილობს ფართო ლინგვისტურ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთოს ეტრუსკული ენის კავშირი ილირიულთან, რომელზეაც მეტყველებდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ტომები ძვ. წ. I ათასწლეულში. ამ ენის ფესვები დაცულია თანამედროვე ალბანურ ენაში. მაიანიმ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რათა ჩასწვდომოდა წარწერების შინაარსს. თავის გამოკვლევას მან საფუძვლად დაუდო კომბინირებული მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო წარწერების ლინგვისტურ ანალიზს, არამედ საერთოდ, ეტრუსკული კულტურისა და ისტორიის ღრმად შესწავლას. ამ მონაცემების საფუძველზე მას სურდა ეტრუსკული წარწერების არსში უკეთ ჩაწვდომა. მაიანიმ თითქოს კიდეც შეძლო მოკლე წარწერების ამოკითხვა და პატარა ლექსიკონის შედგენა. შემდეგ მან გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ეტრუსკული ენა მიეკუთვნება ინდოევროპული ენების ჯგუფს. მაიანი არის ლინგვისტი — აღმოსავლეთმცოდნე. იგი კარგად იცნობს სემიტურ ენებს და დიდ ხანს მუშაობდა ხეთურზე. ამიტომ დაებადა მას აზრი ეტრუსკული ენის შედარების შესახებ ილირიულთან. მაიანიმ მიზნად დაისახა ეტრუსკული ენისა და კულტურის შედარება იტალიის მეზობელი ხალხების ენასა და კულტურასთან. ამან საშუალება მისცა მას სხვაგვარად შეეხედა ეტრუსკების მიერ დატოვებული მემკვიდრეობისათვის. მაგრამ, როდესაც მაიანიმ სცადა თავისი აღმოჩენის საფუძველზე უფრო მნიშვნელოვანი ტექსტების დადგენა, აქ იგი წააწყდა დიდ სიძნელეებს. მიუხედავად ამისა, მაიანის მიერ ჩატარებულ კვლევას აქვს დიდი მნიშვნელობა ეტრუსკოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის. ისევე როგორც სხვა მეცნიერულ ნაშრომებს მოცემულ დარგში მაიანის ნაშრომიც „ეთუ-

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეტრუსკოლოგიაში ეტრუსკების წარმოშობისა და მათი თავდაპირველი სამშობლოს დადგენის პრობლემა პირველობას უთმობს იტალიის მიწა-წყალზე ეტრუსკული ეროვნების ფორმირების პრობლემას. საბჭოთა მეცნიერებაში სათანადოდ არის შეფასებული ეტრუსკების ეთნოგენეზის საკითხი და მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ ეტრუსკების წარმოშობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული, როგორც ადგილობრივ (იტალიურ) ელემენტთა ასევე აღმოსავლეთიდან მოსულ ტომებთან.

ოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ეტრუსკული დამწერლობისა და ენის მომავალ მკვლევრებს.

თავი მეორე

რომის ისტორიის დასაბამითი პერიოდი

1. რომამდელი ლაციუმი და რომის დაარსების საკითხი

რომაელების აკვანია ძველი იტალიელი ტომის ლატინების მხარე— ლაციუმი. ლატინთა ტომი ტვირენიის ზღვის ნაპირას და ლაციუმის ბორცვებსა და ბარში მოსახლეობდა. მათი მხარე „ძველი ლაციუმის" სახელითაა ცნობილი. მას ესაზღვრებოდა ზღვა, მდინარე ტიბროსი და მთიან მხარეებში ბინადარი ტომები: საბინები, ექვები, ჰერნიკები და ვოლსკები. სამი უკანასკნელი ტომის მიწა-წყალი მომდევნო დროს „გაზრდილი ლაციუმის" სახელით იყო ცნობილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლატინები ეთნიკურად სიკულებისა და უმბრო-საბელების ტომობრივი ელემენტების გაერთიანებას წარმოადგენდნენ. რომაელები კი ლატინთა ტომის ცალკეულ ნაწილად ითვლებიან და მათ ენას ლათინური ეწოდება.

მთელს ლაციუმში ჩანს ვულკანის მოქმედების კვალი. მართალია, მისი ფერფლი მიწის ნიადაგს აპოხიერებდა, მაგრამ დაბლობი ადვილად ჭაობიანდებოდა და დამუშავებისათვის ძველადვე ხელოვნურ ამოშრობას მოითხოვდა. მართლაც, ლაციუმში ფართოდ აღმოჩნდა ჩატარებული სადრენაჟო მუშაობის უძველესი კვალი: ქვენიადაგური წყლის სარინის მიწისქვეშა არხების გასაოცარი ბადე. ეს გარემოება თავისთავად იმ ფაქტს გულისხმობს, რომ ლაციუმის უძველესი მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას. თესავდა ფეტვს, ქერს და ადრე დაუწყია ვენახისა და ხეხილის გაშენება. ლატინებს ძირითადად განვითარებული ჰქონიათ მესაქონლეობა; ეტრუსკებისა და ბერძენთა ყურადღებას ძველადვე იპყრობდა ლაციუმის არა მარტო ბაუვალი ტყეები, არამედ ლატინთა მატყლიც.

ლატინები უმეტესად ბორცვებზე სახლდებოდნენ, სადაც ჰავა უკეთესი იყო. მათი დასახლების ადგილები ისეთ ქალაქისებრ გამაგრებულ სოფლებს მოგვაგონებს, რომლებიც მტრის თავდასხმათა შემთხ-

ვეებში თავშესაფრად იქნებოდა გამოსადეგი. თითოეული ასეთი „ქალაქი“ ითვლებოდა გარემოცული ტერიტორიის ცენტრად.

ლატინების ასეთ „ქალაქთა“ შორის, არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, უძველესი და უდიდესი იყო ალბა ლონგა, რომელიც ლაციუმის ცენტრში ალბანის მაღლობზე მდებარეობდა. ამას გარდა, ცნობილია აგრეთვე „ქალაქები“: ტუსკულუმი, ლანუვიუმი, ლაურენტუმი, არიცია, ტიბური, პრენესტი.

თქმულების მიხედვით ლატინებს მეფეები განაგებდნენ, რომლებსაც იმავე დროს, თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთებს. პირველი მეფე იყო იანუსი (იგივე სინათლის ღმერთი), მეორე — სატურნუსი (მიწის ღვთაება), მესამე — პიკუსი (ტყის ღმერთი), მეოთხე — თავნუსი (თაეის მეუღლე ფავნასთან ერთად ოთხფეხა ცხოველების განსახიერება) და მეხუთე — ლატინუსი, ლატინების მამამთავარი და მფარველი.

რა თქმა უნდა, ლატინების მეფეთა სახელები მითოლოგიას მიეკუთვნება, მაგრამ მათ შორის ლატინუსს ეპონიმის მნიშვნელობა უნდა მივაწეროთ.

ეტრუსკების მსგავსად, ლატინებსაც „ქალაქთა“ თავისებური ფედერაციები შეუქმნიათ. ტრადიციის თანახმად, ლაციუმში არსებობდა ოცდაათი ქალაქის ფედერაცია, რომლებსაც სათავეში ალბა ლონგა ედგა, ვიდრე იგი რომაელებმა არ გაანადგურეს. საერთო საქმეების გადასაწყვეტად ქალაქთა წარმომადგენლები, ძველ ავტორთა გადმოცემით, ფერენტინის წყაროს მახლობლად მდებარე ჰალაში იკრიბებოდნენ.

დროთა მსვლელობაში ლატინების ქალაქთა შორის პირველი ადგილი რომს მიეკუთვნა. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, რომის ადგილას უძველესი მოსახლეობა მეორე და პირველ ათასწლეულთა მიჯნაზე უნდა წარმოქმნილიყო.

თავდაპირველად რომი ლატინთა ერთი პატარა ქალაქთაგანი იყო და გადმოცემით ალბა ლონგას ახალშენი გახლდათ. მომდევნო ხანაში მისმა განსაკუთრებულმა გაძლიერებამ და აღზევებამ წარმოშვა მრავალი ლეგენდა მისი დაარსებისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში მცხოვრებ ბერძნებს შორის გავრცელებული იყო გადმოცემები, რომლებიც იტალიის წარსულს, ბერძენთა ლეგენდარულ გმირებს უკავშირებდა. ერთ-ერთ ასეთ ლეგენდას წარმოადგენდა გადმოცემა ტროელი ენეასის იტალიაში გადმოსახლებისა და მის შთამომავალთა მიერ რომის დაარსების შესახებ. ლეგენდა, როგორც ჩანს, ძვ. წ. VI საუკუნეში ჩასახულა, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე ძვ. წ. I საუკუნისათვის მიუღია.

ლეგენდა ზოგადად ასეთი შინაარსისაა: აქეელთა მიერ ტროას აღე-

ბისას ენეასმა შეძლო ალმოდებული ქალაქიდან მოხუცი მამის—ანქიზეს და პატარა ვაჟის — ასკანიუსის გამოტაცება. შემდეგ მასთან თავი მოიყარეს სხვა გადარჩენილმა ტროელებმა; მათ იწყეს ხომალდებიხ აგება და მიატოვეს მცირე აზია. დიდი ხეტიალის შემდეგ ენეასმა და მისმა თანამგზავრებმა იტალიას მიაღწიეს და ლაციუმში გადასხდნენ. აქაურ მეფეს ლატინუსს მოსულნი ჯერ მტრად მიუღია, მაგრამ შემდეგ მათთან მორიგებულა და სამოსახლო მიუჩენია; ენეასს ცოლად ლატინუსის ქალი შეურთავს.

ენეასის ვაჟს—ასკანიუსს ალბანის მთის ძირში დაუარსებია ქალაქი, რომლისთვისაც ალბა ლონგა, ანუ „გრძელი ალბა“ უწოდებია, ვინაიდან ის მთის ქედის გასწვრივ იყო განლაგებული. ასკანიუსის ჩამომავალს, ალბა ლონგას მეფეს პროკუსს ორი ვაჟი ჰყავდა — ნუმიტორი და ამულიუსი. უმცროსმა ძმამ ნუმიტორს ტახტი წაართვა და თვითონ გამეფდა. მან ნუმიტორის ვაჟი მოაკვლევინა, ხოლო ქალი — რეა სილვია ქალღმერთ ვესტას მსახურად აქცია; ამ გზით მას უნდოდა რეა სილვიასათვის შვილების გაჩენის შესაძლებლობა მოესპო, რადგან ვესტას მსახურ ქალებს (ვესტალიებს) უბიწობა უნდა დაეცვათ. მაგრამ რეა სილვიას ღმერთ მარსისაგან ეყოლა ტყუპი ვაჟი — რომულუსი და რემი. განრისხებულმა ამულიუსმა ტყუპების მდ. ტიბროსში გადაგდება ბრძანა, მაგრამ მდინარემ ისინი ნაპირზე გარიყა; ბავშვების ტირილი ძუ მგელმა გაიგონა და მათ თავისი ძუძუ მოაწოვა, რითაც სიკვდილს გადაარჩინა. შემდეგ ძმები მეფის მწყემსმა — ფაუსტულუსმა იპოვა, წაიყვანა შინ და აღსაზრდელად თავის ცოლს ჩააბარა. როცა ყმაწვილები წამოიზარდნენ, ვაჟკაცობით გაითქვეს სახელი და ადგილობრივ მწყემსებს ეხმარებოდნენ ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლოს ისე მოხდა, რომ ძმების ნამდვილი ვინაობა გამომეღავნდა; რომულუსმა და რემმა მოკლეს ამულიუსი და ნუმიტორი კვლავ ტახტზე დააბრუნეს. თვითონ ძმები, მეგობარ-ამხანაგთა თანხლებით გაეშართნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ისინი მდ. ტიბროსმა გარიყა და აქ, პალატინის ბორცვზე გადაწყვიტეს ქალაქის დაარსება. ძმებს შორის გაჩაღებულა დავა, ვისი სახელი უნდა დარქმეოდა ქალაქს, რომულუსმა მოკლა რემი, ქალაქს თავისი სახელი უწოდა და მისი პირველი მეფე გახდა.

თუმცა ეს გადმოცემა აშკარად ზღაპრული ხასიათისაა, მაგრამ მასში მაინც არის ისტორიული სინამდვილის გარკვეული ელემენტები, რაც არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. კერძოდ, დღეს დადგენილია, რომ რომის ტერიტორიაზე უძველესი დასახლება სწორედ პალატინის ბორცვზე წარმოიქმნა და იგი ალბა ლონგადან გადმოსახლებულთა მიერ იყო დაფუძნებული.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ რეალურად რომის წარმოქმნა?

ლაციუმში, მდ. ტიბროსის მარცხენა ნაპირას, მდებარეობდა შვიდი ბორცვი: კაპიტოლიუმი, ავენტინი, პალატინი, ქვირინალი, ვიმინალი, ესქვილინი და ცელიუმი. ყველაზე მოხერხებული მდებარეობა პალატინის ბორცვს ჰქონდა: მას სამი მხრიდან ციცაბო კლდოვანი კალთები ეკრა და მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო ადვილი მისადგომი, მაგრამ ამ მხარის დაცვაც ძნელი არ იყო. სწორედ ამ ბორცვზე, დაახლოებით ძვ. წ. X საუკუნეში, გაჩნდა პირველი დასახლება, რომლის ნაშთები არქეოლოგებმა აღმოაჩინეს. კერძოდ, რომის ფორუმზე წარმოებული გათხრების დროს იპოვეს აგრეთვე ამ დასახლების სამარხები; პალატინის უძველესი მოსახლენი მიცვალებულებს წვავდნენ და ფერფლს თავისებურ თიხის ჯურჭლებში მარხავდნენ. ეს სამარხები მრავალი ნიშნით ემსგავსება ალბა ლონგას გათხრების დროს აღმოჩენილ სამარხებს და ეს აძლევს მეცნიერებს საფუძველს დაასკვნან, რომ პირველი დასახლება პალატინზე ალბა ლონგადან იყო გამოსული. ამ დასახლებას გარს შემოვლებული ჰქონდა კვადრატულად განლაგებული კედლები, რომლებიც იცავდნენ მცხოვრებლებს გარეული მხეცებისა და მოუსვენარი მეზობლების თავდასხმებისაგან. შემდგომ ამ სიმაგრეს „კვადრატული რომი“ ეწოდა.

უკანასკნელი წლების გათხრებმა ცხადყო, რომ უკვე ძვ. წ. IX საუკუნის ბოლოს დასახლებები გაჩნდა აგრეთვე ესქვილინის, ცელიუმისა და ქვირინალის ბორცვებზე. თავდაპირველად ეს დასახლებები ერთიმეორისაგან განცალკევებული იყო და ჭაობიანი ადგილები ბორცვებს შორის დაუსახლებელი რჩებოდა. ამ დასახლებათა სამაროვნები განსხვავდება პალატინის ბორცვის სამოსახლოს სამაროვნისაგან დამარხვის წესით: მიცვალებულს მიწაში მარხავდნენ. ეს აძლევს საფუძველს მკვლევრებს აქ სხვა, პალატინის მოსახლეთაგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი ივარაუდონ. კერძოდ, ქვირინალის ბორცვის მოსახლეებს საბინელებად მიიჩნევენ. საინტერესოა, რომ რომაულმა ტრადიციამ შემოგვინახა გადმოცემა რომაელების მიერ საბინელი ქალების მოტაცების შესახებ; ლეგენდის შინაარსი ასეთია: ალბა ლონგადან მოსულ და პალატინის ბორცვზე დასახლებულ რომაელებს ქალები არ ახლდნენ. მათ მეზობელ საბინელებს მიმართეს თხოვნით, რათა მათი ქალიშვილებისათვის ნება დაერთოთ რომაელებს გაჰყოლოდნენ ცოლად, მაგრამ უარი მიიღეს; მაშინ რომაელებმა ბრწყინვალე დღესასწაული მოაწყვეს და მასზე საბინელებიც მოიწვიეს; რომულუსის მიერ მიცემულ ნიშანზე ისინი დაერივნენ სტუმრებს და საბინელი ქალიშვილები მოიტაცეს. შეურაცხყოფილმა საბინელებმა დღეობა მიატოვეს და მალე მათსა და რომაელებს შორის ომი დაიწ-

ყო. მაგრამ ქალაქიდან გამოვიდნენ თმაგაშლილი საბინელი ქალები, ჩადგნენ მებრძოლთა შორის და შეეეედრნენ სისხლისღვრა შეეწყვიტათ: მართლაც, მებრძოლნი დაზავებულან და ორივე წინამძღოლმა — რომულუსმა და ტიტე ტაციტუსმა საშშვიდობო ხელშეკრულება დადეს: ორივე ტომი გაერთიანდა და რომულუსმა და ტიტე ტაციტუსმა ერთად დაიწყეს მეფობა.

როგორც ჩანს, ეს ლეგენდა ასახავს ისტორიულ მოვლენას — პალატინის ბორცვის ალბა ლონგადან გამოსულ მოსახლეთა საბინელებთან გაერთიანებას. რომის უძველესი მოსახლეობა ალბალონგელი ლატინებისა და საბინელთა შერწყმის შედეგად წარმოქმნილა.

ძველი რომაული ტრადიცია რომის უძველესი მოსახლეობის შემადგენლობაში ეტრუსკებსაც ასახელებს. უკვე ძველად იმ სამ ტრიბას, რომლებადაც რომაელი პატრიციები იყოფოდნენ, ლატინების, საბინელებისა და ეტრუსკების სამ ტომობრივ ელემენტად წარმოიდგენდნენ. ახალი დროის მკვლევართა ნაწილიც რომის თემის სამგვარ ეთნიკურ შემადგენლობას იზიარებს. მათი აზრით, რამნები ლატინები იყვნენ, ტიციები — საბინელები და ლუცერები — ეტრუსკები.

ცნობილმა მკვლევარმა ვ. შულცემ დაამტკიცა, რომ საკუთარი სახელების რომაული სისტემა ეტრუსკულ ელემენტს შეიცავს, რომ თვით ქალაქის სახელი რომა (ეტრუსკ. რუმა) — მისი ლეგენდარული დამაარსებლის სახელი, აგრეთვე ზემოხსენებული ტრიბების აღმნიშვნელი ტერმინები ეტრუსკული წარმოშობისაა.

ვ. შულცეს კვლევის შედეგები სპეციალისტებმა ფართოდ გაიზიარეს და განავითარეს. მართალია, ზოგიერთ მკვლევარს რომის თემის წარმოშობაში ეტრუსკული ელემენტის მონაწილეობა საეჭვოდ მიაჩნია, მაგრამ უძველესი რომის ენასა, სარწმუნოებასა და ყოფა-ცხოვრებაში იმდენად ღრმად არის წარმოდგენილი ეტრუსკიზმის კვალი, რომ მხოლოდ ეტრუსკების ლატინებთან მეზობლობით ან ერთ დროს ლაციუმში მათი პოლიტიკური ბატონობით ამის ახსნა ცალმხრივი და გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ საბინელებთან ერთად ეტრუსკებიც რომის უძველესი თემის ეთნიკურ ინგრედიენტად ჩავთვალოთ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სამი ეთნიკური ელემენტის შერწყმის პროცესში საბოლოოდ ლატინურმა ელემენტმა მოიპოვა უპირატესობა და ამ ნიადაგზე განსაკუთრებული კულტურა წარმოიქმნა. ეს, უპირველესად, ლათინურ ენაზე უნდა ითქვას. საბინიზმებმა და ეტრუსკიზმებმა, მართალია, ერთგვარად გაამდიდრა ლათინური ლექსიკური ფონდი, მაგრამ ლათინურმა ენამ საკუთარი გრამატიკული წყობა გამოიმუშავა და თავისი ძირითადი ლექსიკური ფონდიც შეინარჩუნა.

ძვ. წ. VIII საუკუნეში, როგორც ჩანს, იწყება სხვადასხვა ბორცვზე არსებულ დასახლებათა გაერთიანება, ხდება ბორცვთა შორის ჭაობნარის ამოშრობა წყალსაწრეტი და სადინარი არხებით, რომელთაგანაც შემდგომ შეიქმნა ე. წ. „დიდი კლოაკა" — ქალაქ რომის საკანალიზაციო სისტემა. ამოაშრეს ის ადგილებიც, სადაც შემდგომ შეიქმნა რომის ფორუმი. ძვ. წ. VI საუკუნის მეოთხედში კაპიტოლიუმზე აშენდა ციხესიმაგრე, რომელიც ქალაქის მთავარ ციხედ (ციტადელად) იქცა. სწორედ VI საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ რომის გადაქცევა ნამდვილ ქალაქად.

2. შვიდი მეფე (რეგანი) რომში

ისტორიკოსი ტაციტუსი გვაცნობებს, თავდაპირველად რომს მეფეები განაგებდნენო. ამას საერთოდ ადასტურებს ანტიკური ტრადიცია, რომლის თანახმად რომში შვიდი მეფე არსებობდა. ტრადიციის მიხედვით მეფეების პერიოდი ორსაუკუნენახევარი გრძელდებოდა.

პირველ მეფეს, რომის დამაარსებელს, რომულუსს ტრადიცია პალატინის გამაგრებასა და რომის თემის ორგანიზაციას მიაწერს. თითქოს მან დააარსა სენატი ასი „მამისაგან", ხალხი 30 კურიად დაანაწილა, დააწესა სამი ტრიბი — რამანების, ტიციებისა და ლუცერების, მოსახლეობის გადიდების მიზნით მოაწყო ლტოლვილების თავშესაფარი და წარმატებით ეომებოდა მეზობელ ქალაქებს. მისი სიკვდილის გამო ორი ვერსია არსებობს: ერთის თანახმად, ის ცოცხლად აიყვანეს ცაში, მეორეს მიხედვით — იგი მოკლეს „მამებმა".

მეორე მეფე ნუმა პომპილიუსი ტრადიციაში ღვთისმოშიშ და სამართლიან ადამიანადაა წარმოდგენილი. მას მიაწერდნენ კულტის დაწესებას, სალიების, ფეციალებისა და პონტიფიკების ქურუმული კოლეგიების და აგრეთვე ხელოსანთა კავშირების დაარსებას და ძველი ათთვიანი კალენდრის ნაცვლად ახალი თორმეტთვიანის შემოღებას. მას ტრადიცია საბინელად თვლიდა.

მესამე მეფე ტულიუს ჰოსტილიუსი იპყრობს ალბა ლონგას და ანადგურებს მას, მოსახლეობა კი რომში გადაპყავს და რომის მოქალაქეობას ანიჭებს. მასვე აუგია სენატის სხდომათა შენობა, რომელიც „ჰოსტილიუსის კურიის" სახელით არის ცნობილი. ალბა ლონგას განადგურებასთან დაკავშირებულია თქმულება სამი ძმის ჰორაციუსის სამ ძმა კურიაციუსთან ორთაბრძოლაზე. ალბელების წინაშეძღოლი და ტულიუს ჰოსტილიუსი შეთანხმებულან, რომ ცალკეულ მეომართა ორთაბრძოლას გადაეწყვეტა გამარჯვება. რომაელებისაგან ძმები ჰორაციუსები გამოსულან, ალბელებისაგან — ძმები კურიაციუსები. ორ რომაელს სამი ალბელი დაუკრია, მაგრამ თვითონაც დაღუპულან.

სამაგიეროდ, მესამე რომაელს სამივე მოწინააღმდეგე გაუნადგურებია. გამარჯვებით აღფრთოვანებული ის მოუძღვის მეომრებს და თან დაღუპულ მოწინააღმდეგეთა საჭურველი მოაქვს. მაგრამ მისი და, რომელიც ერთ კურიაციუსზე იყო გარიგებული, თმაგაშლილი და ღრმად დამწუხრებული, მოუწოდებდა მოკლულ საქმროს. ამით აღშფოთებული და განრისხებული ძმა ჰკლავს მას. დის მოკვლისათვის ის სამართალში მისცეს და მას სიკვდილით დასჯა მოელოდა. მხოლოდ მამამისის ხალხისადმი მიმართვამ გადაარჩინა იგი სასჯელს.

მეოთხე მეფე ანკუს მარციუსი, რომელიც ნუმას შვილიშვილი და მისებრ ღვთისმოშიშად ითვლებოდა, ხშირად ომობდა; მან დაამარცხა ლატინები, დაპყრობილი ქალაქების მოსახლეობა ავენტინზე გადმოასახლა, გორაკი იანიკული, ტიბრის მარჯვენა ნაპირას მდებარე, შემოიერთა და მას კედელი შემოავლო, ტიბრზე ხიდი ააგო და მის შესართავთან ნავსადგური ოსტია დააარსა.

მეხუთე მეფე ლუციუს ტარქვინიუს პრისკე (ძველი), ტრადიციის თანახმად, ეტრურიის ქ. ტარქვინიიდან გადმოსახლდა რომში. ის თითქოს, კორინთელის დამარატის შვილი იყო და სახელად ლუკუმონი ერქვა. აქ მიიღო მან ახალი სახელწოდება. თავისი სიმდიდრით და კარგი მოპყრობით მან მიიპყრო ხალხის ყურადღება და ანკუს მარციუსის სიკვდილის შემდეგ მეფედ აირჩიეს. მან ააგო ფორუმი და ცირკი, დააწესა საზოგადოებრივი ასპარეზობები, საძირკველი ჩაუყარა კაპიტოლიუმის ტაძარს, დაიწყო ქალაქის დაჭაობებული ადგილების ამოშრობა და გაიყვანა კლოაკა.

ტარქვინიუს პრისკეს მოადგილე იყო სერვიუს ტულიუსი, რომლის სახელს ტრადიცია უკავშირებს ისეთ რეფორმას, როგორიც იყო ქონებრივი ცენზის დაწესება და მასთან დაკავშირებით პოლიტიკური უფლებებისა და სამხედრო მოვალეობათა განსაზღვრა. მასვე მიაწერენ დიანას ტაძრის აგებას და ქ. ვეიზე გამარჯვებას. ის მოუკლავს სიძეს, მისი ასულის ტულიას ქმარს — ტარქვინიუს ამაყს.

მეშვიდე მეფის ტარქვინიუს ამაყის დროს აიგო კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძარი. იგი სისასტიკით გამოირჩეოდა, ანგარიშს არ უწევდა სენატს, ხშირად მიმართავდა ადამიანთა სიკვდილით დასჯას, გაძევებასა და კონფისკაციებს. მისმა ვაჟმა გააუპატიურა თავისი ნათესავის ტარქვინიუს კოლატინის მეუღლე — ლუკრეცია, რომელმაც თავი მოიკლა. ლუკრეციას ტრაგიკულმა ამბავმა აავსო ისედაც გაბუნებული ხალხის მოთმინების ფიალა; მოხდა აჯანყება, რასაც შემდეგ ტარქვინიუსის გაძევება და რომში სამეფო ხელისუფლების დამხობა მოჰყვა.

ასეთია ზოგადად ტრადიცია რომის მეფეებისა, რომლის შესახებაც სპეციალური ლიტერატურა შეიქმნა. მასში უმეტესად ტრადიციის ბი-

მართ სრული სკეპტიციზმი ჭარბობდა. ამ ტრადიციაში ისტორიული ამბების გამოძახილს კი არ ხედავდნენ, არამედ ეტიმოლოგიური მითების კრებულს, მაგრამ თანამედროვე ისტორიოგრაფია არ იზიარებს ასეთ სკეპტიციზმს და აღიარებს, რომ მეფეთა პერიოდის შესახებ არსებული ტრადიციული შეხედულებები ბევრ შემთხვევაში ასახავს რეალურ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ლეგენდარულ სამოსელშია გახვეული. ყველაზე სარწმუნოა გადმოცემები ტარქვინიუსების შესახებ, რომლებიც ეტრუსკთა ბატონობას ასახავენ VII—VI საუკუნეების რომში. გადმოცემა მათი განდევნის შესახებ კი მიგვანიშნებს ეტრუსკთა რომში ბატონობის დაცემას და მათ განდევნას ლაციუმიდან.

როდის უნდა მომხდარიყო რომიდან ტარქვინიუსების განდევნა?

კატონისა და პოლიბიოსის თანახმად 507 წელს, ხოლო ტიტე ლიციუსის მიხედვით 510 წელს. ეს უკანასკნელი თარიღი ათენიდან ტირან ჰიპიასის გაძევების წელთან სინქრონულად უნდა იყოს დაკავშირებული. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამეფო ხელისუფლების დაცემა რომში ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო.

8. რომის უძველესი საზოგადოებრივი წყობა; პატრიციები, კლიენტები; კლიენტები; მეარმოველობის სისტემა

„რომაელ ხალხს“ თავდაპირველად მხოლოდ პატრიციები შეადგენდნენ. ტერმინი პატრიციები წარმომდგარია სიტყვისაგან — მამა და აღნიშნავს „მამისეულთ“, ე. ი. ადამიანებს, „რომელთაც მამა ჰყავთ“. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, როგორც ამას ანტიკური წყაროებიც გვიდასტურებს, რომ რომის უძველესი მოსახლეობის ოჯახი წმინდა პატრიარქალური იყო, ოჯახის მეთაური ოჯახის შემადგენელ წევრთა მიმართ თითქმის შეუზღუდავი მბრძანებელი იყო და მათზე მონებად გაყიდვისა და სიკვდილ-სიცოცხლის უფლებაც კი ჰქონდა. იმ პირებს, რომლებზეც მამის ხელისუფლება ვრცელდებოდა, აგნატები ეწოდებოდათ, ხოლო სისხლის ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანებს — კოგნატები. კოგნატობა ძალაში რჩებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის მამის ხელისუფლება რომელიმე წევრზე აღარ ვრცელდებოდა; მაგ., გათხოვილი ქალიშვილი მშობლებთან კოგნატურ კავშირს ინარჩუნებდა, მაგრამ აგნატურად ქმრის ოჯახთან იყო დაკავშირებული. ტრადიციაში მოცემული ცნობები რომ შევაჯამოთ, დავრწმუნდებით, რომ პატრიციების საზოგადოებაში საგრძნობლად იყო შემონახული გვაროვნული წყობის დამახასიათებელი მომენტები. ამ საზოგა-

დოების ძირითად ერთეულს პატრიარქალური ექსოგამური გვარი წარმოადგენდა. გვარის წევრებს მემკვიდრეობის უფლება, საერთო სარწმუნოებრივი დღეობები, საერთო სასაფლაოები და საერთო სახელები აკავშირებდა. მეფეების პერიოდში და რესპუბლიკის ადრინდელ ეპოქაში რომაელის სახელი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირადისა და გვაროვნულისაგან; შემდეგ მათ მეტსახელი მიემატა.

ანტიკური წყაროების მიხედვით, რომაული საზოგადოება იყოფოდა სამ ტრიბად—ტიციებად, რამნებად და ლუცერებად. ამ ტრიბების წარმოქმნის პირობებს მოკლედ უკვე შევეხეთ. თითოეული ტრიბა 10 კურიისაგან შედგებოდა. კურია კიდევ — 10 გვარისაგან. ტრადიციაში უფრო მტკიცედაა დამოწმებული კურიები. მათ სარწმუნოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ, თითოეულ კურიას მეთაურობდა კურიონი; კურიებში შემავალი ასაკოვანი მამაკაცები იკრიბებოდნენ დღესასწაულების შესასრულებლად. მსხვერპლის შესაწირად და საერთო საკითხების განსახილველად. მათ კრებებს კურიატული კომიციები ეწოდებოდა. ყველა 30 კურიის საერთო კრება ჩვეულებრივად პალატინის გორაკზე მიმდინარეობდა. საერთო კრებაზე ხმის მიცემა კურიების მიხედვით წარმოებდა და თითოეულ კურიას ერთი ხმა ეკუთვნოდა. კურიატული კომიციები იხილავდნენ ახალ კანონპროექტებს და ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, აწესრიგებდნენ ოჯახის წევრების ურთიერთობას (ანდერძი, შვილად აყვანა და სხვ.). საგულისხმებელია, რომ იქვე წარმოებდა მეფის არჩევა და ომის გამოცხადებაც. როგორც უმაღლეს სასამართლო ინსტანციას, მას საბოლოო განაჩენი გამოჰქონდა იმ საქმეებზე, რომლებიც რომაელი მოქალაქის სიკვდილით დასჯას გულისხმობდნენ. კურიებში ხმის მიმცემი წევრების ერთობლიობა შეადგენდა „ქვირიტების რომაელ ხალხს“ (ქვირინი ომის ღმერთად ითვლებოდა).

ტრადიციის თანახმად, პატრიციების ცალკეულ ოჯახებს სრულ მემკვიდრეობით საკუთრებად მიკუთვნებული ჰქონდათ მიწის ნაკვეთი 2 იუგერის (ჰექტრის 0,25) რაოდენობით. მიწის ასეთ ნაკვეთს ეწოდებოდა ჰერედიუმი (სიტყვისაგან — მემკვიდრე). მიწის ასეთი მცირე ნაკვეთით ოჯახი თავს ვერ გამოიკვებავდა. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროს რომაელების ეკონომიკის მთავარ დარგს მაინც მომთაბარე მესაქონლეობა შეადგენდა და მათი საქონელი ისეთ საბალახოებზე ძოვდა, რომლებიც საერთო, სათემო საკუთრებად ითვლებოდა. ასეთი საძოვრებით სარგებლობა პატრიციების თემის ყველა წევრს შეეძლო.

პატრიციების ძლიერების საფუძველს იმ დროს მართლაც მესაქონლეობა რომ წარმოადგენდა იქიდანაც ჩანს, რომ ფულის აღმნიშვ-

ნელი ცნება პეკუნია წარმომდგარია სიტყვა პეკუსისაგან, რაც საქონელს ნიშნავს.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გარდა ჰერედიუმებისა არსებობდა ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი მინდორი", რომელიც პატრიციების კოლექტიურ საკუთრებად ითვლებოდა. პატრიციების ოჯახებს შეეძლოთ მიწის ამ საერთო ფონდიდან თავისთვისა და კლიენტებისათვის განსაზღვრული პირობით დაეკავებინათ (ოკუპაცია) ისეთი რაოდენობის მიწა, რომლის გამოყენებაც შეეძლოთ. ასეთი ფართობი ფორმალურად არა კერძო საკუთრებად, არამედ მფლობელობად ითვლებოდა.

მართალია, საერთო ფონდიდან მიწით სარგებლობა დროებითად ითვლებოდა, მაგრამ პატრიციები ყოველნაირად ცდილობდნენ ეს ფორმალური მხარე გადაელახათ და სარგებლობის სრული თავისუფლება და გასხვისებისა და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებები მიეთვისებინათ. დროებით სასარგებლოდ მიღებულ ნაკვეთებზე პატრიციები გადასახადის სახით მოსავლის ნაწილს (ერთი მეხუთედიდან ერთ მეათედამდე) იხდიდნენ.

პატრიციების გვერდით ადრე წარმოქმნილა მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფი — კლიენტები. სიტყვა კლიენტი დამოკიდებულ, მორჩილ ადამიანს ნიშნავს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კლიენტელა ცნობილი იყო ეტრუსკებს შორის.

საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს ფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ გვარის ზოგიერთი წევრი პატრონის (ე. ი. დამცველის) სახით მფარველობას უწევდა უუფლებო ცალკეულ პირებს, რომლებიც სამაგიეროდ, ვალდებული იყვნენ თავიანთი პატრონების მიმართ ერთგული და მორჩილი ყოფილიყვნენ. უმეტეს ნაწილად კლიენტს პატრონი აძლევდა მიწას, საქონელს და იცავდა მას სასამართლოში. სამაგიეროდ, კლიენტი პატრონის რაზმში მსახურობდა, განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებდა და ზოგჯერ მას საჭირო დახმარებასაც უწევდა. კავშირი პატრონსა და კლიენტს შორის პირადული ხასიათისა იყო და ურთიერთერთგულებას ემყარებოდა. თუ რამდენად მტკიცე ხასიათი ჰქონდა ასეთ ერთგულებას, ეს სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ XII დაფის კანონების ერთი მუხლის თანახმად, პატრონის მიერ კლიენტისადმი ვნების მიყენება სარწმუნოებრივ დანაშაულად ითვლება: „წყეული იყოს ის პატრონი, რომელმაც კლიენტი მოატყუა".

მეფეების პერიოდში და რესპუბლიკის ეპოქაში კლიენტები პატრიციების მნიშვნელოვან სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

პატრიციებისა და კლიენტებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ პლებეები, რომლებიც ადრინდელ რომში მოსახლეობის დიდ ნაწილს

წარმოადგენდნენ. პლებეების წარმოშობის საკითხის გარშემო სხვადასხვა თეორიაა წარმოქმნილი: გამოთქმულია მრავალი ჰიპოთეზა, რომლებიც მიზნად პლებეების წარმოშობის დადგენას და მათი სოციალური ხასიათის გარკვევას ისახავენ.

ამ საკითხს ვრცლად იხილავს პროფ. კოვალიოვი სპეციალურ ნარკვევში და თავის მხრივ აყენებს ეგრეთ წოდებულ „კომპლექსურ თეორიას". ეს თეორია იმას გულისხმობს, რომ პლებეების მნიშვნელოვანი ნაწილი თავდაპირველად კლიენტები იყვნენ, ხოლო პატრიციებსა და პლებეებს შორის არსებულ განცალკევებულობას ძირითადად ეთნიკური სხვაობა განსაზღვრავდა და პლებეებში ძლიერი ეტრუსკული ელემენტი იყო; მაგრამ ისტორიული განვითარების მსვლელობაში პატრიციებსა და პლებეებს შორის სოციალური დაპირისპირებაც წარმოიქმნა.

ამ თეორიათა შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის მოსაზრება, რომლის თანახმად პლებეები და პატრიციები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ეს შეხედულება, სხვათა შორის, თავის დროზე დაასაბუთა ივანე ნეტუშილმა და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „პლებეების ყოფა-ცხოვრება ისეთ მკვეთრ განმასხვავებელ თვისებად ააშკარავებს, რომელნიც გვაიძულებენ პლებეებში პატრიციებისა და კლიენტებისაგან არსებითად განსხვავებული ეთნიკური ელემენტი დავინახოთო".

ლივიუსის სიტყვით, პლებეების შვილები, წინააღმდეგ პატრიციებისა, ე. ი. თავიანთ მამებს იცნობდნენ. წყაროებში, ამასთან ერთად, ცხადად არის მითითებული პატრიციებსა და პლებეებს შორის სარწმუნოებრივი განსხვავებაც.

მეორე მხრივ, მკვლევრების მთელმა რიგმა პლებეების წარმოშობის საკითხის გარკვევისას ძირითადი როლი დაპყრობას მიანიჭა. მაგ., ობერლინერი პლებეებს ისეთ ადგილობრივ მოსახლეობად თვლიდა, რომელიც კულტურის დაბალ საფეხურზე იდგა, ნადირობას მისდევდა და მღვიმეებში ცხოვრობდა; ეს მოსახლეობა იტალიკებმა დაიპყრეს. ადგილობრივი მცხოვრებლები — ლატინები ბინდერსაც პლებეებად მიაჩნდა, ხოლო პატრიციები — მოსულ უცხო დამპყრობლებად.

არაერთხელ დასახელებული მკვლევრის — ლუცატოს აზრით, პლებსი იმ თემთა თავისუფალ წევრებს წარმოადგენდა, რომლებიც რომის თემმა დაიპყრო და უფრო გვიან შეუერთდა რომაელებს, ამიტომ მას პლებსი ისეთ მოსახლეობად არ მიაჩნდა, რომელიც რომაელმა თუ ეტრუსკელმა დამპყრობლებმა მონებად გადააქციეს, ანდა ისეთ უცხოელებად, რომლებიც ტარქვინიუსების დროს გადმოსახლდნენ, რათა აქ ვაჭრობასა და ხელოსნობას შესდგომოდნენ.

ჩვენის აზრით, ამ საკითხის გამო უფრო დამარწმუნებელი და მისაღები მოსაზრება გამოთქვა თავის დროზე მკვლევარმა კუნომ. მისი აზრით, რომი ისეთივე ეტრუსკული ქალაქი იყო, როგორიც, ვთქვათ, ვეი და ფიდენი; რომ პატრიციელი გვარები ეტრუსკელი დამპყრობლების ჩამომავლობას წარმოადგენდნენ, ხოლო პლებეები — ლატინთა დაპყრობილ მცხოვრებლებს, რომლებიც თანდათან განთავისუფლდნენ მათი ბატონობისაგან.

მართლაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეტრუსკელი დამპყრობლების შედარებით მცირერიცხოვანმა ნაწილმა დაიპყრო მაღლობებზე ბინადარი მოსახლეობა და ახალ ადგილას მტკიცედ გამაგრდა, ის თანდათანობით პატრიციად გადაიქცა და გარშემო მცხოვრებ მოსახლეობაზე გაბატონდა. როგორც ჩანს, დაპყრობის გზით დაქვემდებარებული მოსახლეობისათვის ეტრუსკებს თავისუფლება დაუტოვებიათ, მაგრამ მათთვის მოქალაქეობრივი უფლებები არ მიუნიჭებიათ და მმართველობის მთელი აპარატი თვითონ შეუნარჩუნებიათ. ამ გზით წარმოქმნილი პლებეები პატრიციული თემის გარეშე დარჩენილან და სათემო მიწით სარგებლობის უფლებაც არ ჰქონიათ. პლებეები, თავდაპირველად, კერძო საკუთრების უფლებით მიწის ფრიად მცირე ნაკვეთებს ფლობდნენ და მათ და პატრიციებს მიწის მფლობელობის არსებითად განსხვავებული ფორმები ახასიათებდათ. ამიტომ პატრიციები და პლებეები უმთავრესად მიწისათვის იბრძოდნენ. მართალია, პლებეები პირადად თავისუფალი იყვნენ, მაგრამ უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ კურიატულ კომიციებში, ყოფილიყვნენ წარმოდგენილი სენატში და ემსახურათ ლეგიონში. ამას გარდა, როგორც ტარქვინიუსების დროის პლებეების ჩაგვრის გამო თქმულება გვიდასტურებს, შეიძლებოდა მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაწვევაც. ქორწინება პატრიციებსა და პლებეებს შორის უკანონოდ ითვლებოდა.

მმართველობითი სისტემა რომის პატრიციულ სახელმწიფოში წარმოდგენილია კურიატული კომიციებით, სენატით და რექსით.

კურიატულ კომიციებზე უკვე გვქონდა საუბარი და დავინახეთ, რომ მათს საერთო კრებაზე წყდებოდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხები. ხოლო კურიატული კომიციების ყველა დადგენილება უნდა დაემტკიცებინა სენატს, რომელიც მამა-პაპათა ტრადიციის დამცველად ითვლებოდა. ტერმინი სენატი ნიშნავს მოხუცს და მის წევრებს მამები ეწოდებოდათ. ტრადიციის მიხედვით, სენატი თავდაპირველად ასი წევრისაგან შედგებოდა, მერე კი ეს რიცხვი სამასამდე

გაიზარდა. სენატის წევრები მონაწილეობას იღებდნენ მეფის (რექსის) არჩევნებში და მის მრჩევლებად ითვლებოდნენ მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისას. არსებობს ცნობა, მეფის სიკვდილის შემთხვევაში ახალი მეფის არჩევამდე სენატის წევრები რიგრიგობით ახორციელებდნენ უმაღლეს ხელისუფლებას (მეფეთშორისობა).

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე (რექსი), რომელიც მომზენს თითქმის შეუზღუდავ მონარქად ჰყავს წარმოდგენილი, ფრ. ენგელსის მიხედვით კი ის არსებითად მხედართმთავარი, უმაღლესი ქურუმი და ზოგიერთი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. ამასთან ერთად, მეფეს ენიჭებოდა უმაღლესი ხელისუფლება და, შესაძლოა, იგივე ნიშნავდა ახალ სენატორებს.

რომის მეფის ხელისუფლების გარეგან ნიშნებს საერთო ეტრუსკული ინსიგნიები წარმოადგენდა: მეწამული მანტია, ოქროს დიადემა, არწივიანი კვერთხი, სპილოს ძვლის სავარძელი და მეფის წინ 12 ლიქტორი წნელის კონაში ჩადებული ცულებით.

საეფო პერიოდის მიწურულში გაჩნდნენ ისეთი თანამდებობის პირები, რომლებსაც მეფე ნიშნავდა. მაგ., როცა მეფე რომიდან დროებით გადიოდა, იგი მმართველობას აკისრებდა ქალაქის პრეფექტს.

ასეთია ზოგადად უძველესი რომის მმართველობითი სისტემა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სისტემის ორგანოების ხასიათისა და კომპეტენციის საკითხი მეცნიერებაში დიდი კამათის საგანია და იძულებული ვართ მათ შესახებ ჭეშმარიტად საერთო მოსაზრებებით დავკმაყოფილდეთ.

4. ეგრეთ წოდებული სერვიუს ტულიუსის კონსტიტუცია და მისი მნიშვნელობა

ჩვენ დავინახეთ, რომ პატრიციებს მითვისებული ჰქონდათ არა მარტო პრივილეგიები და პოლიტიკური უფლებები, არამედ მათ ხელში იყო აგრეთვე მიწები, საქონელი და, ალბათ, მონებიც. პლებსის პოლიტიკურ უთანასწორობას კი მკაცრად გამოსახული ეკონომიკური უთანასწორობაც ემატებოდა. როგორც პლებეები, ისე პატრიციები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ, რაც იმ დროს რომაელების არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ სხვაობა ამ ორ სოციალურ ჯგუფს შორის მით უფრო ღრმავდებოდა, რაც მეტად იზრდებოდა მეზობელ ტომთა ხშირი თავდასხმებითა და საზოგადოებრივი მოვლენებით გამოწვეული ტვირთი, რაც საშინელი უბედურება იყო მიწის წვრილი მესაკუთრეებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ისინი კარგავდნენ მოსავალსა თუ საქონელს, ამასთან ერთად, აუცილებლად კარგავდნენ დამოუკიდებლობასაც, ვინაიდან იძულე-

ბული ხდებოდნენ სესხი პატრიციებისათვის ეთხოვნათ. სავალო კანონები კი, როგორც სხვაგან, ისე ძველ რომში ისეთი სასტიკი ხასიათისა იყო, რომ ვალაუვალი მოვალე მთლიანად კრედიტორის ხელქვეითი ხდებოდა. პლებეების რიცხვი კი სულ მატულობდა იძულებით თუ ნებაყოფლობით გადმოსახლებულ პირთა ანგარიშზე. ასეთი ადამიანები რომის მუდმივი მცხოვრებლები ხდებოდნენ, მაგრამ პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდნენ.

ამასთან ერთად, პლებეებში ქონებრივი დიფერენციაცია უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე პატრიციებში და ადგილი ჰქონდა ფართო მასების ეკონომიკურ დეგრადაციასა და გაღატაკებულთა რიცხვის შეუჩერებელ ზრდას.

მეორე მხრივ, ის პლებეები, რომელთაც მოახერხეს ხელოსნობასა და ვაჭრობაში ჩაბმა, მდიდრდებოდნენ და ისეთ წრეს ჰქმნიდნენ, რომელიც პირველ რიგში ვერ ურიგდებოდა თავის უუფლებო მდგომარეობას.

უდავოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროის რომაულ საზოგადოებაში მონებიც არსებობდნენ, მაგრამ მონობა ჯერ კიდევ პრიმიტიულ, პატრიარქალური იყო.

პატრიციებსა და პლებეებს შორის ამტყდარი ბრძოლის პირველ ეტაპს ეგრეთ წოდებული სერვიუს ტულიუსის რეფორმა წარმოადგენდა. რაში მდგომარეობდა ეს რეფორმა და რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მას?

დიონისე ჰალიკარნასელის გადმოცემებით, სერვიუს ტულიუსმა ყველა რომაელს უბრძანა ვერცხლზე შეეფასებინათ თავიანთი ქონება და თან ჩვეულებრივი ფიცი მიეღოთ, რომ ცნობები სინამდვილეს შეესაბამება და ქონება სრულიად მაღალი დანიხვრითაა შეფასებული, მიეთითებინათ თავიანთი ასაკი, დაესახელებინათ ცოლები და შვილები და აღენიშნათ ის, თუ რომელ უბანზე არიან მიწერილები. ვინც ამას არ შეასრულებდა, მას ქონების ჩამორთმევა, გაჯოხვა და მონად გაყიდვა ემუქრებოდა.

სერვიუს ტულიუსს რომის მცხოვრებლები როგორც პატრიციები, ისე პლებეები დაუნაწილებია ხუთ თანრიგად ქონებრივი ცენზის მიხედვით. ქონებრივ ცენზს, ტრადიციის მონაცემების თანახმად, საფუძვლად ედო სპილენძის მონეტა ასსი. პირველ თანრიგს (კლასს) მიეკუთვნებოდნენ ის შეძლებული პირები, რომელთა ქონება 100 ათას ასს უდრიდა, მეორეს — 75 ათასს, მესამეს — 50 ათასს, მეოთხეს — 25 ათასს და მეხუთეს — 11 ათას ასს. მცხოვრებლების უღარიბესი ნა-

წილი კი „კლასის ქვევით“ რჩებოდა. მათ ეწოდებოდა „თვით შეფასებულნი“. ისინი ითვლებოდნენ პროლეტარებად, ე. ი. ისეთ ადამიანებად. რომელთაც შვილების, ჩამომავლობის მეტი არა გააჩნდათ რა.

ყოველ კლასს სამხედრო ერთეულის (ცენტურიის — ასეულის) გარკვეული რიცხვი უნდა გამოეყვანა და თითოეული მათგანი განსაზღვრული საკურველით შეეიარაღებინა. იმ პირთაგან, რომელთაც ისეთივე ცენზი ჰქონდათ, როგორიც პირველ კლასს, მხედრების 18 ცენტურია იქნა გამოყოფილი. პირველი კლასის წევრები მძიმედ შეიარაღებულ ფეხოსნებს განასახიერებდნენ და ლეგიონის რიგებში უნდა მდგომაოყვნენ. სხვა კლასებს უფრო შემსუბუქებული შეიარაღება ეკისრებოდათ. მეხუთე კლასი კი მწყობრში მსუბუქად შეიარაღებული უნდა გამოსულიყო.

მაშასადამე, პატრიციებთან ერთად პლებეებსაც დაეკალათ სამხედრო სამსახური. ისინი საკუთარ ხარჯზე უნდა შეიარაღებულიყვნენ. გამონაკლისს თითქოს მხედრები წარმოადგენდნენ: მათ ხაზინიდან ეძლეოდათ ცხენის შესაძენი და შესანახი სახსრები და საგულისხმოა, რომ განსაზღვრულ გამოსაღებს იხდიდნენ ის შეძლებული ქვრივები და ობლები, რომლებიც სამხედრო ბეგარას პირადად ვერ ასრულებდნენ.

ასეთი სამხედრო რეფორმის შედეგად პირველ კლასს მხედრებითურთ 98 ცენტურიას გამოყვანა დაეკისრა, მეორეს — ოცდაორისა ხელოსნების ორი ცენტურიის ჩათვლით, მესამეს — ოცის, მეოთხეს — ოცდაოთისა მებუკეთა და მენაღარეთა ჩათვლით, მეხუთეს — ოცდაათისა და პროლეტარიებს — ერთი ცენტურიისა. მაშასადამე, რომის მოსახლეობას სულ 193 ცენტურია უნდა გამოეყვანა.

სერვიუს ტულიუსის რეფორმას უდავოდ ჰქონდა მნიშვნელობა რომის სამხედრო ძლიერების განვითარებისათვის. ცნობილია, რომ როგორც მეფეების პერიოდში, ისე რესპუბლიკის ეპოქაში ომი გამდიდრების, ტერიტორიისა და მონების ხელთგდების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. სერვიუს ტულიუსის სამხედრო რეფორმამ განაპტიკა რომის სამხედრო ძლიერება და უზრუნველყო მისი მეთაურობა ლატინების კავშირში, რომელიც უკვე რღვევას განიცდიდა. ეს კავშირის გამაგრების აღსანიშნავად ავენტინის გორაკზე ააგეს დიანას ტაძარი.

ამ მხრივ დიონისე ჰალიკარნასელი ფრიად საყურადღებო ცნობას გვაწვდის, რომ მან თავის თვალით ნახა მეფე სერვიუს ტულიუსის ლატინთა ქალაქებთან დადებული ხელშეკრულების ტექსტი საერთო საშუალებებით ავენტინზე დიანას ტაძრის აგების შესახებ.

მაგრამ სერვიუს ტულიუსის რეფორმას არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ამიე-

რიდან პლებეები „პოპულუს რომანუსის“ შემადგენლობაში ირიცხებოდნენ და მოქალაქეთა რიცხვში ეწერებოდნენ. ამან კი გავლენა იქონია რომის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. წარმოიქმნა სახალხო კრების ახალი ფორმა: საერთო კრებაზე შეგროვებისას მოქალაქეები აგრეთვე ცენტურიებად იყოფოდნენ და თითოეულ კლასს იმდენი ხმა ჰქონდა, რამდენი ცენტურიაც გამოჰყავდა. ამ კრებებს ცენტურიატული კომიციები ეწოდებოდა. თითოეულ ცენტურიას თითო ხმა ეკუთვნოდა: ყოველ საკითხს ჯერ ცალკეულ ცენტურიაში ისილავდნენ და მერე ხმის უმრავლესობით წყვეტდნენ. ცენტურიატული კომიციები მარსის ველზე იკრიბებოდნენ. ეს იყო დიდი ვაკე, ქალაქის კედელს გარეთ, გორაკებსა და ტიბრს შორის მდებარე. აქ იდგა ომის ღმერთის — მარსის ძველი საკურთხეველი, რომლის გარშემო მიმდინარეობდა ცენტურიატული კომიციების კრება, რომელშიც შეიარაღებული ხალხი მონაწილეობდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პირველ კლასს 98 ცენტერია გამოჰყავდა და, მაშასადამე, ხმების ნახევარზე მეტი ეკუთვნოდა (193-დან 98, დანარჩენ ოთხ კლასს კი მხოლოდ 95), ადვილად წარმოვიდგენთ, რომ გადამწყვეტი როლიც მასვე ეკუთვნოდა. მაგრამ ცენტურიატული კომიციების დაწესებას ის ძირითადი აზრი ჰქონდა, რომ ამიერიდან არა წარმოშობას, არამედ ქონებრივ მდგომარეობას მიენიჭა მთავარი როლი და ძველმა კურიატულმა კომიციებმა წინანდელი მნიშვნელობა საგრძნობლად დაკარგა.

გარდა მოსახლეობის კლასებად დაყოფისა, ტრადიცია სერვიუს ტულიუსს ძველი ტრიბების ნაცვლად ახალი ტერიტორიული ტრიბების დაარსებასაც მიაწერს. მას დაუარსებია ოთხი საქალაქო ტრიბა და რამდენიმე სასოფლო. წყაროებში ტრიბების რაოდენობა სხვადასხვაგვარია; მაგ., ტიტე ლივიუსის გადმოცემით მათი რიცხვი იმ დროს ოცდაერთს უდრიდა, დიონისეს სიტყვით კი — ოცდაექვსს. ამიტომ ძნელია ამ რიცხვის ზუსტად დადგენა. მაგრამ იმის თქმა კი სარწმუნოდ შეიძლება, რომ ძვ. წ. III საუკუნეში ის 35 აღწევდა. როგორც ტიტე ლივიუსის სიტყვებიდან ჩანს პატრიციები ფრიად უკმაყოფილო ყოფილან სერვიუს ტულიუსის მიერ გატარებული რეფორმით. სამაგიეროდ, პლებეებში მას მოკრძალებით იხსენიებდნენ და ყოველთვიურად მისი პატივსაცემი ცერემონიალი სრულდებოდა.

რა თქმა უნდა, როცა რომაელების ქონებრივ კლასებად დანაწილებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შედეგი იყო არა ერთი კანონმდებლის შემოქმედებითი ნებისყოფისა, არამედ ხანგრძლივი სოციალური პროცესებისა, რომლებიც კანონმდებლობით სერვიუს ტულიუსის მეფობაში გაფორმდა. ასე უნდა გავიგოთ მოსახლეობის ქონებრივ თანრიგებად დანაწილება და ცენტურიატული კომი-

ციებისა და ტერიტორიული ტრიბების დაწესება. ამიტომ ოვიდონ სერვიუს ტულიუსის ისტორიული არსებობის უარყოფა საფუძვლიანად ვერ ჩაითვლება.

3. რომის ადრინდელი კულტურა

მართალია, იმ დროის რომაული საზოგადოების კულტურა ჯერ კიდევ პრიმიტიული იყო, მაგრამ უდიდეს მიღწევად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ უკვე მეფეების პერიოდში რომაელებს საკუთარი დამწერლობა შეუქმნიათ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ანბანური დამწერლობა მათ კუმეს ბერძნებთან ურთიერთობაში გადმოიღეს და შეითვისეს.

როგორც სხვა ხალხებს, ისე ამ პერიოდის რომაელებსაც შეუქმნიათ უძველესი სახალხო პოეზია, რომლის ძეგლები ჩვენამდე არ შემონახულა, მაგრამ უფრო გვიანდელ წყაროებში ნაწილობრივ მაინც არის დაცული. ამ მხრივ, პირველ რიგში, უძველესი საკულტო ჰიმნები უნდა დავასახელოთ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ნათესების სასიკეთოდ მიმართულ საკულტო მოწოდებას მიეკუთვნებოდა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ რომაელების ღმერთებისადმი ლოცვითი მიმართვები დიდი ექსტაზით არ გამოირჩეოდა. ლოცვა რომაელისათვის, ღმერთზე თუ რომელიმე მოვლენაზე მაგიური ზეგავლენის საშუალება გახლდათ. რომაელების უძველეს სარწმუნოებრივ პოეზიას მიეკუთვნებოდა აგრეთვე საკალობელთა ციკლი მყოფობის, ხანძრის, სეტყვისა და სხვა მავნე ბუნებრივი მოვლენების საწინააღმდეგო შელოცვების კრებულები და ეგრეთ წოდებული სატურნული ლექსით დაწერილი წინასწარმეტყველებანი ადამიანთა ბედის შესახებ. ძველი რომაელი მწერლები იხსენიებენ აგრეთვე იმ სიმღერებს, რომლებსაც ყურძნის კრეფის, რთვისა და ქსოვის დროს ასრულებდნენ. მათთან ერთად მოხსენიებულია იანანა და მწყემსების სიმღერები. რომაელების სარწმუნოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნოდა ოჯახის კულტს, რომლის ცენტრს კერა წარმოადგენდა. მის წინ ოჯახის მამა ასრულებდა ყველა წესს, რაც თან სდევდა მნიშვნელოვანი საქმის შესრულებას. მაგალითად, კერის წინ ოჯახის მამა ახალდაბადებულ ბავშვს თავის შვილად აცხადებდა. ოჯახის მფარველებს სახლის ბინადარი კეთილი სულები — პენატები ეწოდებოდა. სახლის გარეთ ოჯახისა და მისი ქონების მფარველებად ლარები ითვლებოდნენ. ამას გარდა, ოჯახის ყოველ წევრს მფარველობდა საკუთარი „გენია“, რომელიც მისი ძალის გამომსახველად იყო მიჩნეული. ოჯახის მამის გენიას ყველა წევრი თაყვანს სცემდა. ის მთელი ოჯახის გენია იყო. ოჯახის დედასაც ჰყავდა თავისი გენია, რომელსაც ახალ-

გაზრდა მეუღლე ოჯახში შეჰყავდა და მშობიარობას უადვილებდა. ოჯახიც ზრუნავდა მიცვალებულ წინაპრებზე, რომლებიც ძველი რომაელების წარმოდგენით სიცოცხლეს საფლავებშიც განაგრძობდნენ და სიცოცხლის მიტანას მოითხოვდნენ. ის მიცვალებულები, რომელთა ხიბართ მათი ჩამომაელობა ზრუნავდა, კეთილ ღვთაებებად — მანებად იწოდებოდა. ხოლო უყურადღებოდ მიტოვებული მიცვალებული ბოროტ და შურისმაძიებელ სულებად — ლემურებად ითვლებოდა.

რომაელების ადრინდელ სარწმუნოებას საერთოდ პრიმიტიული პოლითეიზმი ახასიათებდა. მათი წარმოდგენით ყოველ საგანს და მოვლენას თავისი სული, თავისი ღვთაება ჰყავდა. მაგ., ბავშვობის 43 ღმერთი იყო აღიარებული: ბავშვის პირველი ტირილის ღვთაება, აკვნის ღმერთი, ბავშვის პირველი ფეხადგმის ღვთაება და ა. შ.

რომაელი ქურუმები საერთოდ ისეთი თანამდებობის პირები იყვნენ, რომლებიც განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებდნენ და განსაკუთრებულ ძმობაში ერთიანდებოდნენ. ეს ძმობა უმთავრესად კოოპტაციის გზით ივსებოდა.

თავის პირვანდელ სტადიაში რომაული სარწმუნოება ანთროპომორფული არ იყო და ამიტომაც არავითარი ღმერთების ვანსხეულება არ არსებობდა.

რომაული სარწმუნოების ღვთისმსახურების წესები ფრიად დეტალურად იყო დამუშავებული. ამასთან დაკავშირებით, ფართოდ განვითარებულა ქურუმების წოდება და მათი კოლეგიები. უძველესი ქურუმები იყვნენ: პონტიფიკები, რომელთაც სარწმუნოებრივი წესების უმაღლესი მეთვალყურეობა ეკისრებოდათ. ჰარუსკიპები, რომლებიც სამსხვერპლო ცხოველების შიგნეულობაზე მისნობდნენ და თითქოს ციურ მოვლენებს განმარტავდნენ; ავგურები, რომლებიც ვითომც ღმერთების ნებისყოფას ფრინველთა გაფრენის მიხედვით შეიცნობდნენ; ღმერთქალის ვესტას ქურუმი ქალები — ვესტალები, სახელმწიფო და საოჯახო კერების მცველები.

ქურუმთა უძველესი გაერთიანებები იყო: სალიები (მხტომები) და არვალის ძმები (ძმები მხვნელები).

სალიების კოლეგიას ლატინების უძველესი ღმერთის — მარსის ქურუმები წარმოადგენდნენ. ისინი ყოველი წლის მარტსა და ოქტომბერში ქალაქ რომის რიტუალურ „შემოვლას“ ასრულებდნენ კვერთხით სამხედრო სამოსში, ხტებოდნენ და საკულტო „მოწოდებით“ სხვადასხვა ღმერთს მიმართავდნენ. ფრიად შერყვნილი სახით იყო შემონახული მათი ძველი ჰიმნის ტექსტი, რომელიც შემდგომ დროში თვითონ ქურუმებისათვის იყო გაუგებარი.

არვალის ძმათა კოლეგიაში შემავალი ქურუმები დედამიწის ღმერთქალის საპატიეცემო დღესასწაულს ასრულებდნენ. ჩვენამდე

მოაღწია მათი ღვთისმსახურების ოქმებმა; ერთ მათგანში მოცემულია რიტუალური საგალობელი, რომელშიც ძველი ლათინური ენაა დაცული.

დასასრულს, შევჩერდეთ რომაულ პანთეონზე. ერთ უძველეს რომაულ ღვთაებად ორპიროვანი იანუსი ითვლება. ის თავდაპირველად კარების ღმერთად იყო მიჩნეული, შემდეგ კი ყოველი საწყისის ღმერთად და იუპიტერის წინამორბედად. ადრე წარმოქმნილა აგრეთვე კაპიტოლიუმის სამება: იუპიტერი, მარსი და ქვირინი. იუპიტერი ითვლებოდა ზეცის უმაღლეს ღვთაებად, მარსი — ჯერ მცენარეულობისა და შემდეგ ომის ღვთაებად, ქვირინი კი მის ორეულად. შემდეგ რომაული პანთეონი თანდათან ფართოვდება; მასში ადგილს იკავებენ იუნონა (ჰერა), მინერვა (ათინა), სატურნი (კრონოსი), ცერერა (დემეტრა), მერკური (ჰერმესი), აპოლონი და სხვ. ამასთან ერთად, ბერძნული სარწმუნოების ზეგავლენით თანდათან ხდება ბერძნული და რომაული პანთეონების გათანაგვარება და რომაული ღმერთების ანთროპომორფიზაცია.

კაპიტოლიუმზე ტაძრის აგების ერთდროულად თუ ცოტა უფრო გვიან რომში ეტრუსკების ნიმუშის მიხედვით იწყება ასპარეზობა, რომელიც თავდაპირველად ეტლებზე ჯირითსა და ათლეტების შეჯიბრებაში გამოისახებოდა.

თავი მესამე

რომის ადრინდელი რესპუბლიკა

1. რესპუბლიკის ადრინდელი პერიოდის რომაული საზოგადოება და სახელმწიფოებრივი წყობილება

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ძვ. წ. VI საუკუნის დამლევს რომიდან გააძევეს უკანასკნელი რექსი ლუციუს ტარქვინიუს ამაყი. ტარქვინიუსმა სკადა ურთიერთობა დაემყარებინა თავის მომხრეებთან, მაგრამ მის მიერ მომზადებული შეთქმულება გამომჟღავნდა, ტარქვინიუსის მომხრეები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

რაკი შეთქმულების გზით ტარქვინიუს ამაყმა რომში დაბრუნება ვერ წარმატებულა, მან დახმარებისათვის მეზობელი ეტრუსკული ქალაქების მეთაურებს მიმართა და მოუწოდა: თუ არ დამეხმარებით ტახტის დაბრუნებაში, თქვენც ასეთივე ბოლო მოგელითო. მის დასახმარებლად და ტახტზე აღსადგენად რომზე დიდი ჯარით გამოილაშქრა კლუზიუმის მეფემ — პორსენამ. მან ალყა შემოარტყა რომს. ტიბრზე, რომელიც ქალაქს იცავდა, გადებული იყო ერთადერთი ხიდი, რომელსაც რომაელების მცირერიცხოვანი რაზმი იცავდა. როცა ამ რაზმმა ხალხმრავალი მტერი იხილა, შეკრთა და მტერს ზურგი უჩვენა. არ შედრკა მხოლოდ ერთი მეომარი, ჰორაციუს კოკლესი და ხიდზე დგომას განაგრძობდა. ამით გაწბილებული გაქცეული რომაელი მეომრები შეჩერდნენ და მტრის წინააღმდეგ მობრუნდნენ. კოკლესი ეტრუსკებს ეკვეთა და მათ კი ხიდი დაანგრიეს. კოკლესი წყალში გადავარდა და უვნებლად დაბრუნდა თავისიანებთან. ხიდის განადგურებამ პორსენას ხელი შეუშალა ქალაქი ერთბაშად აეღო და იძულებული გახდა მისთვის ხანგრძლივად შემოერტყა ალყა; ქალაქი მოიცვა სენმა და შიმშილობამ. აქ ჰორაციუს კოკლესის თქმულებას ემატება თქმულება ახალგაზრდა რომაელ მუციუსზე. თავისი ქალაქის დუხჭირი მდგომარეობით შეშფოთებული, ის შეიპარა მტრის ბანაკში, პორსენას მოსაკლავად, მაგრამ შეცდომით მისი მწერალი მოკლა. განიარაღებული მუციუსი პორსენას წარუდგინეს. მის კითხვაზე, ვინა ხართ თქვენო, მუციუსმა უპასუხა, რომაელი, სახელად მუციუსი. განხრახული მჭონ-

და ჩემი სამშობლოს მტერი მომეკლა. მართალია, შევცდი, მაგრამ სულ ერთია: 300 რომაელ ახალგაზრდას ფიცი აქვს მიღებული, რომ პორსენა უეჭველად მოჰკლანო. მუციუსი აიძულეს გაეთქვა შეთქმულები და მათი გეგმა, მაგრამ იგი დუმდა. მაშინ კოცონი დაანთეს, რათა იგი სატანჯველისათვის მიეცათ. მუციუსი კი მივიდა კოცონთან, ჩადო ნაღვერდალში მარჯვენა ხელი და უდრტვინველად იტანდა წამებას. ყველა გაოცებით შესცქეროდა მას. პორსენამ მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლება ბრძანა. ამასთან, რომაელების გმირობით გაოცებულმა მეფემ ალყა შემოსნა რომს და უკან გაბრუნდა. მადლიერმა რომაელებმა კი დიდად დააფასეს მუციუსის გმირობა და მას სკევოლა (ცაცია) უწოდეს. მისი სახელი მამაცი გმირის ზოგად სახელად იქცა.

არსებობს ცნობა, რომ პორსენას რომაელებთან მათთვის მძიმე ხელშეკრულება დაუდვია. პლინიუს უფროსის ცნობით რომაელებს, სხვათა შორის, ვალდებულება მიუღიათ რკინა მხოლოდ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის შეეზიდათ. ამას გარდა, ეტრუსკებთან ხანგრძლივმა ბრძოლამ რომი საგრძნობლად დაასუსტა.

ასეთია ზოგადად თქმულებები ტარქვინიუს ამაყის გაძევებისა და მასთან დაკავშირებული ამბების შესახებ. ამ თქმულებებში სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ხალხის ამბოხება ტარქვინიუსის წინააღმდეგ და ძალი გაძევება, ეტრუსკების ბატონობის დამხობა და რესტავრაციის ცდები.

მას შემდეგ, რაც ეტრუსკების ბატონობის ხანაში დაწყებული სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური ზრდის პერიოდი დამთავრდა, რომმა კვლავ დაიკავა შედარებით მცირე ტერიტორიის პატარა ცენტრის ადგილი. მისი სამეურნეო ცხოვრება საკმაოდ პრიმიტიული იყო. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას კვლავ მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და წვრილი საოჯახო ხელოსნობა შეადგენდა. მართალია, პლუტარქე ნუმა პომპილიუსის ბიოგრაფიაში მოგვითხრობს, რომ ამ მეფემ დააწესა სხვადასხვა დარგის ხელოსნების კავშირები და ეს ცნობა უდავოდ მოწმობს ხელოსნობის განვითარებას. მაგრამ ის გულისხმობს ბერძენების პერიოდს და, მაშასადამე, ეტრუსკების ბატონობის ეპოქას. იმ ეპოქაში მართლაც არსებობდნენ ხელოსნები — პროფესიონალები, ამას გვიდასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც: რომის ციხის კედლების და კანალიზაციის ნაშთები და უძველესი ტაძრების, მათ შორის კაპიტოლიუმის ტაძრის, ნანგრევები. მაგრამ თუ ტრადიციას დავუჯერებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ სამუშაოებს ძირითადად ეტრუსკელი და, შესაძლოა, სამხრეთ იტალიელი ბერძენი ხელოსნები ასრულებდნენ და ადგილობრივი მწყემსი მოსახლეობა მათ დამხმარე ძალას წარმოადგენდა. ხოლო იმის უარყოფა

კი არ შეიძლება, რომ ასეთი მშენებლობა და მასში ხელოსან-პროფესიონალების მონაწილეობა ამ მოსახლეობაზეც იქონიებდა თავის გავლენას.

ეტრუსკების ბატონობის ხანაში ვითარდებოდა მეზღვაურობა და ვაჭრობა. რესპუბლიკის დასაწყის პერიოდშიც არ შესუსტებულა გაცვლა-გამოცვლა. უძველეს დროს, ფორუმზე ყოველკვირას ეწყობოდა ბაზარი, ხოლო ცნობილ საკურთხევლებთან · ყოველწლიურად, დიდ სარწმუნოებრივ დღესასწაულებზე იმართებოდა ბაზრობა. ცნობილია, რომ გაცვლა-გამოცვლის ზრდასთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფა-განვითარება და ეს მოვლენა ამ შემთხვევაშიც საგრძნობი ტემპით მიმდინარეობდა.

უფრო გავრცელებული ტრადიციის თანახმად, სამეფო ხელისუფლების დამხობის შემდეგ რომის სახელმწიფოს სათავეში გვევლინება ცენტრალურ კომიციებში არჩეული და სენატის მიერ დამტკიცებული ორი უმაღლესი თანამდებობის პირი (მაგისტრატები). მათ ჯერ პრეტორი („წინამძღოლები"), ბერძნულად — სტრატეგოსები („ხელმძღვანელები") ეწოდებოდათ. მაშასადამე, მათ მთავარ მოვალეობას ჯარის უფროსობა წარმოადგენდა. ერთი პრეტორი უფროსად ითვლებოდა, მეორე კი მის თანაშემწედ. უფრო გვიან ძვ. წ. IV საუკუნეში ეს მაღალი თანამდებობის პირები კონსულებად იწოდებოდნენ. ამ უკანასკნელი ტერმინით გამოსახული უნდა იყოს უმაღლესი მაგისტრატურის კოლეგიალობა: ცნება „კონსული" „ერთად მოთათბირე" კოლეგებს, თანადგომით გამგებლებს გულისხმობს. ახლადარჩეული თანამდებობის პირთ მიეკუთვნათ უმაღლესი ხელისუფლება (იმპერიუმი) და მეფეების ძირითადი ფუნქციები, ქურუმულ მოვალეობათა გამოკლებით. სარწმუნოებრივი ფუნქციები კი განსაკუთრებული თანამდებობის პირს გადაეცა, რომელსაც „ღვთის მსახურებისა მეფე" ეწოდებოდა.

ცნობები რესპუბლიკის ადრინდელი პერიოდის სხვა თანამდებობის პირთა შესახებ შედარებით ბუნდოვანია და საკამათო. მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ თავიდანვე წარმოქმნილა თანამდებობა ქვესტორებისა, რომლებიც ჯერ პრეტორების თანაშემწედ ითვლებოდა სამართლის დარგში და მერე კი ხაზინადრის ფუნქციები მიუღიათ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მმართველობის სისტემაში არამც თუ შეინარჩუნა სენატმა, არამედ ის რომის რესპუბლიკის ისეთ ცენტრალურ ორგანოდ იქცა, რომელსაც უმაღლესი კონტროლი ეკუთვნოდა და, რომელიც იხილავდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ძვ. წ. 339 წლამდე სენატს ეკუთვნოდა აგრეთვე სახალხო კრების დადგენილებათა დამტკიცება.

მასვე ექვემდებარებოდა კულტის მიმართ უმაღლესი მეთვალყურეობა. თავდაპირველად სენატორების დანიშვნის უფლება მეფეებს ეკუთვნოდათ, რესპუბლიკის დროს — კონსულებს, ხოლო IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეს უფლება ცენზორებს გადაეცათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სენატის შემადგენლობაში მხოლოდ პატრიციები შედიოდნენ და, ამას გარდა, დიდი თანამდებობის პირებს მხოლოდ პატრიციებიდან ირჩევდნენ. ეს გარემოება სრულ უფლებას გვაძლევს, რომის ადრინდელ რესპუბლიკას ისეთი არისტოკრატიული ხასიათის სახელმწიფო ეუწოდოთ, რომელიც ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ პატრიციების სრულუფლებიანი გაბატონებული წოდება და არასრულუფლებიანი შედარებით მრავალრიცხოვანი პლებსი.

2. რომის ადრინდელი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა: ბალეების შემოსევა

ეტრუსკების ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში რომი საგრძნობლად დასუსტდა და ლაციუმის უმეტესმა ნაწილმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. განახლდა ლატინების რვა ქალაქის: ტუსკულუმის, არიციას, არდეას, ლანუვიუმის, ლაურენტუმის, კორას, პომეციუმისა და ტიბურიუმის ფედერაცია. მას ტუსკულუმი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მისი სარწმუნოებრივი ცენტრი დიანას საკურთხეველი იყო არიციაში. ამიტომ ის არიციის ფედერაციის სახელითაა ცნობილი. ამ ფედერაციასთან მოუხდა ბრძოლა რომს. ტრადიციის მიხედვით რეგილუსის ტბასთან 496 წელს რომაელებმა ლატინები დაამარცხეს, მაგრამ ორივე მხარე იძულებული იყო 493 წელს ურთიერთშორის სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედოთ. ტრადიცია მის ინიციატორად კონსულს სპურიუს კასიუსს გვისახელებს. ამ ხელშეკრულების ტექსტიდან, რომელიც დიონისე ჰალიკარნასელმა შემოგვინახა ჩანს, რომ რომი თანასწორუფლებიან და არა გაბატონებულ მხარედ იყო მიჩნეული და, შესაძლოა, ლატინთა ფედერაციაში შეიდა.

486 წელს კავშირს შეუერთდნენ ჰერნიკები, რომლებიც ვოლსკებსა და ექვებს შორის მდინარე ტრერუსის ხეობაში ბინადრობდნენ. მაგრამ საჭმეს ართულებდნენ რომაელებისა და ლატინების საერთო მტრები — ექვები და ვოლსკები. ლატინებსა და რომაელებს შორის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ვოლსკებმა დაიკავეს უკვე ლატინთა ფედერაციაში შემავალი კორა და პომეციუმი. რომაულ წყაროებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ექვებსა და ვოლსკებთან ბრძოლა. ვოლსკების თავდასხმამ რომამდეც კი მიაღწია.

ვოლსკებისა და ექვების წინააღმდეგ ბრძოლების პარალელურად

მიმდინარეობდა პერიოდული ფრიად ხანგრძლივი ომი რომის მთავარ მოწინააღმდეგე ეტრუსკულ ქალაქ ვეისთან, რომელიც რომიდან ჩრდილოეთით 18 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა, და მის მოკავშირე ფიდენესთან. პირველი ორი ომის გარშემო მრავალი ლეგენდა არსებობს, რომელთა ისტორიული საფუძვლის დადგენა ფრიად ძნელი საქმეა.

შედარებით უფრო სარწმუნო მოჩანს მესამე ომის (406—396 წწ.) მსვლელობა და შედეგები: კონსულ მარკოს კამილუსის მეთაურობით რომაელებმა მოახერხეს ვეის აღება, ქალაქი გაანადგურეს, მცხოვრებლები მონებად აქციეს და რომის ტერიტორიას ვეის მხარე შემოუერთეს. ამრიგად, რომაელები მტკიცედ დამკვიდრდნენ ტიბრის მარჯვენა ნაპირას და თითქმის ორჯერ გაადიდეს თავიანთი ტერიტორია. და სწორედ იმ დროს, როცა რომი მსხვილი სახელმწიფო გახდა და მის წინააღმდეგ შექმნილი არასასიკეთო ვითარება მის სასარგებლოდ შეიცვალა, მას თავს დაატყდა ისეთი საშინელი ქარიშხალი გალების შემოსევის სახით, რომელმაც ის კინაღამ აღგავა დედამიწის პირიდან.

თავის ადგილას უკვე ვთქვით, რომ ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს გალებმა (კელტებმა) გადმოლახეს ალპები და მდინარე პადუსის ხეობაში დასახლდნენ. IV საუკუნის დამდეგს გალების ერთმა ტომმა ბრენის წინამძღოლობით გადმოლახა აპენინის მთები და ეტრურიას შეესია.

გალების თავდასხმას ძველადვე მიუპყრია მწერლების ფართო ყურადღება. მოკლე ცნობა ამის შესახებ შემოგვინახა ძვ. წ. II საუკუნის ბერძენმა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა და უფრო ვრცლად კი — დიოდორე სიცილიელმა, რომლის თხრობაში მოჩანს პოეტური გადამუშაკების კვალი. ტრადიციის მესამე საფეხური შემონახულია ლივიუსის ისტორიაში, პლუტარქეს მიერ შედგენილი ომის მთავარი გმირის მარკოზ ფურიუს კამილის ბიოგრაფიაში და დიონისეს, აპიანესა (ჩვ. წ. II ს.) და დიონ კასიუსის (155—235 წწ.) ეფსცერპტებში.

გალებმა ალყა შემოარტყეს. კლუზიუმს და არბეევდნენ ქალაქის გარშემო მდებარე მიწებს. კლუზიუმის ხელისუფლებმა დახმარებისათვის რომს მიმართეს. ტრადიციის თანახმად. რომაელებმა წარგზავნეს მოციქულები — წარჩინებული გვარის, ფაბიუსების წევრები და დაავალეს მათ მოეთხოვათ გალებისაგან, რომ ნუ ესხმიან თავს ხალხს, რომელსაც მათთვის არა დაუშავებია რა. მაგრამ მოციქულებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. მეორე დღეს კლუზიუმელებსა და გალებს შორის შეტაკება მოხდა. რომაელმა მოციქულებმა დაარღვიეს ომის ადათი და ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს. ერთმა მოციქულთაგანმა გალების ერთ-ერთი წინამძღოლთაგანიც კი მოკლა. გალებმა ომი შეწყვიტეს და რომაელებს დამნაშავე პირის გაცემა მოსთხოვეს. მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ გალებმა რომზე გაილაშქრეს.

ძვ. წ. 390 წლის ზაფხულში გალებმა რომიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ტიბრის შენაკად ალიასთან გაანადგურეს რომაელების ჯარი. გალები ქალაქში შეიჭრნენ. დაიწყო ქალაქის საერთო რბევა და განადგურება. გაძარცვის შემდეგ გალებმა რომი დაწვეს. ამის შემდეგ ისინი შეეცადნენ კაპიტოლიუმის იერიშით აღებას, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მას ალყა შემოარტყეს და ამ გზით ცდილობდნენ მის დაკავებას. კაპიტოლიუმის გარემოცვა გაგრძელდა. ეს მძიმე იყო კაპიტოლიუმზე გამაგრებული რომაელი მეომრებისათვის, მაგრამ არც გალების მდგომარეობა იყო სახარბიელო. ამასთან, გალებმა ცნობა მიიღეს, რომ მათ ქვეყანას ვენეტები შეესივნენ. ასეთი ვითარების გამო გალები დასთანხმდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ, სამაგიეროდ, რომაელებისაგან ოქროთი 1000 გირვანქას მიიღებდნენ. ლეგენდა გვიამბობს, რომ როცა ოქროს წონიდნენ, რომაელებმა შენიშნეს, რომ გალების სასწორი ტყუოდა, მაშინ გალების მეთაურმა — ბრენმა სასწორზე თავისი მახვილი დადო და წამოიძახა: „ვაი დამარცხებულებს!“ ამ დროს გამოჩნდა ვეიში თავმოყრილი გაწვრთნილი რომაელი ჯარი დიქტატორ მარკოზ კამილიუსის მეთაურობით. მოხდა ბრძოლა, რომელშიც გალები დამარცხდნენ და გაძევებულ იქნენ რომიდან.

მთელი მოთხრობა გალების შემოსევის შესახებ მდიდრად არის ლეგენდებით შემკული. მათში ნამდვილ ამბად უნდა მივიჩნიოთ ბრძოლა ალიასთან. გალების მიერ კაპიტოლიუმის ხანგრძლივი გარემოცვა და მათი წასვლა მდიდარი გამოსასყიდის მიღების შემდეგ.

გალების შემოსევის კატასტროფულმა სასიათმა დიდი გავლენა იქონია რომის საერთო მდგომარეობაზე. მისი დასუსტებით გათამამებული მეზობლები ყოველი მხრიდან უტევდნენ მას. რომს ებრძვიან ეკვები, ვოლსკები, ეტრუსკები. მას განუდგნენ ლატინთა მოკავშირეები და ჰერნიკები. ლატინთა ზოგიერთი ქალაქი, რომლის ჯარი ნაწილობრივ გალების მოქირავნეთაგან შედგებოდა, ვოლსკებს უწევს დახმარებას და თავს ესხმის რომის ტერიტორიას, მაგრამ რომმა შეძლო გამკლავებოდა მოპირდაპირეებს და თავისი მდგომარეობა ისევ განმტკიცებინა. 360 წელს გალებმა კვლავ სცადეს შემოსევა. ამ ახალმა საფრთხემ ხელი შეუწყო ლატინთა კავშირის განახლებასა და განმტკიცებას და გალები უკუაქციეს. 348 წელს გალებმა გაიმეორეს თავიანთი ცდები, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ხოლო 334 წელს ისინი იძულებული გახდნენ რომაელებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაედოთ, რითაც მათსა და რომაელებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და კეთილმეზობლური დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო.

348 წელს რომაელებს სავაჭრო ხელშეკრულება დაუდვიათ კარ-

თაგენთან. თუ ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ დროს რომაელებისა და ლატინების ეაჭრობა მნიშვნელოვნად გაფართოებულა. მდიდარი ტყეები, განსაკუთრებით ცირცეასთან, ლატინებს გემთმშენებლობის საუკეთესო მასალას აწვდიდა და ლატინთა სანაპირო ქალაქებს შეეძლოთ გაცხოველებულ მეზღვაურობას შედგომოდნენ. კართაგენთან ხელშეკრულების დადებამდე, 354 წელს, რომაელებს კავშირი შეუკრავთ სამნიტებთან. სავარაუდოა, რომ ეს კავშირი პირველ რიგში გალების წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს კავშირი სხვა მხრივაც უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი. საქმე იმაშია, რომ სამნიტები მაშინ უძლიერეს ტომს წარმოადგენდნენ სამხრეთ იტალიაში და მათი მეომრები სიმამაცით გამოირჩეოდნენ. ამ ორ ძლიერ ხალხს შორის დადებული კავშირი საფუძველი გახდა მეზობლების მიმართ მათი გადამწყვეტი უპირატესობისა. ამ დროს რომაელებმა ვოლსკები მთლიანად დაიმორჩილეს. ახლა რომმა შეძლო სხვაგვარი პოზიცია დაეკავებინა ლატინთა ქალაქების მიმართაც. 338 წელს მან დაშალა მათი კავშირი და აღიარებულ იქნა ლაციუმის მთავარ ქალაქად. ამრიგად, ცენტრალურ იტალიაში რომი უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა.

მეორე მხრივ, განცდილმა საშინელმა კატასტროფამ და მის შემდეგ წარმოქმნილმა მდგომარეობამ აიძულა რომაელები განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სამხედრო საქმისათვის. პირველ რიგში საჭირო იყო თავდაცვითი სისტემის გაუმჯობესება და რომს შემოავლეს მაგარი კედლები, რომელთა ნაშთებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. ამას გარდა, ალიასთან დამარცხებამ რომაელი მეომრების შეიარაღებისა და ტაქტიკის სისუსტე გამოამჟღავნა. ამიტომ რომაელებმა დიდი ყურადღება მიაპყრეს ჯარის ორგანიზაციას. რომაელების ჯარი სახალხო ლაშქარს წარმოადგენდა; მასში იწვევდნენ მოქალაქეებს, რომელთაც 17 წელი შეუსრულდათ. ყველა რომაელი, რასაკვირველია, მონების გამოკლებით, ვალდებული იყო სამხედრო მოვალეობა შეესრულებინა. სამხედრო ბეგარის თავიდან აცილება სასტიკად ისჯებოდა. რესპუბლიკის ადრინდელ პერიოდში მეომრებს იწვევდნენ ჯარში სენატისა და კონსულების განკარგულებით მხოლოდ ომის საფრთხის შემთხვევაში, ხოლო როცა საფრთხე გაივლიდა, ისინი თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ. ეს მდგომარეობა შეიცვალა IV საუკუნეში, როცა ომი უკვე თითქმის მუდმივად მძვინვარებდა და ჯარიც მუდმივ მზად ჰყავდათ. ამას გარდა, თუ წინათ ყოველ მეომარს თვითონ უნდა ეზრუნა შეიარაღებასა და თავის გამოკვებაზე, V საუკუნის ბოლოს გატარდა რეფორმა, რომელსაც მარკოზ კამილიუსს მიაწერენ და რომლის თანახმად მეომრებს ეძლეოდათ ხელფასი, სახაზინო საპურველი და სურსათი. მოხდა ცვლილება რომაელების ჯარის დაწყობა-

შიც. რომაელი ჯარი ლეგიონებად იყოფოდა, ხოლო ლეგიონები 30 ტაქტიკურ ერთეულად — მანიპულებად და მანიპულები ორ ცენტურიად. ლეგიონი ეწყობოდა უკვე მეომართა ასაკისა და გამოცდილების მიხედვით სამ საბრძოლო ხაზად: პირველ ხაზზე იდგნენ ახალგაზრდა მეომრები, ეგრეთ წოდებული ჰასტატები, მეორეზე—უფრო გამოცდილი მეომრები პრინციპები და მესამეზე — ვეტერანები — ტრიარები.

ჯარის მთავარსარდლად ითვლებოდნენ კონსულები, ხოლო მათს თანაშემწეებად ლეგატები და ლეგიონების მეთაურები— სამხედრო ტრიბუნები. სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული საფრთხის შემთხვევაში უმაღლესი სარდლობა დიქტატორს გადაეცემოდა.

რომაელების ჯარში მკაცრი დისციპლინა სუფევდა. წესრიგი და მორჩილება სავალდებულო იყო და მათი დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა. ომ შემთხვევაში, თუ რომელიმე რაზმი ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა, ტარდებოდა დეციმაცია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ რაზმს დაუწყობდნენ და ყოველ მეათეს სიკვდილით დასჯიდნენ.

ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისათვის მეომრები სხვადასხვა ჯილდოს იღებდნენ, განსაკუთრებით სანუკვარი იყო დაფნის გვირგვინის მიღება.

სარღალს, რომელმაც ომში გამარჯვება მოიპოვა, იმპერატორის ტიტულს ანიჭებდნენ და ტრიუმფს უწყობდნენ.

რომაელების ჯარში შემოღებული იყო შორსმსროლელი სატყორცნი აპარატები და საინჟინრო საქმეც მნიშვნელოვნად ვითარდებოდა.

ასეთი იყო ზოგადად რომაელების სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ერთ-ერთი პირობა შეიქნა მათი იშვიათი სამომარი წარმატებისა და იტალიელ ხალხებზე გამარჯვებისა.

თავი მეოთხე

ბრძოლა პატრიციებსა და პლებეებს შორის და რომის ზიერ იტალიის დაპყრობა

1. პლებეების პირველი სეცესიო და ტრიბუნატის დაარსება

სერვიუს ტულიუსის რეფორმის შემდეგ პლებეების ბრძოლა პატრიციებთან უფლებრივი გათანაბრებისათვის უფრო გამწვაებულად მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის ერთ მომენტს წარმოადგენს პლებეების პირველი სეცესიო (პლებეების რომიდან წასვლა).

ისტორიული ტრადიცია ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: პლებეების მდგომარეობა აუტანელი იყო სავალო კაბალის გამო და ისინი დიდად ღელავდნენ. რომს ამ დროს ომი ჰქონდა ეოლსკებთან და ეკვებთან. გამწვაებული მდგომარეობის გამო პატრიციებმა პირობა დადეს, რომ გააუმჯობესებდნენ მოვალეთა მდგომარეობას. მაგრამ ყველა დაპირება მალე დავიწყეს. ამიტომ პლებეების მეომრებმა უარი განაცხადეს ეკვების წინააღმდეგ გალაშქრებაზე და წავიდნენ რომის მახლობლად — საღვთო მთაზე. აქ მათ ბანაკი გამართეს და რამდენიმე დღის განმავლობაში მშვიდად იყვნენ. ასეთმა თავისებურმა გაფიცვამ დიდი შეშფოთება გამოიწვია რომში და პატრიციები იძულებული გახდნენ მოციქულად წარეგზავნათ ვინმე მენენიუს აგრიპა, რომელიც თითქოს პლებეებში პოპულარულ პირად ითვლებოდა. აგრიპას ვითომც გავლენა მოუხდენია პლებეებზე იმით, რომ მათი ამბოხება ადამიანის სხეულის იმ ცალკეულ ნაწილებთან შეუდარებია, რომელთაც კუჭისათვის საკმლის მიწოდებაზე უარი განუცხადებიათ, და ამის შედეგად უკიდურესობამდე გაძვალტყავებულან. ტიტე ლივიუსი გვარწმუნებს, რომ აგრიპას ამ მაგალითმა შეცვალა პლებეების განწყობილება და შერიგდნენ. ყოველ შემთხვევაში პატრიციები დათმობის გზას დადგომიან და დათანხმებულან სახალხო ტრიბუნების სპეციალური მაგისტრატურა დაეწესებინათ. სახალხო ტრიბუნები მმართველობის არც ერთ დარგს არ განაგებდნენ და მათ მთავარ მოვალეობას პატრიციელი მაგისტრატების თვითნებობისაგან პლებეების დაცვა და დახმარება შეადგენდა. მათ შეეძლოთ, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, შეეჩერებინათ ამ მაგისტრატების განკარგულებათა სისრუ-

ლეში მოყვანა და ამიტომ სარგებლობდნენ ვეტოს უფლებით (ვკრძალავ). ტრიბუნები აღჭურვილი იყვნენ პირადი ხელშეუხებლობის პრივილეგიით. მაგ მხოლოდ პლებეების წრიდან ირჩევდნენ ჯერ ორს, მერე კი მათი რიცხვი ათამდე გადიდდა.

ტრადიციის თანახმად, ტრიბუნების დამხმარედ ირჩევდნენ ორ პლებეელ ედილს (წარმოქმნილია სიტყვისაგან შენობა, ტაძარი). ისინი მიწათმოქმედების ღვთაებათა — ცერერას, ლიბერისა და ლიბერას პლებეური ტაძრის ზედამხედველად ითვლებოდნენ. ამ ტაძარში კი პლებეების არქივი ინახებოდა.

492 წელს რომში დიდი შიმშილობა დაწყებულა და მოსახლეობისათვის სიცილიიდან მიღებული პურის დარიგებისას ლეგენდებში ცნობილ მარციუს კორიოლანს პლებეებისათვის პურის მიცემა მათ მიერ ტრიბუნატზე უარის თქმით განუსაზღვრავს.

ისტორიულ ტრადიციაში არა ერთი, არამედ სამი სეცესიოა მოხსენიებული. მაგრამ ტრადიციის მონაცემები საშუალებას არ გვაძლევს ამ საკითხის სარწმუნოდ გამორკვევას. უფრო მისაღებად ჩრის მიჩნეული ტრიბუნატის წარმოქმნა 471 წლით დავათარიღოთ.

მეორე მხრივ, ისტორიული ტრადიცია გვარწმუნებს, რომ 436 წელს კონსულმა, ცნობილმა სარდალმა სპურიუს კასიუსმა სცადა გაეტარებინა პირველი აგრარული კანონი, რომლის თანახმად ჰერნიკებისაგან ჩამორთმეული მიწების ნახევარი და სახელმწიფო მიწების ნაწილი პლებეებს შორის უნდა გაენაწილებინათ. მაგრამ მის წინააღმდეგ გამოსულა მეორე კონსული და რეფორმის გატარება შეუძლებელი გამხდარა. შემდგომში კასიუსს ბრალი დადეს ტირანიისაღმი მისწრაფებაში და სიკვდილით დასჯეს.

ძვ. წ. 456 წელს სახალხო ტრიბუნს — იცილიუსს გაუტარებია კანონი, რომლის თანახმად მიწები ავენტინზე უღარიბეს პლებეებისათვის დაურიგებიათ. ცოტა უფრო გვიან მიუღიათ სპერიუს ტარპეიუსისა და ავლე ატერნიუსის კანონი, რომლითაც შეუზღუდავთ კონსულების უფლება სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დაჯარიმებისა.

2. XII დაფის კანონები

ძვ. წ. V საუკუნის ნახევრიდან ჩვენამდე მოაღწია სარწმუნო ცნობამ, რომელიც მოქმედი სამართლის ჩაწერას გადმოგვცემს. როგორც საბერძნეთში დემოსი, ისე რომში პლებსი სამართლის წარმოების მხრივ დიდ ძალადობას განიცდიდა და ბუნებრივად წარმოიქმნა კანონთა კოდიფიკაციის მოთხოვნა. ეს მით უფრო გასაგებია, რომ წინათ წერილობით აღბეჭდილი კანონდებულება არ არსებობდა და ეგრეთ წოდებული „სამეფო კანონები“, რომელთაც რომის მეფეებს

მიაწერდნენ, უაღრესად საეჭვოდ იყო მიჩნეული. 451 წელს არჩეულ იქნა სპეციალური კომისია ათი კაცის შემადგენლობით ადგილობრივი სამართლის ჩასაწერად (დეცემვირი). კომისიას, რომელიც შედგებოდა გამოჩენილი პატრიციებისაგან, აპიუს კლავდიუსის მეთაურობით, ფრიად ფართო რწმუნებულება ჰქონდა მინიჭებული და იმ წელს არც კონსულები და არც სახალხო ტრიბუნები არჩეული არ იყვნენ. კომისიის თითოეული წევრი თანაბარი უფლებით იყო აღჭურვილი და ჰქონდათ პროტესტის უფლება სხვა წევრების მოქმედების მიმართ.

შეჩერებულ იქნა აგრეთვე აპელაციის — პროვოკაციის უფლება, რომლის ძალით ყოველ მოქალაქეს შეეძლო მიემართა სახალხო კრებისათვის საჩივრით მაგისტრატის უსამართლო განაჩენზე.

პირველმა კომისიამ დაკისრებული მოვალეობა ბოლომდე ვერ შეასრულა და 450 წლისათვის არჩეულ იქნა ახალი კომისია, რომელიც შედგებოდა 5 პატრიციისა და 5 პლებეისაგან. ტრადიცია ამ ახალ დეცემვირატს მიაწერს ძალმომრეობით მოქმედებათა მთელ რიგს. მისი წევრები თვითნებობდნენ, მკვლელობასა და მოქალაქეთა ქონების კონფისკაციას მიმართავდნენ. დადგა 449 წელი, მაგრამ ისინი არც კი ფიქრობდნენ ხელი აეღოთ თავიანთ უფლებამოსილებაზე.

ტრადიციის მიხედვით, მეორე დეცემვირატის თავაშვებული მოქმედებით აღშფოთებული პლებეები ჯერ ავენტინზე გადავიდნენ, შემდეგ კი ცოლ-შვილით საღვთო მთაზე გაიხიზნენ, ასეთი გამწვავებული მდგომარეობის გამო, მეორე დეცემვირატი დაშლილა, კვლავ აღდგა მაგისტრატურის წინანდელი ფორმა და პროვოკაციის უფლება. 449 წელს არჩეული ორი პრეტორის — ლუციუს ვალერიუსისა და მარკოზ ჰორაციუსის მიერ მიღებული ლონისძიებებით მოპირდაპირე წოდებათა შორის მშვიდობიანობა დამყარდა. მათვე დაამთავრეს დეცემვირების მიერ დაწყებული კოდიფიკაცია. დამტკიცებული კანონები სპილენძის თორმეტ დაფაზე ამოკვეთეს და ფორუმზე გამოდგეს. XII დაფის კანონებს ჩვენამდე არ მოულწევია. მათ ვეცნობით გვიანდელი მწერლების ციტატებისა და უმთავრესად ჩვ. წ. II საუკუნის რომაელი იურისტის გაიუსის თხზულებების მეშვეობით. ციტატებში შემონახული კანონების ენის არქაიზმი და ის პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მათში გამოისახება, მათს სიძველეს გვიდასტურებს. XII დაფის კანონები განისაზღვრება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით. არსებითად ეს კანონები ადათობრივი სამართლის ფიქსაციას წარმოადგენდა. მაგრამ ტიტე ლივიუსის საფუძვლიანი თქმით, ისინი რომაული სამართლის ძირითად წყაროს შეადგენდნენ. ეს კანონები განსაკუთრებული სიმკაცრით იცავენ

კერძო საკუთრებას. ის, ვინც ღამით საქონელს მოაძოვებდა, თუ მომკიდა ეუთნით დახნულ სხვის ყანას, ქვესკნელის ღმერთების მსხვერპლი ხდებოდა და სიკვდილით ისჯებოდა. ასეთივე სასჯელი მოელოდა ცეკლწამკიდებელსა და იმას, ვინც ღამით ქურდობდა. ხოლო დღისით ქურდობა დიდი ჯარიმით გამოისყიდებოდა.

XII დაფის კანონებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მიკუთვნებული სასტიკ სავალო უფლებას, რომელიც მეტად აღელვებდა პლებეებს. მაგ. შემდეგ რაც მოვალე თავის ვალს ცნობდა ან სასამართლო მიუსჯიდა, მას ეძლეოდა შეღავათი 30 დღის განმავლობაში ვალის დასაფარავად. ამ ვადის გასვლის შემდეგ მომჩივანს იგი სასამართლოში მიჰყავდა. თუ მოვალე სასამართლოს დადგენილებას ვერ შეასრულებდა ან არ გაუჩნდებოდა ისეთი პირი, რომელიც თავდებად დაუდგებოდა. კრედიტორს იგი თავის სახლში მიჰყავდა, სადაც ის ბორკილდადებული 60 დღეს დაჰყოფდა. ამ ხანის განმავლობაში კრედიტორს ის სამჯერ ზედიზედ გაჰყავდა მოედანზე პრეტორთან და აცხადებდა მასზე ნასესხილ თანხას. ამის შემდეგ, მას შეეძლო მოეკლა ურჩი მოვალე ან „ტიბრს იქით" გაეყიდა. მაგრამ ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კანონით მევახშეობა ერთგვარად შეზღუდული იყო ინვინ, რომ მაქსიმალური წლიური პროცენტი 8 1/3-ით ისაზღვრებოდა.

XII დაფის კანონები გვარწმუნებს, რომ რომში V საუკუნის პირველ ნახევარში უდავოდ არსებობდა არა მარტო მოძრავი ქონების, არამედ მიწის მტკიცე კერძო საკუთრებაც. შეიძლებოდა საკუთრების გასხვისებაც ეგრეთ წოდებული მანიციპაციის გზით. რაც განსაკუთრებული წესის შესრულებაში გამოიხატებოდა: ამ პროცესს აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ გამსხვისებელი და შემძენი, მოწმეებიანი ექვსი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელთაგან მეექვსეს ხელში ბრინჯაოს სასწორი უნდა ჰქონოდა. ალიარებული იყო აგრეთვე ქონების მემკვიდრეობით ან ანდერძით გადაცემის სრული უფლება. თუ ორვაელი მოქალაქე ისე მოკვდებოდა, რომ ანდერძს არ დატოვებდა, ამ ქონებას ეპატრონებოდნენ მისი მემკვიდრეები. მაგრამ თუ მემკვიდრეები არ არსებობდნენ, მიცვალებულის ქონება მახლობელი აგნატების ხელში გადადიოდა.

აღსანიშნავია, რომ კანონებში მოხსენიებული არ არის მიწის საერო სახელმწიფოებრივი საკუთრება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ეს ქონებლობა არ შეეხებოდა. კანონები ეხებოდა აგრეთვე ოჯახის წევრთა ურთიერთობას. ოჯახის მამა შეუზღუდავი უფლებით იყო აღჭურვილი: მას შეეძლო მონებად გაეყიდა თავისი შვილები: ვაჟის მონად ყიდვა მას სამჯერ შეეძლო, ხოლო თუ ამის შემდეგაც გაინთავისუფლებდა თავს მონობისაგან, მამა მასზე ყოველგვარ უფლებას

კარგავდა. ქალიშვილს კი არავითარი უფლება არ ჰქონდა ოჯახში. ქალაში დარჩა აგრეთვე პატრიციებსა და პლებეებს შორის ქორწინების აკრძალვა.

XII დაფის კანონები აუცილებლად გულისხმობდა დამნაშავის სასამართლოში გამოცხადების ვალდებულებას. ისინი ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „თუ სასამართლოში უხმობენ, უნდა მივიდეს“. ამასთან ერთად, სავალდებულოდ იყო მიჩნეული სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება და სიკვდილით ისჯებოდა ის მსაჯული, თუ შუამავალი, ვინც ქრთამის აღებაში იქნებოდა მხილებული.

ასეთი იყო ზოგადად XII დაფის კანონების შინაარსი, რამდენადაც შეგვიძლია მისი გათვალისწინება შემონახული ცნობებით. რა თქმა უნდა, ასეთი კოდიფიკაცია პლებეებს ვერ დააკმაყოფილებდა და ამიტომ მათი ბრძოლა უფლებებისათვის კვლავ მწვავედ მიმდინარეობდა.

ისტორიული ტრადიციის თანახმად, 449 წელს პრეტორებმა ლუციუს ვალერიუსმა და მარკოზ ჰორაციუსმა გაატარეს სამი კანონი. პირველით საერთო სავალდებულო კანონის ძალა მიენიჭა იმ დადგენილებებს, რომლებიც პლებეებს გამოჰქონდათ თავიანთ კრებებზე ტრიბების მიხედვით. ამ დადგენილებებს პლებისციტები ეწოდებოდა. ასეთმა წესმა აიძულა პატრიციები, მათაც მიეღოთ მონაწილეობა ტრიბების კრებებში და ამრიგად წარმოიქმნა სახალხო კრების ახალი, უფრო დემოკრატიული ფორმა — ტრიბუტული კომიციები.

მეორე კანონით აღდგენილ იქნა დეცემვირატის დროს გაუქმებული, სახალხო კრების მიერ მოქალაქეთა აპელაციის (პროვოკაციის) უფლება სიკვდილით დასჯისა თუ გაროზგვის განაჩენის შემთხვევაში.

მესამე კანონი მტკიცედ ადასტურებდა სახალხო ტრიბუნების ხელშეუხებლობას. სასტიკად ისჯებოდა ის პირი, ვინც სახალხო ტრიბუნს შეურაცხყოფას მიაყენებდა. შემდეგ ამ ორ კანონს დაემატა სახალხო ტრიბუნის დ უ ი ლ ი უ ს ი ს მიერ გატარებული დადგენილება, რომელიც მკაცრი სასჯელით ემუქრებოდა იმათ, ვინც პლებეებს უტრიბუნოდ დატოვებდა და მაგისტრატს აპელაციის უფლების გარეშე აირჩევდა.

445 წელს სახალხო ტრიბუნმა კანულეუსმა გაატარა კანონი, რითაც პატრიციებსა და პლებეებს შორის ქორწინების აკრძალვა გაუქმდა და პლებეებზე გავრცელდა „ქორწინების უფლება“. მანვე შეიტანა კანონპროექტი პლებეებისათვის უმაღლეს მაგისტრატად — პრეტორად არჩევის უფლების მინიჭების შესახებ. ხოლო პატრიციებმა ამას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ბოლოს საქმე ერთგვარი კომპრომისით დამთავრდა: 444 წლიდან იწყეს არჩევა სამხედრო ტრიბუნებისა კონსულარული (კოლეგიალური) ხელისუფლებით.

მათ კოლეგიას, სენატის დადგენილებით, შეეძლო პრეტორები შეენაცვლებინა. სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა კი პლებეებისათვის მისაწვდომი იყო.

ამ დათმობის ასანაზღაურებლად პატრიციებმა მოახერხეს, რომ 443 წელს პრეტორის უფლებამოსილებიდან გამოეყოთ ცენზის გატარების ფუნქციები და გადაეცათ ორი ცენზორის სპეციალურად შექმნილი პატრიციული თანამდებობისათვის. მათი უფლებების თავდაპირველი მოცულობა გარკვეული არ არის, მაგრამ შემდგომ დროში ცენზურა სახელმწიფოს ერთ ფრიად მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენდა: ცენზორები ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს ქონების მიხედვით, განაგებდნენ სახელმწიფო ქონებას, ავსებდნენ სენატს და რიცხავდნენ მის შემადგენლობიდან ზოგიერთ წევრს, თვალყურს ადევნებდნენ ხალხის ყოფა-ცხოვრებას და სხვ.

V საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დამდეგს წოდებრივი ბრძოლა რომში შედარებით დაცხრა დაჭიმული სამხედრო ვითარების ზეგავლენით.

3. ლიციინიუსისა და სექსტიუსის კანონები

რომში კვლავ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა აგრარულ საკითხს. ვეის განადგურების შემდეგ მის ადგილას დაარსდა 4 სასოფლო ტრიბი, ხოლო 357 წელს ვოლსკების ტერიტორიაზე — ორი სასოფლო ტრიბი. რაც უფრო მეტად დიდდებოდა დაპყრობილი მიწების ფართობი, მით უფრო ფართოვდებოდა მიწის საკუთრების კონცენტრაცია. მიწის მსხვილი მესაკუთრეები კი უმეტესად კვლავ პატრიციები იყვნენ. მიწის საკუთრების კონცენტრაციას აუცილებლად თან სდევდა თავისუფალ მიწათმოქმედთა გაჩანაგება, დავალიანება და კაბალური მონობის ზრდა. ყოველივე ეს კი კვლავ აღრმავებდა ბრძოლას პატრიციებსა და პლებეებს შორის.

ტრადიციის თანახმად, IV საუკუნის პირველ ნახევარში ორმა სახალხო ტრიბუნმა—გაიუს ლიცინიუს სტოლომ და ლიციუს სექსტიუს ლატერანუსმა სახალხო კრებაზე დასამტკიცებლად შეიტანეს სამი კანონპროექტი, რომელთა მიზანი იყო ყველა იმ საკითხის გადაჭრა, რის ვარშემოც მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ბრძოლა. ეს საკითხები, ზოგადად შეიცავდა როგორც აგრარული და სავალო ურთიერთობის, ისე პოლიტიკური ხელისუფლების პრობლემებს. ზემოხსენებული ტრიბუნები ათი წელი იბრძოდნენ წარდგენილი კანონპროექტების განსახორციელებლად. პატრიციები მათ ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს და ამიტომაც ისინი იძულებული იყვნენ კომიციების დადგენილებისადმი თავიანთი ვეტო გამოეყენებინათ და რამდენიმე წლის

განმავლობაში მაგისტრატები არ აურჩევიათ. ბოლოს ეს წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა და 367 წელს წარდგენილმა პროექტებმა კანონის ხასიათი მიიღო.

პირველი კანონით, მოვალის მიერ გადახდილი პროცენტები მისი ძირითადი ვალის ანგარიშში ირიცხებოდა, ხოლო დარჩენილი თანხის გასტუმრება სამი წლის განმავლობაში შეიძლებოდა. ეს დავალიანებული ადამიანების მდგომარეობის მნიშვნელოვანი შემსუბუქება იყო. ხოლო აქვე უნდა დავუმატოთ, რომ 326 წელს ეგრეთ წოდებული „პეტელიუსისა და პაპირიუსის კანონით" მოვალე პასუხს აგებდა უკვე არა სხეულით, არამედ ქონებით, დაკაბალებულები განთავისუფლდნენ და ვალებისათვის მონებად გაყიდვა სამუდამოდ აიკრძალა. ყოველივე ეს მოგვაგონებს სოლონის სეისახთეიას.

მეორე კანონი გარკვეული ნორმით განსაზღვრავდა მიწის სახელმწიფო ფონდის ოკუპაციის უფლებას: არავის არ ჰქონდა უფლება დაეკავებინათ ამ ფონდიდან 500 იუგერზე (125 ჰექტ) მეტი მიწა და გაეშვა საძოვრად სათემო საბალახოებზე მსხვილი საქონელი 100 და წვრილი საქონელი 500 სულზე მეტი. საყურადღებოა, რომ თვით ამ კანონის ერთ-ერთ ავტორს — ლიცინიუსს ოკუპაციის ნორმის დარღვევისათვის დიდი ჯარიმა გადაახდევინეს.

მესამე კანონით გაუქმდა სამხედრო ტრიბუნების თანამდებობა. ყოველწლიურად უნდა აერჩიათ ორი პრეტორი თანაბარი კონსულარული (კოლეგიალური) უფლებამოსილებით, ამიტომაც უკვე ასეთ პრეტორებს კონსულები ეწოდებოდათ. ერთი კონსული პლებეებიდან უნდა ყოფილიყო არჩეული. მართლაც, 366 წელს, პლებეების წრიდან პირველი კონსული იყო ლიცინიუსი. პატრიციები ზოგჯერ არღვევდნენ ამ წესს და ორივე კონსულს თავისი წრიდან ირჩევდნენ. ბოგრამ ეს წესი საბოლოოდ მაინც განმტკიცდა და ერთი კონსული აუცილებლად პლებეი იყო. სამოსამართლო ფუნქციები ჩამოერთვა კონსულებს და გადაეცა ყოფილ უმცროს პრეტორს, რომელსაც პატრიციებიდან ირჩევდნენ და რომელმაც თავისი სახელწოდება შეინარჩუნა.

ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონმდებლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, მან დააკმაყოფილა პლებეების შეძლებული წრეები იმით, რომ მათთვისაც მისაწვდომი გახდა სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობა; მეორე მხრივ, ვალების ნაწილობრივი კასაციით მდგომარეობა შეუმსუბუქა პლებეების ღარიბ ნაწილს და ამით თავიდან ააცილა დამონება ვალის არაგადამხდელ პლებეებს.

4. აპიუს კლავდიუსის ცენზურა; კორტენზიუსის კანონი; პატრიციებსა და პლებეებს შორის ბრძოლის დასრულება; ნობილიტეტი

რომის შემდგომი საზოგადოებრივი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 312 წელს ცენზორად არჩეულ აპიუს კლავდიუსის მოღვაწეობას. ჩვენ ვიცით, რომ ცენზორებს თავდაპირველად მხოლოდ პატრიციებიდან ირჩევდნენ წელიწადნახევრის ვადით და ეს წესი 351 წლიდან შეიცვალა, როცა ცენზორად არჩევის უფლება პლებეებსაც მიენიჭათ. მათ ფუნქციას შეიცავდა ცენზის გატარება და მოქალაქეების აღრიცხვა, მათი დანაწილება ცენტურიებსა და ტრიბებში, სენატორების სიების შედგენა და ზნე-ჩვეულების სიწმინდის მეთვალყურეობა.

აპიუს კლავდიუსი კლავდიუსების პატრიციულ გვარს ეკუთვნოდა (ის დეცემვირატის წევრის — აპიუს კლავდიუსის შვილიშვილის შვილი იყო), მაგრამ თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში პლებსის სავაჭრო-ხელოსნურ წრეებს ემყარებოდა. მან პირველმა გადაწყვიტა სენატორების სია და პატრიციული არისტოკრატიის საწინააღმდეგოდ მასში ლიბერტინების (გაანთავისუფლებულების) ზოგიერთი შვილი შეიყვანა. ამით მან, პატრიციების მხრივ, მკაცრი ოპოზიცია გამოიწვია; მისმა კოლეგამ თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა, ხოლო მეორე წელს არჩეულმა კონსულებმა არ სცნეს სენატის ახალი შემადგენლობა და ის ძველი სიით მოიწვიეს. მაგრამ კლავდიუსი ურყევად განაგრძობდა ცენზორის მოვალეობის შესრულებას, ვიდრე 308 წელს ის, კონსულად არ იქნა არჩეული. მან გაატარა კიდევ უფრო რადიკალური ღონისძიება: მოქალაქეებს, რომელთაც მიწის საკუთრება არ გააჩნდათ ნება დართო მიწერილიყვნენ არა მარტო ქალაქის, როგორც ამას წინათ ჰქონდა ადგილი, არამედ სოფლის ტრიბებისადმიც. ამით ქალაქის სავაჭრო-ხელოსნურ წრეებს საშუალება მიეცათ, გავლენა მოეხდინათ კომიციებში ხმის მიცემაზე და უფრო შეთანხმებულად დაეცვათ თავიანთი ინტერესები, მაგრამ კლავდიუსის მიერ შემოღებული წესი მხოლოდ 304 წლამდე მოქმედებდა და ახლადარჩეულმა ცენზორებმა ეს წრეები კვლავ ქალაქის ოთხ ტრიბში გადაიყვანეს.

აპიუს კლავდიუსის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე ორი დიდი ნაგებობა: 312 წელს გაიყვანეს მოკირწყლული გზა — რომიდან კაპუამდე, შემდგომში ტარენტუმსა და ბრუნდიზიუმამდე გაგრძელებული. ეს გზა „აპიუსის გზის“ სახელით იყო ცნობილი და მას დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ბრმად წოდებულის, აპიუს კლავდიუსის განკარგულებითვე აიგო პირველი წყალსადენი, რომელიც საბინური მთებიდან გემრიელ სასმელ წყალს აწვდიდა რომს. მასვე მიაწერენ ლათინური ანბანის სრულყოფას, ჰერ-

ჟულესის კულტის ზოგადრომაულად გარდაქმნას და სამართლისმცოდნეობის ფუძემდებლობას.

ამრიგად, IV საუკუნეში პლებეებმა ყველა თანამდებობის დაკავების უფლება მოიპოვეს. 300 წელს კი, სახალხო ტრიბუნების, ძმების ოგულნიუსების მიერ გატარებული კანონით, პლებეები დაშვებულ იქნენ აგრეთვე პონტიფიკებისა და ავგურების კოლეგიაში.

ტრადიციის თანახმად, პლებეების ბრძოლის უკანასკნელ ეტაპს 287 წლის ამბავი წარმოადგენს. რომში დაწყებულა ხალხის მღელვარება. შეიარაღებულ ამბოხებულთ, ტიბრის მარჯვენა ნაპირას, იანიკულის გორაკი დაუკავებიათ. ამბოხების ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სენატი დაჟინებით ცდილობდა, პლებისციტებს საერთო საკანონმდებლო ხასიათი არ მინიჭებოდათ. პლებეების მიერ დიქტატორად არჩეულ ქვინტუს ჰორტენზიუსს გაუტარებია კანონი, რომელიც იმეორებდა ძველ კანონებს პლებისციტის შესახებ და რომლის თანახმად, პლებსის დადგენილებებს ტრიბების მიხედვით — პლებისციტებს კანონის ძალა ენიჭებოდათ და აღარ საჭიროებდნენ სენატის შემდგომ მოწონებას.

287 წლის ამბები პატრიციებსა და პლებეებს შორის მიჩნეულია იმ ბრძოლის დამთავრებად, რომლის შედეგებმა რომის სახელმწიფოს სოციალურ სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები შეიტანა.

აქ ბრძოლის პროცესში პატრიციების ძველი გვარის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწყდა და, მეორე მხრივ, პლებეების წარჩინებული წრის რიცხვი გაიზარდა. ხდება პატრიციულ-პლებეური ზედა ფენების ერთიან პრივილეგიურ წოდებად — ნობილიტეტად გარდაქმნა.

პლებეების ცნება ძველი სოციალური მნიშვნელობით ადგილს უთმობს ისეთ ახალ გაგებას, რომლის მიხედვით პლებსი, საერთოდ, ქალაქსა და სოფლის მოსახლეობის ქვედა ფენებად წარმოიდგინება.

3. კამპანიის შემოერთება. ლატინური და სამნიტური ომები

ძვ. წ. IV საუკუნის შუა წლებისათვის რომმა ლაციუმში ჰეგემონის როლი მოიპოვა. უკვე მაშინ ჩაისახა რომაული პოლიტიკის ცნობილი პრინციპი: „დაანაწილე და იბატონე". ეს პოლიტიკა, პირველ რიგში, დამორჩილებული ქალაქების ტერიტორიაზე რომაელი კოლონისტების დასახლებაში გამოიხატებოდა. აქ რომაელ მოქალაქეებს აძლევდნენ მიწას სამხედრო სამსახურის პირობით. ამრიგად, რომისადმი დაქვემდებარებულ ქალაქთა ტერიტორიაზე იქმნებოდა რომაელთა სამხედრო-სამიწათმოქმედო დასახლებები.

მეორე მხრივ, რომი დებს სეპარატულ ხელშეკრულებებს იტალი-

ის ცალკეულ ქალაქებთან. დამორჩილებულ ქალაქებს კი სხვადასხვა პირობებში აყენებს, ზოგს მეტ, ზოგს ნაკლებ დამოუკიდებლობას უნარჩუნებს, რის გამოც ხელს უშლის მათ შეკავშირებასა და ერთობლივ მოქმედებას.

ძვ. წ. 354 წლიდან რომმა მოკავშირედ გაიხადა სამნიტები. სამნიტების ტომთა გაერთიანება საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობდა, ამასთან, სამნიტები კარგ მეომრებად ითვლებოდნენ. სამნიტებმა მოიწვიეს კამპანიის ტომთა ზღვის სანაპირო ადგილების ხელში ჩაგდება; კამპანიელებმა დახმარებისათვის ქ. კაპუას მიმართეს, უკანასკნელმა კი — რომს. კაპუა რომაელებს სთხოვდა მოკავშირეთა რიცხვში მიღებას და სამნიტებთან ბრძოლაში დახმარებას. რომის სენატმა კაპუისა და კამპანიის მცხოვრებნი რომაელ მოქალაქეთა რიცხვში მიიღო, და სამნიტებს მოსთხოვა კამპანიისათვის თავი დაენებებინათ. ამას მოჰყვა ე. წ. პირველი სამნიტური ომი (343—341 წწ.), რომლის შედეგად რომაელებმა შემოიმტკიცეს კამპანია და სამნიტები იძულებული გახდნენ ამას შერიგებოდნენ.

სამნიტებთან ომის შემდეგ რომის წინააღმდეგ გამოვიდა ლატინურ ქალაქთა ფედერაცია, რომელმაც მოითხოვა კავშირში შემავალ ქალაქთა თანასწორუფლებიანობა. ლატინურ ქალაქებს მიემხრნენ კაპუელები, ავრუნკებისა და ვოლსკების ტომები. როგორც ჩანს, კაპუაში ამ დროს ანტირომაულ პარტიას ეპყრო ძალაუფლება. ასე დაიწყო „დიდი ლატინური ომი“ (340—338 წწ.), რომელიც რომის გამარჯვებით დამთავრდა. ლატინური კავშირი გაუქმდა და მასში შემავალი ქალაქები ფაქტობრივად რომს დაექვემდებარა, თუმცა ზოგი მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა და ფორმალურად მოკავშირის სტატუტი ჰქონდა, ზოგი კი უშუალოდ რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა; ამ უკანასკნელთ რომაელების თანაბარი მოქალაქეობრივი უფლებები მიენიჭათ, გარდა კომიციებში ხმის უფლებისა, ე. ი. ისინი ფაქტობრივად პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ.

რომაელებსა და სამნიტებს შორის „ლატინური ომის“ დროს დადებული კავშირი მტკიცე არ აღმოჩნდა. ახალი ომის უშუალო საბაბი გახდა კამპანიაში მდებარე ძველი ბერძნული ქალაქის — ნეაპოლისის დაპყრობა რომაელთა მიერ. ნეაპოლიტელები თავს დაესხნენ კამპანიელებს და რომი დაუყოვნებლივ გამოექომაგა თავის მოკავშირეს. 327 წელს რომის ჯარმა ნეაპოლისს ალყა შემოარტყა. ბოლოს ნეაპოლისში რომის მომხრეთა პარტიამ გაიმარჯვა და ქალაქი რომს დაჰორჩილდა, თუმცა შინაგანი ავტონომია შეინარჩუნა. ახლა უკვე რომს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კამპანიაში, რაც სამნიტე-

ბისათვის არასასურველი და ამავე დროს საშიშიც იყო. მათ ნეაპოლისის დაპყრობა საბაბად გამოიყენეს და დაიწყო მ ე ო რ ე ს ა მ ნ ი ტ უ რ ი ო მ ი (326—304 წწ.). ომში წარმატება თავდაპირველად სამნიტების მხარეზე იყო; 321 წელს რომის არმიამ ორივე კონსულის მეთაურობით სრული მარცხიც კი განიცადა, მაგრამ 314 წლიდან რომაელებმა შეძლეს საომარ ოპერაციებში გარდატეხა და 304 წელს სამნიტებმა ზავი ითხოვეს. მართალია სამნიტების ფედერაცია დარჩა, მაგრამ რომაელებმა კოლონიების გასაყვანად მიიღეს ტერიტორიები სამნიუმსა და მის მეზობელ მხარეებში.

ძვ. წ. 299 წელს გალებმა შეკრეს კავშირი ეტრუსკებთან და რომს შემოუტიეს. ამით ისარგებლეს სამნიტებმა და კვლავ დამკვიდრდნენ ლუკანიაში, რომელიც ამ დროისათვის რომის მოკავშირედ, ე. ი. ფაქტობრივად ხელქვეითად ითვლებოდა: ეს გახდა საბაბი მ ე ს ა მ ე ს ა მ ნ ი ტ უ რ ი ო მ ი ს ა (298—290 წწ.). შეიქმნა საშიშროება რომის წინააღმდეგ სამნიტების, გალებისა და ეტრუსკების გაერთიანებისა, მაგრამ რომმა დაასწრო, ეტრუსკიაში შეიჭრა და აიძულა ეტრუსკული ქალაქები გალებთან კავშირს ჩამოსცილებოდნენ; ხოლო 296 წელს რომის არმიამ ჩრდილოეთ უმბრიაში, სენტინუმთან სამნიტებსა და გალებზე სრული გამარჯვება მოიპოვა. გალები გააძევეს ჩრდილოეთში, ეტრუსკებთან დაიდო საზავო ხელშეკრულება, ხოლო სამნიტები 290 წელს საბოლოოდ დამარცხდნენ და მთლიანად დამორჩილდნენ რომს; მათი მიწების დიდი ნაწილი გამარჯვებულის ხელში გადავიდა, ხოლო ქალაქები შევიდა რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში, მცხოვრებლებმა კი მიიღეს არასრული რომაული მოქალაქეობა, ე. ი. მოქალაქეობა ხმის მიცემის უფლების გარეშე. ასეთივე ბედი ეწია სამნიტების მოკავშირე საბინელებსა და პიცენუმს, რომლის ტერიტორიაზე დაარსდა რომაული კოლონია — ადრია.

გალებმა რამდენჯერმე კიდევ სცადეს რომზე თავდასხმა, მაგრამ 282 წელს ვადიმონის ტბასთან რომაელების ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ რომთან ზავი დაედოთ.

6. ომი პიროსთან და სამხრეთ იტალიის დაპყრობა

შუა იტალიის დაპყრობის შემდეგ რომის სახელმწიფო უშუალოდ დაუკავშირდა სამხრეთ იტალიის ბერძნულ ქალაქებს. უკვე იყო ნათქვამი, რომ ოდესღაც ძლიერი და გავლენიანი ადგილობრივი ბერძნული პოლისები შინაგანი და გარეგანი მოვლენების ზეგავლენით V საუკუნის ნახევრიდან უკვე დაუძლურებას განიცდიდნენ. ამ დაუძლურებით ისარგებლეს სამხრეთ იტალიელმა ტომებმა და მათ წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს. სახელგანთქმულმა მებრძოლმა ქალაქმა კუმემ

ველარ შეძლო შეტევაზე გადმოსული კამპანელი ტომების გამკლავება და 421 წელს იგი დამხობილ იქნა. IV საუკუნის დამდეგს ლუკანები დაეუფლნენ ბერძნულ პოლისებს; პოისდონიას, პინას და ლაუსს. III საუკუნეში დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს დასავლეთ სანაპიროზე ველიამ (ელეამ), რეგიუმმა და აღმოსავლეთ სანაპიროზე ცნობილმა სავაჭრო ქალაქმა ტარენტუმმა. თავის მეზობლების — ლუკანებისა და მესაპების შეტევებისაგან ტარენტუმი ბერძენ მოქირავნეთა დახმარებით იცავდა თავს.

სამხრეთ იტალიის ბერძნების ცხოვრებაში III საუკუნის ᲔᲪ-იან წლებში შემდეგი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: ტარენტუმის უბის ნაპირას მდებარე თურიუმს თავს დაესხნენ ლუკანები. თურიელებმა არ მოისურვეს დახმარებისათვის მიემართათ თავიანთ მეტოქე ტარენტიუმისათვის. ამიტომ მათ მოციქულები წარგზავნეს რომში და რომაელებს დახმარება სთხოვეს. რომაელებმა კარგად გაითვალისწინეს, თუ რა სასარგებლო იქნებოდა მათთვის თურიუმისათვის დახმარება და 282 წელს გააგზავნეს ჯარი, რომელმაც განდევნა ლუკანები და ქალაქში თავისი რაზმი ჩააყენეს. ამ გარემოებამ დიდად შეაშფოთა ქ. ტარენტუმის მმართველები და მოხდა შემდეგი ინცინდენტი: ადრიატიკის ზღვაში მიმავალი რომაელების ათი გემი გზად ტარენტუმის ნავსადგურში შეჩერდა; ტარენტუმელებმა ეს ფაქტი რომაელებთან დადებული ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნიეს, თავს დაესხნენ რომაელების ხომალდებს და ნაწილი ჩაძირეს. შემდეგ დაიკავეს თურიუმი და იქიდან რომაელების რაზმი გამოაძევეს. 280 წელს რომაელებმა ტარენტუმში მოციქულები წარგზავნეს და განმარტება მოითხოვეს, მაგრამ რომაელების მოციქულებს ტარენტუმში მტრულად შეხვდნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ამბავი შეიქმნა ომის გამოცხადების საბაბი.

ტარენტუმს თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა გააჩნდა და მასვე მიემხრნენ ლუკანები და მესაპები, მაგრამ რომაელებთან პირველ შეტაკებებშივე მისთვის ცხადი გახდა მტრის სამხედრო უპირატესობა. ამიტომ ტარენტუმმა დასახმარებლად ეპირის მეფეს პიროსს მიმართა. პიროსი თავისი დროის სახელმოხვეჭილი სარდალი იყო; მან სიამოვნებით მიიღო ტარენტუმის წინადადება, რადგან ესახებოდა გრანდიოზული გეგმა — შეექმნა დასავლეთში დიდი ბერძნული იმპერია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პიროსი გამოჩენილი სარდალი იყო, მას აკლდა ფრთხილი და დაკვირვებული პოლიტიკური მოღვაწის შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე.

280 წელს პიროსი თავისი ჯარით იტალიაში გადავიდა. მისი ჯარი კარგად გაწვრთნილი 22 ათასი ქვეითი მეომრის, 3 ათასი თესალიელი მხედრისა და 20 სპილოსაგან შედგებოდა. სპილოების ბრძოლაში გა-

ბოყენება ბერძნებმა აღმოსავლეთიდან გადმოიღეს, იტალიის სინამდვილეში კი ის სამხედრო ტექნიკის სრულ სიახლედ ითვლებოდა. პირველი შეტაკება რომაელებსა და პიროსის ჯარს შორის მოხდა ტარენტუმის უბის მახლობლად, ქ. ჰერაკლეასთან. პიროსმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რაშიც გადამწყვეტი როლი სპილოებმა და თესალიელმა ცხენოსნებმა ითამაშეს. დამარცხების შედეგად რომაელებმა დაკარგეს ლუკანია და მტრის მხარეზე გადავიდნენ ბრუტიები, ლუკანები, სამნიტები და კაპუასა და ნეაპოლისის გამოკლებით ბერძენთა ქალაქები.

პიროსმა ისარგებლა წარმოქმნილი ხელსაყრელი სიტუაციით, ლაციუმისა და რომისაკენ დაიძრა. გადმოცემის თანახმად, იგი რომს ვიუახლოვდა, მაგრამ ლატინებმა მას მხარი არ დაუჭირეს. არც რომაელები დაიბნენ. კონსულმა ვალერიუს ლევინუსმა მის ზურგს უკან ჰერაკლეასთან დამარცხებული ჯარი წესრიგში მოიყვანა და შეავსო. რომის დასახმარებლად ახალი რაზმები მოეშურებოდნენ ეტრურიიდანაც. თვითონ რომში არჩეულ იქნა დიქტატორი და ქალაქი გაფაციცებით ემზადებოდა თავდაცვისათვის. ასეთ პირობებში პიროსმა ვერ გაბედა რომზე თავდასხმა და თავისი ჯარით, საზამთროდ, ტარენტუმში დაბრუნდა. 279 წლის გაზაფხულზე პიროსმა აპულიაზე ილაშქრა. ამასობაში რომაელებმა მოასწრეს აქ 70-ათასიანი ჯარის თავმოყრა. აპულიაში, ქ. აუსკულუმის მახლობლად, მოხდა მეორე დიდი ბრძოლა. რომაელები კვლავ დამარცხდნენ, მაგრამ პიროსსაც ისე ძვირად დაუჯდა გამარჯვება, რომ გადმოცემის მიხედვით მილოცვების პასუხად მან ბეჯითად წარმოთქვა: „ერთი კიდევ ასეთი გამარჯვება და მე აღარავინ ღამრჩება ეპირში დასაბრუნებლადო“. ამიტომ პიროსმა რომთან დაზავება გადაწყვიტა და რომში მოციქულები წარგზავნა მშვიდობის დამყარების მიზნით, მაგრამ სენატმა ეს წინადადება უარყო. რომაელებმა პირიქით, კავშირი შეკრეს კართაგელებთან, რომელთაც ფრიად აშფოთებდათ პიროსის შორს მიმართული განზრახვა. რომაელთა ნავსადგურ ოსტიაში მივიდა კართაგელების ძლიერი ფლოტი და რომის ხელმძღვანელობას სამხედრო ხელშეკრულება გადასცა. ასეთ პირობებში, პიროსმა სიამოვნებით მიიღო სიცილიის ბერძნების წინადადება, რომ დახმარებოდა მათ კართაგელების წინააღმდეგ ბრძოლაში. პიროსმა ტარენტუმსა და ლოკრაში დატოვა გარნიზონი, ხოლო 278 წლის შემოდგომაზე თავისი ჯარის მთავარი ნაწილით სიცილიაში გადავიდა, სიცილიაში პიროსს, პირველ მომენტში, დიდი აღტაცებით შეხვდნენ. პიროსმა აიძულა კართაგელები სირაკუზისათვის ალყა მოეხსნათ და სიცილიაში კართაგელების თითქმის ყველა პუნქტი დაიკა-

კა. ამ წარმატებით გამხნევებული აფრიკაში ექსპედიციის მოწყობაზე ფიქრობდა, რომ კართაგელებისათვის გადამწყვეტი მარცხი მიეყენებინა. ასეთი ექსპედიციისათვის ძლიერი ფლოტი იყო საჭირო; ხომალდები კი სიცილიის ბერძნებს უნდა აეგოთ. ამან ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია მათში, რასაც მოჰყვა მონარქიულ ტენდენციებზე აღზრდილი პიროსის მიერ დემოკრატიული პოლისების წეს-ჩვეულებათა უხეში დარღვევა. ამიტომ უკმაყოფილება მისი მოქმედებისადმი თანდათან იზრდებოდა და ღრმავდებოდა. ზოგიერთმა ქალაქმა მის წინააღმდეგ იარაღი აღმართა, ზოგიერთი კი კართაგელების მხარეზეც გადავიდა. სიცილიაში კვლავ გამოჩნდა კართაგელების დიდი ჯარი. ასეთი მდგომარეობის შედეგად პიროსმა დაკარგა ყველა თავისი მონაპოვარი და ამ. ხელთ მხოლოდ სირაკუზი დარჩა. ამავე დროს, იტალიიდან მას შეეაშფოთებელი ცნობები მოსდიოდა, რომ რომაელები შეტევაზე გადმოვიდნენ. მათ ადვილად მოახერხეს კროტონისა და ლოკრის დაპყრობა. რის შემდეგაც წარმატებით იწყეს სამნიტებისა და ლუკანების წინააღმდეგ მოქმედება. ამიტომ იტალიაში დარჩენილი მომხრეები დაბეჯითებით სთხოვდნენ პიროსს დაბრუნებულიყო და დახმარებოდა მათ. მისი მდგომარეობა სიცილიაში იმდენად უიმედო იყო, რომ მან უყოყმანოდ დატოვა სიცილია და იტალიაში წავიდა. გზაზე, სრუტეში მას თავს დაესხა კართაგელების ფლოტი და პიროსის ფლოტის ნახევარი ჩაანადგურა. 275 წელს პიროსი მაინც გადავიდა იტალიაში და მზადება დაიწყო რომაელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბენევენტუმის მახლობლად, სამნიუმის ცენტრში, რომაელებსა და პიროსს შორის მოხდა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა. პიროსმა სასტიკი დამარცხება განიცადა. მისი ბანაკი რომაელებმა ჩაიგდეს ხელთ და თვითონ პიროსმა რამდენიმე მხედრის თანხლებით ტარენტს შეაფარა თავი. შეიცვალა მდგომარეობა ეპირშიც, მას მაკედონიის მხრივ თავდასხმა ემუქრებოდა. ამიტომ პიროსმა მიატოვა იტალია და ეპირს მიაშურა. სამი წლის შემდეგ, პიროსი მოკლეს პელოპონესის არგოსში, მაკედონიელებთან ბრძოლის დროს, სახურავიდან ნასროლი კრამიტით.

272 წელს პიროსის მიერ ტარენტუმში დატოვებულმა გარნიზონმა ქალაქი რომაელებს გადასცა და ტარენტუმელები იძულებული იყვნენ ქალაქის კედლები დაენგრიათ და მათთვის ხომალდები დაეთმოთ. ამავე წელს რომაელებს დამორჩილდნენ სამნიტები, ლუკანები და ბრუტიები. კამპანელების მეამბოხე ლეგიონი თავშეფარებული იყო რე-

გიუმში; 270 წელს რომაელებმა რეგიუმი აიღეს, ეს ლეგიონიც განაიარაღეს და დასაჯეს. 265 წელს რომაელებს დანებდა ეტრუსკული ქალაქი ვოლსინი და ამით დამთავრდა იტალიის დაპყრობა.

რომის დაპყრობათა შედეგი იყო მისადმი დაქვემდებარებული ტომებისა და ქალაქების ფედერაციის შექმნა და მონათმფლობელური ურთიერთობის გავრცელება, მთელს აპენინის ნახევარკუნძულზე. რომი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გახდა.

თავი მეხუთე

რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება იტალიის დაპყრობის შემდეგ

1. ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა

რომაელების მეურნეობის საფუძველს ამ პერიოდში მიწათმოქმედება წარმოადგენს. ერთგვარ წინსვლას განიცდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ძველი გუთნის ადგილას ჩნდება რთული გუთანი. ემპოვნდება სხვა სამუშაო იარაღიც. მესაქონლეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო შუა იტალიაში. სხვა ადგილებში კი შედარებით უფრო მცირედ მსხვილფეხა საქონელს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე იყენებდნენ. თუ წვრილი ნაკვეთების პატრონები საკუთარი ხელით ამუშავებდნენ თავიანთ მიწებს, მსხვილ მიწათმფლობელთა ყანებში მუშაობდნენ კლიენტები და იმ დროს ჯერ კიდევ შედარებით მცირერიცხოვანი მონები. ვიმეორებთ, როგორც წინათ, ისე იტალიის დაპყრობის პერიოდში, რომაელების მეურნეობაში ძირითადი ადგილი მიწათმოქმედებას ეკუთვნოდა და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა იტალიის უმეტეს ნაწილში, ამას რომაელების საკოლონიზაციო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. ცნობილია, რომ ეს პოლიტიკა. რომელმაც ამ პერიოდში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ერთი მხრივ. მიზნად უმიწაწყლო მოქალაქეების მიწით დაკმაყოფილებას ისახავდა. ხოლო მეორე მხრივ, იმ შორეულ რაიონებში. რომელთაც ვარედან თავდასხმა ემუქრებოდათ. რომის ბატონობის განმტკიცებასა და დაცვას ემსახურებოდა, ანდა სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ამბოხება იყო მოსალოდნელი. ტრადიცია საკოლონიზაციო პოლიტიკის დასაწყისს ჯერ კიდევ მეფე ანკუს მარციუსს მიაწერს. მაგრამ მისი ნამდვილი ინიციატორები ლატინები იყვნენ, რომელთაც პირველებმა განახორციელეს ეს პოლიტიკა ეოლსკების ტერიტორიაზე. ლატინთა კოლონიები შედარებით ხალხმრავალი და ბევრი იყო. ლატინთა კოლონიები მათ იმიტომ ეწოდებოდათ, რომ

ისინი უმეტესად 338 წლამდე დაარსდა ლატინთა კავშირის მიერ; შემდგომში კი მათ დამაარსებლად რომი გვევლინება.

რომაულ კოლონიებს უმეტესად სამხედრო ხასიათი ჰქონდათ და ძვიდროდ იყვნენ დაკავშირებული მეტროპოლიასთან. მათ ასახლებდნენ უმეტესად ზღვისპირა და სასაზღვრო რაიონებში. რომაელების ახალშენებს წარმოადგენდა ანციუმი, ტარაცინა, მინტურნე, სინუესა, კასტრუმ ნოვუმი, ფრეგელე და სხვ. როგორც წესი, მათი მოსახლეობა ხალხმრავალი არ იყო და ჩვეულებრივ ასეთ კოლონისტებს მიწის მცირე ნაკვეთებს აძლევდნენ, რომ მიწის დამუშავებით მეტისმეტ გატაცებას მათთვის ხელი არ შეეშალა სამხედრო მოვალეობათა შესრულებაში. ასეთი ტიპის კოლონიების განსხვავებულ სახეს წარმოადგენდა ის ახალშენები, რომლებსაც შინაგან მხარეებში დაპყრობილ ტომთა ტერიტორიაზე აარსებდნენ. ისინი უფრო ხალხმრავალი იყვნენ და უფრო მეტად განირჩეოდნენ თავიანთი მიწათმოქმედების ხასიათით. ასეთ ახალშენებს მიეკუთვნებოდა: ფრეგელე, ლუცერია, სუესა, კარსიოლი, ნარნია, ვენუზია, არიმინუმი, ბენვენტუმი, ბრუნდიზიუმი, კრემონი და სხვ. ამ ტიპის კოლონისტებს ეძლეოდათ მიწის შედარებით უფრო მსხვილი ნაკვეთები და ასეთმა ახალშენებმა ხელი შეუწყო იტალიაში მიწის წვრილ და საშუალო მესაკუთრეთა მრავალრიცხოვან დასახლებათა ფართო გავრცელებას.

როგორც ამას ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით, რომი სხვადასხვაგვარად უდგებოდა მისადმი დაქვემდებარებულ იტალიელ ტომებს. რომაელებს, ვეის გამოკლებით, არც ერთი ქალაქი არ ვაუნადგურებიათ და ხარკის გაღება არც ერთისათვის არ დაუკისრებიათ. თუ იტალიელი თემები უმეტეს ნაწილად რომის მოკავშირეებად აღიარეს, სამაგიეროდ იტალიის ტერიტორიის მეორე ნაწილი უშუალოდ რომის სახელმწიფომ შეიერთა. ის თემები, რომლებიც რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდნენ, პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად მიწა-წყლის ნაწილსაც კარგავდნენ. როგორც წესი, დამარცხებულ მტერს ჩამოერთმეოდა ტერიტორიის ერთი მესამედი და სახელმწიფო საკუთრებად გადაირიცხებოდა. ამ მიწების ერთი ნაწილი შედარებით მცირე ნაკვეთებად იყოფოდა და კოლონისტებს გადაეცემოდა სრულ საკუთრებად განსხვისების შეუზღუდავი უფლებით. უფრო მცირე ნაწილი კულტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი, ხოლო უფრო დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა. რესპუბლიკის პერიოდში სახელმწიფო უშუალოდ არ განაგებდა ამ მიწებს, არამედ განსაზღვრული საგადასახადო მოვალეობის შესრულების პირობით რომში იჯარით გასცემდა მათ. რომში სახელმწიფო საკუთრებისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა. IV და განსაკუთრებით III საუკუნეებში სახელმწიფოსაგან

ოდესღაც იჯარით აღებული მიწების უმეტესი ნაწილი გადაიქცა მათი მფლობელების ხელშეუხებელ საკუთრებად. მემკვიდრეობით მესაკუთრეები ხდებიან არა მარტო პატრიციები, არამედ პლებეების წარჩინებული წრეებიც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ვითარდებოდა ხელოსნობაც. მუდმივ ომს შეუძლებელია არ გამოეწვია სხვადასხვა საჭურველის დამამზადებელი ხელოსნობის განვითარება. გარდა ამისა, გალების შემოსევისას დაზარალებული ქალაქი რომი, უდავოდ, საჭიროებდა დიდი სამშენებლო საქმიანობის გაშლას, და მართლაც, ქალაქი კარგავს სოფლის სახეს და კეთილმოწყობილი ხდება. იწყება საზოგადოებრივ შენობათა, უმთავრესად ტაძრების, აგება და რომაული ხუროთმოძღვრების წინსვლა, ცენტრალურ მოედნებს ქანდაკებებით ამკობენ, ბაზრის ტერიტორიას ქვის გალავანს ავლებენ, ფართოვდება ქუჩები. როგორც რომში, ასევე მთელ იტალიაში გაჰყავთ ახალი გზები, რასაც ჰქონდა დიდი სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. კერძოდ, ამან ხელი შეუწყო აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებას. რომში ვაჭრობისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებაზე მიგვითითებს მონეტის მოჭრა. ძველად, რომაელები, როგორც ვიცით, გაცვლა-გამოცვლის საშუალებად ხმარობდნენ სპილენძს, ჯერ აწონილს, შემდეგში მოჭრილი მონეტის სახით. პიროსზე გამარჯვების შემდეგ, მათ პირველად იწყეს ვერცხლის მონეტის მოჭრა. ამ მონეტას დენარიუსი უწოდეს. ის შეესაბამებოდა ანტიკურ დრაქმას და ათ ბრინჯაოს ასს უდრიდა. ვერცხლის წვრილ მონეტას კი წარმოადგენდა დენარიუსის მეოთხედი ნაწილი — სესტერციუსი. რომში პირველი სამონეტო სახელოსნო კაპიტოლიუმზე მღებარეობდა იუნონა მონეტის ტაძრის გვერდით, აქედან წარმოდგება სიტყვა „მონეტა“. III საუკუნის დასასრულიდან კი რომში ოქროს მონეტის მოჭრაც დაიწყეს. ამავე საუკუნიდან იწყება სავაჭრო და საგახშო კაპიტალის წარმოქმნა და თანდათანობითი გაფართოება.

IV—III სს. რომის სოციალური სტრუქტურის გათვალისწინებისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ხშირი ომების გამო მონათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჯერ კიდევ ვეის განადგურების დროს რომაელებმა ათასობით მონა შეიპყრეს. მათი რიცხვი განსაკუთრებით გადიდდა სამნიტური ომების შემდეგ. 357 წელს რომში მონების განთავისუფლებაზე განსაკუთრებული გადასახადიც კი დაუწესებიათ. მაგრამ ვიდრე რომაელები ომებს იტალიის ტერიტორიაზე აწარმოებდნენ, მონების რიცხვი მაინც იმდენი არ იყო, რამდენიც შემდეგ ხანაში. ყოველ შემთხვევაში ამ დროს უკვე ისახება რომაული საზოგადოების ორ ძირითად ნაწილად — თავისუფ-

ლებად და მონებად დაყოფა. ნივთებად ქცეული მონები, რა თქმა უნდა, ყოველგვარ ადამიანურ უფლებას მოკლებული იყვნენ. IV—III სს. მიწის მსხვილ მესაკუთრეთა და მონათმფლობელთა კლასი რომში ნობილიტეტს შეადგენდა, რომელიც განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. ის იყო უმაღლესი წოდება, რომლის წრიდან უმეტეს ნაწილად ირჩევდნენ მაღალ მაგისტრატებს და ავსებდნენ სენატს. მათ გვერდით არსებობდნენ წვრილი და საშუალო მონათმფლობელები, ვაჭრები, სახელოსნოების პატრონები, შეძლებული გლეხობა, მაგრამ მათზე ნობილების პრივილეგიები არსებითად არ ვრცელდებოდა. მოსახლეობის ძირითად თავისუფალ მასას კი სოფლისა და ქალაქის პლებსი, რომაელი გლეხები და ქალაქის ხელოსნები წარმოადგენდნენ. პლებსი, მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, სახელმწიფო მართვაში ფაქტობრივად წამყვან როლს მოკლებული იყო. თუ პატრიციები და პლებეები III ს. დასაწყისისათვის სრულუფლებიან მოქალაქეებს წარმოადგენდნენ, იყვნენ ისეთი არასრულუფლებიანი მოქალაქენიც, რომლებიც ლიბერტინებისაგან (გაზატებულებისაგან) შედგებოდნენ. ლიბერტინებს არ ჰქონდათ ქორწინების უფლება, არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ მაგისტრატებად და მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ ტრიბუტულ კომიციებში და ისიც ქალაქის ოთხ ტრიბაში.

2. სახელმწიფოებრივი წყობილება; იტალია რომის ექვემონიის ქვეშ

რომის რესპუბლიკაში უმაღლესი ხელისუფლება ფორმალურად „რომაელ ხალხს" — სრულუფლებიან მოქალაქეთა კრებულს ეკუთვნოდა. ეს ხალხი კი თავის ნება-სურვილს ოფიციალურად კომიციებში გამოთქვამდა. პატრიციების ძველმა კურიატულმა კომიციებმა, როგორც ვიცით, საზოგადოებრივი განვითარების პროცესში თავისი წინანდელი პოლიტიკური მნიშვნელობა დაკარგა. არსებითად შეინარჩუნეს რა შვილად აყვანისა და ანდერძის დამტკიცების უფლება. მათვე ეკუთვნოდათ ახლად არჩეული მაგისტრატებისათვის უმაღლესი ხელისუფლების ფორმალურ-სიმბოლური წესით გადაცემა. ცენტურიატულ კომიციებში, როგორც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, მონაწილეობას იღებდნენ ქონებრივი თანრიგისა და ცენტურიების მიხედვით პატრიციები და პლებეები. ამ კომიციებში მოქალაქენი იკრიბებოდნენ განთიადისას, მარსის მინდორზე. ცენტურიატული კომიციების კომპეტენციაც თანდათანობით ცვლილებას განიცდიდა. მათ დადგენილე-

ბებს, სენატის მოწონების შემდეგ, კანონის ხასიათი ენიჭებოდა. შემდეგ პერიოდში სენატის მიერ მათი სავალდებულო მოწონების წესი გაუქმებულ იქნა, მაგრამ ჰორტენზიუსის კანონის ძალით საკანონმდებლო მოღვაწეობა თანდათანობით გადადის ტრიბუტული კომიციების კომპეტენციაში. ამის შემდეგ ცენტურიატულ კომიციებში მხოლოდ ომისა და ზავის საკითხების განხილვა და უმაღლესი თანამდებობის პირთა არჩევნები ხდებოდა.

ტრიბუტულ კომიციებში თავდაპირველად მხოლოდ პლებეები იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ტრიბების მიხედვით იკრიბებოდნენ თავიანთი მაგისტრატების ასარჩევად. თანდათანობით ამ მხრივაც ისეთი წესი დადგინდა, რომლის თანახმად პლებეების კრებათა გვერდით ყველა მოქალაქეს იწვევდნენ ტრიბების მიხედვით. ტრიბუტული კომიციები იკრიბებოდნენ ხან ფორუმზე, ხან კაპიტოლიუმზე და ზოგჯერ ქალაქგარეთაც. ჰორტენზიუსის კანონით პლებსის დადგენილებებს ტრიბებში კანონის ძალა მიენიჭათ და სენატის მოწონებას არ საჭიროებდნენ. ტრიბუტულ კომიციებს იწვევდნენ და თავმჯდომარეობდნენ მთავარი მაგისტრატები (კონსული, პრეტორი და სხვ.). ასეთ შემთხვევაში მათ კრებებს ტრიბუტული კომიცია ეწოდებოდა; ხოლო, როცა ნათ იწვევდა და თავმჯდომარეობდა სახალხო ტრიბუნი ან პლებეების ედილი, ისინი უკვე პლებსის კონსილიუმის სახელით გახდნენ ცნობილი.

საერთოდ, ყველა სახის კომიციაზე განსახილველად წარმოდგენილ საკითხებს აყენებდნენ მხოლოდ მაგისტრატები, თუმცა ადგილი არ ჰქონდა მათ ყოველმხრივ განხილვას. ამიტომ როგორც კი გამოქვეყნდებოდა ასარჩევი კანდიდატების სიები ან წარმოდგენილი კანონპროექტის შინაარსი, თითქმის ერთბაშად იწყებოდა ხმების მიცემა ცენტურიების თუ ტრიბების მიხედვით.

სხვა მიმდინარე საკითხს კი მაგისტრატები და სენატი წყვეტდა. განსაკუთრებული ადგილი რომის რესპუბლიკაში ეკუთვნოდა სენატს. თავდაპირველად სენატორებს კონსული ნიშნავდა, შემდეგ კი ეს საქმე ცენზორებს გადაეცა. ცენზორები ნიშნავდნენ სენატორებს ყოფილი მაგისტრატების წრიდან. მათ სიას ალბუმი ეწოდებოდა, რომელშიც სენატორები რანგის მიხედვით შეჰყავდათ: ჯერ ყოფილი კონსულები, მერე პრეტორები და ა. შ. იმ სენატორს, რომელიც სიაში პირველ ადგილას იყო მოხსენიებული პირველი სენატორი ეწოდებოდა. სენატის სხდომებს იწვევდნენ დიქტატორი, კონსული, პრეტორი, უფრო გვიან კი სახალხო ტრიბუნი. სენატის ფუნქციებში შედიოდა: არჩეული მაგისტრატების დამტკიცება, რელიგიისა და კულტის საკითხები, სახელმწიფო ქონება და ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, ომისა და ზავის საკითხები. სენატი ისმენდა სხდომის მომწვევი მაგისტრატის

მოხსენებას და იწყებდა მის განხილვას. სენატორები სიაში თავიანთი რიგის მიხედვით გამოთქვამდნენ აზრს და შემდეგ ხდებოდა ხმის მიცემა.

აღმასრულებელი ხელისუფლება მაგისტრატებს ეკუთვნოდათ. მაგისტრატურა იყო ჩვეულებრივი (ორდინარული) და არაჩვეულებრივი (ექსტრაორდინარული). ჩვეულებრივ მაგისტრატურას წარმოადგენდნენ კონსულები, სახალხო ტრიბუნები, პრეტორები, ცენზორები, ედილები, ქვესტორები. კონსულებს მინიჭებული ჰქონდათ უმაღლესი სამოქალაქო უფლება და ომის დროს ჯარების მეთაურობა. მათ ცენტურიატულ კომიციებში ირჩევდნენ. თუ რომში კონსულის უფლებებს თავისი განსაზღვრული ნორმები ჰქონდა, ქალაქგარეთ ის ყოველმხრივ შეუზღუდავი უფლებით სარგებლობდა. როგორც უკვე ვიცით, 367 წლიდან დაწყებული ერთი კონსული აუცილებლად პლებეების წრიდან უნდა ყოფილიყო არჩეული.

სამაგიეროდ, 366 წლიდან ცენტურიატულ კომიციებში მხოლოდ პატრიციების წრიდან ირჩევდნენ პრეტორს, რომლის მთავარ მოვალეობას ქალაქში წესრიგის დაცვა წარმოადგენდა და აქედან განვითარდა მისი ძირითადი კომპეტენცია — სისხლის სამართლისა და სამოქალაქო იურისდიქცია. მხოლოდ 337 წელს მიაღწიეს პლებეებმა. მათი წრიდანაც პრეტორების არჩევის უფლებას.

443 წლიდან რომაელები ცენტურიატულ კომიციებში პატრიციების წრიდან ორ ცენზორს ირჩევდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა ცენზის გატარება, მოქალაქეთა ტრიბებსა და ცენტურიებში დანაწილება, ხოლო შემდეგ სენატორების სიების შედგენაც. მათვე დაევალათ ზნე-ჩვეულების მეთვალყურეობა და მათი ფუნქციები თანდათან გაფართოვდა. პლებეებმა ცენზორად არჩევის უფლება 351 წელს მოიპოვეს, ხოლო 339 წლის კანონით ერთი ცენზორი აუცილებლად მათი წრიდან უნდა ყოფილიყო არჩეული.

პატრიციების წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში პლებეებმა თავიანთი წრიდან ტრიბუნების არჩევის უფლებას მიაღწიეს. სახალხო ტრიბუნი განსაკუთრებული რწმუნებულებით იყო აღჭურვილი და მისი პიროვნება ხელშეუხებლად ითვლებოდა. უწინარეს ყოვლისა, მის მოვალეობას წარმოადგენდა მაგისტრატების ძალმომრეობისაგან პლებეების დაცვა. ამიტომ მას უფლება ჰქონდა, ერთი მხრივ, დიქტატორისა და ცენზორის გამოკლებით, ყველა მაგისტრატის მოქმედებაში ჩარეულიყო და, მეორე მხრივ, მათი განკარგულებებისათვის ვეტო დაედო. სახალხო ტრიბუნის სადგომი ყოველი პლებეის თავშესაფრად იყო მიჩნეული და ამიტომაც მისი კარი მუდამ ღია უნდა ყოფილიყო. მას შეეძლო გაეპროტესტებინა სენატის დად-

გენილება, მაგრამ თავდაპირველად უფლება არ ჰქონდა სენატის სხდომას დასწრებოდა და მხოლოდ იმ შენობის კართან შეეძლო მდგარიყო, სადაც სენატის სხდომა მიმდინარეობდა. ამის შემდეგ ტრიბუნებმა მოიპოვეს არა მარტო სენატში შესვლისა და კამათში მონაწილეობის, არამედ მათი მოწვევის უფლებაც.

ტრიბუნებთან ერთად რომში პლებეების ორი ედილის თანამდებობა დაწესდა. ისინი ტრიბუნის თანაშემწეებად ითვლებოდნენ და მათს ადგილსამყოფელად ცერერას ტაძარი იყო მიჩნეული. როცა პატრიციების წრიდან ორი კურულური ედილის არჩევა დაიწყეს, მათი თანამდებობა მალე პლებეებისათვისაც გახდა მისაწვდომი. რის შედეგადაც წარმოიქმნა პატრიციებისა და პლებეების ედილების ერთიანი კოლეგია. კოლეგიის მთავარ მოვალეობას ქალაქში წესრიგის მეთვალყურეობა, სურსათზე ზრუნვა და საზოგადოებრივ ასპარეზთა მოწყობა შეადგენდა.

კონსულების თანაშემწეებად ითვლებოდნენ ქვესტორები, რომელთაც ჯერ თვითონ ისინი ნიშნავდნენ, შემდეგ კი ტრიბუტულ კომიციებში ოთხ ქვესტორს ირჩევდნენ. თანამდებობაზე მათი არჩევის უფლება პლებეებსაც მიენიჭათ. ქვესტორები განაგებდნენ სახელმწიფო ხაზინას, აწარმოებდნენ შემოსავალ-გასავლის წიგნებს და თან ახლდნენ კონსულებს ომში.

ჩვეულებრივ მაგისტრატებს წარმოადგენდნენ დიქტატორები, ცხენოსნების უფროსები, დეცემვირები. დიქტატორს ფორმალურად კონსულები ნიშნავდნენ, ფაქტობრივად კი სენატი ირჩევდა განსაკუთრებული მდგომარეობის შემთხვევაში (ომი, შინაური მღელვარება და ა. შ.) განსაზღვრული ვადით (არა უმეტეს ექვსი თვისა). ამ ხანის განმავლობაში ყველა მაგისტრატი მას ემორჩილებოდა და მის შინაგან ტრიბუნების ვეტოს ძალა არ ჰქონდა. ის აღჭურვილი იყო სრული ხელისუფლებით. ჩვეულებრივად დიქტატორი თავის თანაშემწედ ცხენოსნების უფროსს ნიშნავდა. თავდაპირველად დიქტატორი მხოლოდ პატრიციების წრიდან ინიშნებოდა, მაგრამ უფრო გვიან პლებეებიდანაც.

რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე ქურუმთა კოლეგიები. რომში კარჩაკეტილ ქურუმთა წოდება არ წარმოქმნილა და ქურუმთა კოლეგიები არსებითად სარწმუნოებრივ მაგისტრატურას წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პონტიფიკების კოლეგიას, რომლის მეთაურს — დიდ პონტიფიკს კომიციებში ირჩევდნენ, ხოლო დანარჩენ წევრებს — მათ კოლეგიაში, ანდა დიდი პონტიფიკი ნიშნავდა.

ძველი რომის სახელმწიფო წყობილების მიმოხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ მაგისტრატებად არჩევა და მათ მიერ მოვალეობათა

შესრულება უმაღლეს პატივად ითვლებოდა და არამც თუ უსასყიდ-
ლო იყო, არამედ, მთელ რიგ შემთხვევებში, მათგან დიდ ხარჯებსაც
მოითხოვდა. მაგისტრატი ხელშეუხებელი პიროვნება იყო და სამსა-
ხურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში არ შეიძლებოდა
მისი გადაყენება ან სამართალში მიცემა. მაგისტრატობის კანდიდატე-
ბის არჩევაც ნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან
არჩევნებამდე ისინი იძულებული იყვნენ ამომრჩეველთათვის დიდი
მასპინძლობა გაეწიათ და უხვად დაესაჩუქრებინათ. აქედან ცხადია,
თუ საზოგადოების რომელ წრეებს ეკუთვნოდნენ რომის მაღალი მა-
გისტრატები.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა ხასიათი მიიღო რომაელების
მიერ დაპყრობილი იტალიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მმართ-
ველობამ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ რომაელებს თავიანთი მოქალაქეე-
ბის ახალშენები ქალაქიდან საკმაოდ დაშორებით, სხვის მიწებზე გაბ-
ყავდათ. უმთავრესად სტრატეგიული მიზნით. ამ კოლონისტებს საკ-
საებით შენარჩუნებული ჰქონდათ რომაელი მოქალაქის ყველა უფლე-
ბა და თვითონ რომის უფლებამოსილი მოსახლეობის ნაწილად ითვ-
ლებოდნენ. ამიტომ ისინი თვითმმართველობით არ სარგებლობდნენ
და მონაწილეობა უნდა მიეღოთ ზოგადრომაულ ხელისუფალთა არ-
ჩევნებში. პრაქტიკულად ეს გარემოება დიდ მოუხერხებლობას ქმნიდ-
და ამიტომ ზოგიერთ მათგანს თანდათანობით შინაური თვითმმართვე-
ლობა მიენიჭა.

სხვანაირი იყო ეგრეთ წოდებული მუნიციპიების მდგომარეობა.
მუნიციპიები, ლაციუმის ძველი დროიდან, რომის სახელმწიფოს შე-
მადგენლობაში მიღებული თემების — რომაელების ძველი მოკავში-
რეების უმრავლესობას წარმოადგენდა. მათ შენარჩუნებული ჰქონდ-
შინაური თვითმმართველობა და რომაელ მოქალაქეებთან საკუთრებ-
გათანაბრებული იყვნენ. მათ რომში კონსულად არჩევის უფლებაც
კი ჰქონდათ და რომის ტრიბების შემადგენლობაში ირიცხებოდნენ.

მუნიციპიებისაგან ერთგვარად განსხვავდებოდნენ „ხმას მოკლე-
ბული თემები". მართალია, ცხოვრებაში მათაც თვითმმართველობ-
ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ ხშირად მათ კონტროლს უწევდნ-
რომიდან სპეციალურად მოვლინებული რწმუნებულები. ამავე დრო-
მათი თავისუფალი მცხოვრებლები, რომაელებთან ერთად, სრულ
უფლებამოსილებით სარგებლობდნენ: მათ შეეძლოთ კანონიერად შე-
უღლებოდნენ რომაელ მოქალაქეებს. მაგრამ მოკლებული იყვნ-
პოლიტიკურ უფლებებს, არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება რომი-
კომიციებში.

იტალიკების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან კატეგორიას წარ-
მოადგენდნენ მოკავშირეები. არსებითად ეს კატეგორია წარმოიქმ-

რომის მიერ ომში დამარცხებულ ამა თუ იმ თემთან იმ საკავშირო ხელშეკრულების დადების შედეგად, რითაც განისაზღვრებოდა მისი პოლიტიკური მდგომარეობა, ასეთი ხელშეკრულება სხვადასხვაგვარი იყო. მაგრამ უმეტესად, მოკავშირეები სახელმწიფოებრივ თავისთავადობას ინარჩუნებდნენ იმ აუცილებელი პირობით, რომ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე ხელს აიღებდნენ. ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იყო აგრეთვე თითოეული მოკავშირის სამხედრო ვალდებულება: ზოგი მათგანი რომს მხოლოდ მტრის თავდასხმის დროს უნდა დახმარებოდა. ზოგს კიდევ რომის მიერ დაწყებულ ყველა ომში უნდა მიეღო მონაწილეობა. თითოეულ მოკავშირეს ევროპა და ცხენოსანი ჯარის გარკვეული რაოდენობა უნდა გამოეყვანა. ზღვისპირა ქალაქებს კი — ხომალდებისა. ყველას როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო ძალები თავიანთ ხარჯზე უნდა შეენახათ. ყოველი მათგანის მეომართაგან ადგენდნენ განსაკუთრებულ მოკავშირე რაზმებს, რომლებიც მთლიანად ემორჩილებოდნენ რომაელთა სარდლობას.

ცალკე უნდა განვიხილოთ ეგრეთ წოდებულ „ლატინთა ახალშენები". ეს კოლონიები რომის მიერ დაარსდა ლატინების მოკავშირე ქალაქებთან ერთად მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. მოკავშირეების მსგავსად, ისინიც სრული შინაგანი თვითმმართველობით სარგებლობდნენ და ომის დროს, განსაკუთრებულ მოკავშირე რაზმებში მსახურობდნენ. მოკავშირეებისაგან ისინი იმით განსხვავდებოდნენ, რომ რომში გადასახლებულთ რომაელი მოქალაქის სრული უფლება ენიჭებოდათ.

იტალიის მოსახლეობის უკანასკნელ, სავსებით უუფლებო კატეგორიას ის ტომები და თემები წარმოადგენდნენ, რომლებიც დამარცხებულ რომს უსიტყვოდ დანებდნენ. მათ „დანებებულნი" ეწოდებოდათ. ამ კატეგორიის ხალხი მოკლებული იყო ყოველგვარ ავტონომიას და მათ რომის რწმუნებულები განაგებდნენ. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც რომისადმი მტრულად განწყობილი რომელიმე თემი სრულიად განადგურდებოდა, მისი მთელი მიწა-წყალი რომის საზოგადოებრივ მინდორს უერთდებოდა. მისი მცხოვრებლები კი ბონები ხდებოდნენ.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, მართალია, რომს იტალიაში მთლიანად სახელმწიფოებრივი ტერიტორია არ შეუქმნია, მაგრამ ტრადიციულად მის ცალკეულ მხარეებთან ისეთი მრავალმხრივი ურთიერთობა დაუმყარებია, რომელიც თითქმის შეუძლებელს ხდიდა მისი საწინააღმდეგო ერთიანი ფრონტის წარმოქმნას და ხელს უწყობდა მის ჰეგემონიას.

თავი მეექვსე

ბრძოლა რომსა და კართაგოს შორის

1. პირველი პუნიკური ომი (264—241 წწ.) და მისი შედეგები

ჩვენ დავინახეთ, რომ ეპირის მეფემ — პიროსმა ღასახული ღიდი გეგმის განხორციელებისას დამარცხება განიცადა: (იტალიაში მისი იძულებითი დაბრუნების შემდეგ კართაგელებმა კვლავ აღადგინეს თავიანთი მეუფება სიცილიის მნიშვნელოვან ნაწილში. სირაკუზში კი ხელისუფლებას ცნობილი სარდალი ჰიერონ II დაეუფლა. როცა ავათოელეს კამპანელმა მოქირავნეებმა — მამერტინელებმა, რომლებიც თავს ბარსის შვილებს უწოდებდნენ, მისი სიკვდილის შემდეგ ქალაქი მესანა დაიკავეს, ქალაქის დასახმარებლად გაილაშქრა ჰიერონმა. მაშინ მამერტინელების ერთმა ნაწილმა, როგორც ისტორიკოსი პოლიბიოსი გადმოგვცემს, კართაგელებს მიმართა დახმარებისათვის, ხოლო მეორე ნაწილმა — სისხლით მონათესავე რომაელებს. რომის სენატი ყოყმანობდა ამ საკითხის გადაწყვეტაში, მაგრამ სახალხო კრებამ დააღგინა მამერტინელების დასახმარებლად კონსულის მეთაურობით მესანაში ჯარი გაეგზავნათ. ასე წარმოიქმნა რომაელებსა და კართაგელებს შორის ხანგრძლივი ბრძოლის საბაბი.

რას წარმოადგენდა მაშინდელი კართაგო?

ამ დროის კართაგოს ეკონომიკის საფუძველს ფართოდ განვითარებული მონათმფლობელობა და საშუამავლო ვაჭრობა შეადგენდა. ის, ძველთაგანვე მონურ შრომაზე დამყარებულ პლანტაციური მეურნეობის კლასიკურ მხარედ ითვლებოდა.

ბევრი კართაგელების მამულები ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩამორთმეულ მიწებზე მდებარეობდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ მცხოვრებლებს მიწებს მაინც უტოვებდნენ, მათ დაქვემდებარებულ გლეხებად აქცევდნენ და სახელმწიფოს მიმართ დიდ გადასახადებს აკისრებდნენ. კართაგელების ვაჭრობას არსებითად საშუამავლო ხასიათი ჰქონდა, ამიტომ ისინი ვაჭრობდნენ არა იმდენად საკუთარი ხელოსნური წარმოების პროდუქტებით, რამდენადაც სხვა ხალხის მიერ დამზადებული საგნებით. ცნობილია, რომ ფინიკიელების ვაჭრობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეკობრეობასთან. მათი ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს მონების ყიდვა-გაყიდვა წარ-

ჰოადგენდა. მონებს კართაგელები მრავლად იძენდნენ როგორც მეკობრეობით, ისე ტყვეების მონებად გადაქცევის გზით. (მონებს ისინი ფართოდ იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში და უფრო მცირედ ხელოსნურ წარმოებაში.)

(სახელმწიფოებრივი წყობილების მხრივ კართაგო ოლიგარქიული ტიპის მონათმფლობელურ რესპუბლიკას წარმოადგენდა.) მართალია, სახალხო კრება არსებობდა, მაგრამ მას უმნიშვნელო პოლიტიკური უფლებები ჰქონდა და ძალაუფლება არსებითად მსხვილი მიწის მესაკუთრეთა და მდიდარი ვაჭრების ხელში იყო. აღმასრულებელ ხელისუფლებას ორი სუფეტი ახორციელებდა; მათვე ეკუთვნოდათ მხედართმთავრის ფუნქციები. ყოველწლიურად ხდებოდა სუფეტების გადარჩევა. საკანონმდებლო ხელისუფლებით არსებითად უხუცესთა საბჭო (სენატი) სარგებლობდა, რომელიც 300 წევრისაგან შედგებოდა. მაგრამ სენატი მოქმედებდა არა მთლიანად, არამედ მიმდინარე საკითხებს უძღვებოდა მისგან გამოყოფილი 30 კაცის კომიტეტი. ოლიგარქიის მთავარ დასაყრდენს 104 კაცის კოლეგია წარმოადგენდა, რომელიც, ჩანს, უმაღლესი სასამართლო და საკონტროლო ორგანო იყო. კართაგოში ხშირად იყო მონების, მოსახლეობის დაბეჩავებული მასებისა და დამოკიდებული ტომების ამბოხებები. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა თვით გაბატონებულ წრეში შეხლა-შემოხლას და ურთიერთობის გამწვავებას.

(კართაგოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ძლიერებას გაწვრთნილი და შეღარებით კარგად შეიარაღებული ჯარი შეადგენდა, რომელიც შედგებოდა მოქირაონეებისა და დამოკიდებულ ტომთა რაზმებისაგან. ჯარის განკარგულებაში იყო საომარი სპილოები და საალყო მანქანები. სარდლებისა და მეთაურების როლს კი თვითონ კართაგელები ასრულებდნენ.) ამასთან ერთად, კართაგო ფლობდა დიდ სავაჭრო და სამხედრო ფლოტს, (რომელიც შედგებოდა ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდებისაგან და რომელშიც მენიჩბეებად მონები იყენენ. ასეთი საბრძოლო ძლიერების საფუძველზე ჩამოყალიბდა კართაგოს დიდი კოლონიური სამფლობელო, რომელიც ვრცელდებოდა ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს დასავლეთ ნაწილში, სამხრეთ ესპანეთში, სიცილიის მნიშვნელოვან ნაწილში, კორსიკასა და სარდინიაში, პისიუსსა და ბალეარის კუნძულებზე.

(ასეთ სახელმწიფოსთან მოუხდა ხანგრძლივი ბრძოლა რომს. მართალია, პიროსთან ბრძოლის პროცესში, რომმა და კართაგომ საკავშირო ხელშეკრულება დადეს, მაგრამ შემდეგ ისეთი სიტუაცია წარმოიქმნა, რომ მათ შორის საომარი შეტაკება აუცილებელი გახდა.)

რომაელი მეომრები, რომელთაც მესანა აიღეს, მამერტინელების მოწოდებით, 264 წელს, სიცილიაში გადავიდნენ. მათ ჯერ კართაგე-

ლები დაამარცხეს, მერე სირაკუზელები და დაიწყეს სირაკუზის გარემოცვა. ჰიერონ II იძულებული გახდა რომაელებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაედო. ამ გარემოებამ რომაელებს კართაგელებთან ბრძოლა გაუადვილა. ასე დაიწყო პირველი პუნიკური ომი. ეს სახელწოდება მას იმიტომ დაარქვეს, რომ რომაელები კართაგელებს პუნებს უწოდებდნენ.

ომის პროცესში, 262 წელს, ექვსი თვის გარემოცვის შემდეგ, რომაელებმა აიღეს სიცილიის სამხრეთ ნაპირას მდებარე ქალაქი აგრიგენტუმი (აკრაგანტი) და დაარბიეს. მათ ხელთ იგდეს დიდი ნადავლი და 25 ათასი ტყვე მონებად გაყიდეს. ამრიგად, კართაგელებთან პირველსავე შეტაკებაში, რომაელებს ხმელეთზე ცხადი უპირატესობა ჰქონდათ, ვაგრამ ზღვაზე ისინი უძლური იყვნენ და კართაგოს ფლოტის განმანადგურებელ თავდასხმას განიცდიდა სიცილიისა და სამხრეთ იტალიის ნაპირები. ამიტომ რომაელების წინაშე ასეთი დილემა დაისვა: ან კართაგელების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი უარი ეთქვათ, ანდა თავის მხრივ საკუთარი ძლიერი ფლოტი შეექმნათ. რომაელებმა გასაოცარი ენერგიით მოკლე დროში, ბერძენი ინსტრუქტორების დახმარებით, გაიჩინეს 120 სამხედრო ხომალდისაგან შემდგარი ფლოტი და, ამასთან ერთად, ახალი საომარ-ტექნიკური ხერხიც მოიმარჯვეს: ხომალდები ეგრეთ წოდებული „ყორნებით" — აბორდაჟული ბოგირებით მოამარაგეს, რომელთა დახმარებით ხელჩართული ბრძოლისათვის ხომალდების გადაბმას მიაღწიეს: როცა მათ ხომალდს მტრის გემი ჰიუახლოვდებოდა, მას ბოგირით გადაებმებოდნენ. შემდეგ ლეგიონერები გადაირბენდნენ და მოპირდაპირეს ზღვაზე ასეთსავე ომს უმართავდნენ, როგორსაც ხმელეთზე.

ასეთი დიდი მიღწევის შედეგი იყო ის, რომ რომაელთა ფლოტმა, კონსულ დუილიუსის წინამძღოლობით ჩრდილოეთი ნაპირიდან მილესთან, პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა კართაგელთა ფლოტზე. გამარჯვების შემდეგ დუილიუსმა ტრიუმფი გადაიხადა და მის აღსანიშნავად სვეტი აღმართეს, რომელიც მტრის ხომალდების ცხვირის ნაწილებით შეამკეს.

რაკი რომაელებმა სიცილიაში მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებას მიაღწიეს, მათ განიზრახეს გადამწყვეტი ბრძოლის ასპარეზი აფრიკაში გადაეტანათ და იქ გაენადგურებინათ კართაგოს სახელმწიფო. ამ მიზნით, მათ, 256 წელს, კონსულების — რეგულუსისა და ვულსონის მეთაურობით, მესანიდან 330 ხომალდისაგან შემდგარი დიდი ექსპედიცია წარგზავნეს აფრიკაში. სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე ენკომის კონცხთან, მოხდა ძველ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო ბრძოლა, რომელშიც კართაგელებმა დამარცხება განიცადეს. ამის შემდეგ აფრიკაში გადასული რომაელი მეომრები დი-

დად ავიწროებდნენ კართაგელებს და მათი რამდენიმე ქალაქი დაიკავეს. რომაელებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და საქონელი. ამასობაში რომის სენატმა განკარგულება გასცა, აფრიკაში მხოლოდ რეგულუსი დარჩენილიყო 15 ათასი ქვეითი მეომრით, 500 მხედრითა და 40 ხომალდით, მეორე კონსული კი დანარჩენი ჯარით რომში უნდა დაბრუნებულიყო. მიუხედავად ამისა, რომაელები წარმატებით მოქმედებდნენ და კართაგოს კედლებსაც კი მიუახლოვდნენ. კართაგელების მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მათ ნუმიდელები უტევდნენ, ხოლო რომაელებს კართაგოს ხელქვეითი ლიბიელი ტომებიც ემხრობოდნენ. ასეთი პირობების გამო კართაგოს მმართველმა წრეებმა რეგულუსთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყეს, მაგრამ მან ისეთი პირობები წარუდგინა, რომელთა მიღება მათ არ შეეძლოთ, და მოლაპარაკება შეწყდა. ამასობაში კართაგელები ენერგიულად შეუდგნენ მოქირავნეების ახალი რაზმების შეგროვებას და შექმნეს ძლიერი ჯარი, რომელიც უკვე 12 ათასი ქვეითი მეომრისაგან, 400 მხედრისა და რამდენიმე ასეული სპილოსაგან შედგებოდა. მის სარდლად ნიჭიერი სამხედრო ხელმძღვანელი სპარტელი ქსანთიპე დანიშნეს. ამ ჯართან შეტაკებაში რომაელმა მეომრებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს და მათგან მხოლოდ 200 კაცი გადარჩა, ხოლო რეგულუსი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში გარდაიცვალა. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ რომაელების ფლოტი, რომელიც აფრიკის ნაპირებს დაგვიანებით მიადგა, უკან დაბრუნებისას, ქარიშხალმა თითქმის მთლიანად გაანადგურა. რომის ასპარეზი კვლავ სიცილიაში იქნა გადატანილი, რის შემდეგაც რომაელების ფლოტმა ზღვაზე რამდენიმე მწვავე მარცხი განიცადა, ხოლო ხმელეთზე მათი ჯარი კართაგელებს წარმატებით ებრძოდა. 247 წელს სიცილიაში მივიდა კართაგელების ნიჭიერი სარდალი ჰამილკარ ბარკა. მან გაატარა ჯარის რეორგანიზაცია და მასში სასტიკი დისციპლინა დაამყარა.

კართაგოს ფლოტი თავს ესხმოდა სამხრეთ იტალიის ნაპირებს და არბევდა, ხოლო ჰამილკარი რომაელების ჯარს მოსვენებას არ აძლევდა. რომაელებისათვის კვლავ ცხადი შეიქნა, რომ უფლოტოდ ისინი კართაგელებს ვერ სძლევდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს ახალი ფლოტის აგება. მაგრამ ვინაიდან სახელმწიფოს საამისო საჰსრები არ გააჩნდა, შეძლებულ პირებს სახელმწიფო სესხის (ტრიბუტის) განაღდება დააკისრეს იმ პირობით, რომ ომის დამთავრების შემდეგ მათ ეს ფული, პროცენტობით დაუბრუნდებოდათ. ასეთი გზით აგებულ იქნა ძლიერი ფლოტი, რომელსაც სათავეში კონსული კატულუსი ჩაუდგა. რამდენიმე პუნქტის დაკავების შემდეგ, 241 წელს, რომაელთა

ახალმა ფლოტმა დაამარცხა კართაგელების ფლოტი ეგატის კუნძულებთან, სიცილიის დასავლეთით)

(ხანგრძლივმა ომებმა მოქანცა მოპირდაპირე მხარეები, ამიტომ ჰამილკარმა და კატულუსმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადეს, ხელშეკრულების საბოლოო პირობები კი სიცილიაში სენატის მიერ წარგზავნილმა კომისიამ ჩამოაყალიბა. ამ პირობების თანახმად კართაგელებმა რომს დიდი კონტრიბუცია გადაუხადეს და. ჰიერონისათვის დატოვებული ტერიტორიის გამოკლებით, მთელი სიცილია დაუთმეს, აგრეთვე ტყვეებიც უსასყიდლოდ დაუბრუნეს)

ომის დამთავრების შემდეგ კართაგოს დიდი შინაგანი განსაცდელი დაატყდა თავს. კართაგოს მთავრობას აუჯანყდნენ მოქირავნეები, რომელთაც მიემხრნენ მონები, აუტანელი გადასახადებით დატვირთული ადგილობრივი დაბეჩავებული მოსახლეობა და კართაგოსაგან დამოკიდებული ლიბიელები. აჯანყებულთა რიცხვი 4000 კაცს უდრიდა. აჯანყებას მეთაურობდნენ ლიბიელი მათოსი (მატონი), კამპანელი მონა სპენდიუსი და გალი ავტარიტი. აჯანყება რამდენიმე წელს გაგრძელდა (241—238 წწ.). მან ოლიგარქიულ კართაგოს დიდი გასაჭირი შეუქმნა. თვით ოლიგარქოსებს შორის ორი პარტია ებრძოდა ერთიმეორეს: ერთი აგრარიების ინტერესების დამცველი, რომელსაც ჰანონი მეთაურობდა, და მეორე სავაჭრო-სახელოსნო წრეების წარმომადგენელი, რომლის წინამძღოლი იყო ჰამილკარ ბარკა. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა და აჯანყების ჩაქრობაც ჰამილკარს მიანდეს; მან ზოგან სასტიკი ზომებით, ნაწილობრივ მოლაპარაკებისა და დათმობის გზით შეძლო აჯანყების ჩაქრობა და თავიდან ააშორა კართაგოს დიდი განსაცდელი.

(კართაგოს ასეთი გართულებული მდგომარეობით ისარგებლა რომმა და სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევით დაეუფლა კორსიკასა და სარდინიას) ხოლო კართაგელებს მათი პროტესტის პასუხად ახალი ომით დაემუქრა. ამრიგად, სიცილია, სარდინია და კორსიკა რომის იტალიისგარეშე სამფლობელოს წარმოადგენდნენ და მათ რომის პროვინციები ეწოდათ. თავდაპირველად ტერმინი „პროვინცია“ იმ დავალებას აღნიშნავდა, რომელიც მაღალ მაგისტრატს ეძლეოდა, ამ დროიდან კი ის დაპყრობილ ტერიტორიებსაც შეეხებოდა.

(პირველი პუნიკური ომის დასასრულის პერიოდი რომში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ცვლილებებით ხასიათდება. ტყვე მონების რიცხვის შესამჩნევმა ზრდამ ხელი შეუწყო მონათმფლობელური მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამასთან ერთად, გაიზარდა სხვადასხვა მხარესთან რომაელების სავაჭრო ურთიერთობა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა ფულის მიმოქცევა. მართალია, კართაგენზე ვამარჯვებამ, პირველ რიგში, რომის ნობილიტეტის მდგომარეობა გა-

ნამტკიცა, მაგრამ, მეორე მხრივ, ომის პროცესში წარმოქმნილმა პირობებმა წინ წამოსწია ეგრეთ წოდებული მხედრები — საკავშირო-ფულადი მონათმფლობელური წრეები, რომლებიც მომდევნო ხანაში უკვე საკუთარი პოლიტიკური პლატფორმით იწყებენ თავიანთი ნებისყოფის გამომჟღავნებას რომის სახელმწიფოში. მესამე მხრივ, ომი მძიმე ტვირთად დააწვა სოფლის მოსახლეობას, ღარიბი გლეხობის კოლონიებში გადაყვანა შეფერხდა, ხოლო ომით დარბეულ სიცილიაში გადასახლება მისთვის მიუწვდომელი დარჩა და დაპყრობილი ტერიტორიით უმთავრესად ისევ ნობილიტეტმა ისარგებლა. ამიტომ პლებსის წრეში კვლავ გაგრძელდა სახელმწიფო აპარატის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა.

ამ ბრძოლასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ცენტურიატული კომიციების რეფორმა, რომელსაც 241 წლით ათარიღებენ. ამ რეფორმის თანახმად ცენტურიების რაოდენობა ყოველ თანრიგში გათანაბრდა და თითოეულ მათგანს 35 ტრიბის მიხედვით უკვე 70 ცენტურია მიეკუთვნა (ტრიბაზე ორი ცენტურია), ცენტურიების საერთო რიცხვი კი 373-მდე გაიზარდა. ამრიგად, სერვიუსის ძველი დანაწილების ნაცვლად, შემოღებულ იქნა ახალი წესი, რომლის თანახმად, სახალხო კრებაში (ცენტურიატულ კომიციებში), პირველ კლასს აღარ ეკუთვნოდა წინანდელი პრივილეგია და კენჭისყრით შედეგებს უკვე არა ერთი, არამედ სამი ქონებრივი თანრიგის ხმები განსაზღვრავდა.

232 წელს სახალხო ტრიბუნმა გაიუს ფლამინიუსმა წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვით ციზალპიური გალიის მოსაზღვრე ნაყოფიერ მხარეში ახალშენები უნდა დაეარსებინათ. ამ წინადადებამ სენატორების წრეში ცხარე წინააღმდეგობა გამოიწვია, რომელსაც მისი საკუთარი მამაც კი მიემხრო. მიუხედავად ამისა, ეს წინადადება მიღებულ იქნა სახალხო კრების მიერ. არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდეგარი აგრარული კომისია, რომელსაც თვითონ ფლამინიუსი მეთაურობდა. კომისია შეუდგა კოლონიების ორგანიზაციას, მაგრამ ამ პოლიტიკამ გამოიწვია ომი გალებთან (225—222 წწ). გალები შეიჭრნენ ჩრდილოეთ იტალიაში. რომაელები ჯერ დამარცხებას განიცდიდნენ, მაგრამ უკვე 224 წელს მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა, 223 წელს კი რომაელების ჯარს სათავეში თვითონ გაიუს ფლამინიუსი ჩაუდგა (უკვე კონსული) და მალე ომი გალების დამარცხებით დამთავრდა. ახლადდაპყრობილ მხარეში რომაელებმა ახალშენები—პლაცენცია და კრემონა დააარსეს. ამით საფუძველი ჩაუყარეს პადუსის ბარის რომანიზაციას.

ძვ. წ. 320 წელს ფლამინიუსი ცენზორად აირჩიეს. თავისი მოღვაწეობით ის არა მარტო რომაელი გლეხობის, არამედ ქალაქის მოსახლეობის საკავშირო-ფინანსური წრეების ინტერესებსაც იცავდა. ალბათ,

მისი დახმარებით, სახალხო ტრიბუნმა კლავდიუსმა ისეთი კანონი გაატარა, რომელიც სენატორებსა და მათ შვილებს უკრძალავდა, გაეჩინათ საკუთარი მსხვილი სავაჭრო ფლოტი. ასეთი ღონისძიება, ცხადია, მიზნად ისახავდა ნობილიტეტის სავაჭრო ოპერაციების შეზღუდვას. ამიტომ ნობილები იძულებული ხდებიან თავიანთი სახსრები მხოლოდ სოფლის მეურნეობაში მოიხმარონ, ხოლო ვაჭრობა და ფულადი ოპერაციები მხედრებს დაუთმონ. მხედრების მზარდი პოლიტიკური აქტივობა და ეკონომიური მნიშვნელობა უკვე თავის გავლენას ახდენდა რომის საგარეო პოლიტიკაზეც.

ამავე ხანებში, რომაელებს მოუხდათ ბრძოლა ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ილირიასთან, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარში. ილირიელები გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ და სახელი გაითქვეს როგორც მეკობრეებმა. ისინი თავს ესხმოდნენ სავაჭრო ხომალდებს და შეუძლებელს ხდიდნენ ადრიატიკისა და იონიის ზღვებში სავაჭრო ქარავნების მოძრაობას. მრავალჯერ დაზარალდნენ ილირიელებისაგან რომაელი ვაჭრებიც, რამაც ბოლოს გამოიწვია რომის ომი ილირიასთან. 229 წელს რომაელებმა დაიკავეს ილირიის ხელში მყოფი კ. კერკირა და თავის მოკავშირეებად გაიხადეს ილირიის სანაპიროზე მდებარე ბერძნული ქალაქები: აპოლონია, ეპიდამნი და სხვ. ამ ომში რომაელებს ეხმარებოდა ბერძნულ პოლისთა აქაიის და ეტოლიის კავშირები. 228 წელს ომი რომის სრული გამარჯვებით დამთავრდა და რომაელები ადრიატიკის ზღვაზეც გაბატონდნენ.

ესპანეთის სანაპიროზე ფინიკიელთა პირველ ახალშენებად გადაქცეული, შემდეგ მალაკა, სექსი და აბდერიაა მიჩნეული. VI საუკუნის პოლოდან კი კართაგოს მონათმფლობელური სახელმწიფო დაეუფლა ფინიკიელთა ყველა ახალშენს ესპანეთში და თავისი საკოლონიზაციო მოღვაწეობა არა მარტო მისი სანაპიროს გასწვრივ, არამედ შიგნითაც განავითარა. მაგრამ პირველი პუნიკური ომის პერიოდში კართაგომ როგორც ჩანს, ესპანეთში დაკვემდებარებული ტერიტორიის ნაწილი დაკარგა და მან მიზნად დაისახა არა მარტო მისი მთლიანი აღდგენა, არამედ გაფართოებაც. კართაგოს სახელმწიფოში მაშინ ყველაზე გავლენიანი პირი იყო ცნობილი სარდალი ჰამილკარ ბარკა, რომელმაც, როგორც ვიცით, ჩააქრო კართაგოში ამტყდარი დიდი აჯანყება. ის ითვალისწინებდა, რომ ახალი ომი რომთან აუცილებელი იყო და სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის დაკარგვით გამოწვეული დანაკლისის აღდგენას ესპანეთში მყარი ბაზისის შექმნით ცდილობდა.

პირენეის ნახევარკუნძულის მეომარი და თავისუფლებისმოყვარე ტომები, განსაკუთრებით იბერები და კელტები მეტად საიმედო ბრძოლისუნარიან ძალას წარმოადგენდნენ კართაგელების მოჭირავნე ჯა-

რებისათვის, მაგრამ ამავე დროს ისინი ხშირად შეიარაღებულ აჯანყებებსაც აწყობდნენ.

237 წელს ჰამილკარ ბარკა სამოღვაწეოდ ესპანეთში გადავიდა, თუმცა მისი მოქმედების მოწინააღმდეგე იყო ჰანონის ძლიერი ჯგუფი, ხოლო მისი გეგმა მაინც დაამტკიცეს. ის მტკიცედ შეუდგა ამ გეგმის მიხედვით კართაგოს სამფლობელოს გაფართოებას და ამ ნიადაგზე სასტიკად ახშობდა ადგილობრივ ტომთა წინააღმდეგობას. 229 წელს ის მოკლეს იბერების ერთ ტომთან ბრძოლაში. მის მოადგილედ ჯარმა ნიში სიძე — ჰასრდუბალი აირჩია, რომელსაც კართაგოში აგრეთვე დიდი გავლენა ჰქონდა. იგი წარმატებით განაგრძობდა სამხედრო პარტიის პოლიტიკას და მნიშვნელოვნად გააფართოვა კართაგოს სამფლობელო ესპანეთში. ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირას, ვერტლის მაღაროების მახლობლად, მან დააარსა ახალი კართაგო მსხვილი სავაჭრო ნავსადგური და ძლიერი ციხე.

ჩრდილოეთ ესპანეთში კართაგელების წარმატებებმა რომაელები დიდად შეაშფოთა.

რომის სენატმა წარგზავნილი მოციქულების პირით მოსთხოვა ჰასდრუბალს ჯარებით არ გადასულიყო მდინარე იბერის (ებროს) აღმოსავლეთ ნაპირას. ჰასდრუბალის თანხმობით 226 წელს დაიდო ხელშეკრულება, რომელიც არსებითად კართაგოსათვის სასარგებლო იყო, ვინაიდან ამ მდინარის დასავლეთით მდებარე ესპანეთის დიდ ნაწილს მის სამფლობელოდ აღიარებდა, ჰასდრუბალმა თავის მხრივ გამოაცხადა კართაგოს ბატონობა ესპანეთის კუთვნილ ნაწილში და ადგილობრივ მოსახლეობას უდიდესი გადასახადები შეაწერა. მაგრამ გავიდა ხუთი წელი და 221 წელს ჰასდრუბალი მისი მეომრების თვალწინ მოჰკლა ერთმა იბერმა, რომელიც ვერავითარმა წამებამ ვერ აიძულა დაესახელებინა თავისი თანამონაწილენი და შეუდრეკლად შეხვდა სასტიკ სასჯელს.

ჰასდრუბალის სიკვდილის შემდეგ კართაგელების ჯარების ბელადი გახდა ჰამილკარის 25 წლის ვაჟი ჰანიბალი. არსებობს ცნობა, რომ ჰამილკარს ესპანეთში გამგზავრების წინ ცხრა წლის ვაჟმა ჰანიბალმა სთხოვა, მეც თან წამიყვანეო. ჰამილკარი დათანხმებულა, მაგრამ ჯერ საკურთხეველთან მიუყვანია თავისი ვაჟი და უბრძანებია ფიცი მიიღე, რომ სიკვდილამდე რომის მტერი იქნები და ყოველგვარი საშუალებით იბრძოლებ მის წინააღმდეგო.

ჰანიბალი უდავოდ განთქმული სარდალი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის თავიდანვე შეუდგა ისეთი სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, რომელიც თვითონ იტალიაში რომზე თავდასხმას გულისხმობდა. საყურადღებოა, რომ ამ გეგმის განხორციელებაში ის დიდ ადგილს აკუთვნებდა რომისაგან იტალიელი ტომე-

ბის განდგომას. 221 და 220 წლები ჰანიბალმა ცენტრალური ესპანეთის რამდენიმე ტომის დაპყრობას მოანდომა, რომ მომავლისათვის ამით თავისი ჯარების ზურგი ყოველგვარი მოულოდნელობისაგან უზრუნველეყო. 219 წელს კი მან ქალაქ საგუნტის გარემოცვა დაიწყო. ებროს სამხრეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქთა შორის მხოლოდ იბერების ქალაქი საგუნტი არ ემორჩილებოდა კართაგოს ხელისუფლებას და რომთან კავშირში იმყოფებოდა. იმის საბაბით, რომ ითქოს საგუნტელები თავს დაესხნენ კართაგოსადმი დაქვემდებარებულ ერთ-ერთ ტომს, ჰანიბალმა ალყა შემოარტყა საგუნტს; საგუნტელები მედგრად იბრძოდნენ და თავგამოდებით იცავდნენ დამოუკიდებლობას.

რომაელებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ჰანიბალს ხელი აეღო საგუნტის გარემოცვაზე, მაგრამ უშედეგოდ. რვა თვის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ საგუნტი იძულებული გახდა კართაგელებს დანებებოდა და საშინელი განადგურება განიცადა. მაშინ რომის სენატმა მოციქულები წარგზავნა კართაგოში და ჰანიბალის გადაცემა მოითხოვა. მათ მისაღებად და მოსასმენად კართაგოს სენატი ბალის ტაძარში შეიკრიბა. კამათი რომის სენატის მოციქულებსა და კართაგოს სენატის წევრებს შორის უშედეგოდ დამთავრდა. ერთადერთი განონი იყო იმის მომხრე, რომ რომის სენატის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ. ყველა დანარჩენი კართაგელი სენატორი ამის წინააღმდეგი იყო და ამით კართაგოსაც რომაელებთან ომი აუცილებლად აღიარა. ასე წარმოიქმნა მეორე პუნიკური ომი.

2. მეორე პუნიკური ომი (218—201 წწ.)

ჰანიბალმა, იმ იმედით, რომ რომაელების საბოლოო დამარცხება იტალიაში შეიძლებოდა, ურთიერთობა დაამყარა რომაელების მიერ დაპყრობილ გალებთან, რომელთაც მას დახმარება აღუთქვეს. რომაელებმაც თავის მხრივ კართაგელებთან ბრძოლა მათ ტერიტორიაზე გადაწყვიტეს. ამ მიზნით, ერთი რომაელი ჯარი აფრიკაში უნდა გადასულიყო, მეორე — ესპანეთში. მაგრამ მათ ჰანიბალმა დაასწრო, ესპანეთში მან დატოვა თავისი ძმა — ჰასდრუბალი საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალებით, ხოლო მეორე ძმის — მაგონის თანხლებით 218 წლის გაზაფხულზე გამოვიდა ახალი კართაგოდან დიდი ჯარით და რამდენიმე ათეული საბრძოლო სპილოთი, გადავიდა იბერზე, დაიპყრო ახლანდელი კატალონიის ტომები, გადალახა პირენეები და ზღვის ნაპირით მიემართებოდა, სადაც კელტების ტომები ბინადრობდნენ. როცა მისი მეომრები მდინარე როდანის (რონის) ქვედა წელთან მივიდნენ, მათ წინსვლას დიდი წინააღმდეგობა გადაეღობა: ბევრი-

ნარის მეორე ნაპირას მასალიის მოკავშირე გალების დიდი რაზმი იდგა. მაგრამ ჰანიბალმა მოხერხებულად გადალახა ეს დაბრკოლება და ჯარის მთავარი ნაწილები უვნებლად გადაიყვანა მდინარეზე. მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი და რთული დაბრკოლება იყო დასაძლევი — ალპებზე გადასვლა. ამ ოპერაციის დროს მეომრები იყინებოდნენ, ზოგს კიდევ ფეხი უსხლტებოდა და უფსკრულში ვარდებოდა. ალპების მკაცრი ბუნების გარდა მათ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ კელტების ადგილობრივი ტომები მტრულად ხვდებოდნენ. ალპებზე გადასვლა 33 დღე გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში ჰანიბალს დაეღუპა ქვეითი მეომრების ნახევარი და მხედრების მესამედი. მაგრამ, სამაგიეროდ, დარჩენილმა მეომრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს პადუსის ბარში. მათ აქ მიემხრნენ რომაელების ბატონობით უკმაყოფილო გალები, რომელთა დახმარებით ჰანიბალის ჯარმა დაისვენა, დანაკლისი ნაწილობრივ მაინც შეივსო და სურსათით მომარაგდა. რომაელები არ მოელოდნენ, რომ ჰანიბალი ასე მალე გამოჩნდებოდა იტალიაში და თითქმის ერთი თვე დასჭირდათ, ვიდრე მის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას დაიწყებდნენ.

218 წლის კონსული პუბლიუს კორნელიუს სციპიონი გამზადებული იყო ესპანეთში გასალაშქრებლად, მაგრამ იძულებული გახდა ჩრდილოეთ იტალიაში შეჩერებულიყო გალების ამბოხების გამო. ნანახელი ვერ შეუშალა ჰანიბალს, მდინარე როდანზე გადასვლაში. მან თავისი ძმა — გნეუსი ესპანეთში გაგზავნა და თვითონ იტალიაში დაბრუნდა, რომ ალპების გასასვლელებთან ჰანიბალზე ადრე მისულიყო. მეორე კონსული ტიბერიუს სემპრონიუს ლონგუსი რომაელებმა სიცილიიდან გამოიწვიეს და, ამრიგად, ექსპედიცია აფრიკაში ჩაიშალა.

პირველი შეტაკება რომაელებსა და კართაგელებს შორის პადუსის მარცხენა შენაკად ტიცინუსთან მოხდა, რომელშიც სციპიონი დაიჭრა და მისი ჯარი დამარცხდა. სციპიონმა პადუსის მარჯვენა შენაკად ტრებიასკენ დაიხია. აქ მას შეუერთდა სემპრონიუსის ჯარი, რომელიც არიმინუმიდან გამოვიდა. კვლავ მოხდა ბრძოლა, რომელიც რომაელი ჯარის სრული დამარცხებით დამთავრდა. სემპრონიუსის მხოლოდ ერთმა რაზმმა მოახერხა პლაცენციის სამხედრო კოლონიაში შეეფარებინა თავი და მისკენვე დაიხია რომაელების ჯარის ნაწილმა სციპიონის მეთაურობით.

რომაელების ტიცინუსთან და ტრებიასთან დამარცხების შემდეგ მთელი ციზალპური გალია ჰანიბალის კონტროლს დაექვემდებარა. გალების ის ტომები, რომლებიც ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, ახლა უკვე განუდგნენ რომს. დამარცხების ამბავმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა თვით რომზეც და პოლიტიკური ბრძოლის გაწვავება გამოიწვია. 217 წელს დემოკრატიულმა ჯგუფებმა კონსულად

გაიყვანეს გაიუს ფლამინიუსი, ხოლო მეორე კონსულად აირჩიეს ნობილების კანდიდატი გნეიუს სერვილიუსი. რომაელების ერთი ჯარი სერვილიუსის მეთაურობით არიმინუმში დაბანაკდა, ხოლო მეორე ფლამინიუსის მეთაურობით — არეციაში. მათ აპენინის მთების კლდეკარები უნდა დაეცვათ. ამავე დროს ჰანიბალმა გალიაში გამოიზამთრა და გაზაფხულის დამდეგს იმ მიზნით, რომ არეციაში ფლამინიუსის კარგად გამაგრებული პოზიციებისათვის გვერდი აეხვია, ჩრდილოეთ იტალიისაკენ დაიძრა და კართაგელი მეომრები 4 ღღე და 3 ღამე მკერდამდე წყალში გადადიოდნენ იმ ჭაობებზე, რომელთაც მდინარე არნოს ადიდება ჰქმნიდა; ისინი ხანგამოშვებით დაღუპულ ცხენთა გვამებზე ისვენებდნენ. ეს ოპერაცია ჰანიბალს ძვირად დაუჯდა: ბევრი მეომარი დაეღუპა. ერთის გარდა ყველა სპილო მოუკვდა, თვითონაც ცალი თვალი დაკარგა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია. რომაელების გამაგრებულ პოზიციებს შემოუარა და რომისაკენ დაიძრა. როცა ეს ფლამინიუსმა შეიტყო აღარ დაუცადა დასახმარებლად წამოსულ მეორე კონსულს და ჰანიბალის მეომრებს უკან დაედევნა, ჰანიბალმა კი ყოველი მისი მოქმედება იცოდა მზვერავთა მეშვეობით. ფლამინიუსის სამხედრო მოძრაობის გზა ტრაზიმენის ტბის მარცხენა ნაპირას ვიწრო ხეობაში მიემართებოდა.

ჰანიბალმა ჯარები მთებზე განალაგა და, როცა ვიწრო ხეობაში, სათანადო დაკვირვის გარეშე, რომაელების ჯარი შემოვიდა, მას სამი მხრივ კართაგელები დაესხნენ თავს და რომაელები სასტიკად დაანარცხეს. ბრძოლაში მოკლეს ფლამინიუსი და თითქმის მთელი მისი ჯარი გაანადგურეს. ამ ჯბაგემ რომში საგანგებო განწყობილება იქმნა, ყველას ეგონა, რომ ჰანიბალი პირდაპირ რომზე წამოვიდოდა. მაგრამ ის ჯარებით ადრიატიკის ზღვის ნაპირისაკენ დაიძრა, რათა კართაგოსთან დარღვეული კავშირი უზრუნველეყო. მან გალია უკმბრია და პიცენუმი, რომლებიც განადგურებული იყო და აპულიაში დაბანაკდა. რათა დაესვენებინა და რომაული წესის მიხედვით მოეწყო თავისი ქვეითი ჯარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი პოლიტიკის მიხედვით ჰანიბალი რომაელი მოქალაქეების მეურნეობას არ ზოგავდა, შედარებით უფრო ლმობიერად ეპყრობოდა იტალიელებს — მათ ტყვეობიდან უსასყიდლოდ ათავისუფლებდა.

რომში სენატი რამდენიმე დღე თათბირობდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ტრაზიმენის ტბასთან ფლამინიუსის დამარცხებამ და სიკვდილმა ხელი შეუწყო არისტოკრატიული პარტიის გაძლიერებას. სენატმა გადაწყვიტა დიქტატორის დანიშვნა და კანდიდატად ქვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი წამოაყენა, რომელიც კუნქტატორის (ჯანჯალის) სახელით გახდა ცნობილი. ვინაიდან ერთი კონსული მოკლეს, ხოლო მეორე რომში არ იმყოფებოდა, ფაბიუს მაქსიმუსის დიქტატორად არ-

ჩევა ცენტურიატულ კომიციებში გატარდა. ტიტე ლივიუსის სიტყვით, „რომაელებმა, როგორც იქნა ბოლოს სარდლად აირჩიეს ადამიანი, რომელიც ომის წარმართვაში კეთილგონიერებაზე უფრო ამყარებდა იმედს, ვიდრე ბრმა ბედზე". ფაბიუსი, ისე როგორც რომაელთა ჯარების მთავარსარდალი, კართაგელების დამარცხებას პარტიზანული ომისა და მათი რიგების დაუძლურების სისტემის გამოყენებით ფიქრობდა. ისტორიკოს პოლიბიოსის სიტყვით, მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ კართაგელებისათვის, რომელთაც ყველაფერი უკან დატოვეს ერთადერთი ხსნა მხოლოდ გამარჯვება იყო, მაშინ, როდესაც რომაელი მეომრების მდგომარეობა სულ სხვაგვარი გახლდათ: ისინი თავის ქვეყანაში იბრძოდნენ და ადამიანთა და სურსათის ამოუწურავი მარაგი ჰქონდათ, მაგრამ ლივიუსის გადმოცემით ფაბიუსის ტაქტიკა რომში გაკიცხვას იწვევდა და მისი ოპოზიციური წრეები მას სამშობლოს ღალატშიც კი სდებდნენ ბრალს. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ გლეხები, რომელთაც გაჭიანურებული ომები და იტალიის ტერიტორიაზე მტრის მოქმედება დიდ ზარალს აყენებდა. ამიტომ 216 წელს ფაბიუსს დიქტატორობა არ გაუგრძელეს და კონსულებად აირჩიეს ემილიუს პაულუსი, ფაბიუსის ტაქტიკის მიმდევარი და კართაგელებთან გადამწყვეტი ომის მოსურნე ტერენციუს ვარო, რომელიც ირწმუნებოდა, მტერს იმ დღესვე დავამარცხებ, როცა კი დავინახავო.

ასე შემზადდა ძველ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა.

216 წლის ზაფხულში კართაგელების ჯარი აპულიაში იდგა აუფიდიუსის ზღვის სანაპიროს მახლობლად. როცა ჰანიბალი იქ შეიჭრა, მან დაიპყრო კანე და გააშაგრა ეგი. მისი ჯარები დაბანაკდნენ ყართთო ბარში, რომელსაც კანესაგან მდინარე აუფიდიუმი ჰყოფდა.

აქვე თავი მოიყარეს რომაელების ჯარებმა ორივე კონსულის მეთაურობით. კონსულებს შორის ომის წარმართვის საკითხში თანხმობა არ სუფევდა. პაულუსი წინააღმდეგი იყო ბრძოლისა და ფაბიუს მაქსიმუსის ტაქტიკას მისდევდა, ვარო კი გადამწყვეტი სამხედრო მოქმედების მომხრე იყო. ჯარებს კონსულები რიგ-რიგობით მეთაურობდნენ და იმ დღეს, როცა უმაღლესი სარდლობა ვაროს ხელში იყო, მან მართლაც დაიწყო რომაელებისათვის საბედისწერო ბრძოლა, რომელშიაც ერთხელ კიდევ გამოჩნდა ჰანიბალის იშვიათი სამხედრო ნიჭი. რომაელების ჯარი, რომელიც რიცხობრივად ჭარბობდა კართაგელებს, სრულ გარემოცვაში აღმოჩნდა და დიდმა არევ-დარევამ და პანიკამ მოიცვა. რომაელთა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრძოლის ველზე დაიღუპა, მრავალი მეომარი კართაგელებს ტყვედ ჩაუვარდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა გაქცევით უშველა თავს;

მათ შორის იყო თვით კონსული ტერენციუს ვარო. ხოლო ბრძოლა ველზე დაღუპულთა რიცხვში იყვნენ სამხედრო ტრიბუნები, სენატორები და თვით კონსული ემილიუს პაულუსი. რომაელების ასეთმა სასტიკმა დამარცხებამ ფრიად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

რომაელები ფიქრობდნენ, რომ ჰანიბალი რომზე გამოილაშქრებდა და ყოველგვარი ღონისძიება მიიღეს ახალი გამოწვრთნილი რაზმების შესადგენად. სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ყველა რომაელი მოქალაქე 17 წლიდან დაწყებული და ისეთ უკიდურეს ზომასაც კი მიმართეს, რომ სახელმწიფო ხარჯზე 8 ათასი ახალგაზრდა მონა გამოიყიდეს და მათგან ორი ლეგიონი შექმნეს. ამასთან ერთად, რომაელებმა თავიანთ ერთგულ მოკავშირეებს მოციქულების პირით დახმარება სთხოვეს.

არც ჰანიბალის მდგომარეობა იყო მტკიცე: კართაგოდან იგი ამაოდ ელოდა დახმარებას და მისი ჯარიც შესამჩნევად დასუსტდა. ამიტომ მან რომაელების დამარცხება, უპირველესად, დიპლომატიურ მიზნებისათვის გამოიყენა, ჯერ რომაელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებას შეეცადა, მაგრამ როცა სენატისაგან უარი მიიღო, მაშინ რომაელების მოკავშირეებთან ურთიერთობა გააძლიერა და მათ თანადგომნობით იწყეს მის მხარეზე გადასვლა.

216 წელს რომს განუდგა აპულიის ქალაქების უმრავლესობა: სენტრალური სამნიუმის ტომები და, ბერძნული ქალაქების გამოკლებით, ლუკანია და ბრუტიუმი, აგრეთვე ქ. კაპუა.

კაპუაში ანტირომაულ მოძრაობას რომის კანესთან დამარცხების შემდეგ ამწვავებდა თვით ქალაქის შიგნით წარმოქმნილი სოციალური წინააღმდეგობა. კაპუას სენატი რომაელებთან კავშირის მომხრე იყო, პლებსი კი — ჰანიბალთან დაკავშირებისა. კაპუელებს ჰანიბალთან მოციქულები გაუგზავნიათ და მისთვის ასეთი საზავო ხელშეკრულება წარუდგენიათ: არც კართაგელების ბელადს და არც სენატორებს უფლება არ ჰქონდათ კაპუელ მოქალაქეთა გასამართლებისა; არც ერთი მოქალაქე არ უნდა გაეწვიათ სამხედრო სამსახურში მისი ნების გარეშე; კაპუელებს უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი კანონები და თანამდებობის პირები. ამას გარდა, კართაგელებს რომაელ ტყვეებისაგან მათთვის უნდა გადაეცათ სამასი კაცი სიცილიაში მყოფ მხედრებზე გადასაცვლელად.

თუმცა კამპანიის ბერძნული ქალაქები — კუმე და ნეაპოლისი რომის ერთგული დარჩნენ. 212 წელს ადგილობრივ არისტოკრატიზე დაყრდნობით ჰანიბალმა მაინც დაიკავა ქალაქი ტარენტუმი; მალე მას მეტაპონტმა და თურიამ მიბაძეს. ჰანიბალის მხარეზე გადავიდა სიცილიის ქალაქი სირაკუზი და ზოგი სხვაც. ამას გარდა, კანესთან რომის

დამარცხების შემდეგ ჰანიბალთან კავშირი დადო მაკედონიის მეფე ფილიპე V, რომელმაც ილირიაში ომი დაიწყო რომაელების წინააღმდეგ. მაგრამ მთელი იტალიის დაპყრობა ჰანიბალმა მაინც ვერ შეძლო და ზოგიერთი მხარე, მაგალითად, ეტრურია ბოლომდე რომის ერთგული დარჩა.

რომაელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ცენტრალურმა იტალიამ რომს არ უღალატა და მას სამხედრო შევსებაც აძლევდა. ჰანიბალის მდგომარეობა დღითიდღე რთულდებოდა. კართაგენის მმართველები ვერ ახერხებდნენ მისთვის დამხმარე ძალების მიწოდებას, თუმცა კანესთან ბრძოლის შემდეგ აქ ჩავიდა ჰასდრუბალის ძმა — მაგონი დამხმარე ჯარის იტალიაში წამოსაყვანად. ამას ელოდა, 218 წლიდან არ წყდება ბრძოლა ესპანეთში, სადაც რომის ჯარს გნეიუს კორნელიუს სციპიონი სარდლობდა, ხოლო 217 წელს იქ გაიგზავნა მისი ძმა — პუბლიუს სციპიონიც, 218 წლის კონსული, რომელიც თავის დროს ჰანიბალმა დაამარცხა. რომაელმა ჯარმა აქ ზნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ჰანიბალის ძმის — ჰასდრუბალის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ უკანასკნელის მდგომარეობა იმდენად ელვარეულდა, რომ კართაგენის ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა მაგონი დამხმარე ჯარით იტალიაში კი არა, იქ გაეგზავნა. ამის შემდეგ ესპანეთში რომაელებს წარმატებებისათვის აღარ მიუღწევიათ, ხოლო 211 წელს ძმები სციპიონები სასტიკად დამარცხდნენ და პუბლიუსი ალყაში ამოიღეს. მაგრამ რომაელები არ ფიქრობდნენ ამ მარცხს შერიგებოდნენ: 210 წელს ახალი ჯარი გაიგზავნა დაღუპული სციპიონის ვაჟი, ახალგაზრდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის სარდლობით. თუმცა იგი ახალგაზრდა იყო, პუბლიუს კორნელიუსმა თავი გამოიჩინა ჰანიბალთან ბრძოლებში, განსაკუთრებით — კანესთან. ამის გამო ფიცარეულზე კომიციებმა მას პროკონსულის უფლებები და იმპერატორი მიანიჭა. 209 წელს პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა აიღო ახალი კართაგენი და ჰასდრუბალის მდგომარეობა კატასტროფული გახდა.

241 წელს რომის ჯარი, კონსულ მარკუს კლავდიუს მარცელიუსის სარდლობით სიცილიაში გადავიდა, ხოლო სანაპიროებისაკენ გაიგზავნა ფლოტი. პრეტორის აპიუს კლავდიუსის მეთაურობით რომაელებმა სირაკუზს ხმელეთიდან და ზღვიდან ალყა შემოარტყეს. კართაგელთა ცდა, როგორმე ეხსნათ ეს ქალაქი, უშედეგოდ დამთავრდა. 211 წელს რომაელებმა შეძლეს სირაკუზის აღება და სასტიკად დაარბიეს იგი. ამ დროს დაიღუპა დიდი მათემატიკოსი არქიმედე, რომელიც ქალაქის თავდაცვაში აქტიურად მონაწილეობდა, როგორც გამოცდილი ინჟინერი. 210 წელს რომაელებს დანებდა ქალაქი აგრიგენტუმიც და კართაგელთა ჯარი იძულებული გახდა სიცილია მთლიანად დაეცალა. ეს კართაგელთა მარცხი იყო, რადგან სიცილია თავისებურ ხიდს

წარმოადგენდა აფრიკის ჩრდილო სანაპიროსა და იტალიას შორის. კავშირი კართაგოსა და იტალიაში მყოფ ჰანიბალს შორის ძალზე ძნელდებოდა.

215 წელს, როგორც აღვნიშნეთ, რომს ომი გამოუცხადა მაკედონიის მეფემ ფილიპე V (პირველი მაკედონიური ომი, 215—205 წწ.), ილირიაში რომის დამკვიდრებამ დიდად შეაშფოთა მაკედონიის მეფე, რომაელები კანესთან ბრძოლაში დამარცხდნენ. მან ჰანიბალთან კავშირი დაამყარა და რომს ომი გამოუცხადა. ფილიპე V იტალიაში კართაგელებისათვის დახმარებას ელოდებოდა, ხოლო ჰანიბალი ვალდებულებას იღებდა ფილიპესათვის მხარი დაეჭირა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სრული გაბატონებისათვის. საბერძნეთში ჩაფრინა რომის დიპლომატია; მან აუმხედრა ფილიპეს ეტოლიის კავშირი და ზოგიერთი სხვა ბერძნული ქალაქი. ანტიმაკედონურ კავშირს მიეხმარა პერგამონის მეფე ატალოს პირველი. რომმა ომში მცირე მონაწილეობა მიიღო. იგი ძირითადად სხვათა ძალებით აწარმოა. ამ გზით მან ხელი შეუშალა ფილიპე V იტალიაში გადმოსულიყო, ხოლო 205 წელს ფილიპესთან ზავს მიაღწია. საზავო პირობების თანახმად რომმა დაუთმო ფილიპეს ილირიის ზოგიერთი ოლქი. მთავარი კი ის იყო, რომ რომმა მოახერხა ხელი შეეშალა იტალიაში ფილიპესა და ჰანიბალის ერთობლივი მოქმედებისათვის.

წარმატებით მიმდინარეობდა რომაელების ბრძოლა კამპანიაში კვლავ გაბატონებისათვის. აქ მათ თავი მოუყარეს ათ ლეგიონს და კაპუას ალყა შემოარტყეს. ჰანიბალი გამოეწურა გარემოცული კაპუას დასახსნელად და აიძულა რომაელები ალყა მოეხსნათ.

მაგრამ ჰანიბალი კვლავ სამხრეთით წავიდა და რომაელებმა კაპუას გარემოცვა განაახლეს. უკან დაბრუნებული ჰანიბალი დიდად შეეცადა დახმარებოდა კაპუას, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ჰანიბალმა რომისაკენ იბრუნა პირი, რომ ასეთი დემონსტრაციით აიძულებინა რომაელები ხელი აეღოთ კაპუას გარემოკვაზე.

კართაგელები რომის მახლობლად დაბანაკდნენ. ოდითონ ჰანიბალი მხედრებით მიადგა რომის ალაყაფის კარს. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი და განგაში გამოიწვია რომში. „ჰანიბალი ალაყაფის კარებთანაა!“, გაისმა პანიკური ხმა.

ჰანიბალი მალე დარწმუნდა, რომ იერიშით რომს ვერ აიღებდა, ამიტომ მოხსნა ალყა და ტარენტის მიმართულებით იტალიის სამხრეთ ნაწილისაკენ გასწია. კაპუას დახმარებაზე ის უკვე აღარ ფიქრობდა. მარტოდ დარჩენილი კაპუელები იძულებული გახდნენ 211 წელს რომაელებს დანებებოდნენ. მათ სასტიკად გაუსწორდნენ: ბევრი სენატორი სიკვდილით დასაჯეს, სხვა წარჩინებული პირები სხვადასხვა ქალაქში გადაასახლეს და მრავალი კაპუელი მონებად გაყიდეს.

ქალაქში მხოლოდ ის ლიბერტინები, ვაჭრები და ხელოსნები დატოვეს, რომლებიც კაპუელებს არ ეკუთვნოდნენ. იტალიელებზე ამ ამბავმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ბევრისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ ჰანიბალის მზე ჩაესვენა და ამიტომ განდგომილი მხარეები და ქალაქები ჩქარობდნენ რომის ქვეშევრდომობაში დაბრუნებას.

ჰანიბალის მდგომარეობა კი თანდათან ტრაგიკული ხდებოდა. რაკი კართაგოდან მას დახმარება არ მოსდიოდა, მან დასახმარებლად ესპანეთიდან თავის ძმას მოუხმო. 208 წელს ჰასდრუბალმა გვერდი აუხვია რომაელებთან სამხრეთ ესპანეთში გადამწყვეტ ბრძოლას, ჩქარი ტემპით გადასერა პირენეის ნახევარკუნძული და გაეშურა იტალიისაკენ ჰანიბალის მარშრუტით. მან 207 წლის გაზაფხულზე გადალახა ალპები და პადუსის ბარში გალებით შეავსო ჯარის ნაწილები. ჰასდრუბალს გარკვეული გეგმა ჰქონდა დასახული. ჰანიბალი, რომელიც ჯარით ამ დროს აპულიაში იდგა, მოუთმენლად მოელოდა თავისი ძმისაგან ცნობებს. მაგრამ ჰასდრუბალის მიერ მასთან გაგზავნილი მაცნეები რომაელებს ჩაუვარდათ ხელთ და მისი წერილების შინაარსიდან გაიგეს მისი მოქმედების გეგმა.

რომაელებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები და პატარა მდინარე ვეტაურუსთან, რომელიც ადრიატიკის ზღვას არიმინუმის სამხრეთით ერთვის, ჰასდრუბალი დაამარცხეს და მოკლეს. რომაელებმა მას თავი მოაჭრეს და ჰანიბალს გაუგზავნეს.

ამასთან ერთად, იმავე 207 წელს სციპიონმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ესპანეთში კართაგელების შეერთებულ არმიებზე. ამით ბოლო მოეღო კართაგელების ბატონობას პირენეის ნახევარკუნძულზე.

მაგონმა დარჩენილი ჯარით ჯერ ზღვისპირა ქალაქ გადესში დაიხია და მერე ბალეარის კუნძულებზე გადავიდა. სციპიონი კი, რომლის ავტორიტეტი დიდად გაიზარდა, რომში დაბრუნდა და 205 წელს კონსულად აირჩიეს. მან გადაწყვიტა ომი აფრიკაში გადაეტანა და იქ მიეყენებინა კართაგოსათვის სასიკვდილო ჭრილობა. მიუხედავად ოპოზიციისა, მისი გეგმა მიღებულ იქნა.

ამავე დროს, მაგონმა სცადა უკანასკნელად მიშველებოდა იტალიაში ძმას და რომაელები აფრიკაში გალაშქრებისაგან შეეჩერებინა. ის მცირე ფლოტით გადავიდა ლიგურიის სანაპიროზე, დაიკავა გენუა და ურთიერთობა დაამყარა გალებთან, მაგრამ მათ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს. ის შეეცადა ლიგურიიდან წასულიყო ძმის დასახმარებლად, მაგრამ ბრძოლაში დაიჭრა და მალე გარდაიცვალა.

სციპიონი 204 წელს 25 ათასი მეომრით გადავიდა აფრიკაში, უტიკის მახლობლად. მაშინ კართაგოს სენატმა ჰანიბალი იტალიიდან გამოიწვია. წამოსვლის წინ ჰანიბალმა ყველა იმ იტალიელის ამოხოცვა ბრძანა, რომელთაც არ მოისურვეს მასთან ერთად აფრიკაში გამგზავრება.

აფრიკიდან წამოსული ჰანიბალი ლეპტისში გადმოვიდა და იქ გაატარა ზამთარი. მისი დაბრუნებით გათამამებულმა სამხედრო პარტიამ შეწყვიტა რომაელებთან სამშვიდობო მოლაპარაკება და ამით ომის გაგრძელება გამოიწვია. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 202 წელს ქალაქ ზამასთან, კართაგოს სამხრეთით. რომაელებს დიდი დახმარება აღმოუჩინა კართაგოს მოქიშპე ნუმიდელების მეფემ — მასინისამ თავისი საუკეთესო ცხენოსანი მეომრებით. ბრძოლაში ზამასთან ჰანიბალმა თავის ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი დამარცხება განიცადა. კართაგო იძულებული გახდა რომთან მძიმე საზავო ხელშეკრულება დაედო: 50 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა 10 ათასი ტალანტი კონტრიბუცია, ხელი უნდა აეღო მხარის გარდა ყველა თავის საფლობელოზე და თუმცა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ ომის წარმოების უფლება არ ჰქონდა, თუ რომის სენატის ნება არ იქნებოდა. ათი სადარაჯო გემის გამოკლებით მთელი მისი ფლოტი რომაელებს გადაეცა და ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით წარჩინებული ოჯახების წრიდან 100 მძევალი წარიგზავნა. სამაგიეროდ, თავის მოკავშირე მასინისას რომაელებმა დაუქვემდებარეს როგორც თავისუფალი, ისე კართაგოს ხელქვეითი ნუმიდელი ტომები.

ასე დამთავრდა მეორე პუნიკური ომი, რომელიც კართაგოს საზელმწიფოს ძლიერების დასასრული იყო. მისი განთქმული სარდალი ჰანიბალი კი პოლიტიკურ მოღვაწეობას შეუდგა და 196 წელს სუფეტად აირჩიეს. ის დემოკრატიული რეფორმების გატარებას შეეცადა, სასტიკი კონტროლი დააწესა ფინანსებზე და ამ გზით ისეთი შესაძლებლობა შექმნა, რომ მოქალაქეები კონტრიბუციის გადახდით არ ყოფილიყვნენ დატვირთული. მანვე არჩევითი სისტემის პრინციპზე მოაწყო 104-ის საბჭოს ორგანიზაცია. მისმა ასეთმა მოღვაწეობამ დიდად აღაშფოთა ოლიგარქიული პარტია, რომელმაც, ალბათ, ჰანიბალი რომაელებთან დაიბეზღა. 195 წელს კართაგოში გამოცხადდნენ რომის მოციქულები ჰანიბალის გადაცემის მოთხოვნით. მაგრამ ჰანიბალმა არ მოუცადა დაპატიმრებას და სირიაში გაიქცა მეფე ანტიოქოზ III-თან.

რომისათვის ამ ომში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: იტალიის მსხვილი სახელმწიფოდან რომი ახლა უძლიერესი მონარქიულობელური სამფლობელო, მთელი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰეგემონი გახდა. ამასთან ერთად, იწყება მისი ექსპანსიის ახალი პერიოდი — ელინისტური აღმოსავლეთის მხარეებში შეჭრა, რაშიც მას ელინისტური სახელმწიფოების რთული საერთაშორისო მდგომარეობა და შინაგანი კრიზისი უწყობს ხელს.

თავი მეშვიდე

რომის საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში

1. რომი და აღმოსავლეთის ელინისტური სახელმწიფოები

მეორე პუნიკურ ომში გამარჯვებისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის დასავლეთ ნაწილში გაბატონების შემდეგ დაიწყო რომის საგარეო პოლიტიკის ახალი ეტაპი, როდესაც მთავარი და ძირითადი გახდა აღმოსავლეთის ელინისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობა. ბერძნულ ქალაქებსა და ელინისტურ სამეფოებთან ურთიერთობა რომს ჯერ კიდევ ილირიასთან ომისა და პირველი მაკედონიური ომის დროს ჰქონდა; მაგრამ ეხლა ეს ურთიერთობა უფრო მჭიდრო და სისტემატური ხდებოდა. რომს თავისი საგარეო ექსპანსიის მახვილი ეხლა აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიმართული და აქ მას შეტაკება უხდებოდა სწორედ დიდ და მცირე ელინისტურ სამეფოებთან, რომელთაგან უმთავრესი იყო პტოლემეოსების (ლაგიდების) ეგვიპტის სამეფო, სელევკიდების სირიის სამეფო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის აზიური ნაწილის უმეტეს ოლქებს მოიცავდა და მაკედონიის სამეფო, რომელშიაც ანტიგონე „ცალთვალას“ შთამომავლები — ანტიგონიდები მეფობდნენ. ამას გარდა, აზიაში მდებარეობდა უფრო მცირე ელინისტური სახელმწიფოები: კაპადოკიის, პონტოს, ბითვინიის, გალატიის, პერგამონის სამეფოები და კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით — პართიის სამეფო.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ძველი რომის ელინისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, საჭიროა გავითვალისწინოთ ამ სახელმწიფოების მდგომარეობა მოცემულ პერიოდში.

დავიწყოთ ლაგიდების, ანუ პტოლემეოსების ეგვიპტიდან. ამ სახელმწიფოს ეგვიპტის ფარგლებს გარეთ ემორჩილებოდა კირენაიკა, სირიის სანაპიროს უმეტესი ნაწილი, კუნძული კვიპროსი და ზოგიერთი სხვა კუნძული და ეგეოსის ზღვისპირა 6 ქალაქი. მაგრამ ამ დროს ეგვიპტე უკვე შესამჩნევად დაუძლურდა, რისი მთავარი მიზეზიც შინაური სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა იყო.

203 წელს გარდაიცვალა მეფე პტოლემაიოს IV ფილოპატორი და მეფედ გამოაცხადეს ხუთი წლის პტოლემაიოს V ეპიფანე. მის დროს, რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი მედროვე მეორეს სცვლიდა და

ამ მოვლენას ზოგჯერ თან სდევდა პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა ეგვიპტის შიგნით.

ფილიპე V მაკედონელი, რომელიც რომთან პირველი ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულების მიხედვით იძულებული იყო ხელი აეღო ხანგრძლივ მომარჯვებულ აგრესიულ პოლიტიკაზე. ცდილობდა ესარგებლა ეგვიპტის შინაგანი გართულებული მდგომარეობით და დაპატრონებოდა მის სამფლობელოს ეგეოსის ზღვასა და მცირე აზიაში. ამასვე ისახავდა მიზნად სირიის მეფე ანტიოქოზ III, დიდად წოდებული. ამასთან დაკავშირებით, ვიდრე საუბარს გავაგრძელებდეთ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ სელევკიდების სირიას და მის მეზობელ მოსახლეობას.

ელინისტურ სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდი იყო სირიის სელევკიდების სამეფო. მასში თავდაპირველად შედიოდა მიდია, პერსიდა, სუზიანა (ელამი), ბაქტრია და პართია; შემდგომ მანვე შეიერთა ჩრდილო შუამდინარეთი, ჩრდილოეთი სირია და მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ეს უზარმაზარი სამეფო სამეურნეო, კულტურული და ეთნიკური მხრივ განსხვავებული ტომებისა და მხარეებისაგან შედგებოდა, რომლებშიც ძლიერი იყო განდგომის ტენდენციები. სელევკიდების ხელისუფლება მანამდე იყო მტკიცე, ვიდრე მის დასაყრდენ საფუძველს წარმოადგენდნენ ბერძნულ-მაკედონური წრეები, ჯარი და აგრეთვე ადგილობრივი საზოგადოების ზედა ფენები. როცა ეს საფუძველი შეირყა, სელევკიდების სამეფოს დაუძლურება დაეტყო.

III საუკუნის მეორე ნახევარში სელევკიდების სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებში წარმოიქმნა პართიის სამეფო. პართიელების ნახევრადმომთაბარე ტომები კასპიის ზღვის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებში ბინადრობდნენ. ძვ. წ. 250 წელს მათ აჯანყება მოაწყვეს ბერძენ-მაკედონელთა წინააღმდეგ. გადმოცემის მიხედვით აჯანყების მეთაური იყო არშაკი, რომლის ისტორიულობა ზოგიერთ მკვლევარში ეჭვს იწვევს. არსებობს აზრი, რომ ნამდვილად პართიის სახელმწიფოს დამაარსებელი იყო მითრიდატე I (171—138 წწ.), რომელმაც დაიპყრო მიდია, პარსი, არმენია და შუამდინარეთი.

პართიის განდგომის შემდეგ, მართალია, სელევკოს II ცდილობდა იქ თავისი მეუფება აღედგინა, მაგრამ მის სახელმწიფოში დაწყებულმა დინასტიურმა განხეთქილებამ აიძულა იგი უბრძოლველად საჩქაროდ უკან გაბრუნებულიყო. არშაკიდების სამეფომ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაში.

სელევკიდების სამეფოს შინაგანი მღელვარებით და გარეგანი დაუძლურებით სარგებლობდნენ მცირე აზიის დინასტიებიც. განსაკუთ-

რებულ მნიშვნელობას აღწევს ამ დროს პერგამონის შედარებით პატარა ელინისტური სახელმწიფო, რომელსაც ატალიდები განაგებდნენ. ამ სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობდა ქალაქი პერგამონი, რომელიც ზღვიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. პერგამონში იმყოფებოდნენ სახალხო კრება, საქალაქო საბჭო, არჩეული თანამდებობის პირები, ფილები და დემები. გათხრებმა პერგამონში ბრწყინვალედ დაადასტურეს ატალიდების სახელმწიფოს სიმდიდრე. მრავალრიცხოვანი ქანდაკება, სურათი, მშვენიერი მოზაიკა უხვად ამკობდა სასახლეებსა და ტაძრებს. აღსანიშნავია, რომ პერგამონის ბიბლიოთეკაში ორას ათასზე მეტი ხელნაწერი ინახებოდა.

პერგამონის მეფის — ატალოს I (241—197 წწ.) მეფობის უკანასკნელ წლებში დაისახა ახალი რომაული ორიენტაციის პოლიტიკა. მართალია, ამ პოლიტიკის წყალობით პერგამონი რომაელი მევახშეებისა და მეომრების მფარველობით და დახმარებით სარგებლობდა, მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, თუ რა შედეგი მოჰყვა რომაელების ასეთ „მზრუნველობას“ მასზე.

პერგამონის მეფეები აარსებდნენ გიმნაზიებს, მფარველობდნენ ბერძნულ ქალაქებს და მუდმივი კავშირი ჰქონდათ დელფოსა და დელოსთან.

მართალია, სელევკიდების სამეფო ყოველ ღონეს ხმარობდა, დაუფლებოდა მცირე აზიის ყველა დამოუკიდებელ მხარეს, მაგრამ პერგამონის გარდა დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს აგრეთვე სხვა ადგილობრივმა სახელმწიფოებმაც — ბითვინიამ, გალატიამ, კაპადოკიამ და პონტომ.

ბ ი თ ვ ი ნ ი ა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებით გამოირჩეოდა. პოლიტიკური ხელისუფლება აქ ადგილობრივ დინასტიას ეკუთვნოდა, რომელსაც სელევკიდების პრეტენზიების თავიდან აცილების პროცესში კავშირი დაუმყარებია სანაპიროს ცნობილ ბერძნულ ქალაქებთან — ჰერაკლეასა და ბიზანტიონთან და ეგვიპტის მბრძანებელ პტოლემაიოს ფილადელფოსთან და შემდგომ ხელშეკრულებით დაკავშირებია მეზობელ სახელმწიფოს — გალატიას. ასეთ კავშირს მართლაც ბითვინიელებისათვის ისეთი დახმარება აღმოუჩენია, რომ მათ თავიდან აუცილებიათ სელევკიდების მიერ დაპყრობის განსაცდელი. აღსანიშნავია, რომ ბითვინიაში 264 წელს დაუარსებიათ ბერძნული სახის ცნობილი ქალაქი ნიკომედია, რომელიც მისი სატახტო ქალაქი გამხდარა.

გ ა ლ ა ტ ი ა ოდესღაც ფრიგიის სამეფოს ცენტრალური მხარე

იყო: III საუკუნის დასაწყისში აქ დამკვიდრდნენ გალატები, რომლებიც ტომობრივი წყობის სტადიაში იმყოფებოდნენ. პირობები ამ ტომების შემდგომი განვითარებისათვის შედარებით არახელსაყრელი აღმოჩნდა. ძლიერ სახელმწიფოთა რკალში მომწყვდეული გალატია მოწყვეტილი იყო ზღვისკენ გასასვლელს და იმ მაგისტრალებს, რომლებზეც საგაჭრო გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა.

გალატების მეომარი ტომები მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ მეზობელ კაპადოკიას.

კ ა პ ა დ ო კ ი ა თავდაპირველად მცირე აზიის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს ეწოდებოდა ტავრის ჩრდილოეთით. უფრო გვიან შავ ზღვასა და ჩრდილოეთით მდებარე ქედებს შორის არსებულ ვიწრო ზოლს პონტოს კაპადოკიას, თუ უბრალოდ პონტოს უწოდებდნენ, საკუთრივ კაპადოკიამ, ანუ დიდმა კაპადოკიამ III საუკუნის პირველ ნახევარში სელევკიდებისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და საკუთარი დინასტია გაიჩინა. III საუკუნის ნახევარში გალატები კაპადოკიის დასავლეთ მხარეებს დაეუფლნენ.

პ ო ნ ტ ო ს სახელმწიფო მცირე აზიაში IV საუკუნის მიწურულში წარმოიქმნა. პონტოს სამეფო მას იმიტომ დაერქვა, რომ შავი ზღვის, ანუ პონტოს სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა. მასში შედიოდა პონტოს სანაპირო, მთიანი მხარე მისგან სამხრეთით და კაპადოკიის ნაწილი მდინარე ჰალისის აღმოსავლეთით, ხოლო მხარე ბითინიასა და პონტოს შორის — პაფლაგონია დიდხანს დამოუკიდებელი იყო. პონტოს სამეფოში შედიოდა როგორც სანაპიროს, ბერძნული სავაჭრო ქალაქები — ტრაპეზუნტი, ამისო და სინოპი (ახლანდელი სამსუნი), ისე სოფლები. სადაც მთავარ სოციალურ ძალას მდიდარი მიწათმფლობელები წარმოადგენდნენ. პონტოს სამეფოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სატაძრო ცენტრებს. მათ ჰქონდათ დიდი მამულები და ათასობით ჰიეროდული ჰყავდათ.

2. მეორე ომი მაკედონიასთან (200—197 წწ.)

ასეთი იყო ზოგადად მდგომარეობა ელინისტურ სახელმწიფოებში, როდესაც მაკედონიის მეფემ ფილიპე V და სირიის მეფემ ანტიოქოზ III განიზრახეს ესარგებლათ ეგვიპტის დაუძლურებით და 203 წელს ურთიერთშორის ეგვიპტის სამფლობელოთა განაწილების კავშირი დაიდეს. ფილიპე V შეუდგა ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და მცირე აზიაში მდებარე პტოლემაიოსებისაგან დამოკიდებული ქალაქების დაპყრობას, რაც საფრთხეს უქმნიდა ათენის პურით მომარაგებას და რაც პერგამონისა და როდოსის ინტერესების შებღალვა იყო. ამ ნია-

დაგზე დაიწყო ომი, ერთი მხრივ, როდოსსა და პერგამონს და, მეორე მხრივ, მაკედონიას შორის. ომი მაკედონიის უპირატესობით მიმდინარეობდა. ამავე დროს, ანტიოქოზმა დაამარცხა ეგვიპტელი ჯარები და ადვილად დაეპატრონა კელესირიას, ფინიკიასა და პალესტინას

ამ ამბებმა რომის სახელმწიფოს ხელმძღვანელები დიდად შეაშფოთა, ამასთან ერთად, რომს დახმარებისათვის მიმართეს ეგვიპტემ, პერგამონმა და როდოსმა. რომში მოვიდნენ დაინტერესებული ელინისტური სახელმწიფოებისა და ქალაქების ელჩები. ფილიპეს წარუდგინა ულტიმატუმი, რომლის თანახმად მას ეგვიპტისათვის უნდა დაებრუნებინა წართმეული სამფლობელო, შეეწყვიტა საომარი მოქმედება ბერძნების წინააღმდეგ და სამედიატორო სასამართლოსათვის ენდაეცა მაკედონიას, პერგამონსა და როდოსს შორის არსებული სადავო საკითხები. ფილიპემ უარი განაცხადა ასეთი ულტიმატუმის შესრულებაზე და ომი გარდუვალი გახდა.

ფილიპეს წინააღმდეგ შედგა კოალიცია, რომელშიც რომის გარდა მნიშვნელოვან როლს პერგამონი და როდოსი ასრულებდნენ. ბერძენელები ამ შემთხვევაშიც მოხერხებულად სარგებლობდნენ ბერძნული ქალაქების განთავისუფლების დემაგოგიური ლოზუნგით და ომის მსვლელობაში ანტიმაკედონიურ კოალიციას შეუერთდნენ აგრეთვე ეტოლიელები და შემდეგ აქაელების კავშირიც. რომის დიპლომატიურ მიღწევას ისიც წარმოადგენდა, რომ ანტიოქოზ III თავი ვალდებულად სცნო, არ დახმარებოდა ფილიპეს რომთან ომში.

რომაელებმა ჯარის ნაწილი ათენს გაუგზავნეს დასახმარებლად, მათი მთავარი ნაწილი კი მაკედონიას შეესია. თავდაპირველად ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ფილიპემ შეძლო შეენარჩუნებინა კორინთო და პელოპონესში მნიშვნელოვანი ციხე არგოსიც კი აიღო. მაგრამ 197 წელს მოკავშირეების დახმარებით რომაელების ჯარმა, რომელსაც პროკონსული ტიტე ფლამინიუსი მეთაურობდა, კინოსკეფალთან (თესალიაში) სასტიკად დაამარცხა მაკედონიელების ლაშქარი. დადებული საზავო ხელშეკრულების პირობები მძიმე იყო ფილიპესათვის: მან დაკარგა ყველა დაპყრობილი ადგილი მცირე აზიაში, ეგეოსის ზღვაზე და საბერძნეთში და მისი სამფლობელო მხოლოდ საკუთრივ მაკედონიის ტერიტორიით განისაზღვრა; რომაელების სასარგებლოდ მას უნდა გადაეხადა ათასი ტალანტი; უნდა გადაეცა ფლოტი ექვსი ხომალდის გამოკლებით და ხმელეთის ჯარი 5 ათას მეომრამდე უნდა შეემცირებინა. ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული ბერძნული ქალაქების თავისუფლების აღიარებას. საბერძნეთში წარგზავნილ იქნა რომის სენატის კომისია ტიტე ფლამინიუსის თავმჯდომარეობით. 196 წელს ისთმოსის ასპარეზობის დროს ფლამინიუსმა დიდი ზეიმით გამოაცხადა ბერძენ-

თა ქალაქების თავისუფლება. დამსწრენი ამ ამბავს დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ და, როცა ედიქტი მაუწყებელმა მეორედ წაიკითხა, ისტორიკოს პოლიბიოსის გადმოცემით, ტაშის ისეთი გრიალი ამტყდარა, რომლის წარმოდგენაც კი ძნელიაო. მაგრამ გამოცხადებული თავისუფლება წმინდა რომაული ხასიათისა იყო. რომაელები თავისი შეხედულებით აწესებდნენ ბერძნული ქალაქების საზღვრებს და თვითნებურად ანაწილებდნენ მათ აქაიასა და ეტოლიის კავშირებში. ერთი მხრივ, მათ აღიარეს კორინთოს თავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, მის სამაგრე აკროკორინთში თავისი გარნიზონი ჩააყენეს. თავის ხელქვეითად დატოვეს მათ აგრეთვე ქალაქები დემეტრიადა თესალიაში და ქალკიდა ევბეაზე. სენატის კომისიისა და ელჩების დახმარებით რომი საბერძნეთის პოლისების შინაურ საქმეებშიც ერეოდა. ფლამინიუსი დემოსის არისტოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელს უჭერდა მხარს და არისტოკრატიის წრეში აშკარად სცემდნენ მას პატივს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია სპარტის ტირანის ნაბისის ამბავი. როგორც ჩანს, ვიდრე რომაელები ფილიპეს ებრძოდნენ, ისინი ნაბისთან კავშირში იმყოფებოდნენ, მაგრამ როგორც კი ბრძოლა დამთავრდა, 195 წელს, მას ყველა ბერძენის სახელით ომი გამოუცხადეს, ვითომდა ბერძნების ყოველგვარი ტირანიისაგან განთავისუფლების მიზნით; საქმე ის არის, რომ პოლიბიოსის გადმოცემით ნაბისი ყველა დევნილს მფარველობდა და მონებსაც კი ათავისუფლებდა და, მაშასადამე, თავისი მოღვაწეობით ბერძნული ქალაქების მონათმფლობელური არისტოკრატიის დიდ გულისწყრომას იმსახურებდა. ნაბისი იძულებული გახდა ხელი აეღო არგოსზე, პელოპონესის სანაპიროზე მდებარე სხვა ქალაქებზე და კრეტაში მთელ სამფლობელოზე. არსებითად იგი მხოლოდ სპარტის მხარით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბერძნების ვითომდა განმათავისუფლებელმა რომაელებმა აუარებელი სიმდიდრე გამოზიდეს საბერძნეთიდან, გარდა ოქროსი და ვერცხლისა. თუ ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლს დავუჯერებთ, რომაელებმა დამარცხებულთ ჩამოართვეს არა მარტო მოძრავი ქონება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მამულები და სახლებიც, რასაც შემდგომ გამოსყიდვით უბრუნებდნენ.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი საქმიანობა ბერძნების „განმათავისუფლებელი“ რომაელებისა მათს წრეში უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა. ეს უკმაყოფილება განსაკუთრებული სიძლიერით მაშინ გამოვლინდა, როცა ევროპის ნიადაგზე უკვე ფეხდადგმული რომაელების უძლიერესი მოწინააღმდეგე და მეტოქე, სირიის მეფე ანტიოქოს III თავისი ლაშქრით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადმოვიდა.

ამრიგად, რომაელების მიერ განთავისუფლებისას დაზარალდნენ არა მარტო პრომაკედონური ორიენტაციის ბერძნული პოლისები, არამედ რომის მომხრეებიც, რომაულ ხელმძღვანელობას ბერძნული პოლისების თავისუფლება ისე ესმოდა, როგორც უცხო ჯარებისაგან და გარედან თავსმოსვეული კანონებისაგან მათი განთავისუფლება. მაგრამ რომაელები ინარჩუნებდნენ საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს კონტროლს. თავისი ჯარების გამოყვანაც კი საბერძნეთიდან მათ შედარებით გვიან დაამთავრეს.

3. ომი რომსა და ანტიოქოზ III შორის და მისი შედეგები

ფილიპესა და რომს შორის ომის დროს ანტიოქოზმა თავი აარიდა თავის მოკავშირის დახმარებას და მთელი ყურადღება სელევკიდების მონარქიის ძველ საზღვრებში აღდგენას მიაპყრო. ერთი მხრივ, მან წარგზავნა ხმელეთის ჯარი სარდში, ხოლო მეორე მხრივ, ფლოტის საშუალებით დაიპყრო ეგვიპტელი პტოლემაიოსების კუთვნილი ზღვისპირა ქალაქები კილიკიაში, ლიკიასა და კარიაში.

ამასობაში რომაელებმა ომი ფილიპესთან უკვე დაამთავრეს და განსაზღვრული ხელშეკრულება დადეს, ანტიოქოზ III კი იწყებს იმ ქალაქების დაპყრობას მცირე აზიასა და თრაკიაში, რომლებიც რომმა ის-ის იყო მაკედონიის ბატონობისაგან გაათავისუფლა. მცირე აზიის ზოგიერთმა თავისუფალმა ქალაქმა, ლამპსაკმა, ალექსანდრიამ (ტროადაში) და სმირნამ რომაელებთან იჩივლეს ანტიოქოზის ასეთი მოქმედების გამო. 196 წელს რომაელი ელჩები შეხვდნენ ანტიოქოზს და მოსთხოვეს, დაებრუნებინა ეგვიპტის მეფისათვის მისგან მიტაცებული ქალაქები და გაენთავისუფლებინა ბერძნული პოლისები ევროპასა და აზიაში. მაგრამ მოლაპარაკება ამ საგანზე უშედეგოდ ღამთავრდა და წარმოიქმნა პირველი მნიშვნელოვანი ბზარი რომისა და ანტიოქოზის ურთიერთობაში. ამას გარდა, რომის სენატმა უარყო ანტიოქოზის წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ პერგამონის მეფე საფუძვლიანად შიშობდა, რომ ანტიოქოზის სამფლობელო მის სამეფოს — პერგამონსაც შთანთქავდა, ამიტომ ის უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა რომაელებს და აქეზებდა მათ სირიის წინააღმდეგ ომის დაწყებაზე.

195 წელს, როგორც ვიცით, მონათმფლობელური კართაგენის სახელგანთქმული სარდალი ჰანიბალი იძულებული იყო ანტიოქოზთან შეეფარებინა თავი. ჰანიბალმა ანტიოქოზს ფართო ანტირომაული კოალიციის გეგმა მიაწოდა. ამ გეგმით რომის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა კართაგენსაც უნდა მიეღო. მაგრამ ანტიოქოზმა ამჯობინა ისევ საბერძნეთის იმ პოლისებს დამყარებოდა, რომლებიც რომაელთა

უკმაყოფილონი იყვნენ. ამ დროს ბერძნული პოლისები ორ მოპირდაპირე ბანაკად იყვნენ დაყოფილი.

ტიტე ლივიუსის გადმოცემით „წარჩინებული და კეთილგანმზრახველი“ ადამიანები რომაელებთან კავშირს ემხრობიან, ხოლო „ბრბოს და იმათ, რომელთა საქმეები მათს სურვილებს არ შეესაბამება, სურთ საერთო გადატრიალებაო“. როგორც ჩანს, ოლიგარქიული პრორომაული დაჯგუფება ჭარბობდა ანტირომაულს. ამიტომ ანტიოქოზის მხარე მიუღიათ მხოლოდ ეტოლიისა და ბეოტიის კავშირებს. რომაელების დიპლომატიის მიღწევად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მათ მოახერხეს ფილიპეს დათანხმება, არ დახმარებოდა თავის ყოფილ პოკავშირეს ანტიოქოზ III და ისიც პირიქით, რომს უწევდა დახმარებას. რომს ეხმარებოდნენ აგრეთვე როდოსი და პერგამონი.

192 წელს ანტიოქოზი თავისი ლაშქრით საბერძნეთში გადავიდა. ომის პროცესში დიდი განადგურება განიცადეს ორი მებრძოლი უცხო ჯარების მხრივ ჩრდილოეთმა და შუა საბერძნეთმა.

საბერძნეთიდან გამოდევნილმა ანტიოქოზ III თერმოპილის კლდეკარში სასტიკი დამარცხება განიცადა. ამიტომ ის შეეცადა ეოლიაში გამაგრებულიყო და ჰელესპონტზე რომაელების გადასვლისათვის ხელი შეეშალა. მაგრამ სირიის ფლოტის დამარცხების შემდეგ ის იძულებული იყო, თრაკია დაეტოვებინა და ომი მცირე აზიაში გადაეტანა, რომაელებმა 190 წელს ბრძოლის ველზე წარგზავნეს ლუციუს კორნელიუს სციპიონი, რომელსაც ლეგატად თან ახლდა მისი ძმა, კართაგოსთან მეორე ომის ცნობილი გმირი, პუბლიუსი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მაგნესიასთან. ანტიოქოზ III კვლავ სასტიკი დამარცხება განიცადა. დამარცხების შემდეგ მას განუდგა მცირეაზიური ქალაქები, ერთდროულად იარაღი დაყარეს მისმა მოკავშირე ეტოლიელებმა და, საერთოდ, მის გარშემო ისეთი პირობები წარმოიქმნა, რომ იძულებული გახდა რომაელებისათვის სამშვიდობო ზავი ეთხოვა. რომის სენატის მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი 188 წელს დამტკიცდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, ანტიოქოზი ვალდებული იყო ხელი აეღო ყველა თავის საკუთრებაზე ევროპასა და აზიის ტავრის ჩრდილოეთით, დაებრუნებინა ტყვეები, გადაეცა ყველა სპილო და ათი ხომალდის გამოკლებით მთელი ფლოტი და გადაეხადა კონტრიბუცია რომაელებისა და პერგამონისათვის. ანტიოქოზის მცირეაზიელი მოკავშირეები განადგურებულ იქნენ. ჩამორთმეული ტერიტორია ნაწილობრივ როდოსსა და ნაწილობრივ პერგამონს გადაეცა, ხოლო ზოგიერთი ქალაქი თავისუფლად იქნა გამოცხადებული.

ხელშეკრულების ძალით ანტიოქოზს რომაელებისათვის უნდა გა-

დაეცა მასთან თავშეფარებული ჰანიბალი, ამიტომ რომის ეს უდიდესი მტერი იძულებული იყო ჯერ კრეტაზე გაქცეულიყო და მერე ბითვინიაში, სადაც რამდენიმე წელი ცხოვრობდა. მაგრამ მას აქაც არ აძლევდნენ მოსვენებას და, როცა შეიტყო, რომ ის ბითვინიის მეფემაც გასცა და მისი სახლი უკვე მკვლელებით იყო გარემოცული, 183 წელს თავი მოიწამლა, იმავე წელს შემთხვევით გამოესალმა წუთისოფელს მისი მძლეველი სციპიონ აფრიკელიც.

სელევკიდების სახელმწიფოზე რომის გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემდგომი გაძლიერებისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში მისი მნიშვნელობის ფრიად გაფართოებისათვის. სხვათა შორის, საყურადღებოა ისიც, რომ თავის დიპლომატიური ხერხით მან როდოსსა და პერგამონში გაბატონებული კლასების გული ისე მოიგო, რომ მათში მტკიცე პოლიტიკური დასაყრდენი ეძიებოდა.

ხოლო სელევკიდების სახელმწიფო ფიდად შეარყია რომთან დამარცხებამ. მას განუდგნენ არმენია და სოფენა და საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს აღმოსავლეთის სატრაპები ამბოხებამ მოიცვა. ამიტომ ანტიოქოზი იძულებული იყო გაელაშქრა აღმოსავლეთით, რათა ამბოხებული სატრაპიები დაემშვიდებინა, გამდგარი მხარეები უკან დაებრუნებინა და თავისი ხელისუფლება კვლავ განემტკიცებინა.

როცა ანტიოქოზი ელიმაიდის ბელას ტაძარს ძარცვავდა იმ მიზნით, რომ რომაელების კონტრიბუციის გასანაღდებელი სახსრები მოეპოვებინა, იგი იქვე მოკლეს.

როგორც აღვნიშნეთ, ომში დამარცხებამ თან მოიყვა სელევკიდების მონარქიის არა მარტო საგარეო მდგომარეობის შერყევა, არამედ შინაური ვითარების გართულებაც. სელევკიდების სახელმწიფოში იზრდება ხელქვეითი ტერიტორიების ექსპლუატაცია, რასაც თან სდევს ადგილობრივი მოსახლეობის სელევკიდების ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმა იუდეაში მიიღო.

4. მესამე ომი მაკედონიასთან

მეორე ომში დამარცხების შემდეგაც ფილიპე არ შერიგებია თავის ბედს და მაკედონიაც საბოლოოდ დაუძლურებულად არ მიუჩნევია. მართალია, რომთან დადებული ხელშეკრულების თანახმად მას თავისი სახმელეთო ჯარი 5 ათას მეომრამდე უნდა შეემცირებინა, მაგრამ ანტიკური წყაროების გადმოცემით, იგი მოხერხებულად უვლიდა გვერდს ამ მოთხოვნას: ფილიპე ყოველწლიურად ათავისუფლებდა 4 ათას გაწვრთნილ მეომარს და მათ ნაცვლად ახლებს იწვევდა. ამ

გზით თითქოს ხელშეკრულების პირობა არ ირღვეოდა, იმავე დროს მაკედონიის ჯარში არც მეომართა შეზღუდული რიცხვი რჩებოდა. რომი კვლავ უნდობლობით და ეჭვით უცქეროდა ფილიპეს მოქმედებას. რომის სენატი ყოველგვარად ცდილობდა ხელი შეეშალა ფილიპეს მოქმედებისათვის, იღებდა და ისმენდა მასზე შემოტანილ საჩივრებს და ულტიმატუმს ულტიმატუმზე უგზავნიდა. თვით ფილიპეს ოჯახში გაიჩინეს რომაელებმა თავიანთი ორიენტაციის მომხრე ტახტის მემკვიდრე დემეტრე. მეორე მხრივ, რაკი ბერძნებში ანტირომაული მიმართულება ფართოვდებოდა, ფილიპე ცდილობდა თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ გამოეყენებინა საბერძნეთის დემოსის ანტირომაული განწყობილება. ამიტომ რომის სენატი საბერძნეთისა და მცირე აზიის ქალაქებში ხშირად გზავნიდა ელჩებს, რომელთაც პრორომაული დაჯგუფების გამხნევება და განმტკიცება ევალებოდათ. ამასობაში ფილიპე V გარდაიცვალა, ხოლო, მისმა მეორე ვაჟმა პერსეუსმა მოახერხა ტახტისათვის ჩამოეშორებინა რომისადმი სიმპათიით აღფურვილი ძმა — დემეტრე და თვითონ გამეფდა. იგი მტკიცედ განაგრძობდა რომის საწინააღმდეგო ომისათვის მზადებას, ვინაიდან გრძნობდა მის აუცილებლობას.

პერსეუსმა ზოგიერთი ფრიად მოფიქრებული ნაბიჯიც კი გადადგა: მან იცოდა, რომ რომაელები ყველგან მხარს უჭერდნენ ოლიგარქიულ ჯგუფებს, რაც დემოკრატების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და მათში ანტირომაულ განწყობილებას აღვივებდა. ამიტომ მაკედონიასა და ბერძნულ პოლისებში ხალხის ფართო მასების გულის მოსაგებად მან თავი გამოაცხადა ყველა იმათ მფარველად, ვინც ვალებს გამოექცა და ვისაც პოლიტიკური და სხვა დანაშაულისათვის თავის ქვეყნიდან გადმოძევება ჰქონდა მისჯილი. მან თითოეულ მათგანს აღუთქვა მაკედონიაში უშიშარი არსებობა. ხოლო შემდგომში მან გაატარა სახელმწიფო ვალების კასაცია და გაათავისუფლა ისინი, ვისაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფო დანაშაულში. ყოველივე ამან პერსეუსისადმი სიმპათიები მნიშვნელოვნად გაზარდა და ანტირომაული კოალიცია განამტკიცა. იგი მოკავშირეებს ეძებდა ელინისტურ სახელმწიფოებშიც და ეპირთაგენთანაც კი აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ამ მხრივ მან მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწია. საქმე იმაშია, რომ ელინისტური სახელმწიფოებს არ შეეძლოთ იმ დროს მაკედონიისათვის გარკვეული დახმარება გაეწიათ. სელევკიდების სახელმწიფო, რომელმაც წინათ რომაელებისაგან მწვავე დამარცხება განიცადა, თავისი მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრობდა. დინასტიური ბრძოლით დაქანცული ეგვიპტე კი თავის დაცვასაც ვერ ახერხებდა. სხვა ელინისტური სახელმწიფოები ან რომის მომხრე იყვნენ, ან მის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერ ბედავდნენ. მაკედონიის გაძლიერება, პირიქით, თა-

ვისათვის საზიანოდ მიაჩნდა პერგამონის მეფესაც. ამიტომ ის ეწვია რომს და მონაწილეობა მიიღო პერსეუსის საწინააღმდეგო ბრძოლის გეგმის შემუშავებაში. რომის სენატმა აქაც თავის ნაცად ხერხს მიმართა: ერთი მხრივ, რომაელი ელჩები არწმუნებდნენ პერსეუსს, რათა მას მოლაპარაკება დაეწყო სენატთან, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველგვარი ღონისძიება იხმარეს, რათა ფაქტობრივად დაეშალათ მისი მოკავშირე ფედერაცია ბეოტიის ქალაქებისა. რა თქმა უნდა, მოლაპარაკებიდან არა გამოვიდა რა და დაიწყო მესამე მაკედონიური ომი (171—167 წწ.). თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მაკედონიას ბრძოლაში შეუერთდნენ ილირიისა და ეპირის მეფეები, მაკედონია თითქმის იზოლირებული იყო. ამიტომ, მართალია, ომის დასაწყისში სამხედრო წარმატება პერსეუსს ეკუთვნოდა და მისი მოწოდებები სხვადასხვა სახელმწიფოებისადმი დახმარების თხოვნით უკვე გამოძახილს პოულობდა, მაგრამ რომაელებმა გადამჭრელი ზომები მიიღეს: დემაგოგიით, მუქარითა და ძალდატანებით აიძულეს ბერძნული პოლისები მათი ერთგული დარჩენილიყვნენ. ამ გარემოებამ კი აიძულა პერსეუსი რომთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო. მაგრამ რომაელებმა მაკედონიას სრული კაპიტულაციის მოთხოვნილება წარუდგინეს, რასაც პერსეუსი ვერ დაეთანხმებოდა, და საომარი მოქმედება გაგრძელდა. 168 წელს პიდნასთან რომაელებმა პერსეუსის ჯარი მთლიანად გაანადგურეს. მაკედონიის სამეფომ თავისი არსებობა დაამთავრა. პიდნასთან გამარჯვების აღსანიშნავად დელფოში განსაკუთრებული ძეგლიც კი აღმართეს. ტყვედ ჩავარდნილი პერსეუსი ჯერ რომაელი სარდლის ტრიუმფალურ ეტლს მისდევდა და მერე თავისი სიცოცხლე საპატიმროში დაამთავრა.

როგორც ჩანს, რომაელები სასტიკად გაუსწორდნენ ეპირს, რომელიც პერსეუსს ეხმარებოდა. არსებობს ცნობა, რომ მათ ეპირში 70 ქალაქი გაანადგურეს და 150 ათასი კაცი მონებად გაყიდეს. შემონახული ცნობების თანახმად, რომის სენატის კომისიამ, უწინარეს ყოველისა, მაკედონელებისა და ილირიელების „თავისუფლება“ გამოაცხადა. მაკედონია ოთხ განცალკევებულ ნაწილად გაყვეს. ცენტრები მდებარეობდა ამფიპოდში, თესალონიკაში, პელაში და პელაგონიაში. ამ ოთხი ნაწილის მცხოვრებლებს ურთიერთისადმი დამოკიდებულებაში არც ქორწინების უფლება ჰქონდათ, და არც უძრავი ქონების შეძენის უფლება. მაკედონელებს აეკრძალათ ოქროს ქვიშრობების დამუშავება და ნება ეძლეოდათ მხოლოდ რკინა და სპილენძი ამოეღოთ. ეკრძალებოდათ მათ აგრეთვე მარილის შეზიდვა და ისეთი ხე-ტყის მოჭრა და გატანა, რომლითაც ხომალდებს აგებდნენ. ასევე სასტიკად გაუსწორდნენ რომაელები ილირიელებს. თვითნებურად მოქმედებდნენ რომაელები საბერძნეთში თავიანთი ყოფილი მოკავშირეების მი-

მართაც. მათ საზღვრებს ანა თუ იმ პოლისის რომის წინაშე დაპირებების მიხედვით ასწორებდნენ, მოწინააღმდეგეებს კი სჯიდნენ. ეტოლიაში რომაელმა ჯარისკაცებმა კავშირის 550 წევრი ამოხოცეს. იმ პირებს, რომელთაც პერსეუსისადმი თანაგრძნობა ედებოდათ ბრალად, რომში აგზავნიდნენ განსასჯელად და მძევლებად. ამ პირთა შორის იმყოფებოდა ცნობილი ისტორიკოსი პოლიბიოსიც. მაკედონიასთან მესამე ომის დაწყების წინ რომაელებმა ფაქტობრივად დაშალეს ბეოტიის კავშირი; კიდევ უფრო ადრე მათ ეტოლიის კავშირს დაუკარგეს თავისი მნიშვნელობა. ხოლო აქაიის კავშირს ისინი თანდათან არღვევდნენ. პოლიბიოსის სიტყვით მთელი ელადა პერსეუსის დამარცხების შემდეგ ამბოხდა, ცვლილებებმა მოიცვა და უნდა აღნიშნოს, რომ სოციალურსა და პოლიტიკურ ბრძოლას ბერძნულ პოლისებში ახლა უფრო მეტად რომის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი ენიჭება. აქაიის კავშირში ძლიერდება ანტირომაული განწყობილება, ამ მიმართულების მიმდევარნი ახერხებენ კავშირის საბჭოში ჩადგომას, ფართოვდება მოსახლეობის საშუალო ფენების პოლიტიკური მნიშვნელობა და იწყება ცდები დემოსის მდგომარეობის გაუმჯობესებისა ვალების გადახდის ვადის გაგრძელების გზით. მაკედონიის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება 149 წელს თავს ეტყობა. სახელმწიფოებას უკვე აშკარა ამბოხებაში პოულობს. მაკედონიაში ამბოხებას მეთაურობს ვინმე ანდრისკე, რომელიც პერსეუსის შვილად — ფილიპედ აცხადებდა თავს. მას მიემხრნენ თრაკიელი ტომები. ბოლოს ხელში ჩაიგდო მთელი მაკედონია და რამდენიმე დამარცხება მიაყენა რომაელების რაზმებს. მაშინ რომაელები იძულებული იყვნენ მის წინააღმდეგ მეტელუსის სარდლობით დიდი ჯარი გაეგზავნათ. 148 წელს ანდრისკე დამარცხდა, მტერს ტყვედ ჩაუვარდა და მეტელუსის ტრიუმფის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს რომში. ძველი დაყოფა მაკედონიისა ოთხ ნაწილად გააუქმეს და იგი რომის პროვინციად გადაქცეს, რომელშიც ეპირი და სამხრეთი ილირიაც ჩარიცხეს.

ორი წლის შემდეგ რომის წინააღმდეგ აქაიის კავშირიც გამოდის. 149 წელს აღიძრა აქაიის კავშირში შემავალი სპარტის საზღვრებისა და უფლებების საკითხი. მაგრამ აქაელებმა რომის სენატის კომისიის მოსვლას არ მოუცადეს და სპარტას თავს დაესხნენ. რომაელებმა მათ ეს თვითნებობად ჩაუთვალეს და გამოიტანეს დადგენილება სპარტისა და კორინთოს კავშირიდან გამოყოფის შესახებ. ვინაიდან მოლაპარაკებამ შედეგები არ გამოიღო, აქაიის კავშირმა რომს ომი გამოუცხადა.

ამ კავშირის წევრები გულმოდგინედ ემზადებოდნენ ბრძოლისათვის, შექმნეს საკავშირო ხაზინა ომის მიზნებისათვის და, თავიანთი ჯარი რომ გაედიდებინათ 12 ათასი მონა გაათავისუფლეს და მეომრებად ჩარიცხეს. რომის საწინააღმდეგო მოძრაობას მეთაურობდა ქალა-

ქი კორინთო. თუმცა აქაელების მოძრაობას ხალხი ბევრ იმ ბერძნულ ქალაქში, რომლებიც მათ კავშირში არ შედიოდა, დიდად თანაუგრძნობდა. მაინც ვერც ერთმა ვერ გაბედა რომის წინააღმდეგ გაძოსელა. აქაელები დამარცხდნენ. 146 წელს კორინთო ძირფესვიანად დაანგრიეს და გადაწვეს. დაანგრიეს აგრეთვე აქაელთა სხვა ქალაქები; მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მონებად აქციეს და რომში გადაიყვანეს. ბერძნების ყველა კავშირი დაშალეს და ყველგან ოლიგარქოსების ბატონობა აღადგინეს. ფორმალურად მხოლოდ სპარტა და ათენი დარჩა დამოუკიდებელი. ამრიგად, რომაელების ბევრ ბერძნული ქალაქების „განთავისუფლება" იმით დამთავრდა, რომ მათ არსებითად საბოლოოდ დაკარგეს დამოუკიდებლობა და რომაული პროვინციის —მაკედონიის ხელისუფლებას დაექვემდებარნენ.

რომის გაბატონებამ მაკედონიასა და საბერძნეთში თავისი გავლენა იქონია როდოსის ოლიგარქიულ მონათმფლობელურ რესპუბლიკაზეც. უკვე III საუკუნის მეორე ნახევარში როდოსი მნიშვნელოვანი შუამავლის როლს ასრულებდა სირიას, ეგვიპტეს, მცირე აზიასა და საბერძნეთს შორის სავაჭრო ურთიერთობაში. III საუკუნის დასასრულს როდოსმა საშინელი მიწისძვრა განიცადა და აღსანიშნავია, რომ ბევრი ელინისტური სახელმწიფო მას ამ კატასტროფის დროს ეხმარებას უწევდა. საყურადღებოა ის, რომ როდოსის მოვაჭრე-მეზღვაურები შინაგანი სოციალური ბრძოლის შემსუბუქების მიზნით დემოსისათვის პურის დარიგების სისტემას მიმართავდნენ. როდოსმა თავის დროზე ისარგებლა ეგვიპტის დასუსტებით და ეგეოსის ზღვის ზოგიერთ კუნძულს დაეუფლა. რომის ამაღლების შემდეგ როდოსის ოლიგარქიამ თავისთვის უფრო სარფიანად რომთან კავშირი ჩათვალა. სირიის მეფის ანტიოქოს III წინააღმდეგ ომში რომის დამხმარებისათვის როდოსმა მიიღო კარია და ლიკია. მაგრამ მაკედონიასთან მეორე ომში რომის გამარჯვების შემდეგ წარმოქმნილმა მისმა მეზარდმა გავლენამ როდოსელები უკვე შეაშფოთა. ამიტომ პერსეუსსა და რომს შორის ამტყდარ კონფლიქტში მესამე მაკედონური ომის დროს მათ განიზრახეს შუამავლობა ეკისრათ კონფლიქტის მოწესრიგებაში. ამან გააგულისა რომაელები და როდოსი იმით დასაჯეს, რომ ჩამოართვეს ლიკია და კარია და კუნძული დელოსი თავისუფალ ნავსადგურად გამოაცხადეს.

წინათ ეს პატარა კუნძული უმთავრესად იმ ზემოსავლით ცხოვრობდა, რომელიც საერთო-ბერძნული მნიშვნელობის ბის ტაძარს შემოდიოდა. პერსეუსის დამარცხების შემდეგ ეს კუნძული რომაელებმა ათენელებს გადასცეს. მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აქაიაში გადაასახლეს და მათ ნაცვლად ათენელები გადმოიყვანეს. მას

შემდეგ, რაც დელოსის ნავსადგური რომაელებმა თავისუფლად გამოაცხადეს, მისი სავაჭრო ბრუნვა სწრაფად იზრდებოდა და აქ უკვე აღმოსავლეთის მხარეების მრავალი ვაჭარი ხვდებოდა ერთიმეორეს. ხმელთაშუა ზღვის სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დელოსს, როგორც მონების უმნიშვნელოვანეს ბაზარს.

3. პერგამონის სამეფოს რომთან შეერთება

ამ ამბებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მაკედონიისა და საბერძნეთის შემდგომ მათი ბედი პერგამონის სამეფოსაც ეწია. პერგამონის სამეფომ ევმენოს II დროს მაკედონიასთან და სირიასთან ომებში რომს არსებითი დახმარება გაუწია. რისთვისაც რომაელებმა მას სელევკიდების სამფლობელოს მნიშვნელოვანი ნაწილი გადასცეს. მაგრამ მაკედონიის მეფე პერსეუსზე გამარჯვების შემდეგ რომაელებმა ერთგვარად შეცვალეს დამოკიდებულება პერგამონის მიმართ. მათ ბრალი დასდეს ევმენოსს იმაში, რომ თითქოს ის შუამავლობას მათსა და პერსეუსს შორის იმიტომ კისრულობდა, რომ მაკედონიის მეფე საბოლოო განადგურებისაგან დაეხსნა.

ევმენოსის მემკვიდრეების დროს კი პერგამონის საკავშირო ერთიერთობა რომთან თანდათან პოლიტიკური დამოკიდებულების ხასიათს ღებულობს. ამასთან, ის კარგავს თავის წინანდელ საზღვაო მნიშვნელობას და ამ მხრივ თავის ადგილს რომის მზარდ გავლენას უთმობს. მეფე ატალოს III (139/138—133 წწ.) დროს პერგამონი ისეთ მდგომარეობას განიცდიდა, როცა იქ უკვე რომაელი მეეახშეები პარპაშობდნენ. ამას გარდა, პერგამონში შინაგანი საზოგადოებრივი დაძაბულობა უკიდურეს წერტილს აღწევს. მზადდება დიდი სახალხო აჯანყება, შეშინებულ გაბატონებულ წრეებს მხოლოდ რომის სამხედრო დახმარების იმედიღა დარჩენოდათ. შესაძლოა, ამით აიხსნება ის, რომ სიკვდილის წინ ატალოსმა თავის სამეფო რომს უანდერძა. თუმცა ანდერძში ზოგიერთი ქალაქისა და, უპირველესად, პერგამონის თავისუფლება დაადასტურა. მეფის გარდაცვალების შემდეგ მმართველი წრეები იძულებული იყვნენ ზოგი რამ დაეთმოთ ხალხისათვის: გამოსცეს დეკრეტი, რომლითაც პერგამონის მოქალაქეების უფლებები შესამჩნევად გაფართოვდა; ეს უფლება მიენიჭა მოსახლეობის არასრულუფლებიანი ნაწილის ზოგიერთ კატეგორიას, კერძოდ, მოქირავნეთ; მიღებულ იქნა ზოგიერთი ღონისძიება მონების მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც. მაგრამ ამ დროს მონების, დაბეჩავებული გლეხობის და არასრულუფლებიანი მოქალაქეების ამბოხებამ რომაელებისა და ადგილობრივი ბატონების წინააღმდეგ მძლავრი ხასიათი მიიღო. ეს მოძრაობა სამ

წელზე მეტ ხანს გაგრძელდა (132—129 წწ.) მას მეთაურობდა ატალოსის უკანონო ძმა არისტონიკე[1].

ბოლოს აჯანყება ჩახშობილ იქნა და წინანდელი პერგამონის სამეფო ახლა უკვე რომის პროვინციად გადააქციეს, რომელსაც აზია ეწოდებოდა.

6. მესამე პუნიკური ომი და კართაგოს დასასრული

უკვე ვიქვით, რომ ჩრდილოეთ იტალიაში ბინადარი გალების ტომების მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე პუნიკური ომის დროს ჰანიბალის მხარეზე იბრძოდა. ამ ომის დამთავრების შემდეგ კვლავ მოხდა მათი ახალი აჯანყება, რომელსაც ლიგურებიც კი შეუერთდნენ. მაგრამ 191 წელს ეს ბრძოლაც აჯანყებულთა სრული დამარცხებით დამთავრდა. რის შემდეგ გალების ოლქები მხოლოდ პადუსის ჩრდილოეთით იყვნენ და იქაც რომანიზაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. პადუსის ბარში კვლავ რამდენიმე რომაული ახალშენი გადაიყვანეს, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია ბონონია, პარმა და მუტინა.

ამ დროს, როდესაც რომი აღმოსავლეთის საქმეებით იყო გატაცებული, ორჯერ დამარცხებულმა კართაგომ კვლავ იწყო ჭრილობების მოშუშება. მართალია, იგი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ ატარებდა, მაგრამ ის აფართოებდა ურთიერთობას ადგილობრივ ტომებთან. ავითარებდა პლანტაციურ მიწათმოქმედებას, ზრდიდა ქალაქებში სახელოსნოებისა და სავაჭრო საწარმოთა რიცხვს. თვით კართაგოს სახელმწიფოში ურთიერთს ეჭიშპებოდა სამი პარტია: პრორომაული, რომლის წარმომადგენლები ხშირად რომის აგენტის როლს კისრულობდნენ; დემოკრატიული, რომელიც უმთავრესად წვრილ ვაჭრებსა და ხელოსნებს ემყარებოდა და მიზნად კართაგოს საზღვაო სამფლობელოს აღდგენას ისახავდა; ნუმიდიური, რომლის წარმომადგენლები ნუმიდიის მეფე მასინისასთან შეთანხმებას ემხრობოდნენ. ამავე დროს კი კართაგოს ეკონომიკური აღორძინების ნიშნები დიდ მღელვარებას იწვევდა რომაელების იმ ჯგუფში, რომელიც უმთავრესად მოვაჭრე-მევახშე წრეებთან იყო დაკავშირებული. ამ ჯგუფის მეთაური იყო ცნობილი კატონ უფროსი. არსებობს ცნობა, რომ 153 წელს კართაგოში იმოგზაურა კატონმა და პირველად დარწმუნდა მის ეკონომიკურ ძლიერებაში, რომელიც, მისი აზრით, მას პოლიტიკური გაძლიერების საშუალებასაც მისცემდა. ამბობენ თითქოს მან რომში კართაგოდან მიიტანა ლეღვის ცვრიანი ნაყოფი და ვანაცხადა: „გარა

---

[1] ამ აჯანყების შესახებ უფრო დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი.

საჭიროა ვილაპარაკოთ, რომ მტერი ჩვენს კედლებთანაა". ყოველ თავის სიტყვას სენატში კატონი ასე ამთავრებდა: „თუმცა მე ვფიქრობ, რომ კართაგო უნდა დაინგრესო".

რაკი რომაელების გარკვეულ წრეებში ასეთი განწყობილება განვითარდა, ძნელი არ იყო ომის საბაბის გამოძებნა. რომაელების მფარველობაში მყოფი ნუმიდიის მეფე მასინისა თავხედურად ეჭცეოდა კართაგელებს და ცდილობდა კართაგოს ტერიტორიის ნაწილის თავის სამფლობელოსათვის შეერთებას. მოთმინებიდან გამოსულმა კართაგელებმა მას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და თუმცა მასთან შეტაკებაში დამარცხდნენ, მაგრამ რომის სენატმა მათ ასეთი მოქმედება 201 წლის ხელშეკრულების დარღვევად ჩაუთვალა და ომი გამოუცხადა. ასე დაიწყო მესამე პუნიკური ომი (149—146 წწ.).

როგორც კი რომაელების ჯარი აფრიკაში გადავიდა. კართაგელებმა მასთან ელჩები წარგზავნეს ზავისათვის. რომაელებმა მთელი იარაღის გადაცემა მოითხოვეს. როდესაც კართაგელებმა ეს მოთხოვნა შეასრულეს, მათ განაცხადეს, ქალაქიდან გადით, ვინაიდან ქალაქი უნდა დაინგრესო. ამან კართაგელების მოთმინების ფიალა აავსო და რომაელებისადმი საშინელი სიძულვილი გაუღვიძა. მთელი მოსახლეობა დაუსვენებლივ მუშაობდა ქალაქის გამაგრებისა და დაცვისათვის. რომაელებმა კართაგოს ალყა შემოარტყეს, მაგრამ მათთვის ქალაქი მიუწვდომელი დარჩა. გარემოცვა ორ წელს გრძელდებოდა. მაგრამ შედეგები არ ჩანდა, მაშინ 147 წელს აფრიკაში გაგზავნეს სციპიონ ემილიანე. მან განამტკიცა დისციპლინა რომაელების ჯარში და ქალაქის ისეთი ბლოკადა განახორციელა, რომ იგი სავსებით მოწყვიტა გარეგან ქვეყანას და სურსათის მიწოდება შეუწყვიტა. კართაგოს დაცვის სარდალმა ჰასდრუბალმა სციპიონს ზავი სთხოვა. მაგრამ სციპიონმა უარით უპასუხა და 146 წლის გაზაფხულზე მან ქალაქზე საერთო იერიში დაიწყო. მხოლოდ მეშვიდე დღეს მოახერხეს რომაელებმა კართაგოს აკროპოლის — ბირსას აღება. შემონახულია გადმოცემა, რომ ჰასდრუბალს თავისი ოჯახით თავი ესკულაპის ტაძრისათვის შეუფარებია და თავდაცვისათვის ემზადებოდა. მაგრამ მისთვის გაბედაობას უღალატია და მუხლმოყრილს უთხოვია სიცოცხლე არ მოვისპოთო. ეს დაუნახავს მის მეუღლეს, დაცინვით მიულოცავს ქმრისათვის გადარჩენა, ხოლო თვითონ შვილებთან ერთად ცეცხლში გადაეყარდნილა.

ასტიკად გაუსწორდნენ რომაელები კართაგელებს. სენატის მიერ წარგზავნილმა კომისიამ ქალაქის სრული მოსპობის დადგენილება გამოიტანა. ცეცხლმოკიდებული ქალაქი 16 დღე იწვოდა, შემდეგ მის ტერიტორიაზე გუთნით გაატარეს კვალი იმის ნიშნად, რომ ეს ადგილი ამიერიდან დაწყევლილია. კართაგოს სამფლობელო რომის აფ-

რიკულ პროვინციაში ჩაირიცხა. მხოლოდ ზოგიერთმა ქალაქმა, მაგალითად, უტიკამ და ჰადრუმეტუმმა შეინარჩუნეს თავისუფლება. მიუმატა ტერიტორია აგრეთვე რომაელების მოკავშირე ნუმიდიის სამეფოს. ასე აღიგავა დედამიწის პირიდან ოდესღაც ცნობილი კართაგოს მონათმფლობელური რესპუბლიკა.

მას შემდეგ, რაც რომაელებმა ბოლო მოუღეს თავის უდიდეს მტერს აფრიკაში, კართაგოს სახელმწიფოს, მათ წინაშე ახალი ამოცანა წამოიჭრა: დაპატრონებოდნენ კართაგელების საკუთრებას ესპანეთში. მართალია, რომაელები ესპანეთში ჯერ კიდევ 206 წელს დამკვიდრდნენ, მაგრამ მათი ბატონობა არსებითად სანაპირო ზოლზე ვრცელდებოდა, ხოლო თავის სამფლობელოს გაფართოების პროცესში რომაელებს ბრძოლა უხდებოდათ ადგილობრივ ტომებთან, რომლებიც მტკიცედ იცავდნენ თავიანთ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. 197 წელს დაიწყო ამ ტომების აჯანყება, რომელიც მთელ ესპანეთს მოედო. აჯანყების ჩასაქრობად რომაელებმა ძლიერი ჯარი წარგზავნეს და სასტიკად გაუსწორდნენ მეამბოხეთ. 154 წელს დაიწყო ლუზიტანების ახალი აჯანყება, რომელსაც კელტიბერები და სხვა ტომებიც შეუერთდნენ. რომაელებმა მოახერხეს მათთან მშვიდობის დამყარება, მაგრამ შემდეგ, როცა ლუზიტანებმა იარაღი დაყარეს, რომაელებმა მათი ნაწილი ვერაგულად ამოხოცეს და მონებად გაყიდეს. ამან კვლავ გამოიწვია ლუზიტანების აჯანყება. 147 წელს მათ გამოუჩნდათ ნიჭიერი წინამძღოლი და ორგანიზატორი, ყოფილი მწყემსი ვირიატი. რამდენიმე წლის განმავლობაში ის ძლევამოსილად უძღვებოდა აჯანყებას, ამიტომ რომაელები იძულებული გახდნენ 141 წელს ვირიატი მეფედ ეცნოთ, რომაელების პოლიტიკის დამახასიათებელია ის, რომ რომის სენატმა ვირიატთან დადებული ხელშეკრულება დაადასტურა, მაგრამ შემდეგ თვითონვე დაარღვია და ლუზიტანიაში კვლავ წარგზავნა სამხედრო ძალები. ამასთან ერთად, რომი არ მოერიდა იმასაც, რომ მიგზავნილი მოსყიდული მკელელების ხელით მოეკლა მძინარე ვირიატი.

143 წელს ესპანეთის ჩრდილოეთით კიდევ ერთი ახალი ამბოხება მოხდა. ამ ამბოხების ცენტრს ქალაქი ნუმინცია წარმოადგენდა. ამ ქალაქის გარემომცველი რომაელი ჯარი კონსულ ჰოსტილიუს მანცინუსის მეთაურობით თვითონ აღმოჩნდა ისეთ პირობებში, რომ იძულებული გახდა სამარცხვინო ხელშეკრულებაზე დათანხმებულიყო: რომაელების ბანკის მთელი ქონება ნუმანციელებს უნდა გადასცემოდა, ხოლო რომაელ ჯარს თავისუფალი უკანდახევა ენიჭებოდა. რომის სენატმა ხელშეკრულება არ დაამტკიცა და ძველი წესის მიხედვით მტრისათვის მანცინუსის გადაცემა გადაწყვიტა. მაგრამ ნუმანციე-

ლებმა ის არ მიიღეს, მაშინ რომაელებმა ნუმანციელების წინააღმდეგ წარგზავნეს კართაგენის მძლეველი სციპიონ ემილიანე, რომელმაც ;33 წელს 15-თვიანი გარემოცვის შემდეგ დაიპყრო ნუმანცია. ამრიგად, რომაელების გამარჯვებით მთავრდება მესამე პუნიკური ომი, ცდება ესპანეთის საბოლოო დაპყრობა და პერგამონის სამეფოს აზიის რომაულ პროვინციად გადაქცევა. ამით სრულდება ხმელთაშუა ზღვის სამყაროში რომის უდიდესი მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი.

თავი მეორე

რომის სახელმწიფო ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში

1. მონობის როგორც საზოგადოებრივი სისტემის განვითარება. მსხვილი მიწათმფლობელობის (ლატიფუნდიების) წარმოქმნა. სოფლის მეურნეობის სახიათი

იმ დაპყრობითი ომების შედეგებმა, რომლებსაც რომაელები 120 წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ხმელთაშუა ზღვის სამყაროს მიდამოებში, არსებითად შეცვალა რომის სახელმწიფოს არა მარტო გარეგანი სახე, არამედ მისი შინაგანი სტრუქტურაც.

ამ მხრივ ჯერ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ რომი იტალიის უმდიდრეს ხალხმრავალ ქალაქად იქცა, რომელიც სისტემატურად ივსებოდა დიდძალი ნადავლითა და ტყვეებჩავარდნილი და მონებადქცეული ადამიანებით. მოვიგონოთ რამდენიმე მაგალითი: ჯერ კიდევ პირველი პუნიკური ომის დროს აგრიგენტის აღების შემდეგ რომაელებს ტყვედ ჩაუვარდათ 25 ათასი კაცი და ისინი მონებად გაყიდეს. კონტხ ეკნომთან კართაგელებზე გამარჯვების შემდეგ რეგულუსმა რომში 20 ათასი მონა წარგზავნა; კუნკტატორად წოდებულმა კონსულმა ფაბიუს მაქსიმუსმა 209 წელს, ტარენტის აღების შემდეგ 30 ათასი ტარენტელი გაყიდა მონებად; ეპირის ქალაქების განადგურების დროს 167 წელს კონსულმა ემილიუს პაულუსმა 150 ათასი ტყვე მონებად გაყიდა; კიდევ უფრო საშინელი ბედი ეწიათ განადგურებული კართაგოს მცხოვრებლებს, რომლებიც მთლიანად მონებად გაყიდეს. საერთოდ, უფლება გვაქვს, ვიგულისხმოთ, რომ წინათ ძველი სამყაროს არც ერთ მხარეში არ ყოფილა თავმოყრილი ესოდენ მრავალი მონა, როგორც იმ დროის რომის სახელმწიფოში. ძნელია, სრული სიზუსტით გაირკვეს ის, თუ რამდენად იყიდებოდა იმ დროს მონა, ვინაიდან მათი ფასი იცვლებოდა იმისდა მიხედვით, რამდენად იზრდებოდა ან კლებულობდა მათი რიცხვი ბაზრებზე. მაგ., როცა რომაელებმა სარდინია დაიკავეს, 80 ათასზე მეტი მონა ისე იაფად გაყიდეს, რომ რომში

ოხუნჯობდნენ: „იაფია, როგორც სარდიო“. შავმუშა მონებთან შედარებით უფრო ძვირად ფასობდნენ განათლებული და კვალიფიციური მონები: მზარეულები, მსახიობები, მოცეკვაეები, მასწავლებლები, ექიმები, მხატვრები, მწერლები, არქივარიუსები და სხვ. რომის სახელმწიფოს თითქმის ყველა მსხვილ ცენტრში არსებობდა მონათა ბაზრები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მონათა ბაზარს კუნძულ დელოსზე. არსებობს ცნობა, თითქოს დღეში აქ ზოგჯერ 10 ათასი მონა იყიდებოდა.

ამრიგად, ძველად მონობის ძირითად წყაროდ ომი ითვლებოდა. მაგრამ მის მეორე წყაროდ დავალიანება უნდა მივიჩნიოთ. მართალია, რომაული მოქალაქეების მიმართ სავალო მონობა კანონით აკრძალული იყო, მაგრამ პროვინციებში, სადაც ამ კანონს გასავალი არ ჰქონდა, მევახშეები ათასობით ყიდდნენ მონებად ვალაუვალ მოვალეთ, მონობის წყარო იყო აგრეთვე მეკობრეობა, რომელმაც თავის დროზე დიდ განვითარებას მიაღწია. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროში მეკობრეებს რამდენიმე გამაგრებული პუნქტიც კი ჰქონდათ დაარსებული. მეკობრეები იტაცებდნენ და მონებად ჰყიდდნენ მრავალ ადამიანს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავივიწყოთ ისიც, რომ ხდებოდა მონების ბუნებრივი გამრავლებაც. ბატონები ცდილობდნენ რომ მათს მონებს შთამომავლობა გასჩენოდათ. რომაული კანონების თანახმად, მონისა და მხევლის კავშირი ქორწინებად კი არ ითვლებოდა, არამედ თანაცხოვრებად. ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილ მონებს სპეციალურად vernae ეწოდებოდათ. რაც უფრო მეტად იზრდებოდა რომის სახელმწიფოში მონების რიცხვი და ფართოდ ინერგებოდა მონური შრომა, მით უფრო უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა წარმოებაში მონურ შრომას, ხოლო მეორე მხრივ, მით უფრო ერცელ ხასიათს იღებდა მასში თავისუფალი შრომის შეზღუდვა და გამოდევნა. მოკლედ, მონობას წარმოებაში წამყვანი როლი მიეკუთვნებოდა.

სად შეიძლებოდა იმ დროს მონური შრომის უფრო წარმატებით გამოყენება? საქმე ის არის, რომ ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში რომაელების და, საერთოდ, იტალიის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას კვლავ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა შეადგენდა, მაგრამ მსხვილ მესაკუთრეთა როგორც მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა; მიწას ამ დროიდან მონები და ნაწილობრივ დაქირავებული თავისუფალი ადამიანები ამუშავებდნენ. II საუკუნემდე კი იტალიის უმეტეს ნაწილში წვრილი და საშუალო მეურნეობები ჭარბობდა, რომელთა დამუშავება ძირითადად თავისუფალ შრომას ემყარებოდა. მონათმფლობელობის განვითარებასთან ერთად ასეთი მეურნეობების თანდათანო-

ბით შევიწროებასა და შემცირებას ისეთი ტიპის მსხვილი მეურნეობები იწყებენ, რომლებიც უკვე მასობრივი მონური შრომის ექსპლუატაციას ემყარებოდნენ და თავიანთ პროდუქციას არა მარტო საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, არამედ გასასყიდადაც ამზადებდნენ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მონური შრომის ფართოდ დანერგვის ერთი პირდაპირი შედეგი — მიწების კონცენტრაცია, მსხვილი მონათმფლობელური მამულების (ლატიფუნდიების) წარმოქმნა იყო. ასეთი პროცესის კლასიკურ სურათს გვაწვდის ისტორიკოსი აპიანე: „საქმე იმაშია, რომ მდიდრებმა მიიტაცეს რა ნაკვეთებად დაუნაწილებელი მიწის უმეტესი ნაწილი (იგულისხმება სახელმწიფო მიწები), დროთა მსვლელობაში ირწმუნეს, რომ არავინ არ ჩამოართმევს მათ ამ მიწებს. მათი კუთვნილი ნაკვეთების მახლობლად მდებარე ღარიბთა პატარა ნაკვეთები მდიდრებმა ნაწილობრივ მათი თანხმობით შეისყიდეს და ნაწილობრივ ძალით ჩამოართვეს. ამრიგად, მდიდრებმა იწყეს მიწის ვრცელი სივრცის დამუშავება ბატონში იმ ნაკვეთების ნაცვლად, რომლებიც მათ მამულში შედიოდა. ამასთან ერთად, ყანების დამუშავებისა და ნახირის დაცვისათვის ისინი ნაყიდი მონებით სარგებლობდნენ, რათა თავისუფალშობილნი მხოლოდ სამხედრო სამსახურში ყოფილიყვნენ ჩაბმულნი. ამის გამო, მონები უფრო მრავლდებოდნენ, იტალიკების რიცხვი კი მცირდებოდა, სიღარიბე, გადასახადები და სამხედრო სამსახური მათ აბეჩავებდათ მაშინაც კი, როცა ეს ტვირთი ოდნავ შეუმსუბუქდებოდათ.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მონური შრომის მასობრივად გამოყენება უმთავრესად იქ შეიძლებოდა, სადაც შედარებით უბრალო კოოპერაცია იყო დასაშვები. ასეთ დარგს უნდა მივაკუთვნოთ მსხვილი პლანტაციური მეურნეობა რომაულ ლატიფუნდიებში. მაგრამ მსხვილ იტალიურ მამულებს, რომლებიც რამდენიმე ათას იუგერს შეიცავდნენ, ჩვეულებრივად ფრიად სუსტი კავშირი ჰქონდათ ბაზრებთან და მონების, მოვალეებისა და კლიენტების შრომით იკმაყოფილებდნენ თითქმის ყველა თავიანთ მოთხოვნილებას. ასეთი მამულების პატრონები მიწის ნაწილს მონების ხელით ამუშავებდნენ, ნაწილს დიდ საძოვრებად აქცევდნენ და ნაწილსაც პატარა ნაკვეთებად ურიგებდნენ კლიენტებს განსაზღვრული პირობით. სხვა მდგომარეობა იყო საშუალო ზომის მამულებში, რომლებიც სულ რამდენიმე ასეულ იუგერს შეიცავდნენ. ასეთ მამულებს — ვილებს, სადაც სისტემატურად მუშაობდნენ მონები, ხოლო თიბვის, მკისა და ყურძნის კრეფის დროს მათ დამატებით თავისუფალი დღიური მუშები ეხმარებოდნენ, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ბაზრებთან და პროდუქციის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს გასაყიდად აწარმოებდნენ.

ასეთი სანიმუშო მამული კომპლექსური მეურნეობით აგვიწერა

მარკოზ პორციუს კატონ უფროსმა. მისი ტრაქტატით — „მიწათმოქმედების შესახებ“ — ვეცნობით არა მარტო საშუალო ზომის სამიწათმოქმედო მეურნეობის ორგანიზაციას, არამედ იტალიის მთელი ეკონომიკის სტრუქტურას პირველი პუნიკური ომის უშუალოდ მომდევნო პერიოდში. მის მიერ მოწოდებული ცნობები იმდროინდელი სინამდვილის უდავო შთაბეჭდილებას ტოვებს. რომის ძველი ტრადიციის თავგამოდებული დამცველი კატონი თავისი ტრაქტატის დასაწყისში, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს იმ უპატივცემულობას, რომლითაც რომაელების წინაპრები ვაჭრებსა და მევახშეებს ეპყრობოდნენ, მეორე მხრივ კი, დასაშვებად მიაჩნია ვაჭრობა და ფულადი სესხი. ამიტომ მისთვის შრომის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა. მისი სიტყვით, ადამიანის უდიდესი ქება-დიდება ის არის, თუ მას კარგი მიწათმოქმედი უწოდეს. მიწათმოქმედების უპირატესობაა ის, რომ მიწათმოქმედთა წრიდან გამოდიან უმამაცესი მამაკაცები და უგულადესი მეომრები და მიწათმოქმედება ყველაზე უფრო საპატიო და უტყუარ შემოსავალს იძლევაო. მაგრამ კატონის გამონათქვამებიდან ნათლად ჩანს, რომ ცნება — „კეთილი მიწათმოქმედი“, მისი წარმოდგენით ძველი დროის გლეხს კი არ გამოხატავდა, არამედ ისეთ მიწათმფლობელს, რომელიც უკვე მონურ შრომას იყენებდა და ბაზართან იყო დაკავშირებული. მის მიერ აღწერილი ტიპი სოფლის მეურნეობისა ისეთ მეურნეობას წარმოადგენს, რომელიც ბაზართანაა დაკავშირებული და ვითარდება მონათმფლობელური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის პირობებში. ასეთი მეურნეობის მთავარი ამოცანაა იმ სპეციალური კულტურების ფართობის გადიდება, რომლებზეც ყველაზე მეტი მოთხოვნაა და რომლებიც უდიდეს შემოსავალს უზრუნველყოფენ. კატონი იხილავს ისეთ მამულს — ვილას, რომელსაც კომპლექსური მეურნეობა აქვს: ზეთისხილის ჭალა — 240 იუგერი (60 ჰა), ვენახი — 100 იუგერი (25 ჰა), ხორბლეულის მეურნეობა და საქონლის საძოვარი. კატონის აზრით, მიწის კულტურათა ყოველი სახე არაა თანაბრად ხელსაყრელი. კითხვაზე, მეურნეობის რომელი ტიპი უფრო ხელსაყრელია, კატონი ასე უპასუხებს: ჯერ—კარგი საძოვარი, მერე ცუდი საძოვარი. ასეთი დაკვირვების უფლებაა მას თავლა ეძლეოდა იტალიის გეოგრაფიული პირობები: აპენინის შტოებზე საქონელს მთელი წელი შეეძლო ეძოვა; ზამთრობით — ხეობებში, ზაფხულობით — მთებში. საქონელსა და მესაქონლეობის პროდუქტებზე მოთხოვნილება კი სულ იზრდებოდა და ჯარსა და ქალაქებში მრავლად იგზავნებოდა ხორცი, ერბო, ტყავი, მატყლი და სხვ. მეორე მხრივ, შემოსავლიანობის მიხედვით, კატონი პირველ ადგილს მევენახეობას უთმობს, მეორეს — სარწყავ ბოსტანს, მესამეს — ტირიფნარს, მეოთხეს — ზეთისხილის ბაღს, მეხუთეს — მდელოს, მეექვსეს—

პურის ყანას, მეშვიდეს — ტყეს, სადაც ნახირის საკვები ფოთლების მოპრაა შესაძლებელი, მერვეს — მაღლარ ვენახს, მეცხრეს—მუხნარს. როგორც ვხედავთ, ხვნა-თესვას კატონი სოფლის მეურნეობაში მეექვსე ადგილს მიაკუთვნებს და ეს გარემოება ალბათ, იმით უნდა ავხსნათ, რომ იტალიაში ზღვისგალმა ქვეყნებიდან იაფი პურის უხვად შემოზიდვამ ადგილობრივი ხვნა-თესვა მნიშვნელოვნად შეამცირა.

საერთოდ, კატონის ტრაქტატი ისეთი პრაქტიკული რჩევების კრებულია, რომელთა შესრულება სოფლის მეურნეს სრულ წარმატებას აღუთქვამს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული იმას, თუ როგორ უნდა აშენდეს ვილა, როგორ უნდა მიმდინარეობდეს მამულის გამგებლობა და რა წესით უნდა სრულდებოდეს სამუშაოები. კატონი განსაკუთრებულ იმედს, რეალიზაციის თვალსაზრისით, ორ პროდუქტზე — ყურძენსა და ზეთისხილზე ამყარებს და მათი რეალიზაციის ორ ფორმას წარმოგვიდგენს: ერთ შემთხვევაში თვითონ მიწის მესაკუთრე მისდევს ზეთისხილისა და ყურძნის დამუშავებას და შემდეგ მათი პროდუქტების გაყიდვას; მეორე შემთხვევაში ის ვაზზევე ჰყიდის ყურძენს და ხეზევე — ზეთისხილს და მხოლოდ ნაწილს იტოვებს თავისთვის და თავისი მონებისთვის. ასეთი მესაკუთრის სამეურნეო მოღვაწეობა არ მოითხოვდა მამულში მის მუდმივ ყოფნას, არამედ გონივრულ გამგებლობას, ხელმძღვანელობასა და მუდმივ კონტროლს. ასეთი კონტროლის გაადვილების მიზნით კატონი ვილის მეპატრონეს ურჩევდა მამულში საკარმიდამო შენობების გვერდით თავისი სადგომი — ქალაქური სახლი აეგო. ვილა გულისხმობდა მამულს მასზე გაშენებული ბოსლების, ღვინის სარდაფების, ბეღლების, საწყობებისა და მონების სადგომების ჩათვლით. ასეთ მამულში მუშახელის მუდმივ კონტინგენტს მონები შეადგენდნენ. მონების დაახლოებით ნახევარი საქონელს უვლიდა და მეორე ნახევარი ჩვეულებრივ სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში იყო ჩაბმული. ნათქვამი იყო, რომ ალოობის დროს მეზობელი გლეხებიდანაც იწვევდნენ დღიური ხელფასით თავისუფალ მუშაკებს, რომელთაც ოპერარები ეწოდებოდათ.

კატონი დაწვრილებით აძლევს რჩევას ვილების მეპატრონეებს მონების შრომის რაციონალური გამოყენების შესახებ. მონები უსაქმოდ არ უნდა იყვნენ არც წვიმიან დღეს, არც იმ დროს, როცა ყანაში მუშაობა არ მიმდინარეობს და თითქმის დღესასწაულებშიც. ავდარში მონებმა უნდა გარეცხონ კასრები, გაიტანონ ნაკელი, გაწმინდონ თესლი, დაგრიხონ ბაგირები და შეაკეთონ ყოველგვარი ხარახურა. სასოფლო უქმეებში (ყანების მფარველი ლარების დღესასწაულის დროს), როცა ყანაში მუშაობა აკრძალულია, მონებმა უნდა შეაკეთონ გზები, დაბარონ ბოსტანი და გაასუფთაონ სადგომები. კატონის აზ-

რით, პატრონმა მონა მანამდე უნდა შეინახოს, ვიდრე მას მუშაობა შეუძლია, ხოლო, როდესაც იგი დასნეულდება ან მოხუცდება, უნდა გაყიდოს ისევე როგორც ძველი ურემი და უვარგისი პირუტყვი.

რა თქმა უნდა, მონები თავიანთ აუტანელ ცხოვრებას ვერ ურიგდებოდნენ და ზოგჯერ გაქცევით შველოდნენ თავს და, რომ მათთვის ამის საშუალება მოესპოთ, ხშირად მათ ჯაჭვებითა და ბორკილებით ამუშავებდნენ და ღამით სასტიკ მეთვალყურეობას უწევდნენ ყაზარმული ტიპის განსაკუთრებულ სადგომებში — ერგასტულებში ათავსებდნენ.

როგორც პლუტარქეს მიერ კატონის ბიოგრაფიაში მოცემული ცნობიდან ჩანს მონათმფლობელები ცდილობდნენ მონებს შორის ყოფილიყო მუდმივი განხეთქილება და მტრობა.

მამულის მართვის სათავეში, კატონის აზრით, უნდა იდგეს ვილიკი, რომელსაც მეპატრონე უერთგულესი და სოფლის მეურნეობის კარგად მცოდნე მონებისაგან ნიშნავს. ტრაქტატში ვრცლად არის ჩამოთვლილი ვილიკის მოვალეობა. მას სანიმუშო წესრიგი უნდა დაემყარებინა მამულში. გაერჩია მონებს შორის ამტყდარი დავა და ფხიზლად ედევნებინა თვალყური მონების განწყობილებისათვის, რომ პატრონს დროზე გაეგო მისგან, უკეთუ მათს წრეში რაიმე მისი საწინააღმდეგო გაკეთდებოდა. ვილიკის ცოლი მზარეულისა და მეკუჭნავის მოვალეობას ასრულებდა.

ტრაქტატის იმ პარაგრაფებში, რომლებიც მონების სარჩოს ეხება, დაწვრილებით არის გამოანგარიშებული იმ საჭმლის, ღვინისა და ტანსაცმლის ოდენობა, რომლებიც მონებს ზამთრობით და ზაფხულობით ეძლეოდათ: „ტანსაცმელი მონებს: ტუნიკა წონით 31/2 გირვანქა და ლაბადა — წლის შემდეგ. ყოველთვის, როცა მისცემ ტუნიკას თუ ლაბადას, ჯერ გამოართვი ძველი ტანისამოსი ნაჭრებიანი საბნისათვის. ხის კარგი ფეხსაცმელი წლის შემდეგ უნდა მისცე.

ულუფა მონებს: იმათ, ვინც ყანაში მუშაობს: ზამთრობით ხორბლის ოთხ-ოთხი მოდიუსი[1] და ზაფხულობით — 4,5 ვილიკს, მეკუჭნავეს, ზედამხედველს, მეცხვარეს სამ-სამი მოდიუსი. ზამთრობით ოთხ-ოთხი გირვანქა პური, ზაფხულობით, როცა ვენახების დაბარვას დაიწყებენ, ხუთ-ხუთი იმ დრომდე, ვიდრე ლეღვი არ დამწიფდება. მაშინ კვლავ 4 გირვანქას დაუბრუნდი“. საერთოდ, როგორც წესი, სოფლის მონების საჭმელი მხოლოდ მიწათმოქმედების პროდუქტებისაგან შედგებოდა. მართალია, მათ ღვინო და ერბოც ეძლეოდათ განსაზღვრული ოდენობით, მაგრამ პირველი თითქმის დაძმარებული იყო, მეორე კიდევ უხარისხო.

---

[1] მოდიუსი = 8,8 ლიტრს.

კატონის მიერ აღწერილი საშუალო ზომის მამული იმ დროის ცენტრალური იტალიისა და კამპანიის მეურნეობისათვის იყო ტიპური.

იტალიის სამხრეთითა და აგრეთვე სიცილიასა და აფრიკაში კი უფრო ისეთი უზარმაზარი მონათმფლობელური ლატიფუნდიები არსებობდა, რომლებიც ათასობით იუგერს შეიცავდნენ.

Ე. ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ: ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ. ᲞᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲝ ᲙᲐᲪᲘᲗᲐᲚᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ

III—II საუკუნეებში მუდმივმა ომებმა საბედისწერო ზეგავლენა მოახდინა იტალიელი გლეხობის მდგომარეობაზე. ჰანიბალის ხანგრძლივ სამხედრო მოძრაობას იტალიაში თან სდევდა იმ მხარეების გაპარტახება, სადაც საომარი მოქმედება მიმდინარეობდა. ამას გარდა, ზღვისგაღმა ლაშქრობა განსაკუთრებული სიმძიმით აწვა გლეხურ მეურნეობას, ვინაიდან ხანგრძლივად აშორებდა მთავარ მუშაკებს თავიანთ კარმიდამოს. ამიტომ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი ომები გაბატონებულ კლასებს ამდიდრებდა, დამლუპველი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხებისათვის. გლეხური მეურნეობის დაქვეითებაზე გავლენას ახდენდა იტალიაში იაფი პურის შემოზიდვაც, რამდენადაც პურეულის კულტურას არარენტაბელურს ხდიდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მიწებს ძალადობით ისაკუთრებდნენ მსხვილი მონათმფლობელები, რომელთა მისწრაფება. — გაფართოებინათ და დაეპრკვალებინათ თავიანთი მამულები, უმთავრესად გლეხების ნაკვეთების ანგარიშზე ხორციელდებოდა. მართალია, ფორმალურად, საზოგადოებრივი მინდვრის ფარგლებში ოკუპაციის უფლება ყველა მოქალაქეს ჰქონდა, მაგრამ მის უმეტეს ნაწილს ნობილიტეტისა და მხედრების წარმომაღგენლები დაეპატრონენ. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო აგრეთვე წვრილი გლეხური მეურნეობისათვის მსხვილი მონათმფლობელური მეურნეობის კონკურენცია. ყოველივე ამის გამო, იტალიაში ვითარდება წვრილი სასოფლო მეურნეობის დაქვეითება და გლეხების პაუპერიზაცია. რა გზას უნდა დადგომოდა ასეთ პირობებში გაღატაკებული გლეხობა? ისინი იძულებული იყვნენ ან იჯარით აეღოთ მდიდრებისაგან მიწის ნაკვეთები, ან დღიური მუშები გამხდარიყვნენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ თავისუფალ დღიურ მუშებს მხოლოდ ალობის დროს იწვევდნენ და, ცხადია, მათ არ შეეძლოთ მუდმივი შემოსავალი ჰქონოდათ. ამიტომ რაკი სოფლის მეურნეობა მათ გამოკვების საშუალებას აღარ აძლევდა, ქალაქს მიაშურეს, რომ აქ სხვადასხვა გზით საარსებო ლუკმაპური მოეძოებინათ. მათმა ნაწილმა ქალაქში ხელოსნებად და საამშენებლო მუშებად დაიწყო მუშაობა.

ისინი სპეციალურ ხელოსნურ კოლეგიებში ერთიანდებოდნენ. მაგრამ ქალაქში გადასახლებული გაღატაკებული გლეხობის მხოლოდ ნაწილი ახერხებდა ხელოსნურსა და საამშენებლო წარმოებაში ჩაბმას და პატიოსანი შრომით საარსებო სახსრების მოპოვებას. უმრავლესობა კი ასეთ საშუალებას მოკლებული იყო. საზოგადოების ეს ნაწილი, უკიდურესი გაჭირვებისა და შეიწროების ზეგავლენით, თანდათან იმ პარაზიტულ, ანტიკურ ლუმპენ-პროლეტარიატად იქცეოდა, რომელიც წემოხვევითი საშოვრის ძებნის პროცესში არც არაფერს ერიდებოდა, და არც არაფერს თაკილობდა: თანამდებობის პირთა არჩევნებში იგი ხმებით ვაჭრობდა, სასამართლოში ცრუ მოწმედ გამოდიოდა, ქურდობდა და სხვ. ისინი არსებობდნენ იმ საბრალო ნასუფრალით, რომელსაც მათთვის სახელმწიფო, პოპულარობის მაძიებელი პოლიტიკური მოღვაწეები და მდიდრები იმეტებდნენ.

ქალაქების ზრდასა და ქალაქური წარმოების გაფართოებასთან ერთად ვითარდებოდა ვაჭრობა ქალაქსა და სოფელს და ცალკეულ მხარეებს შორისაც. რომის უდიდეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევამ დიდად შეუწყო ხელი საგარეო ვაჭრობის ფართო განვითარებას. თუ პირველი პუნიკური ომების საგნების მხრივ რომის მოსახლეობის მოთხოვნილებას ძირითადად აღგილობრივი სარეწები აკმაყოფილებდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები რომაელებს პროვინციებიდან და რომის ხელქვეითი ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, ხოლო ფუფუნების საგნები— საბერძნეთიდან და ელინისტური აღმოსავლეთის მხარეებიდან. კუნძულ დელოსზე ერთიმეორეს ხვდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები და აქვე იტალიელ ვაჭრებს, უმთავრესად კამპანიელებს და სამხრეთ-იტალიელ ბერძნებს საკუთარი ასოციაციები შეუქმნიათ, როგორც ამას მრავალრიცხოვანი წარწერა გვიდასტურებს.

იტალიიდან გაჰქონდათ ღვინო, ზეთისხილი, ლითონის ნაკეთობანი, მარმალია, საქონლის იმპორტი იტალიაში ყოველთვის სჭარბობდა ექსპორტს, მაგრამ ძლევამოსილი ომების პერიოდში ამ სიჭარბეს გაათკეცებით ფარავდა და ანაზღაურებდა ფულისა და სხვა ფასეულობის მუდმივი მოზღვავება იტალიაში.

ძვ. წ. II საუკუნემდე რომს აკლდა ვერცხლის მონეტი, მაგრამ დაპყრობების, განსაკუთრებით ესპანეთის ვერცხლის მაღაროების ხელში ჩაგდების შემდეგ რომის სახელმწიფომ ეს მოთხოვნილებაც მთლიანად დაიკმაყოფილა.

სახელმწიფოს გამდიდრებასთან ერთად იზრდებოდა კერძო პირების სიმდიდრეც. ჯარის მეთაურები, დაპყრობილი პროვინციების მმართველები და სხვადასხვა სახის მოიჯარეები საკმაოდ მდიდრდებოდნენ. ოქროსა და ვერცხლის მოზღვავებას რომის სახელმწიფოში შედეგად სავაჭრო კაპიტალის განვითარება მოჰყვა. ამ კაპიტალის მთავა-

რი წარმომადგენლები იყვნენ ეგრეთ წოდებული პუბლიკანების კომპანიები. რომში იჯარით გაიცემოდა არა მარტო გადასახადთა შეგროვება, არამედ სახელმწიფო მეურნეობის მთელი რიგი მუხლები. პოლიბიოსი გადმოგვცემს „...ყოველივე, რაც კი რომაელების ხელისუფლებაში იმყოფება, ცენზორის მიერ იჯარით გაიცემაო". იჯარის აღებისა და შესრულების მიზნით, რამდენიმე მოიჯარე — პუბლიკანი ერთიანდებოდა და ქმნიდა კომპანიებს. თითოეულ მონაწილეს შეჰქონდა თანხის ნაწილი და იღებდა თავისი წილის შესატყვის რაოდენობას. მსხვილ კომპანიებს თავიანთი აპარატი ჰქონდათ: ჰყავდათ მწერლები და აგენტები, ჰქონდათ საკუთარი ხომალდები და კანტორები პროვინციებში.

პუბლიკანები გადასახადების შეგროვების პროცესში ბოროტად იყენებდნენ სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ უფლებებს და, ამასთან ერთად, საკრედიტო-სავაჭრო ოპერაციებსაც ასრულებდნენ: იმ შემთხვევაში, თუ ხარკის გადამხდელთ სახსრები არ გააჩნდათ, პუბლიკანები მათ დიდი პროცენტით სესხად აძლევდნენ თანხებს და ვადის გასვლის შემთხვევაში დიდ სიმკაცრეს იჩენდნენ. ასეთ ოპერაციებს პუბლიკანები განსაკუთრებით აღმოსავლეთ პროვინციებში ეწევდნენ. სადაც ჯერ კიდევ მოქმედებდა ისეთი კანონი და ადათი, რომლის თანახმად ვალაუვალი ადამიანის მონად გაყიდვა შეიძლებოდა და თითქმის შეუზღუდავი საგალო პროცენტი იყო დაწესებული.

როგორც სავაჭრო, ისე საიჯარო და სავახშო ოპერაციებს უპირატესად მხედართა წოდების წარმომადგენლები მისდევდნენ. მხედრები არ იყვნენ შეკავშირებული თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთი ჩარჩოებით, რომლებიც ნობილების მოქმედებას ზღუდავდნენ და ამიტომ მათ განკარგულებაში გაჩდიდრების სხვადასხვა საშუალება არსებობდა: სამხედრო ნაწილების მომარაგება, გადასახადების შეგროვება, საზოგადოებრივ სამუშაოთა იჯარა, კონფისკაციაქმნილი მიწების შეძენა თუ იჯარით აღება და სხვ. ამ გზით წარმოიქმნა რომის სახელმწიფოში ახალი მოვაჭრე-ფულადი არისტოკრატია.

პუბლიკანების კომპანიების გვერდით რომში არსებობდნენ ზარაფები — არგენტარიები, რომელთა კანტორებში წარმოებდა ფულის დახურდავება, სესხის გაცემა პროცენტით, ფულის შესანახავად ჩაბარება და ერთი მეანაბრის ფულადი თანხების მეორის ანგარიშზე გადარიცხვა.

მართალია, პირველი ადგილი იმ ფართო სპეკულაციაში, რომელმაც რომაული საზოგადოება მოიცვა, მხედრებს ეკუთვნოდათ, მაგრამ არსებითად არც ნობილები იყვნენ მათ გვერდზე გამდგარი. ისინი ამ დარგში უმთავრესად თავიანთი კლიენტების დახმარებით მოქმედებდ-

ნენ. ის კატონ უფროსიც კი, რომელიც თითქოს ძველი ტრადიციის თაეგამოდებული დამცველი იყო, პლუტარქეს გადმოცემით. დიდი გულმოდგინებით ასრულებდა მომგებიან ოპერაციებს და არ თაკილობდა ასეთ საქმიანობას.

3. რომის პროვინციები და მათი ორგანიზაცია

მას შემდეგ, რაც რომაელებმა ბოლო მოუღეს ძლიერ მოწინააღმდეგეს — კართაგენის მონათმფლობელურ რესპუბლიკას, საბოლოოდ დაიპყრეს ესპანეთი და პერგამონის სამეფო თავიანთ პროვინციად გადააქციეს, რომი ხმელთაშუა ზღვის აუზში უდიდესი საზღვაო სახელმწიფო გახდა.

როგორი იყო შემოერთებული და დაპყრობილი მხარეების — პროვინციების მართვა-გამგეობის სისტემა და რომაელების მიერ მათი ექსპლუატაცია?

ძველრომაული ტერმინი „პროვინცია" თავისი პირდაპირი მნიშვნელობით სენატის მიერ მაგისტრატისადმი მიკუთვნებულ მინდობილობას, დანიშნულებას თუ მივლინებას გამოსახავდა. უფრო ფართო გაგებით კი პროვინცია იტალიის გარეშე დაპყრობილ ისეთ მხარეს ეწოდებოდა, რომელსაც რომაული საიმპერიო მაგისტრატი განაგებდა. ეს ისეთი მაგისტრატი იყო, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა დადგენილებათა გამოცემის უფლება და რომაელი ხალხის სახელით მართვა-გამგებლობა. ძვ. წ. II საუკუნის ოცდაათიან წლებამდე რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში 9 პროვინცია შედიოდა. ექვსი დასავლეთით — სიცილია, სარდინია, კორსიკა, ცისალპური გალია, ესპანეთი, აფრიკა და სამი აღმოსავლეთით — ილირია, მაკედონია, აზია. თითოეული მათგანის რომისადმი დაქვემდებარებასა და ურთიერთობას სხვადასხვაგვარი მოდუსი განსაზღვრავდა და რომაელებს ისეთი ზოგადი კანონები არ შეუქმნიათ, რომლებიც ყველა პროვინციისათვის ერთნაირი და სავალდებულო ყოფილიყოს.

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი რომში იმ დროს ჩამოყალიბდა, როცა ის ჯერ კიდევ ნამდვილი პოლისი — თავისებური ქალაქი-სახელმწიფო იყო. მაშინაც კი, როცა რომმა თავის ხელქვეითად მთელი იტალია გააერთიანა, მასში რომაელებს არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ და ძირითადად იმით დაკმაყოფილდნენ, რომ შექმნეს საკმაოდ ჭრელი ორგანიზაცია ისეთი თემებისა, რომელთა შორის ხელმძღვანელი როლი და ბატონობა სამხედრო ძალებზე დამყარებით რომს ეკუთვნოდა.

ძველი რესპუბლიკური სახელმწიფო აპარატის ახალ ამოცანებთან შეუსაბამობა უფრო მაშინ გამოაშკარავდა, როცა რომი ზღვისმიერი

უზარმაზარი ტერიტორიების მფლობელი გახდა. ამიტომ რომაელებმა თავიანთი პროვინციული სისტემა ერთბაშად კი არ განავითარეს, არამედ თანდათანობით და ზოგჯერ სტიქიურად. მაგრამ ამ სისტემის საერთო საელდებულო მოდუსი მათ მაინც არ შემოუღიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამა თუ იმ პროვინციის მიმართ სენატის მიერ გამოცემულ დადგენილებებს.

მეორე მხრივ, იტალიასთან შედარებით რომი პროვინციების მიმართ უფრო მტკიცედ ატარებდა თავისი ცნობილი პოლიტიკის „დანაწილებისა და ბატონობის" პრინციპებს და ამ მხრივ, რა თქმა უნდა, პროვინციები უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პროვინციები იტალიის საზღვრებიდან შორს მდებარეობდა და იქ არაიტალიური წარმოშობის მოსახლეობა ბინადრობდა, რომელსაც არსებითად რომის ქვეშევრდომებად და უცხოელებად თვლიდნენ. პროვინციების დაპყრობილი ტერიტორიები კი რომაელი ხალხის ქონებად მიაჩნდათ.

პირველ ხანებში პროვინციების მართვა-გამგებლობა მათ დამპყრობელ სარდლებს ეკისრებოდათ. შემდგომ დროში კი ოთხი ახალი თანამდებობა დააწესეს პროვინციული პრეტორებისა, რომელთაც უკვე განსაზღვრული პროვინციების გამგებლობა ევალებოდათ. პროვინციულ პრეტორებს ერთი წლით ირჩევდნენ, ისე როგორც სხვა მაგისტრატებს. ამ ვადის გაგრძელება მხოლოდ სენატის განსაკუთრებული დადგენილებით შეიძლებოდა. პროვინციულ პრეტორებს სრული ხელისუფლება ენიჭებოდათ და პროვინციებში ძალა არ ჰქონდა არც პროვოკაციას, არც ტრიბუნის ინტერცესიოს და არც კოლეგიალობას. ზოგჯერ პროვინციებში მმართველებად იგზავნებოდნენ ყოფილი მაგისტრატები და პროვინციების გასაწილება სენატს კომპენტენციას წარმოადგენდა. ასეთ მმართველებს ენიჭებოდათ პროკონსულის ან პროპრეტორის სახელწოდება. როცა პროვინციის მმართველი თავის მოვალეობათა შესრულებას შეუდგებოდა, იგი ჩვეულებრივად ედიქტს აქვეყნებდა, რომელშიც იმ ნორმებს აღნიშნავდა, რომელთა მიხედვითაც პროვინციის მართვას ფიქრობდა. პრეტორის უახლოესი თანაშემწეები იყვნენ ქვესტორები, რომლებიც საფინანსო და სამეურნეო საქმეებს განაგებდნენ და სენატის მიერ დანიშნული ლეგატები. პრეტორების მოღვაწეობა თითქმის უკონტროლოდ მიმდინარეობდა და მის ხელქვეით მოსახლეობას მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე საჩივრის აღძვრა მხოლოდ მაშინ შეეძლო, როცა იგი ვადის გასვლის შემდეგ თანამდებობას მოადგილეს ჩააბარებდა.

როგორც თითოეული პროვინცია, ისე მასში შემავალი ქალაქი რომთან განსხვავებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ქალაქების

უმრავლესობა დამოკიდებული თემების კატეგორიას მიეკუთვნებოდა და განსაზღვრულ გადასახადს იხდიდა. ასეთი ქალაქები უშუალოდ პროვინციის მმართველს ექვემდებარებოდა და მხოლოდ ვიწროდ შემოფარგლული ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში ჰქონდა შენარჩუნებული ერთგვარი ავტონომია. მათ გვერდით არსებობდა თავისუფალი ქალაქები, რომლებიც სრული ავტონომიით სარგებლობდნენ. ასეთ თავისუფალ ქალაქთა შორისაც ერთგვარი განსხვავება სუფევდა: ზოგიერთი მათგანის უფლებები სპეციალური საკავშირო ხელშეკრულებით იყო დაწესებული და ეს თემები მოკავშირეებად ითვლებოდნენ. ასეთები იყვნენ, მაგ., ბერძნული პოლისები: ათენი, როდოსი, მასალია. მოკავშირე თემების კატეგორიას მიეკუთვნებოდა აგრეთვე საზღვრებზე მდებარე მოკავშირე სამეფოები. ზოგის თავისუფლება კი არა ხელშეკრულებით, არამედ სენატის მიერ იყო გარანტირებული.

პროვინციები რომის სახელმწიფოს უდიდეს შემოსავალს აძლევდა. ისინი იხდიდნენ პირდაპირსა და არაპირდაპირ გადასახადებს, ბაჟებს და ყოველგვარი სახის დამატებით გამოსაღებს. პროვინციების მიწების ნაწილი, მაგ., კართაგოსა და კორინთის ტერიტორიები, ესპანეთის პალატინები და სხვა, რომაელებმა სახელმწიფო საკუთრებად გადააქციეს და პრეტორები მის ნაკვეთებს იჯარით გასცემდნენ. მაგრამ სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის განსაკუთრებულად ვნიშვნელოვანი ნაწილი იყო იტალიის გარეშე დაპყრობილი ქვეყნების ყოველწლიური ხარკი და ბაჟი, რომელსაც ცალკეულ პროვინციებსა და იტალიის საზღვრებს შორის გატარებულ საქონელზე ახდევინებდნენ.

პროვინციის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა პრეტორისა და მისი შტატის შენახვა და იქ დაბანაკებული ჯარების გამოკვება, მაგრამ განსაკუთრებული უბედურება იყო რომაელი პუბლიკანებისა და მევახშეების მოღვაწეობა. როგორც ვიცით, პუბლიკანების კომპანიები იჯარით იღებდნენ პროვინციებში გადასახადების შეგროვების უფლებას, წინასწარ შეჰქონდათ ხაზინაში განსაზღვრული თანხები და შემდეგ მტაცებლური და შეუბრალებელი მიდგომით იწყებდნენ შეტანილი თანხის გაათკეცებით აღებას. მათ გვერდში ედგათ ყოველი ჯარის მევახშეები, რომლებიც იმათ, ვისაც გადასახდელი თანხა არ გააჩნდა, სესხს აძლევდნენ და შემდეგ, როგორც იტყვიან სულს აძრობდნენ. პუბლიკანებისა და მევახშეების თავაშვებულ ძალმომრეობას პროვინციების მმართველების უპასუხისმგებლო თვითნებობა კიდევ უფრო ამძიმებდა. პროვინციის მმართველების უმრავლესობა ყოველნაირად ცდილობდა ესარგებლა თავისი რწმუნების ერთწლიანი ვადით და ადგილობრივი მცხოვრებლების ანგარიშზე რომში გამდიდრებული დაბრუნებულიყო. მართალია, 149 წელს კალპურნიუსის კანონით დაარსდა ბოროტმოქმედებისა და გამოძალვის საქმეთა გასარ-

ჩვეულებრივ მუდმივი სასამართლო კომისიები, მაგრამ მათი წევრები სენატორები იყვნენ და შედარებით ლმობიერად ეპყრობოდნენ თავიანთი წოდების წარმომადგენელებს, თუნდაც მათ წინააღმდეგ აუცილებლად დამარწმუნებელი მამხილებელი საბუთებიც ყოფილიყო წარმოდგენილი.

პროვინციის მმართველების, პუბლიკანებისა და მევახშეების მტაცებლური საქმიანობა ანადგურებდა არა მარტო წვრილ მიწისმესაკუთრეებსა და ხელოსნებს, არამედ მთელ ქალაქებსა და მხარეებს და ადგილობრივ მოსახლეობას დამონებას უქადდა.

4. საზოგადოებრივი ბრძოლა რომში

მაკედონიის მეფის პერსეუსის დამარცხების შემდეგ, რომში მძევლებად წარგზავნილ აქაელთა შორის იყო სახელგანთქმული ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი (201—120 წწ.). იგი ხანგრძლივად ცხოვრობდა რომში და ეცნობოდა მის საზოგადოებრივსა და სახელმწიფო მოღვაწეობას. თავის ცნობილ ნაშრომში პოლიბიოსი ეხება იმ საკითხს, თუ როგორ მოხდა, რომ იმ დროს ცნობილი თითქმის მთელი სამყარო ორმოცდაათიოდე წლის განმავლობაში რომის ხელქვეითი აღმოჩნდა? პოლიბიოსი რომის შინაური და საგარეო პოლიტიკის წარმატების საწინდარს სახელმწიფო წყობილების სხვადასხვა ფორმის —მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიის ჰარმონიულ შეხამებაში ხედავს. ნამდვილად კი მისი თანამედროვე რომი ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან შედგებოდა. იმ დროსაც თავისუფალ მოსახლეობაში კვლავ მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა მიწისათვის მსხვილ და წვრილ მიწისმფლობელთა შორის. მეორე მხრივ, თვით პოლიბიოსის ცნობების თანახმად, გამწვავებას იწყებდა ბრძოლა გაბატონებულ მიწათმფლობელ დიდკაცობასა — ნობილიტეტსა და ახალ მოვაჭრე-მევახშე არისტოკრატიას — მხედრებს შორის. ნობილიტეტის ძლიერების ეკონომიკური საფუძველი მსხვილი მიწათმფლობელობა იყო. ჩვენ ვიცით, რომ კლავდიუსის 220 წლის კანონმა ნობილების საგაჭრო ოპერაციები საგრძნობლად შეზღუდა და, თუმცა ისინი თავიანთი კლიენტების დახმარებით, ახერხებდნენ საგაზრო და საგაჭრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ომებში და პროვინციების ძარცვის შედეგად შეძენილ უამრავ ქონებას უმთავრესად მაინც მიწის, მონებისა და ფუფუნების საგნების ყიდვას ანდომებდნენ.

ნობილიტეტის პოლიტიკურ საფუძველს კი სენატი წარმოადგენდა. სენატი ხელმძღვანელობდა ფაქტობრივად საგარეო და შინაურ პოლიტიკას. სახელმწიფო აპარატს ნობილები პირველ რიგში პროვინციების საექსპლუატაციოდ იყენებდნენ. სენატორები ჩვეულებრივი მო-

ქალაქეებისაგან თავიანთი გარეგანი სახითაც გამოირჩეოდნენ. სენატორთა წოდების წევრებს თეთრი ტუნიკა ემოსათ ფართო მეწამული ზოლით, ფეხსაცმელი სპილოს ძვლის შესაკრავით და თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთათ. ნობილების ქალაქისა და სოფლის ვილებში კი უამრავი კლიენტი, მსახური და მონა ირეოდა.

ამ ეპოქის სოციალური და პოლიტიკური განვითარების ერთი საგრძნობი შედეგი იყო ის, რომ II საუკუნიდან გაბატონებული კლასის წრეში თანდათან შედიოდნენ მუნიციპალური, ე. ი. იტალიელი და პროვინციელი დიდკაცობის წარმომადგენლები. ახალი ელემენტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ტრადიციული რესპუბლიკური ფორმების დაცვით.

ამ დროს მიმდინარეობდა აგრეთვე მხედრების გამოცალკევება პლებეების ძირითადი მასისაგან და განსაკუთრებულ წოდებად ჩამოყალიბება. გადასახადთა შეგროვების იჯარით აღებისა და რომის საკავერო და საკახშო კაპიტალის განსაკუთრებული ვითარების წყალობით მხედართა სიმდიდრე იზრდებოდა. თუ ნობილიტეტი ძირითადად მიწათმფლობელ დიდკაცობას წარმოადგენდა, მხედრები ახალ მოვაჭრე-მეკახშე არისტოკრატიას განასახიერებდნენ. მხედრები ისწრაფოდნენ სახელმწიფოში თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინათ და ამ ნიადაგზე ყოველად ძლიერ ნობილიტეტთან ბრძოლაში ხან სოფლისა და ხან ქალაქის პლებსს უკავშირდებოდნენ. ქალაქის პლებსი იმ დროს უკვე ისეთ პოლიტიკურ და სოციალურ ძალას წარმოადგენდა, რომლის მოკავშირეობას თუ მტრულ განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოში წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის შედეგებისათვის, რაც განსაკუთრებული სიცხადით რესპუბლიკის ბოლო პერიოდში გამოაშკარავდა.

თვით ნობილიტეტის შიგნითაც მიმდინარეობდა თავისებური ბრძოლა უმთავრესად მაღალი მაგისტრატურისა და მდიდარი პროვინციების მმართველობის გარშემო. თავის დროზე განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი კორნელიუს სკიპიონ აფრიკელ უფროსს. 199 წლიდან 184 წლამდე იგი სენატის პრინცეპსი იყო და დიდ გავლენას ახდენდა საგარეო და შინაური პოლიტიკის მსვლელობაზე. საგარეო პოლიტიკაშიც ის იცავდა რომის ძლიერების განმტკიცებას მასზე დამოკიდებული სახელმწიფოების სისტემის შექმნის გზით. შინაურ პოლიტიკაშიც იგი სენატის სისტემის მმართველობის მომხრე იყო, მაგრამ საჭიროდ მიაჩნდა პირდაპირი გადასახადების შემცირება

და სამხედრო სამსახურის შემსუბუქება. სციპიონი პოპულარული იყო და თავისი ყოფილი მეომრებისა და პლებსის წრის თანაგრძნობით სარგებლობდა.

სენატორთა ოლიგარქიაში ძლიერი იყო სციპიონის მოწინააღმდეგე ჯგუფი. სციპიონი თავის მოწინააღმდეგეებთან ერთ-ერთი ცხარე კონფლიქტის გამო ჩამოშორდა სახელმწიფო საქმეებს და განცალკევდა თავის მამულში, სადაც, როგორც ვიცით, 183 წელს გარდაიცვალა.

სციპიონის ერთ-ერთი თავგამოდებული მოპირდაპირე იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი მარკოზ პორციუს კატონ უფროსი. იგი დიდი დამცველი იყო რესპუბლიკური წყობისა და ტრადიციის. მას დაუშვებლად მიაჩნდა რესპუბლიკური კონსტიტუციისა და ჩვეულებების ყოველგვარი დარღვევა. ამ ნიადაგზე მას ხშირი შეტაკება უხდებოდა სციპიონთან. ალბათ, მისი მეოხებით მოხდა, რომ სციპიონის წინააღმდეგ დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელშიც მას და მის ძმას ბრალი ედებოდათ სახელმწიფო სახსრების უთავბოლო ხარჯვასა და თვითნებობაში. კატონი ებრძოდა არა მარტო სამხედრო დიქტატურას, არამედ სენატის ოლიგარქიასაც. მაგრამ კონსერვატიზმი კატონს ხელს არ უშლიდა დაეცვა მზარდი მონათმფლობელური მეურნეობისა და სავაჭრო კაპიტალის ინტერესები, თუმცა ენერგიულად ებრძოდა მაღალ წრეებში გაბატონებულ ფუფუნებას. 184 წელს იგი ცენზორად აირჩიეს. მან ფუფუნების საგნებზე განსაკუთრებული გადასახადი შემოიღო, ხოლო სენატორები, რომელთა საქციელი ამ მაღალი წოდებისათვის შეუფერებლად მიაჩნდა, სენატორების ახალ სიაში აღარ შეიტანა, შეამცირა აგრეთვე მხედრების რიცხვიც. მის წინააღმდეგ ნობილების სხვადასხვა ჯგუფი გაერთიანდა, რომელთაც შემდგომში ბევრი რამ გააუქმეს.

სენატორული ოლიგარქიის გაძლიერების ერთ-ერთი მაჩვენებელია ძვ. წ. 180 წელს გამოცემული სახალხო ტრიბუნის ვილიუსის კანონი, რომლის თანახმად, კონსულად და პრეტორად მხოლოდ იმ პირის არჩევა შეიძლებოდა, რომელმაც უკვე გაიარა ქვესტორისა და ედილის დაბალი არჩევითი თანამდებობები. ამას გარდა, პირველი მაგისტრატურის მაძიებელი არ შეიძლებოდა 28 წელზე ახალგაზრდა ყოფილიყო და მას ათი წელი სამხედრო სამსახურში უნდა ჰქონოდა გატარებული. ამრიგად, პრეტორად შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული ისეთი მოქალაქე, რომელიც 40 წელზე ახალგაზრდა არ იქნებოდა, ხოლო კონსულად — ვინც 43 წელს იქნებოდა გადაცილებული.

განხილულ პერიოდში საზოგადოებრივი მოძრაობის გათვალისწინებისას უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო ფართოვდებოდა რომში მონათმფლობელური მეურნეობა, მით უფრო ღრმავდებოდა მონების

ბრძოლა მონათმფლობელების წინააღმდეგ. თავდაპირველად ეს ბრძოლა დაქსაქსულად წარმოებდა, მაგრამ შემდგომ მან უდიდესი ამბოხების ხასიათი მიიღო. ამ დროშიც აღინიშნება მონების ზოგიერთი მნიშვნელოვანი აჯანყება, მაგალითად: ძვ. წ. 198 წელს ლაციუმში მოეხლართა მონების შეთქმულება, რომლის გამომჟღავნების შემდეგ მასში მონაწილე 500 მონა სიკვდილით დასაჯეს და 196 წელს ეტრურიაში მოეხდარა მონების აჯანყება, რომლის ჩასაქრობად მთელი ლეგიონი წარუგზავნიათ.

თავი მეცხრე

ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის რომაული კულტურა

1. ელინისტური კულტურის გავლენა

იმ ღრმა საზოგადოებრივ ძვრებს, რომლებიც ჩვენ მიერ განხილულ პერიოდში რომის სახელმწიფომ განიცადა, არა მარტო ძველი პოლიტიკური სისტემის კრიზისი მოჰყვა, არამედ ღრმა გავლენა მოახდინა რომაელების კულტურულ ცხოვრებაზეც. ამ პერიოდში ნათლად იჩინა თავი ძველრომაულ იდეოლოგიაში დაწყებულმა კრიზისმა, ამ კრიზისს ასაზრდოებდა, ერთი მხრივ, რომის სახელმწიფოს შინაგანი განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, რომაელების ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლასთან დაკავშირებით, რომის საზოგადოებაში ელინისტური გავლენის გავრცელება.

ბერძნებთან რომაელების ურთიერთობა ძველი დროიდან მომდინარეობდა, მაგრამ იგი განსაკუთრებით გაფართოვდა ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მცირე აზიაში დაწყებული ომების დროიდან, ჩნდება ცვლილება, უწინარეს ყოვლისა რომაელების ყოფა-ცხოვრებაში. ძველრომაული თავდაჭერილობა და უბრალოება ადგილს უთმობს ფუფუნებითა და გაცხრომით გატაცებას. წვერის მოპარსვა, ჭამის დროს მხართეძოზე წამოწოლა, საფლავზე ლექსის ფორმის წარწერების მოთავსება და ზოგიერთი სხვა მსგავსი ჩვეულება რომაელებმა ბერძნებისაგან შეითვისეს. თვით რომი თანდათან კარგავს გლეხური ქალაქის სახეს და მსოფლიო ცენტრის თვისებებით იმოსება. II საუკუნის დასაწყისში რომში მრავლად ჩნდებიან ბერძნები და ბერძნული ენისა და კულტურის ცოდნა რომაელი დიდკაცობის ცხოვრებაში სავალდებულო ხდება.

ელინისტური კულტურის გავლენას განიცდის რომში აგრეთვე სწავლა-განათლების საქმეც. რომშიც შეიცვალა ახალგაზრდობის აღზრდის სისტემა. ადრინდელი რესპუბლიკის პერიოდში შვილების აღმზრდელის როლს მხოლოდ მამა ასრულებდა: იგი ასწავლიდა მათ წერა-კითხვას, ანგარიშს, აზეპირებინებდა თორმეტი დაფის კანონს და

უნერგავდა წინაპართა ადათებისადმი პატივისცემასა და ერთგულებას. ამ დროს რომში მრავლად ჩნდებიან ბერძენი მასწავლებლები, რომლებიც უკვე ყოველი მდიდარი ოჯახის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენენ. რომში არსდება ბერძნული რიტორიკული სკოლები, სადაც ახალგაზრდობა სწავლობს გრამატიკას და ეცნობა ბერძენი პოეტების შემოქმედებას, ფილოსოფიურ სისტემათა საფუძვლებს და რიტორიკისნაირ ხერხებს.

ამ დროის რომში მყოფი ბერძნები გვევლინებიან მასწავლებლებად, მსახიობებად და სხვ.

თქმულება ენეას იტალიაში გადმოსახლების შესახებ, რომელიც რომს მითოლოგიურად ბერძენთა სამყაროს უკავშირებს, ამ პერიოდში რომაელებს შორის თითქმის ოფიციალური აღიარების ხასიათს ღებულობს. რომის ზოგიერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ისეთი პატივისმცემელი ხდება ელინისტური კულტურისა, რომ არ ერიდება თავის თავს ფილელენი უწოდოს. საერთოდ, ელინიზაციამ ფართოდ მოიცვა რომაელების ცხოვრება, ამით გარკვეული საფუძველი მიეცა ძველ ცნობილ თქმულებას, რომ იარაღით დაპყრობილმა საბერძნეთმა თვითონ გაიმარჯვა და ჩამორჩენილ ლაციუმში კულტურა შეიტანაო.

არ შეიძლება ითქვას, რომ რომში გარეგანი, უცხოური გავლენა ბრძოლისა და წინააღმდეგობის გარეშე ვრცელდებოდა. პირიქით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საზოგადოების ფართო წრეები მტრულად ხვდებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ახალ აზრებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენ მიერ არაერთხელ მოხსენიებული 184 წლის ცნობილი ცენზორის კატონ უფროსის მოღვაწეობა, რომლის პროგრამის ძირითად პუნქტს ძველი ზნეჩვეულებისა და „მამაპაპური" ადათის აღდგენისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. ცხადია, კატონს გვერდში ედგა და მხარს უმაგრებდა კონსერვატორების მთელი ჯგუფი.

ელინისტურმა გავლენამ ერთგვარი დადებითი როლი შეასრულა რომაელი საზოგადოების მაღალ ფენებში განათლების გავრცელებისა და კულტურის ზრდის თვალსაზრისით. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს კართაგოს გამანადგურებლის, სციპიონ უმცროსის მოღვაწეობა, რომელსაც მესამე პუნიკური ომის შემდეგ რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი. მის გარშემო თავი მოიყარა ფილოსოფოსებისა და მწერლების ჯგუფმა, რომელშიც გამოირჩეოდნენ ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი, ფილოსოფოსი პანეციუსი (180—120 წწ.), რომში კუნძულ როდოსიდან გადმოსახლებული ბერძენი მწერალი პუბლიუს ტერენციუს აფრიკელი (190—159 წწ.), კართაგელი ლიბერტინი, ცნობილი იურის-

ტი გაიოზ ლელიუსი და სხვ. სციპიონ უმცროსის წრის წევრები — ისტორიკოსი პოლიბიოსი და ფილოსოფოსი პანციუსი რომში სტოიკური მოძღვრების მქადაგებლად გამოდიოდნენ. ისინი საშუალო, ანუ რომაული სტოას მიმდევრებად ითვლებიან.

სციპიონ უმცროსი ღიდი თაყვანისმცემელი იყო ელინისტური კულტურისა და ფილოსოფიისა. ის ისტორიკოსთა მოძღვრების გავლენას განიცდიდა და თითქოს იზიარებდა გარემომცველი წრის გავლენისაგან აბსოლუტურად თავისუფალი ბრძენის იდეალს, მაგრამ, მეორე მხრივ, ძველრომაული იდეალების მიმდევარი იყო და მტკივნეულად განიცდიდა რომის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პირობების ზოგიერთ მახინჯ მხარეს, ძველრომაული იდეალების დამცველად თვლიდა თავს და დიდად აფასებდა კატონ უფროსის მოღვაწეობას. მისი წრე იმ „ძველი კეთილი დროის" რომაელს შეჰხაროდა, რომელიც, მისი წარმოდგენით, სიმამაცით, უბრალოებითა და სამართლიანობით გამოირჩეოდა. სციპიონ უმცროსი კარგად გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის სამხედრო ძლიერებისათვის გლეხობას და ისეთი რეფორმის გატარებაზეც კი ოცნებობდა, რომელიც ადრინდელი რესპუბლიკის დროის ურთიერთობას აღადგენდა, მაგრამ თვითონ ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სენატის ოლიგარქიასთან, რომ, ცხადია, რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო, მისი ცენზურა, მართალია, სასტიკი ხასიათით განირჩეოდა, მაგრამ ფუფუნების წინააღმდეგ მის ბრძოლას საგრძნობი შედეგები არ მოჰყოლია.

2. სარწმუნოება

რომაელების სხვადასხვა ხალხთან, განსაკუთრებით ბერძნებთან ურთიერთობამ მათ სარწმუნოებაზეც იქონია გავლენა. ბერძნულ მითოლოგიას რომაელები ადრე გაეცნენ და თავისებურად შეითვისეს ღმერთებზე მათი წარმოდგენები. ძველრომაული სარწმუნოება არსებითად ფორმალისტური ხასიათით განირჩეოდა და უმთავრესად წესების ზუსტ შესრულებას მოითხოვდა. როგორც საბერძნეთში, ისე რომში ქურუმთა კასტა არ წარმოქმნილა და გაქვავებული სარწმუნოებრივი დოგმატიზმი არ განვითარებულა. ამიტომ რომაული სარწმუნოების ელინიზაცია არ გამოხატავდა ერთი სახიდან მეორეში გადასვლას, არამედ ტრადიციული რომაული ცნებების ცხოვრების ახალ პირობებთან და ახალ მსოფლმხედველობასთან შეგუებას წარმოადგენდა. ოფიციალური ღღესასწაულები და ძველი წესების სისტემა თითქმის ხელშეუხებელი რჩება. ამავე დროს ბერძნული ოლიმპიური პანთეონი თანდათანობით რომაელებშიც პოულობს ოფიციალურ აღიარებას

და ოლიმპის ღვთაებებთან ერთად რომში ვრცელდება. ბერძნული კულტები და სარწმუნოებრივი პროცესიები გალობით, ცეკვითა და თეატრალური წარმოდგენებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა რომაელების სარწმუნოების ისტორიაში პუნიკურ ომებს ჰქონდა. მეორე პუნიკური ომის დროს რომის საზოგადოება ომის ასპარეზზე თითქმის მუდმივი კრიზისების გამო ფრიად სევდიანმა განწყობილებამ მოიცვა. კონსერვატორები რომაელ ხალხზე თავდატეხილ ჭირს სარწმუნოებრივი მოვალეობის უგულებელყოფით და დავიწყებით ხსნიდნენ და ძველი სარწმუნოებრივი სულისკვეთების სრულ აღდგენას მოითხოვდნენ. აღდგენილ იქნა, სხვათა შორის, თითქმის სავსებით დავიწყებული აღთქმა საღვთო გაზაფხულისა ეგრეთ წოდებული სიბილას წიგნების მითითებების მიხედვით. იმავე წიგნების საფუძველზე შემოღებულ იქნა ბერძნების სარწმუნოებრივი ცერემონიალი, რომელიც არსებითად იმაში მდგომარეობდა, რომ ღმერთების კერპებს განსაკუთრებულ ბალიშებზე ათავსებდნენ და მათ წინ მაგიდებს დგამდნენ ხორაგით, ე. ი. მათ უხვად უმასპინძლდებოდნენ.

ჯერ კიდევ ადრინდელი რესპუბლიკის ეპოქაში რომაელებმა ეტრუსკებისა და ბერძნებისაგან გადმოიღეს ღმერთების გამოსახულებათა გამოკვეთა. მას შემდეგ კი, რაც რომაელებმა დაიპყრეს ბერძნული ქალაქები, რომში გადმოიღეს ბერძნული ღმერთების მრავალი ქანდაკება, რომელთაც ერთგვარი როლი ითამაშეს რომაულ სარწმუნოებაში ანთროპომორფიზმის დამკვიდრებასა და ძველი უსახო ღმერთებისაგან ანთროპომორფულ ღვთაებათა სისტემაზე გადასვლაში.

რომაულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მის ქვედა ფენებში, რაც უფრო ღრმად იდგამდა ფეხს პესიმიზმი და ერთგვარი სასოწარკვეთილება იმ დიდი მწუხარების გამო, რომელიც ხანგრძლივმა ომებმა წარმოქმნა, მით უფრო ვრცელდებოდა თავისებური აღმოსავლური ორგიასტული კულტები. ალბათ, მათში ეძებდა თავდავიწყებას მკაცრი სინამდვილით გულმოკლული ნაწილი საზოგადოებისა. მეორე პუნიკური ომის დასასრულს იმავე სიბილას წიგნების საფუძველზე რომში შემოიღეს კულტი ღმერთების დიდი დედისა, რომელსაც მცირე აზიაში რეასა და კიბელას სახელით სცემდნენ თაყვანს. იგი მიჩნეული იყო ღმერთების დედად და ყოველგვარი სიცოცხლის დასაბამად. მის სიმბოლოდ ითვლებოდა მეტეორიტი, რომელიც წინათ მცირე აზიის ქალაქ პესინუნტში იდო და მეორე რომში გადაიტანეს. ამ სიმბოლოს გადატანას რომში დიდი ზეიმით შეხვდნენ და პალატინზე, ვიქტორიის ტაძარში მოათავსეს. მის პატივსაცემად ბერძნული წესის მიხედვით ყოველწლიურად იმართებოდა ასპარეზობა. ფართოდ ყოფი-

ლა გავრცელებული რომში აგრეთვე ბერძნული დიონისეს კულტიც, რომელსაც სარწმუნოებრივი რეაქცია მოჰყოლია და რომლის წინააღმდეგ რომის სენატს განსაკუთრებული ღონისძიებისათვის მიუმართავს: მას 186 წელს გამოუცია სპეციალური დეკრეტი ბაკხანალიებზე და ისინი აუკრძალავს როგორც რომში, ისე იტალიაში.

მაგრამ მარტო უცხო კულტების შეთვისება როდი ახასიათებს ამ დროის რომაელების სარწმუნოებრივ შემეცნებას. რომაელი საზოგადოების მაღალ ფენებში ვრცელდება აგრეთვე ბერძენი ფილოსოფოსების მიერ, გამოთქმული მოსაზრებები სარწმუნოებრივ საკითხებზე. სხვათა შორის, ლათინურ ენაზე გადათარგმნეს ბერძენი ფილოსოფოსის ევგემერის თხზულება — „საღვთო ქრონიკა" (III ს.) ევგემერი ცდილობდა რაციონალისტურად განემარტა ღმერთებისა და სარწმუნოების წარმოშობა. ის მოუთხრობდა, რომ პანქეას კუნძულზე ყოფნის დროს აღმოაჩინა წარწერა, რომელშიც გადმოცემული იყო კაცობრიობის ისტორია და ჩამოთვლილი იყო კრონოსისა და ზევსის საქმენი. ევგემერისათვის ღმერთები ან ბუნების მარადიული ძალებია და ციური ზნათობები, ანდა თავისი მოღვაწეობისათვის გაღმერთებული ადამიანები, როგორც ოდესღაც იყვნენ ზევსი, ჰერა და სხვ. პანქეას მკვიდრნი, ევგემერით ისეთ თემს შეადგენდნენ, რომელსაც მოსახლეობის ყველაზე მეტად განვითარებული თემი — ქურუმები ხელმძღვანელობდნენ. ამ თემის სხვა ორ კლასს მეომრები და მიწათმოქმედნი შეადგენდნენ: მიწა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, მაგრამ წარმოება და განაწილება საზოგადოებრივ კონტროლს ემორჩილება. ევგემერის მოძღვრებას რომშიც ბევრი მიმდევარი გასჩენია.

3. რომაული დრამისა და სანახაობათა წარმოშობა. პირველი რომაელი პოეტები

რომაული სახალხო დრამის ჩანასახები წარმოიქმნა ადგილობრივად სხვადასხვა დღესასწაულის შესრულების ნიადაგზე და, მეორე მხრივ, მის განვითარებაზე გავლენა მოახდინა მეზობელმა ხალხებმაც. სხვადასხვა დღესასწაულზე გამოდიოდა გადაცმული მონაწილეების პროცესიები. წარმოებდა თავისებური დიალოგური იმპროვიზაცია. მაგრამ ყოველივე ეს არსებითად დრამის მხოლოდ მკრთალი ჩანასახი იყო. შემონახული ცნობების მიხედვით, ძვ. წ. 364 წელს რომში პირველად მოაწყვეს ეგრეთ წოდებული „სცენური თამაშობანი", რომელთა მიზანი ეპიდემიის გამო „ღვთაებრივი რისხვის" თავიდან აცილება ყოფილა: ეტრურიიდან მოუწვევიათ მროკავები, რომლებიც მიმურ

ცეკვებს ასრულებდნენ. ცნობილია, რომ მიმი ისეთ თამაშს წარმოადგენდა, რომელიც გამოსახავდა არა პოლიტიკურსა და სოციალურ მოტივებს, არამედ ყოველდღიური ცხოვრების სასეირო ამბებს. დრამატულ წარმოდგენათა ძირითად სახეს კი ატელანები წარმოადგენდნენ. ისინი ეტრურიაში წარმოიქმნა და საკულტო მოქმედებასთან იყო დაკავშირებული. სცენური თამაშის ეს სახე ოსკებმა განავითარეს და თვით ტერმინი „ატელანი" კამპანიის ქალაქის ატელას სახელისგან მომდინარეობს.

რას წარმოადგენდა ატელანა? ის იყო თავისებური ფოლკლორული დრამა, რომელსაც არა პროფესიონალი მსახიობები, არამედ მოსახლეები ასრულებდნენ და რომელმაც დიდხანს შეინარჩუნა კარნავალური თავისუფლება. ამ მხიარული პიესების შინაარსი სოფლისა და პატარა ქალაქების ცხოვრებიდან იყო ამოღებული და თავდაპირველად ისინი ექსპრომტად სრულდებოდა. მთავარ როლებში დამახასიათებელი ნიღბებით ერთი და იგივე ტიპები გამოდიოდნენ: გაუმაძღარი ტუტუცი, კუდაბზიკა ჩერჩეტი, სასაცილო მოხუცი და სწავლული შარლატანი — კუზიანი გაიძვერა.

ძველ რომში იმართებოდა აგრეთვე სხვადასხვა სახის სანახაობანი, და შეჯიბრებები: დოღი ეტლებზე, სირბილი, ჭიდაობა, მუშტი-კრივი და სხვ. ასეთ სანახაობებს ჩვეულებრივ ავენტინისა და პალატინის გორაკებს შორის მდებარე ხეობაში აწყობდნენ, სადაც ოდესღაც, თითქოს, რომაელებმა საბინელი ქალები გაიტაცეს. რომაელები მაყურებლებისათვის ფიცარნაგებს ალაგებდნენ, რასაც სანახაობის დამთავრების შემდეგ იღებდნენ. ასე წარმოქმნილა რომში ცირკი. ცირკის სანახაობებს რომის საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით თანდათან ფართო ხასიათი მიეცა და მოსახლეობის ტრადიციული გართობის მთავარი ფორმა გამხდარა.

ცირკის სანახაობათა გვერდით გაჩენილა სხვა სანახაობებიც, რომლებიც შემდგომში რომის ამფითეატრში სრულდებოდა. ამ სისხლიან სანახაობათა სამარცხვინო განსახიერებას გლადიატორებისა და მხეცების ორთა ბრძოლა წარმოადგენდა. არსებობს საფუძველი ვიგულისხმოთ, რომ ეს ჩვეულება რომაელებმა ეტრუსკებიდან გადმოიტანეს და მას უკიდურესი ფორმა მისცეს. უნდა ვიფიქროთ, რომ მას თავდაპირველად სულის მოსახსენიებელი კულტის ხასიათი ჰქონდა: მიცვალებულთა საფლავებზე ტყვეებს აიძულებდნენ ერთმანეთს სასიკვდილოდ შებრძოლებოდნენ. შემდგომ დროში კი რომის გაბატონებული წრეები ასეთ სისხლიან სანახაობებს დეკლასირებული და დემორალიზებული ბრბოს გასართობად ამფითეატრში აწყობდნენ. არ-

სებობს ცნობა, რომ გლადიატორთა ბრძოლა რომში პირველად ძმებმა ბრუტუსებმა მოაწყეს 254 წელს მამის დაკრძალვის დროს. მაშინ ორთაბრძოლაში გლადიატორთა სამი წყვილი იღებდა მონაწილეობას, 216 წელს — 22 წყვილი, 200 წელს — 25 და 183 წელს — 60 წყვილი. ასე თანდათან იზრდებოდა სასიკვდილო ბრძოლაში მონაწილე გლადიატორთა რიცხვი. გლადიატორებად გამოჰყავდათ მისჯილი ბოროტმოქმედნი, ტყვეები და დამნაშავე მონები. მათ განსაკუთრებით წვრთნიდნენ და ამზადებდნენ ამფითეატრში „ლამაზი“ ბრძოლისათვის. მეორე საუკუნის შუალედიდან ასეთი სანახაობანი რომაელების ისეთ გართობად გადაიქცა, რომ ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მიზნად პოპულარობის მოპოვებას ისახავდა, მათ მოწყობას გვერდს ვერ უვლიდა, პირიქით, საკუთარ ხარჯებსაც კი იღებდა.

ამავე პერიოდში ისახება რომაული ეპიკური პოეზია, კომედია და ლირიკა. რომაელი პოეტები ბერძნული ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებს ბაძავდნენ, თუმცა ხშირად რომაულ სიუჟეტებს ეპებოდნენ. პირველ რომაელ პოეტად ითვლება ლივიუს ანდრონიკუსი. ის ტარენტელი ბერძენი იყო და სხვა ტყვე-მონებთან ერთად 272 წელს რომში მიიყვანეს. იქ მისი ბატონი გამხდარა ვინმე ლივიუს სალინატორი, რომლის შვილებსაც იგი ასწავლიდა და, როცა მონობისაგან განთავისუფლებულა, პატრონის სახელი მიუღია — ლივიუს ანდრონიკუსი. ამის შემდეგ იგი არსებითად მასწავლებლობას განაგრძობდა. ლივიუს ანდრონიკუსმა პირველმა გააცნო რომაელებს ბერძნული მხატვრული ლიტერატურა: ლათინურად თარგმნა „ოდისეა“. მართალია, თარგმანის ენა მძიმე იყო, მაგრამ რომაელ ახალგაზრდობას, რომელსაც 12 დაფის კანონების გარდა სხვა საკითხავი წიგნი არ გააჩნდა, ლათინურ ენაზე ახალი ნაწარმოები გაუჩნდათ. ორი საუკუნის განმავლობაში ლივიუსის მიერ თარგმნილი „ოდისეა“ სასკოლო წიგნად ითვლებოდა და რაც მთავარია, ის იყო რომაული ლიტერატურის პირველი ძეგლი. საყურადღებოა, რომ „ოდისეას“ თარგმანში ღმერთების ბერძნული სახელები რომაული ფორმით არის მოცემული: მუზას კამენა ეწოდება, ჰერმესს — მერკური და კრონოსს — სატურნი.

მაგრამ მარტო ახალგაზრდობაზე კი არ იქონია გავლენა ლივიუსმა როგორც ხელოვანმა, არამედ მთელ რომაულ ხალხზე. 240 წლიდან დაწყებული იგი მუშაობს რომის სცენისათვის და ამუშავებს ბერძნულ ტრაგედიებსა და კომედიებს. ამ წელს, პირველი პუნიკური ომის დასრულების შემდეგ, რომში განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა „რომაული ასპარეზობის“ დღესასწაული, რომელზეც რომაელების მოკავშირე სირაკუზის ტირანი პიერონიც კი მოიწვიეს. ამ დღესასწაულზე პირველად შესრულდა ნამდვილი სცენური წარმოდგენები. ლივიუსმა სცენისათვის ლათინურად გადააკეთა ბერძნული ტრაგედიები და კო-

მედიები, რომელთა დადგმა მასვე დაეკისრა. ლივიუსმა რომაელებს გააცნო ეგრეთ წოდებული ახალატიკური კომედია. ამ ჟანრის კომედია უფრო გასაგები და მისაწვდომი იყო იმ დროის რომაელებისათვის, ვიდრე არისტოფანეს საზოგადოებრივ პოლიტიკურად გამახვილებული კომედია. ლივიუსის კომედიას „მოსასხამის კომედიას“ უწოდებდნენ, ვინაიდან მსახიობები მოსასხამებს ატარებდნენ. ლივიუსის კომედიებისაგან თითქმის არაფერია შემონახული.

ლივიუსის მიერ გადაკეთებული ტრაგედიებიდან დარჩენილია 32 სალექსო სტრიქონი და რამდენიმე ტრაგედიის სათაური. მათი შინაარსი უმთავრესად ტროას თქმულებათა ციკლთან უნდა იყოს დაკავშირებული: „აქილევსი“, „ტროას ცხენი“, „ანდრომაქა“ და სხვ. უფრო საფიქრებელია, რომ ამ მხრივ ნიმუშად მას ევრიპიდეს ტრაგედიები ჰქონდა მიჩნეული, რომლის შემოქმედება მისი თანამედროვე რომაული საზოგადოებისათვის უფრო გასაგები იყო.

ანდრონიკუსის უმცროსი თანამედროვე იყო გნეიუს ნევიუსი. უფრო სარწმუნო ცნობით, ის კამპანიის მკვიდრი იყო. როგორც ჯარისკაცი, ნევიუსი მონაწილეობას იღებდა პირველ პუნიკურ ომში.

ბერძნული პოეზიის რომაულ ნიადაგზე გადმონერგვამ რომაულ დემოკრატიულ ფენებში თავისებური ოპოზიცია გამოიწვია და ამ დემოკრატიული ხაზის საუკეთესო წარმომადგენელი ლიტერატურაში ნევიუსი იყო.

პირველი პუნიკური ომის დამთავრების შემდეგ, 235 წელს, რომში ნევიუსმა დადგა თავისი პირველი პიესები. მან, მართალია, ბერძნული ტრაგედიების გადაკეთებით დაიწყო, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო მარტო ბერძნული ორიგინალით გატაცებისა და რომაულ სიუჟეტზე შექმნა საკუთარი ტრაგედიები. ამ ტრაგედიებს „პრეტექსტები“ ეწოდება, ვინაიდან მსახიობებს ეცვათ არა ბერძნული, არამედ რომაული ტანსაცმელი — პრეტექსტა — მეწამული არშიით შემოვლებული რომაული ტოგა. ნევიუსი ბერძნული გაელენის საწინააღმდეგოდ თავის ტრაგედიებში რომაული ისტორიის შემთხვევებს ეხებოდა და ორიგინალური რომაული დრამის შექმნით აშკარად ცდილობდა თავის თანამოქალაქეებში პატრიოტიზმის გაღვიძებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ორი პიესა: — „რომულუსისა და რემის აღზრდა“ და „კლასტიდიუმი“. უკანასკნელში იგი მხატვრულად აღწერს 222 წელს რომაელი სარდლის მარცელუსის გალებზე ბრწყინვალე გამარჯვებასა და მათი ქალაქის — კლასტიდიუმის აღებას.

ნევიუსის ყველაზე ორიგინალური მხატვრული მიღწევაა მისი ისტორიული ეპოსი „პუნიკური ომი“. იგი პირველ პუნიკურ ომს ეხება,

რომლის მონაწილე თვითონ პოეტი იყო. ამ ეპოსს ისტორიოგრაფიის მიმოხილვისას უფრო ვრცლად შევეხებით.

ნევიუსის ტალანტი ძლიერად გამოვლინდა მის კომედიებში. მართალია, მათგან მხოლოდ მოკლე ფრაგმენტებია შემონახული, მაგრამ ეს მცირე ნაშთიც ერთგვარ საშუალებას გვაძლევს მათ გასათვალისწინებლად. ბერძნული პიესების რომაულ სინამდვილესთან შეფარდებისას ნევიუსმა პირველმა გამოიყენა მათი „კონტამინაციაᲘ, ე. ი. ორთუ სამ ბერძნულ კომედიას ის ერთ რომაულში აერთიანებდა. თავის კომედიებში ნევიუსი მოურიდებლად ამხელდა რომის გაბატონებული წრეების გარყვნილებასა და თავაშვებულობას. იგი თანაუგრძნობდა მონების მძიმე ხვედრს და გაბედულად გამოსახავდა პლებეების ღარიბი ფენების სულისკვეთებას. ნევიუსი არ ერიდებოდა დიდი სახელმწიფო მოღვაწეების აბუჩად აგდებასაც, განსაკუთრებით დასცინოდა სციპიონ აფრიკელს, თავს ესხმოდა აგრეთვე კონსულებს, მეტელუსებს, რის გამოც 206 წელს კონსულმა ცეცელიუს მეტელუსმა პოეტი საპყრობილეში ჩასვა, საიდანაც იგი სახალხო ტრიბუნმა გაათავისუფლა. მაგრამ ნევიუსი აიძულეს დაეტოვებინა რომი. იგი გარდაიცვალა ქალაქ უტიკაში, როცა მას რომაელი ჯარის მიერ ალყა ჰქონდა შემორტყმული.

ნევიუსის დემოკრატიული ოპოზიციური ხაზის გამგრძელებელი კომედიების დარგში იყო იმ ეპოქის გამოჩენილი კომედიოგრაფი ტიტე პლავტე (254—184 ᲬᲬ.).

იგი დაიბადა უმბრიის ქალაქ სარსინაში. ახალგაზრდობაში იგი როგორც მრავალი სხვა, რომში გადასულა და ლუკმაპურის მოსაპოვებლად თეატრში მსახურად დამდგარა. შემდეგ მოგზაურობა დაიწყო და ბევი ვაჭრობის წარმოებაშიც სცადა, მაგრამ ამ ასპარეზზე წარმატებას ვერ მიაღწია. ტიტე პლავტემ ქონება დაკარგა და კვლავ რომში დაბრუნდა, სადაც უსახსრობის გამო იძულებული გახდა ერთ მეწისქვილესთან ქირით დამდგარიყო და წისქვილის ქვა ეტრიალებინა, ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, პლავტე თავისუფალ დროს კომედიების წერას ანდომებდა და მათ გაყიდვას ახერხებდა. მისი შემოქმედებისათვის უდავო მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მოგზაურობის დროს იგი ხვდებოდა და ეცნობოდა იტალიის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ადამიანებს. პლავტეს კომედიები ახალატიკური კომედიის გავლენას ამჟღავნებს და ყოფაცხოვრებითი ხასიათი აქვს. მის გმირებს ბერძნული სახელები ჰქვიათ და კომედიის მოქმედება ბერძნულ ქალაქებში მიმდინარეობს. მაგრამ ამასთან ერთად, კომედიებში უდავოდ იგრძნობა ცოცხალი გამოძახილი რომაული სინამდვილისა. მისი კომედიების საფუძველი ჩვეულებრივად სამეჯნურო

ინტრიგებია. მათში ყოველთვის მონაწილეობენ მესუფრია (პარასიტ-) და მაჭანკალი, დიდი როლი აქვთ მიკუთვნებული ავრეთვე მონებს, საერთოდ, პლავტეს ნაწარმოებებში, რომლებიც ფრიად ცოცხალი ენით არის დაწერილი, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მევახშეობის ბნელი მხარეების მხილებას, ფუფუნებისა და ოჯახის პატრიარქალურ საფუძველთა გახრწნის დაგმობას. თუ რამდენად მოსწონდათ მაყურებლებს პლავტეს ნაწარმოებებში მოცემული შეუდარებელი კომიკური სიტუაციები, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იტალიური ვაუდევილის შხატვრობაში გვხვდება პლავტეს კომედიების პერსონაჟები. ყურადღების ღირსია, რომ პლავტეს ყველა კომედია მთავარი გმირებისათვის კეთილად მთავრდება. პლავტეს მიაწერენ 130 კომედიას. მაგრამ ჯერ კიდევ ძველად სწავლულმა კრიტიკოსმა ვარონმა პლავტეს უდავო ქმნილებად 21 კომედია აღიარა. საერთოდ, ჩვენამდე სრული სახით მოაღწია პლავტეს 20 კომედიამ, ერთის ნაწყვეტებმა და რამდენიმეს მხოლოდ სახელებმა. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია „ამფიტრიონი", „ქილა", „მკვეხარა მეომარი" და სხვ.

როგორც ვიცით, მეორე პუნიკური ომის პროცესში კართაგო დამარცხდა და რომი ხმელთაშუა ზღვის აუზში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ამან გავლენა მოახდინა რომაელი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მმართველი არისტოკრატიის ერთი ნაწილი შინაგანი და საგარეო პოლიტიკის საკითხებში უფრო ზომიერი მიმართულების გამომსახველად გვევლინება და რომის გარშემო დაქვემდებარებული სახელმწიფოების სისტემის წარმოქმნით კმაყოფილდება. ასეთი იყო ზოგადად სციპიონ აფრიკელი უფროსი და მისი გარემოცვა. სავაჭრო-სავახშო წრეებთან დაკავშირებული საზოგადოების მეორე ნაწილი კი აგრესიული საგარეო პოლიტიკისა და დაპყრობილი ტერიტორიების რომის პროვინციებად გარდაქმნის მომხრე იყო. ამ ჯგუფს კატონ უფროსი და მისი მიმდევრები მეთაურობდნენ.

სციპიონის წრის იდეებმა თავისი გამოსახულება პოეტის ქვინტუს ენიუსის შემოქმედებაში პოვა. ენიუსი (239—169 წწ.) წარმოშობით კალაბრიის ქალაქ რუდიედან იყო; იგი სამშობლოში დაეუფლა სამ ენას — ბერძნულს, ლათინურსა და ოსკურს და, საფიქრებელია, რომ ტარენტოში შეისწავლა ბერძნული ლიტერატურა და ფილოსოფია. მან მონაწილეობა მიიღო მეორე პუნიკურ ომში. ერთ დროს იგი ცენტურიონად მსახურობდა კუნძულ სარდინიაზე. აქ გაიცნო მან კატონ უფროსი და მისი გავლენით 204 წელს რომში გადასახლდა. ამ დროიდან იგი უმეტესად რომში ცხოვრობდა და ეწეოდა მასწავლებლობასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას. რომში მან რომაელი მოქალაქის უფლებები მოიპოვა და სციპიონის წრეს დაუახლოვდა. ამ წრის ზეგავლენით იგი ეწეოდა ბერძნული ლიტერატურისა და ფი-

ლოსოფიის პროპაგანდას და ხოტბას ასხამდა რომაელი სამხედრო არისტოკრატიის გმირობას. მან დაწერა რამდენიმე ტრაგედია და კომედია. მისი შემოქმედება გამსჭვალულია ელინისტური მოტივებით. მან პირველმა შეიტანა რომაულ ლიტერატურაში ბერძნული ჰექზამეტრი. თავის ტრაგედიებში ენიუსი, ისე როგორც ლივიუს ანდრონიკუსი, ცნობილ ბერძენ ტრაგიკოს ევრიპიდეს ბაძავდა, თუმცა ნევიუსის მსგავსად, პრეტექსტებსაც თხზავდა. როგორც კომედიოგრაფოსი, ენიუსი პლავტეს ვერ შეედრებოდა, მაგრამ მისი ტრაგედიები ძალიან მოსწონდათ. მართალია, მისი ტრაგედიები მთლიანად არ შემონახულა. მაგრამ დარჩენილი ფრაგმენტები ენიუსის, როგორც ტრაგიკოსის, დიდ ხელოვნებაზე მეტყველებს. სხვათა შორის, შემონახულია კასანდრას მონოლოგი ტრაგედია „ალექსანდროსიდან" და დიდი ტრაგიკული ძალის გამომსახველი მონოლოგი ანდრომაქასის ტრაგედია „ანტრომაქა — ტყვექალიდან". ენიუსს გადაუკეთებია ევრიპიდეს ტრაგედია „იფიგენია ავლიდში". ხოლო მისი დრამატურგიული შემოქმედების მწვერვალია ტრაგედია „მედეა", რომლის მხოლოდ პროლოგი და რამდენიმე ტაეპია შემონახული. მისი შემოქმედება მარტო თეატრით არ განისაზღვრებოდა. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე „სატურებს". სიტყვა „სატურა" საკუთრივ „ნაირი ხილით სავსე ლანგარს" ნიშნავდა, გადატანითი მნიშვნელობით კი — „ნარევს". სატურებს უწოდებდნენ სხვადასხვა ხასიათის ლექსებს. მათ მიაკუთვნებდნენ ზღაპრებს, იგავებს, ეპიგრამებს, პაროდიებს, ლეგენდებს, ფილოსოფიურ ლექსებს. ენიუსის მიერ შეთხზულ სატურთა შორის გვხვდება ფილოსოფიური „დაცა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის". პარასიტის კომიკური სახე და ეზოპეს იგავ-არაკის — „ქოჩრიანი ტოროლას" მშვენიერი ლექსით გადაღება. პროზად გადაუკეთებია ენიუსს აგრეთვე ევგემერის „საღვთო ჩანაწერი". ენიუსის მთავარ ნაწარმოებად კი ითვლება „მატიანე", ანტიკური გაგებით იგი წარმოადგენდა 18 წიგნად დაყოფილ დიდ პოემას, რომლისაგანაც დაახლოებით 600 სალექსო სტრიქონია შემონახული. ამ პოემის ზოგადი დახასიათება ისტორიოგრაფიის მიმოხილვაში იქნება მოცემული.

ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის რომაული დრამატურგიის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე ცეცილიუსი და ტერენციუსი.

ცეცილიუსი დაიბადა ცისალპების გალიის ინსუბრების მხარეში. ახალგაზრდობაში იგი მონად მსახურობდა ერთი რომაელის ოჯახში, ხოლო შემდეგ პატრონმა იგი მონობისაგან გაათავისუფლა და მისცა თავისი სახელი — „ცეცილიუსი", მაგრამ ამასთან ერთად, მას მეტსახელად თავისი სახელიც — სტაციუსი შეუნარჩუნებია. მისი კომედიებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმოციოდე სათაურმა და სა-

მასამდე ფრაგმენტმა. ბერძნული კომედიების თარგმნისას ცეკილიუსი მათ ისეთი სახით გადაკეთებას ცდილობდა, რომ კომიზმის ელემენტები გაეძლიერებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი წარმატებისათვის ვერ მიუღწევია.

ტერენციუსი დაიბადა კართაგოში და აქედან არის წარმოშდგარი მისი მეტსახელი — აფრიკელი. სიჭაბუკეში ტერენციუსი მონად ჩავარდნია ხელში რომაელ სენატორს — ტერენციუს ლუკანუსს, რომელსაც თავიდანვე ყურადღება მიუქცევია მისი სილამაზისა და იშვიათი ნიჭისათვის. სენატორმა ტერენციუსს კარგი განათლება მისცა და შემდეგ გაათავისუფლა. მომავალმა დრამატურგმა თავისი პატრონის სახელი მიიღო. რომში ტერენციუსი დაუახლოვდა წარჩინებულ საზოგადოებას, განსაკუთრებით სციპიონ უმცროსს და მის მახლობელ პირს — ლელიუსს და ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა.

თავის შემოქმედებაში ტერენციუსმა გამოხატა ელინოფილური გრძნობით გატაცებული რომაელი არისტოკრატიის იდეები. ამ ნიადაგზე მისმა მტრებმა ხმა გაავრცელეს, თითქოს წარჩინებული პირები ეხმარებოდნენ მას კომედიების წერაში, რაც, როგორც ჩანს, ტერენციუსს დიდად არ აწუხებდა. ტერენციუსი რომიდან საბერძნეთში გაემგზავრა და 159 წელს იქ გარდაიცვალა.

ტერენციუსს სულ ექვსი კომედია დაუწერია: „კუნძულ ანდროსის მკვიდრი", „დედამთილი", „თავის თავის მაწვალებელი", „საჭურისი", „ფორმიონი" და „ძმები". იგი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა რომაელებისათვის ახალატიკური კომედიის ბრწყინვალე ნიმუშები, ამიტომ ოთხი თავისი კომედიისათვის მას მენანდრე გადაუკეთებია და მხოლოდ ორისათვის მიუმართავს აპოლოდორეს კომედიებისათვის. მისი კომედიები შესრულებისა და ენის მხრივ სანიმუშოდ ითვლება.

ზემომოხსენებული პოეტების შემოქმედება და სციპიონების წრის ელინოფილობა ძველრომაული ზნე-ჩვეულების დამცველი არისტოკრატიის ნაწილის მკაცრ ოპოზიციას იწვევდა. ამ მიმართულების ეამოჩენილი იდეოლოგი იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი მარკოზ პორციუს კატონ უფროსი. ზედმეტი არ იქნება, მოკლედ მოვიგონოთ მისი მოღვაწეობა. კატონი დაიბადა 234 წელს ტუსკულუმში, მონაწილეობა მიიღო ორივ მარტო მეორე პუნიკურ ომში, არამედ სხვა გვიანდელ ომშიც. თუ სციპიონ ემილიანე საგარეო პოლიტიკაში უფრო ზომიერი ხაზის მომხრე იყო, კატონი აშკარა აგრესიული პოლიტიკის დამცველად გამოდიოდა. ჩვენ ვიცით, რომ სენატში იგი დაბეჯითებით მოითხოვდა კართაგოს სრულ განადგურებას.

კატონი, როგორც ცხოვრების ძველრომაული წესების თავგამოდებული დამცველი, ებრძოდა იმ ფუფუნებას, რამაც აღმოსავლეთის

გაელენით ფართო გავრცელება მოიპოვა რომის არისტოკრატიულ წრეებში.

კატონი მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი იყო: კარგი ორატორი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, გამოცდილი სარდალი, ისტორიკოსი და სამართლისმცოდნე.

როგორც ორატორმა, მან შეისწავლა მჭევრმეტყველების თეორია და პირველმა შეადგინა „რიტორიკა", რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ტრაქტატს მიწათმოქმედების შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით და გავითვალისწინეთ მისი ისტორიული მნიშვნელობა. ეს ტრაქტატი ჩვენამდე მთლიანად მოღწეული პირველი პროზაული ნაწარმოებია რომის ლიტერატურაში. ამას გარდა, საყურადღებოა ის, რომ კატონი თავის ვაჟს თვითონ ასწავლიდა და, გრძნობდა რა აღზრდის ძველრომაული სისტემის შეუსაბამობას სამეურნეო და პოლიტიკურ მოთხოვნილებებთან, რამდენიმე სახელმძღვანელო შეადგინა, რომლებიც ახალგაზრდა რომაელისათვის საჭირო ცნობათა კრებულს, თავისებურ ენციკლოპედიას წარმოადგენდა. საგულისხმებელია, რომ ასეთ კრებულში კატონმა თავი მოუყარა ცნობებს აგრონომიის, მედიცინის, მჭევრმეტყველების, სამხედრო საქმის და იურისპრუდენციის დარგებიდან და ასე წარმოიქმნა პირველი რომაული ენციკლოპედია. სამწუხაროდ, მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტებია შემონახული. ანტიკურმა მწერლებმა მისი ტრაქტატიდან რამდენიმე აფორიზმი შემოგვინახეს. დავასახელებთ ზოგიერთს: „სიზარმაცე ყველა ნაკლის დედაა"; „დაეუფლე საგანს, სიტყვები თავისთავად მოვა"; ბერძნებს, კატონის თქმით, სიტყვები ტუჩებიდან სდით, რომაელებს კი გულიდან. კატონის ენა მხატვრულია, მასში ხშირად გვხვდება არაჩვეულებრივი გამოთქმები.

კატონის დამსახურებას რომაულ ისტორიოგრაფიაში ქვემოთ შეეხებით. კატონი 149 წელს გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოესწრო კართაგენის განადგურებას, რასაც იგი ასე დაჟინებით მოითხოვდა.

4. ისტორიოგრაფია

ხანგრძლივმა ომებმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა რომაელების მოწინავე საზოგადოებაში სხვა მომენტებთან ერთად წარმოქმნა და გაამახვილა ინტერესი რომის სახელმწიფოს წარსულისაღმი. დაიბადა მოთხოვნილება, გაერკვიათ, თუ რას წარმოადგენდნენ წარსულში რომაელები, როგორ წარმოიშვა რომი, როგორ განვითარდა დროთა მსვლელობაში მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება და როგორ ვითარდებოდა მისი ურთიერთობა

მეზობელ ქვეყნებთან. ამ დარგში მათი პირველი მასწავლებლები ბერძენი მწერლები და ისტორიკოსები იყვნენ, რომელთა გავლენა განხილულ პერიოდში განსაკუთრებით იგრძნობოდა. მაგრამ ამ მხრივაც რომაელების ცხოვრების თავისებური გამოვლენა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ საკითხის გარკვევას, პირველ რიგში, რომაელმა პოეტებმა მოჰკიდეს ხელი.

უკვე ვთქვით, რომ ნევიუსმა ლექსად აღწერა პირველი პუნიკური ომი (264—241 წწ.), რომლის მონაწილეც თვითონ იყო. თავის პოემას იგი იწყებს ტროას დაღუპვიდან, მოგვითხრობს ენეას მოგზაურობასა და იტალიაში მისვლის შესახებ, გადმოგვცემს თქმულებას რომულზე. რომელსაც იგი ენეას შვილიშვილად თვლის და აგვიწერს პირველი პუნიკური ომის მსვლელობას. პლებეი ნევიუსისათვის დამახასიათებელია ის რომ იგი თავის პოემაში ხშირად ლაპარაკობს არა წინაშძღოლების გმირობაზე, არამედ უბრალო მეომრების მოქმედებაზე. ნევიუსის პოემიდან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემონახული.

მეორე პოეტის, ქვინტუს ენიუსის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ეპოსი „მატიანე", რომელიც მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაამთავრა. ის ტროას ამბებით იწყება და მთავრდება პოეტის თანამედროვე მომენტით.

პირველი პროზაული ნაწარმოები რომის წარსულის შესახებ დაგვიტოვა ბერძნულ ენაზე კვინტუს ფაბიუს პიკტორმა (III ს. ბოლო). იგი იყო წარჩინებული რომაელი, კონსულარი და პონტიფიკი. პიკტორი მონაწილეობდა ჰანიბალთან ომში. როცა კანესთან ბრძოლის შემდეგ რომაელების მდგომარეობა თითქმის უნუგეშო იყო, დელფოში გაგზავნეს დელეგაცია პიკტორის მეთაურობით, რომელსაც მანისგან გარკვეული მითითება და რჩევა უნდა მიეღო. პიკტორმა თავისი მოციქულობით ხელი შეუწყო რომის ბერძნულ ორაკულთან დაკავშირებას, ხოლო ჰანიბალთან ომის ბედნიერად დამთავრების შემდეგ მან ბერძნულ ენაზე დაწერა რომის ისტორია. მისი თხზულება „მატიანედ" იწოდება, ვინაიდან მასში გადმოცემულია ყოველწლიური ამბები. ის იტალიაში ენეას მოსვლიდან იწყება და მეორე პუნიკური ომის მსვლელობის აღწერით მთავრდება. როგორც ჩანს, პიკტორი კარგად იცნობდა ბერძნულ წყაროებს, მაგრამ დიდ ყურადღებას აქცევდა ლათინურ წყაროებსაც. ფართოდ უსარგებლია მას აგრეთვე პონტიფიკების ჩანაწერებით, ზეპირი თქმულებებითა და კერძო ოჯახების არქივებით. პიკტორი რომაული ანალისტიკის ფუძემდებლად არის მიჩნეული და როგორც თვითონ, ისე მისი უახლოესი გამგრძელებლები ჩვეულებრივად უფროს ანალისტებად იწოდებიან.

უფროს ანალისტებს მიაკუთვნებენ აგრეთვე კატონ უფროსს (234—149 წწ.). მან ლათინური პროზით პირველმა დაწერა რომის

ისტორია მისი „საწყისები“ შეიცავდა რომის ისტორიას მისი დაარსებიდან. მართალია, ნაშრომის მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული, მაგრამ სხვა ისტორიკოსების ცნობებიდან ჩანს, რომ მას ორი ძირითადი მომენტი ახასიათებდა: ეხებოდა ის არა მარტო რომს, არამედ იტალიის სხვა ქალაქებსაც. მეორე მხრივ, იგი ნაკლებად იხსენიებდა ცალკეულ მოღვაწეთა საკუთარ სახელებს და მათი თანამდებობის აღნიშვნით კმაყოფილდებოდა („კონსული“, „ტრიბუნი“). იტალიის ქალაქთა გაშუქებისას კატონს ფართოდ უსარგებლია ბერძნული წყაროებით. მისი თხზულება 7 წიგნისაგან შედგება. პირველი სამი წიგნი ვრცლად ეხება ბერძნულსა და ადგილობრივ ლეგენდებს ადრინდელი რომისა და იტალიის სხვა ქალაქების შესახებ; მეოთხე და მეხუთე წიგნებში მოთხრობილია პუნიკური ომების მსვლელობა, ხოლო მეექვსესა და მეშვიდეში — ამბები 149 წლამდე. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ კატონის მთლიანად შემონახული ტრაქტატი მოწათმოქმედების შესახებ რომის აგრარული ისტორიის შესწავლის პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს, ამიტომ შეგვიძლია მას ლათინური ისტორიული თხრობის ფუძემდებელი ვუწოდოთ და რომაულ ისტორიოგრაფიაში საპატიო ადგილი მივაკუთვნოთ.

უფროს ანალისტებად ითვლებიან აგრეთვე ლუციუს კასიუს ჰემინა, გნეიუს გელიუსი და ლუციუს კალპურნიუს პიზო.

ლათინურად დაწერილ ოთხწიგნიან ქრონიკაში, რომელსაც შემდგომი დროის ისტორიკოსები იხსენიებენ, ჰემინა თხრობას იწყებს იტალიის უძველესი ისტორიიდან და ენეას ლეგენდიდან და 146 წლით ამთავრებს.

გელიუსმა დაწერა ანალები, რომლის მეორე წიგნში პირველად არის მოხსენიებული საბინელ ქალთა გატაცება. მისი ისტორიული თხრობა იმდენად ვრცელია, რომ ტრადიციის მიხედვით იგი 97 წიგნისაგან შედგება.

კალპურნიუს პიზო ავტორია ანალისტური ისტორიული თხზულებისა. იგი 149 წელს სახალხო ტრიბუნი იყო, 133 წელს — კონსული და მონაწილეობა მიიღო სიცილიაში აჯანყებული მონების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ცენზორადაც ყოფილა. მისი თხზულება 7 წიგნად არის წარმოდგენილი, რომელიც უხსოვარი პერიოდიდან იწყება და ავტორის დროით მთავრდება.

პიზო უჩიევის თავისი დროის აბალგაზრდობის უზნეობას და დიდებით იხსენიებს წინაპართა კეთილშობილურ საქმიანობას. თავისი მოღვაწეობით პიზომ რომის საზოგადოებაში პატიოსანი და საქმართლიანი ადამიანის სახელი მოიხვეჭა.

უფროს ანალისტებზე მსჯელობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი არისტოკრატიულ წრეებს ეკუთვნოდნენ და მათი პოზიციები-

დან იხილავდნენ რომის სახელმწიფოს წარსულს. მეორე მხრივ, ისინი თანამიმდევრულად იზიარებდნენ რომაულ თვალსაზრისს და რომაელების წარმატებების გადაჭარბებულად შეფასებასთან ერთად მათ ზოგიერთ მარცხს ჩქმალავდნენ და ამცირებდნენ. მათ ფოლიანწერობას უდავო მნიშვნელობა ჰქონდა რომაული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის.

აღმოსავლურ-ელინისტური სახელმწიფოების, ეგეოსის კუნძულების, საბერძნეთის, მაკედონიის, იტალიის, სიცილიისა და კართაგოს ისტორიის მსვლელობა ამ პერიოდში ისეთ ხასიათს იღებს, რომლის მიხედვით ამ ქვეყნებს შორის მუდმივი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა აუცილებელი ხდება. ცხადია, ამ დროის ისტორიკოსებს უყურადღებოდ და უინტერესოდ ვერ დარჩებოდა ის უდიდესი ძვრები, რომელთაც მაშინ ეს ქვეყნები განიცდიდნენ, ის საბედისწერო ომები, რომლებსაც აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან რომი ძლევამოსილად აწარმოებდა, და ის კატასტროფული ბედი, რომელიც ამ ბრძოლაში ხვდა წილად იმ დროის გამოჩენილ ცენტრებს — კართაგოს, კორინთოს და საერთოდ საბერძნეთს.

რომისა და ელინისტური ისტორიოგრაფიის სახელოვანი წარმომადგენელია პოლიბიოსი (201—120 წწ.).

იგი დაიბადა არკადიის ქალაქ მეგალოპოლისში. ახალგაზრდობაში მან მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და აქაიის კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. მის დროს მისი სამშობლო კრიტიკულ მომენტს განიცდიდა დამოუკიდებლობისათვის არათანაბარ ბრძოლაში და, ცხადია, რომაელებისადმი მაშინ იგი კეთილად განწყობილი ვერ იქნებოდა. უკვე ვთქვით, რომ მესამე მაკედონური ომის შემდეგ პოლიბიოსი 166 წელს აქაელ მძევლებთან ერთად იტალიაში გაიგზავნა. მას დიდხანს მოუხდა ცხოვრება რომში, სადაც დაუახლოვდა რომაელი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით სციპიონ უმცროსის წრეს, კერძოდ, ფილოსოფოს პანეციუსს, რომელმაც მასზე უდავოდ იქონია გავლენა. ახალ პირობებში პოლიბიოსს წინანდელი შეხედულება რომზე რადიკალურად შეუცვლია და იგი მოწინააღმდეგიდან რომაელების საბერძნეთში ბატონობის დამცველი გახდა. იგი მომხრე იყო აგრეთვე საერთოდ რომაული სახელმწიფოებრივი წყობისა. მართალია, რომში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ მას სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს, მაგრამ ბევრს მოგზაურობდა და არაერთხელ ეწვია რომს. იმ დროს, როცა რომაელები კართაგოს ანადგურებდნენ, პოლიბიოსი სციპიონ ემილიანესთან ერთად აფრიკაში იმყოფებოდა და თვითმხილველი იყო იმ კატასტროფისა, რომელიც ამ ქალაქმა განიცადა. იგი მოწმე იყო აგრეთვე რომაელების მიერ 146 წელს კორინთოს განადგურებისა და

მოახერხა დამარცხებულთა მიმართ გამარჯვებულთაგან ზოგიერთი დათმობა გამოეთხოვა, რისთვისაც მას ბევრ ბერძნულ ქალაქში დიდი პატივით იხსენიებდნენ.

თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში პოლიბიოსმა დაწერა ერცელი და შინაარსით ფრიად მდიდარი თხზულება — „მსოფლიო ისტორია". იგი ეხება პერიოდს 264 წლიდან 146 წლამდე. იგი რომელიმე ცალკეული ხალხისა თუ სახელმწიფოს ისტორია კი არ არის, არამედ მსოფლიო ისტორიის დაწერის პირველი ცდაა. ამიტომ მისი „ისტორია" არა მარტო იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ სარწმუნო ცნობებს გვაწვდის III საუკუნის მეორე ნახევრისა და II საუკუნის პირველი ნახევრის რომის შესახებ, არამედ იმითაც, რომ ვრცლად ეხება მეზობელი ქვეყნების თაეგადასავალს. პოლიბიოსს სწამდა, რომ იგი და მისი თანამედროვენი მოწმენი გახდნენ მსოფლიო ისტორიაში მოსახვევი პუნქტისა, როცა „შემთხვევები იტალიასა და ლიბიაში აზიურსა და ელინურ ამბებს გადაეწნა და ყველაფერი ერთი ბოლოსაკენ მიდიოდა". ეს ბოლო კი მისი წარმოდგენით, ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ხალხთა რომისადმი დამორჩილებას გულისხმობდა. ამიტომ მისი „ისტორიის" ძირითადი თემაა რომის ბატონობის დამყარება, მისი მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევა. „განა მოიპოვება სადმე ისეთი ფუქსავატი და დაუდევარი ადამიანი, — ამბობს იგი, — რომელმაც არ მოისურვოს ჩასწვდეს იმას, თუ როგორ მოექცა რომაელების ხელქვეითად თითქმის მთელი ცნობილი სამყარო არასრული ორმოცდაცამეტი წლის განმავლობაში. იგი რომის სახელმწიფოს ადარებს სპარსეთის სამეფოს, სპარტას, როცა იგი საბერძნეთში ჰეგემონის როლს ასრულებდა, და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიას და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ყველა მათ რომი აღემატებაო". მერე რაში ხედავდა პოლიბიოსი რომის პოლიტიკურ და სამხედრო წარმატების საწინდარს? მის სახელმწიფო ორგანიზაციაში, რომელშიც იგი სხვადასხვა პოლიტიკური წყობის ჰარმონიულ შეხამებას ამჩნევდა. თავისი შრომის VI წიგნი მან რომის სახელმწიფო დაწესებულებათა მიმოხილვას დაუთმო და მათ შესახებ, ერთი მხრივ, ძვირფასი დაკვირვებები შემოგვინახა, ხოლო მეორე მხრივ, მისი აშკარა მიკერძოებული იდეალიზაცია გვიანდერძა.

რომის მიერ მიღწეული წარმატებანი პოლიბიოსს არამცთუ აუცილებელ პროცესად მიაჩნია, არამედ „ბედისწერის უმშვენიერეს და უაღრესად სასიკეთო საქმედ" და სხვა ხალხებისათვისაც ფრიად სასარგებლოდ.

პოლიბიოსი, თითქოს, ამხნევებს თანამემამულეთ, რომ რომის ბატონობა მათთვისაც მშვიდობის მიმნიჭებელი იქნებოდა.

თავის „ისტორიაში“ პოლიბიოსი უმთავრესად სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებებს იხილავს და ამავე დროს თავის პოლიტიკურ მრწამსსაც ააშკარავებს. იგი არისტოკრატიული მსოფლმხედველობის მქონეა და, მაშასადამე, არ ემხრობა დემოკრატიას, რომელსაც, მისი სიტყვით, შეუძლია უკანონო ანარქიასა და ტირანიაში გადავიდეს. მისთვის წესწყობილების ის ფორმაა იდეალური, რომელშიც ჰარმონიულადაა შეხამებული მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული საწყისები.

პოლიბიოსის თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიული პროცესის მიზეზთა გარკვევას და, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ იგი ერთიმეორისაგან განასხვავებს მიზეზსა და საბაბს. მართალია, ავტორი ცნობდა ბედისწერის როლს და ცდილობდა თავისი მკითხველებისათვის „ბედისწერის ძლიერება“ ეგრძნობინებინა, მაგრამ ისტორიკოსი, მისი აზრით, ვალდებულია გაერკვეს მოვლენათა ნამდვილ მიზეზებში და მათ ღმერთების ნებისყოფით არ ხსნიდეს. პოლიბიოსი ისტორიაში დიდ როლს მიაკუთვნებს ცალკეულ ადამიანთა მოქმედებას. მისი აზრით, გამოჩენილი პირები, მაგ., ჰანიბალი, სციპიონ უფროსი, ფლამინიუსი და პერსეუსი, თვითონ განსაზღვრავდნენ პოლიტიკური ამბების მსვლელობას. იგი აღიარებდა ამა თუ იმ ხალხის განვითარებასა და ყოფა-ცხოვრებაზე ბუნებრივი პირობების ზეგავლენასაც. საერთოდ კი ისტორიული პროცესის გარკვევაში პოლიბიოსი არსებითად იზიარებს ანტიკური ისტორიოგრაფიის ზოგად იდეებს და მამოძრავებელ მიზეზებად ადამიანთა მოტივებს, განცდებსა და მოქმედებას აღიარებს. ამავე დროს, პოლიბიოსი კრიტიკულად უდგება ხელთ არსებულ წყაროებს, ცდილობს გამოიყენოს დოკუმენტური ცნობები და ერთგვარი სიფრთხილით იზიარებს თვითმხილველთა მონაცემებს, რადგან სწამს, რომ „თვალს მეტად უნდა ვენდოთ, ვიდრე ყურსო“.

პოლიბიოსის „ისტორია“ ხასიათდება სიზუსტითა და სიღრმით. მისი მეოხებით ისტორია უფრო მეტად გახდა მეცნიერული.

3. ცვლილებები რომაულ სამართალში

განელილმა რთულმა და შინაგანი და საგარეო ამბებით აღსავსე პერიოდმა გავლენა მოახდინა რომაელების სამართალზეც. როგორც ვიცით, რესპუბლიკის უძველეს პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ეგრეთ წოდებულ ქვირიტების სამართალს, რომელსაც შემდგომში ცივილური სამართალი ეწოდებოდა. იგი, ერთი მხრივ, განსაკუთრებული ფორმალიზმით განირჩეოდა, ხოლო მეორე მხრივ, რომაელი მოქალაქეების ურთიერთობას აწესრიგებდა. ამავე დროს კი ომებისა და

სოციალური მოვლენების ზეგავლენით თანდათან ფართოვდებოდა მოქალაქეთა ჭონებრივი და სამოქალაქო ურთიერთობა პროვინციების მცხოვრებლებსა და სხვა საკუთრებების ქვეშევრდომებთან. ამიტომ ცხოვრება რომის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა ახალი იურიდიული ნორმების გამომუშავებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძვ. წ. 242 წელს მეორე პრეტორის თანამდებობის დაწესებას. მას „უცხოეთის პრეტორი" ეწოდებოდა და მის მოვალეობას შეადგენდა უმთავრესად რომაელებსა და უცხოელებს შორის წამოჭრილი დავის განხილვა.

მას შემდეგ, რაც პრეტორებსაც მიენიჭათ ედიქტების, ე. ი. მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება, მათ იწყეს ისეთი ედიქტების გამოცემა, რომლებშიც განმარტავდნენ იმ წესებს, რითაც იხელმძღვანელებდნენ ამა თუ იმ საქმის გარჩევის დროს. ასე წარმოიქმნა ძველ ცივილურ სამართალთან ერთად განსაკუთრებული პრეტორული სამართალი.

მეორე მხრივ, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა მხარეებიდან გამომდინარე გავლენათა საფუძველზე რომაელებმა თანდათან გამოიმუშავეს ეგრეთ წოდებული ზოგადსახალხო სამართლის ნორმები, რომლებიც ძველ ცივილურ სამართალთან შედარებით გაცილებით მარტივია. შემდგომში სტოიკური ფილოსოფიის გავლენით ეს სამართალი ბუნებრივი უფლების ცნებას უახლოვდება და ბუნების კარნახად წარმოიდგინება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე დაახლოებით 150 წელს გატარებულ რეფორმას სამართლის წარმოების დარგში. ჩვენ ვიცით, რომ საქმეების წარმოება ორ სტადიად იყოფოდა.

საქმეს ჯერ მაგისტრატი არჩევდა და პროცესის ფორმა და წესი სასტიკად იყო განსაზღვრული. მაგისტრატს განაჩენი არ გამოქმნდა, იგი წარმოთქვამდა დაწესებულ სიტყვებს და მხარეებთან ერთად კერძო პირებისაგან ნიშნავდა მოსამართლესა თუ მსაჯულებს, რომლებიც განაჩენს გამოიტანდნენ. ეს წესი შენარჩუნებულ იქნა. მაგრამ თუ წინანდელი სისტემის დროს მაგისტრატი მხოლოდ მიღებული ფორმების შესრულებას მეთვალყურეობდა, ახლა იგი უკვე აქტიურ როლს ასრულებს: ეცნობა საქმეს და ადგენს ფორმულას, ე. ი. დოკუმენტს, რომელშიც მოკლედ აღნიშნავს მოსარჩლის პრეტენზიებს და მოპასუხის მოსაზრებებს, მიუთითებს აგრეთვე მოსამართლეს, როგორი განაჩენი უნდა გამოიტანოს.

ამ პერიოდში შესამჩნევი იყო აგრეთვე ოჯახის მამის უფლების შემცირება. შვილებს საშუალება ენიჭებათ მისგან ღამოუკიდებლივ ისარგებლონ თავიანთი პოლიტიკური უფლებებით. მაგრამ ჭონებრივ საკითხებში ისინი მაინც მამას ემორჩილებიან.

ხღება ქალების ერთგვარი ემანსიპაცია, რომში დაქორწინების უძველესი ფორმა რელიგიური წესით სრულდებოდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ დიდი პონტიფიკი, იუპიტერის ფლამინი და ორი მოწმე. საქმრო და საპატარძლო ღმერთებს მსხვერპლად ასლის პურს სწირავდნენ. ლათინურად, „ფარ"-ს, აქედან ამ წესს „კონფარეაციო" ეწოდებოდა. არსებობდა ქორწინების საერო ფორმაც, რომელიც საზიზღოსთვის საპატარძლოს მიყიდვაში მდგომარეობდა. სრულდებოდა მანციპაციის წესი და ქალი ქმრის ძალაუფლებაში გადადიოდა. ყოფილა შემთხვევებიც, როცა დაქორწინებას არავითარი წესი არ ჰქონდა. ცოლი, რომელიც ქმრის სახლში ერთ წელს გაატარებდა, ქმრის ხელქვეითი ხდებოდა. ამ პერიოდში კი ქმრის უფლება ცოლზე შესამჩნევად მცირდება და მყარდება ისეთი ქორწინება, როცა ცოლის მიმართ ქმრის ხელისუფლება იზღუდება და თანდათან იცვლება აგრეთვე ცოლ-ქმარს შორის ქონებრივი ურთიერთობა.

6. ხელოსნობა, ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება

ძვ. წ. III—II საუკუნეებში შემდგომ განვითარებას განიცდიდა რომაული ხელოსნობა, ხუროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება. ხელოსნობის შესახებ პირველ რიგში ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ IV—III საუკუნეებში ლაციუმის ორი ქალაქი — ფალერი და პრენესტე განთქმული იყო როგორც მხატვრული ხელოსნობის ცენტრები.

როგორც ჩანს, ფალერისა და პრენესტეს სახელოსნოებში თავდაპირველად თავისუფალი ოსტატები მუშაობდნენ, ვიდრე ისინი მონებმა არ შეცვალეს.

ფალერი ცნობილი იყო კერამიკული ნაწარმით, ხოლო პრენესტეში განვითარებულა ბრინჯაოს გრავირების ტექნიკა. იტალიაში მრავლად იქნა აღმოჩენილი პრენესტეს ამოკვეთილი სარკეები და ცისტები ოსტატების აღნიშვნით. ამოკვეთილი სარკეების ერთ ნიმუშს უკვე შევეხეთ. რას წარმოადგენდა ცისტები?

ცილინდრული ფორმის ბრინჯაოს ზარდახშებს, რომლებსაც, ალბათ, კულტის წესებთან ჰქონდა კავშირი. ისინი მხოლოდ იტალიაში იყო გავრცელებული და უმთავრესად პრენესტეში მზადდებოდა. ცისტებს შორის განსაკუთრებით ცნობილია ეგრეთ წოდებული ფიკორონის ცისტა, რომელიც რომის ერთ-ერთ მუზეუმშია დაცული. ამ ცისტის ცენტრალური კომპოზიცია გამოსახავს არგონავტების ლაშქრობის იმ მომენტს, როცა იაზონი თავისი თანამგზავრებით თრაკიის ნაპირს მიადგა და წყლით მომარაგებას აპირებდა. მისი გემი ნაპირთან დგას და ჰაბუკები ხმელეთზე გამოდიან, რომ ჭურჭლები წყლით აავ-

სონ. თრაკიის მეფე, რომელსაც მათთვის წყლით მომარაგება აუკრძალავს, ხეზეა მიკრული. სხვა არგონავტები თავისუფლად ისვენებენ. საერთო კომპოზიციაში გამოსახულია სქელი მომცინარი სილენი, რომელიც მუცელზე ხელს ირტყამს, სიუჟეტი იშვიათი რეალისტური სიცხადითაა გადმოცემული და თან ერთვის ცოცხალი პეიზაჟი: კლდოვანი ნაპირი, გადატეხილი ხე, ყვავილები და ა. შ.

უფლება გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ რომაული მხატვრული ხელოსნობა თანდათან უფრო მნიშვნელოვან განვითარებას განიცდიდა.

გადავიდეთ რომაულ ხუროთმოძღვრებაზე და პირველ რიგში სატაძრო არქიტექტურას შევეხოთ.

რომის რესპუბლიკის პირველი საუკუნეების სატაძრო არქიტექტურა, როგორც ვიცით, ეტრუსკების ძლიერ გავლენას განიცდიდა. ეტრუსკული ნიმუშით აგებული ძველი ტაძარი იუპიტერ კაპიტოლიელისა წინანდებურად ბატონობდა ქალაქზე და კვლავ მის უდიდეს ნაგებობას წარმოადგენდა. ტაძარი ავენტინზე კი, რომელიც პლებეების სამების — ცერერას, ლიბერისა და ლიბერას სახელზე იყო ნაკურთხი, თავისი გეგმით ეტრუსკულ-იტალიური იყო, მაგრამ ბერძნული სტილით დეკორირებული. ხოლო 387 წელს რომის ფორუმზე აგებული ტაძარი თანხმობისა (კონკორდიისა) თავის კონსტრუქციაში უკვე თავისებურ გეგმურ სქემას ააშკარავებს და ტაძრების შემდგომ მშენებლობაში საერთოდ ეტრუსკული სტილის გავლენა თანდათან უთმობს ადგილს ელინისტურს.

ამ ეპოქაში რომის სხვადასხვა რაიონში ძველებთან შედარებით აუგიათ მოცულობით პატარა ტაძარი, რომლებიც ოსტატურად ყოფილან ელინისტური სტილით დეკორირებული. იმ დროს რომში განთქმული ყოფილა ხუროთმოძღვარი კოსუტიუსი.

ამ ეპოქას ახასიათებს დიდი საზოგადოებრივი შენობების აგებაც. ჯერ კიდევ გალების შემოსევის შემდეგ არ გასულა დიდი დრო, რომ რომაელებმა ქალაქს გარს შემოავლეს ქვის კედელი, რომელიც ტიბრამდე ეშვებოდა. უფრო ადრე მათ გაიყვანეს ქვით ნაშენი საკანალიზაციო კლოაკა. შემდგომში რომაელებმა დიდად გაიწაფეს ხელი თაღების აგებაში და II საუკუნის პირველ ნახევარში შექმნეს საინჟინრო მშენებლობის ახალი, ძირითადი ტიპი — თაღოვანი აკვედუკები (წყალსადენები) და ხიდები. წყაროების მიხედვით მეორე საუკუნემდე რომში მხოლოდ ერთი ხიდი იყო და ისიც ხისა. II საუკუნეში კი ივი ქვის თაღოვან ხიდს შეუცვლია. რომის ნაგებობები იშვიათი გამძლეობით გამოირჩეოდა.

ამავე დროს, რომაელებს დაუწყიათ სასამართლოს სხდომების და სავაჭრო გარიგებებისათვის განკუთვნილი შენობების ეგრეთ წოდებული ბაზილიკების აგება. ისინი დიდი გადახურული შენობები იყო,

რომლებიც სვეტებით რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. მათში მიმდინარეობდა სასამართლოს სხდომები, პოლიტიკური კრებები და სრულდებოდა ყოველი სახის გარიგება, აქვე იფარავდნენ თავს სიცხისა და წვიმისაგან. პირველი ასეთი ბაზილიკა აუგია კატონს 184 წელს ფორუმზე, სენატის შენობის გვერდით. II საუკუნის 70-იან წლებში ძველი ხის სავაჭროების (ტაბერნების) ადგილას რომში ქვის ბაზრები ჩნდება. ფორუმის მახლობლად ააგეს სანოვაგის ახალი ბაზარი (მაცელუმი — ხორცის ბაზარი). ტიბრზე, ავენტინის ქვემოთ, 193 წელს ააგეს ნავსადგური, რომელსაც ბერძნული სახელი „ემპორიუმი" დაარქვეს. ქალაქის მთავარი არტერიები ლავათი მოკირწყლეს და აუზები ქვით მოაპირკეთეს. საერთოდ, ფორუმი კარგავს საქონლის საბმურებით მოცულ გლეხური ყაფანის სახეს და დიდი ქალაქის ტაძრებით და საზოგადოებრივი შენობებით შემკულ მოედნად იქცევა.

II საუკუნიდან დაწყებული ომებში გამარჯვებულები ქალაქს ისეთი ტრიუმფული თაღებით ამკობენ, რომლებიც თაღოვანი კონსტრუქციის დეკორაციულ გამოყენებას წარმოადგენდა. ისინი რეალისტურად ასახავდნენ ომებისა და ლაშქრობათა სცენებს.

შეიცვალა აგრეთვე საცხოვრებელი სახლების შინაგანი აღნაგობაც: რომაელების ძველი სახლი ერთსართულიანი იყო, მის ცენტრში მდებარეობდა ატრიუმი, დიდი სადგომი, სადაც ცეცხლი ენთო და ოჯახური სალოცავები ინახებოდა.

ატრიუმს ეკვროდა საწოლი ოთახი და ჩვეულებრივად სახლში სხვა სადგომი არ არსებობდა. III—II საუკუნეებში იწყეს უკვე ორი და სამსართულიანი სახლების აგება. მდიდრების სახლებში ატრიუმებს სვეტებით ამკობენ და მისაღებ ოთახად აქცევენ; მის გვერდით აწყობენ სადგომების მთელ კომპლექსს: სასტუმროს, სასადილოს, საწოლს და სააბაზანო ოთახს და აშენებენ კოლონადებითა და ქანდაკებებით შემკულ ეზოებსა და ბაღებს.

III—II საუკუნეებში რომაელები მრავლად ეზიდებოდნენ რომში დაპყრობილი ბერძნული პოლისებიდან გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკეების ნაწარმოებთ, ზოგიერთი მათი სარდალი ისე გატაცებული იყო ბერძნული ხელოვნებით, რომ ბერძნული ქალაქებიდან მათ პირდაპირ გამოტაცებასაც კი არ ერიდებოდა.

ადრე გაჩნდა რომში ღმერთების ქანდაკებები და ჯერ კიდევ კაპიტოლიუმის ტაძარში მოათავსეს იუპიტერის ტერაკოტული ქანდაკება. უფრო გვიან სხვა ტაძრებშიც ათავსებდნენ ღმერთებისა და გმირების ეტრუსკული და ბერძნული ნიმუშით შესრულებულ გამოსაბულებებს. მაგრამ ამ ეპოქაში უკვე პირველხარისხოვანი ქანდაკებები ამკობს რომის ტაძრებს, საზოგადოებრივ შენობებსა და კერძო სახლებს. ამ

დარგში რომაელებს ორიგინალური მნიშვნელოვანი რამ არა შეუქმნიათ რა. მათი დამსახურება უდავოა პლასტიკისა და მხატვრობის დარგში. მათ განავითარეს და სრულყვეს შემოსილი ქანდაკება და რეალისტური პორტრეტი. შემოსილი ქანდაკება რომაელი მაგისტრატის დიდებისა და ღირსებისათვის უფრო შესაფერისად მიუნაწევია, ვიდრე ბერძნული ქანდაკებისა და პორტრეტის შიშველი ფიგურა. ამ ეპოქის რომაული პლასტიკის ერთი დამახასიათებელი ძეგლია ტოგით შემოსილი რომაელის ქანდაკება, რომლის მაღლა აწეული ხელი ორატორს უნდა გამოსახავდეს, რომელიც მსმენელებს მიმართავს.

ძველი დროიდანვე რომაელებს შემონახული ჰქონდათ ჩვეულება, რომლის მიხედვით სავალდებულო ყოფილა მიცვალებულთა პორტრეტული გამოსახვის დაცვა. ეს ჩვეულება, პირველ ოიგში, სულის მოსახსენიებელ კულტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ამ ჩვეულების მიხედვით ისინი იღებდნენ მიცვალებულის სახის სანთლის ან თაბაშირის ნიღაბს და ინახავდნენ ატრიუმში, ჩვეულებრივად კედლის სპეციალურად მოწყობილ ნიშში. სანთლის ასეთი სახეები, თავიანთი გვარის ჩამომავალთა წრეში არსებობდა. ისინი დაკრძალვის პროცესიების თავში მიჰქონდათ, ანდა მსახიობები იმ გვარის წევრთა დაკრძალვის დროს იკეთებდნენ, რომელსაც ნიღაბი ეკუთვნოდა. უფრო გვიან სანთლის ასეთ ნიღბებს თანდათანობით ცვლის ქანდაკებები, რომლებსაც ადგილობრივი ქვისაგან და შემდეგ მარმარილოსაგან ამზადებენ. აღსანიშნავია, რომ როგორც ნიღბები, ისე ქანდაკებები მსგავსების დოკუმენტურ სიზუსტეს იცავდა. ასეთი ადრინდელი პორტრეტის ერთი საყურადღებო ნიმუში დაცულია კოპენჰაგენის მუზეუმში: ტოგაჩაცმული მელოტი მოხუცი რომაელი გასაოცარი რეალიზმითაა გადმოცემული და სრულებით არა ჩანს მისი დანაოკებული სახის ოდნავი შელამაზების ცდა.

რაც შეეხება ამ დროის ფერწერას, მასზე წარმოდგენას ვეაძლევს ესქვილინის გორაკზე ერთ სამარხში აღმოჩენილი ფრესკის მოხატულობა. მასში ჩვენთვის ცნობილი „თანაპიმდევნო-მოთხრობითი“ სტილის შემდგომი განვითარებაა მოცემული. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე იმავე ესქვილინის გორაკზე ერთ სახლში აღმოჩენილი სურათის ფრაგმენტი, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. იგი გადმოგვცემს სამხედრო სცენებს. მასში მოცემულია სამი გამოსახულება.

ქვედა გამოსახულება მებრძოლ მეომრებს გვისურათებს, შუა გამოსახულებაზე სარდლების შეხვედრაა მოცემული, ხოლო ზედა გამოსახულება იმავე სარდლებს წარმოადგენს ციხის კედელთან.

ამ ეპოქის რომაული მხატვრობის ძეგლების განხილვა გვარწმუნებს, რომ მათ ისეთივე რეალიზმი ახასიათებთ, როგორიც რომაულ ქანდაკებას, და რომაელებმა ქანდაკების ახალი ჟანრის შექმნასთან ერთად, მხატვრობაშიც რეალისტური პორტრეტი განავითარეს.

აბრიგად, მართალია, რომაელებმა მეზობლების — ეტრუსკებისა და ბერძნების უდავო გავლენა განიცადეს, მაგრამ ისინი მარტო წამბაძველობით არ კმაყოფილდებიან და თავიანთ საზოგადოებრივ წყობილებასა და ტრადიციასთან შეფარდებით ნასესხებ-გადმოღებულში საკუთარი შემოქმედების ელემენტებიც შეაქვთ.

თავი მეათე

კლასობრივი ბრძოლა რომში ძვ. წ. II საუკუნის 80—20-იან წლებში

1. სიცილიის მონათა პირველი აჯანყება

როგორც ვთქვით, ძვ. წ. II საუკუნის შუა წლებისათვის რომში საზოგადოებრივი წინააღმდეგობები უმაღლეს საფეხურს აღწევს: ჩნდება ღრმა მღელვარებისა და უკმაყოფილების კერები როგორც თავისუფალ ღატაკთა, ისე მონებს შორის. უკანასკნელთა კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრი ხდება. იწყება მონათა აშკარა გამოსვლები, აჯანყებები, რომელთაგან მასშტაბითა და მნიშვნელობით განსაკუთრებით სიცილიის მონათა პირველი აჯანყება გამოირჩეოდა.

ამ დიდ აჯანყებას წინ რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოსვლა უსწრებდა, რომელთა შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი ტიტე ლივიუსი (ძვ. წ. 59—ახ. წ. 17). როგორც აღვნიშნეთ ძვ. წ. 198 წელს ლაციუმში, ხოლო 196 წელს ეტრურიაში მობდა მონათა აჯანყებები. რამდენიმე წლის შემდეგ მონა-მწყემსების აჯანყება მოხდა აპულიაში. მაგრამ ეს აჯანყებები შედარებით ლოკალური იყო. მათში მცირერიცხოვანი მონა იღებდა მონაწილეობას და რომის ხელისუფლება მათ ადვილად უსწორდებოდა.

აღნიშნული მაგალითები საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად ხშირად ხდებოდა II საუკუნის რომში მონების აჯანყება, რომელთა შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაცილებით უფრო დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის იყო სიცილიის მონათა პირველი აჯანყება. იგი 7 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. (138—132 წწ.). სიცილია თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და დიდი ქალაქებით თავისებური შუამავლის როლს ასრულებდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შორის საერთო ურთიერთობის განვითარებაში. ჯერ კიდევ ბერძნებმა დაიმორჩილეს და მონებად გაიხადეს ადგილობრივი მცხოვრებლები — სიკულები.

რომაელების გაბატონების შემდეგ მონების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. თუ დიოდორე სიცილიელს დაეუჯერებთ, იმ დროს მთელ-

სიცილიაში იმდენი მონა იყო, რომ წარმოდგენაც კი ძნელიაო. მონები უმეტესად სირიიდან, საბერძნეთიდან, კილიკიიდან ყოფილან მოყვანილი.

მსხვილ მონათმფლობელურ მეურნეობებს სიცილიაში ადგილობრივი მდიდრები და რომაელი მხედრები ფლობდნენ. თუ მონების მდგომარეობა საერთოდ ყველგან მძიმე იყო, აქ, სიცილიაში მათდამი მოპყრობა ყოველგვარ სასასტიკეს სცილდებოდა. სიცილიელი მონების მდგომარეობას დაწვრილებით აგვიწერს ძვ. წ. I საუკუნის ისტორიკოსი დიოდორე. რომელიც თვითონ სიცილიელი იყო, კარგად იცნობდა იქაურ პირობებს და, მეორე მხრივ, გამოჩენილი ძველი ისტორიკოსის პოსიდონიოსის (135-51 წწ.) ცნობებს ეყრდნობოდა. მონები ჯგუფ-ჯგუფად გაჰყავდათ სანაშენებიდან, — გადმოგვცემს იგი,— და მაშინვე დალსა და ნიშნებს ასვამდნენ. ახალგაზრდა მონებს ისინი მწყემსებად იყენებდნენ, დანარჩენებს საკვიროების მიხედვით. ვინაიდან ბატონები მათ საზრდოსა და ტანსაცმელზე ნაკლებად ზრუნავდნენ, ამიტომ მონების უმეტესი ნაწილი ქარცვით ცხოვრობდა, მკვლელობაც ხშირად ხდებოდა. რომაელი პრეტორები იმ ბატონების ძალისა და გავლენის პატივისცემის გამო, რომელთაც მონა-ყაჩაღები ეკუთვნოდათ, ვერ ბედავდნენ მონების დასჯას და ამიტომ იძულებული იყვნენ, პროვინციების გაძარცვა დაეშვათ. იმავე დიოდორეს გადმოცემით, ერთ ულმობელ მონათმფლობელ დამოფილესთან ტანშიშველი მონები მისულან და ტანსაცმელი უთხოვიათ. მას კი თხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად, მათი ბოძებზე მიბმა და გაშოლტვა უბრძანებია.

წარმოუდგენელი დამცირება და ექსპლუატაცია, რომელსაც სიცილიაში მრავლად თავმოყრილი მონა განიცდიდა, ისეთ დაძაბულ ვითარებას ქმნიდა, რომ ყოველ წუთს მათი საერთო აჯანყების ხანძარი იყო მოსალოდნელი. ინიციატივა ამ მხრივ დამოფილეს მონებს ეკუთვნოდათ. მისი მამული სიცილიის უნაყოფიერეს ნაწილში, ქ. ჰენას მახლობლად მდებარეობდა. დიოდორე სიცილიელი ასე გვიხასიათებს დამოფილეს: მონებს იგი სასტიკად ეპყრობოდა, გავარვარებული რკინით დადაღავდა ხოლმე იმათ სხეულს, ვინც თავის სამშობლოში თავისუფალშობილი იყვნენ, მაგრამ ტყვეობა და მონობის სიმძიმე განიცადეს. ზოგს ის საერთოდ სამუშაოებზე შებორკილს გზავნიდა; მწყემსებად ნიშნავდა, მაგრამ არც ტანსაცმელს აძლევდა და არც საკმაო საჭმელს. ისე დღე არ გავიდოდა, რომ დამოფილეს რამდენიმე თავის მსახურთაგანი უბრალო შეცდომისათვის არ ეწამებინა. მისი ცოლი მეგალიდა, არანაკლებ სასტიკად ეპყრობოდა თავის მხევლებსა და მის-

დაში მსახურებად მიჩენილ მონებს. ასეთმა მძიმე მდგომარეობამ გამოიწვია მონათა აჯანყებები. თავდაპირველად შეთქმულთა რიცხვი 400-ს აღწევდა. მათ მეთაურობდა სირიელი მონა ევნუსი. იგი ქალაქ ჰენას ერთი შეძლებული მაგნატის ოჯახში მსახურობდა და უმეტესად მასხარას როლს ასრულებდა. ნამდვილად კი იგი ბუნებრივი ნიჭით და შორსმჭვრეტელობით გამოირჩეოდა და დიდი გავლენა ჰქონდა თავის თანამემამულე სირიელ მონებში.

ზოგიერთი ძველი ავტორი, გასაგები ტენდენციის გამო, მას უფრო ჯადოსნად წარმოგვიდგენს. შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ევნუსს მონებში თავისი გავლენის განსამტკიცებლად მოხერხებულად გამოუყენებია წინასწარმეტყველისა და სასწაულმოქმედის როლი და სარწმუნოება. როცა შეთქმულებაში მონაწილე მონები ერთ ღამეს ქალაქგარეთ შეკრებილან და მსხვერპლშეწირვისა და ურთიერთშორის ფიცის მიღების შემდეგ ევნუსის მეთაურობით ქალაქში შეპრიალან, მათ საჩქაროდ შეერთებიან ქალაქის მონები და მთელი ქალაქი აჯანყებულთა ხელში გადასულა. გაბოროტებულმა აჯანყებულმა მონებმა თითქმის მთლიანად ამოხოცეს ჰენას თავისუფალი მოსახლეობა. სხვათა შორის, დამოფილე და მისი ცოლი მეგალიდა მათ ქალაქგარეთა პარკში იპოვეს და შებორკილი მიათრიეს თეატრში, სადაც ამ დროს აჯანყებულთა უმრავლესობა იყო თავმოყრილი; დამოფილე იქვე მოკლეს, ხოლო მეგალიდა მისივე ყოფილ მხევლებს გადასცეს დასასჯელად. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ გაბოროტებულ მონებს მაინც არ დაუკარგავთ ადამიანური გრძნობა იმ პირებისადმი, რომელთაც მათდამი კეთილი მოპყრობის თუნდაც ნაპერწკალი გამოუჩენიათ. მაგალითად, დამოფილეს ქალიშვილი თურმე ანუგეშებდა და წამლობდა მშობლების მონებს. ეს აჯანყებულთ არ დავიწყებიათ და მას სიცოცხლე არამც თუ შეუნარჩუნეს, არამედ საიმედო მცველი მონების თანხლებით ნათესავებთან გაგზავნეს ქალაქ კატანაში. ამას გარდა, ევნუსის ყოფილი ბატონის სტუმრები თურმე შეწყნარებით ეპყრობოდნენ მას და მაგიდიდან საჭმელს აწვდიდნენ. ესეც არ დავიწყებია ევნუსს და მათ სიცოცხლე შეუნარჩუნა. არც საჭურველთა თავისუფალი ხელოსნები დაუხოცია აჯანყებულ მონებს, მათთვის ბორკილები დაუდვიათ და სამუშაოდ სახელოსნოებში წარუგზავნიათ იარაღის დასამზადებლად. არც წვრილ მწარმოებლებს და მათ ქონებას შეხებიან ისინი.

რაკი აჯანყებულმა მონებმა ქალაქში ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს და სასტიკად გაუსწორდნენ თავიანთ ულმობელ ბატონებს, მათ წინაშე ბუნებრივად დაისვა ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხი. რა თქმა უნდა, მონებს არ შეეძლოთ პრინციპულად ახალი პოლიტიკური ფორმა შეექმნათ, მათ ან რომაული სისტემა ან ელინისტური

წესწყობილება უნდა აერჩიათ. აჯანყებულთა შორის უმრავლესობას სირიელები შეადგენდნენ, მათ წრეში კი უფრო გავრცელებული ელინისტური სისტემა იყო. ამიტომ ქალაქის თეატრში შეკრებილმა მონებმა მეფედ ევნუსი აირჩიეს ანტიოქოსის სახელით და მას მიანიჭეს ყველა სამეფო ატრიბუტი. ამას გარდა, მეფესთან დააარსეს საბჭო, რომელიც უფრო გამოჩენილი მონებისაგან შედგებოდა. მათ შორის აღსანიშნავია აქეუსი, წარმოშობით ბერძენი, რომელიც აჯანყებულთა შეიარაღებული ძალების მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გახდა. აქეუსმა მოკლე დროში მოახერხა მრავალათასიანი შეიარაღებული ჯარის შედგენა და წარმატებით უმკლავდებოდა რომაელების ლეგიონებს.

ჰენას რაიონში დაწყებულმა აჯანყებამ და მისმა წარმატებამ დიდი გამოძახილი პოვა სიცილიის სხვა ქალაქების მონათა წრეშიც. გაჩნდა, სხვათა შორის, აჯანყების მეორე კერა სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ აგრიგენტში. ამ კერას მეთაურობდა მონა-მეჯინიბე, ყოფილი კილიკიელი მეკობრე კლეონი. მან დაიკავა მთელი ეს მხარე და შექმნა მონათა ხუთათასიანი რაზმი.

მეორე კერის დაარსებასთან დაკავშირებით სიცილიელ მონათმფლობელებში იმედი წარმოიქმნა, რომ ევნუსსა და კლეონს შორის უთანხმოება და ქიშპობა ატყდებოდა, ერთიმეორეს დაერეოდნენ და ამით მათ აჯანყების ჩაქრობაში ხელს შეუწყობდნენ. მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ: კლეონი დაემორჩილა ევნუსს და თავი მის თანაშემწედ და სარდლად აღიარა. გაერთიანების შემდეგ აჯანყებული მონების ლაშქარმა 20 ათასს მიაღწია, მათ შეძლეს გამკლავებოდნენ რომიდან მოსული პრეტორის რვაათასიან რაზმს. ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო გაზარდა აჯანყებულთა რიცხვი და, თუ დიოდორე სიცილიელს დავუჯერებთ, მათმა შეიარაღებულმა ძალამ 200 ათასს გადააჭარბა.

აჯანყებულთა ხელში გადავიდა კუნძულის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილების მსხვილი ქალაქები: ჰენა, აგრიგენტი, ტავრომენიონი, კატანა, მესანა. ყოველივე ამის შემდეგ სიცილიის უმეტეს ნაწილში წარმოიქმნა მონების თავისუფალი სახელმწიფო, რომელიც ევნუს-ანტიოქოსის სახელითა და ტიტულით საკუთარ ბრინჯაოს მონეტებსაც კი უშვებდა.

ბუნებრივად გვებადება კითხვა, როგორი იყო ამ სახელმწიფოს მეურნეობა და შეიცვალა თუ არა ძველი მონათმფლობელური ურთიერთობა? სამწუხაროდ, საამისო ცნობები ძველმა წყაროებმა არ შემოგვინახა. შედარებით უფრო დამაფიქრებელია დიოდორე სიცილიელის ცნობა, რომლის მიხედვით აჯანყებული მონები ზრუნავდნენ მომავალზე. არ წვავდნენ პატარა ვილებს, არ სპობდნენ მათ ქონებას და ხელს არ ახლებდნენ იმათ, ვინც მიწის დამუშავებას განაგრძობდა.

რა თქმა უნდა, ეს ცნობა არ ნიშნავს იმას, თითქოს აჯანყებულმა მონებმა ძველი საწარმოო ურთიერთობა შეცვალეს. ის მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ წვრილ მიწათმოქმედთ ისინი ხელს არ ახლებდნენ. სამაგიეროდ, ლატაკების ბრბო სარგებლობდა მონების აჯანყებით და ოდრა მარტო იტაცებდა ვილების ქონებას, არამედ წვავდა კიდეც მათ.

აჯანყების ასეთ გაფართოებას მონათმფლობელური რომის ხელმძღვანელობა დამშვიდებით ვერ შეხვდებოდა და ერთიმეორეზე გზავნიდა აჯანყებულთა წინააღმდეგ დამსჯელ ექსპედიციებს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს რომმა გადამჭრელი ზომები მიიღო და დიდძალი ჯარი წარგზავნა კონსულების მეთაურობით. კონსულმა კალპურნიუს პიზომ მოახერხა მესანას აღება და ბრძოლაში რვა ათასი მონა ამოხოცა. შემდეგ, მართალია, იგი ახლოს მიადგა ჰენას კედლებს, მაგრამ მისი სრული გარემოცვა ვერ შეძლო. 132 წელს კონსული პუბლიუს რუპილიუსი მთლიანად გარშემოერტყა ტავრომენიონს. იშვიათი მამაცობით და თავდადებით იბრძოდნენ მონები, მაგრამ გარემოცულთა შორის საშინელი შიმშილობა დაწყებულა. მათ წრეში გამცემიც გაჩენილა და რუპილიუსს ტავრომენიონის ციტადელი აუღია. დამცველების ნაწილი ბრძოლაში დაღუპულა, ხოლო მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნილი მონები კლდეზე გადაუჩეხიათ.

ამის შემდეგ რუპილიუსს ჰენასთვის ალყა შემოურტყამს. კლეონს მოუსურვებია ალყის გარღვევა, ციხიდან მცირე რაზმით გამოჭრილა და ბრძოლაში გმირულად დაღუპულა. ევნუსი კი მცირერიცხოვანი მცველების თანხლებით ქალაქის ერთ ყველაზე უფრო მიუწვდომელ ადგილას დამალულა. სამწუხაროდ, მის მცველებს შორისაც ალმოჩენილა გამცემი. მის მხლებლებს გაუთვალისწინებიათ ის მწარე ხვედრი, რომელიც მათ მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნის შემთხვევაში მოელოდათ და ერთმანეთს დარევიან. ევნუსი ცოცხლად შეუპყრიათ რომაელებს, საპყრობილეში ჩაუსვამთ და იქ დაუსჯიათ. ამგვარად დაიღუპნენ აჯანყებულ მონათა მეთაურები და დაეცნენ მათი მთავარი ბურჯები.

რუპილიუსმა გაწმინდა სიცილია აჯანყებული მონების ნაშთებისაგან, მაგრამ იძულებული იყო ახალი წესები გაეტარებინა კუნძულზე და, კერძოდ, ეზრუნა წვრილი მიწათმფლობელობის უზრუნველყოფაზე.

სიცილიის მონათა ასეთმა დიდმა ამბოხებამ ფართო გამოძახილი პოვა რომის სახელმწიფოს ბევრ კუთხეში და ზოგიერთ შემთხვევაში მის საზღვრებს გარეთაც. ამ მხრივ მართალი იყო ძველი რომაელი მწერალი ოროზიუსი, რომელმაც სიცილიის მონათა აჯანყება ალმოდებულ აბედს შეადარა. მისივე ცნობით, რომის მახლობელ ზოგიერთ

პუნქტში, კერძოდ, მინტურნასა და სინუესში იყო ბრძოლათა გამოსვლის შემთხვევები. სიცილიის მონათა აჯანყებას გავლენა მოუხდენია კუნძულ დელოსისა და ატიკის მონების მოძრაობაზეც.

2. აჯანყება პერგამონის სამეფოში

თუმცა ჩვენს ხელთ არ არის ისეთი ცნობა, რომელიც სიცილიის მონათა პირველ აჯანყებასა და პერგამონის სამეფოში არისტონიკეს სახელით ცნობილ მოძრაობას შორის უშუალო კავშირზე მიუთითებდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დიოდორე (პოსიდონიოსი) მეორე მოვლენას ქრონოლოგიურად პირველთან დაკავშირებით გადმოგვცემს. ისტორიკოსი ტიტე ლივიუსიც არისტონიკეს მოძრაობას სიცილიის მონათა აჯანყების მიყოლებით მოგვითხრობს. ამიტომ შეგვიძლია იმ დროის მონათა საერთო მოძრაობასთან კავშირში პერგამონის სამეფოში მომხდარი დიდი ამბოხებაც განვიხილოთ.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ძვ. წ. 133 წელს პერგამონის მეფემ ატალოს III სიკვდილის წინ თავისი სამეფო რომის სენატს უანდერძა, რასაც მოჰყვა აჯანყება, რომელსაც სათავეში ატალოს III უკანონო ძმა არისტონიკე ჩაუდგა. მისი სახელით ცნობილი ეს აჯანყება სამ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა (132—129 წწ.) და შეაფერხა პერგამონის რომთან შეერთება. არისტონიკემ მონებს, ლატაკებს და ხელოსნებისა და გლეხების ფართო მასებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. რომაელი მეცნიერების მიერ დარბეული პერგამონის მცხოვრებთა უმრავლესობა მიემხრო არისტონიკეს. ძველ წყაროებში აღნიშნულია, რომ არისტონიკეს განზრახული ჰქონდა „მზის ქალაქის“ დაარსება. უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ წამოყენებულ პროექტზე გარკვეული გავლენა მოახდინა იამბულეს უტოპიურმა რომანმა, რომელშიც ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებაა აღწერილი „ზღაპრულ კუნძულზე“. არისტონიკეს ჩანაფიქრით მისი „მზის სახელმწიფო“ თავისუფლებასა და ძმობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული, ყველა მოქალაქეს თანაბარი პოლიტიკური და მატერიალური უფლებებით სარგებლობა ენიჭებოდა და მათ ეწოდებოდათ „ჰელიოპოლიტები“.

არისტონიკეს მოძრაობა ფართოდ გავრცელდა და განმათავისუფლებელი და ანტირომაული ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლაში რომაელებს აჯანყებულთა წინააღმდეგ დახმარება უპირველესად ქალაქმა ეფესოსმა აღმოუჩინა. ეფესელების ფლოტმა საზღვაო ბრძოლაში დაამარცხა აჯანყებულები, მაგრამ ამ დამარცხების შემდეგ აჯანყება კი არ დამცხრალა, არამედ უფრო გაზრდილა. არისტონიკემ თავის გარშემო მრავალად შემოიკრიბა ღარიბები, გლეხები და მონები, რომელ-

თაც თავისუფლება აღუთქვა. აჯანყება პერგამონის თითქმის მთელ მხარეს მოედო და მღელვარებამ მცირე აზიის სახელმწიფოებში — ბითვინიასა, კაპადოკიასა და პაფლაგონიაშიც იჩინა თავი, რომელთა მმართველ წრეებში პროროომაული განწყობილება იყო გავრცელებული.

რომაელებმა გადამწყვეტი ზომები მიიღეს არისტონიკეს მოძრაობის ჩასახშობად. 131 წელს სენატმა კონსული პუბლიუს ლიციინიუს კრასუსი მცირე აზიაში წარგზავნა ჯარით. რომაელებს ეხმარებოდნენ მცირე აზიის ზოგიერთი მხარის მეფეები. კრასუსმა ალყა შემოარტყა არისტონიკეს სმირნასა და ფოკეას შორის მდებარე ქალაქ ლევკაში. ეს გარემოცვა მთელი ზამთარი გაგრძელდა, მაგრამ რომაელმა მეომრებმა ვერ შეძლეს ქალაქის აღება და იძულებული გახდნენ ალყა მოეხსნათ. ამით ისარგებლა არისტონიკემ, მოულოდნელად თავს დაესხა კრასუსის ჯარს და გაანადგურა, ხოლო თვითონ კრასუსი დაატყვევა. რომის სენატმა კრასუსის ნაცვლად 130 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ ახალი არმია წარგზავნა კონსულ მარკუს პერპერნას წინამძღოლობით. პერპერნა გადმოვიდა მცირე აზიაში, მოულოდნელად შეუტია არისტონიკეს ლაშქარს, დაამარცხა იგი და არისტონიკე აიძულა დარჩენილი მეომრებით კარიის მხარის ქალაქ სტრატონიკეაში გაქცეულიყო. ამავე დროს, მთელ მხარეს შეესივნენ რომაელთა დამსჯელი ექსპედიციები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულთ: ანადგურებდნენ იმ ქალაქებს, რომლებიც მათ მხარს უჭერდნენ, არ ერიდებოდნენ სასმელი წყლის მოწამვლას და შეუბრალებლად ხოცავდნენ მოსახლეობას.

ბოლოს რომაელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ სტრატონიკეას, სადაც არისტონიკე იმყოფებოდა. მეამბოხეთა წრეში შიმშილობა ჩამოვარდა და ისინი იძულებული გახდნენ მტრებს დანებებოდნენ. აჯანყების მეთაური დაატყვევეს და ბორკილდადებული რომში წარგზავნეს. აქ იგი საპყრობილეში სასტიკი წამების შემდეგ დაუდეს. ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე პერგამონის სამეფო ტახტის პრეტენდენტმა და ამბოხებული გლეხობისა და მონების წინამძღოლმა არისტონიკემ.

პერპერნამ ატალიდების ხაზინა და საუნჯენი რომს წარგზავნა, მაგრამ თვითონ მალე გარდაიცვალა პერგამონში. 129 წელს კონსულმა მანიუს აქვილიუსმა ჩააქრო აჯანყება და მთელი ეს მხარე დაიმორჩილა. ადგილობრივი და რომაელი მონათმფლობელები და მევახშეები გამარჯვებას ზეიმობდნენ. პერგამონის სამეფო რომის საკუთრებელოს შეუერთდა, რომის პროვინცია გახდა და „აზიის“ სახელწოდება მიიღო. ამით რომაელებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი აზიაში და გახდნენ

ეგეოსის ზღვის ორივე სანაპიროს უშუალო ბატონები და აზიის სამეფოების საშიში მეზობლები.

ამ ახალ მდიდარსა და კულტურულ პროვინციას რომისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, იგი რომაელი პუბლიკანებისა და მევახშეების ფართო სამოქმედო ასპარეზად გადაიქცა, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთში რომაელების ბატონობის სტრატეგიული ბურჯი გახდა. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, იგი ანტირომაული განწყობილებისა და მოძრაობათა კერად დარჩა, განსაკუთრებით მითრიდატე VI ევპატორის რომთან ბრძოლის დროს, რაზეც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

3. ტიბერიუს გრაკხუსი და მისი მოღვაწეობა

საგულისხმოა, რომ სიცილიის მონების აჯანყებამ ხელი შეუწყო იმ აგრარულ მოძრაობას, რომელიც ეპოქის — გრაკხუსების მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

ზევით ჩვენ დაწვრილებით გვქონდა დახასიათებული ის ვითარება, რომელიც მონათმფლობელობის განვითარებისა და რომის სახელმწიფოს გაფართოება-გაძლიერების შედეგად შეიქმნა. კერძოდ, ფართო ხასიათი მიიღო წვრილ და საშუალო მიწათმფლობელთა გაღატაკებამ, მსხვილ მონათმფლობელთა, ნობილთა და მდიდარ მხედართა მიერ მიწების სხვადასხვა გზით მიტაცებამ, რასაც რომაელი გლეხობის პაუპერიზაცია და ლუმპენპროლეტარიატად გადაქცევა, თავისუფალი მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება მოჰყვებოდა.

ეს პროცესი თანდათანობით ღრმავდებოდა და, ვინაიდან ჯარების დიდ უმრავლესობას მიწათმოქმედი მეომრები შეადგენდნენ, მათი მზარდი გაბოგანოებისა და სამხედრო კონტიგენტიდან ამორიცხვის გამო, რომის სამხედრო ძლევამოსილებას საფრთხე ემუქრებოდა. მეორე მხრივ, გაბოგანოების გზაზე მდგარ გლეხობაშიაც იზრდებოდა უკმაყოფილება და ამ ნიადაგზე აჯანყება იყო მოსალოდნელი. თუ რამდენად საშიში იყო მონათმფლობელთათვის მონების კონცენტრაცია და, მეორე მხრივ, ის, რომ აჯანყების შემთხვევაში თავისუფალი ღარიბები ამბოხებულ მონათა რიგებში შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ, ეს ცხადყო სიცილიის მონათა აჯანყებამ.

ამიტომ რომის ნობილიტეტის უფრო შორსმჭვრეტელი ნაწილი შეშფოთებული იყო შექმნილი ვითარებით და ფართო აგრარული რეფორმის გატარების აუცილებლობას გრძნობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სციპიონ ემელიანეს წრე. ეს წრე ფიქრობდა ისეთი აგრარული რეფორმის გატარებას, რაც გლეხური მიწათმფლობელობის აღდგენას, გლეხობის აღორძინებასა და ამით რომის სამ-

ხედრო ძლიერების განმტკიცებას უზრუნველყოფდა. საქმე ის არის, რომ რომში კვრძო საკუთრებაში არსებულ მიწასთან ერთად ფართო საზოგადოებრივი მიწაც არსებობდა, რომლის დიდი ნაწილი ოკუპირებული ჰქონდათ ნობილებს, რომლებიც უხვად იყენებდნენ თავიანთი მრავალრიცხოვანი მონის შრომას. მოხსენიებული წრის გეგმით, მათ უნდა ჩამორთმეოდათ ამ მიწების ნაწილი და წვრილ ნაკვეთებად დარიგებოდათ მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხებს. სციპიონის წრის მოსაზრებებმა გავლენა მოახდინა ტიბერიუს გრაკხუსზეც.

ძმები გრაკხუსები, ტიბერიუსი და გაიუსი წარმოშობით სემპრონიუსების წარჩინებულ პლებეურ გვარს ეკუთვნოდნენ. მათი მამა ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი გამოჩენილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და სარდალი იყო. სხვადასხვა დროს იგი არჩევით ასრულებდა სახალხო ტრიბუნის, პრეტორის, ორჯერ კონსულის (177 და 163 წლებში) და ცენზორის მოვალეობებს. ახლო ესპანეთის მმართველად ყოფნისას ადგილობრივი ტომებისადმი გონივრული და ჰუმანური მოპყრობით მათს წრეში ფართო პოპულარობა მოუპოვებია.

მას ცოლად სციპიონ აფრიკელის ასული — კორნელია შეურთავს, ფრიად განვითარებული და მაღალი ზნეობის ქალი. ტიბერიუსი შედარებით ადრე გარდაიცვალა და თორმეტი შვილი დატოვა. ოჯახის პატრონობა და ბავშვების აღზრდა თავის თავზე აიღო კორნელიამ. მან დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და შვილებისადმი სიყვარული და დიდსულოვნება გამოამჟღავნა.

დაქვრივებულ კორნელიას, პლუტარქეს სიტყვით, ეგვიპტის მეფემ, პტოლემაიოს IV ფილოპატორმა თითქოს ცოლობა და დედოფლის გვირგვინი შესთავაზა, მაგრამ მას უარი განუცხადებია. 12 შვილიდან მას მხოლოდ სამი შერჩენია: ერთი ასული — სემპრონია, რომელიც სციპიონ ემელიანუსზე გათხოვილა, და ორი ვაჟი — ტიბერიუსი და გაიუსი. ორივე ვაჟისათვის მას ბრწყინვალე განათლება მიუცია, მათი მასწავლებლები ყოფილან გამოჩენილი ორატორი დიოფანე მიტილენელი და ფილოსოფოსი ბლოსიუსი.

შემონახული ცნობების მიხედვით კორნელია ამაყობდა თურმე თავისი ნიჭიერი და წესიერი ვაჟებით და ამბობდა, ისინი ჩემი მშვენება არიანო. სავსებით ახალგაზრდა ყოფილა მისი უფროსი ვაჟი, ტიბერიუსი, როცა მესამე პუნიკური ომის დროს (149—146 წწ.) თავის სიძე სციპიონ ემელიანესთან ერთად აფრიკაში გამგზავრებულა და კართაგოსს გარემოცვაში მიუღია მონაწილეობა. სციპიონ ემელიანეს თან ახლდნენ ისტორიკოსი პოლიბიოსი და იურისტი ლელიუსი, რომელთა წრეში ყოფნამ თავისი გავლენა მოახდინა ტიბერიუსის პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე.

აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ ტიბერიუსი ავგურად აირჩევიათ და საყურადღებოა, რომ ავგურების ნადიმზე ყოფილ კონსულსა და ცენზორს, სენატის პრინცეპსს აპიუს კლავდიუსს ტიბერიუსი თვითონ დაუსახელებია თავისი ასულის მეუღლედ.

137 წელს ტიბერიუსი ქვესტორად აირჩიეს და დაავალეს თანხლებოდა კონსულს — გაიუს მანცინუსს ჩრდილო ესპანეთში, რომელიც რომაელებმა თითქმის მთლიანად დაიმორჩილეს, მაგრამ კელტიბერების რამდენიმე ქალაქი და მათ შორის ნუმანცია წინააღმდეგობას განაგრძობდა. სენატი კი მათგან უთუო მორჩილებას მოითხოვდა. კერძოდ, დიდ მღელვარებასა და აღშფოთებას განიცდიდნენ ნუმანციელები. კონსულ მანცინუსის ექსპედიციის მიზანი ნუმანციელების დამშვიდება და რომისადმი დაქვემდებარება იყო.

პლუტარქეს გადმოცემით, ტიბერიუსს პირველად მაშინ დაებადა რეფორმის გატარების განზრახვა, „როცა ნუმანციაში მიმავალმა ეტრურიაზე გადაიარა. აქ მან უდაბნოდ ქცეული მხარე იხილა და დაინახა, რომ ისინი, ვინც მიწას ხნავდა და საქონელს აძოვებდა, სულ უცხოელები და ბარბაროსები იყვნენ“, ე. ი. მონები.

ომი ნუმანციელების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა. მათ მიერ გარემოცული რომაელი ჯარი იძულებული გახდა სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო. მაგრამ ნუმანციელებმა მოლაპარაკება არა მანცინუსთან, არამედ მხოლოდ ტიბერიუსთან მოისურვეს, რომლის მამის კეთილი სსოვნა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ჩრდილო ესპანეთის ტომთა შორის. მანცინუსი იძულებული იყო ამაზე დათანხმებულიყო და ტიბერიუსმა ნუმანციელებთან შედარებით მისაღები ზავი დადო, რომლის თანახმად რომაელების ჯარს თავისუფალი უკანდახევის უფლება მიენიჭა. მაგრამ აღალის დატოვებისა და რომსა და ნუმანციას შორის კავშირის დადების პირობით. რომის სენატმა ეს საზავო პირობები არ დაამტკიცა და ნუმანციელებს გადასცა მანცინუსი. ზურგზე ხელებშეკრული იდგა მთელი დღე იგი ნუმანციის ალაყაფთან, მაგრამ ნუმანციელებმა არ მიიღეს. ომი გაგრძელდა. 134 წელს ნუმანციელების წინააღმდეგ სენატმა სციპიონ ემელიანუსი წარგზავნა, რომელმაც 133 წელს ქალაქი დაანგრია და მისი მცხოვრებლები მონებად გაყიდა.

არსებობს მოსაზრება, რომ სენატის მიერ ნუმანციასთან ტიბერიუსის შუამავლობით დადებული საზავო ხელშეკრულების უარყოფა პირველი საბაბი გახდა მისი შეტაკებისა მმართველ ოლიგარქიასთან.

ძვ. წ. 134 წელს რომში დაიწყო 133 წლისათვის სახალხო ტრიბუნების არჩევნები და ტიბერიუსმაც თავისი კანდიდატურა წამოაყენა. როგორც ჩანს, არჩევნები აგრარული რეფორმის ფართო ლოზუნგების მოთხოვნის პირობებში და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

133 წლისათვის სახალხო ტრიბუნად არჩეული ტიბერიუსი თანამდებობის შესრულებას 134 წლის 10 დეკემბერს შეუდგა და პირველად თავისი ცნობილი აგრარული რეფორმის პროექტი წამოაყენა. მის შედგენაში მონაწილეობა მიუღიათ იმ დროის ცნობილ იურისტებს— მუციუს სცევოლას და მის ძმას — ლიციინიუს მუციანეს, მას თანაგრძნობით შეხვედრია ტიბერიუსის სიმამრი — აპიუს კლავდიუსიც. თავისი აგრარული რეფორმის სამართლიანობისა და აუცილებლობის დასასაბუთებლად ტიბერიუსს ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს, რომელიც პლუტარქემ შემოგვინახა.

„იტალიაში მცხოვრებ ნადირებს, უთქვამს ტიბერიუსს, თავთავიანთი სოროები და ბუნაგები აქვთ თავშესაფარად, მაგრამ იმ ხალხს, ვინც იბრძვის და კვდება იტალიისათვის, არაფერი გააჩნია საკუთარ ქვეყანაში ჰაერისა და სინათლის მეტი. ისინი უსახლკარონი არიან, მოკლებული არიან მუდმივ ადგილსამყოფელს და ცოლშვილით აქეთ-იქით დაძრწიან. სარდლები ატყუებენ ჯარისკაცებს, როცა მათ ბრძოლისაკენ მოუწოდებენ და არწმუნებენ მტრებისაგან დაიცვან წინაპართა საფლავები და ტაძრები. და ეს მაშინ, როცა რომაელთა უმრავლესობას არც მამისეული საკურთხეველი და არც წინაპართა სასაფლაოები არ გააჩნია. ჯარისკაცები მხოლოდ სხვისი ფუფუნებისა და სიმდიდრის გულისათვის ომობენ და იხოცებიან. მათ მსოფლიოს მბრძანებლებს უწოდებენ, სინამდვილეში კი საკუთარი მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არა აქვთ!“.

ეს სიტყვა გვარწმუნებს, რომ ტიბერიუსის მიერ წამოყენებული რეფორმის პროექტი გალატაკების გზაზე დამდგარი გლეხობის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. აპიანე კი გვიმტკიცებს, ტიბერიუსის „მიზანი ის კი არ იყო, რომ ღარიბების კეთილდღეობა შეექმნა, არამედ ის, რომ მათი სახით, სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანი ძალა მიეღო“. აპიანე მასში უფრო საერთოსახელმწიფოებრივ მიზნებს ხედავს, სახელდობრ, სახელმწიფო თვალსაზრისით ბრძოლისუნარიანი მეომრების რიცხვის გადიდებას და, პირიქით, მონების რიცხვის შესაძლებელ შემცირებას. იგი „აღშფოთებით ლაპარაკობდაო, სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარ, თავისი მეზობლების მიმართ მუდამ ორგულ მონათა მასაზე. მან მოიგონა ის, თუ რა ზარალი განიცადეს ბატონებმა ამას წინ სიცილიაში მონებისაგან, რომლებიც რიცხვით ძალზე გამრავლდნენ. სამიწათმოქმედო სამუშაოებში მათი შრომის საჭიროების გამო; რა ძნელი და ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდათ რომაელებს ამ მონებთან, როგორ გაჭიანურდა ეს ბრძოლა და რამდენი ნაირსახოვანი და საშიში პერიპეტია ჰქონდა მას“. ამგვარად, ტიბერიუსის აგრარულ რეფორმაში აპიანე განსაკუთრებით ხაზს უსვამს საერთოსახელმწიფოებრივ მიზნებს. ამას გარდა, თუ პლუტარქეს აზრით, ტიბერიუსს მხე-

დველობაში მხოლოდ რომაელი მოქალაქეები ჰყავდა, აპიანე გვარწმუნებს, რომ იგი იტალიის ტომზე ლაპარაკობდა, მის განსაკუთრებულ მამაცობაზე, რომაელებთან ნათესაურ ურთიერთობაზე, იმაზე, თუ ეს ტომი თანდათანობით რა გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რიცხობრივად შემცირდა და ახლა თავისი მდგომარეობის გამოსწორების არავითარი იმედი არა აქვსო". უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში უფრო სწორია პლუტარქეს დებულება. ასეთი შენიშვნების შემდეგ ახლოს გავეცნოთ ტიბერიუსის კანონპროექტის დედააზრს. ტიბერიუსის კანონპროექტი არსებით ნაწილში ლიციინიუსისა და სექსტიუსის 367 წლის იმ კანონის აღდგენა იყო, რომელიც ცალკეული პირების მიერ სახელმწიფო მიწის ოკუპაციას 500 იუგერით განსაზღვრავდა. ტიბერიუსის პროექტი შემდეგ დებულებას შეიცავდა:

1. თითოეულ პოსესორს შეეძლო სარგებლობაში ჰქონოდა საზოგადოებრივი მიწიდან 500 იუგერი და დამატებით, მოზრდილ ვაჟზე— 250 იუგერი, მაგრამ ერთ ოჯახს — არა უმეტეს 1000 იუგერისა (250 ჰა);

2. ასეთი გზით განთავისუფლებული საზოგადოებრივი მიწის ფონდი ნაკვეთებად უნდა დაენაწილებინათ და ღარიბი მოქალაქეებისათვის დაერიგებინათ, თითოეული ოჯახისათვის 30 იუგერი, მემკვიდრეობითსა და განუთვისებელ სარგებლობაში;

3. ასეთი აგრარული რეფორმის სისრულეში მოყვანა ევალებოდა განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვილ სამწევრიან კომისიას, რომელსაც სახალხო კრება ირჩევდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტიბერიუსის პირველი პროექტი ერთგვარ კომპენსაციას ითვალისწინებდა იმ მელიორაციისა და მშენებლობისათვის, რომელიც პოსესორებს ჩამოსართმევ მიწებზე გაუტარებიათ.

ტიბერიუსის აგრარულ კანონპროექტს სრული თანაგრძნობა მოუპოვებია გლეხების წრეში, ხოლო მკაცრი წინააღმდეგობა გამოუწვევია პოსესორთა და სენატორთა დიდ ნაწილში.

მოწინააღმდეგეთ მოუხერხებიათ, თავის მხარეზე გადაეყვანათ 133 წლის ერთ-ერთი სახალხო ტრიბუნი, ტიბერიუსის პირადი მეგობარი და მსხვილი პოსესორი გაიუს ოქტავიუსი. მათი შთაგონებით მან გამოიყენა ინტერცესიოს უფლება და ტრიბუტულ კომიციებში ტიბერიუსის პროექტის განხილვისას მას ვეტო დაადო. ტიბერიუსი შეეცადა, ოქტავიუსი დაერწმუნებინა, რომ იგი თავისი მოქმედებით ფრიად საჭირო საქმეს უშლის ხელს და სთხოვა ვეტოზე უარი განეცხადებინა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ტიბერიუსმა უკან წაიღო პირველი პროექტი და წარადგინა მეორე, უფრო რადიკალური, რომლის თანახმად საზოგადოებრივი მიწების ნორმაზე მეტი ნაწილი პოსესორებს უკომ-

პენსაციოდ უნდა ჩამორთმეოდათ. პროექტის გარშემო ბრძოლა უფრო გამწვავდა. რომში თავი მოიყარა დიდძალმა გლეხობამ.

მოწინააღმდეგეთა ასალაგმავად ტიბერიუსმა რადიკალურ ღონისძიებას მიმართა: გააუქმა სატურნინის ტაძარი, სადაც აბელმწიფო ხაზინა ინახებოდა და სახალხო ტრიბუნის ვეტოს უფლების გამოყენებით სენატისა და მაგისტრატების ყველა განკარგულება შეაჩერა. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს მთელი მექანიზმის მოქმედება შეაფერხა. ასეთ ვითარებაში მეორედ მოიწვიეს კომიციების კრება. ოქტავიუსმა კვლავ ვეტო განაცხადა, ტიბერიუსი ისევ შეეცადა, საქმე მშვიდობიანად დაეწთავრებინა და სახალხო ტრიბუნებთან ერთად მათ წრეში წარმოქმნილი დავის გადასაწყვეტად სენატს მიმართა, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. მაშინ ტიბერიუსი კვლავ გაიქცა ფორუმზე, სადაც დააყენა ოქტავიუსის უფლებამოსილების საკითხი: შეიძლება თუ არა ტრიბუნი, რომელიც ხალხის ინტერესებისათვის არ მოქმედებს, თავის თანამდებობაზე დარჩეს. როცა ოქტავიუსმა მის წინააღმდეგ კვლავ თამამად გაილაშქრა, გრაკჩუსმა კენჭის საყრელად ჯერ მისი საკითხი დასვა. კენჭისყრის შედეგად გამოირკვა, რომ ყველა 35 ტრიბამ ერთხმად უპასუხა, ტრიბუნად არ შეიძლება დარჩეს ის პირი, ვინც ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებსო. ოქტავიუსი გადააყენეს, ტრიბუნიდან ძალით ჩამოათრიეს და ძლივს გადაურჩა აღელვებულ ხალხს.

ამით ტიბერიუსმა თითქოს გაილაშქრა რომის სახელმწიფოს კონსტიტუციის იმ პრინციპის წინააღმდეგ, რომლითაც დაუშვებელი იყო თანამდებობის პირის, ისიც სახალხო ტრიბუნის უფლებამოსილების წარკვეთა ეადის დამთავრებამდე. მაგრამ ამავე დროს ძველი რომის ისტორიაში მან პირველმა წამოაყენა ხალხის სუვერენიტეტის პრინციპი.

ოქტავიუსის გადაყენების შემდეგ მისმა ვეტომ ძალა დაკარგა და სახალხო კრებაზე ტიბერიუსის აგრარულმა კანონპროექტმა კანონის ხასიათი მიიღო. იმავე სახალხო კრებაზე აირჩიეს აგრარული სამეული: თვითონ ტიბერიუსი, მისი სიმამრის — აპიუს კლავდიუსისა და ძმის — გაიუსის შემადგენლობით. უკანასკნელი ამ დროს ნუმანციასთან სციპიონ ემელიანუსის ჯარში იმყოფებოდა და ტრიუმვირატის წევრად დაუსწრებლად აირჩიეს. აგრარული კომისია ენერგიულად შეუდგა სახალხო კრების მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მაგრამ პოსესორები ყოველგვარად ცდილობდნენ, მისი საქმიანობისათვის ხელი შეეშალათ და აგრარული რეფორმის გატარება მთლიანად შეეფერხებინათ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა უმაღლესი ქურუმი სციპიონ ნაზიკა, რომელსაც „უამრავი სახელმწიფო მიწა ჰქონდა და ვერ იტანდა იმას, რომ ამ მიწებზე ხელი უნდა.

ტორებთან ერთად მხედართა წოდების წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობით დამატებას და, შესაძლოა, იტალიის მოკავშირეებისადმი საპოლიტიკო უფლებების მინიჭებას. ასეთი პროგრამა უკვე სცილდებოდა წმინდა აგრარულ მოთხოვნილებათა ჩარჩოებს და საერთო დემოკრატიული მოძრაობის ხასიათს იღებდა.

კონსტიტუციური ტრადიციის მიხედვით საკამათო იყო, შეიძლებოდა თუ არა ერთი და იმავე პირის ორ წელს ზედიზედ სახალხო ტრიბუნად არჩევა. ამიტომ მოწინააღმდეგეებმა ტიბერიუსის მიერ მეორედ კანდიდატურის წამოყენება საგიტაციოდ გამოიყენეს და მას ტრიბუნისადმი მისწრაფებაში დასდეს ბრალი.

არჩევნები ზაფხულში მიმდინარეობდა, როცა ტიბერიუსის მომხრე გლეხობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით იყო დატვირთული და კრებაზე გამოცხადება უჭირდა. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგენი თავიანთი კლიენტებით გამოცხადდნენ. მათ, როცა დაინახეს, რომ ანკისყრა ტიბერიუსის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, პირველი კომიციები ჩაშალეს და არჩევნები მეორე დღისათვის დანიშნეს. ტიბერიუსის მომხრეებმა მეორე დღეს, დილიდანვე კაპიტოლიუმზე ის მოედანი დაიკავეს, სადაც საარჩევნო კომიციები უნდა ჩაეტარებინათ. მოწინააღმდეგენი კვლავ შეეცადნენ კრების ჩაშლას და მოპირდაპირეთა შორის ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. ამავე დროს, კაპიტოლიუმზე, ერთგულების ქალღმერთის ტაძარში, სენატის სხდომა მიმდინარეობდა. სხდომა მღელვარე იყო და ტიბერიუსის მოქმედების შესახებ ერთიმეორეზე უფრო შემაძრწუნებელი ხმები ვრცელდებოდა. ტიბერიუსის მოძრაობის ამ ტრაგიკულ მომენტს პლუტარქე ასე აგვიწერს: ტიბერიუსის მომხრე სენატორმა ფლავიუს ფლაკუსმა იგი გაიფრთხილა: „სენატის სხდომაზე, როცა კონსული ვერ დაიყოლიეს, მდიდრებმა გადაწყვიტეს, რომ თვითონვე მოგკლანო“. ტიბერიუსმა ვერ მოახერხა მომხრეებისათვის ეცნობებინა ეს ამბავი, ამიტომ თავზე მიიდო ხელი და ამით ხალხს ანიშნა: განსაცდელი შელიტო. როცა მის მტრებს ეს დაუნახავთ, სენატში გაქცეულან და უცნობებიათ: ტიბერიუსმა მეფობა მოითხოვაო. უკვე მოხსენიებულ ნაზიკას კონსულისათვის უთხოვია: უშველე რომს და ტირანი მოსპეო. კონსულს კი ასეთი პასუხი მიუცია: „ძალადობით მოქმედებას ვერ დავიწყებ და ვერც ერთ მოქალაქეს ვერ მივაცემინებ სიკვდილს გაუსამართლებლადო“. ასეთი სამართლიანი პასუხის მოსმენის შემდეგ ნაზიკა თავისი ადგილიდან წამოვრილა და სენატორებისათვის შეუყვირია: „რაკი კონსული რესპუბლიკას ღალატობს, წინადადებას გაძლევთ თქვენ, ვისაც ჩვენი კანონების გადარჩენა გინდათ, მე გამომყევითო“. ჯოხებითა და კეტებით შეიარაღებული სენატორებით, მათი მონებითა და კლიენტებით გარემოცული ნაზიკა გაეშურა მოედნისაკენ. სენატორე-

ბისა და უმაღლესი ქურუმის დანახეაზე ტიბერიუსის მომხრეები დაიბნენ და შედრკნენ. შეიქნა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რომლის დროსაც დაიღუპა ტიბერიუსი და სამასზე მეტი მისი მომხრე. ღამით ტიბერიუსის გვამი მოკლულთა სხვა გვამებთან ერთად მდინარეში გადააგდეს.

საქმე ამით როდი დამთავრდა: ტიბერიუსის მომხრეთაგან ზოგი გაუსამართლებლად გააძევეს რომიდან, ზოგი კი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. მოკლულთა შორის ტიბერიუსის მასწავლებელი დიოფანე მიტილენელიც იყო, ხოლო ვინმე გაიუს ვილიუსი გველებით სავსე კასრში ჩაუგდიათ და ასე მოუსპიათ სიცოცხლე. ძლივს დაუღწევია თავი ტიბერიუსის ახლო მეგობარს ბლოსიუსს. რომიდან იგი არისტონიკესთან გაქცეულა აზიაში და როცა არისტონიკეს მოძრაობა მარცხით დამთავრდა, თავი მოუკლავს.

აგრარულ კომისიას ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ მუშაობა არ შეუწყვეტია. კომისიაში ნაცვლად ტიბერიუსისა აირჩიეს მისი ძმის— გაიუსის სიმამრი — პუბლიუს ლიცინიუს კრასუსი, რომელიც 131 წელს კონსული იყო. როცა რომში არისტონიკეს მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად მცირე აზიაში ხელმძღვანელი პირის წარგზავნის საკითხი დაისვა, კომიციებმა ეს დავალება ლიციანიუს კრასუსს დააკისრეს, წინააღმდეგ სციპიონ ემელიანესი, რომელიც ერთ დროს ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩვენ ვიცით უკვე, რომ პუბლიუს ლიციანიუს კრასუსი დაიღუპა არისტონიკესთან ბრძოლაში და ამავე დროს გარდაიცვალა აპიუს კლავდიუსიც. მათ ადგილას არჩეულ იქნენ პოპულარები მარკუს ფულვიუს ფლაკუსი და გაიუს პაპირიუს კარბო, მესამე წევრად კი გაიუსი დარჩა. კომისია ენერგიულად მუშაობდა, ფართო მასშტაბით ახდენდა სახელმწიფო მიწების კონფისკაციას. თავის მუშაობაში კომისია სულ მეტსა და მეტ წინააღმდეგობას ხვდებოდა, დაბოლოს სრულიად ჩაკვდა.

თვითონ რომში, კონსერვატიული ელემენტების ზეიმის მიუხედავად, დემოკრატიული მოძრაობა საბოლოოდ ვერ ჩაახშეს. 131 წელს სახალხო ტრიბუნმა გაიუს პაპირიუს კარბონმა გაატარა კანონი, რომლითაც კომიციებში ფარული კენჭისყრა შემოიღეს. სავარაუდოა, რომ მალე სახალხო ტრიბუნის თანამდებობაზე განმეორებით არჩევაც დაუშვეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რომში ტიბერიუსის დროიდან მკაფიოდ გამოვლინდა და მოქმედება დაიწყო ორმა ძირითადმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ. ესენი იყვნენ პოპულარები (სიტყვისაგან — ხალხი) და ოპტიმატები (სიტყვისაგან — საუკეთესო).

რასაკვირველია, მიუღებელია ამ ორი პარტიის სრული მოდერნისტული თვალსაზრისით განხილვა, მაგრამ არც იმ აზრის გაზიარება შე-

იძლება, თითქოს ტერმინი „პოპულარუს“ მხოლოდ ცალკეულ პირებსა და ლონისძიებებს შეეხებოდა. არ შეიძლება უარვყოთ, რომ ასეთი დაჯგუფებები რომის მონათმფლობელურ საზოგადოებაში შედარებით ორ მყარ პოლიტიკურ მიმდინარეობას განასახიერებდა, რომელთაც დროთა ვითარებაში პოლიტიკური ბრძოლის გარკვეული მეთოდები და ტრადიცია შეუქმნიათ და განსაზღვრულ სოციალურ პაზას დამყარებიან. პოპულარების პარტია ზოგადად დემოკრატიულ მიმართულებას წარმოადგენდა, რომაელი გლეხობისა და პლებსის ინტერესებს და სახელმწიფოს მმართველობაში ხალხის სუვერენულ უფლებებს იცავდა და უმთავრესად ტრიბუტულ კომიციებს ემყარებოდა. ოპტიმატების პარტია კი კონსერვატორულ მიმდინარეობას განასახიერებდა, ნობილიტეტის ინტერესებს იცავდა და სენატს ემყარებოდა, რომლის ავტორიტეტის შეურყეველობისათვის თავგამოდებით იბრძოდა. მაგრამ „პოპულარები და ოპტიმატები ისეთი ორგანიზებული პოლიტიკური პარტიები არ იყო, რომელთაც მუდმივი წევრები და ცენტრალური აპარატის მსგავსი რამ გააჩნდათ“. პოპულარებისა და ოპტიმატების პარტიები არც თანამიმდევრულად დამუშავებული პროგრამით გამოირჩეოდნენ და მათ შიგნით ხშირად წინააღმდეგობა და რენეგატობა სუფევდა. ყოფილა შემთხვევები, როცა ოპტიმატების ბანაკში გადადიოდა პოპულარების ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე და, პირიქით, პოპულარების ხელმძღვანელები უმეტესად სენატის წარჩინებულთა წრიდან გამოდიოდნენ. ინტერესთა ცხადი წინააღმდეგობა თავს იჩენდა ხოლმე პოპულარების პარტიაში; მხედართა წრე ხშირად ღალატობდა თავისი პარტიის პოზიციებს და ოპტიმატებს ემხრობოდა: ზოგჯერ კი ქალაქის პლებსის ინტერესები გარკვეულად ეწინააღმდეგებოდა სოფლის გლეხობის ინტერესებს და ეს გარემოება თავის დაღს ასვამდა პოპულარების პოლიტიკურ ბრძოლას.

4. ბაიუს გრაკუსი და მისი რეფორმები

ტიბერიუსის მიერ დაწყებული საქმე დიდი ენერგიით განაგრძო მისმა ძმამ გაიუსმა, რომელიც მასზე 9 წლით უმცროსი იყო. თუ ძველ წყაროებში მისი მოღვაწეობის შეფასება სხვადასხვანაირია, მისი პიროვნების დახასიათებაში თითქმის ყველა შეთანხმებულია, რომ გაიუსი იყო იშვიათი ნიჭით, მჭევრმეტყველებითა და ენერგიით დაჯილდოებული, ფრიად განათლებული ადამიანი.

გაიუს გრაკხუსს ახალი დროის ისტორიოგრაფიაში დადებითად ახასიათებენ და აღნიშნავენ მის ბრწყინვალე ორატორულ ნიჭიერებას და სახელმწიფო მოღვაწის არაჩვეულებრივ ტალანტს.

საბჭედრო საბსახური გრაკხუს ჯერ კიდევ ბებუს დაუწყია. ნეშანციელებთან ომში იგი მონაწილეობდა თავისი სიძის—სციპიონ ემელიანეს მეთაურობით. იმ დროს მასთან ერთად ჯარში ყოფილან, როგორც ძველი წყაროები გვამცნობს, ისტორიკოსები სემპრონიუს ასელლონი და რუტილიუს რუფუსი, ორივე სამხედრო ტრიბუნი. ამ ლაშქრობის დამთავრებამდე, როგორც ვიცით, გაიუსი დაუსწრებლად აგრარული სამეფოს წევრად აურჩევიათ. როგორც მიჯნათა ქვების წარწერები გვიჩვენებს, იგი თითქმის სიკვდილამდე ასრულებდა ამ კომისიის წევრობას.

როცა ტიბერიუსის სიცოცხლე და მოღვაწეობა დიდი კატასტროფით დამთავრდა, გაიუსი, პლუტარქეს სიტყვით, ყოველგვარ თანამდებობას გაურბოდა და სიმშვიდეში ცხოვრებას არჩევდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ადრეულ ძმაზე ფიქრი არ ასვენებდა. ყოველ შემთხვევაში, ამ დროს იგი ჯერ კიდევ ერიდებოდა თავისი განზოგადების განხორციელებას.

126 წელს გაიუსი კონსულ ლუციუს ავრელიუს ორესტესთან ერთად ქვესტორად გაუგზავნიათ სარდინიაში. კონსულს ევალებოდა დაეწყნარებინა კუნძულის ზიდა ნაწილის მოუსვენარი და მებრძოლი მოსახლეობა. პლუტარქეს გადმოცემით, გაიუსს აქაც დიდად უსახელებია თავი მამაცობით, სამართლიანობით, გონივრულობით, უბრალოებითა და შრომისმოყვარეობით.

ამასობაში გავიდა ორი წელი, მაგრამ სენატს დაუდგენია კონსულისა და მასთან გაიუსის მესამე წელს დატოვება სარდინიაში, გაიუსი კი ჩამჯდარა ხომალდში და მოულოდნელად რომში გაჩენილა. ამისათვის იგი ცენზორების სამართალში მიუციათ, მაგრამ მას თავდაცვის ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს. გაიუსი გაუმართლებიათ. ცხადია, სენატს გაიუსი უკვე მომავალ მოწინააღმდეგედ მიაჩნდა და ის კვლავ რამდენჯერმე მიუციათ სამართალში. მას აბრალებდნენ მოკავშირეთა აჯანყებასა და ფრეგელის შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ მას ყოველი ასეთი ბრალდება თავიდან აუცდენია.

124 წელს გაიუსმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა 123 წლის სახალხო ტრიბუნის თანამდებობაზე და შეუდგა საარჩევნო სამზადისს. შესაძლოა, მის მაშინდელ სულიერ განწყობილებას გვიხასიათებს ციცერონი როცა ამბობს: „თითქოს სიზმარში მას გამოეცხადა ტიბერიუსი და უთხრა: „რაღას აყოვნებ, გაიუს? უკან დასახევი გზა არსად არის. ჩვენ ორთავეს ერთნაირი სიცოცხლე და ხალხის კეთილდღეობისათვის ერთნაირი სიკვდილი გვიწერიაო“.

არჩევნებზე ივდენ ხალხს მოუყრია თავი, რომ ბევრს ქალაქში თავშესაფარი ვერ უპოვნია და ასეთი სიმრავლე ფორუმსაც ვერ დაუტევია. ამიტომ ხმის მიცემა სახლების სახურავებიდან და ბანებიდანაც

კი ხდებოდა. მოწინააღმდეგეებსაც თავიანთ მხრივ ისეთი ზომები მიუღიათ, რომ მიცემული ხმების მიხედვით გაიუსს მხოლოდ მეოთხე ადგილი დაუკავებია. ყოველ შემთხვევაში, სახალხო ტრიბუნად არჩევის შემდეგ ვაიუსმა რომში განსაკუთრებული როლის შესრულება დაიწყო. საგაზეთოდ, მისი კანონების თანამიმდევრობისა და ზოგიერთი მათგანის შინაარსის გარშემო ძველ წყაროებში იმდენი წინააღმდეგობაა შენიშნული, რომ სრული სიზუსტით გარკვევა ზოგიერთი რამისა ჭირს, მაგრამ საერთო სურათის აღდგენა კი შესაძლებელია.

უნდა ვიფიქროთ, რომ გაიუსის პირველი საკანონმდებლო ნაბიჯები მისი ძმის მკვლელობაში მონაწილეთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ანსენბრბს ცნობა, თითქოს როცა დედამისს შეუტყვია, რომ გაიუსს განზრახვა აქვს შური იძიოს ძმის მკვლელებზე და განაგრძოს მის მიერ დაწყებული რეფორმები, ასეთი წერილი მიუწერია; „მე გეთანხმები, რომ მტრებისათვის სამაგიეროს გადახდა კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის ჩადენა ისევ შესაძლებელი, რომ სამშობლოს ზიანი არ მოუვა, ხოლო თუ ამასთან სახელმწიფო იღუპება, მაშინ გაცილებით უმჯობესია უარი ვთქვათ შურისძიებაზეო“.

და მაინც საფიქრებელია, რომ, უწინარეს ყოვლისა. გაიუსმა გაატარა კანონი, რომელიც იმ განსაკუთრებული სასამართლო კომისიების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებმაც გაუსამართლებლად დასჯეს ტიბერიუსის მომხრეები. ამ კანონის თანახმად, რომელსაც უკუქცევითი ძალა ენიჭებოდა, ხალხს ეძლეოდა უფლება, თვითონვე გაესამართლებინა თანამდებობის ის პირები, რომლებმაც გაუსამართლებლად დასაჯეს რომის მოქალაქეები. ამ კანონს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რომაელ მოქალაქეებს იცავდა მაგისტრატების თვითნებობისაგან და აფართოებდა პროვოკაციის ძველ უფლებას, რომლის მიხედვით უსამართლოდ დასჯილთ უფლება ჰქონდათ აპელაციით მიემართათ სახალხო კრებისათვის. ეს კანონი, უპირველესად, ეხებოდა პოპილიუს ლენატუსს, რომელმაც კონსულად ყოფნის დროს, გაუსამართლებლად გააძევა რომიდან ტიბერიუსის მეგობრები. ახლა მას თვითონ ემუქრებოდა ამის საშიშროება, ამიტომ მან გასამართლებას აღარ მოუცადა და რომიდან გაიქცა.

გაიუსის მეორე კანონი ყოფილი სახალხო ტრიბუნის, ტიბერიუსის მოპირდაპირის, მარკუს ოქტავიუსის წინააღმდეგ იყო მიმართული და უკრძალავდა თანამდებობის მეორედ დაკავების უფლებას იმ პირს, ვისაც ხალხმა ერთხელ უკვე ჩამოართვა იგი. ეს კანონი გაიუსს უკანვე წაუღია და განუცხადებია: დედაჩემის, კორნელიას თხოვნით ოქტავიუსისათვის მიპატიებიაო.

შემდეგ იგი შეუდგა ფართო სოციალურ ღონისძიებათა გატარებას. თავის მოღვაწეობაში იგი ემყარებოდა როგორც სოფლის, ისე ქალ-

აქის პლებს და აგრეთვე მხედართა წოდებას, თუმცა უკანასკნელის წარმომადგენლობა ხშირად აშკარად ღალატობდნენ დემოკრატიულ ფრონტს. პლუტარქე ჩამოთვლის იმ კანონებს, რომლებიც, მისი აზრით, გაიუსმა ხალხის საკეთილდღეოდ და სენატის ძლიერების დასაბალანსებლად წამოაყენა.

გაიუსის მიერ წამოყენებულ ღონისძიებათაგან, უპირველესად, აღსანიშნავია პურის, აგრარული და სამხედრო კანონები. გაიუსის სამხედრო კანონი კრძალავდა სამხედრო სამსახურში 17 წელზე ნაკლები ასაკის მოქალაქეთა გაწვევას და ჯარისკაცების ტანსაცმლით მომარაგებას სახელმწიფოს აკისრებდა, მათი ხელფასიდან საფასურის გამოუკლებლად. ამას გარდა, პროვოკაციის უფლება გაიუსის დროიდან ჯარისკაცებზეც გავრცელდა. მან ქალაქის ღარიბი მოქალაქეების დასახმარებლად გაატარა პურის ისეთი კანონი, რომლის ძალით პურის ფასი ბაზართან შედარებით დაახლოებით ორჯერ ნაკლები უნდა ყოფილიყო. მტკიცე ფასად გასაყიდი პური რომში უმთავრესად პროვინციებიდან შემოჰქონდათ და სახელმწიფო საწყობებში ათავსებდნენ. გაიუსმა აგრეთვე მოითხოვა, რომ პლებსი უფასოდ დაეშვათ თეატრალურ წარმოდგენებზე.

. რა თქმა უნდა, გაიუსის ამ კანონს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის პლებსისათვის და ფართოდაც მიიზიდა იგი გაიუსის მხარეზე.

თავის ბრავალფეროვან სოციალურ მოღვაწეობაში გაიუს გრაკხუსს არც სოფლის პლებსი დავიწყებია და მთლიანად აღუდგენია ტიბერიუსის აგრარული კანონი, ალბათ, გაუმჯობესებული და გაფართოებული სახით.

გაიუსს ნობილიტეტთან ბრძოლის პირობებში არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია და თავის მხარეზე არ გადმოეყვანა მხედართა წოდების წარმომადგენლები, ვინაიდან ამ წოდების ეკონომიური მნიშვნელობა სახელმწიფოში იზრდებოდა და, ამასთან, მისი პოლიტიკური პრეტენზიებიც ფართოვდებოდა. გაიუსმა მათი ინტერესების მიხედვით გაატარა სასამართლოს კანონი. იგი ეხებოდა მუდმივ საგადასამართლო კომისიებს, განსაკუთრებით, გამოძალვათა გამჩრეველ კომისიებს. რომლებიც ცეზარიუსის 143 წლის კანონის საფუძველზე იყო დამყარებული. ამ კანონით აღნიშნულ კომისიებში ამიერიდან მონაწილეობდნენ მხედრები, რომლებმაც აქ სენატორები შეცვალეს.

მაგრამ უნდა ვეახსოვდეს, რომ სასამართლო კომისიებში სენატორების მხედრებით შეცვლას არც მეჭრთამეობა, არც მიკერძოება და არც უკანონობა არ მოუსპია. თუ სენატორთა სასამართლო დაუფარავ მიკერძოებას იჩენდა თავის წევრთა ბოროტმოქმედებათა მიმართ, არანაკლები მიკერძოებით ეპყრობოდა მხედართა სასამართლო მათი წრის პუბლიკანებსა და ბანკირებს.

გაიუსმა, მხედართა წოდების გულის მოსაგებად, გაატარა აგრეთვე კანონი აზიის პროვინციის შესახებ. ამ კანონის ძალით, აზიის პროვინციად გადაქცეულ ყოფილ პერგამონის სამეფოს მოსახლეობას რომის სასარგებლოდ შემოსავლის მეათედი ნაწილის გადახდა დაეკისრა. ამ გადასახადთა აკრეფა კი მოიჯარე კომპანიებს დაევალა. მათი აუქციონით გაცემა უნდა მომხდარიყო არა ადგილობრივ, არამედ რომში, ეს კი ფრიად ხელსაყრელი პირობა იყო რომაელი პუბლიკანებისათვის, ვინაიდან მათ აქ პროვინციელები კონკურენციას ვერ გაუწევდნენ და ამ საქმეში მონოპოლია მათ ენიჭებოდათ. ამავე დროს, სხვა პროვინციებში, მაგ., სარდინიასა და სიცილიაში მსგავსი გადასახადების აკრეფის იჯარით გაცემა იქვე წარმოებდა და ადგილობრივ შეძლებულ მცხოვრებთ საშუალება ჰქონდათ უშუალო მონაწილეობა მიეღოთ აუქციონებში. გაიუსის კანონით მხედართა წრის მოიჯარეებს აზიის მდიდარი პროვინციის ფართო ექსპლუატაციის საშუალება მიეცა. თუმცა, პლუტარქეს სიტყვით, გაიუსი ზოგჯერ თავგამოდებით იცავდა პროვინციებს მძარცველთა ძალადობისაგან.

ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გაიუსის კანონს კონსულთა პროვინციების შესახებ. წინათ სენატი პროვინციებს ანაწილებდა კონსულების არჩევის შემდეგ და, მაშასადამე, შეეძლო საუკეთესო პროვინციები სასურველი პირებისათვის გადაეცა. გაიუსის ამ კანონით კი პროვინციების დანაწილება მათ არჩევამდე უნდა გაეტარებინათ.

დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა გაიუსის კანონს გზების მშენებლობის შესახებ და მის მიერ საზოგადო ბეღლებისა და საწყობების მშენებლობას. ასეთი მშენებლობა მცირექონებიან მოსახლეობას საშოვარს აძლევდა, მხედრები იღებდნენ იჯარით სამუშაოებს; გზების გაყვანა სასარგებლო იყო აგრეთვე ქალაქისა და სოფლის პლებსისათვის. ყველა ამ საქმეს თვითონ გაიუსი ჩაუდგა სათავეში და მოიჯარეებით, ოსტატებით, თანამდებობის პირებით, ჯარისკაცებით გარშემორტყმული დადიოდა და ყველას თავაზიანად ეპყრობოდა, რაც, თურმი, ხალხში აღტაცებასა და ერთგულებას იწვევდა.

რიცა 123 წელს მოპაოვალი წლისათვის ტრიბუნების არჩევნები დაიწყო, გაიუსი ალვილად აირჩიეს მეორედ სახალხო ტრიბუნად. გაიუსი ერთსა და იმავე დროს იყო ტრიბუნი, აგრარული კომისიის წევრი და ეარეთო საზოგადოებრივი მშენებლობის ხელმძღვანელი. დიდი იყო მისი ავტორიტეტი და უფლებამოსილება. თავის პროექტებს იგი ადგენდა სახალხო კრებაზე განსახილველად, სენატსა და მაგისტრატებს კი მეორე ადგილს მიაკუთვნებდა. ალბათ, ამ დროს წამოაყენა მან ორი ძირითადი ღონისძიება: კანონპროექტები ახალშენების გაყვანისა და მოკავშირეთათვის რომაული მოქალაქეობრიობის მინიჭების შესახებ.

პირველის წამოყენება, ალბათ, იმის შედეგი იყო, რომ სახელმწი-

ეკ მიწის მარაგი უკვე ამოიწურა და აგრარული რეფორმის გატარება
ი გაგრძელებას მოითხოვდა. საკუთრივ იტალიაში გაიუსს გაუყვანია
ახალშენები ბრუტიუმზე—ბინერვია, ტარენტოს ტერიტორიაზე—ნეფ-
ტუნია და, საფიქრებელია, კაპუას მხარეში. მაგრამ, როგორც ჩანს, ასე-
თი ღონისძიება საკმარისი არ ყოფილა. ამიტომ გაიუსს საჭიროდ დაუ-
ნახავს ახალშენების დაარსება იტალიის გარეთაც, კერძოდ, ყოფილი
კართაგოს დაწყევლილ ტერიტორიაზე. საამისო როგაციო სახალხო
კრებაზე წეუტანია მის კოლეგას რუბრიუსს და იგი კრებას დაუმტკიც-
ცერია, ახალი ახალშენებისათვის იუნონია უწოდებიათ. გაიუსის ამ
ღონისძიებას სასტიკი გულისწყრომა და უკმაყოფილება მოჰყოლია
მოწინააღმდეგეთა წრეში.

ასევე მტრულად შეხვედრიან მის როგაციოს მოკავშირეთათვის
მოქალაქეობის მინიჭების შესახებ. ამ როგაციოს წამოყენებას თვით
რომის სახელმწიფოს არსებობის პირობები მოითხოვდა. საქმე ის არის,
რომ მოკავშირეები რომაელებთან ერთად იბრძოდნენ ყველა ომში,
მაგრამ მოქალაქის უფლებებს მოკლებული იყვნენ, განაგრძობდნენ
პირდაპირი სამხედრო გადასახადების გაღებას, მოკლებული იყვნენ
მიწათ მონაწილეობა მიწების გადანაწილებაში და დაზღვეული არ
იყვნენ რომაელი მაგისტრატების ძალმომრეობისა და ბოროტმოქ-
მედებისაგან. უმიწაწყლო მოკავშირეებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ მო-
ქალაქის უფლების მოპოვების შემდეგ მათ საშუალება მიენიჭებოდათ
მიწების მიღებისა. მეორე მხრივ, პოლიტიკურად სრულუფლებიან მო-
ქალაქეთა რიცხვის გადიდება რომის დემოკრატიის პოზიციებს გა-
ამაგრებდა.

125 წელს რომში უნდა გაეტარებინათ ცენზი. ამიტომ იქ მრავ-
ლად მოიყარეს თავი არამოქალაქეებმა იმ ხმების გამო, რომ მოქალა-
ქეობის ჩარჩოების გაფართოებაა მოსალოდნელიო. რომის ხელმძღვა-
ნელობას განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება დასჭირდა, ასეთი
პირების ქალაქიდან გასაძევებლად. 125 წელს აგრარული კომისიის
წევრმა, კონსულმა ფულვიუს ფლაკუსმა წამოაყენა პროექტი იტალიო-
ტებისათვის მოქალაქის უფლებების მინიჭების შესახებ, ხოლო იმათ,
ვინც ამას არ მოისურვებდა, რომის სახალხო კრებისადმი აპელაციის
უფლება უნდა მისცემოდა. ასეთი ღონისძიება, სენატის წინააღმდეგო-
ბის გამო, არ იქნა მიღებული. ამას მოკავშირეთა მღელვარება მოჰყვა.
კერძოდ, ლათინთა ახალშენი ფრეგელე აჯანყდა რომის წინააღმდეგ.
პრეტორმა ლუციუს ოპიმიუსმა ეს ქალაქი დაანგრია და რომის ხელ-
მძღვანელობამ სასტიკი ზომების მიღებით ასეთი მოძრაობის შემდგომი
გაფართოება შეაჩერა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ გაიუსს არ შეეძლო ყურადღება არ მიეპ-

ყრო ამ მტკივნეული საკითხისათვისაც. მისი როგაციოს პირველი რედაქცია უფრო ზომიერი უნდა ყოფილიყო. აპიანე გადმოგვცემს, რომ მოქალაქეობრივი უფლებები მთლიანად უნდა მისცემოდათ მხოლოდ ლათინებს. პლუტარქე უფრო ზოგად ცნობას გვაწვდის, „მესამე კანონი მოკავშირეთა საკითხს ეხებოდა და იტალიის მთელ მოსახლეობას ხმის მიცემის უფლებას ანიჭებდა რომის მოქალაქეთა თანაბრადო“.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ აპიანეს ცნობა ამ კანონის პირველ რედაქციას შეეხება, ხოლო პლუტარქეს სიტყვები გულისხმობს მის მეორე. უფრო რადიკალური ხასიათის რედაქციას, რაზეც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

გაიუსის პოპულარობითა და დიდი გავლენით შეძრწუნებული სენატი და, საერთოდ, მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი თავისებური დემაგოგიის გზას დაადგნენ. მათ შეცვალეს ტაქტიკა და გაიუსის გავლენა რომ მოესპოთ, პირდაპირი ბრძოლის ნაცვლად მის წინააღმდეგ მისივე კოლეგის, მდიდარი, წარჩინებული და მჭევრმეტყველი მარკუს ლივიუს დრუზუსის დემაგოგიური კონტრპროექტები გამოიყენეს.

პლუტარქეს ამის გამო მაგალითიც მოაქვს, როცა გაიუსს ორი ახალშენის დაარსებისას და იქ ყველაზე უფრო შეძლებულ მოქალაქეთა გადაყვანის წინადადება შეუტანია, მის საწინააღმდეგოდ დრუზუსს წამოუყენებია უფრო რადიკალური კანონი თორმეტი ახალშენის მოწყობისა და თითოეულ ახალშენში სამ-სამი ათასი ულარიბესი მოქალაქის გაგზავნის შესახებ. ამასთან, თუ გაიუსის პროექტით კოლონისტებს თავიანთი ნაკვეთებისათვის მცირე საიჯარო გამოსაღების ვალდებულება ეკისრებოდათ, დრუზუსის პროექტი მათ ყოველგვარი გადასახადებისაგან ათავისუფლებდა. დრუზუსის პროექტის მოჩვენებითმა რადიკალიზმმა სახალხო კრების წევრებზე გავლენა მოახდინა. უმრავლესობა ადვილად წამოეგო დემაგოგიურ ანკესზე და მისმა კანონპროექტმა კანონის სახე მიიღო. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად ამ კანონს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან თავისუფალი მიწა 12 ახალშენის მოსაწყობად სინამდვილეში უკვე არ არსებობდა. ამ პირველმა მარცხმა გაიუსის პოპულარობა და გავლენა საკრძნობლად შეარყია.

ამას გარდა, როცა გაიუსმა მოკავშირეთადმი სამოქალაქო უფლებათა მინიჭების კანონპროექტი წამოაყენა, დრუზუსმა კარგად ვაითვალისწინა ის გარემოება, რომ ასეთი ღონისძიების წინააღმდეგი იყვნენ არა მარტო სენატორები, არამედ პლებსიც, რომელსაც არ სურდა სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვის გადიდებით თავისი პრივილეგიები შეემცირებინა. ამიტომ დრუზუსმა მას გარეგნულად ღითქოს დემოკრატიული და მისაღები ღონისძიება დაუპირისპირა, რომლის

ძალით სარდლებს ეკრძალებოდათ ლაშქრობათა დროს ლათინების ფიზიკური დასჯა.

სახალხო კრებამ დრუზუსის ეს პროექტიც მოიწონა და მასაც კანონის სახე მიეცა. ამან კიდევ უფრო შეარყია გაიუსის ავტორიტეტი, მან თვითონაც საბედისწეროდ მოუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა. 122 წელს, როგორც პლინიუს გადმოგვცემს, ფულვიუს ფლაკუსთან იგი 70 დღით გაემგზავრა აფრიკაში ახალშენ იუნონიის მოსაწყობად. ერთი მხრივ, ამით მან დაარღვია კონსტიტუციური ტრადიცია, რომლითაც სახალხო ტრიბუნის მიერ რომის დატოვება ითვლებოდა დაუშვებლად და, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეთ საშუალება მისცა მის მიმართ ფართო აგიტაცია გაეწიათ და ისედაც შერყეული მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო შეერყიათ. სხვას რომ თავი დავანებოთ, კართაგოს დაწყევლილ და შეჩვენებულ ტერიტორიაზე ახალშენის მოწყობა ცბიერად მის წინააღმდეგ საზღვარდაუდებელი აგიტაციის გასაწევად. პლუტარქეც და პლინიუსიც მოგვითხრობენ, რომ კართაგოს ადგილას ახალშენ იუნონიის დაარსებას მრავალი ავის მომასწავებელი ნიშანი ახლდა: პირველი ალამი ქარმა გაიტაცა და ნაწილ-ნაწილად დაფლითა, შძლავრად ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა აგრეთვე საკურთხეველზე დაწყობილი სამსხვერპლო ცხოველის შიგნეული. მოცვივდნენ მგლები, ამოგლეჯეს სამეჯნო ბოძები და შორს გაიტაცესო და სხვ. და სხვ. მაგრამ გაიუსს ყველაფერი მაინც რიგზე მოუწყვია და რომში დაბრუნებულა. პლუტარქეს სიტყვით, რომში დაბრუნებული გაიუსი ხალხთან დასაახლოებლად პალაციუმიდან ფორუმს ქვემოთ მდებარე ადგილზე გადასახლებულა.. „ეს ადგილი კი თითქმის სულ უბრალო და ღარიბი მოქალაქეების სამკვიდრებელი იყო“. გაიუსს. მალე წარუდგენია სახალხო კრების განსახილველად რამდენიმე ახალი კანონპროექტი. მათ შორის როგაციო მოკავშირეთაღმი რომის მოქალაქის უფლებების მინიჭების შესახებ, წინანდელთან შედარებით უფრო რადიკალური რედაქციით. ამ კანონპროექტმა ლათინებსა და მოკავშირეებში ფართო გამოძახილი და დაინტერესება პოვა, რომის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობაში კი მტრული დამოკიდებულება გამოიწვია.

გაიუსის დახმარებით 122 წლის კონსულად არჩეულ იქნა მისი მეგობარი, გაიუს ფანიუსი. მაგრამ, როცა გაიუსმა მოსალოდნელი როგაციო წამოაყენა, ფანიუსი მის მოწინააღმდეგეთ შეუერთდა. მისი პოლიტიკური მოპირდაპირე გახდა და მის წინააღმდეგ დემაგოგიური სიტყვით გამოვიდა, ლათინები და მოკავშირეები დიდად იყვნენ დაინტერესებული კანონპროექტის ბედით და რომში ყოველი მხრიდან მრავლად მოიყარეს თავი. მაგრამ ხმის მიცემის დღეს ფანიუსმა, სენატის წინადადებით, რომიდან გააძევა ყველა არამოქალაქე, გაიუსმა

ასეთი ლონისძიების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, მაგრამ მისი გაუქმება ვერ მოახერხა.

გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწია გაიუსის ამ კანონპროექტს, თვითონვე წაიღო უკან, თუ დრუზუსმა ვეტო დაადო. ყოველ შემთხვევაში, მისთვისაც ცხადი გახდა, რომ მისი ავტორიტეტი საპოლოოდ შეირყა და ხალხის მასაზე წინანდელი გავლენა დაკარგა. მწარე დამარცხება განიცადა მან, როცა 121 წელს სახალხო ტრიბუნობაზე თავისი კანდიდატურა კვლავ წამოაყენა. მესამედ კი იგი აღარ აირჩიეს. 122 წლის 10 დეკემბერს გაიუსმა, როგორც სახალხო ტრიბუნმა, დაამთავრა თავისი რწმუნებულობა და. ამასთან ერთად. დაკარგა ტრიბუნის ხელშეუხებლობა.

ამავე დროს 121 წლის კონსულად არჩეულ იქნა მისი დაუძინებელი მტერი ლუციუს ოპიმიუსი, რომელმაც, წინათ პრეტორად ყოფნის დროს, გაანადგურა ქ. ფრეგელე. გაიუსის მოპირდაპირეებმა მასთან ანგარიშის გასასწორებლად უმთავრესად კართაგოს ადგილას დაარსებული ახალშენის — იუნონიის საკითხი აირჩიეს. ავგურებმა დაწყეველილ ადგილას ახალშენის დაარსება ღმერთების რისხვის გამომწვევად ჩათვალეს. კონსულმა ოპიუსმა სახალხო კრება მოიწვია, რომელსაც უნდა გაეუქმებინა რუბრიუსის კანონი იუნონიის შესახებ. ამ კრებისათვის ორივე მოწინააღმდეგე ბანაკი გაცხარებით ემზადებოდა და, საერთოდ, რომი დიდი მღელვარებით იყო მოცული. კომიციების შესაკრებ ადგილად კაპიტოლიუმი დაინიშნა. ორივე მხარე კრებაზე დარაზმული გამოცხადდა.

სენატს პირველად გამოუყენებია ეგრეთ წოდებული ულტიმატუმის ფორმულა: კონსულმა ოპიმიუსმა ყური უგდოს, რათა სახელმწიფომ რაიმე ზიანი არ განიცადოს; და კონსული ოპიმიუსი, ვითომც რომში წესრიგის აღსადგენად, განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვია. არსებითად ეს პირველი შემთხვევა იყო რომში საალყო წესების გამოცხადებისა.

იმ ღამეს ორივე მხარე ენერგიულად ემზადებოდა გადამწყვეტი შეტაკებისათვის. ოპიმიუსს განკარგულება გაუცია, სენატორებსა და მხედრებს თავიანთი კლიენტებით და მონებით კაპიტოლიუმი დაეკავებინათ, ამავე დროს, გრაკხუსიანების წინააღმდეგ კრეტელი მოქირაკვნეებიც უნდა გამოეყენებინათ. გაიუსი და ფულვიუსი, თავის მხრივ, მახლობელ პირებს ეთათბირებოდნენ და მეორე დღისათვის ემზადებოდნენ.

პლუტარქე დიდი თანაგრძნობით აგვიწერს გაიუსის საბედისწერო გაპოთხოვებას მეორე დილას თავის მეუღლე ლაცინიასთან. გაიუსი და ფულვიუსი სენატში მიიწვიეს მათი მოქმედების განსამარტებლად.

მაგრამ მათ გაითვალისწინეს რა მოსალოდნელი საფრთხე, პასუხის ნაცვლად თავიანთი შეიარაღებული მომხრეებით ავენტინი დაიკავეს. ოპიმიუსი კი მრავალრიცხოვან მეომართა და კრეტელ მოისართა თანხლებით გრაკხუსიანების წინააღმდეგ დაიძრა. სისხლისმღვრელ შეტაკებაში 3000-მდე კაცი დაიღუპა. ფლაკუსი შეეცადა, ერთი თავისი კლიენტის სახელოსნოში დამალულიყო, მაგრამ იგი მალე აღმოაჩინეს და უფროს ვაჟთან ერთად მოკლეს. გაიუსმა ავენტინიდან გაქცევის დროს ფეხი აღრძო, მტრები კი მოსაკლავად მოსდევდნენ და ერთ ხიმინჯიან ხიდთან წამოეწივნენ. ბოლომდე ერთგულმა მეგობრებმა—პომპონიუსმა და ლიკინიუსმა იგი აიძულეს განეგრძო გზა, თვითონ კი მტრებს წინ დაეხვდნენ და ხიდთან არავინ მიუშვეს, ვიდრე ბრძოლაში არ დაიხოცნენ. ამასობაში გაიუსმა მოახერხა მდინარის მარჯვენა მხარეზე გადასვლა. მტრები უკვე უახლოვდებოდნენ. გაიუსმა, მტერს ცოცხლად რომ არ ჩავარდნოდა ხელში თანმხლებ მონას უბრძანა მოეკალი. მონამ ეს შეასრულა და შემდეგ თვითონაც გაიგმირა გული. მოკლულ გრაკხუსელთა გვამები ტიბრში გადაყარეს. მათ ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს და ცოლებს საგლოვიარო წესების შესრულება აეკრძალეს.

ასე ტრაგიკულად დაიღუპა თავის მომხრეებთან ერთად მეორე ძმაც — გაიუს გრაკხუსი. მაგრამ რომაელმა ხალხმა, პლუტარქეს სიტყვით, მალე გამოამჟღავნა, „თუ როგორ უსაზღვროდ განიცდიდა გრაკხუსთა სიკვდილს. დახოცილ ძმებს ქანდაკებები გაუკეთეს და თვალსაჩინო ადგილზე დადგეს; ის ადგილები კი, სადაც ტიბერიუსი და გაიუსი მოკლეს, წმინდა ადგილებად აღიარეს, რომაელ ხალხს აქ შესაწირავად მოქონდა წლის დროთა ყველა ის პირველი ნაყოფი, რასაც ღვთისმოშიერ იძლევა. მოქალაქენი მრავლად მიდიოდნენ ხოლმე ამ ადგილებში, ვით ღვერთთა ტაძრებთან, სწირავდნენ მსხვერპლს და პირქვე ემხობოდნენ.

5. გრაკხუსების მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა და შემდგომი ცვლილებები აგრარულ საკითხში

მართალია, ძმები გრაკხუსები საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე ტრაგიკულად დაიღუპნენ, მაგრამ ისინი რომის ისტორიის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს ეკუთვნოდნენ, რომელთა მიერ დაწყებულ საქმეს უკვალოდ არ ჩაუვლია. გრაკხუსების დროიდან რომში დაიწყო ისეთი გამძაფრებული პოლიტიკური ბრძოლის პერიოდი, რომელმაც საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა და რომის რესპუბლიკის ისტორიას თავისი დაღი დააჩნია.

გრაკხუსების მოღვაწეობიდან, უპირველესად, უნდა აღინიშნოს,

მიღწევები აგრარული რეფორმის დარგში. მოცემული ცნობების თანახმად, სოფლის წერილ მეურნეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა: თუ 136 წელს გატარებული ცენზის მიხედვით რომში 317933 სამხედროვალდებული მოქალაქე აღმოჩნდა, 125 წლისათვის მათმა რიცხვმა 394736-ს მიაღწია. ამასადამე, გრაკხუსების მიერ გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად დაახლოებით 80 ათასამდე რომაელმა მოქალაქემ მიიღო მიწის ნაკვეთები. მაგრამ, რა თქმა უნდა, განვითარებული მონათმფლობელობის, მზარდი ფულადი ურთიერთობისა და თავაშვებული მევახშეობის პირობებში მათ ვერ შეძლეს მოესპოთ ის მიზეზები, რომლებიც გლეხების პაუპერიზაციას იწვევდა, ანდა, საგრძნობლად შეესუსტებინათ ამ პროცესის შემდგომი განვითარება.

მეორე მხრივ, ძმები გრაკხუსები რომაელი პლებსის ინტერესების დამცველად გამოდიოდნენ და დემოკრატიული იდეების წამოყენებით რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ნაკადი შეჰქონდათ. მათი მეოხებით სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში სახალხო კრება განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და სენატი და ოლიგარქია ხშირად საგრძნობ მარცხს განიცდიდა. მართალია, მათ ვერ შეძლეს კომიციებზე ისეთი რადიკალური ღონისძიების გატარება, როგორიც იყო ეგრეთ წოდებული „მოკავშირეებისათვის" მოქალაქეობის უფლების მინიჭება, მაგრამ მათ დაბალეს ღონისძიებები, რომლებიც თუმცა მათ სიცოცხლეში ვერ გადაწყდა, მაგრამ იმდენად უპასუხებდა რომაული საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს, რომ რეფორმატორთა სიკვდილის შემდეგ მალე განხორციელდა.

გაიუს გრაკხუსმა პირველმა შეაფასა სწორად მხედართა საქმიანი გამოცდილება, ეკონომიკური მნიშვნელობა და სცადა მათი ჩაბმა აქტიურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, რომის დემოკრატიის ამ ყველაზე მერყეევმა და ოპორტუნისტულმა ფრთამ ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები მოიპოვა, რომლებიც მას ოპტიმატებთან წარმატებითი კონკურენციის საშუალებას ანიჭებდა. ამ ღონისძიებამ გააფართოვა რომის სახელმწიფოს სოციალური ბაზა: აქიტომაც მხედრების მხარდაჭერის და მათთვის მნიშვნელოვანი უფლებების მინიჭების პოლიტიკას შემდგომში ფართოდ ახორციელებდნენ რომაელი იმპერატორები.

მართალია, გრაკხუსები დაიღუპნენ, მაგრამ მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებს მნიშვნელობა არ დაუკარგავს: ოპტიმატების ბელადები გრძნობდნენ, რომ ვეღარ წაართმევდნენ ათიათასობით ვლეხს მიცემულ მიწის ნაკვეთებს, ვერ მოუსპობდნენ პურის სიმბოლურ ფასად დარიგებას ქალაქის პლებეებს, ვერ წაართმევდნენ მხედრებს მინიჭებულ

პრიეილეგიებს, რადგან ამას შეიძლებოდა სამოქალაქო ომი მოჰყოლოდა.

გრაკხუსების რეფორმებმა შეაჩერა გლეხობის პაუპერიზაციის, წვრილ და საშუალო მიწათმფლობელთა ფენის გადაშენების პროცესი, ამ რეფორმებს მოჰყვა რომის სახელმწიფოს დროებითი სტაბილიზაცია, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის ვადის გადატანა, რომის სამხედრო ძლიერების აღორძინებისათვის ხელის შეწყობა.

გაიუს გრაკხუსის დაღუპვის შემდეგ რომში მკაცრი რეაქცია დამყარდა, მაგრამ ოპტიმატებმა გრაკხუსების საქმეთა სრული მოსპობა მაინც ვერ შეძლეს.

ჩვენ ვიცით, რომ სახალხო ტრიბუნის რუფუსის კანონმა გაიუსის მიერ კართაგოს ადგილას დაარსებული ახალშენი იუნონია გაუქმებულად გამოაცხადა, მაგრამ ფაქტობრივად იქ კოლონისტები არსებობდნენ. მიწის 200—200 იუგერს იღებდნენ და თავისუფალი იყვნენ შეათედისა და საძოვრების გადასახადებისაგან. ხოლო მათ მოსაწყობად ცალკე თანამდებობის პირები — დუუმვირებიც კი დაინიშნა. იტალიის გარეთ დაარსდა აგრეთვე 118 წელს ახალშენი ნარბონში (გალიის ახალ პროვინციაში, პირენეების ჩახლობლად).

ამას გარდა, რეაქციას არ შეეძლო რომის გლეხობისათვის ჩამოერთმია აგრარული სამეულის მიერ საზოგადოებრივი მიწიდან ათიათასობით მიცემული ნაკვეთი. მაგრამ ოპტიმატებმა ამ მხრივ სხვა ხერხს მიმართეს: გააუქმეს ამ ნაკვეთების მემკვიდრეობითი იჯარა და განუსხვისებლობა და ამით კვლავ შექმნეს მათი შესყიდვის საშუალება.

ალბათ, 119 წელს გააუქმეს აგრარული კომისია და შეწყვიტეს საზოგადოებრივი მიწის შემდგომი განაწილება, ხოლო პოსესორების მფლობელობაში დარჩენილი ნაკვეთები კანონით დაწესებული ნორმის ფარგლებში მათ სრულ საკუთრებად აღიარეს, თუმცა განსაკუთრებული გადასახადების გაღება დააკისრეს და ამ გზით მიღებული სახსრები ღარიბთათვის დასარიგებლად განსაზღვრეს.

გრაკხუსების შემდეგ მიღებულ აგრარულ ღონისძიებათა თავისებური შეჯამება იყო სახალხო ტრიბუნის სპურიუს თორიუსის კანონი, რომელმაც სავსებით დაადასტურა სრული კერძო საკუთრება როგორც გრაკხუსების კანონებით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე, ისე პოსესორთა მიერ შენარჩუნებულ რეფორმამდე „ძველ სამფლობელო ადგილებზე“, დაწესებული ნორმის ფარგლებში (500—1000 იუგერის რაოდენობით). მათი პატრონები ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლდნენ და შეეძლოთ გაეყიდათ როგორც თავიანთი ნაკვეთები, ისე მათზე აგებული შენობები. სამაგიეროდ, კერძო პირებს მომავალში აეკრძალათ დაუნაწილებელი სახელმწიფო მიწების ოკუპაცია

და მათი იჯარით გაცემა თუ საძოვრებად გადაქცევა უკვე ცენზორების კომპეტენციაში შედიოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონში ლაპარაკია არა მარტო იტალიის, არამედ პროვინციის სახელმწიფო მიწებზეც და განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი აფრიკის პროვინციას, სადაც რომაელების მიერ კართაგოს ძველი ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ მისი ძნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოებრივ მიწად გამოცხადდა. რომაელებს მისი ერთი ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის დაუტოვებიათ და მათგან განსაკუთრებულ გადასახადებს აგროვებდნენ; მეორე ნაწილი რომაელი მოქალაქეებისათვის გადაუციათ კერძო სარგებლობაში და აქედანაც განსაზღვრულ შემოსავალს იღებდნენ. ნაწილი კიდევ სახელმწიფოს განკარგულებაში დაუტოვებიათ და მას ცენზორები იჯარით გადასცემდნენ როგორც მოქალაქეებს, ისე ლათინებსა და პერეგრინებს. იჯარის შესყიდვის აღების სისტემამ კი, საერთოდ, ისეთი მიმართულება მიიღო, რომელიც გაიუსმა დასახა.

განხილულ კანონში გათვალისწინებულ ღონისძიებათა შედეგად უფრო მეტად გაფართოვდა უმცირესობის ხელში მიწების კონცენტრაცია. უკვე 104 წელს სახალხო ტრიბუნმა მარციუს ფილიპუსმა განაცხადა: რომში რაიმე უძრავი საკუთრება ორი ათას ოჯახზე მეტს არ გააჩნიაო. გაღატაკებული გლეხების უმრავლესობა იძულებული იყო ნობილების კლიენტი გამხდარიყო და მოსავლის ნაწილის გადახდით და სხვადასხვა ბეგარის შესრულებით მათგან მიწის პატარა ნაკვეთები მიეღო.

მაგრამ მაინც სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, რომ გრაკხუსების შემდეგ წვრილმა და საშუალო მიწათმფლობელობამ ისეთი განადგურება განიცადა, რომ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა. იგი მტკიცედ განაგრძობდა თავისი არსებობისათვის ბრძოლას. ეს განსაკუთრებით ჩრდილო და ცენტრალური იტალიის შესახებ უნდა ითქვას.

თავი მეთერთმეტე

რომის საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს

1. ომი იტალიის ჩრდილოეთით

გრაკხუსების შემდეგ რომში დამყარებული რეაქციის დროს, რომელიც ათ წელზე მეტს გაგრძელდა. ნობილიტეტის გაბატონებულ ვიწრო ჯგუფში უსაზღვრო კორუფციამ იჩინა თავი: მექრთამეობამ, შენჩემობამ, ძალადობამ. მთელი საბელმწიფო აპარატი დანაგვიანდა ამ საშინელი სენით, მაგრამ განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი მან რომის ჯარში. ჯარისკაცებში დისციპლინა დიდად შეირყა. გავრცელდა დეზერტირობა, მტრის მხარეზე ვადასვლა, მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა. მეთაურების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ერიდებოდა მტრისაგან ქრთამის აღებას და უმეტეს დროს გარყვნილებასა და ქეიფში ატარებდა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში რომაელი ლაშქრის ბრძოლისუნარიანობა ძალზე შეირყა, რაც განსაკუთრებით ნუმიდიის მეფე იუგურთასთან ომის დროს გამოვლინდა.

ძვ. წ. II საუკუნის ბოლო წლებს საგარეო პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა იტალიის ჩრდილოეთით მობინადრე ხალხებთან ურთიერთობიდან დავიწყოთ და ჯერ ის მიზანდასახულობა გავითვალისწინოთ, რომელიც ამ მხრივ ახასიათებდა მას.

რას ისახავდნენ მიზნად ამ მიმართულებით რომის მმართველი წრეები? შინაგანი მდგომარეობის მიხედვით მათ სურდათ ალპების სანაპიროზე შეეძინათ ახალშენების გადაყვანისთვის საჭირო მიწები, სოლო სტრატეგიული და საკაპრო თვალსაზრისით — ესპანეთთან საზღვაო და სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა. მოვიგონოთ ზოგიერთი მთავარი მომენტი.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში ფოკეელმა კოლონისტებმა მდ. როდანის (რონის) შესართავის მახლობლად დააარსეს ახალშენი მასილია. რომთან მასალიოტები ძველი დროიდანვე კეთილ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და ერთ დროს ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე თავისი გავლენა გაავრცელეს. ამ დროის მასალიოტებს დიდად ავიწროებდნენ ლიგურები, რომლებიც ჩრდილოეთ იტალი-

ის ერთ უძველეს მკვიდრ ტომად ითვლებოდნენ. ამიტომ მასალიოტებმა მათ წინააღმდეგ დახმარებისათვის რომს მიმართეს. ძვ. წ. 154 წელს რომაელებმა ლაშქრობა მოაწყეს ლიგურების წინააღმდეგ და საკმაოდ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს. გავიდა სამოიოდე ათეული წელი და მასალიოტებმა კელავ მიმართეს რომაელებს დახმარებისათვის, ამჯამად კელტების წინააღმდეგ. ალპების—ომიერი კელტები იმ დროს ორ, ურთიერთისადმი მტრულად განწყობილ, ძლიერ ჯგუფად იყვნენ დანაწილებული. მათ შორის განსაკუთრებული ძლიერება და მნიშვნელობა მოპოვებული ჰქონდათ არვერნებს, რომელთაც კელტების ტომთა უმრავლესობა ექვემდებარებოდა, და მათი გავლენა პირენეებიდან რეინამდე ვრცელდებოდა. მათ უპირისპირდებოდნენ და ეჭიშპებოდნენ ედუები. ამიტომ არვერნების საწინააღმდეგოდ რომაელებმა ედუებთან მომაელისათვის მნიშვნელოვანი მეგობრული კავშირი დაამყარეს.

მასალიოტების დასახმარებლად რომაელებმა 125 წელს წარგზავნეს ლაშქარი კონსულის, გრაკხუსიანების ერთი ცნობილი ხელმძღვანელის, ფულვიუს ფლაკუსის მეთაურობით. ამ ლაშქრობის შედეგად მათ ცალკეული ტომები დაიპყრეს და იძულებული გახდნენ მასალიოტებისათვის ხარკი ეძლიათ. 122 წელს ამ მხარეში დაარსდა რომაელების პირველი დასახლებული პუნქტი — ციხესიმაგრე სექსტიის აქვები. როგორც დავინახეთ, მასალიოტების დასაცავად წარმოებულ ომში რომაელებს კელტების ძლიერ ტომ არვერნებთანაც მოუხდათ ხანგრძლივი შეტაკება. ბოლოს, მათ ისინი აიძულეს დამორჩილებოდნენ და თავიანთი დატყვევებული მეთაურები რომს წარეგზავნათ. ამასთან ერთად, რომაელებმა პირენეებიდან რონამდე გაიყვანეს ახალი გზა, ეგრეთ წოდებული „დომიციუსის გზა“, ხოლო 118 წელს კელტების ძველ ქალაქ ნარბოში განსახლდნენ რომაელი მოქალაქეები და ალპებსა და პირენეებს შორის წარმოიქმნა ახალი პროვინცია — ნარბოს გალია.

აქ მრავლად მოიყარეს თავი რომაელმა მოვაჭრეებმა და გადასახლებულებმა. აქედან რომაელებმა ურთიერთობა დაამყარეს გალიის სხვა ტომებთან, ამაში მათ დაეხმარა ედუებთან დადებული მეგობრული კავშირი.

ასეთი გზით მოახერხეს რომაელებმა დაპატრონებოდნენ იტალიის ესპანეთთან შემაერთებელ სახმელეთო გზას, ხოლო იმ მიზნით, რომ პირენეების ნახევარკუნძულთან ურთიერთობის საზღვაო გზაც უზრუნველეყოთ, მათ დაიკავეს ბალეარის კუნძულები, რომლებსაც პირატები თავის დასაყრდენ პუნქტად იყენებდნენ.

ამავე პერიოდში რომს უხდებოდა ომის წარმოება ცვალებადი წარმატებით ალმოსავლეთ ალპებში, ილირიასა და დუნაიზე.

2. ომი ნუმიდიის მეფე იუგურთასთან

რას წარმოადგენდა იმ დროის ნუმიდიის სამეფო? ჩვენ ვიცით, რომ ნუმიდიის მეფე მასინისა მეორე პუნიკურ ომში (218—201 წწ.) რომაელების მხარეზე იბრძოდა და ომის პროცესში დიდად გაფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები. მესამე პუნიკურ ომში კი (149—146 წწ.) მასინისა თითქმის არ ეხმარებოდა რომაელებს, რადგან უკმაყოფილო იყო მათი მოქმედებით და თვითონ ფიქრობდა კართაგოს დაპყრობას. თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე მეფე მასინისას თვალსაჩინო დამსახურება მიუძღოდა: იგი მფარველობდა მიწათმოქმედებას და ხელს უწყობდა მოსახლეობის გადასვლას ბინადარ ცხოვრებაზე. თუმცა ნუმიდიის კულტურა ძირითადად პუნიკური იყო, მაგრამ მასინისას აინტერესებდა აგრეთვე ბერძნული ყოფა-ცხოვრება და ცდილობდა თავის სამეფოში მიეზიდა როგორც ბერძნები, ისე რომაელები. იგი გარდაიცვალა 148 წელს. სიკვდილის წინ მან სთხოვა სციპიონ ემელიანეს, მისულიყო ნუმიდიაში მის სამ ვაჟს — მიციპსას, გულუსსა და მასტანაბალს შორის ხელისუფლების საკითხის მოსაგვარებლად. მართლაც, სციპიონმა ამ საქმეში მას ერთგვარი სამსახური გაუწია. მასინისას უფროსი ვაჟი მიციპსა გარდაიცვალა 118 წელს. სამეფო მანაც თავის მხრივ განუყოფლად უანდერძა ორ ვაჟს, ადჰერბალსა და ჰიემპსალს და ძმისწულ იუგურთას, რომელიც მან იშვილა. მათ შორის იუგურთა იშვიათი სილამაზით, დიდი ენერგიითა და ადმინისტრაციული ნიჭით გამოირჩეოდა და ნუმიდიელებს ძალიან უყვარდათ. ამასთან ერთად, იგი იყო ცბიერი, სასტიკი და ვერაგი, ომში კარგად გამოწრთვნილი და ფრიად პატივმოყვარე ადამიანი. ერთ დროს იგი სციპიონ ემელიანეს მეთაურობით ნუმანციასთან იბრძოდა და ზოგიერთ რომაელ წარჩინებულთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ასეთი პირების ახლოს გაცნობის შედეგად იგი დარწმუნებულა, რომ ქრთამის საშუალებით რომში ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი. როცა მიციპსას მემკვიდრეებს შორის დავა ამტყდარა, მათ ურთიერთობაში რომი ჩარეულა და აფრიკაში წარუგზავნია 118 წლის კონსული პორციუს კატონი. მას ნუმიდიის სამეფო მემკვიდრეებს შორის ისე გაუნაწილებია, რომ განხეთქილება უფრო მეტად გაუმწვავებია.

იუგურთამ თავი დაჩაგრულად იგრძნო და მიზნად მთელ სამეფოში გაბატონება დაისახა. მან 117 წელს მიგზავნილი მკვლელების ხელით ჰიემპსალი სიცოცხლეს გამოასალმა და გზიდან ჩამოიშორა. ამით აღელვებულმა ადჰერბალმა იუგურთას შეუტია და მისი სამფლობელო დაარბია, მაგრამ იუგურთამ შეძლო მისი დამარცხება და აიძულა იგი ჯერ აფრიკის პროვინციაში გაქცეულიყო და მერე რომში მოეძებნა თავშესაფარი. ადჰერბალმა რომის სენატს დახმარება და მისი კანო-

ნიერი უფლებების დაცვა სთხოვა. ამავე დროს იუგურთამ რომში გაგზავნა თავისი ელჩი და თან გაატანა საჩუქრები. სენატის გავლენიანი წევრებისათვის. სენატმა ნუმიდიაში გაგზავნა კომისია გაიუს გრაკხუსის მკვლელის, ლუციუს ოპიმიუსის ვეთაურობით. კომისიამ ნუმიდიის სამეფო ასე გაანაწილა: ადჰერბალს ხვდა მისი აღმოსავლეთი ნაწილი სატახტო ქალაქ ცირტათი, იუგურთას კი — ნაყოფიერი და შედარებით მჭიდროდ დასახლებული დასავლეთი ნაწილი.

იუგურთა თითქმის უკმაყოფილო დარჩა კომისიის გადაწყვეტილებით და 113 წელს შეიჭრა ადჰერბალის ნაწილში, დაამარცხა იგი და, რომის პროტესტის მიუხედავად, ალყა შემოარტყა მას ცირტაში, სადაც იმ დროს მრავალი იტალიელი მოვაჭრე, მევახშე და პუბლიკანი იმყოფებოდა. ადჰერბალმა კვლავ რომს მიმართა მუდარით. სენატმა ორჯერ წარგზავნა კომისია ნუმიდიაში შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. მაგრამ იუგურთამ მოახერხა კომისიის წევრების მოსყიდვა და მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

ამასობაში ხანგრძლივი გარემოცვით შეწუხებულმა მცხოვრებლებმა ადჰერბალი აიძულეს ქალაქი ცირტა იუგურთასთვის ჩაებარებინა იმ პირობით, რომ მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. მაგრამ იუგურთამ თავისი აღთქმა ვერაგულად დაარღვია; ადჰერბალი ჯვარს აცვა და მთლიანად ამოხოცა შეიარაღებული მამაკაცები, რომლებიც ხელთ ჩაუვარდა, მათ შორის ბლომად იყვნენ იტალიელებიც. იუგურთას ასეთმა ვერაგულმა მოქმედებამ რომაელები ძალზე აღაშფოთა. განსაკუთრებით აღშფოთებული იყვნენ მხედართა წოდების წარმომადგენლები, რომლებიც ცირტაში თავისი წევრების დაღუპვას მტკივნეულად განიცდიდნენ. მათი დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად 111 წელს სენატმა, ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობის მიუხედავად, იუგურთას ომი გამოუცხადა. ომის ხელმძღვანელად ოთხი ლეგიონით წარგზავნეს კონსული კალპურნიუს ბესტია, წინათ გრაკხუსელი და ახლა კი ნამდვილი ოპტიმატი, მაგრამ იუგურთამ ადვილად შეძლო, როგორც კონსულის, ისე მისი ლეგატების მოსყიდვა და მცირე კონტრიბუციის გაღებით არამცთუ მიაღწია ზავს, არამედ მთლიანად შეინარჩუნა თავისი სამფლობელო. მაშინ სახალხო ტრიბუნის გაიუს მემიუსის წინადადებით იუგურთა რომში გაიწვიეს პასუხისგებისათვის და ხელშეუხებლობა აღუთქვეს. მაგრამ, როცა მემიუსი სახალხო კრებაზე დაკითხვას შეუდგა, მეორე ტრიბუნმა, რომელიც იუგურთას მიერ იყო მოსყიდული, ისარგებლა ვეტოს უფლებით და მას თავიდან ააცდინა პასუხის გაცემა და დაკითხვის გაგრძელება. ამავე დროს რომში იმყოფებოდა მასინისას შვილიშვილი მასივა, რომელიც ნუმიდიის ტახტის პრეტენდენტად გამოდიოდა. გაოამამებულმა იუგურთამ იგი ვერაგულად მოაკვლევინა და მკვლელი ფარულად გააპარა რომი-

დან. როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა, სენატმა იგი რომიდან გააძევა. როცა იუგურთა რომს ტოვებდა, სალუსტიუსის გადმოცემით, მას ასეთი ფრაზა წარმოუთქვამს: „ოი, გამყიდველო ქალაქო, შენ არსებობას შესწყვეტ, როგორც კი შესაფერი მყიდველი გამოგიჩნდება“.

იუგურთას რომიდან გაძევების შემდეგ მის წინააღმდეგ სასამართლო მოქმედება განახლდა. მაგრამ რომაელი ჯარი დემორალიზებული და ბრძოლისუნარმოკლებული იყო. ზოგიერთი მეთაური მტრისაგან ქრთამებს იღებდა და ბრძოლას მარცხით ამთავრებდა. რომაელი მეომრები იმასაც კი არ ერიდებოდნენ, რომ იუგურთას ჯარისკაცებისათვის სპილოები, იარაღი და ნადავლი მიეყიდათ. მათში დისციპლინა ფრიად შერყეული იყო. ასეთი მოვლენების შედეგი ნათლად გამოვლინდა 110 წელს, როცა რომაელების ჯარმა კონსულ ავლუს პოსტუმიუს ალბინუსის მეთაურობით ციხე სუთულთან მძიმე დამარცხება განიცადა, კონსულმა იუგურთასთან სამარცხვინო საზავო ხელშეკრულება დადო. იუგურთა რომის მოკავშირედ იქნა აღიარებული და რომაელების ჯარს ათი დღის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა ნუმიდიის საზღვრები.

რომაელების ჯარზე გამარჯვებამ იუგურთას დიდი სახელი მოუხვეჭა ჩრდილო აფრიკის თავისუფალ და ნახევრად თავისუფალ ტომთა შორის და მათ მრავლად იწყეს მისი დროშის ქვეშ თავმოყრა. რომში კი, პირიქით, უდიდესი მღელვარება და საგანგაშო ვითარება წარმოიქმნა. აუცილებელი გახდა დამარცხების მიზეზების გამოკვლევა და სახალხო ტრიბუნის — მამილიუს ლიმეტანუსის წინადადების შემდეგ აფრიკაში მომხდარი ამბების გამოსარკვევად განსაკუთრებული კომისია შეიქმნა. დაიწყო მთელი რიგი სასამართლო პროცესები და რამდენიმე მეჭრთამე სენატორსა და მათ შორის უკვე მოხსენიებულ ოპიმიუსს რომიდან გაძევება მიესაჯათ. ალბინიუსის მიერ იუგურთასთან დადებული ხელშეკრულება სენატმა გააუქმა და ომის გასაგრძელებლად აფრიკაში წარგზავნა 109 წლის კონსული კვინტუს ცეციელიუს მეტელუსი, შედარებით პატიოსანი და სამართლიანი ადამიანი. იგი არ მოერიდა იმას, რომ თავის ლეგატებად არაწარჩინებული წრიდან გამოსული ნიჭიერი ადამიანები დაენიშნა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაიუს მარიუსი, წარმოშობით ქალაქ არპინუმის მახლობლად მდებარე სოფლის გლეხის შვილი. ოჯახს მისთვის თითქვის არავითარი განათლება არ მიუცია, მაგრამ თავისი ნიჭით და მამაცობით დიდი წარმატებისათვის მიუღწევია. ახალგაზრდობიდანვე იგი ჯარში მსახურობდა, თავი ისახელა ჯერ კიდევ ნუმანციასთან ომში და ცნობილი სარდლის — სკიპიონ ემელიანეს ყურადღება მიიპყრო, ცოლად მას შეურთავს იულია, იულიუსების ძველი წარჩინებული გვარის წევ-

რი და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იულიუს კეისრის ნათესაური გამხდარა. 119 წელს იგი სახალხო ტრიბუნად აირჩევიათ და პლებსის სასარგებლოდ ზოგიერთი ლონისძიება გაუტარებია. 115 წელს მარიუსი პრეტორი იყო და ვადის დამთავრების შემდეგ, პროპრეტორის უფლებით, ესპანეთს განაგებდა, მაგრამ მან განსაკუთრებით ისახელა თავი იუგურთას წინააღმდეგ ომში.

აფრიკაში მისვლისთანავე კონსულ მეტელუსს ჯარში ძალზე შერყეული დისციპლინის აღდგენა დაუწყია და საჭირო ლონისძიებათა გატარების შედეგად მიზნისათვის მიუღწევია. 109 წელს მდინარე ბაგრადასის შენაკად მუთულთან მან სასტიკად დაამარცხა იუგურთა და იგი მხარის შორეულ ნაწილში განდევნა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი მარიუსმა და მეტელუსის თანაშემწეთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა. დამარცხებულმა იუგურთამ სცადა დიდი კონტრიბუციის შეთავაზებით მეტელუსთან დაზავებისათვის მიეღწია, მაგრამ როცა აქედან არა გამოვიდა რა, რომაელი ლაშქრის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის გზას დაადგა. მას ამ ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ გეტულების ტომი და თავისი სიმამრი, მავრიტანიის მეფე ბოკუსი. ამიტომ ომი აფრიკაში გაჭიანურდა, რაც რომაელებში, განსაკუთრებით მხედართა წრეში, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ მეტელუსს დაუპირისპირეს გაიუს მარიუსი და 107 წლის კონსულის თანამდებობაზე პოპულარებმა მისი კანდიდატურა წამოაყენეს. მეტელუსმა თავისი ხელქვეითი პირის ასეთ მაღალ თანამდებობაზე არჩევის განზრახვა იწყინა და მხოლოდ დიდი ყოყმანის შემდეგ დართო რომში გამგზავრების ნება. თავის მხრივ მარიუსი საარჩევნო კომპანიის დროს მკაცრად და მიკერძოებით აკრიტიკებდა მეტელუსის მოქმედებას ომის ასპარეზზე. რომში მარიუსი ხმების დიდი უმრავლესობით აირჩიეს კონსულად და სახალხო ტრიბუნის — მანლიუს მანციუსის წინადადებით მასვე მიენდო ნუმიდიაში ომის ხელმძღვანელობა. მარიუსმა რამდენიმე მძიმე დამარცხება მიაყენა იუგურთას, მაგრამ ის მაინც ხელიდან უსხლტებოდა. ბოლოს მარიუსმა შეძლო გეტულების თავის მხარეზე გადაბირება და ბოკუსს მავრიტანელთანაც გაობა კავშირი. როცა უკანასკნელმა შეამჩნია, რომ მისი სიძის საქმე ცუდად მიდიოდა, მარიუსს აცნობა, რომ ძნელად იყო იუგურთასთვის ეღალატა, თუ მასთან მოსალაპარაკებლად ლუციუს კორნელიუს სულას გაგზავნიდნენ. მომავალი სასტიკი დიქტატორი ქვესტორად მსახურობდა მარიუსის ჯარში და თავისი მამაცობითა და მხიარული ხასიათით საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. როგორც ჩანს, ბოკუსი წინათაც იცნობდა სულას თავისი ელჩების ნაამბობით და ამიტომ აირჩია იგი შუამავლად, სულა მივიდა

ბოკუსის ბანაკში და დაიწყო მოლაპარაკება. მავრიტანიის ძლიერი მეფე დიდხანს ყოყმანობდა, გადაეცა სულასთვის იუგურთა, თუ, პირიქით, სულა იუგურთასათვის. ბოლოს გადაწყვიტა, მიეხმო თავისი სიძე ვითომც სულას გადასაცემად. როგორც იუგურთა, ისე მისი ამალა მასთან უიარაღოდ უნდა მისულიყვნენ, იუგურთა სიმამრისაგან ღალატს არ მოელოდა, ადვილად წამოეგო ამ ანკესს და უიარაღოდ გამოცხადდა მის ბანაკში. მას და მის თანმხლებლებს მოულოდნელად შემოერტყა გარს მავრიტანიელების რაზმი და ამალა ამოხოცა, ხოლო იუგურთა რომაელებს გადასცა. სულამ დაბორკილი იუგურთა რომაელების ბანაკში მიიყვანა. ამით დამთავრდა ომი იუგურთასთან.

როცა ამ ამბავმა რომს მიაღწია, მარიუსი დაუსწრებლივ მეორედ აირჩიეს 104 წლის კონსულად და მასვე მიაკუთვნეს ალპებიდან გალიის პროვინცია. მარიუსს რომში ტრიუმფი მოუწყეს. ამ პროცესიაში სამეფო სამოსში გამოწყობილი ბორკილდადებული იუგურთაც მონაწილეობდა, რომელიც იმავე დღეს საპყრობილეში გაგზავნეს, როგორც რომაელი ხალხის მტერი.

ნუმიდიის სამეფო რომაელებმა ორ ნაწილად გაყვეს: დასავლეთი ნაწილი მავრიტანიის მეფე ბოკუსს მიაკუთვნეს იმ ღალატის საფასურად, რომელიც მან თავისი სიძის მიმართ ჩაიდინა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი მასტანაბალის შვილს და იუგურთას გერ ძმას, ჰიუანაკლებ გაუდას გადასცეს. ასეთი ბედი ეწია ნუმიდიის მეფე იუგურთას და მის სამეფოს. რომაელებმა საკმაოდ ხანგრძლივი ომის შედეგად თავიდან მოიშორეს მოწინააღმდეგე იუგურთა და ამით ძველი კართაგოს აღდგენის ყოველგვარი საშუალება მოსპეს.

3. კიმვრები და ტევტონები შეიჭრნენ, მარიუსის საუკეთესო რეფორმა

ჯერ კიდევ აფრიკაში იუგურთას წინააღმდეგ ომის დაწყებამდე ჩრდილოეთ იტალიას უდიდესი განსაცდელი დაატყდა: 113 წელს ალპების ჩრდილო-აღმოსავლეთ მისადგომებთან გამოჩნდა ტომთა დიდი გაერთიანება. მის ძირითად ნაწილს გერმანული წარმოშობის ტომი კიმვრები წარმოადგენდნენ, მაგრამ ამ ჯგუფში კელტური ელემენტებიც იყო შერეული. ეს ურდოები მთელი ოჯახებით, ქალებით, ბავშვებით, ცხოველთა სარჩო-საბადებლით მოდიოდნენ ახალი ადგილების დასაპყრობად. ბრძოლაში ისინი გაუგონარი სიმამაცით და თავგანწირვით გამოირჩეოდნენ.

კიმვრები რომაელებს პირველად 113 წელს შეეჯახნენ ნორიკუმში, სადაც ტავრისკების ტომი ბინადრობდა, რომელთანაც რამდენიმე ხნის წინ მათ მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს. რომის კონსულმა პაპირიუს კარბომ, რომელიც ალპების გასასვლელს იფარავდა,

კიმვრებს ტავრისკების ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. კიმვრები ამაზე დათანხმდნენ, მაგრამ კარბომ ვერაგული გზა აირჩია: მან მოინდომა ჩასაფრებულ ადგილას მათი შეტყუება და მთლიანად ამოხოცვა. მართლაც, იგი თავს დაეხსა ასეთი გზით მოტყუებულ კიმვრებს, მაგრამ ქალაქ ნორეიას მახლობლად (ახლანდელ კარინთიაში) სასტიკად დამარცხდა. რომაელი ლაშქარი სრული განადგურებისაგან მოულოდნელად ამტყდარმა საშინელმა ჭექა-ქუხილმა გადაარჩინა.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამარჯვების შემდეგ კიმვრები სამხრეთით—იტალიისაკენ დაიძრებოდნენ, მაგრამ დასავლეთით მიბრუნდნენ და შესაძლოა ამ დროს შეუერთდა მათ მეორე გერმანელი ტომი — ტევტონები. 111 წელს მათ გადალახეს რეინი და ზემოთ რონის მიდამოებში გაჩნდნენ. სამხრეთ გალიაში, რომაული პროვინციის მახლობლად, კიმვრების გამოჩენამ კვლავ გამოიწვია მათი შეტაკება რომაელებთან. 109 წელს მათ დაამარცხეს კონსული მარკუს იუნიუს სილანუსი, რომაელთა ჯარმა თითქმის ბანაკიც კი დაკარგა.

გაერთიანებულმა ტომებმა არც ამ გამარჯვებით ისარგებლეს, პირიქით, რომის სენატს ელჩები გაუგზავნეს და მათთვის დასასახლებელი მხარე ითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. მხოლოდ 105 წელს გაჩნდნენ ისინი ქვემო რონას მიდამოებში და, ალბათ, იტალიაში აპირებდნენ ფიქრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, რომაელებმა მათ წინააღმდეგ ორი არმია წარგზავნეს, რომელთა სარდლებს შორის მტრობა და ეჭვიანობა სუფევდა. იმავე 105 წელს არაუზიონთან რომაელების ორივე არმია გაანადგურეს და ბრძოლის ველზე 80 ათასამდე მეომარი დაიღუპა. იმის ნაცვლად, რომ ბარბაროსული ტომები ახლა მაინც შეეშინოდათ საჩქაროდ იტალიაში, მათ არვერნების მხარის განადგურება დაიწყეს. შემდეგ კიმვრები ესპანეთისაკენ, სოლო ტევტონები ჩრდილო გალიისაკენ დაიძრნენ. ამით რომაელებს ორი წლით შესვენების საშუალება მიეცათ და გალია და იტალია სრულ განადგურებას გადაურჩა.

არაუზიონთან რომაელების ორი არმიის განადგურების ამბავმა რომში დიდი აღელვარება გამოიწვია. საშინელ სამხედრო კატასტროფაში დამნაშავე მთავარი პირები გაასამართლეს და დასაჯეს, კიმვრებისა და ტევტონების წინააღმდეგ საბრძოლველად კი მარიუსი გაგზავნეს, რომელიც, როგორც ვიცით, 104 წლისათვის დაუსწრებლად მეორედ აირჩიეს კონსულად.

ამ დროს მარიუსი რონასთან იმყოფებოდა და საშინელ მტრებთან საბრძოლველად ჯარს ამზადებდა. მის ჯარში იმყოფებოდნენ გამოცდილი მეთაურები—კორნელიუს სულა და კვინტუს სერტორიუსი, რომელმაც შემდგომ სულას დიქტატურის დროს მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აქვე დაამთავრა მარიუსმა სამხედრო რეფორმის გატარება, რაც ჯერ კიდევ 107 წელს დაიწყო. იგი ნებაყოფლობითი შეკრების გზით შეუდგა საცენზო სიების გარეშე მყოფი ღარიბებისაგან მეომრების შეგროვებას. მარიუსი ჯარში იწვევდა არა მარტო რომაელ ღარიბებს, არამედ პროვინციელებსაც. ამგვარად, თუ წინათ ჯარში მხოლოდ ისეთი რომაელი მოქალაქეები მსახურობდნენ, რომელთაც მიწის საკუთრება ჰქონდათ და საცენზო სიებში ითვლებოდნენ, ახლა ჯარში იღებდნენ ყველა მსურველს, ვინც კი სამხედრო თვალსაზრისით გამოსადეგი იქნებოდა. გაიუს გრაკხუსის სამხედრო კანონის დამატება იყო მეომრებისათვის ჯამაგირის მტკიცე სისტემის დაწესება. ამასთან, მათ უნაწილდებოდათ სამხედრო ნადავლი და ვადის დამთავრების შემდეგ ვეტერანებს მიწის ნაკვეთები ურიგდებოდათ. გაუმჯობესდა ჯარის მატერიალური ნაწილი და ტექნიკური შეიარაღება; მნიშვნელოვნად შეიცვალა ჯარების ორგანიზაციაც: წინანდელი საბრძოლო ერთეულები — მანიპულები მარიუსმა უფრო მსხვილ შენაერთებში — კოჰორტებში გააერთიანა და ამიერიდან თითოეული ლეგიონი 10 კოჰორტის, 30 მანიპულისა და 60 ცენტურიისაგან შედგებოდა. ამით ჯარის სტრუქტურას მეტი გარკვეულობა და მკაფიობა მიენიჭა. საერთოდ, მარიუსი მოძრავი კოჰორტების ჩამოყალიბების თანმხლად ითვლებოდა.

მარიუსის სამხედრო რეფორმას რომის მომდევნო ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ რეფორმის შედეგად რომაული სამოქალაქო ლაშქარი ისეთ პროფესიულ არმიად გადაიქცა, რომელიც თანდათან განცალკევდა ხალხისაგან. ამ გარემოებამ კი უფრო გვიან ფრიად მტკივნეული გავლენა მოახდინა რომში დემოკრატიული მოძრაობის მსვლელობაზე. მეომარი-პროფესიონალები, ცალკე თავიანთი მეთაურებისა, სხვა ხელისუფლებას არ ცნობდნენ, სამხედრო დღესასწაულებს იხდიდნენ და მთავარ სათაყვანოდ ლეგიონის დროშა — „საღვთო არწივი“ მიაჩნდათ. ასეთ ჯარისკაცებზე დაყრდნობით რომის ძლევამოსილი სარდლები დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას იწყებენ და გზას უმზადებენ სამხედრო დიქტატურის განმტკიცებას. საბოლოო ანგარიშით რომის რესპუბლიკური წყობილების დამხობაში არმიამ მთავარი იარაღის როლი შეასრულა.

სამხედრო რეფორმის გატარების დროს მარიუსი სისტემატურად წრთვნიდა თავის არმიას, აჩვევდა ჯარისკაცებს მუდმივ ვარჯიშს, ხანგრძლივი გადასვლების მოწყობას, მიწის გათხრაზე მუშაობას და მტკიცე ლონისძიებათა გატარებით მთლიანად აღადგინა მათში დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა. ამასობაში ესპანეთისაკენ დაძრულმა კიმბრებმა კელტიბერების მხრივ დიდი წინააღმდეგობა განიცა-

დეს, ამიტომ ესპანეთს თავი დაანებეს და გადავიდნენ ჩრდილო გალიაში, სადაც ტევტონებს შეუერთდნენ. ბელგების ტომის მიერ მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ როგორც ტევტონების, ისე კიმვრების მეთაურებმა სხვადასხვა გზით იტალიაში შეჭრა განიზრახეს. ამ დროს მარიუსი რომში იმყოფებოდა, სადაც იგი მეოთხედ იყო 102 წლის კონსულად არჩეული, და როგორც კი გაიგო ამ ტომების მოძრაობა საჩქაროდ დაბრუნდა რონასთან თავის გამაგრებულ ბანაკში. სამი დღე უტევდნენ რომაელთა ბანაკს ეს ტომები, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს და პირდაპირ იტალიისაკენ დაიძრნენ. მართალია, მარიუსმა ისინი წყნარად გაატარა, მაგრამ როცა ტევტონები საკმაოდ დაწინაურდნენ, მათ მოულოდნელად თავს დაესხა მასილიის ჩრდილოეთით მდებარე რომაელთა პატარა ახალშენ სექსტის აქვებთან და მუსრი გაავლო. 100 ათასზე მეტი ტევტონი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა ამ საშინელ სისხლისმღვრელ ომში. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ბევრმა ტევტონმა ქალმა ტყვეობას თვითმკვლელობა ამჯობინა. ამასობაში კიმვრებმა შეძლეს ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში გადასვლა. მარიუსის კოლეგამ, კვინტუს ლუტაციუს კატულუსმა მათი მოძრაობა ვერ შეაჩერა ალპების გადმოსასვლელებში და იძულებული გახდა პადუსის მარჯვენა ნაპირისაკენ დაეხია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის ჯარს მარიუსის ჯარიც შეუერთდა, რომაელებმა მილანის დასავლეთით ვერცელუსთან თითქმის მთლიანად გაანადგურეს კიმვრები, რომელთაგან 65 ათასზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა და დარჩენილები კი მონებად გაყიდეს.

ასეთი საშინელი განსაცდელისაგან რომისა და იტალიის გადარჩენამ მარიუსს უდიდესი სახელი და გავლენა მოუხვეჭა. იგი მეხუთედ აირჩიეს 101 წლის კონსულად. მას „რომის მხსნელს“, „მეორე რომულსს“ უწოდებენ და მისგან გაბედულ სოციალურ რეფორმებს მოელოდნენ.

თავი მეთორმეტე

საზოგადოებრივი ბრძოლის განახლება რომში

1. სიცილიის მონათა მეორე აჯანყება

როცა რომი კიმვრებისა და ტევტონების საშინელი შემოსევის წინაშე იდგა, სიცილიაში მონათა მეორე აჯანყება შემზადდა. დიოდორე სიცილიელის სიტყვით, ამ დიდ აჯანყებას წინ მონათა მრავალი მცირე ამბოხება და შეთქმულება უსწრებდა, „თითქოს ასეთი გზით თვითონ ღვთაება წინასწარმეტყველებდა სიცილიაში მომავალ ამაღ კოლოსალურ აჯანყებას". ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, თვითონ რომში დავალიანების ნიადაგზე მონობა პოეტელუსის კანონმა აკრძალა, მაგრამ პროვინციებსა და ვასალურ სამეფოებში მოთარეშე რომაელი პუბლიკანები და მევახშეები მოურიდებლად ჰყიდდნენ მონებად ადგილობრივ დავალიანებულ მცხოვრებთ, რომელთა უმრავლესობა სიცილიაში მიიყვანეს, როცა მარიუსმა კიმვრებისა და ტევტონების ურდოებთან ომის დროს, სენატის ნებართვით, დამხმარე მეომრების მოშველიება სთხოვა ბითვინიის მეფე ნიკომედეს, მან უარით უპასუხა, ჩემი ქვეშევრდომი ბრძოლისუნარიანი მამაკაცების უმეტესი ნაწილი რომაელი მევახშეების მიერ მონებად არიან გაყიდული. ამიტომ საშინელმა საგარეო საფრთხემ და იტალიაში მონების მუდმივმა მღელვარებამ აიძულა რომის სენატი გამოეტანა დადგენილება მოკავშირე სახელმწიფოების ყველა თავისუფალშობილი ქვეშევრდომის განთავისუფლების შესახებ და ამ საკითხის მოგვარება პროვინციების მმართველთ მიანდო. კერძოდ, სიცილიაში ამ საკითხის მოგვარებას შეუდგა პრეტორი ლიცინიუს ნერვა და დაიწყო მონებად გაყიდული თავისუფალშობილი ადამიანების განთავისუფლების საკითხის გარკვევა. ყველა მონად გაყიდულს იმედი ჰქონდა, რომ განთავისუფლდებოდა. მაგრამ, როცა პრეტორმა 800 კაცს აჰყარა მონობის ბორკილები, ადგილობრივმა მონათმფლობელებმა მოახერხეს მისი მოსყიდვა და მან საკითხის შემდგომი განხილვა შეწყვიტა. იმ მონებს კი, რომლებიც მასთან თავისუფლების მისაღებად მოდიოდნენ, იგი თავიანთ პატრონებს უბრუნებდა. რა თქმა უნდა, ამან მონათა წრეში დიდი მღელვარება წარმოქმნა. ამას

ჭარდა, შესაძლოა მონების მოძრაობაზე გავლენა იქონია აგრეთვე 105 წელს არაუზიონთან რომის ორი არმიის განადგურებამ. საგულისხმებელია, რომ „ხმები რომაელების დამარცხების შესახებ მონებამდე აღწევდა და მათში თავისუფალი ბარბაროსების ხელით საძულველი რომის დანგრევის იმედებს აღვიძებდა“.

სიცილიის მონათა მეორე აჯანყება 104 წელს დაიწყო და 5 წელი გაგრძელდა. პირველი და მეორე აჯანყებების აღწერილობაში ისეთი ზოგადი მსგავსებაა, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა მათი ხელოვნური დუბლირებაც კი აღიარა. მაგრამ ასეთ მოსაზრებას საფუძვლიანად ვერ ჩავთვლით და, ბუნებრივია, რომ იგი საერთოდ არც იქნა გაზიარებული.

დიოდორეს გადმოცემით, სიცილიის მონათა მეორე აჯანყების თავისებური პროლოგი იყო მონათა ამბოხება კაპუას მახლობლად (კამპანიაში), რომელსაც მხედართა წოდების გაღატაკებული წევრი, ვინმე მინუციუსი მეთაურობდა. მინუციუსს 3500 მონა შეუიარაღებია, თავი მათ მეფედ გამოუცხადებია და მონათმფლობელთა მამულების დარბევა დაუწყია. რომი იძულებული გამხდარა მის წინააღმდეგ პრეტორი ლუციუს ლუკულუსი გაეგზავნა. პირველ შეტაკებაში აჯანყებულმა მონებმა რომაელები დაამარცხეს, მაგრამ ლუკულუსმა ნაცად ხერხს მიმართა, მინუციუსის ჯარის სარდალი აპოლონიუსი მოისყიდა და მისი შემწეობით შეამბოხენი და მათი მეთაური ხელთ იგდო.

სიცილიის მონათა მეორე აჯანყების დასაწყისად შეიძლება ის მოძრაობა ჩავთვალოთ, რომელიც სირაკუზის მახლობლად დაიწყო. აქ საღვთო გორაკზე ღამით თავმოყრილმა რამდენიმე ათეულმა მონამ თათბირი გამართა და აჯანყების გეგმა შეიმუშავა, იმავე ღამეს შეთქმულებმა თავიანთი ბატონები დახოცეს. მოკლე დროში მათ 200-ზდე მონა შეუერთდა. მოსალოდნელი შემოტევისგან თავის დაცვის მიზნით შეთქმულები ერთ მაღლობ ადგილზე გამაგრდნენ. მაგრამ მათ წრეში გამცემი აღმოჩნდა, რომელმაც სიცილიის პრეტორს ლუციუს ხერვას მთელი შეთქმულების გეგმა და ამბავი აცნობა, ნერვამ ადვილად შეძლო ამ მოძრაობის სათავეში ჩახშობა.

მონათა აჯანყებამ თავი იჩინა აგრეთვე ქალაქ ჰერაკლეას მახლობლად. 80 მონისაგან შემდგარმა ჯგუფმა მოკლა მხედართა წოდების წარჩინებული წევრი პუბლიუს კლონიუსი და მთაზე გამართულ ბანაკში გამაგრდა. მათ გარშემო ფართოდ იწყეს მოგროვება სხვა მონებმაც და მათმა რიცხვმა მალე 2 ათასს მიაღწია. მონებმა ნერვას მიერ მათ წინააღმდეგ წარმოგზავნილი რაზმი უკუაქციეს და იარაღი ჩამოართვეს. მოკლე დროში აჯანყებულ მონათა გარშემო საკმაოდ ძლიერი არმია წარმოიქმნა, რომელიც 20 ათასი ქვეითი მეომრისა და 2 ათასი ცხენოსნისაგან შედგებოდა. აჯანყებულმა მონებმა მეფედ სი-

რიელი მონა, ცხოველთა შიგნეულზე გამოცდილი მარჩიელი, სალვიუსი აირჩიეს და მასთან აჯანყების წინამძღოლთაგან შემდგარი საბჭო დააარსეს. მეფედ არჩეულმა სალვიუსმა სირიელი უზურპატორის ტრიფონის სახელწოდება მიიღო და თავის რეზიდენციად ტრიოკალას მთაზე გამართული ბანაკი აირჩია.

პირველი გალაშქრება სალვიუსმა ქ. მორგანტინეზე მოაწყო და მას ალყა შემოარტყა. მას მოუწოდა გარემოცულ ქალაქში მყოფ მონებს მის მხარეზე გადმოსულიყვნენ და საბოგერეოდ განთავისუფლება აღუთქვა. მაგრამ თავის მხრივ ადგილობრივი მოხათმფლობელებიც სრულ თავისუფლებას შეპირდნენ მათ, თუ ისინი ქალაქს დაიცავდნენ. მორგანტინელმა მონებმა ისევ თავიანთი ბატონების ხელით მიღებული თავისუფლება ამჯობინეს და თავგამოდებით იცავდნენ ქალაქს. მაგრამ ეწარეულ მოტყუვდნენ: მონათმფლობელთა შეპირება პრეტორმა იძულებით აუტად ჩათვალა და გააუქმა. მოტყუებული მონების უმრავლესობამ ისევ ტრიფონთან გაქცევა მოახერხა.

ამასობაში სიცილიის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ლილიბეუმის მახლობლად გაჩნდა აჯანყების მეორე მნიშვნელოვანი კერა. ამ კერას მეთაურობდა კილიკიელი მონა ათენიონი, რომელიც ასტროლოგად და მკითხავად ითვლებოდა. იგი გამოირჩეოდა ადმინისტრაციული ნიჭით და ქმნდა სამხედრო გამოცდილება. იგი თავის ჯარში მეომრად ყველა მონას კი არ იღებდა, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც სამხედრო თვალსაზრისით იყვნენ გამოსადეგი, დანარჩენთაგან კი ადგილებზე დარჩენასა და სრული წესრიგისა და ქონების დაცვას მოითხოვდა. მაშასადამე, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ყოფილ მონათმფლობელურ მეურნეობებში დარჩენილ მონებს ჯარის სურსათითა და საჭურველით მომარაგებაზე უნდა ეზრუნათ. ათენიონმაც თავი შეუფედ გააოაცხადა და, თუ დიოდორეს დავუჯერებთ, ვარსკვლავებზე მკითხაობით წინასწარმეტყველებდა, რომ სიცილიაში ახალი სამეფო დაბყარდება და მისი მეფე მე ვიქნებიო.

როცა მის გარშემო მონათა ათიათასიანი ჯარი შეკრებილა, მას ალყა შემოერტყია ქალაქ ლილიბეუმისათვის, მაგრამ აღება ვერ მოუხერხებია. მაგრამ მონათა მოძრაობა სულ ფართოვდებოდა და მთელი სიცილია აჯანყებათა ცეცხლში ეხვეოდა. ამ შემთხვევაშიც მონათმფლობელებს იმედი ჰქონდათ, რომ მონათა ორი შეიარაღებული ძალა ერთიმეორეს დაერეოდა და მათ მოძრაობის ჩახშობას გაუადვილებდა. მაგრამ იმედი არც ახლა გაუმართლდათ. ათენიონი თავისი ჯარით ტრიფონს შეუერთდა, აღიარა მისი ხელისუფლება, დაემორჩილა მას და არმიის სარდლად დაინიშნა. სატახტო ქალაქად მათ ტრიოკალას მტკიცედ გამაგრებული ბანაკი აირჩიეს. აქ ტრიფონის ბრძანებით აუგიათ სამეფო სასახლე და სახალხო კრების მოედანი. სახალხო

კრება ისეთ საკითხებს წყვეტდა, რომლებიც საბჭოს მიერ წინასწარ იყო განხილული. თვითონ მეფედ აღიარებული ტრიფონი კი ხალხის წინაშე დიადემით, კვერთხითა და მეწამული ტოგით მორთული ეჯდა-დიოდა და წინ ლიქტორები მოუძღოდნენ.

სიცილიაში შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ აიძულა რომი მრავალათასიანი ჯარი გაეგზავნა პრეტორ ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსის მეთაურობით. ამ დროს ტრიფონსა და ათენიონს შორის დროებითმა გაუგებრობამ იჩინა თავი. ტრიფონმა ეჭვი აიღო ათენიონზე, თითქოს იგი შეთქმულებას უწყობდა და დააპატიმრა, მაგრამ როცა მათ უკვე რომის დიდი ჯარი უახლოვდებოდა, იგი გაათავისუფლა. ტრიფონი საჭიროდ თვლიდა რომაელი ჯარისაგან თავი ტრიოკალაში დაეცვათ, ათენიონი კი იმ აზრისა იყო, რომ ბრძოლა ღია ადგილას ჩაეტარებინათ. ბრძოლა თავდაპირველად მოპირდაპირეთათვის ცვალებადი იყო, მაგრამ ბოლოს მონებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს და ბრძოლის ველზე 20 ათასამდე მოკლულ-დაჭრილი დატოვეს. თვითონ ათენიონი დაიჭრა ფეხში, თავი მტერს მკვდრად მოაჩვენა და ამით სიკვდილს გადაურჩა. ტრიფონმა კი დარჩენილი ჯარით თავი ტრიოკალას შეაფარა.

მაგრამ ლუკულუსი მოადგა ტრიოკალას და ალყა შემოარტყა. მონების ნაწილი იმდენად შედრკა, რომ მზად იყო თავიანთ ბატონებს დაბრუნებოდნენ და შეწყნარება ეთხოვათ, მაგრამ საბოლოოდ მტერთან სიკვდილამდე ბრძოლის განწყობილებამ გაიმარჯვა. ამავე დროს სიკვდილს გადარჩენილმა ათენიონმა მოახერხა მათთან დაბრუნება და ამან კიდევ უფრო განამტკიცა მიღებული გადაწყვეტილება. გამხნევებულმა მონებმა ლუკულუსის ჯარი დაამარცხეს. ამ ამბავმა დიდად გააოცა რომის მმართველი წრეები. მათთვის გაუგებარი იყო, რომაელთა დამარცხება. დიოდორე სიცილიელი კი ასე განგვიმარტავს ამას: „ყოველივე იმისაგან, რისი გაკეთებაც აუკილებელი იყო, პრეტორს არაფერი შეუსრულებია ან თავისი უმოქმედობით ან ქრთამითო“. ასე იყო თუ ისე, სენატმა ლუკულუსი რომში გაიწვია; აქ იგი გააასამართლეს და რომიდან გააძევეს. აჯანყებულ მონებთან წარმატებას ვერც ლუკულუსის შემცვლელმა პრეტორმა მიაღწია და ისიც რომში გაიწვიეს, გაასამართლეს და გაძევება მიუსაჯეს.

როცა ტრიფონი გარდაიცვალა, მონებმა მის შემცვლელად სიკვდილს გადარჩენილი ათენიონი აირჩიეს. მონათა ჯარი ამ დროს იმდენად მოღონიერდა, რომ ათენიონმა ქალაქ მესანას აღებაც კი განიზრახა. მის დასაცავად რომიდან მოაელინეს მარიუსის კოლეგა — კონსული გაიუს აქვილიუსი, გამოცდილი მხედარმთავარი. ბრძოლის დროს მასსა და ათენიონს ზორის შერკინებაც კი მომხდარა, რომლის დროსაც ათენიონი მოკლეს, ხოლო კონსული მძიმედ დაიჭრა თავში.

გაიმარჯვეს რომაელებმა და დამარცხებული მონების რაზმები აქვილიუსმა აიძულა, იარაღი დაეყარათ და მტერს დანებებოდნენ.

თავგანწირულ წინააღმდეგობას განაგრძობდა მონების ერთი ჯგუფი, რომელსაც მამაცი მონა სატირუსი მეთაურობდა. აქვილიუსმა მათი სიცოცხლის შენარჩუნება და დაუსჯელობა აღუთქვა, მაგრამ როცა დანებდნენ, ბორკილები დაადო და გადაგზავნა რომში, სადაც ისინი გლადიატორების როლში უნდა გამოსულიყვნენ. არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვით, ამ მონებმა არ მოისურვეს რომში ასეთი სამარცხვინო როლის შესრულება, ერთმანეთს დაერიენენ და სიცოცხლე მოისპეს. ამ დროიდან მონებს სიცილიაში სიკვდილით დასჯის შიშით აეკრძალათ რაიმე იარაღის ტარება.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა 100 წელს სიცილიის მონათა მეორე აჯანყებაც. სიცილიის მონათა მეორე აჯანყებამაც პოვა გამოძახილი რომის სახელმწიფოს ზოგიერთ ადგილას, სახელდობრ, კუნძულ დელოსზე, ატიკაში.

2. დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა; სატურნინი და გლავცია

თუ სიცილიის მონათა პირველ აჯანყებას თან სდევდა გრაკხუსებისა და მათი მიმდევრების გამოსვლები, მეორე ამბოხებასაც რომაელი პლებსის მოძრაობის აღმავლობა დაემთხვა. ამ შემთხვევაშიც ბრძოლა არსებითად იმ საკითხების გარშემო მიმდინარეობდა, რომლებსაც აქტუალური ხასიათი ჰქონდა გრაკხუსების მოღვაწეობაში. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამ ბრძოლაში მიწის ნაკვეთების მიღებით დაინტერესებული მარიუსის ვეტერანები განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებდნენ. ამჟამად პლებსის მოძრაობას მეთაურობდნენ გაიუს სერვილიუს გლავცია და ლუციუს აპულეუს სატურნინი. გლავცია პლებეების წრიდან იყო გამოსული, ბუნებრივი ორატორული ნიჭით და ენერგიით გამოირჩეოდა და ხალხში პოპულარული იყო. სატურნინი წარმოშობით ნობილიტეტს ეკუთვნოდა, მაგრამ არ ერიდებოდა საჯაროდ გაეკიცხა მმართველი წრეების გამყიდველობა და ანგარება.

ცნობები იმ დროის რომის შინაგანი ისტორიის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანია და ზოგიერთი მომენტი სპეციალისტებს შორის დღემდე საკამათოა, ამიტომ ზუსტი სურათის აღდგენა ძნელია, მაგრამ ზოგიერთი ალბათობითი მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება.

საგულისხმებელია, რომ 104 წელს გლავცია სახალხო ტრიბუნად აირჩიეს. ალბათ, ამ დროს გაატარა მან კანონი, რომლითაც სასამართლოები კვლავ მხედრებს დაუბრუნდათ, მეორე მისი კანონი გამოძალვათა საწინააღმდეგო ღონისძიებებს შეიცავდა. ცნობილია, რომ ტა-

რეტის რაიონში 1909 წელს აღმოაჩიეს ფარული ფოგეტეტი, რომელიც გამოძალვათა კანონის დასკვნითი ნაწილია. მასში დადგენილია არარომაელი ბრალმდებლებისათვის ჯილდო, განსაზღვრულია კანონისა და სასამართლო მასალის გამოქვეყნების წესი და გათვალისწინებულია მაგისტრატების მიერ კანონისადმი ერთგულების ფიცის მიღება. ამ ფრაგმენტის გამომცემლის ბარტოჩინის ვარაუდით, ფრაგმენტი გლავციას კანონს უნდა მიეკუთვნოს. ეს ვარაუდი გაიზიარა მკვლევარმა პიგანიოლმაც.

პოპულარების მეთაურები 101 წლის არჩევნებში შეთანხმებულად გამოვიდნენ და 100 წლისათვის მარიუსი მეექვსედ კონსულად, გლავცია პრეტორად და სატურნინი მეორედ სახალხო ტრიბუნად აირჩიეს. არჩევნები ფრიად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა და სატურნინის კონკურენტი ავლუს ნუნიუსი მოკლეს.

არსებობს მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ პირველი ტრიბუნობის დროს სატურნინმა გაატარა კანონი „რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცხყოფის შესახებ". ეს კანონი ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს ითვალისწინებდა, რომლებიც ვნებდა ხალხის ინტერესებს და— ისეთ მტრულ აქტებს, რომლებიც სახალხო კრებას თუ ხალხის წარმომადგენლებს შეურაცხყოფდა.

როცა სატურნინი მეორედ აირჩიეს სახალხო ტრიბუნად, მან ქალაქის პლებსის ინტერესების მიხედვით, სახალხო კრებას წარუდგინა პურის კანონი. ამ კანონით სახელმწიფო საწყობებიდან გასასყიდი პურის ფასი იმდენად მცირე იყო, რომ თითქმის მის უფასო დარიგებას უდრიდა, ამ კანონმა სენატის მხრივ დიდი წინააღმდეგობა გაწვია, ეს ღონისძიება მეტისმეტად დატვირთავს სახელმწიფოსო. სახალხო კრებაზე განხილვის დროს ამ კანონს მეორე ტრიბუნმა ცეპიონმა ვეტო დაადო. შემდეგ კი მან და ოპტიმატებმა ისეთი ვითარება შექმნეს, რომ კრება დაიშალა და კანონი ვერ გავიდა. მაგრამ ცეპიონი მაინც პასუხისგებაში მისცეს რომაელი ხალხის სიდიადის შეურაცხყოფისათვის.

კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობა გამოიწვია სატურნინის აგრარულმა კანონმა. ამ კანონით მარიუსის ვეტერანებს აფრიკაში უნდა მიეღოთ მიწის ნაკვეთები, თითოეულს 100 იუგერის რაოდენობით; უნდა დაენაწილებინათ აგრეთვე გალიაში ის მიწები, რომლებიც რომაელებმა კიმვრებს ჩამოართვეს; მარიუსის ვეტერანების მიერ მიღებული ნაკვეთები კერძო მფლობელობად ითვლებოდა და ისინი გამოსალებთა გადახდისაგან თავისუფლდებოდნენ. ცნობილია, რომ მარიუსის არმიაში მრავლად მსახურობდნენ იტალიკები, ამიტომ სავულისხმებელია, რომ ამ კანონით ნაკვეთები ეძლეოდათ არა მარტო რომაელ მოქალაქეებს, არამედ მათაც. ეს კი მათთვის სამოქალაქო

ხელებების მინიჭებას მოასწავებდა. ამას გარდა, გათვალისწინებული იყო აგრეთვე პროვინციებში ახალშენების დაარსება. ყველა ასეთი ღონისძიების გატარება მარიუსს ევალებოდა.

ამ კანონის თავისებურება ისიც იყო, რომ სენატორებს, მისი მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, ფიცი უნდა დაედოთ, რომ მას დაიცავდნენ, ხოლო ვინც ამას არ შეასრულებდა, სენატიდან გაძევება მოელოდა.

ამ კანონპროექტის გარშემო ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. მისი გატარების დიდი მოწინააღმდეგენი იყვნენ არა მარტო ოპტიმატები, არამედ მხედრები და თითქმის ქალაქის პლებსიც. ოპტიმატები ყოველნაირად შეეცადნენ, რომ სახალხო კრება ძალით გაერეკათ და საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი გაეხადათ. მაგრამ კრება მაინც ბოლომდე შედგა, უმთავრესად მარიუსის ვეტერანების მონაწილეობით, რომელთაც ამ დღისათვის მრავლად მოიყარეს თავი რომში და სატურნინის წინადადებები მიღებულ იქნა. მათი განხორციელების გარანტიას კი, როგორც ვთქვით, სენატორების მხრივ ახალი კანონებისადმი ერთგულების ფიცი წარმოადგენდა. მეტელუს ნუმიდიელის გამოკლებით, ყველა სენატორმა მიიღო დაწესებული ფიცი. ამიტომ იგი იძულებული გახდა რომი დაეტოვებინა.

მაგრამ სატურნინის ამ კანონების გარშემო ბრძოლა არ შეწყვეტილა, პირიქით, მწვავედ გრძელდებოდა, დაიწყო არჩევნები 99 წლისათვის. სატურნინმა თავისი კანდიდატურა მესამედ წამოაყენა სახალხო ტრიბუნობაზე. მეორე კანდიდატად დაასახელეს ვინმე ეკვიციუსი, ლიბერტინი თუ გამოქცეული მონა, რომელიც თავს ტიბერიუს გრაკხუსის შვილად ასაღებდა. ისიცა და სატურნინიც სახალხო ტრიბუნებად აირჩიეს. უფრო რთულად მიმდინარეობდა კონსულების არჩევნები. გლავციამ კონსულობაზე თავის კანდიდატურა წამოაყენა, ხოლო მის კონკურენტად ის გაიუს მემიუსი გამოვიდა, რომელიც წინათ პოპულარებს ეკუთვნოდა, სახალხო ტრიბუნი იყო და მაშინ მისი წინადადებით რომში გამოიწვიეს იუგურთა თავისი მოქმედების ახსნა-განმარტებისათვის; ახლა კი იგი ოპტიმატების კანდიდატი იყო. მას საარჩევნო კამპანიის დროს თავს დაესხა კეტებით შეიარაღებული ხალხი და მოკლა.

მაშინ სენატმა გამოაცხადა — სახელმწიფო განსაცდელშიაო და წესრიგის აღდგენა კონსულ მარიუსს მიანდო. მარიუსი ჯერ ყოყმანობდა, ეძნელებოდა თავისი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. სენატორებმა ქალაქში მყოფ შეიარაღებულ ძალებს მოუხმეს და თვითონაც შეიარაღებულები გამოცხადდნენ ფორუმზე, გულზე ხელებდაკრეფილები არც სატურნინი-

სა და გლავციას მომხრეები იყვნენ: თავიანთი ძალების გასადიდებლად გაათავისუფლეს პატიმრები და მონებს თავისუფლება აღუთქვეს, თუ მათ მხარეზე იბრძოლებდნენ. ასეთ პირობებში 100 წლის 10 დეკემბერს ფორუმზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. სატურნინელები იძულებული გახდნენ კაპიტოლიუმისათვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ მოპირდაპირეთ დანებდნენ მას შემდეგ, რაც წყლის მიწოდება შეუწყვიტეს. მარიუსს, თითქოს, უნდოდა გადაერჩინა სატურნინი და გლავცია და ისინი მცველებით გარემოცული გაგზავნა კურიაში (სენატის შენობაში), მაგრამ გაბოროტებულმა არისტოკრატიულმა ახალგაზრდობამ სახურავიდან აგლეჯილი კრამიტებით ამოხოცა ისინი.

პლებსის მხარდაჭერით ამაღლებულმა სამხედრო ბელადმა მარიუსმა, რომელმაც თავისი მოკავშირეები არ დაინდო და შეიარაღებული ძალით ჩააბშო დემოკრატიული მოძრაობა, პოპულარების წრეში დიდად გაიტეხა სახელი, ხოლო ოპტიმატები მას მაინც „ახალ ადამიანად" თელიდნენ. ასეთი შერყეული მდგომარეობის გამო მარიუსმა დროებით დატოვა რომი და მცირე აზიაში გაემგზავრა, ვითომც აღთქმის შესასრულებლად და ღმერთების დედის თაყვანსაცემად, გავრცელებული ხმების მიხედვით კი — იმისათვის, რომ მისი სამარცხვინო გამცემლობა დავიწყებას მისცემოდა.

სატურნინის მკვლელად ვინმე გაიუს რაბირიუსს ასახელებდნენ. უფრო გვიან ამ მკვლელობისათვის ის პასუხისგებაში მიუცია 63 წლის სახალხო ტრიბუნს ტიტე ლაბიენუსს, მისი დაცვა კი უკისრია გამოჩენილ ორატორს ციცერონს.

რას გვეუბნება აღწერილი ამბავი? იმას, რომ იმ დროს რომში უკვე ნათლად ვლინდებოდა დემოკრატიული მოძრაობის კრიზისი და ღრმავდებოდა ინტერესთა წინააღმდეგობა არა მარტო ოპტიმატებსა და მხედრებს შორის, არამედ ქალაქსა და სოფლის ღარიბ-ღატაკთა შორისაც. ქალაქის პლებსი გარდა იმისა, რომ თავისი კლიენტური ურთიერთობით იყო დაკავშირებული ოპტიმატებთან, დაინტერესებული არ იყო მიწების დარიგებით და ამიტომაც, მისი ნაწილი პოპულარების მეთაურთა ზოგიერთ ლონისძიებას უწევდა წინააღმდეგობას ან სრულ გულგრილობას იჩენდა. შეიცვალა ბრძოლის მეთოდებიც: ორივე მებრძოლი მხარე მოურიდებლობას იჩენდა სახალხო კრების ძალით დაშლასა, მოწინააღმდეგეთა მოკვლასა და სხვა სახის ძალმომრეობაში, უკვე ჩანდა, რომ პოლიტიკური ბრძოლა სამოქალაქო ომის სტადიაში გადადიოდა. გაძევებაში იძულებით წასული მეტელუს ნუმიდილი 99 წელს რომს დაუბრუნდა. გამარჯვებულმა რეაქციამ გააუქმა სატურნინის კანონები და გადარჩენილი მომხრეების წინააღმდეგ ფართო გასამართლების მოწყობა დაიწყო.

ნობილიტეტისა და მხედრების გაერთიანებული ბრძოლა სატურ-ნინ-გლაუციას მოძრაობის წინააღმდეგ ხანმოკლე აღმოჩნდა და მათ შორის კვლავ თავი იჩინა ღრმა განხეთქილებამ. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა მხედართა სასამართლოების ცალმხრივი მფარველობა იმ პუბლიკანებისა და მევახშეების მიმართ, რომლებიც ყოველგვარ ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ პროვინციებში და პირიქით, სასტიკი, მიკერძოებული და ხშირად სრულიად უდანაშაულო დასჯა პროვინციების იმ მმართველთა ნაწილისა, რომლებიც მხედრებისათვის რაიმე მოსაზრებით მიუღებელი იყვნენ. ერთი სიტყვით, მხედრების წრის წარმომადგენლები ისევე დაუფარავად სარგებლობდნენ სასამართლოში თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობით, როგორც წინათ სენატორები. ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასასმელია პუბლიუს რუტილიუს რუფუსის პროცესი. იგი იყო გამოჩენილი სამხედრო პირი, იურისტი და ისტორიკოსი და ლეგატად მსახურობდა აზიის პროვინციაში კვინტუს ლუციუს სცევოლასთან, როგორც სცევოლა თვითონ, ისე მისი ლეგატი რუფუსი დაუნდობლად ებრძოდნენ პუბლიკანებსა და მევახშეებს, რომლებიც ძარცვავდნენ და ავიწროებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ისინი არ ერიდებოდნენ მძიმე დამნაშავე პირთა სიკვდილით დასჯასაც კი. ამიტომ გასაგებია, რომ პუბლიკანებისა და მევახშეების წრეში მათ დიდი სიძულვილი დაიმსახურეს. რუფუსი პასუხისგებაში მისცეს და მხედართა სასამართლომ სრულიად უდანაშაულოდ მას გაძევება და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა, ვითომც მის მიერ პროვინციელებისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ამაყმა რუფუსმა, რა თქმა უნდა, იწყინა ასეთი „გასამართლება“ და გადაიხვეწა სწორედ იმ პროვინციაში, რომლის გაძარცვას მას ასე უდიერად აბრალებდნენ, ჩაეწერა ადგილობრივი მოქალაქეების სიაში და რომში დაბრუნება აღარ მოისურვა. რუტილიუს რუფუსის ასეთმა უკეთესმართმა გასამართლებამ რომში დიდი საერთო უკმაყოფილება გამოიწვია მხედრების სასამართლოს წინააღმდეგ და კვლავ მორიგ საკითხად იქცა სასამართლოს რეფორმა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 91 წლის სახალხო ტრიბუნმა მარკუს ლივიუს დრუზუს უმცროსმა. წარმოშობით იგი რომის საზოგადოების მაღალ წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი მსოფლმხედველობით ოპტიმისტების იმ ფრთას ემხრობოდა, რომელიც ყველაფერზე მაღლა სახელმწიფო ინტერესებს აყენებდა და მიზნად სახელმწიფოს განახლებას ისახავდა. ხასიათით და მოქმედებით კი იგი უფრო გრაკხუსებს ემსგავსებოდა და, ალბათ, ამიტომ თუ უწოდებს მას ერთ-ერთი ანონიმური წყარო „გრაკხუსების მკრთალ ანარეკლს“.

დრუზუსმა ჯერ სამოსამართლო რეფორმების პროექტი შეადგინა, რომლის მიხედვით სასამართლო კომიციები მხედრებიდან კვლავ სენატორების ხელში გადადიოდა. ამ რეფორმის გატარებისას, აპიანეს სიტყვით, მან განიზრახა მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი სენატორები და მხედრები შეერიგებინა ორივე მხარისათვის მისაღები კომპრომისით და ამ მიზნით წამოაყენა პროექტი, რომლის თანახმად 300 სენატორს ემატებოდა ამდენივე ახალი სენატორი მხედართა წარჩინებული წრიდან და, მაშასადამე, სენატორების რიცხვი 600-მდე დიდდებოდა. ამასთან ერთად, დრუზუსმა თავის კანონპროექტს მიუმატა კიდევ ის, რომ უნდა დაარსებულიყო განსაკუთრებული სისხლის სამართლის კომისია იმ მოსამართლეთა განსასჯელად, რომლებიც თვითონ იქნებოდნენ მექრთამეობაში მხილებული.

დრუზუსის მოღვაწეობას საფუძვლად ის მოსაზრება ედო, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების კომპრომისულ შეთანხმებას გულისხმობდა და სახალხო კრებაზე კანონის გატარებისათვის აუცილებელ უმრავლესობას უზრუნველყოფდა. ამ თვალსაზრისით მას არც სოფლისა და ქალაქის პლებსის ინტერესების დავიწყება შეეძლო. ამიტომ მან წამოაყენა იტალიაში სახელმწიფო მიწების ლარიბთა შორის ისეთი დანაწილების პროექტი, რომ მისივე სიტყვით, „დაუნაწილებელი მხოლოდ ტალახი და ჰაერი დარჩენილიყო". მეორე მხრივ, მან შეადგინა პურის კანონი, რომელიც ქალაქის პლებსისათვის პურის ფასის ახალ შემცირებას გულისხმობდა. დრუზუსს გაუთვალისწინებია ის ხარჯები, რომლებიც ახალი კოლონიების დაფუძნებასა და იაფი პურის დარიგებასთან იყო დაკავშირებული და დაუსახავს ასეთი ფინანსური ღონისძიება: ყოველ რვა სრულფასოვან ვერცხლის დენარიუსზე ერთი მოვერცხლილი სპილენძის დენარიუსის გამოშვება. დრუზუსს ასეთმა ღონისძიებამ, რაც გრაკხუსების პროგრამის თავისებური ანარეკლი იყო, დიდად გაუთქვა სახელი რომაელ ხალხში.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი წინადადება იტალიკებისათვის სამოქალაქო უფლების მინიჭებისა და ამ გზით რომაელ მოქალაქეთა რიცხვის შევსების შესახებ. ის ჯერ შეპირებია ლათინებს, 95 წლის კონსულების მიერ მათ წინააღმდეგ გატარებულ კანონს გავაუქმებო (რომელიც თითქოს მხოლოდ იმ ლათინებს შეეხებოდა, ვინც უკანონოდ მიითვისა რომის მოქალაქის უფლებები, მაგრამ არსებითად ის იმ მიგრაციის კანონის გაუქმებას წარმოადგენდა, რომლის თანახმად რომში გადასახლებულ ლათინებს, ცენზის გავლის შემდეგ, რომის მოქალაქის უფლებები ენიჭებოდათ), შემდეგ კი დრუზუსმა ამ მხრივ ფართო პროექტი შეიმუშავა მოკავშირეთათვის მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭების შესახებ.

ცნობილია, რომ მოკავშირეები რომაელებთან ერთად მონაწილეობდნენ, ლაშქრობებში, აღნიშნავენ რომის დიდებასა და ძლევამოსილებას, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ისინი რომში მოქალაქეობრივი უფლებებით არ სარგებლობდნენ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობას არ იღებდნენ, მათ არც მიწების დანაწილება ეხებოდათ, რომელიც რომში ტარდებოდა გრაკხუსების დროიდან. ამას გარდა, რომაელი მსხვილი მიწათმფლობელები ისეთი ტერიტორიების ოკუპაციას ახდენდნენ, რომლებითაც ოდითგან იტალიის ხალხები და ტომები სარგებლობდნენ. მაგ., შუა იტალიის მთიან მხარეებში მცხოვრები ტომები ჩვეულებრივად გადარეკავდნენ ხოლმე თავიანთ საქონელს აპულიაში, მაგრამ, აქ, მესაქონლეობის მსხვილი მეურნეობები გაიჩინეს რომაელმა მაგნატებმა და მათ ასეთი საშუალება უაღრესად შეუზღუდეს. მოკლედ, მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებას მოკავშირეებისათვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

რა ბედი ეწია დრუზუსის კანონპროექტებს?

ერთ კანონპროექტში გაერთიანებული მისი წინადადებები ხალხმრავალ სახალხო კრებას განუხილავს. წინაალმდეგ მკაცრად გაულაშქრია 91 წლის კონსულს ლუციუს მარციუს ფილიპუსს, რომელიც დრუზუსის მთავარი მოწინააღმდეგე ყოფილა. დრუზუსის ბრძანებით იგი დაუპატიმრებიათ და საპყრობილეში ჩაუსვამთ. ამის შემდეგ, გაერთიანებული კანონპროექტი სახალხო კრებას მიუღია და სენატსაც ფილიპუსის მუქარა არაფრად ჩაუგდია და პროექტი მოუწონებია.

მაგრამ მოკავშირეებისადმი უფლებების მინიჭების შესახებ კანონპროექტი განსაკუთრებულ ოპოზიციას იწვევდა როგორც სენატორების, ისე მხედრების წრეში. მისადმი ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი ეტრურიისა და უმბრიის მსხვილი მიწათმფლობელებიც. სამაგიეროდ, იტალიის გლეხობა მთლიანად მის მხარეზე იყო. მაგრამ თანდათან ფართოდ გავრცელდა ხმები, რომ დრუზუსი მოკავშირეებთან საიდუმლო კავშირში იმყოფებაო და მოწინააღმდეგეებმა მის სახელმწიფოებრივ ღალატზე იწყეს ლაპარაკი. ამით ისარგებლა ფილიპუსმა და ფორმალური საბაბით სენატს გააუქმებინა სახალხო კრების მიერ მიღებული დრუზუსის კანონები. დრუზუსი უპროტესტოდ დაემორჩილა სენატის დადგენილებას. მიაქცია რა ყურადღება წარმოქმნილ დაძაბულ მდგომარეობას, — ამბობს აპიანე, — იგი სახლიდან იშვიათად გამოდიოდა და სულ მეცადინეობდა სუსტად განათებულ პორტიკში. ერთხელ საღამოს, როცა იგი ეთხოვებოდა მასთან მოსულ ხალხს, თავისი სახლის შესასვლელთან, უეცრივ დაუყვირია, მე დაჭრილი ვარო და დაცემულა მამამისის ქანდაკების კვარცხლბეკთან. მიგზავნილმა მკვლელმა იგი ხარაზის დანით სასიკვდილოდ განგ-

მირა, ბინდში მიიმალა და უკვალოდ გაქრა. მკვლელობის გარშემო სასამართლო გამოძიება არ უწარმოებიათ, მაგრამ, ცხადია, იგი მოწინააღმდეგეთა ტერორისტული შურისძიების მსხვერპლი გახდა. ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე დრუზუსმა, რომელიც ტრიბუნის თანამდებობის შესრულების დროს მოკლეს.

როცა ამ ამბავმა იტალიკების ყურამდე მიაღწია, აპიანეს სიტყვით, ისინი დიდმა მღელვარებამ მოიცვა და რაკი დარწმუნდნენ, რომ მოქალაქეობრივი უფლებების მოსაპოვებლად სხვა გზა აღარ არსებობდა, რომისაგან აშკარა განდგომა გადაწყვიტეს. საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად ისინი შეთანხმდნენ, თავიანთ წრეში ერთგულების განმტკიცების მიზნით, ურთიერთშორის მძევლები გაეცვალათ.

შეთქმულთა მოძრაობა თანდათან გაფართოვდა. მალე იგი შეედო საბინელ ტომებს — მარსებს, პიცენებს, პელიგნებს, ვესტინებს. მათ შეთანხმდნენ მამაცობით განთქმული მარსები, ამიტომ ზოგჯერ მოკავშირეთა ომს მარსების ომს უწოდებენ. მოძრაობამ მოიცვა მთელი სამნიუმი, თითქმის მთელი კამპანია, აპულია, ლუკანია და კალაბრია.

ასე შემზადდა და დაიწყო ფრიად მწვავე ომი რომაელებისა თავისი იტალიელი მოკავშირეების წინააღმდეგ (90—88 წწ.). ამ ომს რომაულმა ანალისტიკამ საერთოდ მოკავშირეთა ომი უწოდა. ვიდრე მის მსვლელობას შევეხებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რომელი ტომი ან ქალაქი დარჩა, აჯანყებამ რომ არ იფეთქა, და რომისადმი მტრულად რომ არ იყო განწყობილი. ამ მხრივ, უპირველესად, ამბრები და ეტრუსკები უნდა დავასახელოთ, რაც უმთავრესად, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ამ ტომთა ცხოვრებაში მთავარ პოლიტიკურ როლს პრორომაული განწყობილების მსხვილი მიწათმფლობელები ასრულებდნენ. არ მიმხრობია აჯანყებას ლათინთა ახალშენების უმრავლესობაც. რომის მხარეზე იყვნენ ზოგიერთი მოკავშირე ქალაქებიც, მაგალითად, ნოლა და ნუცერია კამპანიაში. რასაკვირველია, რომაელებს მხარს უჭერდნენ იტალიის დაპყრობის დროს სხვადასხვა ადგილას დაარსებული მათი ახალშენები, მაგრამ ეს მანამდე გრძელდებოდა ვიდრე რომაელების ამ თავისებურ ციხესიმაგრეთ რომაელი მეთაურები ხელმძღვანელობდნენ. ხოლო როცა აჯანყებულთ ხელთ უგდიათ ეს ახალშენები კამპანიაში — ნოლა, სტაბიე, მინტურნი და სალერნუმი, ახალმოსახლე ჯარისკაცები და მონები მათ მხარეზე გადასულან, ხოლო მეთაურები, რომლებიც ამის წინააღმდეგ წასულან, მოუკლავთ. ასევე მოქცეულან ისინი აპულიაშიც, სადაც პიცენ გაიუს იუდაციდიუსის რაზმი მოქმედებდა.

აჯანყებულ იტალიკებს საკუთარი საკავშირო სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჩამოუყალიბებიათ, მის სატახტო ქალაქად პელიგნების მხარეში მდებარე ქალაქი კორფინიუმი გაუხდიათ და მისთვის „იტა-

ლია“ უწოდებიათ. ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოში მართვა-გამგეობის ორგანოები იყო ყველა აჯანყებული ტომისა და მხარის დეპუტატებისაგან შემდგარი 500-წევრიანი სენატი, ორი კონსული და 12 პრეტორი.

აჯანყებულ იტალიკებს რომაელების მიბაძვით საკმაოდ ძლიერი არმია შეუქმნიათ, რომელიც ასი ათასი მეომრისაგან შედგებოდა. არმიას ორი მთავარსარდალი — მარსი კვინტუს პოპედიუს სილო და სამნიტო გაიუს პაპიუს მუტილუსი ხელმძღვანელობდა. ჯარისკაცების დაახლოებით ამდენივე რიცხვს შეიცავდა რომაელების არმიაც. ამასთან, არც შეიარაღებაში და არც სამხედრო ხელოვნებაში იტალიკები თავის მოპირდაპირეთ არ ჩამოუვარდებოდნენ, მამაცობით და თავგანწირვით კი მათზე მაღლა იდგნენ.

ომი მწვავედ მიმდინარეობდა. მის მსვლელობას შედარებით ვრცლად გადმოგვცემს აპიანე. შევჩერდეთ მხოლოდ მთავარ მომენტებზე. ომის პირველმა წლებმა რომაელებს დიდი მწუხარება და განსაცდელი მიაყენა. კამპანიასა და სამნიუმში აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებდა რომაელების არმია კონსულ ლუციუს კეისრის მეთაურობით. რომლის ლეგატთა შორის ცნობილი იყო კორნელიუს სულა. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ამ არმიას ერთგვარი წარმატება ჰქონდა, იგი მოკავშირეებმა მაინც დაამარცხეს და აიძულეს უკან დაეხია. ამ დამარცხების შედეგი ის იყო, რომ რომაელებმა თითქმის მთელი კამპანია დაკარგეს და მოძრაობას კამპანიის ბევრი ქალაქი შეუერთდა.

ამავე დროს ომი წარმოებდა ჩრდილოეთით. აქ რომაელების არმიას მეორე კონსული პუბლიუს რუტილიუს ლუპუსი მეთაურობდა. მის ლეგატთა შორის იმყოფებოდნენ მარიუსი და გნეიუს პომპეუს სტრაბონი. მას თავს დაესხნენ მარსები და სასტიკად დაამარცხეს. ბრძოლის ველზე დაიღუპა თვითონ კონსული და 8 ათასამდე რომაელი მეომარი. უშუალო განსაცდელი დაემუქრა თვითონ რომსაც: ომი წარმოებდა მის მისადგომებთან და მცხოვრებლები სასწრაფოდ აწყობდნენ სიმაგრეებს. რომაელების ასეთმა მარცხმა გავლენა მოახდინა იმ ტომებზე, რომლებიც ომში მონაწილეობისაგან თავს იკავებდნენ, და მათი ნაწილი მოკავშირეთა მოძრაობას მიემხრო, ნაწილი კი ჯერ კიდევ უყოყმანობდა.

ასეთი მდგომარეობის გამო რომის ხელისუფლება იძულებული გახდა, ერთგვარი დათმობის გზას დადგომოდა. აჯანყების შემდგომი გაფართოების შეჩერების მიზნით, 90 წლის ბოლოს, კონსულმა ლუციუს კეისარმა გაატარა კანონი, რომლის ძალით რომაელი მოქალაქის უფლებები მხოლოდ იმ თემებს ენიჭებოდათ, რომელნიც რომს არ განდგომიან. მართალია, ამ კანონმა შეაჩერა აჯანყების შემდგომი გა-

ფართოება და ის ტომებიც ჩააფიქრა, რომლებიც ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, მაგრამ რომაელების მდგომარეობა კვლავ რთული იყო. აჯანყებული მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად 89 წელს რომს მძიმე ომის დაწყება მოუხდა აღმოსავლეთით პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორთან, რაზეც საუბარი თავის ადგილას გვექნება. ამგვარად, იტალიაში აჯანყება და აღმოსავლეთით მდიდარი პროვინციების დაკარგვა დაემუქრა ამ დროს რომს. ყოველივე ამას დაემატა თვით რომში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისი. დავალიანებულია რიცხვი დიდად გაიზარდა. კრედიტორები კი შეუბრალებლად მოითხოვდნენ პროცენტებისა და მთელი ვალის გადახდას. მათ გამოექომაგა ქალაქის პრეტორი ავლუს სემპრონიუს აზელიონი. იგი შეეცადა დავალიანებულთა მდგომარეობის შემსუბუქებას ვალების გადახდის ვადის გაგრძელების გზით. ამავე დროს, მან განაახლა მევახშეობის საწინააღმდეგო კანონები, რის გამოც კრედიტორები უკმაყოფილონი დარჩნენ და აზელიონი მოკლეს ფორუმზე, როცა ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა. ასეთმა გართულებულმა მდგომარეობამ კვლავ აიძულა რომის ხელისუფლება მოკავშირეების მიმართ ახალი ლონისძიება გაეტარებინა: 89 წელს სახალხო ტრიბუნების მარკუს პლავციუს სილვანუსისა და გაიუს პაპირიუს კარბონის კანონით რომის მოქალაქის უფლებები მიენიჭათ ყველა მათ, ვინც ორი თვის განმავლობაში იარაღს დაყრიდა. ამას გარდა, პომპეუს სტრაბონის იმავე წლის კანონით დადასტურდა ლათინებისათვის რომის მოქალაქის უფლებების, ხოლო ჩრდილო იტალიის (ციზალპური გალიის) მოსახლეობისათვის ლათინთა მოქალაქეობრიობის მინიჭება, ამ კანონებმა მებრძოლ მოკავშირეებში უდავო განხეთქილება შეიტანა. უმბრები და ეტრუსკები რომის ერთგული დარჩნენ, და ზოგიერთმა სხვა ტომმაც რომაელების მხარეზე იწყო გადასვლა, მაგრამ ომი გრძელდებოდა და ალაგ-ალაგ კვლავ მწვავდებოდა. მეორე მხრივ, რომის ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენდა მორჩილი და შეუპოვარი ჯარების შექმნისაკენ, საამისო ხარჯებს არ ერიდებოდა და არც მათ მიერ ომის პროცესში დაკავებული იტალიის ქალაქების რბევასა და განადგურებას კრძალავდა. ჯარისკაცები მხოლოდ იმ მეთაურებს აფასებდნენ, რომლებიც მათ ასეთ მოქმედებაში ხელს არ უშლიდნენ და, პირიქით, თვითონაც მონაწილეობდნენ.

ასეთ ლონისძიებათა შედეგად ომის ასპარეზზე იტალიკებისათვის კატასტროფული მდგომარეობა წარმოიქმნა და მათ მთელი რიგი მწვავე დამარცხება განიცადეს.

პლუტარქე გვარწმუნებს, რომ მოკავშირეთა ომში მარიუსმა ვერ

მოახერხა რამე მნიშვნელოვანი ჩაედინაო. სამაგიეროდ, დიდი როლი შეასრულა მისმა ყოფილმა ლეგატმა იუგურთასთან ომში კორნელიუს სულამ. რომის ხელისუფლებამ სულას მსგავსი ჯარების წინამძღოლებისა და მოხერხებული ცბიერი პოლიტიკის მეოხებით შეძლო ბრძოლის ველზე მისთვის სასურველი დიდი გარდატეხის მიღწევა. როცა სულა კამპანიაში მოქმედებდა ქ. ნოლას მახლობლად მან გაანადგურა აჯანყებულთა დიდი რაზმი, რომელსაც ნიჭიერი მეთაური ლუციუს კლუენციუსი ხელმძღვანელობდა. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ თვითონ კლუენციუსი და 50 ათასამდე მისი ჯარისკაცი. ამ გამარჯვების შემდეგ სულა სამნიუმში შეიჭრა, დაამარცხა სამნიტების ჯარი და დიდად გამაგრებული ქალაქი ბოვიანუმი დაიკავა.

გნეიუს პომპეუს სტრაბონმა ამავე დროს დაიმორჩილა საბინელების მხარე და პიცენუმი, აიღო მნიშვნელოვანი სიმაგრე ქალაქი ასკულუმი. ასკულუმის დამხობას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყების მთელ მსვლელობაზე შუა იტალიაში. რომაელების სარდალმა მეტელუს პიუსმა „ცეცხლითა და მახვილით" დაიმორჩილა აპულია და ლუკანია.

ასეთ უაღრესად მძიმე პირობებში აჯანყებულთა დარჩენილი ნაწილის მეთაურებმა 88 წელს დახმარებისათვის რომის წინააღმდეგ მებრძოლ პონტოს მეფე მითრიდატეს მიმართეს, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

იმავე წელს ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა აჯანყების ნიჭიერი, ჭკვიანი და ენერგიული ბელადი პომპედიუს სილო. ამასთან, რომაელები სულ უფრო ფართოდ იმორჩილებდნენ აჯანყებით მოცულ მხარეებს. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მოკავშირეთა მოძრაობა განწირულია. შექმნილი პირობების გამო მოკავშირეები იძულებული გახდნენ დაეყარათ იარაღი და თავის ბედს დამორჩილებოდნენ. ხოლო ზოგიერთ ადგილას, მაგ., ქალაქ ნოლაში, კიდევ გრძელდებოდა უიმედო და უპერსპექტივო ბრძოლა.

მართალია, მოკავშირეებმა ამ ომში დიდი მსხვერპლი გაიღეს და მათ მიერ შექმნილი ფედერაცია დღემოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ამ სისხლისმღვრელ ბრძოლებს მთლად ფუჭად არ ჩაუვლია: თითქმის მთელი იტალიის თავისუფალმა მოსახლეობამ მოიპოვა რომის მოქალაქის უფლებები, მაგრამ რომის ხელისუფლებამ ამ საკითხშიც რომაელების ბატონობის შენარჩუნების ტენდენცია გაატარა. ცნობილია, რომ რომში 35 ტრიბა არსებობდა. ახლად მიღებული მოქალაქეები ყველა მათგანში კი არ გაანაწილეს, არამედ მხოლოდ რვაში. ცხადია,

ასეთი ღონისძიება მიზნად ახალი მოქალაქეების პოლიტიკური გაელენის შეზღუდვას გულისხმობდა. ამას გარდა, თუმცა იტალიის ქალაქებს შეუნარჩუნეს ადგილობრივი თვითმმართველობა და თანაც მათ თავისუფალ მოსახლეობას რომის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება მიენიჭა, მაგრამ ფაქტობრივად ამ უფლებით სარგებლობას უფრო ნომინალური ხასიათი ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იტალიის ხალხთა რომანიზაციამ ისეთი ფართო და თანამიმდევრული ხასიათი მიიღო, რომ მხოლოდ ზოგიერთმა მთიანმა რაიონმა შეინარჩუნა თავისთავადობა.

თავი მეცამეტე

გართულებანი აღმოსავლეთში და სოციალური გრძოლის გამწვავება რომის სახელმწიფოში

1. პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი

რომი ჯერ კიდევ აჯანყებულ იტალიელ მოკავშირეებთან ომით იყო გართული, იძულებული რომ გახდა ერთდროულად მცირე აზიაში დაეწყო მძიმე და საკმაოდ ხანგრძლივი ომი პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ, რომელმაც მძლავრად შეარყია რომის ბატონობა აღმოსავლეთის პროვინციებში.

პონტოს ელინისტური სახელმწიფო წარმოიქმნა ძვ. წ. III საუკუნეში, მცირე აზიაში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპირო ზოლში. ჩვენ ვიცით, რომ ზღვას საერთოდ, და კერძოდ, შავ ზღვას ბერძნულად „პონტო“ ეწოდება და აქედანაა წარმომდგარი ამ სამეფოს სახელი.

თავდაპირველად პონტოს სამეფო შეღარებით მცირე სამფლობელოს წარმოადგენდა მაგრამ შემდგომ თანდათანობით გაძლიერდა და დასავლეთით მის ფარგლებში თითქმის მთელი პაფლაგონია შევიდა. ერთ დროს პონტოს მეფე „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ“ ითვლებოდა. ასეთი ტიტული კი რომისაგან ერთგვარ დამოკიდებულებას ნიშნავდა. რაც პონტოს გაძლიერებული სამეფოსათვის თანდათან მიუღებელი ხდებოდა. ამ მოვლენამ განსაკუთრებით იჩინა თავი მითრიდატე VI მეფობაში (120-63 წწ.), რომლის დროსაც პონტო უძლიერესი სახელმწიფო და ანტირომაული განწყობილების ცენტრი გახდა.

ევპატორად[1] წოდებული მეფე მითრიდატე VI წარმოშობით ოვს მამის მხრივ აქემენიდების, ხოლო დედის მხრივ სელევკიდების ჩამომავლად თვლიდა. გადმოცემით მას მძიმე ბავშვობა გაუტარებია, 11 წლის ბიჭი ყოფილა, როცა მამამისი — მითრიდატე ევერგეტი[2] მოუკ-

---

[1] ევპატორი — კეთილშობილი.

[2] ევერგეტი — კეთილმოქმედი.

ლაეთ და მისთვის რეგენტები დაუნიშნავთ. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა კი არსებითად დედამისს, ქვრივ დედოფალს მიუსაკუთრებია. ამ თავნება, ხელისუფლების მოტრფიალე ქალს რამდენჯერმე უცდია, თავიდან მოეშორებინა თავისი ვაჟი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე და მეურვეების დახმარებით რამდენჯერმე ჩაუგდია იგი მძიმე განსაცდელში. ყოველივე ამის გამო, უმაწვილი მითრიდატე სასახლეს განშორებია და 7 წლის განმავლობაში მთებსა და ღრეებში დაეხეტებოდა. მხოლოდ დავაკაცებისას დაბრუნებულა სატახტო ქალაქ სინოპში, ქვრივი დედოფალი საპყრობილეში ჩაუსვამს და ძალაუფლება თვითონ აუღია ხელში.

შემონახული ცნობების მიხედვით, ასეთი ბავშვობის გამო მითრიდატეს სისტემატური განათლება არ მიუღია, მაგრამ იშვიათი ნიჭის წყალობით მას ბევრი რამ შეუთვისებია ელინური კულტურის საგანძურიდან და მეზობელი ხალხების 22 ენა შეუსწავლია. იგი მფარველობას უწევდა თავის დროის პოეტებს, ხელოვანთ, ფილოსოფოსებს და თვითონაც უცდია ბუნებისმეტყველების დარგში საკუთარი შემოქმედება. ამასთან ერთად, იგი გამოირჩეოდა მკვირმეტყველებით, სიმტკიცითა და შორსმჭვრეტელობით. ამავე დროს, რომაული წყაროები, ერთგვარი ტენდენციურობით, მას უხეშ, ავხორც და ულმობელ ადამიანად წარმოგვიდგენს.

ძვ. წ. II საუკუნის მიწურულში მითრიდატე VI თავის სამფლობელოებს შეუერთა აღმოსავლეთით მდებარე მცირე არმენია ქ. ტრაპეზუნტითურთ, შემდეგ დაიმორჩილა კოლხეთის სამეფო, დაბალოს — ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული ბოსფორის სამეფო და თავისუფალი ქალაქი ქერსონესი. ქერსონელებს ამ დროს სკვითების თავდასხმები აწუხებდათ და დამოუკიდებლად აღარ ჰყოფნიდათ ძალა ამ თავდასხმების მოსაგერიებლად. ამასთან, ბოსფორის უკანასკნელი მეფის — პერისად V დროს აქ დაიწყო ადგილობრივ სკვითთა და მონათა აჯანყება. პერისად V იძულებული გახდა დახმარებისათვის მითრიდატე VI მიემართა და, როდესაც პერისადი გარდაიცვალა, მითრიდატემ მისი სამეფოცა და ქ. ქერსონესიც შემოიერთა, ჩაახშო სკვითებისა და მონების აჯანყება. ამავე ხანებში დამორჩილდნენ მას შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ისტრია და კალატია, ხოლო დანარჩენი აქაური ბერძნული ქალაქები მისი მოკავშირეები გახდნენ.

ამრიგად, მითრიდატე VI შექმნა ვრცელი და ძლიერი სამეფო და, ამავე დროს, მცირე აზიის გაერთიანება გადაწყვიტა. ეს გეგმა, ცხადია, მითრიდატეს რომთან შეტაკებას გარდაუვალს ხდიდა. მართლაც, როდესაც პონტოს მეფემ კაპადოკია დაიკავა, რომმა მას დაუყოვნებ-

ლიე ქვეყნის დაცვა მოსთხოვა და აქ თავისი ერთგული არიობარზანე დასვა. მითრიდატე VI, რომელიც ჯერ კიდევ რომთან აშკარა შეტაკებისაგან თავს იკავებდა, ეს მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ, ამავე დროს, კავშირი შეკრა დიდი არმენიის მეფე ტიგრან II. ეს კავშირი, რომელიც ძვ. წ. 95 წელს დაიდო, რომის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლებშიც ერთობლივ მოქმედებასა და აღმოსავლეთში გავლენის სფეროების განაწილებას ისახავდა მიზნად. მოკავშირეებმა კვლავ სცადეს კაპადოკიის დანაწილება. საქმეში ისევ რომი ჩაერია და ამას უკვე რომსა და მითრიდატეს შორის ომი მოჰყვა. ასე დაიწყო პირველი ომი მითრიდატესთან (89—84 წწ.).

მითრიდატემ კარგად ისარგებლა იმ მდგომარეობით, რომელშიც მაშინ რომი იმყოფებოდა აჯანყებულ მოკავშირეებთან საკმაოდ მძიმე ომის ვადო, და 89 წელს გაილაშქრა რომაელების წინააღმდეგ. მან შექმნა ძლიერი და კარგად გაწვრთნილი არმია, რომელიც თითქმის 300 ათასი მეომრისაგან შედგებოდა, მის განკარგულებაში იყო აგრეთვე 400-გემიანი სამხედრო ფლოტი. მან ჯერ ბითვინიის ჯარები გაანადგურა და, როცა ნიკომედე გადარჩენილებთან ერთად პაფლაგონიაში გაიქცა, მითრიდატეს ხელთ ჩაუვარდა მისი სადგომი, სადაც ბევრი ფული და ტყვე იყო. ყველა მათ მიმართ მითრიდატემ კაცთმოყვარეობა გამოიჩინა, გაათავისუფლა, საგზაო ხარჯი მისცა და თავთავის სახლებში გაუშვა. ეს იმისათვის, რომ მტერთან კაცთმოყვარის სახელი მოეხვეჭა.

შემდეგ მითრიდატემ რომაელების ჯარს შეუტია. რომაელებმა სცადეს ფრიგიაში გამაგრება, მაგრამ ასეთ გეგმაზე ხელი აიღეს, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა მათ მხარეზე ბრძოლას გაურბოდა. რომაელების ჯარმა სრული განადგურება განიცადა. დამარცხებულმა რომაელმა სარდალმა მანიუს აქვილიუსმა თავი აზიის პროვინციას შეაფარა. ხოლო როცა მითრიდატე ამ პროვინციაში შეავიდა, იგი აქედანაც გაიქცა, მაგრამ ლესბოსელებმა შეიპყრეს და მითრიდატეს გადასცეს.

როგორც ყოფილ პერგამოსის სამეფოში, ისე მცირე აზიის სხვა ადგილებში რომაელი მევახშეების უსაზღვრო თვითნებობით და ადმინისტრაციის ძალმომრეობით განაწამები მოსახლეობა მითრიდატეს და მის სარდლებს დიდი იმედით და თანაგრძნობით ხვდებოდა.

მითრიდატესაც თავი ამ ხალხების მხსნელად მოჰქონდა და მათ სოციალური გადატრიალების თავისებურ მაცნედ ეელინებოდა. იგი აცხადებდა, რომ განზრახული აქვს მიმხრობილ მხარეებში გაუქმოს ვალები და გადაანაწილოს მიწები. ბერძენთა იონიური ქალაქები დიდი ზეიმით იღებდნენ მას. მაგ., ქ. ეფესოში მასთან სადღესასწაულო ტაძარსაცმელში გამოწყობილი დელეგაცია გამოცხადებულა და მას

„როგორც ახალ დიონისეს და აზიის მამასა და მხსნელს მისალმებია“.

რომაელებისადმი უდიდესი სიძულვილით მოცული მითრიდატე იქამდე მისულა, რომ მცირე აზიის ქალაქებში მცხოვრები ყველა რომაელი და იტალიელი გაუჟლეტია.

მცირე აზიაში წარმატებების მიღწევის შემდეგ მითრიდატემ თავისი ფლოტი წარგზავნა ეგეოსის ზღვისაკენ გამოცდილი სარდლის, ბერძენ არქელაოსის უფროსობით. ფლოტმა ხელთ იგდო ეგეოსის ზღვის სრუტეები და კუნძულები, როდოსის გამოკლებით, და არქელაოსის დიდი არმია თრაკიისა და მაკედონიის გავლით საბერძნეთში შეიჭრა. საბერძნეთის მთავარი ქალაქები ანტირომაულმა მოძრაობამ მოიცვა. კერძოდ, ათენში რადიკალურ-დემოკრატიული გადატრიალება მოხდა. მას ეპიკურეული ფილოსოფიის მასწავლებელი არისტიონი მეთაურობდა. თავის მოქმედებაში იგი ღარიბებს ემყარებოდა და მათ ინტერესებთან დაკავშირებულ პროგრამას ახორციელებდა. მისმა მოქმედებამ მდიდრების უმეტესი ნაწილი აიძულა, ქალაქიდან გაქცეულიყო. ათენში მომხდარმა გადატრიალებამ გავლენა მოახდინა ბერძენთა ზოგიერთ სახელმწიფოზე და მათაც მის მაგალითს მიბაძეს.

მოკლედ, ერთი წლის შემდეგ მითრიდატეს ხელქვეით აღმოჩნდა თითქმის მთელი მცირე აზია, საბერძნეთი და შავი ზღვის ნაპირები, მხოლოდ მცირე აზიის შედარებით მცირე ნაწილი და კუნძული როდოსი უწევდა მას დიდ წინააღმდეგობას, ხოლო ეგეოსის ზღვაზე მისი ფლოტი ბატონობდა, რომლის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი როლი მეკობრეებს ეკუთვნოდათ. მთელი დაქვემდებარებული ტერიტორია მითრიდატეს სატრაპიებად დაუყვია, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოუჩენია მას ბერძნული ქალაქებისადმი, რომლებიც 5 წლით ყოველგვარი გამოსაღებისაგან გაუთავისუფლებია.

ამგვარად, მითრიდატემ რომაელების ბატონობას აზიაში კატასტროფული ვითარება შეუქმნა. აპიანეს სიტყვით, როცა რომაელებმა მითრიდატეს აზიაში შეკრა შეიტყვეს, მის წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტეს, მაგრამ თვითონ გართული იყვნენ განდგომილ იტალიკებთან ბრძოლაში. ამავე დროს, რომის სახელმწიფო ომის წარმოებისათვის საჭირო თანხების მხრივ დიდ გასაჭირს განიცდიდა და ამიტომ გადაუწყვეტიათ. გაეყიდათ „ის, რაც მეფე ნუმა პომპილიუსმა ღმერთების შესაწირად დაადგინა“, ხოლო, როცა რომაელებმა აჯანყებული იტალიკები ძირითადად დაიმორჩილეს, რომის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ენერგიულად შედგომოდა მითრიდატეს წინააღმდეგ ომის შემზადებას. მოკავშირეთა ომში მონაწილეობისაგან განთავისუფლებული ნაწილები თავს კამპანიის ქალაქ ნოლაში იყრიდნენ და

მათგან საბერძნეთსა და აზიაში გასაგზავნ დიდ არმიას ამზადებდნენ. ამ არმიის მნიშვნელოვან ნაწილს სულას რაზმები შეადგენდნენ.

९. სოციალური ბრძოლის გამწვავება რომში

როცა რომაელებმა განდგომილ იტალიკებთან ერთგვარი ურთიერთობა მოაწესრიგეს, მორიგ საკითხად მითრიდატეს წინააღმდეგ ომის დაწყება დაისახეს. ოპტიმატებმა მოახერხეს 88 წლის კონსულებად თავიანთი კანდიდატურების — ლუციუს კორნელიუს სულასა და კვინტუს პომპეუს რუფუსის გაყვანა. რომის სენატმა კი წილის ყრით აზიის პროვინციის გამგებლობა და მითრიდატესთან ომის წარმართვა სულას მიანდო. სულა იმ დროს ნიჭიერ, მაგრამ ულმობელ სარდლად ითელებოდა და მისმა ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მხედრებში და, საერთოდ, პოპულარების წრეში. წარმოიქმნა სულას საწინააღმდეგო ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც 88 წლის სახალხო ტრიბუნი, სულპიციუს რუფუსი მეთაურობდა. მან სახალხო კრების განსახილველად ღირსშესანიშნავი პროექტები წარადგინა: 1. ახალი მოქალაქეები იტალიკებიდან ყველა 35 ტრიბაში ნაწილდებიან და ამით მათი სრული უფლებრივი გათანასწორება ხდება ძველ მოქალაქეებთან; 2. სენატიდან გაირიცხებიან ის პირები, რომელთა ვალები 2 ათას დენარიუს აღემატება. ვინაიდან სენატორებს შორის იმ დროს მნიშვნელოვანი იყო იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც დიდი ვალი ჰქონდათ, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ ღონისძიებას მიზნად სენატის დასუსტება ჰქონდა დასახული; 3. რომში დაბრუნების უფლება ენიჭებათ სატურნინის მოძრაობასთან დაკავშირებით გაძევებულ პირებს. ამ კანონპროექტების განხილვამ მღელვარე ხასიათი მიიღო. მოწინააღმდეგე წრეებმა ყოველგვარი საშუალება იხმარეს, რომ ხელი შეეშალათ მათი გატარებისათვის. კონსულებმა, სულამ და პომპეუს რუფუსმა განსაკუთრებული სარწმუნოებრივი დღესასწაულების მომიზეზებით გადამწყვეტი სახალხო კრებისათვის დანიშნული ყველა დღე უქმად გამოაცხადეს. მაგრამ რომში ისეთი მღელვარე ვითარება წარმოიქმნა, რომ მოწინააღმდეგენი იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ოპოზიციაზე და სახალხო კრებამ სულპიციუსის პროექტები მიიღო. ამას გარდა, სახალხო კრების განსაკუთრებული დადგენილებით სულას ჩამოერთვა მითრიდატესთან ომში სარდლობა და გადაეცა მარიუსს აზიის პროკონსულის ხელისუფლების მინიჭებასთან ერთად. არც სულა და არც რუფუსი არ დაემორჩილნენ სახალხო კრების დადგენილებას და რომი დატოვეს. სულა გაეშურა ჯარისკაცებთან ნოლაში და შეეცადა აემხედრებინა ისინი მარიუსისა და სულპიციუსის წინააღმდეგ. იგი მოუწოდებდა მათ „რომი ტირანებისაგან

გაეთავისუფლებინათ". მისი სიტყვებით და მოწოდებებით აღელვებულმა ჯარისკაცებმა მოკლეს რომიდან მათთან გამოგზავნილი ორი სამხედრო ტრიბუნი და სულას რომზე გალაშქრება მოსთხოვეს. „გაბარებულმა სულამ,—გვიამბობს აპიანე, — მაშინვე დაძრა ადგილიდან ექვსი ლეგიონი. ჯარის მეთაურები ერთი ქვესტორის გამოკლებით, თანახმა არ იყვნენ სამშობლოს წინააღმდეგ გალაშქრათ და რომში გაიქცნენ. გზაზე სულას შეხვდნენ რომიდან მომავალი ელჩები და შეეკითხნენ: რატომ ილაშქრებ სამშობლოზე შეიარაღებული ძალითო? სულამ მათ უპასუხა: „ტირანებისაგან გასანთავისუფლებლად".

როცა სულა რომს მიახლოვებია, მასთან გამოცხადებულა მეორე კონსული პომპეუს რუფუსი, მოუწონებია მისი მოქმედება და მთლიანად შეერთებია მას. ყოველგვარი შეთანხმება და, მით უმეტეს, შურიგება სულას კატეგორიულად უარუყვია და, ქალაქის ყველა ალაყაფის კარების დაუფლების შემდეგ, ორი ლეგიონით შეჭრილა ქალაქში. ეს პირველი შემთხვევა იყო რომის ისტორიაში, როცა მის წინააღმდეგ, საკუთარივე ჯარი ილაშქრებდა. პოპულარებს გვერდში ამოუდგა ქალაქის მთელი მოსახლეობა და ამბოხებულ ლეგიონებს თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია. ასეთ საბედისწერო ვითარებაში პოპულარების მეთაურებს დიდი ენერგია გამოუჩენიათ, მარიუსს ქალაქში მაცნეები დაუგზავნია და მონებისათვის თავისუფლება აღუთქვამს.

სისხლისმღვრელ ბრძოლაში პოპულარები დამარცხდნენ და სულას ჯარები რომს დაეპატრონენ. სულპიციუს რუფუსი გაიქცა, მაგრამ გზაზე მტრებს ჩაუვარდა ხელში და იგი მოკლეს. მისი თავი სულას ბრძანებით ფორუმზე გამოიტანეს. მარიუსიც იძულებული გახდა, თავისი ვაჟითა და ზოგიერთი მახლობლით აფრიკაში გაქცეულიყო, ბოლოს მან მავრიტანიაში პოვა თავშესაფარი. ამგვარად, სულა რომის სრული მბრძანებელი გახდა და მეორე დღესვე მოიწვია სახალხო კრება დემოკრატიის საწინააღმდეგო რეფორმების გასატარებლად. განცდილი ხოცვა-ჟლეტით დაშინებულმა მოქალაქეებმა თითქმის უხმოდ მიიღეს ახალი კონსტიტუციის წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ხალხს არსებითად ყოველგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას უკარგავდა. სულამ მთლიანად გააუქმა სულპიციუსის ინიციატივით სახალხო კრების მიერ მიღებული კანონები და ტრიბუტული კომიციების უფლებათა შემცირების მიზნით ცენტურიატული კომიციების მნიშვნელობა გაადიდა: საკანონმდებლო ფუნქციები ამ კომიციებს გადასცა და ნაცვლად ძვ. წ. 241 წელს რეფორმირებული საარჩევნო სისტემისა, რომელმაც ერთგვარად შეამცირა პირველი საცენზო თანრიგის გაბატონებული მდგომარეობა, ძველი სერვიუსეული ხმის მიცემის წესი და სისტემა აღადგინა. მთავარი კი ის იყო, რომ დადგინდა, არც ერთი პროექტი არ შეეტანათ სახალხო კრების განსახილველად სენა-

ტის წინასწარი სანქციის გარეშე. ასეთი ლონისძიება კი სახალხო ტრიბუნების საკანონმდებლო ინიციატივის გაუქმებას მოასწავებდა. სახალხო ტრიბუნებს ჩამოართვეს უფლების ბევრი პრეროგატივა. არსებითად მათ მხოლოდ პლებეების დახმარების უფლება შერჩათ და ისიც შეზღუდული სახით. სამაგიეროდ, განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვეს სენატი, რომელიც სულას 300 ახალი წევრით შეუვსია.

ასეთ ლონისძიებათა გატარების შემდეგ სულა თავისი ჯარით მალე მითრიდატესთან საომრად უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ წინასწარ საჭირო იყო 87 წლისათვის ისეთი კონსულების არჩევა, რომლებიც მის მიერ შექმნილი წყობილების ერთგული დამცველები იქნებოდნენ. პლუტარქეს სიტყვით, ხალხმა სულასადმი სიძულვილი იმით გამოხატა, რომ მის მიერ წამოყენებული კანდიდატები უარყო და კონსულებად აირჩია ლუციუს კორნელიუს ცინა — მარიუსელი და გნეიუს ოქტავიუსი — ოპტიმატი. სულამ მათ ჩამოართვა ფიცი, რომ დაიცავდნენ მის მიერ დამყარებულ წყობილებას და გაემგზავრა მითრიდატესთან საომრად.

სულას წასვლის შემდეგ რომი ისევ დიდმა შინაურმა მღელვარებამ მოიცვა. ცინამ, რომელსაც მხარს უჭერდა ტრიბუნების უმრავლესობა, სახალხო კრებაში კვლავ წამოაყენა კანონპროექტი სულას გადატრიალების დროს კანონგარეშე გამოცხადებულ პირთა ამნისტიის შესახებ. ამ კანონპროექტის განხილვა ფორუმზე მოპირდაპირეთა შორის ნამდვილ ხელჩართულ სისხლისმღვრელ ბრძოლად გადაიქცა. ცხარე შეტაკებაში ათი ათასამდე კაცი დაიღუპა და ორატორ ციცერონის სიტყვით: „მთელ ფორუმზე ეყარა მოქალაქეთა გვამების გროვა და იდგა მათი სისხლის გუბეები“. გაიმარჯვეს სულანელ-ოპტიმატებმა და კორნელიუს ცინა და პოპულარების სხვა მეთაურები იძულებული გახდნენ რომიდან გაქცეულიყვნენ. ცინამ ნოლას გარემოცველ ჯარს შეაფარა თავი. ამ ჯარში მრავლად იყვნენ ახალი ჯარისკაცები და ამიტომ მან მოახერხა მათში სულანელების საწინააღმდეგო განწყობილების გაღვივება და თავის მხარეზე გადაყვანა, მას მრავლად მიემხრნენ იტალიკები. პოპულარების ზოგიერთი მეთაურიც მიმოიფანტა იტალიაში. ამავე დროს აფრიკიდან დაბრუნებულმა მარიუს უფროსმა ეტრურიაში იწყო ჯარის მოგროვება და მალე მის გარშემო გაქცეული მონებისა და იტალიკებისაგან შემდგარი ექვსათასიანი არმია მოგროვდა. მარიუსისა და ცინას გაერთიანებული არმიები სხვადასხვა მხრიდან მიადგნენ რომს. მარიუსმა ოსტია აიღო და ქალაქს სურსათ-სანოვაგის მიწოდება შეუწყვიტა.

რომის სენატი იძულებული გახდა ხელი აეღო წინააღმდეგობაზე

და კაპიტულაციაზე დათანხმებულიყო. თავის მხრივ პოპულარებმაც სასტიკად იძიეს შური სულას მომხრე ოპტიმატებზე. ხუთი დღე მიმდინარეობდა ქალაქში შეუწყნარებელი მკვლელობები და ძარცვა-გლეჯა და ასეთმა მოელენამ საკმაოდ ფართო ასპარეზი პოვა მთელ იტალიაში.

გამარჯვებულებმა აღადგინეს წინანდელი წყობილება და 86 წლის კონსულებად აირჩიეს მარიუსი და ცინა. მაგრამ მეშვიდედ კონსულად ყოფნა მარიუსს მხოლოდ ერთ თვეს მოუხდა, ვინაიდან მალე აავად გახდა და 86 წლის იანვარში გარდაიცვალა. მის ადგილას აირჩიეს აგრეთვე პოპულარების პარტიის გამოჩენილი მოღვაწე ლუციუს ვალერიუს ფლაკუსი.

სულას ჩამოართვეს მითრიდატესთან ომში მთავარსარდლობა, სამშობლოს მტრად გამოაცხადეს, მისი სახლი დაანგრიეს და ქონების კონფისკაცია გაატარეს. მტრად გამოაცხადეს აგრეთვე სულას მიმდევართა მეთაურები და უკიდურესი ოპტიმატები. ისინი სიკვდილით დასაჯეს, თავები მოკვეთეს და ფორუმზე გამოდვეს. მათ შორის იყო კონსული ოქტავიუსიც.

მარიუსის სიკვდილის შემდეგ კონსულად არჩეული ვალერიუს ფლაკუსის წინამძღოლობით რომაელებმა მითრიდატეს წინააღმდეგ ახალი არმია წარგზავნეს. ამ არმიამ მოახერხა რომისადმი მტრულად განწყობილი ეპირი და მაკედონია გაევლო, ბოსფორი გადაელახა და აზიაში გადასულიყო. ფლაკუსს ევალებოდა ებრძოლა არა მხოლოდ მითრიდატეს, არამედ მეამბოხე სულას წინააღმდეგაც. რომში კი თითქმის მთელი ძალაუფლება ცინას ხელში გადავიდა, რომელიც ზედიზედ სამჯერ აირჩიეს კონსულად (87—85 წწ.). მისი მმართველობის დროს, გარდა სულას ყველა კანონის გაუქმებისა, გატარდა ფართო დემოკრატიული ღონისძიებები: რომაელ მოქალაქეებთან სრული უფლებრივი გათანაბრების მიზნით ახალი მოქალაქეები იტალიკებიდან კვლავ ყველა 35 ტრიბაში გაანაწილეს, ქალაქის დავალიანებული პლებსის ინტერესების მიხედვით ვალები 3/4-ით შეამცირეს, ასეთი შემცირება ბინის ქირის დავალიანებასაც შეეხო; გატარდა საყურადღებო ფინანსური რეფორმაც: ჩვენ ვიცით, რომ სახალხო ტრიბუნმა ლივიუს დრუზუს უმცროსმა ყოველ რვა სრულფასოვან ვერცხლის დენარიუსზე ერთი მოვერცხლილი სპილენძის დენარიუსის გამოშვება იწყო. ასეთმა არასრულფასოვანმა მონეტამ თანდათან თავისი ღირებულება დაკარგა და ამან ფულის ბრუნვა დაარღვია. ამიტომ პრეტორ გრატიდიანუსის ინიციატივით ასეთი არასრულფასოვანი ფული ნაწილობრივ ახალი სრულფასოვანი მონეტით შეცვალეს. უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ სოფლის პლებსიც და მათ სასარგებლოდ უცდიათ რამდენიმე ღონისძიების გატარება, მაგრამ ძირითადად იმით

დაკმაყოფილებულან, რომ 84 წელს მიეღიათ კანონი კაპუაში დიდი ახალშენის გადაყვანის შესახებ. დიდ მჭრუნველობას იჩენდნენ იმ დროს პოპულარები იტალიკების მიმართ. ამ მხრივ სხვა ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის, რომ ცენზორმა მარციუს ფილიპუსმა და მარკუს პერპერნამ საფუძვლიანად გადასინჯეს ძველი რომაული ტრიბები და ღრმად შეურიეს მათ ახალი მოქალაქეები. ამიტომ გასაგებია, რომ იტალიკების ფართო მასა პოპულარებისადმი ერთგულებას იცავდა და მათი მთავარი დასაყრდენი იყო. ხოლო ბუნებრივი გახლდათ ის დაინტერესებაც, რომელსაც ამჟღავნებდა მხედრების წრე, რომელმაც მითრიდატეს ომისა და სულას მოქმედების შედეგად ფრიად მნიშვნელოვანი ნივთიერი ზარალი განიცადა.

მაგრამ ამავე დროს რომში სენატორთა შორის არსებობდა ისეთი ჯგუფი, რომელიც პოპულარების მოღვაწეობის წინააღმდეგი იყო და სულასთან შეთანხმებას ისახავდა მიზნად. თავის მხრივ სულამაც ასეთ ხერხს მიმართა: მითრიდატესთან ზავის დადების შემდეგ სენატს მოახსენა ომის დამთავრება და განზრახვა იტალიაში დაბრუნებისა. ამასთან აღუთქვა, დავიცავ ახალი მოქალაქეებისადმი მინიჭებულ უფლებებსო. სენატორების აღნიშნულმა ჯგუფმა მასთან მოლაპარაკებაც დაიწყო. ასეთმა გარემოებამ კონსულები ცინა და კარბო აიძულა სულას წინააღმდეგ ექსპედიციისათვის ჯარის შეგროვება დაეწყოთ ადრიატიკის ზღვაზე, მაგრამ ჯარისკაცების ნაწილი ანკონაში ხომალდებზე ჩასხდომის დროს აჯანყდა და ცინა მოკლა. გადარჩენილმა კარბომ კი ექსპედიცია გადადო, ვიდრე ამ თემაზე ლაპარაკს გავაგრძელებდეთ, გავეცნოთ მითრიდატესთან სულას ბრძოლის მთავარ მომენტებს.

8. პირველი ომი მითრიდატეს წინააღმდეგ

87 წლის გაზაფხულზე სულა თავისი ჯარით ეპირში გადავიდა, ვინაიღან მითრიდატემ უარყო სულას სამშვიდობო წინადადებები, რომლებიც ძირითადად ომამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას გულისხმობდა, სულა სასწრაფოდ შეიჭრა ბეოტიაში. აქ მან დაამარცხა მითრიდატეს სარდალი არქელაოსი და ათენის „ტირანი“ არისტიონი და შემდეგ თითქმის მთელ საბერძნეთს დაეპატრონა ათენისა და პირეუსის გამოკლებით, სადაც თავი შეაფარეს არქელაოსმა და არისტიონმა. სულამ ათენს ალყა შემოარტყა, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა.

ათენმა და პირეუსმა სულას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და ყველა მისი შეტევა მოიგერიეს. მაშინ სულამ მათ წინააღმდეგ ისე

შეავიწროვა ალყა, რომ ათენი უდიდესი შიმშილის წინაშე დააყენა. ამიტომ ათენი იძულებული გახდა ბრძოლაზე ხელი აეღო.

სულას ჯარი ქალაქში შეიჭრა და ათენში გაიმართა დიდი და უმოწყალო ჟლეტა, არც ბავშვებს იბრალებდნენ და არც ქალებს. ათენელების მხოლოდ მცირეოდენმა ნაწილმა შეძლო აკროპოლისში გაქცევა. არისტიონი იძულებული გახდა ცეცხლი წაეკიდებინა მუსიკალური შეჯიბრებების შენობის — ოდეონისათვის. ბოლოს სულამ აკროპოლისიც აიღო და გაძარცვა, სიკვდილით დასაჯა არისტიონი და მისი მახლობელი პირები, დანარჩენთ სიცოცხლე შეუნარჩუნა და ათენსაც „თავისუფლება" დაუტოვა.

ამავე დროს საბერძნეთის განთქმული კულტურული ცენტრი, უდიდეს მხატვრულ საუნჯეთა შემცველი ათენი თავის ჯარისკაცებს მისცა დასარბევად და გასაძარცვად. ნაკლები სისასტიკით იგი არც ათენის განთქმულ ნავსადგურს — პირეუსს მოჰკლებია.

სულას მდგომარეობა ამის შემდეგაც კვლავ მძიმე იყო. ერთი ნახრივ, მითრიდატემ მაკედონიაში დიდი სამხედრო ძალა გამოგზავნა, რომელიც თერმოპილესთან გამოჩნდა და მაკედონია დაიკავა. ბეოტიაში იგი არქელაოსის არმიის ნაშთებს შეუერთდა. მეორე ნახრივ, ჩვენ ვიცით, რომ რომში მომხდარმა გადატრიალებამ მას სარდლობა ჩამოართვა და მის ადგილას კონსული ვალერიუს ფლაკუსი დაინიშნა. მესამე მხრივ, სულას აფიქრებდა ის გარემოება, რომ უფლოტოდ ბრძოლა მითრიდატეს წინააღმდეგ თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ამ საქმის მოგვარება მან თავის ნიჭიერ ქვესტორს, ლიკინიუს ლუკულუსს მიანდო. როდოსელებისაგან მან ექვსი ახალი ხომალდის მიღება მოახერხა. მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი მეკობრეებმა წაართვეს. მაშინ ლუკულუსი ალექსანდრიაში ეწვია ეგვიპტის მეფეს და ფლოტით დახმარება სთხოვა, მაგრამ ზრდილობიანი უარი მიიღო. ეს უკვე იმის მომასწავებელი იყო, რომ რომის სახელმწიფოს ძველი ავტორიტეტი ამ დროს საგრძნობლად იყო შერყეული. მძიმე იყო სულას ჯარის ფინანსური მდგომარეობაც. ამიტომ იგი არ მოერიდა ძველი საბერძნეთის ცნობილი ადგილების უმოწყალო გაძარცვას.

და მაინც სულამ იშვიათი ენერგიითა და გამბედაობით განაგრძო ომი მითრიდატეს წინააღმდეგ. 86 წელს სულას დიდი ბრძოლა მოუხდა მითრიდატეს ჯარებთან ბეოტიაში ქერონეასთან და გამარჯვება მოიპოვა.

იმავე წელს ეპირში გადავიდა რომაელების მეორე არმია ვალერიუს ფლაკუსის წინამძღოლობით. ეს არმია და სულას ჯარები ერთმანეთს თესალიაში დაუპირისპირდნენ. მაგრამ მათ შორის შეტაკება არ მომხდარა. ფლაკუსის არმია ჩრდილოეთისაკენ წავიდა, განვლო მაკედონია და თრაკია, გადალახა ბოსფორი და მცირე აზიაში გადავიდა.

სულა მას არ დადევნებია, ვინაიდან საბერძნეთში მდგომარეობა ჯერ კიდევ რთული იყო. მითრიდატემ ეებეაზე კვლავ თავი მოუყარა დიდ სამხედრო ძალას და აქედან ჯარები შუა საბერძნეთში გადაიყვანა. ბეოტიაში ორქომენოსთან მოხდა მეორე დიდი ბრძოლა სულას და მითრიდატეს ჯარებს შორის და რომაელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. სულამ მთელი საბერძნეთი გაწმინდა მითრიდატეს ჯარებისაგან.

საბერძნეთში განცდილმა დიდმა მარცხმა მითრიდატეს მდგომარეობა თვით მცირე აზიაშიც შეარყია. აქაც სხვადასხვა ადგილას თავი წამოყვეს პრორომაული განწყობილებისა და მიმართულების ჯგუფებმა და მისგან განდგომა იწყეს ზოგიერთმა ქალაქებმა.

ჩვენ ვიცით, რომ სულას გარდა მითრიდატეს წინააღმდეგ იბრძოდა რომის კონსულის, ვალერიუს ფლაკუსის არმია. მაგრამ მის ჯარში თანხმობა არ სუფევდა, თვითონ სარდალს ჯარისკაცებში ავტორიტეტი არ ჰქონდა და ჰქონი ლეგატი ფლავიუს ფიმბრია მალე წრეში მის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. ამ ნიადაგზე მომხდარა შეთქმულება და ფლაკუსი მოუკლავთ.

ახალი მხედართმთავრის, ფიმბრიას წინააღმდეგ მითრიდატემ წარგზავნა ლაშქარი თავისი ვაჟის — მითრიდატე უმცროსის წინაძღოლობით.

ფიმბრიამ პროპონტიდასთან სასტიკად დაამარცხა ეს ლაშქარი და მითრიდატე უმცროსმა მცირერიცხოვანი თანმხლებლებით პერგამოსში გაქცევით უშველა თავს, სადაც იმ დროს მამამისი იმყოფებოდა. მაგრამ ფიმბრიას ჯარი მსწრაფლ გაჩნდა პერგამოსის კედლებთან და მითრიდატე უმცროსი იძულებული გახდა სასწრაფოდ გასცლოდა ქალაქს და თავი ახლომდებარე ნავსადგურ პიტანეს შეაფარა. მაგრამ ფიმბრიამ იქაც მისდია მას და ირგვლივ თხრილი შემოავლო, „ვიდრე მეფე ხომალდებით მიტილენში (ლესბოზე) არ გაიქცა“.

მეორე მხრივ, სულას ქვესტორმა ლუკულუსმა ამასობაში უკვე მოახერხა იმდენად ძლიერი ფლოტის შექმნა, რომ რომაელებმა შეძლეს ეგეოსის ზღვის კუნძულებზე გაბატონება. ამის შედეგი კი ის იყო, რომ კუნძულებისა და მცირე აზიის ქალაქებმა უფრო გაბედულად იწყეს რომაელების მხარეზე გადასვლა.

ომის ასპარეზზე ისეთი სიტუაცია დამყარდა, რომ მცირე აზიაში გადასულ სულას ადვილად შეეძლო მითრიდატეს საბოლოო დამარცხება და განადგურება, მაგრამ მას დიდად აფიქრებდა ის წარმატება, რომელიც მითრიდატესთან ბრძოლაში რომის მეორე დემოკრატიულმა არმიამ მოიპოვა. ასე თუ ისე, სულა ჯერ კიდევ მაინც მეამბოხე მთავარსარდლად ითვლებოდა, რომელიც რომის ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაემორჩილა; აზიის პროვინცია კი თითქმის მთლიანად მის მოწინააღმდეგე რომაელი სარდლობის ხელქვეითი გახდა. ამიტომ ის

არ მოერიდა ისეთი ნაბიჯის გადადგმას, როგორიც მითრიდატესთან საჰშვიდობო მოლაპარაკების დაწყება იყო. მითრიდატე იძულებული შეიქნა შეხვედროდა სულას. შეხვედრა მოხდა 85 წელს ქ. დარდანში (ჰელესპონტზე). სულამ, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული, რაც შეიძლება მალე დაპრუნებულიყო რომში, მითრიდატეს საკმაოდ კომპრომისული პირობები წაუყენა: ომის დაწყებიდან ყველა დაპყრობილ მხარეზე ხელის აღება, 2 ათასი ტალანტის კონტრიბუციის გადახდა და პონტოს სამეფოს ფლოტიდან 80 გემის გადაცემა. ასეთ კომპრომისულ პირობებზე მითრიდატე, რა თქმა უნდა, დათანხმდა და იმასაც კი მიაღწია, რომ „რომაელი ხალხის მეგობრისა და მოკავშირის" ტიტული მოიპოვა, ზავის დამყარების შემდეგ სულამ მიზნად ფიმბრიას ჯარების განადგურება დაისახა. მან შეუტია პერგამოსთან დაბანაკებულ ფიმბრიას ჯარს. ჯარის დიდმა ნაწილმა ფიმბრიას უღალატა და სულას მხარეს გადავიდა. ფიმბრია პერგამოსში წავიდა; შევიდა ასკლეპიოსის ტაძარში და დაიცა მახვილი. რადგან ჭრილობა მისთვის სასიკვდილო არ გამოდგა, უბრძანა თავის მონას მახვილი გაერჭო.

პროვინცია აზია სულას სრულ განკარგულებაში გადავიდა. იგი სასტიკად გაუსწორდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. სიკვდილით დასჯა მითრიდატეს მომხრეები, რომლებიც ხელთ იგდო, და განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა იმათდამი, ვინც 88 წელს რომაელებისა და იტალიელების ამოხოცვაში მიიღო მონაწილეობა, მითრიდატეს მიერ გატარებული ვალების კასაცია და მონების განთავისუფლება სულამ გააუქმა. აპიანეს სიტყვით, მან „მონებს, რომლებსაც თავისუფლება მიანიჭა მითრიდატემ, გამოუცხადა, რომ მაშინვე დაბრუნებოდნენ თავიანთ ბატონებს". ადგილობრივ მოსახლეობას დაეკისრა ომის დაწყების დროიდან გადაუხდელ გამოსაღებთა გადახდა და დიდი სამხედრო კონტრიბუცია 20 ათასი ტალანტის რაოდენობით. კონტრიბუციის თანხის შესაგროვებლად განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული.

სამაგიეროდ, მან უხვად დააჯილდოვა ის მხარეები და ხალხები, რომლებიც რომის ერთგულები დარჩნენ: ილიონელებს, ქიოსელებს, ლიკიელებს, როდოსელებს, მაგნეზიას და სხვას თავისუფლება მიანიჭა და რომაელთა მეგობრად ჩაირიცხა.

4. სულას დაბრუნება რომში და მისი დიქტატურა

84 წელს სულა მცირე აზიიდან საბერძნეთში გადავიდა და საბერძნეთმა კვლავ განიცადა რომაელების მკაცრი ოკუპაცია. 83 წლის გა-

ზაფხულზე კი დიდი ნადავლით დატვირთული სულა 40-ათასიანი არმიისა და უზარმაზარი ფლოტის თანხლებით იტალიისაკენ დაიძრა.

როცა სულა ბრუნდიზიუმში გადმოვიდა, სადაც მას ალაყაფის კარები გაუღეს, მთელი იტალია მწვავე სამოქალაქო ომმა მოიცვა, რომელიც იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე სულამ სრული ბატონობა არ მოიპოვა.

ბრუნდიზიუმში გადმოსულ სულას ყოველი მხრიდან შეუერთდნენ თავისი მომხრეები და რომში არსებული წყობილებით უკმაყოფილო ოპტიმატები, მათ შორის იყვნენ კვინტუს მეტელუსი და 23 წლის ახალგაზრდა გნეუს პომპეუსი, რომელმაც თან მოიყვანა თავის კლიენტებისა და მოიჯარეებისაგან შემდგარი ორი ლეგიონი. მოქირავნეთა რაზმით მივიდა მასთან აგრეთვე იტალიაში უმდიდრესი ოჯახის შვილი მარკუს ლიციინიუს კრასუსი, რომლის ძმა და მამა მარიუსელებმა სიკვდილით დასაჯეს.

მართალია, თავიანთ მხრივ მარიუსელებმა დიდ ჯარს მოუყარეს თავი, მაგრამ მასში სუსტი დისციპლინა სუფევდა და გამოცდილი სარდლებითაც ღარიბი იყო. სულას ჯარის უპირატესობა კი, გარდა კარგი სარდლებისა, ისიც იყო, რომ სულა მდიდარი იყო, მაშინ, როცა მარიუსელების ხაზინა უდიდეს ხელმოკლეობას განიცდიდა.

როცა სულა კამპანიაში შეიჭრა, აქ მას დახვდნენ 83 წლის კონსულები კარბო და კორნელიუს სციპიონი, მაგრამ მან პირველსავე შეტაკებაში დაამარცხა კარბოს ჯარი, ხოლო სციპიონის მეომრებმა მიატოვეს იგი და სულას მხარეზე გადავიდნენ.

რომში 82 წლის კონსულებად აირჩიეს ისევ კარბო და მარიუს უმცროსი. ცნობილი მარიუსის ეს ახალგაზრდა ვაჟი გამოირჩეოდა სიმამაცითა და ენერგიით. მაგრამ მას ჯერ კიდევ აკლდა მხედარმთავრის ტაქტი და გამოცდილება. მარიუსელებთან ერთად სულას წინააღმდეგ თავგანწირულად იბრძოდა სამნიტების ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დამორჩილებული. მათ სახელგანთქმულ მეთაურს — ტელეზინს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ სულას გამარჯვება სამნიტებისათვის უაღრესად საბედისწერო იქნებოდა, ამიტომ იგი არავითარ განსაცდელს და საფრთხეს არ გაურბოდა.

მარიუს უმცროსი თავის ჯარით ლაციუმში იდგა და ელოდა სულას, რომელიც რომისაკენ მიიწევდა. საკრიპორტუსთან დიდი ბრძოლა მოხდა. სულას მხარეზე რამდენიმე კოპორტის გადასვლამ ხელი შეუწყო მარიუს უმცროსის დამარცხებას. ჯარის დარჩენილი ნაწილით მან პრენესტეს მიაშურა და იქ ჩაიკეტა. ამგვარად, მარიუსი იძულებული იყო რომი დაეტოვებინა, მაგრამ ქალაქიდან წასვლის წინ სიკვდილით დასაჯა სულას იქ დარჩენილი მომხრეები. სულა წინააღმდეგობის გაუწეველად შეიდა რომში, ხოლო იქიდან მალე დაიძრა ჩრდი-

ლოეთ იტალიისაკენ, სადაც ადრიატიკის ზღვასთან კონსული კარბო მედგრად ებრძოდა სულას ლეგატების — მეტელუსის, პომპეუსისა და კრასუსის ლაშქართ.

მალე სულას დანებებია პრენესტე და მარიუს უმცროსს თავი მოუკლავს, ხოლო ქალაქის მოსახლეობის მამაკაცთა ნაწილი თითქმის მთლიანად მოუსპიათ. სხვა ქალაქები, რომლებიც სულას ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევდნენ, დანებებისა თუ ძალით დაკავების შემდეგ. ძარცვა-გლეჯის, უსაზღვრო ძალადობრეობისა და მასობრივი მკვლელობის ასპარეზი ხდებოდა.

იტალიაში გამარჯვების შემდეგ სულას მხედართმთავრებმა მის ხელისუფლებას დაუქვემდებარეს დასავლეთი პროვინციები. კუნძული სარდინია მათ ჯერ 82 წელს დაიკავეს. სიცილიაში კი სულამ გნეუს პომპეუსი წარგზავნა, სადაც მისთვის მარიუსელების ნაშთს წინააღმდეგობა არ გაუწევია და უბრძოლველად დაუტოვებია კუნძული.

იტალიიდან ლტოლვილი კარბო თავშესაფარს სიცილიაში პოულობს. მაგრამ აქ მას აპატიერებენ და ხელებშეკრულს წარუდგენენ პომპეუსს, რომელიც მას, სამჯერ კონსულად ნამყოფს, ბოლო ადლის წინ უდიერად ლანძღავს და შემდეგ სიკვდილით დასჯის, ხოლო მის მოკვეთილ თავს სულას უგზავნის.

სიცილიიდან პომპეუსი გადასულა აფრიკაში, სადაც მარიუსელი დომიციუს აჰენობარბიუსი მოღვაწეობდა. პომპეუსმა ის დაამარცხა და სულ ორმოციოდე დღეში აფრიკა დაიმორჩილა. ასეთი სამსახურისათვის სულას პომპეუსისათვის „დიდი“ უწოდებია, ხოლო შემდგომში მისთვის ტრიუმფი მიუნიჭებია აფრიკაში გამარჯვების გამო, თუმცა მას ჯერ კიდევ არავითარი ორდინარული მაგისტრატურა არ გაუვლია.

რაც შეეხება ესპანთს, მასზე საუბარი ცალკე გვექნება, როცა იქ ცინას მახლობელი თანამებრძოლის კვინტუს სერტორიუსის მოღვაწეობას შევეხებით.

სულა თავისი მომხრეებისა და ჯარის დახმარებით რომის სახელმწიფოს დაეპატრონა, როგორც მთელ იტალიაში, ისე ქალაქ რომში უსაშინელესი ტერორი გაბატონდა. პლუტარქეს სიტყვით „ქალაქი მოიცვა უანგარიშო და გაუთავებელმა მკვლელობამ“. სულამ მაშინვე დასაჯა სიკვდილით ორმოცამდე სენატორი და დაახლოებით 1600-მდე. ეკვეთ წოდებული მხედარი. მან პირველმა შეადგინა სიკვდილმისჯილთა სიები და, ამასთან, ჯილდოები დაუნიშნა იმათ, ვინც მათ მოჰკლავდა, ფული — ვინც დააბეზღებდა, სასჯელი — ვინც მისჯილებს დაფარავდა. მცირე ხნის შემდეგ პროსკრიბირებულ სენატორებს სხვებიც მიუმატა. ყველა ისინი, როცა ხელში ჩაუვარდებოდათ, მოულოდნელად იღუპებოდნენ იქ, სადაც მიასწრებდნენ — სახლებში, ქუჩაბანდებში, ტაძრებში; ზოგიერთი შიშით სულასაკენ გარბოდა,

მაგრამ მათ სიკვდილამდე სცემდნენ მის ფეხებთან, სხვებს მისგან გაათრევდნენ და სრესდნენ. შიში იმდენად დიდი იყო, რომ ხმის ამოღებასაც კი ვერავინ ბედავდა. ქალაქიდან ლტოლვილებს ყველგან დაეძებდნენ და ვინც სურდათ, იმას ჰკლავდნენ.

სიკვდილმისჯილთა სიებს პროსკრიპციები ეწოდებოდა. მათში შეჰქონდათ იმათი სახელი, ვინც სულას მოწინააღმდეგედ ან საეჭვო პირად იყო მიჩნეული და ქონების კონფისკაციასთან ერთად სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა.

სულას არ დაუნდვია არა მარტო ცოცხალი ადამიანები, არამედ მიცვალებულებიც. მისი ბრძანებით, საფლავიდან ამოუგდიათ მარიეს უფროსის გვამი და მდინარეში გადაუგდიათ.

სასტიკად გაუსწორდა სულა იტალიის ქალაქებს. რომლებიც მარიუსელებს ემხრობოდნენ.

პროსკრიბირებულთა ქონება ჩალის ფასად იყიდებოდა აუქციონით და ამ მდგომარეობით დიდი მოგებით სარგებლობდნენ სხვადასხვა ჯერის ავანტიურისტები და სპეკულანტები, რომლებიც ხშირად უდანაშაულო ადამიანების სისხლზე აგებდნენ თავიანთ კეთილდღეობას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ფიგურას წარმოადგენდა სულას მიერ გაანადგურებული ქრიზოგონე. მოქმედების სრული ასპარეზი მიენიჭა პირად მტრობას, ბოროტ შურისძიებას და ანგარებას.

ფაქტობრივად შემოიმტკიცა რა ხელისუფლება, სულამ განიზრახა იურიდიულადაც გაეფორმებინა სახელმწიფოში თავისი ბატონობა. ვინაიდან 82 წლის ორივე კონსული — კარბო და მარიუს უმცროსი დაიღუპნენ და იმ დროს რომს კონსული არ ჰყავდა და უმაღლეს ხელისუფლებას განასახიერებდა დროებითი მმართველი „ინტერრექსი“ ლუციუს ვალერიუს ფლაკუს უფროსი, რომელიც სულას ერთგული კაცი იყო. მან კომიციებში გაატარა კანონი, რომლის ძალით სულას განუსაზღვრელი ვადით მიენიჭა დიქტატორის შეუზღუდავი უფლებები და, მაშასადამე, მას მიენიჭა უფლება რომაელი მოქალაქეების სიკვდილით დასჯისა და მათი ქონების კონფისკაციისა. აღმოსავლეთ პროვინციებისადმი მიმართვებში იგი თავის თავს ავტოკრატორად (თვითმპყრობელად) იხსენიებდა. რომის ფორუმზე კი მას მოოქროული ქანდაკება აღუმართეს ასეთი წარწერით: „კორნელიუს სულა, ბედნიერი იმპერატორი“. დიქტატორად გამოცხადებულმა სულამ ვალერიუს ფლაკუსი თავისი ცხენოსანი ჯარის უფროსად დანიშნა. მართალია, რესპუბლიკის გარეგანი ფორმა თითქოს არსებობდა, მაგრამ, აპიანეს სიტყვით, სულამ ყველაფერი თავისი სურვილით მოაწყო და ყველა შიშისაგან ცახცახებდა და დუმდა.

აპიანეს გადმოცემით, „მეფური ხელისუფლებით“ მოსილი სულა კონსულებზე მაღლა მდგარა, მაგრამ ძველი სახელმწიფოებრივი წყო-

ბილების მოჩვენებითი დაცვის მიზნით, მას დაუწყია კონსულების არჩევნებიც. ცხადია, როგორც კონსულის, ისე დიდ თანამდებობაზე კანდიდატურის წამოყენება და გაყვანა მრისხანე დიქტატორის ნებასურვილზე იყო დამყარებული. სულამ სენატი სახელმწიფოს მთავარ ორგანოდ გახადა, თავისი კრეატურით შეავსო და სენატორთა რიცხვი 300-დან 600-მდე გაადიდა. ამას გარდა, თუ გაიუს გრაკხუსის დროიდან დაწყებული სასამართლოები მხედრების ხელში იყო, ახლა მთლიანად სენატორებს გადაეცა. გატარდა სასამართლოების რეორგანიზაცია; გადიდდა მუდმივი სამოსამართლო კომიციების რიცხვი, შემოღებულ თუ აღდგენილ იქნა კომიციები მოსყიდვის, გაძალვის, მოწამვლის, მკვლელობის და სისხლის სხვა საქმეების განსახილველად. სულას დიქტატურა მიზნად ისახავდა ოპტიმატების იმ ნაწილის ბატონობის გაძლიერებასა და განმტკიცებას, რომელიც მისი მორჩილი იყო. ნობილიტეტის მეორე ნაწილის მიმართ კი, რომელიც უხმოდ არ ემორჩილებოდა მის ბატონობას, სულა არ ერიდებოდა მკაცრი ლონისძიების მიღებას.

სულას დიქტატურის მთავარი დასაყრდენი იყო ის 10 ათასი მონა, რომლებიც მან გააზატა და თავისებურ გვარდიად გაიხადა. მათ მიენიჭათ კორნელიუსების სახელი და მოქალაქეობრივი უფლებები. ისინი შეერივნენ რომის პლებსს და დიდ ზეგავლენას ახდენდნენ კომიციებზე. ასეთივე მტკიცე საყრდენი იყო სულას 120 ათასი ვეტერანი, რომელთაც მიწის ნაკვეთები დაურიგდათ იტალიაში.

სულამ პრეტორების რიცხვი ექვსიდან რვამდე გაადიდა, ხოლო ქვესტორების — რვიდან ოცამდე და განსაზღვრა მაგისტრატების უფლებამოსილებაც: კონსულების შეკვეცილი ხელისუფლება უმთავრესად რომსა და იტალიაზე ვრცელდებოდა, პრეტორები კი მხოლოდ სასამართლოებს განაგებდნენ. თანამდებობის შესრულების დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში კონსულები და პრეტორები რომში უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო შემდეგ ისინი პროვინციების მმართველებად ინიშნებოდნენ. მტკიცედ განისაზღვრა აგრეთვე თანამდებობათა ღირებების თანამიმდევრობა: კონსულად შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული არანაკლებ 42 წლის ასაკის პირი, რომელსაც თან პრეტურა ჰქონდა გავლილი; პრეტორად — პირი, რომელმაც განვლო ქვესტურა და იყო არანაკლებ 19 წლისა, ქვესტორად კი — არანაკლებ 30 წლისა, კონსულად მეორედ არჩევისათვის ათი წლის შუალედი იყო საჭირო.

ცენზორებს ჩამოერთვათ მთავარი ფუნქცია — სენატის შევსება, ვინაიდან ყოფილი ქვესტორები თავისთავად ხდებოდნენ სენატის წევრები. ხოლო მათი სამეურნეო მოვალეობები კონსულებს გადაეცათ. ამით ცენზურა ფაქტობრივად გაუქმებული აღმოჩნდა. სულას აღარ აღუდგენია თავისი შემოღებული საარჩევნო და ხმის მიცემის ძველი

სერვილიანული სისტემა, ვინაიდან კომიტეტები უყოყმანოდ ატარებდნენ ყველა მის წინადადებას და კანონპროექტს. სამაგიეროდ, მან დიდად შეზღუდა და დაამცირა სახალხო ტრიბუნების უფლება. მათ დაუტოვეს პლებეების საქმეთა შუამავლის როლი და ინტერესიოს ძველი უფლება, მაგრამ უსაფუძვლოდ და უადგილოდ ჩარევისათვის მათ ჯარიმა მოელოდათ. რაც შეეხება ტრიბუნების საკანონმდებლო ინიციატივას, მათ მოქმედება ამ მხრივ მხოლოდ სენატის წინასწარი მოწონების შემდეგ შეეძლოთ. ყოფილ სახალხო ტრიბუნებს აეკრძალათ კურულურ თანამდებობათა დაკავებაც. სულამ გააუქმა აგრეთვე ხალხისათვის გრაკხუსების დროიდან შემოღებული პურის დარიგება.

სულამ 81 წელს გამოსცა სპეციალური კანონი, რომელიც გაძევებით ემუქრებოდა იმ პირთ, ვინც აჯანყების წამქეზებლობასა და მაგისტრატის მიმართ წინააღმდეგობის გაწევაში იქხებოდნენ მხილებული. ეს კანონი ითვალისწინებდა ასეთსავე სასჯელს თვითონ მაგისტრატების მიერ უფლების გადამეტებისათვის.

მეორე მხრივ, სულამ დაადასტურა იტალიკებიდან ახალი მოქალაქეების ყველა 35 ტრიბაში განაწილება და მათი ძველ მოქალაქეებთან უფლებრივი გათანაბრება. უფრო მნიშვნელოვანი და მყარი იყო იტალიის ადმინისტრაციული დაყოფა. მან ზუსტად განსაზღვრა საკუთრივ იტალიის მიჯნები. მის ჩრდილოეთ საზღვრად დადგინდა მდინარე რუბიკონი, ხოლო დანარჩენ ნაწილს ალპებამდე ციზალპური გალია უწოდეს და ვრცელ საქალაქო ტერიტორიებად დაჰყვეს.

საზღვარდაუდებელი მლიქვნელობით იყო მოცული სასტიკი დიქტატორის ცხოვრება. გარდა „ბედნიერი იმპერატორისა" მას „ეპაფროდიტოს", ე. ი. აფროდიტეს შეყვარებულს უწოდებდნენ. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს დამოუკიდებელი ტიტული იყო, რომელიც რომაელების ენეასა და აფროდიტესაგან წარმოშობას გულისხმობდა. იშვიათი ბრწყინვალებით მოუწყვეს მას ტრიუმფი პონტოს მეფე მითრიდატეზე გამარჯვების გამო. სახელმწიფოში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ სულას ვეტერანები, მახლობლები და ფავორიტები.

79 წელს, აპიანეს გადმოცემით, სულას ნებაყოფლობით, აუღია ხელი თავის დიდ ძალაუფლებაზე, მოუწყვია სახალხო კრება და ეს გადაწყვეტილება გამოუქვეყნებია. გაუშვია ლიქტორები და მცველები და დამსწრეთათვის წინადადებით მიუმართავს, გამოეთქვათ აზრი მისი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩენილა. მაშინ იგი ჩამოსულა ტრიბუნიდან და მხოლოდ მახლობელი პირების თანხლებით წასულა შინ. ბუნებრივია, რომ მის ასეთ საქციელს თანამედროვენი გაუკვირვებია და დღესაც აკვირვებს ზოგიერთ ავტორს. შესაძლოა, სულას ასეთი ნაბიჯი იმით აიხსნება, რომ მის მიერ

ბატარებულ ლონისძიებათა შემდეგაც წინააღმდეგობები. რომლებიც რომის საზოგადოებას ღრღნიდა, კიდევ უფრო გამწვავდა და ეს არ გამოეპარა მის ყურადღებას.

ყოველ შემთხვევაში, აპიანე გვარწმუნებს, სულას მობეზრდა ომი, ძალაუფლება. რომი და სოფლის ცხოვრება 'მეიყვარაო.

დიქტატორობიდან გადადგომის შემდეგ სულა სოფლად თავის მშვენიერ მამულში დამკვიდრებულა და მემუარების წერას შესდგომია. სულა გარდაიცვალა 78 წელს. 60 წლის ასაკში. იგი ბრწყინვალედ დაკრძალეს და ამის წინააღმდეგაც ლეპიდუსის გარდა არავინ გამოსულა. იმდენად დიდი იყო შიში მისი ვეტერანებისა და მახლობლების წინაშე. სწორედ უთქვამს ისტორიკოს აპიანეს, რომ სულა სიკვდილის შემდეგაც კი საშიში იყო.

ძველი რომის ისტორიაში სულას დიქტატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. არსებითად ის შეუზღუდავ ერთპიროვნულ მმართველობას წარმოადგენდა და უმთავრესად საძმედრო რეფორმის შემდეგ განვითარებულ პროფესიულ არმიას ეყარებოდა. რომელსაც სარდლები უკვე არამარტო გარე ომებში იყენებდნენ, არამედ პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, სულას მიერ შექმნილი წყობილება უზრუნველყოფდა არა მთელი ნობილიტეტის, არამედ მხოლოდ მისთვის სასურველი ნაწილის ბატონობას. ამას კი, როგორც დავინახავთ, შემდეგომში თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. სულას მიერ შეიარაღებული ძალით პოლიტიკური ხელისუფლების მითვისება ისეთი პრეცენდენტი გახდა, რომელსაც შემდგომი დროის რომაელი სარდლები ფართოდ ბაძავენ.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ რა სასტიკი და დაუნდობელი იყო სულას დიქტატურა, რომელმაც რომაელებს იმდენად დიდი შიში და მოკრძალება ჩაუნერგა, რომ თითქმის ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას და სრულ დუმილს ამჯობინებდა. მით უფრო ღირსშესანიშნავია ის მკაცრი კრიტიკა, რომელიც მისადმი ახალგაზრდა მარკუს ტულიუს ციცერონმა გაბედა. წარმოშობით იგი მხედართა წრეს ეკუთვნოდა და მამამისი საშუალო ზომის მამულის მფლობელი იყო. განათლება მას რომში მიუღია და ადრე შედგომია ადვოკატის მოღვაწეობას. ცნობილია, რომ იგი ძველი რომის ფრიად გამოჩენილი ორატორი და სახელგანთქმული მოღვაწე იყო. მის მოღვაწეობას პოლიტიკურ ასპარეზზე ორ პერიოდად ვყოფთ: პირველ პერიოდში იგი პოპულარების მიმდევრად და მათ წარმომადგენლად გვეცლინება; მეორე პერიოდში კი იგი ოპ-

ტომატების მხარეზე გადადის, მათ პოზიციებს იზიარებს, მონათმფლობელური რომის ტრადიციული დამცველის როლში გამოდის და თავის მშფოთვარე ცხოვრებას ტრაგიკულად ამთავრებს. პირველი პერიოდი მისი მოღვაწეობისა სულას დიქტატურას დაემთხვა. ამ პერიოდში ციცერონმა თავი ისახელა არსებული რეჟიმის კრიტიკის თვალსაზრისით გაბედული და თამამი სიტყვებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინმე კვინკციუსის და როსციუს უმცროსის დასაცავი მისი ორი სიტყვა.

თავი მეთოთხმეტე

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდი

1. ლეპიდუსის გამოსვლა და სერტორიუსის ომი

სულა, როგორც ვიცი, 78 წელს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ რომში კვლავ გამწვავდა ბრძოლა სულას რეჟიმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილში თავი იჩინა არსებული წყობილებისადმი ცხადმა უკმაყოფილებამ. უკმაყოფილო იყო ნობილების დიდი ნაწილი, რომელიც სახელმწიფო მმართველობას და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას მოკლებული იყო; მხედრები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ სამოსამართლო კომიციებში მონაწილეობის უფლება აღეკვეთათ; პროსკრიბირებულ პირთა მახლობლები ფიქრობდნენ, დაებრუნებინათ დიქტატურის დროს ჩამორთმეული მიწები და მოქალაქეობრივი უფლებები; ქალაქის პლებსი უკმაყოფილო იყო სულას მიერ იაფი პურის დარიგების შეწყვეტით და სახალხო ტრიბუნების ხელისუფლების დიდი დამცირებით: უკმაყოფილო იყო ის გლეხობა, რომელმაც მიწები დაკარგა. განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ იტალიკები, რომელთა მიწები სულას ვეტერანებს დაურიგდათ. უკმაყოფილოთა მეთაურობა იკისრა 78 წლის კონსულმა მარკუს ემილიუს ლეპიდუსმა. წინათ ის სულას ემხრობოდა და დიდი ქონებაც შეიძინა პროსკრიპციების დროს. ახლა კი ოპოზიციის ინტერესების დამცველად გამოვიდა.

გარდაიცვალა თუ არა სულა, ლეპიდუსი მკაცრად ილაშქრებს მისი კონსტიტუციის წინააღმდეგ და მიზნად მის გაუქმებას ისახავს. არსებობს ცნობა, რომ იგი სულას საზეიმო დაკრძალვის წინააღმდეგიც კი იყო.

რა სამოქმედო პროგრამას ისახავდა ლეპიდუსი? მისი პროექტით უნდა განეახლებინათ პურის კანონები და აღედგინათ სახალხო ტრიბუნების სულამდელი უფლებამოსილება, დაებრუნებინათ დიქტატურის დროს გაძევებული პირები და საკუთარი მიწებიდან გაძოძევებული იტალიკებისათვის კვლავ ჰიენიჰებინათ მათი უფლებები. ამ ღონისძიებათაგან მან შეძლო გაეტარებინა მხოლოდ იაფი პურის და-

რიგების აღდგენა და ისიც შეკვეცილი სახით. მისი კოლეგა, მეორე კონსული — ლუტაციუს კატულუსი მის წინააღმდეგ მოქმედებდა, როგორც სულას რეჟიმის მომხრე და დამცველი.

როცა ეტრურიაში ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელსაც სულამ მიწები ჩამოართვა თავისი ვეტერანებისათვის, ნამდვილი სამოქალაქო ომი გააჩაღა, სენატმა მის წინააღმდეგ საბრძოლველად წარგზავნა ორივე კონსული, ლუტაციუს კატულუსი და ლეპიდუსი. უკანასკნელმა ისარგებლა ამ შემთხვევით და ეტრურიაში საკმაოდ დიდი ჯარი მოაგროვა რომზე გალაშქრების მიზნით. ხოლო როცა მისი კონსულობის ვადა გავიდა, მან ხელი არ აიღო თავის თანამდებობაზე და სენატს წაუყენა კონსულად მეორედ არჩევის მოთხოვნა. მისმა ასეთმა საქციელმა სენატი ძალზე გააღიზიანა და იგი სახელმწიფოს მტრად გამოაცხადა. ამასთან ერთად, სენატმა საჭიროდ ჩათვალა შეირაღებული ბრძოლა მოეწყო ლეპიდუსის წინააღმდეგ და მისი ხელმძღვანელობა კატულუსს და პომპეუსს დააკისრა. პომპეუსი გაეშურა ლეპიდუსის თანაშემწის, მარიუსელის მარკუს იუნიუს ბრუტუსის წინააღმდეგ და მას ალყა შემოარტყა მუტინაში. ამასობაში ლეპიდუსი ჯარით რომს მიუახლოვდა და მის დაკავებას აპირებდა, მაგრამ კატულუსისაგან დამარცხება განიცადა და იძულებული იყო ეტრურიაში დაეხია. აქ იგი კვლავ დამარცხდა, სარდინიაში გადავიდა და იქ მიიცვალა. მისი ჯარის გადარჩენილი ნაწილი პრეტორად ნამყოფმა პერპერნამ ესპანეთში გადაიყვანა და სერტორიუსის ლაშქარს შეუერთა, პომპეუსმა კი მუტინა აიღო და ბრუტუსი სიკვდილით დასაჯა.

ვინ იყო კვინტუს სერტორიუსი, რომელთანაც გარბოდნენ რომიდან ლტოლვილი პირები? იგი იყო საუკეთესო სარდალი და ჩინებულად ფლობდა როგორც პარტიზანული, ისე გაშლილი ბრძოლის ტაქტიკას. მის შესახებ აპიანე თავის „იბერიკაში“ ზოგადად აღნიშნავს: „ცინას პარტიის მიერ იბერიის მმართველად არჩეულმა კვინტუს სერტორიუსმა თვით ეს იბერია აღმართა რომაელების წინააღმდეგ... იგი დიდი გამბედაობით გამოდიოდა რომის წინააღმდეგ“.

სერტორიუსი დაიბადა სამნიუმში და საკმაოდ მდიდარი ოჯახის წევრი ყოფილა. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი აღზრდა მთლიანად თაეს უდვია დედამისს და იმ დროის მიხედვით მას ბრწყინვალე განათლება მიუღია. ერთ დროს იგი სამოსამართლო საქმეებით ყოფილა გატაცებული და ენამჭევრი ორატორის სახელი მოუპოვებია. შემდეგ იგი მთელი ენერგიით შესდგომია პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობას. მამაცი და ნიჭიერი მეთაურის სახელი მოუხვეჭია მას ჯერ კიმვრებთან ომში და შემდეგ რომის წინააღმდეგ ამხედრებულ მოკავშირეებთან ბრძოლაში.

მარიუსელების ბატონობის დროს იგი რომში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და, სხვათა შორის, მონაწილეობა მიუღია იმ მონების სამარცხვინო ამოხოცვაში, რომლებიც მარიუსელებს მიემხრნენ და შემდეგ, თითქოს, თავიანთი ყოფილი ბატონების აწიოკება დაიწყეს. 83 წელს მარიუსელების ხელმძღვანელობას სერტორიუსი პრეტორად წარუგზავნია ესპანეთში. მაგრამ სულას დიქტატორული ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი იძულებული გამხდარა 81 წელს აფრიკაში გაქცეულიყო, ხოლო ორივე ესპანეთი სულას დაემორჩილა. ორიოდე წლის შემდეგ მავრიტანიაში სერტორიუსთან ესპანეთიდან მოსულან სულასდროინდელი მმართველების წინააღმდეგ აჯანყებული ლუზიტანების მოციქულები და უთხოვიათ დაბრუნებულიყო და მათი ლაშქრის სარდლობა ეკისრა. სერტორიუსს ეს თხოვნა დაუკმაყოფილებია და იბერიაში დაბრუნებულა, თან წაუყვანია მას ემიგრანტების რაზმი და მავრიტანელი მეომრები. ლუზიტანების გარდა, მას მიმხრობიან ებროს ჩრდილოეთით იბერები და კელტიბერები და ყველა მათგან მნიშვნელოვანი ჯარი შეუქმნია. სერტორიუსის მეთაურობით რომაელების ძალმომრეობის წინააღმდეგ თითქმის მთელი ესპანეთი ამდგარა. სერტორიუსმა ორივე ესპანეთის სულას მიერ წარგზავნილი მმართველები დაამარცხა და მთელს ესპანეთში დანთებული აჯანყების ცეცხლი ვერც კვინტუს მეტელუსმა ჩააქრო.

სერტორიუსის ბანაკი მარიუსელთა ემიგრაციის ცენტრი, მამოძრავებელ და მშობლიურ კერას მოწყვეტილ რომაელთა თავშესაფარი გახდა. სერტორიუსი თავის თავს რომის სახელმწიფოს კანონიერ წარმომადგენლად თვლიდა და თუმცა მის ჯარში მრავალი იბერიელი მსახურობდა, მაგრამ მის ძირითად ბირთვს მაინც რომაელები შეადგენდნენ. მართვის წესიც რომაული იყო: „ყველაფერი საჯშობლოს კანონებით“. ემიგრანტებისაგან მან შეადგინა უმაღლესი ორგანო — სამასწევრიანი სენატი, რომელიც ნიშნავდა თანამდებობის პირებს, პრეტორებსა და ქვესტორებს და განაგებდა იმ მხარეებს, რომლებიც სერტორიუსს ექვემდებარებოდნენ.

სერტორიუსი, პროვინციების რომაელი მმართველებისაგან სრული განსხვავებით, განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას და მისი წრფელი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მას მხსნელად სთვლიდნენ და მის პიროვნებას ღვთაებრივი შარაეანდედით მოსავდნენ.

თავისი ბრძნული პოლიტიკით სერტორიუსმა იბერიელ ტომთა შორის, როგორც ნათქვამი იყო, დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

გაბედული ხასიათი ჰქონდა აგრეთვე სერტორიუსის საგარეო პოლიტიკას. იგი არ მოერიდა ფორმალური ხელშეკრულება დაედო მითრიდატე პონტოელთან. მას მითრიდატესთან გაუგზავნია ორი მისი თა-

ნამოაზრე, რომლებიც მოუწოდებდნენ პონტოს მეფეს სერტორიუსის ქოკავშირე გამხდარიყო. მითრიდატე დათანხმებულა და თავის მხრივ სერტორიუსთან მოციქულები წარუგზავნია. დადებული ხელშეკრულებით სერტორიუსი მითრიდატეს შეჰპირდა, რომ მისცემდა კაპადოკიას, ბითვინიას, პაფლაგონიასა და გალატიას და მხეცურთმთავრად გაუგზავნია მარკუს ვარიუსი, რომიდან გამოქცეული სენატორთაგანი. მითრიდატემ თავის მხრივ მას 40 სომალდის მიწოდება და 3 ათასი ტალანტის გადახდა აღუთქვა.

ამასთან ერთად, სერტორიუსი დაკავშირებია კილიკიელ მეკობრეებსაც კი, რომელთაც მის განკარგულებაში მთელი ფლოტი გადაუცია.

სერტორიუსის ასეთ გაძლიერებას დიდი განგაში შეუქმნია რომში. ამბავი გავრცელებულა, რომ სერტორიუსი ახალი ჰანიბალია, რომელიც მთელ იტალიას და, კერძოდ, რომს ემუქრებაო. რომის სენატმა გადაწყვიტა მის მიმართ განსაკუთრებული ზომები მიეღო. რვა წელი მოუნდა რომის მთავრობა, რომ სასურველი შედეგებისათვის მიეღწია და საბოლოოდ ისიც უმთავრესად თვითონ სერტორიუსის ბანაკში მოწყობილი შეთქმულების წყალობით.

ჯერ კიდევ სულამ წარგზავნა სერტორიუსის წინააღმდეგ კვინტუს მეტელუსი, მაგრამ მან ვერ შეძლო თითქმის მთელ ესპანეთში დაწყებული ამბოხების ჩაქრობა, ახლა კი რომის სენატი სერტორიუსთან საბრძოლველად საუკეთესო ჯარებს გზავნის გნეიუს პომპეუსის წინამძღოლობით.

მართალია, პომპეუსმა ლეპიდუსის დამარცხების შემდეგ თავისი ჯარი არ დაშალა და სენატს, პირიქით, ესპანეთში დანიშვნა მოსთხოვა, რაც ეწინააღმდეგებოდა სულას მიერ დადგენილ წესებს, მაგრამ სენატი იძულებული იყო, მისი მოთხოვნა შეესრულებინა. 77 წელს პომპეუსმა პროკონსულის წოდებით გადალახა ალპები და ესპანეთში გადავიდა. პირველ წლებში ომი სერტორიუსსა და პომპეუსს შორის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ერთ-ერთ ბრძოლაში პომპეუსი დამარცხდა, მძიმედ დაჭრილი კინაღამ ტყვედ ჩავარდა და მთელ მის ჯარს განადგურება მოელოდა, დასახმარებლად მეტელუსი რომ არ გამოჩენილიყო.

ნათელი ხდება, რომ სერტორიუსი, როგორც სარდალი, პომპეუსზე გაცილებით მაღლა იდგა და საფიქრებელი გაჭარბების შემდეგ მისი პოზიცია უფრო განმტკიცდებოდა. მაგრამ მის ბანაკშივე თავი იჩინა ბორტმა შეთქმულებამ: მის გარშემო მყოფი რომაელები ვერ ერკვეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მის ბრძნულ პოლიტიკაში, ვერ ეგუებოდნენ იბერიელთადმი მის კაცთმოყვარეობასა და კეთილშობილ მზრუნველობას და ურთიერთშორის ბელადის მი-

მართ ღრმა უკმაყოფილებას აღვიეებდნენ. რომის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა, თავის მხარეზე გადაებირებინა ასეთი მერყევი ელემენტები და დიდ ჯილდოს მისცემდა იმას, ვინც სერტორიუსის მოკვეთილ თავს ჩააბარებდა. ეს ამბავი სერტორიუსს შეუმჩნეველი არ დარჩა, ამიტომ მან განდევნა თავისი რაზმიდან რომაელები და ისინი უერთგულესი იბერიელებით შეცვალა. როცა გამოირკვა, რომ შეთქმულები სერტორიუსის მოკვლას აპირებდნენ მან მათი ნაწილი დაჯალატიმრა და სიკვდილით დასაჯა. შეთქმულების ერთ-ერთმა მთავარმა ხელმძღვანელმა პერპერნამ, რომელიც, როგორც ვიცით, ლეპიდუსის ლაშქრის ნაწილით შეუერთდა სერტორიუსს, ოსკაში წინასწარი განზრახვით მოაწყო ნადიმი. აქ შეთქმულებმა მუხანათურად მოკლეს სერტორიუსი და მისი მცველები.

სერტორიუსის მოკვლის შემდეგ იბერიელების მეომართა უმრავლესობა თავიანთ სადგომებში დაბრუნდა; დარჩენილი ჯარის სარდლობა კი პერპერნამ იკისრა. მას საამისო არც ნიჭი ჰქონდა და არც ავტორიტეტი. პომპეუსმა ადვილად შეძლო მისი დამარცხება და ტყვედჩავარდნილი პერპერნა სიკვდილით დასაჯა. ასე დაამთავრა სიცოცხლე სერტორიუსის საწინააღმდეგო შეთქმულებისა და ღალატის მთავარმა მომწყობმა პერპერნამაც.

შეთქმულების სხვა მონაწილეთა ნაწილი პომპეუსს ჩაუვარდა ტყვედ და სიკვდილით დასაჯეს, მხოლოდ მცირე ხაწილმა მოახერხა აფრიკაში გაქცევა და თავს უშველა.

პლუტარქეს გადმოცემით პერპერნას, დასჯის წინ, პომპეუსისათვის გადაუცია სერტორიუსის საიდუმლო არქივი. პომპეუსს უბრძანებია ამ არქივის მთლიანად დაწვა.

2. მითრიდატეს მეორე ომი რომაელებთან

ჩვენ ვიცით, რომ მითრიდატეს წინააღმდეგ რომაელების პირველი ომი დარდანის ზავით დამთავრდა. მართალია, ამ ზავმა მითრიდატეს მდგომარეობა აზიაში ერთგვარად შეარყია, მაგრამ მას ჯერ კიდევ საკმაო ძალა და გავლენა შერჩა. ამიტომ მან მალე მოინელა ეს და კვლავ ენერგიულ მოქმედებას შეუდგა. ერთი მხრივ, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა თავისი ჯარების რომაული წესების მიხედვით რეორგანიზაციის საქმეში და ამისათვის ფართოდ გამოიყენა თავისთან მყოფი რომაელი ემიგრანტების გამოცდილება და დახმარება, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი ყურადღება მიაქცია ძლიერ მოკავშირეებთან ურთიერთობის განმტკიცებას. ამ მიზნით, არმენიის მეფეს, ტიგრანს მან ცოლად შერთო თავისი ქალი და დაუნათესავდა მეზობელ

სამეფოს ძლევამოსილ მბრძანებელს. ტიგრანის სამეფო კი დიდად იზრდებოდა და ძლიერდებოდა. მას შემდეგ, რაც სელევკიდების ოდესღაც ძლიერმა სამეფომ არსებობა შეწყვიტა, ტიგრანმა თავი მისი დამხობილი დინასტიის მემკვიდრედ გამოაცხადა და, სთვლიდა რა თავს დარიუსისა და ქსერქსეს მოადგილედ, ბაძავდა მათ ჩვეულებებსა და პოლიტიკაში. ხოლო მითრიდატეს, რომელსაც განუდგნენ კოლხები და ბოსფორელები, 83 წელს მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაუწყია. კოლხები მას სთხოვდნენ მეფედ დაესვა თავისი ძე — მითრიდატე უმცროსი. ეს თხოვნა მითრიდატეს შეუწყნარებია და კოლხებიც კვლავ დამორჩილებიან. მაგრამ შემდეგ მითრიდატე VI ეჭვი აღძრია, რომ ყოველივე ეს მისმა ძემ მეფობის მოპოვების მიზნით მოიმოქმედა, ამიტომ მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბორკილები და რამდენიმე ხანში მოკლა კიდეც. ბოსფორელებს წინააღმდეგ საბრძოლველად კი მითრიდატემ ფლოტი ააგო და დიდი ლაშქარი მოამზადა. სამზადისი ისე დიდი ყოფილა, რომ, — აპიანეს თქმით,—სასწრაფოდ გავრცელებული ხმა, თითქოს ის ბოსფორელებისა კი არა, რომაელების წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას.

ამას ისიც დაერთო, რომ აღმოსაელეთში სულას მოადგილე ლუციუს ლიცინიუს მურენა იმ საბაბით, ვითომც მითრიდატე დარდანის ზავით ნაკისრ მოვალეობებს არ ასრულებსო, მის სამფლობელოში შეიჭრა და რბევას შეუდგა. როცა მითრიდატეს კაცებმა მას ხელშეკრულება მოაგონეს, მან განაცხადა, მე ის არ მინახავსო. ასე ატყდა მითრიდატეს მეორე ომი რომაელებთან. მითრიდატემ შეძლო გამკლავებოდა მურენას და იგი დაამარცხა კიდეც. საქმეში სულა ჩაერია, რომელსაც აპიანეს თქმით, ღირსეულად არ მიაჩნდა დაზავებულ მითრიდატესთან ომი და მურენასთან ავლუს გაბინიუსი გაგზავნა წინადადებით, რათა მას ომი შეეწყვიტა, ხოლო მითრიდატე და კაპადოკიის მეფე, არიობარზანე ერთმანეთში მოერიგებინა. ასე დამთავრდა მითრიდატესა და რომაელების მეორე ომი, დაახლოებით მესამე წელს.

ამით ისარგებლა მითრიდატემ და 80 წელს განდგომილი ბოსფორი დაიმორჩილა; აქ მეფედ თავისი ძე — მახარე დასვა და თავს დაესხა აქეელებს, რომლებშიც აპიანეს გადმოცემით, იმ ხალხს გულისხმობდნენ, რომელსაც ტროის ომიდან უკან დაბრუნებისას გზა აებნაო. მათთან ბრძოლაში მითრიდატეს ლაშქრის ორი მესამედი დაუკარგავს და უკან დაბრუნებულა.

78 წელს მითრიდატემ და ტიგრან II კვლავ გაილაშქრეს კაპადოკიაზე და ხელთ ჩაიგდეს მისი სატახტო ქალაქი მაზაკი. ადრე დადებული ხელშეკრულების თანახმად, კაპადოკიის ტერიტორია მითრიდატეს გადაეცა, ხოლო ნადავლი — ტიგრანს, რომელმაც აქედან 300

ათასი კაცი გადააასახლა არმენიაში და დაასახლა: „იქ, სადაც მან პირველად დაიდგა არმენიის გვირგვინი“.

77 წელს არმენიის და მესოპოტამიის საზღვარზე ტიგრანმა დააარსა ახალი სატახტო ქალაქი — ტიგრანოკერტა და, „სთელიდა რა იგი თავს დარიუსისა და ქსერქსეს მოადგილედ, ბაძავდა აქემენიდებს ჩვეულებებსა და პოლიტიკაში“.

ამავე დროს, მითრიდატე გრძნობდა, რომ დარდანის ხელშეკრულება რომაელებთან ბრძოლაში მხოლოდ შესვენება იყო და ფართოდ ემზადებოდა ახალი გადამწყვეტი ომისათვის, რაზედაც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

8. მონათა უდიდესი აჯანყება სპარტაკის მეთაურობით

როცა რომი ზემოთ აღწერილ შინაგან და გარეგან გართულებას განიცდიდა, ძვ. წ. 74 წელს იტალიაში დაიწყო მონათა უდიდესი აჯანყება, რომელმაც დიდად შეარყია მთელი სახელმწიფო.

ხშირი ომიანობის შედეგად რომაელებმა იტალიაში მონების აუარებელ რიცხვს მოუყარეს თავი. ამავე დროს, ქალაქის მონათა განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენდნენ, ეგრეთ წოდებული გლადიატორები (სიტყვისგან „მახვილი“). ისინი იყვნენ მონები, რომელთაც სპეციალურად წვრთნიდნენ ურთიერთშორის სასიკვდილო ბრძოლისათვის და ეს სანახაობა მონათმფლობელური საზოგადოების ყველაზე სასიამოვნო გასართობი იყო. არსებობს ცნობა, რომ იგი რომაელებმა ეტრუსკებისაგან გადმოიღეს. გლადიატორებს ლონიერი მონებისაგან არჩევდნენ და მათ მკაცრი რეჟიმის განსაკუთრებულ სკოლებში სპეციალური მასწავლებლები ავარჯიშებდნენ.

გლადიატორების სკოლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა პრენესტეს და კაპუას სკოლები. კამპანიის ქალაქ კაპუაში ამ დროს ცნობილი იყო ვინმე ლენტულუს ბატიატეს სკოლა. ამ სკოლაში სათანადო წვრთნას გადიოდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მონები: თრაკიელები, სამნიტები, ლიგურიელები, კელტები, გერმანელები. აქედან იგზავნებოდნენ სახელმწიფოს ცენტრებში კარგად გაწვრთნილი გლადიატორები ასპარეზზე საბრძოლველად. უაღრესად სასტიკ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება ამ სკოლის გლადიატორებს: მათი ნაბიჯი რეგლამენტირებული იყო და მათ მუდმივ მკაცრ ზედამხედველობას უწევდნენ. არაადამიანური პირობები უნერგავდა მათ მონობის უღლისაგან განთავისუფლების აუცილებლობას. ამ ნიადაგზე, 74 წელს, გლადიატორებს შორის დაიწყო შეთქმულება, რომელშიც ორასამდე კაცს მიუღია მონაწილეობა. შეთქმულება გამოააშკა-

რავეს, მაგრამ 70 მონაზე მეტმა მოახერხა ქალაქიდან გაქცევა და ვეზუვიზე გამაგრება.

ამ ამბავს ასე მოგვითხრობს აპიანე: „სწორედ ამ დროს იტალიაში გლადიატორთა შორის, რომელთაც კაპუაში წვრთნიდნენ თეატრალური წარმოდგენებისათვის, იყო თრაკიელი სპარტაკი. წინათ იგი ეომებოდა რომაელებს, ტყვედ ჩავარდა და გლადიატორად გაიყიდა. სპარტაკმა 70-მდე თავისი ამხანაგი დაარწმუნა თავისუფლებისათვის ებრძოლათ და მიუთითებდა, რომ ეს უკეთესია, ვიდრე თეატრში თავის გამეტებაო. ისინი თავს დაესხნენ მცველებს, გაუსხლტნენ რკალს და ქალაქიდან გაიქცნენ. შეიარაღდნენ რა ხელკეტებით და სატევრებით, რომლებიც მათ შემთხვევით მგზავრებს ჩამოართვეს, გლადიატორები ვეზუვის მთაზე წავიდნენ. სპარტაკმა მიიღო რა ბრბოს შემადგენლობაში მრავალი გაქცეული მონა და ზოგიერთი სოფლის თავისუფალი მუშებისაგან, აქედან უახლოეს მიდამოებზე იწყო თავდასხმა, თანაშეწეებად მას ჰყავდნენ გლადიატორები — ენომაოსი და კრიქსოსი. რადგან სპარტაკი ნადავლს ყველას თანაბრად უნაწილებდა, მალე მასთან ხალხმა მრავლად მოიყარა თავი“.

მართალია, რომაელი და ბერძენი ავტორები ბევრს წერდნენ სპარტაკზე, მაგრამ ჩვენამდე ყველა ცნობას არ მოუღწევია და ის მასალაც, რომელიც დროთა მსვლელობამ შემოგვინახა, ხშირად მოკლეა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი. აღსანიშნავია, რომ ყველა ავტორი ხაზს უსვამს სპარტაკის იშვიათ კეთილშობილებასა და გმირობას. მაგალითად, პლუტარქე, რომელმაც შედარებით ვრცელი ცნობები მოგვცა მის შესახებ, კრასუსის ბიოგრაფიაში გვარწმუნებს: სპარტაკი იყო „ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა არა მარტო განსაკუთრებული მამაცობითა და ფიზიკური ძალით, არამედ თავისი ჭკუითა და ხასიათის სირბილით უფრო ელინს ემსგავსებოდაო“. სპარტაკის სადაურობის ყველა წყარო თითქმის შეთანხმებულია. იგი წარმოშობით თრაკიელი იყო. პლუტარქეს თქმით სპარტაკი რომის ჯარში მოქირავნედ მსახურობდა, შემდეგ ჯარიდან გაიქცა, რომაელებს ტყვედ ჩაუვარდა და გლადიატორებში ჩარიცხეს.

თავდაპირველად ვეზუვის მთაზე გაქცეული გლადიატორების მოქმედებას რომის ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და, ოროზიუსის სიტყვით რომ ვთქვათ, მას „მარტივად უყურებდნენ“; ხოლო აპიანეს თქმით, „რომაელები მას ნამდვილ ომად კი არა, არამედ უბრალო ყაჩაღურ თავდასხმად სთვლიდნენ“. ამიტომ სპარტაკის წინააღმდეგ მხოლოდ ადგილობრივ რაზმებს გზავნიდნენ, რომელთაც აჯანყებულები ადვილად უსწორდებოდნენ და ძალით ართმევდნენ იარაღს. ამან რომაელები შეაშფოთა და გაქცეულ გლადიატორებთან საბრძოლველად გაგზავნეს პრეტორი გაიუს კლავდიუსი

3-ათასიანი რაზმით. მასთან შეტაკებაში სპარტაკმა თავისი სამხედრო ნიჭი გამოააშკარავა. კლავდიუსი თავისი რაზმით მთის ძირში ისეთ ადგილას დაბანაკდა, სადაც ზევიდან მხოლოდ ერთი სანდო ჩასასვლელი იყო. ამით მას სურდა მონებისათვის უკანდასახევი გზა გადაეჭრა, მაგრამ იგი მოტყუვდა. სპარტაკი უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, მან თავისიანებს დაავალა გარეული ვაზის ლერწისაგან კიბე დაეწნათ: მასზე ისინი ძირს დაეშვნენ და მოულოდნელად თავს დაატყდნენ კლავდიუსის რაზმს, რომლებმაც თავს გაქცევით უშველეს, ბანაკს კი გლადიატორები დაეპატრონენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ რომმა კამპანიაში გაგზავნა პრეტორი პუბლიუს ვარინიუსი ორი ლეგიონით, სპარტაკმა აქაც დიდი სიმხნევე გამოიჩინა: ჯერ მისი ლეგატები დაამარცხა და შემდეგ თვითონ პრეტორი. „ვარინიუსს ცხენიც კი წაართვა თვითონ სპარტაკმა, ხოლო რომაელმა მხედარმთავარმა ისეთი საფრთხე განიცადა, რომ გლადიატორებს კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა“ (აპიანე). ასეთი ბრწყინვალე წარმატების შემდეგ სპარტაკის გარშემო მონებმა უფრო ფართოდ იწყეს თავმოყრა.

სპარტაკის მოძრაობა კამპანიის საზღვრებს გასცილდა და მეზობელ მხარეებშიც გავრცელდა. მისმა არმიამ 70 ათასს მიაღწია და „აჯანყებულები სჯედავდნენ იარაღს დე სურსეთ-სანოვაგეს აგროვებდნენ“. ახლა სპარტაკი მართლაც გახდა რომისათვის „დიდი მრისხანე ძალა“.

სპარტაკის პიროვნების დამახასიათებელია ის, რომ თავის არმიას იგი არა მარტო აიარაღებდა, არამედ ჯარისკაცებს უმთავრესად დაჯერების გზით უნერგავდა დისციპლინას და ებრძოდა მონების იმ ნაწილს, რომლებიც ადგილობრივი, მოსახლეობისადმი სრულ თავაშვებულობასა და უხეშ ძალმომრეობას იჩენდნენ. სალუსტიუსი ამ მხრივ საყურადღებო შემთხვევებს გადმოგვცემს. სპარტაკს, ძველი წყაროების მიხედვით, ახასიათებდა უანგარობა და პატიოსნება, რაც, სხვათა შორის, მის მიერ თავის ბანაკში ოქროსა და ვერცხლის ხმარების აკრძალვითაც გამოიხატა.

ჰქონდა თუ არა დასახული სპარტაკს მონათმფლობელურ რომთან ბრძოლაში გარკვეული გეგმა? ამ კითხვაზე არსებითად ორი პასუხი შეიძლება გექონდეს: ერთი გვარწმუნებს, რომ ის „მიმართული იყო მთელი მაშინდელი რევოლუციური მოძრაობის გეგმის განხორციელებისაკენ: გაენადგურებინა და მოესპოთ ქალაქი რომი, როგორც მონათმფლობელობის მთავარი ცენტრი, როგორც იმ დროის ყველა უსაზღვრო უბედურების მიზეზი. ძველ წყაროებში ასეთი მოსაზრების დამადასტურებელი ცნობები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. პირიქით, არსებობს პლუტარქეს აზრი, რომ სპარტაკს კარგად ჰქონდა გა-

თვალისწინებული ის, რომ ვერ შეძლებდა რომაელების ძლევამოსილების შემუსვრას და ამიტომ თავისი ჯარი წაიყვანა ალპებისაკენ, რათა თითოეულისათვის მიეცა საშუალება, მათზე გადასვლის შემდეგ შინ დაბრუნებულიყო. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სპარტაკს განზრახული ჰქონდა, რაც შეიძლება მეტი მონა გაეყვანა იტალიის საზღვრებიდან და თავიანთ ოჯახებში დაებრუნებინა.

ყოველ შემთხვევაში, რომის სენატმა ბოლოს მთლიანად გაითვალისწინა ის დიდი საფრთხე, რომელიც რომს სპარტაკისაგან მოელოდა და მის წინააღმდეგ უფრო რადიკალურ ზომებს მიმართა. მასთან საბრძოლველად 72 წლის ორივე კონსული — ლუციუს გელიუსი და კორნელიუს ლენტულუსი გაგზავნა.

ამ დროს თვითონ სპარტაკის ბანაკში წარმოიშვა უთანხმოება, ძნელია ამ უთანხმოების მიზეზის ზუსტად გარკვევა. ჩვენი დროის მკვლევარები მას სხვადასხვანაირად განგვიმარტავენ და, სხვათა შორის, ხაზს უსვამენ აჯანყებულ მონათა ტომობრივი შემადგენლობის ნაირსახეობას.

ასე იყო თუ ისე, კრიქსი 20-ათასიანი რაზმით გამოეყო სპარტაკის არმიას და დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება. კონსულ გელიუსის ჯარმა ეს რაზმი გაანადგურა აპულიაში და ბრძოლაში კრიქსიც დაიღუპა. როგორ მოიქცა ამის შემდეგ სპარტაკი? მან რამდენიმე დამარცხება აგემა რომაელების ჯარებს და შემდეგ სწრაფად გაეშურა ჩრდილოეთისაკენ. მისი ჯარი, აპიანეს გადმოცემით, 120 ათასამდე გაიზარდა. მუტინაში (მოდენაში) მან დაამარცხა ციზალპური გალიის პროკონსულის კასიუს ლონგინუსის ჯარი და ამით ალპებისაკენ მიმავალი გზა გაწმინდა, მაგრამ მოულოდნელად შეცვალა. თავისი მსვლელობის გეზი, უკან მობრუნდა და თვით ქალაქ რომზე გალაშქრება განიზრახა. აპიანე მოგვითხრობს: „შესწირა რა დაღუპულ კრიქსს მსხვერპლად 300 ტყვე რომაელი, სპარტაკი 120-ათასიანი ქვეითი ჯარით აჩქარებით დაიძრა რომისაკენ. მან ბრძანა დაეწვათ მთელი ზედმეტი აღალი, დაეხოცათ ყველა ტყვე და დაეკლათ სასაპალნე საქონელი, რათა მსუბუქად ევლოთ. გაღმოსულებს, რომლებიც მასთან მრავლად მოდიოდნენ, სპარტაკი აღარ იღებდა“.

რატომ შეცვალა სპარტაკმა პირვანდელი თავისი გეგმა სწორედ იმ დროს, როცა ალპებს მიადგა? შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მის ლაშქარში იმ ნაწილმა გაიმარჯვა, რომელიც რომზე გალაშქრებას ფიქრობდა და სპარტაკი იძულებული გახდა მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ რომზე მას მაინც არ გაულაშქრია. რომზე გალაშქრების გადაწყვეტილება, აპიანეს თქმით, მან შეცვალა, რადგან „თავს რომაელების ტოლქალოვნად არ თვლიდა“.

ამავე დროს, რომი დიდმა განგაშმა მოიცვა. სენატმა უბრძანა კონ-

სულებს შეეწყვეტათ საომარი მოქმედება სპარტაკის წინააღმდეგ და, სამაგიეროდ, პრეტორი მარკუს ლიცინიუს კრასუსი განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვა და პროკონსულის წოდებით მთავარსარდლად დანიშნა. მართალია, მას განკარგულებაში 10 ლეგიონი გადასცეს, მაგრამ ჯარისკაცებში დისციპლინა საგრძნობლად შერყეული იყო. კრასუსის ლეგატ მუმიუსის მეთაურობით ორმა ლეგიონმა სპარტაკთან შეტაკებაში დიდი დამარცხება განიცადა და ჯარისკაცების მხოლოდ ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. საჭირო გახდა ჯარში დისციპლინის აღდგენა და კრასუსმა განაახლა, ეგრეთ წოდებული დეციმაცია, რომელიც წილისყრით ყოველი მეათე ჯარისკაცის სიკვდილით დასჯაში გამოიხატებოდა. აპიანეს გადმოცემით, ასეთი წესით დასჯილთა რიცხვი 4 ათასს აღწევდა და „კრასუსი თავისი ჯარისკაცებისათვის უფრო საშინელი აღმოჩნდა, ვიდრე მათი დამმარცხებელი მტრები."

სპარტაკმა შეძლო სამხრეთისაკენ გაეკაფა გზა და ლუკანიით ბრუტიუმისაკენ დაიძრა. ერთხანად სპარტაკმა დაიკავა მთები თურიის გარშემო და თვითონ ქალაქიც. აქვე აუკრძალა მან ნადავლის შესასყიდად მოსულ ვაჭრებს ოქროსა და ვერცხლის გადახდა. რაზეც საუბარი უკვე გვქონდა.

სპარტაკს თან მოსდევდა კრასუსი თავისი ჯარით. სპარტაკმა განიზრახა ჯარის ნაწილი სიცილიაზე გადაეყვანა, რათა აქ, — პლუტარქეს თქმით, — კვლავ გაეჩაღებინა სიცილიელი მონების აჯანყება, რომელიც ადრე ჩააქრეს. საკმარისი იყო ნაპერწკალი, რომ იგი ახალი ძალით აფეთქებულიყო; მაგრამ ამ განზრახვის შესასრულებლად საჭირო იყო ტრანსპორტი, რომელიც მას არ გააჩნდა. ამიტომ აჯანყებული მონების ბელადი შეუთანხმდა კილიკიელ პირატებს, რათა მათ თავიანთი ხომალდებით გადაეყვანათ სიცილიაზე მისი ჯარის ნაწილი. მაგრამ პირატებმა უმტყუნეს და დაპირება არ შეუსრულეს. ჯარის გადაყვანა ტივებით არ მოხერხდა, მით უმეტეს, რომ სიცილიის ნაპირები, რომაელების მიერ იყო გამაგრებული და დაცული. ამასობაში ჩრდილოეთიდან მის ბანაკს მოადგა კრასუსი და ბრუტიუმში მომწყვდეული მისი არმია სხვა ნაწილებს მთლიანად მოწყდა. კრასუსს იგი რომ უფრო მჭიდროდ ჩაეკეტა, „ზღვიდან და ზღვამდე ღრმა თხრილი გაუვლია. ხოლო მთელი თხრილის გასწვრივ ისეთი კედელი გაუყვანია, რომელიც ყველას აოცებდა თავისი სიმაღლითა და გამძლეობით" (პლუტარქე). პირველი ცდა ასეთი ზღუდის გადალახვისათვის ძარცხით დამთავრებულა, მაგრამ შემდეგ სპარტაკს მოუხერხებია მისი დაძლევა და კვლავ ლუკანიაში გადასულა. კრასუსს კი უფიქრია, მონები რომზე გაილაშქრებენო.

ასეთი ვითარების გამო იგი იძულებული გახდა დახმარება მოეთხოვა და რომის სენატმა მის დასახმარებლად სასწრაფოდ გამოიწვია

ესპანეთიდან პომპეუსი და მაკედონიიდან მარკუს ლიცინიუს ლუკულლუსი, რომლის ლაშქარი ბრუნდიზიუმში უნდა გადმოსულიყო. სპარტაკის ლაშქრის გარშემო რკალი თანდათან ეიწროვდებოდა. ასე გართულებულ ვითარებაში მონებს შორის კვლავ წარმოქმნილა უთანხმოება. საქმე ის იყო, რომ სპარტაკი იონიის ზღვაზე რომაელების მთავარ საშხედრო ნავსადგურ ბრუნდიზიუმისაკენ დაიძრა, იმ მიზნით, რომ თავისი არმია ხომალდებით საბერძნეთში გადაეყვანა და, შესაძლოა, აქედან თავიანთ ქვეყნებში დაებრუნებინა. მისი ლაშქრის ორი გამოჩენილი მეთაური ასეთი განზრახვის წინააღმდეგ გამოსულა და ისინი თავიანთი ბომბრეებით სპარტაკს განდგომიან. ამ გამოყოფილ რაზმს თავს დასხმია კრასუსი და სისხლისმღვრელ ბრძოლაში 12 ათასამდე მონა დალუპულა. რა თქმა უნდა, ასეთ ამბავს საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა სპარტაკისათვის.

კრასუსს სწყუროდა თვითონ დაემთავრებინა ომი სპარტაკთან, ვიდრე ბრძოლის ველზე პომპეუსი და ლუკულლუსი გამოჩნდებოდნენ. ამიტომ მან მკაცრად შეუტია სპარტაკის არმიას. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 71 წელს, აპულიაში. ამ ბრძოლას აპიანე ასე აგვიწერს: „სპარტაკი ხელშუბით დაკრეს ბარძაყში, მუხლებზე დაცემულმა მან ფარი აწია და იგერიებდა თავდამსხმელებს. ვიდრე გარშემოხვეულთა დიდ რიცხვთან ერთად არ დაიღუპა. სრულ არეულობაში მყოფი დანარჩენი მისი ჯარი აკუწეს. ამბობენ, რომ მოკლულთა რიცხვის დადგენაც კი არ შეიძლებოდაო. რომაელთაგან ათას კაცამდე დაიღუპა. სპარტაკის გვამი ვერ იპოვეს“.

სხვაგვარად გადმოგვცემს სპარტაკის სიკვდილს პლუტარქე: „ბრძოლის დაწყების წინ მას ცხენი მოკვეარეს. მაგრამ სპარტაკმა მახვილი იძრო, მოკლა იგი და თქვა: გამარჯვების შემთხვევაში ბევრი კარგი ცხენი მერგება მტრებისაგან, დამარცხების შემთხვევაში კი აღარც ჩემი დამჭირდებაო. ამ სიტყვებით იგი კრასუსისაკენ გაემართა და მოკლა ორი ცენტურიონი, რომლებიც წინ შეეჩეხნენ. ბოლოს იგი, თანამოსანგრეთაგან მიტოვებული, მტრების მიერ გარშემორტყმული, დაიღუპა მათი დარტყმებით ისე. რომ ერთი ნაბიჯითაც არ დაუხვევია უკან და ბოლომდე იბრძოდაო“.

გადარჩენილი სპარტაკელების დიდი რიცხვი ბრძოლის შემდეგ მთებში გაქცეულა, მაგრამ კრასუსი უკან დასდევნებია. ისინი ოთხ ნაწილად გაყოფილან თურმე და მტერს იგერიებდნენ, ვიდრე არ დახოცილან. მათგან 6 ათასი კაცი კრასუსს დაუტყვევებია და რომსა და კაპუას შორის ჯვარზე გაუკრავს. ამის შემდეგაც იტალიაში ხანგრძლივად არსებობდნენ სპარტაკელების ცალკეული რაზმები. სხვათა შორის, პომპეუსის ბიოგრაფიაში პლუტარქე გადმოგვცემს: „კრასუსის სწრაფი და მამაცური მოქმედების მიუხედავად, ბედმა ერთგვარად ამ

გამარჯვებაშიც არგუნა წილი პომპეუსს. მას ხელთ ჩაუვარდა ბრძოლიდან გამოქცეული ხუთი ათასი მონა. ამოჟლიტა რა სულ ერთიანად ეს მონები, პომპეუსმა დაასწრო კრასუსს და სენატს მისწერა, კრასუსმა გლადიატორები დაამარცხა ველზე გამართულ ბრძოლაში, ხოლო მე, პომპეუსმა, საკუთარი ალმოვფხარი ამ ომის ფესვებიო".

მონათა აჯანყებამ სპარტაკის მეთაურობით ძველი რომის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა იმ მხრივ, რომ რომის სახელმწიფოს საგრძნობლად შეარყია. რომაელი მონათმფლობელები დიდხანს შიშით იგონებდნენ მონათა სახელოვან ბელადს, რომელმაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. შეიძლება ითქვას, რომ სპარტაკის აჯანყება მთელი მონათმფლობელური წყობილების შერყევა და მისი კრიზისის ერთ-ერთი მძლავრი გამოვლინება იყო. ამ აჯანყების ჩაქრობის შედეგად იტალიამ დაკარგა არანაკლებ 100 ათასი მონისა. მონების რიცხვის ასეთმა შემცირებამ და შიშმა, მსგავსი აჯანყების განმეორების შიშმა მამულების მქონე მონათმფლობელები აიძულა თავიანთ მეურნეობაში, ერთი მხრივ, უპირატესობა ნაყიდ მონებთან შედარებით სახლში დაბადებული მონებისათვის მიეკუთვნებინათ და, მეორე მხრივ, დაეწყოთ მსხვილი მამულების პატარა ნაკვეთებად დანაწილება და კოლონებისათვის იჯარით გადაცემა. ამ ეპოქის ძეგლებში ჩვენ პირველად გვხვდება სიტყვა კოლონის ხმარება სწორედ ამ მნიშვნელობით.

4. სულა ძველი კონსტიტუციის აღდგენა

ჩვენ უკვე გავეცანით სულას სიკვდილის შემდეგ მის მიერ შექმნილი წყობილების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას, უმთავრესად ლეპიდუსისა და სერტორიუსის მოძრაობათა სახით. იმავე მიმართულებით უნდა მოვიგონოთ ახალგაზრდა იულიუს კეისრის პირველი ოპოზიციური მოქმედება. წარმოშობით იგი იულიუსების პატრიციულ გვარს ეკუთვნოდა. მამამისი პრეტორი იყო, მამიდამისი კი ცოლად ჰყავდა მარიუს უფროსს, ხოლო მარიუს უმცროსი მისი დეიდაშვილი იყო. ამის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახური ტრადიციით იგი უფრო პოპულარების პარტიასთან იყო დაკავშირებული. ცამეტიოდე წლისა ყოფილა კეისარი, როცა იუპიტერის ქურუმად აურჩევიათ. მას ცოლად შეურთავს ცინნას ასული კორნელია. სულა ასეთი შეუღლების დიდი წინააღმდეგი ყოფილა და მისთვის განქორწინება მოუთხოვია, მაგრამ უშედეგოდ. პლუტარქეს თქმით, სულას მისი მოკვლაც კი ნდომებია და თითქოს როცა ზოგიერთებმა უთხრეს, ასეთი ყმაწვილის მოკვლას არავითარი აზრი არა აქვსო, სულამ მათ ასე მიუგო: „თქვენ ბრიყვები ყოფილხართ, თუ ვერ ხედავთ, რომ ამ ყმა-

წვილში მრავალი მარიუსი ზისო". სულას მუქარამ აიძულა კეისარი რომს გასცლოდა, მან რამდენიმე წელი აზიაში გაატარა და რომში მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა.

რომში დაბრუნებული კეისარი, 77 წელს, არ მოერიდა სამართალში მიეცა, პროვინციაში ჩადენილ გამოძალვათა გამო, ყველაზე მეტად თავხედი მიმთვისებელი, სულას პირადი მეგობარი, კორნელიუს დოლაბელა. მის ბრალდებას თავისი მოწონებით საბერძნეთის მრავალმა ქალაქმა დაუჭირა მხარი. მაგრამ დოლაბელა გაამართლეს. მეორე წელს კეისარი მძლავრად გამოვიდა სულანელ პუბლიუს ანტონიუსის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად სდებდნენ მექრთამეობას. თავისი ჩინებული დასაცავი სიტყვების მეოხებით კეისარმა რომში ფრიად ბრწყინვალე სახელი მოიხვეჭო, გვარწმუნებს პლუტარქე. 75 წელს კეისარმა მხარი დაუჭირა სახალხო ტრიბუნის პლავციუსის წინადადებას ლეპიდუსის აჯანყებაში მონაწილეთა ამნისტიის შესახებ და ამასთან დაკავშირებით სახალხო კრებაში ოვითონ წარმოთქვა სიტყვა. შემდეგ იგი კვლავ აღმოსავლეთში წავიდა და მხოლოდ 74 წელს დაბრუნდა უკან. ამავე დროს რომში სახალხო ტრიბუნები არ ერიდებოდნენ მოსალოდნელ სასჯელს და გაბედულად ექომაგებოდნენ ხალხს. ასეთ ტრიბუნთა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს 73 წლის სახალხო ტრიბუნს გაიუს ლიკინიუს მაცერს. მაგრამ რადგანაც მმართველი ოლიგარქია მტკიცედ იცავდა სულას მიერ შექმნილ რეჟიმს, მაცერი მოუწოდებდა ხალხს, არ ებრძოლა მდიდართა საქმისათვის და უარი განეცხადებინა სამხედრო სამსახურზე. სულას რეჟიმის კრიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ საეროსამართლო პროცესს, ციცერონმა რომ აღძრა 71 წელს სიცილიის მმართველის — ვერესის წინააღმდეგ, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ უდიდეს ძალმომრეობასა და გამოძალვას იჩენდა.

ყოველივე ამან აიძულა რომის მმართველი წრეები დათმობაზე წასულიყვნენ და სულამდელი წყობილების აღდგენაზე დათანხმებულიყვნენ. ეს კი დაკავშირებული იყო ორი ცნობილი სარდლის — პომპეუსისა და კრასუსის სახელთან, რომში დაბრუნების შემდეგ მათ თავიანთი ჯარები არ დაითხოვეს, ერთმანეთთან პოლიტიკური შეთანხმება დადეს და პოპულარებს სულამდელი კონსტიტუციის აღდგენა აღუთქვეს.

ამ ორ სარდალს შორის მოხდა შეთანხმება და ისინი 70 წლის კონსულებად აირჩიეს. პლუტარქეს გადმოცემით, „ბაშინდელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ყველაზე უფრო ენამჭევრმა და უღიზღსმა კაცმა, კრასუსმა, რომელიც პირადად პომპეუსს და, საერთოდ, ყველას ზიზღითა და ამაყად უყურებდა, ვერ გაბედა კონსულის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის წამოყენება მანამდის, სანამ ამის ნებარ-

თვა პომპეუსს არ სთხოვა". თურმე „პომპეუსს ეს მეტად ესიამოვნა". როგორც ჩანს, პომპეუსი და კრასუსი ხასიათით და მდგომარეობით იმდენად განსხვავდებოდნენ, რომ მათი შეთანხმება ხანგრძლივი და, მით უმეტეს, მყარი ვერ იქნებოდა. პლუტარქე გვარწმუნებს, „პომპეუსი და კრასუსი არჩეულ იქნა კონსულებად, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან მეტისმეტად განსხვავდებოდნენ და ამის გამო ერთმანეთში ხშირად უთანხმოება ჰქონდათო".

ყოველ შემთხვევაში, კრასუსმა და პომპეუსმა გააუქმეს სულას ანტიდემოკრატიული ღონისძიებები და მთლიანად აღადგინეს სახალხო ტრიბუნის უფლებამოსილება, განაახლეს ცენზორის თანამდებობა, ხოლო ახლად არჩეულმა ცენზორებმა სენატი გაწმინდეს იმ პირებისაგან, რომლებიც სენატორებად უშუალოდ სულას მიერ იყვნენ დაყენებული. ამას გარდა, პრეტორმა — ავრილიუს კოტამ გაატარა სასამართლოების რეფორმა, რომლის თანახმად, სასამართლოს მუდმივი კომისიების შემადგენლობა ასეთი შეფარდებით განაწილდა: ერთი მესამედი — სენატორებს, ერთი მესამედი — მხედრებს და ერთი მესამედი — ერარიულ ტრიბუნებს (ალბათ, მდიდარი პლებეები, რომლებსაც მხედრების შემდეგ მეორე ადგილი ეკავათ).

3. მეკობრეების თარეში და პომპეუსის ბრძოლა მათ წინააღმდეგ

მეკობრეების თარეში ამ დროს ზღვასა და სანაპიროებზე უკიდურეს წერტილს აღწევს, როგორც ამაზე შედარებით ვრცლად მოგვითხრობენ პლუტარქე და აპიანე. ისინი პატრონობდნენ ხმელთაშუა ზღვის არა მარტო აღმოსავლეთ რაიონებში, არამედ შორს დასავლეთით „ვიდრე ჰერაკლეს სტელებამდე". მეკობრეების მთავარი პუნქტები იყო კილიკიისა და კრეტის ზღვისპირა ქალაქები. „მაგრამ მათ ყველგან ეპირათ ციხე-სიმაგრეები, კონცხები, უდაბური კუნძულები და ნავსაყუდურები". ვინაიდან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან გამაგრებულ ადგილად კილიკიის პუნქტები ითვლებოდა, ამიტომ მეკობრეების საერთო სახელი კილიკიელები იყო. მითრიდატეს რომთან ბრძოლაში ფართოდ უსარგებლია მეკობრეების ფლოტით. მათთან კავშირი ჰქონდა სერტორიუსსაც. ისინი თავს ესხმოდნენ, ანგრევდნენ და აჩანაგებდნენ გაუმაგრებელ ქალაქებს, ხოლო ოდნავ შეძლებული ხალხი ნავსაყუდელში მიჰყავდათ და მხოლოდ გამოსასყიდის მიღების შემდეგ ათავისუფლებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მონებად ჰყიდდნენ. მეკობრეების ფლოტი გამოირჩეოდა მამაცი მეზღვაურებით, გამოცდილი მესაჭეებით და ათასზე მეტი სწრაფი და მსუბუქი ხომალდით. მეკობრეებთან გარბოდნენ მონები, გაძევებულები და ის პირები, რომელთაც სასჯელი ემუქრებოდათ, აგრეთვე ავანტიურისტები.

ისინი თურმე განსაკუთრებით ემტერებოდნენ რომაელებს. „ისინი ზღვიდან ხმელეთზეც გამოდიოდნენ ხოლმე, რომაელთა შარაგზაზე უჩალობდნენ და სანაპირო დაბებს ძარცვავდნენ. ერთხელ მათ მოიტაცეს მეუამული ფერით ნაქარგი, ტოგებით მორთული ორი პრეტორი“ მსახურებითა და ლიქტორებით.

მეკობრეებმა ზღვაზე მოგზაურობა და ვაჭრობა შეუძლებელი გახადეს და იმდენად გათავხედდნენ, რომ ოსტიასაც კი თავს დაესხნენ. ამით რომისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება შეაფერხეს და ხალხი შიმშილობის წინაშე დადგა. მართალია, რომის სენატს რამდენიმე ექსპედიცია გაუგზავნია მეკობრეების წინააღმდეგ, მაგრამ მათ რაიმე წარმატებისათვის ვერ მიეღწევიათ. ამ გარემოებამ გადააწყვეტინა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობით შეწუხებულსა და მოსალოდნელი შიმშილობით შეშინებულ რომაელებს, უმთავრესად პოპულარების წრეს, მეკობრეების წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღება მოეთხოვათ. ამიტომ 67 წლის სახალხო ტრიბუნს ავლუს გაბინიუსს წარუდგენია კანონპროექტი, რომლის ძალით ერთ-ერთ კონსულს სამი წლით უნდა მინიჭებოდა პროკონსულის ხელისუფლება მთელ ხმელთაშუა ზღვაზე და ხმელეთზე ზღვის სანაპიროდან 50 მილის დაშორებით. კანონპროექტში დასახელებული არ ყოფილა ის პირი, ვისაც ასეთი უფლებები უნდა მინიჭებოდა: მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ის პომპეუსს გულისხმობდა, ოპტიმატებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ ამ კანონპროექტის გატარებისათვის, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ სახალხო კრებას იგი მიუღია და შემდეგ პერსონალურად პომპეუსი აურჩევია, რომელსაც მიენიჭა პროკონსულობა ზემოაღნიშნულ ფართო სივრცეზე. მას უფლება ჰქონდა, სენატორთა წოდებიდან თავისი შეხედულებით თანაშემწეებად დაენიშნა 25 ლეგატი პროპრეტორის რწმუნებით და ორი ქვესტორი, თავის ხელქვეითად ჰყოლოდა დიდი არმია და ფლოტი, 120 ათასი ქვეითი, 5 ათასი ცხენოსანი ჯარისკაცი და 500 სამხედრო ხომალდი. მის განკარგულებაში იყო აგრეთვე ხუთასი ანტიკური ტალანტი და პროვინციების შემოსავალი. პომპეუსისადმი ასეთი დიდი უფლებამოსილების შესახებ აპიანე აღნიშნავს: „პომპეუსამდე ჯერ არც ერთ ზღვაზე მოლაშქრე კაცს არ ჰქონია ბოძებული ასე დიდი ძალაუფლება რომაელთაგანო“.

აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ გაბინიუსის კანონისათვის მხარი დაუჭერია იულიუს კეისარსაც, რომელიც 68 წელს უკვე ქვესტორად იყო არჩეული. 67—66 წლებში იგი მოქმედებდა, როგორც პოპულარებთან პომპეუსის დაახლოების მომხრე. მაშინდის, გაიუს მარიუსის ქვრივისა და თავისი პირველი ცოლის, კორნელიას დაკრძალვის დროს მას ბრწყინვალე სიტყვები წარმოუთქვამს, რომლებშიც აქებდა იულიუსების გვარს და დიდი თანაგრძნობით იხსენიებდა პოპულარების ცნობილ

მეთაურებს — მარიუსსა და ცინას. აღსანიშნავია, ისიც, რომ დაკრძალვის პროცესზე მიჰქონდათ მარიუსისა და ცინას გამოსახულებები, რასაც წინათ ვერავინ ბედავდა. ასეთი განწყობილებისა იყო მაშინ კეისარი და, ალბათ, ამ ნიადაგზე ცდილობდა პომპეუსთან დაახლოებას.

პომპეუსი დიდი ენერგიით შეუდგა მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლას. მან ლეგატებს დაუნაწილა ზღვა და თითოეულს მისცა ხომალდები, მხედრები და ქვეითი ჯარი. თავისი სამხედრო ხომალდებით ისინი ახერხებდნენ მეკობრეთა ხომალდების ხელში ჩაგდებას ან სპეციალურად მოწყობილ საფარში მომწყვდევას. ამ გზით მეკობრეებისაგან გაიწმინდა ხმელთაშუა ზღვის ჯერ დასავლეთი ნაწილი და შემდეგ პომპეუსი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. გაქცეულმა მეკობრეებმა თავი კილიკიას შეაფარეს. 49 დღის განმავლობაში პომპეუსმა ეაანადგურა კილიკიაში მეკობრეთა ბუნაგები, ბრძოლაში 10 ათასამდე თავზეხელაღებული მეკობრე დაიღუპა და ტყვედ ჩავარდა. პომპეუსის ჯარებმა გაანადგურეს მათი 120 კედლებგამაგრებული საზვერავი კოშკი და ხელთ იგდეს 300 ხომალდზე მეტი. მთელი ეს ოპერაცია სამი თვე გაგრძელდა და ხმელთაშუა ზღვაზე აღდგენილ იქნა წესიერი მიმოსვლა და რომის ურთიერთობა პროვინციებთან შედარებით უხიფათო გახდა.

პლუტარქეს გადმოცემით, დატყვევებული მეკობრეების მიმართ პომპეუსს პუმანურობა გამოუჩენია. მან გადაწყვიტა, ტყვეები ზღვისაგან მოშორებულ ხმელეთზე დაესახლებინა და მათთვის ცხოვრების პირობები შეექმნა. მართლაც, პომპეუსს ყოფილი პირატები დაუსახლებია, მაგ., კილიკიის სოლოიში (პომპეიოპოლისში), დიმეში (აქაიაში) და სხვა ადგილებში.

მეკობრეებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ პომპეუსის პოპულარობა რომაელებში უფრო გაიზარდა და მას ისეთი სახელი შეექმნა, რომ ერთი წლის შემდეგ დიდი უფლებამოსილება მიანიჭეს და რთული დავალება დააკისრეს.

თავი მეთხუთმეტე

რომის საგარეო და შინაგანი მდგომარეობა ძვ. წ. I საუკუნის საოცციან წლებში

1. მითრიდატესთან მესამე ომის პირველი ეტაპი

როგორც დავინახეთ, ლუციუს ლიცინიუს მურენას დამარცხებისა და დარდანის ზავით გათავალისწინებული ხელშეკრულების აღდგენის შემდეგაც მითრიდატეს იმედი არ დაუკარგავს, რომ დაიბრუნებდა მცირე აზიის იმ ნაწილებს, რომლებიც სულასთან ომში დაკარგა, და მოსალოდნელი ახალი ომისათვის იწყო მზადება. იგი ხომალდებს აგებდა, იარაღს აგროვებდა და 2000000 მედიმნი პური მოიმარაგა. ჩვენ ვიცით, რომ მითრიდატეს კავშირი ჰქონდა ესპანეთში გაბატონებულ სერტორიუსთან, მეკობრეებთან და კრეტასთან, ძალაში იყო მისი კავშირიც თრაკიელებთან და იგი იმედს ამყარებდა აგრეთვე თავის სიძე ტიგრანზე. რომის სახელმწიფოს მაშინდელი გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობაც მისთვის ხელსაყრელი იყო. ამიტომ ახლა უკეთესად შეიარაღებული, იგი შესაფერ მომენტს უცდიდა, რომ თავისი ზრახვები შეესრულებინა. უსამართლობა იქნებოდა, არ აღგვენიშნა, რომ რომაელებშიც იყვნენ საკმაოდ გავლენიანი პირები, რომლებსაც მითრიდატესთან ანგარიშის გასწორება დამთავრებულად არ მიაჩნდათ.

ახალი ომის უშუალო საბაბი კი ბითვინიის ამბები გახდა. 74 წელს გარდაიცვალა ბითვინიის უკანასკნელი მეფე ნიკომედე III ფილოპატორი, რომელიც რომაული ორიენტაციის კაცი იყო და, რომელმაც სიკვდილის წინ, პერგამონის მეფის ატალოს III მსგავსად, თავისი სამეფო რომს უანდერძა. რომაელი ეაჰრები და მევახშეები წინათაც თავისუფლად ფარფაშობდნენ ბითვინიაში და ახლა რომაელებმა, ისარგებლეს რა მეფის ანდერძით, დაეუფლენ იმ რაიონებს, რომლებიც მათ მკირეაზიურ სამფლობელოს ესაზღვრებოდა. ამას ვერ შეუერიგდა მითრიდატე, გარდაცვლილი მეფის მემკვიდრის უფლებების დამცველად გამოვიდა, ბითვინიაზე პრეტენზია განაცხადა და რომაელებს

ანდერძით დატოვებულ სამემკვიდრეოში შეეცილა. ასე დაიწყო მითრიდატესთან მესამე პუნიკური ომი (74—64 წწ.).

რომის სენატმა ომის განმგებლობა მიანდო 74 წლის კონსულებს, სულას ყოფილ მეგობარს, ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსს და მარკუს ავრელიუს კოტას. მათზე დაკისრებული მოვალეობა ასე იყო განაწილებული: ლუკულუსს ხვდა მითრიდატეს წინააღმდეგ მთავარსარდლობა და კილიკიისა და აზიის პროვინციები; ხოლო კოტას — ფლოტის სარდლობა და ბითვინია. ამავე დროს, პრეტორს მარკუს ანტონიუსს დაეკისრა კრეტისა და მეკობრეების წინააღმდეგ ომის წარმოება.

მითრიდატე ბითვინიაში შეიჭრა. ბითვინიის ქალაქები სიხარულით ეგებებოდნენ მას. მითრიდატეს წინააღმდეგ მოსულმა კოტამ ბრძოლის დაწყება მეტისმეტად იჩქარა და ხმელეთსა და ზღვაზე ერთდროულად დამარცხდა. ამ ბრძოლაში მან დაკარგა მთელი ფლოტი და ოთხი ათასი ქვეითი მეომარი და თვითონაც, მითრიდატეს მიერ გარემოცული, ქალკედონში მოემწყვდა. შემდეგ მითრიდატე პროვინცია აზიაში გადავიდა ჯარით და ჰელესპონტის თითქმის მთელი სანაპირო დაიკავა. აქ მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ თავისუფალმა ქალაქმა კიზიკოსმა. მითრიდატემ კიზიკელებს ალყა შემოარტყა ხმელეთიდან, ხოლო ზღვიდან ხომალდებით ჩაუკეტა ვიწრო სრუტე, რომელიც ქალაქს ხმელეთისაგან ჰყოფდა. მაგრამ ორმხრივ ალყაში მომწყვდეული კიზიკელები განსაცდელს მამაცურად შეხვდნენ, რომაელების დახმარების მოლოდინში. მართლაც ლუკულუსი თავის მხედრობით მითრიდატეს წინააღმდეგ დაიძრა და კიზიკოსთან მის მახლობლად დაბანაკდა. მან მითრიდატეს ლაშქარს ფრიად მძიმე პირობები შეუქმნა: ერთი მხრივ, იგი მოწყვიტა ხმელეთისაგან და, მეორე მხრივ, ზღვიდანაც შეუზღუდა სურსათ-სანოვაგის მიღება.

ასეთმა მდგომარეობამ აიძულა მითრიდატე კიზიკოსის ალყაზე ხელი აეღო და ღამით ხომალდებით მიზიის ნავსადგურ პარიონში გაიქცა, ხოლო მისი ლაშქარი ხმელეთით სწრაფად გადავიდა იმავე მიზიის ქალაქ ლამფსაკოსში. როცა ეს ლაშქარი ერთ ფრიად ადიდებულ მდინარეზე გადადიოდა, წყალმა და ლუკულუსის მეომრების თავდასხმამ მას საგრძნობი ზიანი მიაყენა.

ლუკულუსმა ახლა განსაკუთრებული ყურადღება პონტოს ფლოტს მიაპყრო და თავისი ხომალდებით მასზე ორ საზღვაო ბრძოლაში, ტროას ნაპირთან და კუნძულ ლემნოსთან, გამარჯვება მოიპოვა და შემდეგ ისევ მითრიდატეს მიუბრუნდა, რომელიც თავისი ძალების მეტი წილით ბითვინიის ქალაქ ნიკომედიაში მიცურავდა. გზაზე ამოვარდნილი ქარიშხლისაგან მან დიდი ზარალი განიცადა. რომაელები

მთლიანად დაეპატრონენ ბითვინიას და განაგრძობდნენ შეტევას მითრიდატეს წინააღმდეგ. განცდილი მარცხის შემდეგ მითრიდატემ თავი შეაფარა თავის სატახტო ქალაქს — სინოპეს, აქედან კი პონტოს ქალაქ ამისოში (ახლანდელ სამსუნში) გაიცურა და კაცები გაუგზავნა სიძეს, ტიგრანს და თავის ვაჟს — მახარეს, ბოსფორის მმართველს, რომ ორივე აჩქარებულიყო მის დასახმარებლად.

ლუკულუსი გადავიდა პონტოს სანაპირო მხარეში და იქ დაიზამთრა, გაზაფხულზე კი საომარი მოქმედება განაახლა. აქ მას მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ გამაგრებული პუნქტები, განსაკუთრებით სინოპე და ამისო, რომელთაც მას კარებები მტკიცედ დაუხურეს და თავგამოდებით ებრძოდნენ. ლუკულუსმა მათ ალყა შემოარტყა. ერთხანად ლუკულუსის ლაშქარი მითრიდატეს მეომრების პირისპირ იდგა ქ. კაბეირასთან და მოპირდაპირეს ცვალებადი წარმატებით შედარებით პატარა ბრძოლებს უმართავდა.

პონტოელების ძლიერებას მათი ცხენოსანი ლაშქარი წარმოადგენდა. და, როცა ერთი დიდი ბრძოლის პროცესში რომაელებმა იგი გაანადგურეს, მითრიდატე კაპადოკიის ქალაქ კომანაში გაიქცა და იქიდან ტიგრანთან მივიდა. ტიგრანმა იგი თავისთან არ მიუშვა, მაგრამ ბრძანა ჩემს ქვეყანაში ის მეფურად გყავდეთო.

ამასობაში კოტამ ჰერაკლეას ალყა შემოარტყა, მაგრამ მისი აღება მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა ლუკულუსის ფლოტმა ეგეოსის ზღვა გაწმინდა პონტოელების ფლოტისაგან და ქალაქი ზღვიდან ჩაკეტა. ორი წლის თავდაცვის შემდეგ მისი გარნიზონი მტერს დანებდა თავისუფალი გასვლის პირობით. ქალაქი რომაელებმა შეუბრალებლად გააჩანაგეს. როცა რომაელებმა დაიმორჩილეს ქალაქები — ამასტრისი პაფლაგონიაში და ტიოსი, კოტამ თავისი ამოცანა დამთავრებულად ჩათვალა და 70 წელს რომში დაბრუნდა.

მითრიდატეს არმენიაში გაქცევის შემდეგ ლუკულუსი უმეფოდ დარჩენილი სამეფოს დაპყრობას შეუდგა. ეს მძიმე და ხანგრძლივ მოქმედებას მოითხოვდა. მთელი რიგი ქალაქების გარნიზონები, რომლებიც ნაწილობრივ პირატებისაგან შედგებოდნენ, მედგრად ებრძოდნენ რომაელებს, მაგრამ ისინი რომაელებმა თანდათან დაიპყრეს. ბოლოს, ლუკულუსმა შეძლო ამისოსა სინოპეს აღება, ორივე გააპარტახა და შემდეგ ისევ დაასახლა. კიმერიის ბოსფორის მმართველი მახარე, რომელიც წინათ მამას ეპმარებოდა, ახლა მას განუდგა და ლუკულუსს ათას ოქროდ ღირებული გვირგვინი გაუგზავნა და რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ მიღება სთხოვა. ამის შემდეგ მალე დაეცა პონტოს სამეფოს უკანასკნელი ბასტიონი. ლუკულუსმა ერთი ზამთარი პროვინცია აზიაში დაპყო და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონო-

მიკური მდგომარეობის შემამსუბუქებელი ღონისძიებები გაატარა, რაზეც საუბარი სხვა ადგილას გვექნება.

არმენიის მეფე ტიგრან II, რომელთანაც დამარცხებულმა ბითრიდატემ თავი შეაფარა პირველად რომთან კონფლიქტისაგან, თავს იკავებდა. მაგრამ როცა ლუკულუსმა მკაცრი ფორმით სიმამრის გადაცემა მოსთხოვა, მან მტკიცე უარით უპასუხა. მაშინ ლუკულუსმა ტიგრანის წინააღმდეგ გაილაშქრა. თავის მხედრობა მან არმენიის სატახტო ქალაქ ტიგრანოკერტასაკენ დაძრა, მისადგომთან დაბანაკდა და ქალაქს ალყა შემოარტყა. „ქალაქი ტიგრანოკერტა, პლუტარქეს თქმით, სავსე იყო სიმდიდრითა და საუცხოო ძეგლებით". მის დასაცავად სხვა ხალხთა და ტომებთან ერთად მისულან „კასპიის ზღვის სანაპიროდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები". „ყველა ამ ძალითურთ ტიგრანმა ტივროსი გადალახა და ტიგრანოკერტა რომაელთა ჯარით ალყაშემორტყმული დაინახა". ლუკულუსმა ქალაქზე იერიში მიიტანა და იგი 69 წელს აიღო. სამეფო განძეულობა მან თავისთვის დაიტოვა, ქალაქი კი გასაძარცვავად დაუთმო ჯარისკაცებს. ლუკულუსის ამ გამარჯვების შედეგი იყო არმენიიდან სირიის ჩამოშორება, რომელიც გადაეცა სელევკიდ ანტიოქოს XIII, მეტსახელად ასიატიკოსს. ტიგრანი მითრიდატესთან ერთად გაიქცა არმენიის ძველ სატახტო ქალაქ არტაქსატაში (არტაშატში, მდებარეობდა არაქსის მუაწელზე). 68 წელს ლუკულუსი ამ ქალაქისაკენ გაემართა. ტიგრანი იძულებული გახდა, არტაქსატას მისადგომები დაეცვა, თავისი მხედრობა აქეთკენ წამოეყვანა და რომაელების პირისპირ დაბანაკებულიყო. მოწინააღმდეგეთ ერთმანეთისაგან ჰყოფდა მდინარე არსანია. ლუკულუსის წინააღმდეგ ტიგრანმა რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა გამოიყვანა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ, პლუტარქეს გადმოცემით, ცხენოსანი მშვილდოსნები მარდები და შუბოსანი იბერები, რომელთაც ტიგრანი საუკეთესო მებრძოლებად თვლიდა და ყველაზე უფრო დიდ ნდობას უცხადებდა, მაგრამ ტიგრანი დამარცხდა, ვერც ლუკულუსმა მოახერხა არტაქსატამდე მისვლა, ვინაიდან მისი ლაშქარი ისეთმა მღელვარებამ მოიცვა, რომ ომის გაგრძელება მისთვის შეუძლებელი გახდა. რა იყო ლუკულუსის ლაშქარში ასეთი მღელვარების მიზეზი? ლუკულუსმა ენერგიული და მკაცრი ზომების მიღებით შეძლო აღედგინა თავის ჯარში საგრძნობლად შერყეული დისციპლინა, რის გამოც მეომრების ნაწილი დიდად უკმაყოფილო იყო. ამასთან ერთად, ლუკულუსის ჯარისკაცები, რომლებმაც ომის პროცესში გამდიდრება და განებივრება მოასწრეს, უხალისოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ისინი უჩიოდნენ მთიან მხარეში ლაშქრობის სიძნელეებს და დასვენებას

მოითხოვდნენ, ჯგუფებად იკრიბებოდნენ და ღამით კარვებს ყვირილით ავსებდნენ.

ლუკულუსის მიმართ ჯარისკაცების ასეთი ცუდი განწყობილებით ისარგებლეს რომში მყოფმა მისმა მოწინააღმდეგეებმა და მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი თითქოს სარდლის რწმუნების შენარჩუნებისა და ანგარების მიზნით ახანგრძლივებდა ომს. მაგრამ ნამდვილი მიზეზი რომში ლუკულუსის მიმართ უკმაყოფილებისა მისი გადაჭარბებული სიფრთხილე თუ მოკრთამვა კი არ იყო, არამედ აზიაში მის მიერ გატარებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც რომაელ მევახშეთა და გადასახადთა ამკრეფი კომპანიების ბოროტმოქმედებათა ალაგმვისაკენ იყო მიმართული. ლუკულუსის მიმართ სენატის წევრთა ნაწილში, განსაკუთრებით მხედართა წრეში უკმაყოფილების მიზეზი სწორედ მისი ასეთი საქმიანობა იყო. მის შემცვლელად 67 წელს რომის სენატმა გაგზავნა კონსული მანიუს აციდიუს გლაბრიო.

ამასობაში არც მითრიდატეს ეძინა. მდინარე არსანიასთან ბრძოლის შემდეგ მან განიზრახა კვლავ დაეპყრო და დაებრუნებინა თავისი პონტოს სამეფო და შეტევაზე გადავიდა. მან შეძლო დაპატრონებოდა პონტოს, კაპადოკიასა და დაემუქრა „პროვინცია აზიას". აღმოსავლეთში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ საჭირო გახდა ახალი მთავარსარდლის დანიშვნა. პლუტარქეს გადმოცემით, როცა რომში შეიტყეს, პომპეუსმა მეკობრეებთან ომი დაამთავრა და ახლა ქალაქებს ათვალიერებსო, სახალხო ტრიბუნმა მანილიუსმა 66 წელს გამოაქვეყნა კანონი, რომლის ძალით პომპეუსს უნდა მიეღო ის პროვინციები და ჯარი, რომლებიც ლუკულუსის ხელქვეით იმყოფებოდნენ და, აგრეთვე ბითვინიაც, გლაბრიოს რომ ეკავა. ხოლო შემდეგ ბრძოლა განეგრძო მითრიდატე და ტიგრან მეფესთან. ამასთან ერთად, პომპეუსს ენიჭებოდა განკარგულების უფლება სხვა სარდლების მიმართ და დამოუკიდებლივ ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლება. მანლიუსის კანონის წინააღმდეგ გამოვიდნენ სენატის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები, კატულუსი და ჰორტენზიუსი. მისი თავგამოდებით დაცვა უკისრია ციცერონს, რომელსაც, როგორც პრეტორს, უფლება ჰქონდა სიტყვით მიემართა ხალხისათვის.

დიდი ორატორის ბრწყინვალე სიტყვამ, პომპეუსის მომხრეების ზეგავლენა და იმ რომაელი პუბლიკანების, მევახშეებისა და აქციონერების წრეში წარმოქმნილმა შიშმა, რომელთაც აღმოსავლეთში დაბანდებული კაპიტალის დაკარგვა აფიქრებდათ, თავისი გავლენა იქონია და პომპეუსის მითრიდატესთან ომში ხელმძღვანელობის საკითხი და-

დებითად გადაწყდა. მანილიუსის კანონი ძალაში შევიდა და პომპეუსმა დაუსწრებლად მიიღო უზენაესი ძალაუფლება.

2. მითრიდატესთან მესამე ომის უკანასკნელი ეტაპი

ასეთი არაჩვეულებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პომპეუსი სასწრაფოდ შეუდგა მითრიდატესთან გადამწყვეტი ომისათვის მზადებას. მან დიდძალი ლაშქარი შეაგროვა და ზღვაზედაც ზურგის გამაგრებისათვის თავისი ძლიერი ფლოტი განალაგა ფინიკიიდან ბოსფორის სრუტემდე. ამასთან ერთად, მან რომაელების ნაცადი ტაქტიკის მიხედვით, მითრიდატესთან წინასწარი დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა. ისტორიკოს დიონ კასიუს კოკეიანუსის (155—235 წწ.) გადმოცემით, ამ მიზნით მან მოციქულად და, შესაძლოა, მსტოვრად, გაგზავნა მასთან ემიგრანტი მიტროფანე, რაც უშედეგო იყო. მეორე მხრივ, პომპეუსს სურდა, ხელი შეეშალა არმენიის მეფე ტიგრანისათვის, რომ იგი თავის სიმამრს დახმარებოდა და ამ მიმართულებით მან, იმავე კასიუსის სიტყვით, მოლაპარაკება დაიწყო პართელებთან და კტეზიფონში მეფე ფრაატთან მოციქულები წარგზავნა. იგი შეეპირდა ფრაატს, რომ მესოპოტამიაში დიდ ტერიტორიას ფაუთმობდა და სამაგიეროდ მისგან, როგორც მოკავშირისაგან, არმენიაზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან თავდასხმა მოითხოვა.

ფრიად გართულებული იყო იმ დროს არმენიის სამეფოს შინაური მდგომარეობა. ტიგრან II მითრიდატეს ასულის — კლეოპატრასაგან სამი ვაჟი ჰყავდა. უფროსმა ვაჟმა შეთქმულება მოუწყო მამას და ტახტიდან ჩამოგდებას ცდილობდა, მაგრამ იგი თანამზრახველებთან ერთად მოკლეს. ტახტის დაკავება განიზრახა აგრეთვე საშუალო ვაჟმა, როცა ტიგრანი ორ ვაჟთან ერთად ნადირობდა, ცხენიდან ჩამოვარდა და გრძნობა დაკარგა. საშუალო ვაჟმა მოხსნა მას სამეფო ტიარა და თვითონ დაიდგა. უმცროსმა ვაჟმა — ახალგაზრდა ტიგრანმა მამას მოუარა და ფეხზე დააყენა. ცნობიერებაზე მოსულმა მოხუცმა საშუალო ვაჟის სიკვდილით დასჯა ბრძანა და უმცროსს გვირგვინსა და ტახტს შეპირდა. მაგრამ განვლო რამდენიმე ხანმა და ახლა უმცროსმა ვაჟმა მოუწყო შეთქმულება, როცა იგი კაპადოკიაში იმყოფებოდა. ამიტომ ტიგრან II იძულებული გახდა კაპადოკიაში ძლევამოსილი ლაშქრობა შეეწყვეტა და თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. მან დაამარცხა განდგომილი და მეამბოხე ვაჟი, რომელიც თანამზრახველ მაგნატებთან ერთად კტეზიფონში გაიქცა და იქ ცოლად შეირთო მეფე ფრაატის ასული. დიონ კასიუსის სიტყვით, ტიგრანს ეკვი დაბადებია, შვილის ამხედრება მის წინააღმდეგ პაპაპმისის, მითრიდატეს

საქმეაო და მათ შორის წინანდელი ურთიერთობა მტრობით შეცვლილა.

პომპეუსი გალატიაში წავიდა და ლუკულუსისაგან ჩაიბარა არმიის მთავარსარდლობა. ეცადნენ, მაგრამ პომპეუსი და ლუკულუსი ერთმანეთთან ვერ შეარიგეს. განაწყენებული ლუკულუსი რომში დაბრუნდა, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და დროს ქეიფში ატარებდა („ლუკულუსის ნადიმები").

როცა პომპეუსი პონტოს სამეფოში შეიჭრა, მითრიდატეს, რომლის განკარგულებაში 30000 ქვეითი და 3000 ცხენოსანი მეომარი იყო, ზემოთ ნათქვამის მიხედვით, არც პართიელების დახმარების იმედი ჰქონდა და არც ტიგრანისა. ამიტომ იგი შეეცადა პომპეუსთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო. აპიანეს გადმოცემით, „მან პომპეუსს გაუგზავნა მოციქულები, უნდოდა შეეტყო, როგორ შეიძლებოდა ომის დამთავრება", მაგრამ პომპეუსს მითრიდატესთვის სრული დამორჩილება და უყოყმანო დანებება მოუთხოვია. ამიტომ მითრიდატე თავის ნაცად ტაქტიკას დაადგა: მტერთან გადამწყვეტ შეტაკებას ერიდებოდა, სულ უკან იხევდა და მოულოდნელი მიხტომით მტერს საგრძნობ ზარალს აყენებდა. მაგრამ, ამასთან, თავისივე ქვეყნის დარბევა უხდებოდა, რათა ამით რომის არმიის სურსათ-სანოვაგით მომარაგება დიდად გაეძნელებინა. როცა პომპეუსი მცირე არმენიაში გადავიდა, მას სასწრაფოდ თან მიჰყვა მითრიდატე, რომელიც ბუნებრივად გამაგრებულ და მიუვალ მთაზე დაბანაკდა და აქაც რომის ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას ხელს უშლიდა. ამიტომ პომპეუსის მდგომარეობა გაუარესდა. მაგრამ თვითონ მითრიდატეც, უწყლობის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი კარგი პოზიცია და ადგილიდან დაძრულიყო. პომპეუსი კვალდაკვალ მისდევდა მას და მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს მითრიდატე მეორე მაღალ მთაზე გამაგრდა და განაგრძობდა მტრის ჯარზე თავდასხმას. პომპეუსმა მის ბანაკს ალყა შემოარტყა, დიდად გაუძნელდა სურსათის მოპოვება და შიმშილობამდე მიიყვანა. „პომპეუსის ალყას, — მოგვითხრობს პლუტარქე, — მითრიდატემ ორმოცდახუთ დღეს გაუძლო, მერე კი ბრძოლისათვის უვარგისი და ავადმყოფი მეომრები ამოხოცა და რჩეულ ძალებთან ერთად ფარულად გაიქცა". პომპეუსი მითრიდატეს ევფრატის სანაპიროებთან დაეწია და იქვე მახლობლად დაბანაკდა, ხოლო რაკი მას ეშინოდა, მითრიდატეს ევფრატზე გადასვლა არ მოესწრო, შუაღამისას დაძრა საბრძოლოდ გამზადებული მხედრობა. მაგრამ მითრიდატემ ამჯერადაც მოახერხა ბრძოლის ველიდან გაქცევა და თავის მცირერიცხოვანი მხლებლებით წავიდა ციხესიმაგრე სინორეგაში (სინორიაში), პონტოსა და არმენიის საზღვარზე. ეს ციხესიმაგრე სავსე ყოფილა სამეფო ქონებითა და განძეულობით. აქ, პლუ-

ტარქესა და აპიანეს მოწმობით, ინახებოდა დიდძალი ძვირფასი ნივთი. ამ ქონებიდან მითრიდატემ უკეთესი ტანსაცმელი და ფული დაურიგა მასთან შემოკრებილ ლტოლვილებს და თავის მეგობრებს ცალ-ცალკე მისცა მომაკვდინებელი შხამი იმ შემთხვევისათვის, თუ მტერს ჩაუვარდებოდნენ ხელში.

აქედან მითრიდატე არმენიისაკენ გაემართა და ტიგრანს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ ტიგრანმა იგი არამცთუ არ მიიღო, არამედ ასი ტალანტი დაუნიშნა ჯილდოდ იმას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ თან წაიღო 6000 ტალანტი (დაახლოებით თორმეტნახევარი მილიონი ოქროს მანეთი) და გაეშურა ევფრატის სათავეებისაკენ, რომ იქიდან კოლხიდაში გაქცეულიყო. იგი მივიდა ფაზისის გავლით დიოსკურიაში, „სადაც დაიზამთრა და მომავალი მოქმედების გეგმის შედგენა დაიწყო: მითრიდატე ფიქრობდა, რომ პონტოს, მის ნაპირზე მცხოვრებ სკვითებს და მეოტისის ტბას შემოუვლიდა და ბოსფორში შეიჭრებოდა, აქ გადააყენებდა თავის უმადურ მოღალატე შვილს მახარეს და კვლავ დაუპირისპირდებოდა და შეებრძოლებოდა რომაელებს ევროპიდან, როცა ისინი აზიაში იყვნენ“. ასეთი უჩვეულო რამ მოიფიქრა მითრიდატემ, ამბობს აპიანე და მაინც ცდილობდა მის მიღწევასო.

რაკი მითრიდატე გაიქცა, პომპეუსმა მასთან ომი დამთავრებულად ჩათვალა და იმავე 66 წელს არმენიაზე გაილაშქრა, რომელიც იმხანად პართელთა მეფე ფრაატის თავდასხმას განიცდიდა. ტიგრანის უმცროსი შვილის და მეამბოხე მაგნატების თანხლებით ფრაატი შეიჭრა არმენიაში და სატახტო ქალაქ არტაქსატამდე (არტაშატამდე) მივიდა. ტიგრანი იძულებული გახდა თავის სამეფოს მთიან რაიონებში გაქცეულიყო. მაგრამ ქალაქი არტაშატი მტერს მედგრად დაუხვდა და პართელებს მისი აღება გაუჭირდათ. მაშინ ფრაატის ჯარის ნაწილი ტიგრან უმცროსს დაუტოვა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა. ეს რომ მოხუცმა ტიგრანმა შეიტყო, თავი მოუყარა ერთგულ ნაწილებს, დაამარცხა მოღალატე შვილი და განდგომილი მაგნატები და მთლიანად აღადგინა თავისი ხელისუფლება. გაქცეულმა ტიგრან უმცროსმა ჯერ მითრიდატესთან წასვლა განიზრახა, მაგრამ, როცა გაიგო, რომ იგი ისევ დამარცხდა, ისევ პომპეუსთან მივიდა, რომ მისი დახმარებით მიეღო ტახტი და გვირგვინი არმენიაში. იგი პომპეუსს მდინარე არაქსის პირას დაუხვდა.

იმ იმედით, რომ პომპეუსის დახმარებით მიიღებდა მამის გვირგვინს, ტიგრან უმცროსმა რომაელების ლაშქრის შეგზურობა იკისრა და პირდაპირი გზით წარუძღვა მას არტაშატისაკენ. ტიგრან II კარგად გრძნობდა, რომ რომაელების წინააღმდეგ გამკლავებას ვერ შეძლებდა და ამიტომ იძულებული იყო პირადად გამოცხადებულიყო

პომპეუსთან. მეგობრებისა და ნათესავების თანხლებით მივიდა იგი პომპეუსთან მორჩილების გამოსაცხადებლად. პომპეუსმა მას აპატია ჩადენილი საქმენი და შეარიგა შვილთან, რომელსაც გადაეცა სოფენე და გორდიენე, ხოლო მამას დანარჩენი არმენია, რომლის შემკვიდრეც შემდეგ ისევ შვილი უნდა გამხდარიყო. ამასთან, ტიგრანის მამას ხელი უნდა აეღო ყველა თავის დაპყრობაზე და მხოლოდ დიდი არმენიით დაკმაყოფილებულიყო, უნდა გადაეხადა 6000 ტალანტის კონტრიბუცია და რომაელი მეომრებისათვის ფულადი საჩუქრები მიეცა. სამაგიეროდ, მას რომაელების მეგობრისა და მოკავშირის ტიტული ენიჭებოდა.

პომპეუსი ამ საქმიანობაში რომ იყო, მითრიდატემ დაასრულა პონტოს შემოვლა და აიღო ბოსფორის სამეფოს მთავარი ქალაქი პანტიკაპეონი, რომელიც მდებარეობდა დაახლოებით ახლანდელი ქერჩის ადგილას, როცა ის მის მიერ ბოსფორის მეფედ დასმული ვაჟის — მახარეს სამფლობელოში შესვლას აპირებდა, მაშინაღმი ღალატისა და რომაელთა ხსარეზე გადასვლის გამო შეშინებული მახარე ეიეცა და მერე თავი მოიკლა. მითრიდატემ ერთხელ კიდევ სცადა პომპეუსთან სამშვიდობო მოლაპარაკება. მან პომპეუსს მოციქულები გაუგზავნა, როცა იგი სირიაში იმყოფებოდა, მოციქულებმა აღუთქვეს რომაელებს, რომ მითრიდატეს ხარკს გადაუხდიდა მამიეული ანექსიებიდანაც. მაგრამ პომპეუსმა მოითხოვა, რომ ის თვითონ მისულიყო მასთან ისე, როგორც ტიგრანი. ამაზე კი მითრიდატემ უარი განაცხადა და სასწრაფოდ დაიწყო ლაშქრის შეგროვება თავისუფალთა და მონათაგან, სამხედრო ფლოტი გაიჩინა და დიდი რაოდენობით იარაღის, ისრებისა და მანქანების დამზადებას შეუდგა. მაგრამ მისმა შვილმა ფარნაკემ, რომელიც მას ყველა შვილზე მეტად უყვარდა და რომელსაც თავის შემკვიდრეობას ჰპირდებოდა, ისარგებლა ჯარში შექმნილი უკმაყოფილებით, მამის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო და აჯანყებას სათავეში ჩაუდგა. მითრიდატემ ეს რომ შეიტყო, შეეცადა აჯანყებულებთან მოლაპარაკება გაემართა, მაგრამ ეს გამოუვიდა რა. მათ მეფედ ფარნაკე გამოაცხადეს. პანტიკაპეონის სასახლეში ყველას მიერ მიტოვებულმა მითრიდატემ თვითონ შეაზავა საწამლავი და დალია. მაგრამ არ იმოქმედა და მაშინ ერთგულმა მონამ მოკლა იგი, მისივე ბრძანებით.

ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე რომის უდიდესმა მოწინააღმდეგემ. მითრიდატეს სიკვდილი პომპეუსმა იერუსალიმის გარემოცვის დროს შეიტყო და ამ ამბავმა რომაელი მეომრები ფრიად გაახარა. მისი გვამი ფარნაკემ პომპეუსს გაუგზავნა, მაგრამ ამ უკანასკნელის ბრძანებით იგი დაკრძალეს პონტოს მეფეთა აკლდამაში სინოპის მახლობლად. ამასთან, ფარნაკემ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

ბოსფორის სამფლობელო პომპეუსმა მას გადასცა და იგი რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ სცნო, ხოლო ფანაგორია თავისუფალ ქალაქად აღიარა.

განვაგრძოთ საუბარი აღმოსავლეთში პომპეუსის მოქმედების შესახებ. მას შემდეგ, რაც მან 66 წელს არმენია რომის გავლენის სფეროში მოაქცია, მის დასაცავად დატოვა თავისი ლეგატი აფრანიუსი, თვითონ კი ჩრდილოეთით გაილაშქრა მითრიდატეს წინააღმდეგ, რომელიც მაშინ კოლხიდაში იმყოფებოდა თავისი მცირერიცხოვანი ჯარით.

პომპეუსმა გაილაშქრა ამიერკავკასიის ქვეყნებზე — ალბანიასა, იბერიასა და კოლხიდაზე. მას მიზნად ჰქონდა დასახული არა მარტო პონტოს მოკავშირეთა საბოლოო განადგურება, არამედ რომაელებს აქვთ ისიც იზიდავდა, რომ ამ მხარეებში მათ ეგულებოდათ საჭირო სამხედრო ძალა, ბუნებრივი რესურსები და ის საკავშრო სატრანსპორტო გზები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შუა აზიასთან, ინდოეთსა და ჩინეთთან აერთიანებდა. 65 წლის გაზაფხულზე პომპეუსმა, ჯერე კოლხიდაში წავიდოდა, იბერთა წინააღმდეგ გაილაშქრა, რომ იბერიის მხრიდან ზურგი გამაგრებული ჰქონოდა. საფიქრებელია, რომ იგი იბერიაში სამხრეთიდან შეიჭრა.

ქართლიდან პომპეუსმა კოლხეთს მიაშურა და ქალაქ ფაზისს მიაღწია. სადაც „მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა". კოლხიდიდან პომპეუსი არმენიაში დაბრუნდა და იქიდან ალბანიაზე გაილაშქრა. პომპეუსმა დაამარცხა ალბანეთის მეფე ოროიზე და მასთან ზავი დადო. ალბანეთის მეფეც რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ გამოცხადდა. პომპეუსი აღმოსავლეთში მოქმედებდა, როგორც შეუზღუდავი მბრძანებელი და რომაელი ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. იგი თავისი შეხედულებითა და სენატის შეუკითხავად ახდენდა ტერიტორიების გადანაწილებას, იხილავდა და წყვეტდა ადგილობრივ ხელისუფალთა შორის ატეხილ დავასა და შეხლა-შემოხლას, ამტკიცებდა ტახტის პრეტენდენტებს და აფართოებდა რომის პოლიტიკის ერთგულად გამტარებელი და სულა-სურვილის შემსრულებელი დინასტების ჯგუფს.

64 წელს მან დაამთავრა პონტოს სამეფოს დაპყრობა და ბითვინიასთან მასი შეერიებით შექმნა ერთიანი პროვინცია — „ბითვინია და პონტო". შემდეგ იგი გადავიდა სირიაში და თავისებურად მოაწესრიგა იქაური გართულებული მდგომარეობა: საქმე ის არის, რომ იმ დროს იქ ანარქია სუფევდა. ლუკულუსის მიერ ტახტზე აღდგენილი ანტიოქოს აზიატიკოსს ავტორიტეტი არ ჰქონდა და სელევკიდების უკანასკნელ წარმომადგენელთა შორის ჭიშპობა და დავა მიმდინარეობდა. პომპეუსი სირიის საქმეებში ჩაერია. ვითომ იმ საფუძვლით, რომ ის

წინათ ტიგრანს ეკუთვნოდა და ახლა კი მისგან რომაელებს გადაეცა, და სირია მან რომის პროვინციად გამოაცხადა. პომპეუსი მცირე აზიის პროვინციების საქმეებშიც ერეოდა და მფარველობას უწევდა ბერძნულ ქალაქებს. იმ დროს მდგომარეობა იუდეაშიც გართულებული იყო. სამეფო ტახტისათვის აქ ერთმანეთს ებრძოდნენ ძმები — ჰირკანე და არისტობულე (მაკიაველთა დინასტია). პირველი ორთოდოქსალური დოგმატიკის მომხრე ფარისეველთა პარტიას ემყარებოდა. ეს პარტია სასულიერო წოდების ინტერესებს გამოხატავდა და იბრძოდა ისეთი საეკლესიო თემის შექმნისათვის, რომელიც საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა. მეორეს მხარს უჭერდნენ საძუკეები, რომელთა მიზანი ძლიერი საერო სახელმწიფოს შექმნა იყო. ეს პარტია უმთავრესად ვაჭრების, ელინიზებული ინტელიგენციისა და სამხედრო წრეებისაგან შედგებოდა. პომპეუსმა მხარი დაუჭირა ფარისეველთა პარტიას და ჰირკანეს გამოექომაგა. როცა მან იერუსალიმზე გალაშქრა, როგორც ვთქვით, გზაზე შეიტყო მითრიდატეს სიკვდილი. არისტობულე იძულებული გახდა პომპეუსს დამორჩილებოდა და იერუსალიმმაც მას ალაყაფის კარები ვაუღო, მაგრამ არისტობულეს მომხრეთა ნაწილი იერუსალიმის ტაძარში გამაგრდა და ღანძღებას არ აპირებდა. პომპეუსმა მაინც მოახერხა ტაძარში შესვლა და რომაელმა მეომრებმა ივი გაძარცვეს. პომპეუსმა იუდეას ჩამოართვა დაპყრობილი ტერიტორიები და სირიის პროვინციის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა, მაგრამ ერთგვარი ავტონომია დაუტოვა: ჰირკანე იერუსალიმის მღვდელმთავრად და ეთნარქად სცნო. აღსანიშნავია, რომ პომპეუსი მფარველობას იჩენდა ბერძნული ქალაქებისადმი და თვითონაც აარსებდა ახალ ქალაქებს, რომლებიც ერთგვარად ხელს უწყობდნენ აღმოსავლეთში ელინისტური კულტურის გავრცელებას.

62 წლის ბოლოს პომპეუსმა ლაშქარი უხვად დააჯილდოვა, თვითონ ეფესოსში გაცურა და რომისაკენ გაეშურა. ხოლო ლაშქარი ბრუნდიზიუმშივე შინ გაუშვა. ამ საქციელით მან რომაელები განაცვიფრა. იგი ტრიუმფით შევიდა ქალაქში და ეს ტრიუმფი ორ დღეს გრძელდებოდა. ნან ნავსადგურებში შემოიყვანა 700 სავსე ხიბალდი. ხოლო „ამ საზეიმო მსვლელობისას მოჰქონდათ ეტლები და ტახტრევნები ოქროთი და ნაირნაირი სამკაულებით შემკობილები, დიდძალი ფული, ერიცხვი იარაღი და მოჰყავდათ უამრავი ტყვე, რომლებიც თავიანთი საბრალოს წესის მიხედვით იყვნენ გამოწყობილნი". პომპეუსის ტრიუმფი მეტისმეტად დიდი და ბრწყინვალე იყო, მოგვითხრობს პლუტარკე, „თუმცა ზეიმის გადახდა ორ დღეზე განაწილდა, დრო მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი... ზეიმის დროს წინ მიჰქონდათ დაფები ამ ქვეყნებისა და ხალხების სახელთა აღნიშვნით, რომელნიც კი პომ-

პეუსმა დაამარცხა. სახელმწიფო ხაზინაში ლიბიონის ფულის, ოქროსა და ვერცხლის ნივთების სახით შეტანილ იქნა ოცი ათასი ტალანტი. იმის ჩაუთვლელად, რაც ჯარისკაცებს დაურიგდათ... მეკობრეთა მეთაურების გარდა, ტრიუმფში მიდიოდნენ შემდეგი ტყვეები: არმენიის მეფის ტიგრანის ძე ცოლითა და ქალიშვილით, თვითონ ტიგრანის მეუღლე ზოსიმე, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს და და ხუთი შვილი, მრავალი სკვითი ქალი და, აგრეთვე ალბანების, იბერებისა და კომაგენელთა მეფის მძევლები, ასე დაბრუნდა რომში ძლევამოსილი სარდალი პომპეუსი, რომლის დაპყრობებმა ფართოდ გაუხსნა გზები რომაელების სავახშო კაპიტალს.

8. რომის შინაური მდგომარეობა და კატილინას პირველი შეთქმულება

ნათქვამი იყო, რომ პომპეუსმა ბრუნდიზიუმშივე გაუშვა შინ თავისი ლაშქარი და თვითონ მრავალრიცხოვანი ამალით დაბრუნდა რომში. უნდა ვიფიქროთ, რომ პომპეუსს იმედი ჰქონდა, რომ აღმოსავლეთში მოხვეჭილი დიდი სახელი საშუალებას მისცემდა სახელმწიფო მფარველობაში განსაკუთრებული როლი შეესრულებინა, მაგრამ ეს იმედი მას არ გაუმართლდა — რომის სენატი მტრულად შეხვდა და არც პოპულარებმა გამოიჩინეს მაინცდამაინც კეთილი განწყობილება. მართალია, მან ბრწყინვალე ტრიუმფი გადაიხადა, მაგრამ მოთხოვნა, რომ სენატს მთლიანად დაემტკიცებინა მის მიერ აღმოსავლეთში გატარებული ღონისძიებები, არ აუსრულეს და სენატი დასთანხმდა მხოლოდ მის ნაწილ-ნაწილად განხილვაზე. არ მიიღეს ავრარული კანონიც, რომელიც პომპეუსის ვეტერანებისათვის მიწის ნაკვეთების დარიგებას გულისხმობდა.

შეიცვალა პომპეუსისადმი კეისრისა და კრასუსის დამოკიდებულება. ჩვენ ვიცით, რომ მითრიდატესთან ომში პომპეუსის მთავარსარდლად დანიშვნის კანონს იულიუს კეისარმაც დაუჭირა მხარი, მაგრამ შემდეგ იგი მის მოწინააღმდეგეს კრასუსს დაუახლოვდა. ერთ დროს კრასუსიც ოცნებობდა სამხედრო ასპარეზზე სახელის მოხვეჭაზე და მდიდარი ეგვიპტის დაპყრობის გეგმას ისახავდა, მაგრამ ამ მხრივ ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა და ასეთ გეგმაზე ხელი აიღო. იგი დაუახლოვდა კეისარს და პოპულარების პარტიის მეთაურებს და ყოველნაირად ცდილობდა აზიაში მყოფი პომპეუსის ავტორიტეტისა და პოპულარობის შერყევას. ალბათ, მისი დახმარებით, 66 წელს კონსულებად არჩეულ იქნენ პოპულარების პარტიის კანდიდატები, პუბლიუს ავტონიუს პეტუსი და პუბლიუს კორნელიუს სულა (ყოფილი დიქტატორის ძმისწული, მაგრამ სხვა მიმართულების კაცი). ცენზორად აირჩიეს კრასუსი, ხოლო ედილად კეისარი.

კეისარს მარიუსელთა პარტიის აღდგენა და გაძლიერება სურდა და ედილობის დროს მალულად აღუდგენია კაპიტოლიუმზე მარიუსის გამოსახულება და ის ძეგლები, რომლებიც მის გაბარჯღვებზე მოუთხრობდნენ. ცნობილია, რომ ისინი წინათ სულას ბრძანებით გაიტანეს აქედან. ამ ამბავს დიდი აურზაური მოჰყოლია. ზოგიერთებს ყვირილი აუტეხიათ, კეისარი თავისი პოლიტიკური ზრახვებით ტირანიისაკენ მიისწრაფვისო, მაგრამ ხალხის უმრავლესობას მარიუსის სახის დანახვაზე დიდი სახოტბო სიტყვებით შეუქია კეისარი. ეს ამბაკი სენატის სხდომაზეც კი განუხილავთ, მაგრამ კეისარს ყოველგვარი ბრალდებისაგან დაუცავს თავი.

რაც შეეხება კრასუსს, მან ბოლომდე ვერ დაამთავრა ცენზორის მოვალეობის შესრულება, თავისი კოლეგის განუწყვეტელი წინააღმდეგობის გამო და მასზე ხელი აიღო.

ამავე დროს მიეკუთვნება ლუციუს სერგიუს კატილინას „პირველი“ შეთქმულება. რა ხასიათი და მიზანდასახულობა აქვონდა ამ შეთქმულებას? ის შეთქმულების გზით რესპუბლიკაში უმაღლეს თანამდებობათა მიღების პირველი ცდა იყო. კატილინას შეთქმულება ძველი რომის ისტორიის ერთი უდავოდ მნიშვნელოვანი ფურცელთაგანია და მასზე შედარებით ერცლად მოვიხდება შეჩერება. ჯერ კი გავეცნოთ კატილინას პიროვნებას.

თუმცა ანტიკურმა მწერლებმა საკმაოდ ერცელი ცნობები შემოგვინახეს კატილინას პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ მკვლევართა შორის დღემდე მაინც არ ცხრება კამათი ამ თემაზე. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ძირითადად დაცულია კატილინას ბოლოდ უარყოფითი და მისადმი მტრულად განწყობილი დახასიათება. სალუსტიუსის გადმოცემით, ლუციუს კატილინა, რომელიც იყო წარჩინებული გვარის შთამომავალი გამოირჩეოდა სიბოროტით და ეარყვნილებით, იყო ფიზიკურად ძლიერი და დაუჯერებელი სიადვილით იტანდა შიმშილს, სიცივესა და უძილობას; იყო ცბიერი, მერყევი, ცრუ, არაგულწრფელი, ხარბი, მფლანგველი; მეევრმეტყველება მას საკმაოდ ჰქონდა, კეთილგონიერება — მცირე; მის გაუმაძღარ სულს მუდამ სწყურიდა რაღაც უსაზღვრო, დაუჯერებელი, მიუწვდომელი... დასახული მიზნის შესრულებაში იგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა; მას ბიწიერ საქმიანობაში აქეზებდა ზნეობრივად გაფახსირებული საზოგადოება, რომელსაც დაღუპვისკენ მიაქანებდა ფუფუნება და ანგარება.

კატილინასადმი უფრო დაუნდობელია ციცერონი, მაგრამ საყურადღებოა, რომ ისინი, ვინც ასე პირქუშად გვისურათებენ კატილინას, ვერ მალავენ მისი ხასიათის ზოგიერთ დადებით მხარეს: დაუღალავ ენერგიას, მოქნილობას, მეგობრებისადმი ეულშემ-ტკივ-

რობას, უსაზღვრო გამბედაობას, შეთქმულთა საერთო საქმით გატაცებას და გმირულ სიკვდილს.

ახალგაზრდობაში კატილინა სულას მომხრეთა წრეში ყოფილა და თითქოს ახლო მონაწილეობა მიუღია პროსკრიპციაში. 68 წელს იგი პრეტორად აურჩევიათ და ერთი წლის შემდეგ აფრიკის პროვინციაში პროპრეტორად გამგზავრებულა, სადაც თავის ძალმომრეობით და მექრთამეობით ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ვერც კი მოუსწრია 66 წელს რომში დაბრუნება, რომ ამ პროვინციის დელეგაციას მის წინააღმდეგ რომის სენატში საჩივარი აღუძრავს. რომში დაბრუნებულ კატილინას განზრახვა ჰქონია თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა 65 წლისათვის კონსულების არჩევნებში, მაგრამ 66 წელს კონსულ ლუციუს ვოლკაციუს ტულუსს, რომელიც კონსულების არჩევნებს ხელმძღვანელობდა, მიუღებლად მიუჩნევია სიაში მისი კანდიდატურის შეტანა, ვინაიდან მისი საქმე მექრთამეობის გამო გამოძიებაში იმყოფებოდა. არსებული წესების მიხედვით კი სახელმწიფო თანამდებობის მაძიებელი პირი ვალდებული იყო არჩევნების დაწყებამდე 17 დღით ადრე გამოცხადებულიყო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან და ოფიციალურად განეცხადებინა თავისი სახელი. კატილინა ამ საშუალებას მოკლებული იყო, ვინაიდან მექრთამეობაში ეღებოდა ბრალი და აფრიკის მოსახლეობის საჩივარს მის წინააღმდეგ შხარს უჭერდა სახალხო ტრიბუნი — პუბლიუს კლოდიუსი.

ამავე დროს, 65 წლისათვის კონსულებად არჩეული ავტრონიუს პეტუსი და პუბლიუს სულა ჯერ არც კი შედგომოდნენ მოვალეობის შესრულებას, რომ მოპირდაპირეებმა მათ ბრალი დასდეს ამომრჩეველთა მოსყიდვაში... მათ წაუყენეს კალპურნიუსის 67 წლის კანონი, რომლის თანახმად ამომრჩეველთა მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა და ისჯებოდა ფულადი ჯარიმით და სენატიდან გარიცხვით. ეს არჩევნები გაუქმეს და ახლად აირჩიეს მანლიუს ტორკვატუსი და ლუციუს ავრელიუს კოტა. მაშინ გადაყენებული კონსულები შეუთანხმდნენ კატილინას და გადაწყვიტეს ძალის გამოყენებით გადატრიალება მოეხდინათ და ხელთ ეგდოთ უმაღლესი ხელისუფლება. ეს გეგმა მათ გაუზიარებიათ კალპურნიუს პიზოსთვის. სალუსტიუსი და სვეტონიუსი გვარწმუნებენ, რომ ამ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ კეისარი და კრასუსიო. შეთქმულთა გეგმით, 65 წლის დამდეგს, როცა კონსულები თანამდებობის შესრულებას შეუდგებოდნენ და საზეიმო პროცესიით გაემართებოდნენ კაპიტოლიუმის ტაძარში იუპიტერისათვის მსხვერპლის შესაწირავად, მათ უნდა მოეკლათ ყველაზე გამოჩენილი სენატორები, ხელთ ეგდოთ

კონსულების სადგომი და პიზო ჯარით გაეგზავნათ ესპანეთის ერთ-ერთ პროვინციის ხელში ჩასაგდებად; უნდა გაეტარებინათ იმ განაჩენის კასაცია, რომლის ძალით პეტუსსა და სულას უმაღლესი მაგისტრატურა ჩამოერთვა, და ისინი ისევ კონსულებად აღედგინათ; რესპუბლიკას სათავეში კრასუსი უნდა ჩადგომოდა, ხოლო ცხენოსან ჯარს კეისარი. დანიშნულ დღეს კატილინა თურმე კურიის მახლობლად ელოდა კრასუსის სიგნალს, მაგრამ მას დაპირება არ შეუსრულებია და არც სენატის სხდომაზე გამოცხადებულა. მაშინ მიღებული გეგმის განხორციელება თებერვლის პირველი რიცხვებისათვის გადაუდვიათ, მაგრამ ამ დღესაც კატილინას ვადაზე ადრე მიუცია სიგნალი კურიის მახლობლად თავმოყრილ შეთქმულთათვის და დასახული განზრახვა არც ახლა განხორციელებულა. ეს ამბავი მაინც გახმაურდა, მაგრამ რომის სენატსა და კონსულებს ვერ გაუბედავთ შეთქმულების წინააღმდეგ რაიმე ეღონათ, მით უმეტეს, რომ მათ მხარს უჭერდნენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები — კრასუსი და კეისარი.

ასეთ პირობებში მხოლოდ იმით დაკმაყოფილებულან, რომ შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური — კალპურნიუს პიზო ესპანეთში გაუგზავნიათ ქვესტორად პრეტორის უფლებებით და ამ დანიშვნისათვის მხარი დაუჭერია კრასუსს, რომელიც პიზოს პომპეუსის ცხარე მოწინააღმდეგედ იცნობდა. დიონ კასიუსი გვარწმუნებს, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ პიზოს ყელი გამოსჭრა იმისათვის, რომ მათ მიმართ რაღაც უსამართლო მოქმედება ჩაიდინაო.

4. სერვილიუს რულუსის აგრარული კანონპროექტი

64 წელს სახალხო ტრიბუნმა პუბლიუს სერვილიუსმა სახალხო კრებაში შეიტანა ტრიბუნთა კოლეგიის მიერ დეტალურად დამუშავებული აგრარული კანონპროექტი, რომელშიც ფართოდ იყო გათვალისწინებული წინანდელი აგრარული კანონმდებლობა და მოსალოდნელი სიძნელეები მისი განხორციელებისას. რას გულისხმობდა ეს კანონპროექტი? სოფლისა და ქალაქის ტრიბების მიწამცირე მოქალაქეების მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფას იტალიის ფარგლებში. ამ მიზნით, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაენაწილებინათ კამპანიაში საზოგადოებრივი მიწების დარჩენილი ნაწილი, მაგრამ ვინაიდან ის მცირე იყო, ამიტომ გულისხმობდნენ მთელ იტალიაში შეეძინათ კერძო მიწები, მათი მფლობელების თანხმობით და სრული ღირებულების გადახდით. ეს კი დიდ სახსრებს მოითხოვდა და პროექტში გათვალისწინებული იყო. ხარჯების დასაფარავად ყველა პროვინციაში რომის სახელმწიფოს კუთვნილი მიწების გაყიდვა. კერძო პირებისა-

თვის პროვინციაში სხვადასხვა გადასახადით სარგებლობის უფლების მიყიდვა და, რაც მთავარია, პომპეუსის სამხედრო ნადავლის გამოყენება. პროექტით გათვალისწინებული ოპერაციების გატარება ეკისრებოდა სახალხო კრების მიერ არჩეულ ათწევრიან კომისიას (დეცემვირატს), რომელსაც ხუთი წლით ენიჭებოდა პრეტორის ხელისუფლება. მას ეკუთვნოდა უფლება თავის შეხედულებით გაეყვანა ახალშენები ამა თუ იმ მუნიციპიუმში და, საჭიროების შემთხვევაში, [illegible] ჯარის სარდლობაც. ერთი სიტყვით, კომისიას ფართო რწმუნებები ენიჭებოდა ადმინისტრაციულ, ფინანსურ და სამოსამართლო ნაწილში.

რულუსის კანონპროექტის გამო ოპტიმატები, მიწათმფლობელები და მხედრები პანიკამ მოიცვა. განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო მისი ორატორი ციცერონი, რომელმაც თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდში უკვე რადიკალურად შეიცვალა წინანდელი პოზიციები. იგი ამ პროექტში ხედავდა მხოლოდ სახელმწიფოს ფინანსური განადგურების ნიშნებს და სამოქალაქო ომის საბაბს. ჯერ კიდევ კონსულის თანამდებობის შესრულების დაწყებამდე, მან სიტყვა წარმოთქვა სენატში, კონსულობის დროს კი, ორი სიტყვა — სენატისა და ხალხის წინაშე.

ციცერონის მეორე სიტყვის საპასუხოდ, სახალხო ტრიბუნებს კვლავ მიუმართავთ ხალხისათვის, რომელსაც არწმუნებდნენ, რომ ციცერონი აგრარული კანონისა და საერთო სიკეთის წინააღმდეგ [illegible] გამოდის, რომ იცავს სულას მიერ ნაბოძები მიწების მფლობელთა. აგის პასუხია ციცერონის შესაბამ აგრარული სიტყვა. ჩვენ ზოგადად აღვნიშნეთ რულუსის პროექტის საერთო მიზანსაღმდეგები. ახლა უფრო გარკვეულად დავახასიათოთ ისინი. უპირველესად მის წინააღმდეგ ამხედრებულან ოპტიმატები, რომლებიც შიშობდნენ, რომ დაკარგავდნენ გადასახადების იჯარას სახელმწიფო მიწებზე; წინააღმდეგი ყოფილან აგრეთვე მხედრები და ქალაქის პლებსიც, რომლის მთავარი ნაწილი დაინტერესებული იყო სახელმწიფო მიწების შენარჩუნებითა და შემოსავლით, რომელიც ზოგჯერ ხალხისათვის დარიგებას ხმარდებოდა, ხოლო შედარებით შეძლებული ნაწილი თვითონ იღებდა მონაწილეობას საიჯარო ამხანაგობაში. ამგვარად, თავი იჩინა აშკარა და სრულმა განხეთქილებამ ქალაქისა და სოფლის პლებსს შორის და რულუსს თავისი პროექტი კენჭის საყრელადაც აღარ დაუსვამს.

ამიტომ დემოკრატიულმა ოპოზიციამ კეისრის მეთაურობით, რომელიც, საგულისხმებელია, რულუსის კანონპროექტის წარმოდგენების ინიციატორი იყო, მის გატარებაში მარცხი განიცადა, მაგრამ კეისრის გავლენა სენატორების წრეში და მისი პოპულარობა პლებსს შორის მაინც იზრდებოდა. 63 წლის დასაწყისში კეისარი აირჩიეს კომიციებში დიდ პონტიფიკად. ის განაგრძობდა პოპულარების ხაზის გატარე

ბას ღა მისი წინაადგებით 63 წლის დასაწყისშივე პასუხისგებაში იქნა მიცემული მოხუცი სენატორი გაიუს რაბირიუსი, რომელსაც ბრალად ედებოდა ძვ. წ. 100 წელს სატურნინისა და გლავციას მკვლელობაში მონაწილეობა.

3. კატილინას „მეორე" შეთქმულება

კატილინას წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო პროცესზე იგი გაამართლეს. თუმცა ეს პროცედურა იმდენად გაჭიანურდა, რომ მან ვერც 64 წლის კონსულობაზე წამოაყენა თავისი კანდიდატურა. მაგრამ იგი იმედს მაინც არ კარგავდა და 63 წლისათვის დაიწყო მზადება. ამ მიზნით მას განსაკუთრებული საარჩევნო პროგრამა წამოუყენებია, რომლის მთავარი ლოზუნგი ვალების კასაცია იყო: იგი ამომრჩევლებს შეპირებია: თუ კონსულად ამირჩევთ, გამოვაქვეყნებ ახალ საველო წიგნებს, რომლებიც საკრედიტო ურთიერთობას მოვალეების სასარგებლოდ შეცვლისო. ეს ლოზუნგი იმ დროს, როცა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მევახშეთა ბრჭყალებში იყო მოქცეული, ყველას მოეწონა. ციცერონის სიტყვით, სადაც კი იყვნენ ვალებში ჩაფლული ადამიანები, არა მარტო რომში, არამედ იტალიის მიღმა-ნილ კუთხეებშიც კი, კატილინამ ყველა ჩაითრია თავის გაუგონრად დანაშაულებრივ წრეშიო. კატილინას საარჩევნო პროგრამა ბევრ რამეში მოგვაგონებს პოპულარების წარმომადგენელთა ლოზუნგებს.

კატილინას მომხრეებს შორის იყვნენ ზოგიერთი ნობილები, რომელნიც ვალებში ჩავარდნილიყვნენ; კატილინას დახმარებით ისინი არა მარტო ვალებისგან განთავისუფლებას ფიქრობდნენ, არამედ დიდი თანამდებობის დაკავებასაც. კატილინას მხარს უჭერდნენ მევახშეების მიერ შევიწროებული გაბოგანოებული გლეხები და ხელოსნები. მას მომხრეები ჰყავდა რომს გარეთაც, კერძოდ, სულანელ ვეტერანთა შორის, რომლებიც ასევე ვალებს გაეღატაკებინათ. მტკიცე ფიცით შეკრული კატილინას მომხრეები ფარულ მოქმედებას შეუდგნენ, მაგრამ კატილინა ვერც 63 წლისათვის გასულა კონსულად. ამ პოსტზე არჩეულ იქნა მისი ყველაზე თავგამოდებული მოწინააღმდეგე ციცერონი. კატილინა მაინც არ კარგავს იმედს და ახლა 62 წლისათვის ემზადება კონსულად არჩევისათვის. იგი და მისი მომხრეები ფართო აგიტაციას ეწევიან. ეტრურიაში ცენტურიონ ჭანლიუსმა სულანელ ვეიერანებისაგან დაიწყო რაზმების შედგენა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში სამხედრო მოქმედება უნდა დაეწყოთ. შეთქმულებს ციცერონის თავიდან მოშორების გეგმაც ჰქონდათ შემუშავებული.

62 წლის კონსულების არჩევნები 63 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა. არჩევნებს ციცერონი ხელმძღვანელობდა; იგი კომიციაზე ჯავ-

შანში გამოწყობილი გამოცხადებულა. ციცერონი განზრახ აჩვენებდა ყველას ჯავშანს, რომ ენიშნებინა დამსწრეთათვის — საფრთხეში ვიმყოფებიო. კატილინა ამჯერადაც გაშავებულა, ხოლო კონსულებად სილანუსი და მურენა აურჩევიათ.

ამრიგად, კატილინას ეს ცდაც, ლეგალური გზით ჩაეგდო ძალაუფლება, მარცხით დამთავრდა და მის შეთქმულებას უკვე ამბოხების ხასიათი ეძლეოდა. სენატმა გადაწყვიტა შეთქმულთა მიმართ უფრო ენერგიული ზომები გაეტარებინა. მანლიუსს წინააღმდეგ გაგზავნეს სამხედრო ნაწილები, შეთქმულთა გაცემისათვის დააწესეს ფულადი ჯილდო, ხოლო გლადიატორთა ჯგუფები, რომლებიც აჯანყებისაკენ მიდრეკილებას იჩენდნენ, რომიდან გაიყვანეს და დაქსაქსეს. თვით შეთქმულთა ხელყოფას ციცერონი ჯერ მაინც ვერ ბედავდა, რადგან მათ შორის ბევრი წარჩინებული რომაელი ოჯახის წევრი იყო. მაგრამ ბოლოს, სენატისათვის ცნობილი გახდა, რომ შეთქმულები 17 დეკემბრისათვის, ე. ი. საატურნალიების დღესასწაულისათვის გეგმავდნენ რომში აჯანყებას, ქალაქისათვის ერთდროულად სხვადასხვა უბანში ცეცხლის წაკიდებასა და ციცერონის მოკვლას. მაშინ შეიკრიბა სენატის საგანგებო სხდომა, რომელზეც ციცერონმა ბრწყინვალე მამხილებელი სიტყვა წარმოთქვა. კატილინამ სენატის სხდომა დატოვა და იმ ღამესვე ეტრურიაში გაიქცა, სადაც მანლიუსის მიერ შეკრებილ რაზმებს შეუერთდა.

რომში დარჩენილი კატილინარიები მაინც არ წყვეტდნენ ფარულ ბრძოლას და აჯანყებას ამზადებდნენ. ამ დროს ისინი დაუკავშირდნენ გალური ტომის — ალობროგების რომში ჩამოსულ ელჩებს, რომელთაც სენატში ადგილობრივ მაგისტრატთა და მევახშეთა უკანონო მოქმედებაზე საჩივარი მოიტანეს. შეთქმულებმა ალობროგებს ერთობლივი მოქმედება შესთავაზეს. ალობროგებმა კატილინარიები გასცეს, რამაც საფუძველი მისცა სენატს შეთქმულები დაეპატიმრებინა.

5 დეკემბერს სენატში ირჩეოდა პატიმართა საკითხი. ციცერონმა და სენატორთა ნაწილმა შეთქმულთა სიკვდილით დასჯა მოითხოვა, მაგრამ იულიუს კეისარს, რომელსაც ზოგი შეთქმულების მონაწილედაც თვლიდა, წამოუყენებია წინადადება კატილინას მომხრეთა რიცხვიდან გაძევებისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ, რადგან სიკვდილით დასჯა, მისი სიტყვით, რომაულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა. კეისრის სიტყვას სენატის წევრებზე დიდი გავლენა მოუხდენია, მის აზრს ბევრი მიმხრობია. მაშინ სიტყვა აუღია ციცერონს; მას მკაცრი და დასაბუთებული ბრალდებები წამოუყენებია და შეთქმულთა სიკვდილი მოუთხოვია. ციცერონისათვის მხარი დაუჭერია მომავალი წლის სახალხო ტრიბუნს მარკუს პორკიუს კატონ უმცროსს. შეთქმულთა ბედი გადაწყდა, სენატმა მათ სიკვდილი მიუსაჯა.

იმავე საღამოს ციცერონი, სენატორთა და მცველთა თანხლებით, მივიდა დაპატიმრებულებთან და ისინი მამერტინის ციხეში გადაიყვანა, სადაც იმავე ღამით მოაშთეს. ხალხი ამ ცნობას ტაშისცემით შეხვდა და ციცერონი „სამშობლოს მხსნელად“ გამოაცხადა, ხოლო სენატმა მას „სამშობლოს მამის“ წოდება მიანიჭა.

ციცერონის მოქმედებამ მალე დიდი ოპოზიცია გამოიწვია რომში. შეთქმულთა სიკვდილით დასჯის ამბავს კატილინას ბანაკამდეც მიეღწევა. მას განუზრახავს ათი ათას მეომართან ერთად გალიაში გადახვეწილიყო, მაგრამ კვინტუს მეტელუს ცელერს შეუტყვია მისი მოძრაობის მარშრუტი და თავის ლეგიონებით მისთვის გზა გადაეკრია. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ კატილინას, სალუსტიუსის გადმოცემით თავისი მეომრებისათვის უკანასკნელი გამხნევებელი სიტყვით მიუმართავს: ჩვენ გზას გვიღობავს მტრის ორი არმია— უთქვამს მას — ერთი ქალაქის მხრიდან (ანტონიუსისა), მეორე გალიის მხრიდან (ცელერისა). სურსათ-სანოვაგე გველევა და მხოლოდ იარაღით შეგვიძლია გზა გაეკაფოთ; ჩვენ ვიბრძვით სამშობლოსათვის, თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის. თავის სიტყვას იგი ასე ამთავრებს: „როცა თქვენ გაიცქერდებით მეომრებო, და ვიწყებ თქვენი გმირობის შეფასებას, მე მიპყრობს გამარჯვების დიდი იმედი, აღფრთოვანება, ასაკი და თქვენი ვაჟკაცობა, ამასთან უკიდურესი გაჭირვება, რომელიც ლაჩრებს მამაცებად ჰქმნის, მინერგავს მხნეობას... ხოლო თუ ბედი მაინც ულალატებს თქვენს მამაცობას, ეცადეთ, რაც შეიძლება ძვირად დაუთმოთ მტერს თქვენი სიცოცხლე; უფრთხილდით ტყვედ ჩავარდნას, რადგან საქონელივით დაგკლავენ; ბრძოლეთ, იბრძოლეთ, როგორც ნამდვილმა ვაჟკაცებმა და დაუტოვეთ მტრებს გამარჯვება, მთლად სისხლითა და ცრემლებით გაჟღენთილი“. 62 წლის დამლევს, ეტრურიის ქალაქ პისტორიასთან, მომხდარა გადამწყვეტი ბრძოლა და კატილინა თავის მომხრეებითურთ მთლიანად გაუნადგურებიათ. როცა კატილინას, სალუსტიუსის სიტყვით, დაუნახავს, რომ მისი ჯარი უკვე დამარცხებულია და ის მხოლოდ მცირერიცხოვანი მეომრების ამარა რჩება, მოჰკონებია თავის წარმოშობა და წინანდელი ღირსება, შეჭრილა მტრის შემჭიდროებულ რიგებში და განგმირული დაცემულა ბრძოლის ველზე. არც ერთი მისი თანაბრძოლთაგანი ბრძოლას არ გაქცევია; ყველას თავისი გვამებით დაუფარავს ის ადგილი, რომელიც ბრძოლის დასაწყისში დაუკავებია; არც ერთი მათგანი მტერს ტყვედ არ ჩავარდნია, ყველა გმირულად დაღუპულა.

ასე დამთავრდა ამ შეთქმულების მეორე ეტაპიც. მაგრამ როგორც თვითონ ციცერონის ერთი სიტყვიდან ჩანს, რომის პლებეებში კატილინას სახელი დიდხანს ცოცხლობდა, მის საფლავს ყვავილებით ამკობდნენ და სულის მოსახსენიებელ ტრაპეზებს მართავდნენ.

მართალია, კატილინარიების განადგურების საქმეს ციცერონმა დიდი ამაგი დასდო, სენატორთა მხურვალე მადლობა დაიმსახურა და „სამშობლოს მხსნელის“ სახელიც მოიბვეჭა, მაგრამ როგორც შემონახული ცნობებიდან ჩანს, რომის მოსახლეობის ფართო წრეებში მის მიმართ თანდათან გაზრდილა მტრული განწყობილება. კონსულობის უკანასკნელ დღეს, როცა მიღებული წესის თანასმად, ციცერონს კომიციებისათვის თავისი მოღვაწეობის ანგარიში უნდა წარედგინა, სახალხო ტრიბუნს — ცეცილიუს ნეპოტუსს ის მკაცრად შეუჩერებია და უთქვამს, რომ ვინც სასამართლოს გვერდის ავლით სიკვდილით დასჯა რომაელი მოქალაქეები, იმას უფლება არა აქვს ხალხს მიმართოს, ამასთან, ტრიბუნა ჩაუხერგავთ და ციცერონისათვის საშუალება არ მიუციათ ტრიბუნიდან ელაპარაკა. მხოლოდ იმის ნება დაურთავთ, რომ რწმუნებულობის დამთავრების აღსანიშნავი ფიცი წარმოეთქვა და მაშინვე ჩამოსულიყო ტრიბუნიდან. ციცერონი დათანხმებულა, ასულა ტრიბუნაზე და წარმოუთქვამს არა მამაპაპათაგან დაწესებული ფიცი, არამედ საკუთარი, სადაც აღუნიშნავს, რომ მან სამშობლო იხსნა და მეუფება შეუნარჩუნა. ამას კიდევ უფრო გაუძლიერებია მის წინააღმდეგ სიძულვილი.

თავი მეთექვსმეტე

რომის შინაგანი და საგარეო მდგომარეობა ძვ. წ. I საუკუნის სამოციან და ორმოცდაათიან წლებში

1. პირველი ტრიუმვირატი

62 წელს იულიუს კეისარი პრეტორად აირჩიეს. პრეტორად ყოფნის დროს მას მწვავე კონფლიქტი ჰქონდა სენატთან. იგი მკაცრად ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ კატილინას მომხრეების მიმართ გრძელდებოდა სასტიკი ზომების მიღება და მოურიდებლად ამხილებდა სახაზინო თანხების ფლანგვას ოპტიმატების მეთაურების მიერ. ამიტომ სენატმა მოიწადინა მისი თანამდებობიდან გადაყენება და სათანადო პრძანებულებაც გამოსცა, მაგრამ ამას ხალხში ისეთი მღელვარება მოჰყვა, რომ სენატორები იძულებული გახდნენ ის გაეუქმებინათ. კეისრის პრეტორობის დროს, პლუტარქეს გადმოცემით, უსიამოვნება მოხდა, როცა რომში 62 წელს კეთილი ქალღმერთის დღესასწაულს იხდიდნენ, რომელიც უმაღლესი პონტიფიკის სახლში იმართებოდა და, რომელზე დასწრებაც მხოლოდ ქალებს შეეძლოთ, ალაგაზრდა პუბლიუს კლოდიუსმა შემდგომში სახალხო ტრიბუნად არჩეულმა, ქნარის დამკვრელი ქალის ტანსაცმელი გადაიცვა და კეისრის ცოლს — პომპეიას ფარულად ეწვია. მაგრამ მისი იქ ყოფნა ქალებმა გამოააშკარავეს და სახლიდან გამოაძევეს, ხოლო სახლებში დაბრუნებულებმა ეს ამბავი ქმრებს უამბეს. სენატორების ნაწილმა კლოდიუსის საქციელს სარწმუნოებრივი დანაშაულის ხასიათი მისცა და შესაფერი ბრალდება წაუყენა კლოდიუსს. თვითონ კეისარმა ამ ბრალდებას მხარი არ დაუჭირა და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ცოლს გაეყარა, ვითომც იმ მოტივით, რომ „ჩემს ცოლზე გულში ეჭვიც კი არ უნდა გაივლონო“, მაგრამ სასამართლო პროცესი მაინც შედგა და მთავარ ბრალმდებლად ციცერონი გამოვიდა. მართალია, კლოდიუსი გაამართლეს, მაგრამ ამ დროიდან მასსა და ციცერონს შორის დაუძინებელი მტრობა დამყარდა.

როცა კეისარს პრეტორობის ვადა გაუთავდა, მას სენატმა საგამგებლოდ დაუნიშნა ესპანეთი, როგორც პროვინცია. მაგრამ მის გამგ-

ზავრებას ხელს უშლიდნენ მევალეები. ამიტომ დახმარებისათვის კეისარმა კრასუსს მიმართა, უკანასკნელი შეუთანხმდა მის ყველაზე უფრო აბეზარ და ულმობელ მევალეებს, იკისრა რვაას ოცდაათი ტალანტის ვალის გადახდა და კეისარს ესპანეთში გამგზავრების საშუალება მისცა. მისი წასვლის შემდეგ რომში მდგომარეობა დაძაბული იყო. ჩვენ ვიცით, თუ როგორი ბრძოლით ელოდა ბევრი ძლევამოსილი პომპეუსის რომში დაბრუნებას და შიშობდა, რომ სულას მსგავსად იგი, თავის არმიაზე დაყრდნობით, ხელისუფლებას მიითვისებდა. მაგრამ მან ბრუნდიზიუმშივე გაუშვა ჯარისკაცები და, მართალია, მას დიდი ტრიუმფი გადაუხადეს, მაგრამ პოლიტიკურად იგი იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ამასობაში კეისარი ესპანეთში ენერგიულად მოქმედებდა, მან გაიმარჯვა ლუზიტანებზე და გზადაგზა დაიპყრო ის ტომები, რომლებიც უწინ რომაელთ არ ემორჩილებოდნენ. ამასთან ერთად, მან „ქალაქებში თანხმობა დაამყარა და განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა კრედიტორებსა და მოვალეთა შორის არსებული დავის მოგვარებას. კეისარმა დაადგინა, რომ კრედიტორს მოვალის შემოსავლიდან ყოველწლიურად აეღო მხოლოდ ორი მესამედი, დარჩენილი ნაწილით კი პატრონს ესარგებლა. ამ საქმეთა მოწესრიგების წყალობით მან დიდად გაითქვა სახელი და ამის შემდეგ მალე დატოვა პროვინცია, სადაც თვითონაც გამდიდრდა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მისცა ჯარისკაცებსაც, რომლებმაც იგი იმპერატორად აღიარეს“ (პლუტარქე). კეისარი იმ დროს მიუახლოვდა რომს, როცა 59 წლის კონსულების არჩევნები იწყებოდა. იგი შეეცადა ნებართვა მიეღო, დაუსწრებლად წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა და ტრიუმფიც გადაეხადა, მაგრამ სენატში ამას ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, ამიტომ ტრიუმფზე უარი განაცხადა და კონსულად არჩევისათვის მზადებას შეუდგა.

რომში დაბრუნებულმა კეისარმა მოლაპარაკება გამართა პომპეუსსა და კრასუსთან. ორივე ეს პირი იმ დროს უკვე მოკლებული იყო სენატში გავლენასა და სენატორებისაგან მხარდაჭერას და ერთმანეთსაც მტრობდნენ. კეისარმა შეარიგა ისინი და რომში სამ ძლიერ პიროვნებას — პომპეუსს, კეისარსა და კრასუსს შორის მოხდა კერძო, არაოფიციალური შეთანხმება, რომელიც დღეს „პირველი ტრიუმვირატის“ სახელით არის ცნობილი, თუმცა ძველი ავტორები მას გავლენიან და ძლევამოსილ ადამიანთა კერძო შეთანხმებად სთვლიდნენ. ის არსებითად სენატის წინააღმდეგ იყო მიმართული და მისი წევრები უმთავრესად სახალხო კრებას ემყარებოდა.

როგორ უყურებდნენ ასეთ შეთანხმებას ძველი რომაელი ავტორები? პლუტარქე გვარწმუნებს: „კეისარმა ძველი მტრები მეგობრე-

ბად აქცია, მათი ძალა საკუთარ ხელში მოიმწყვდია და ამ ვითომცდა კაცთმოყვარული საქმით სრულიად შეუმჩნევლად სახელმწიფო გადატრიალება მოახდინაო". ტიტე ლივიუსი მას კონსპირაციად (შეთქმულებად) თვლის. დიონ კასიუსი ამ შეთანხმებას ისეთ მეგობრობად წარმოგვიდგენს, რომელიც, სენატისა და ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლების მიღწევას. მარკუს ტერენციუს ვარომ ამ ტრიუმვირატზე მთელი სატირა შექმნა. და მას „სამთავიანი ურჩხული" უწოდა. ციცერონი ამ შეთანხმებას სახელმწიფოს საფუძველთა შერყევად თვლის; იგი მის წევრებს პოპულარებს უწოდებს და ამ ტერმინს ხმარობს უარყოფითი მნიშვნელობით: „ამ პოპულარებმა თითქმის ყველაზე მეტად ზომიერი ადამიანებიც კი აიძულეს ასისინებულიყვნენო" და „ახლა არაფერი ისე პოპულარული არ არის, როგორც პოპულარებისადმი სიძულვილიო". ასეთი დახასიათება ტრიუმვირატისა ძირითადად იმით აიხსნება, რომ 60 წლის შეთანხმება მიმართული იყო სენატის, სენატორული დიდკაცობის წინააღმდეგ; მასთან ბრძოლაში ტრიუმვირატი ხახალხო კრებას უნდა დამყარებოდა. მისი როლი და მნიშვნელობა გაიზარდა. თუმცა ძალიან ხშირად ის თავისუფალი არ იყო თავის ნება-სურვილის გამომჟღავნებაში. პომპეუსს ჰქონდა ბრძოლის ველზე მოპოვებული დიდი სამხედრო სახელი და მას მხარს უჭერდა ნრაგალრიცხოვანი ვეტერანი, კრასუსი გამოირჩეოდა თავისი დიდი სიმდიდრით და სავაჭრო-სავახშო წრეებთან კავშირით; კეისარი დიდად პოპულარული იყო პლებეებს შორის. ასეთი პირადი გავლენით და ვ[illegible]ოიმეორესთან დამოყვრებით ისარგებლეს მათ პირველ რიგში მოსენიებული შეთანხმების დადების დროს. მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი არ ერიდებოდნენ მოწინააღმდეგეთა მიმართ ძალადობის გამოყენებასა და მოსყიდვას. მართალია, მათ შორის უმეტესი ავტორიტეტით პომპეუსი გამოირჩეოდა, მაგრამ ფართო ღონისძიებათა გატარების ინიციატორი და ხელმძღვანელი კეისარი იყო, რომლის არჩევა 59 წლის კონსულად ტრიუმვირატის პირველ ამოცანას შეადგენდა.

2. იულიუს კეისრის კონსულობა

60 წელს ჩატარებულ არჩევნებში 59 წლის კონსულებად აირჩიეს იულიუს კეისარი და კალპურნიუს ბიბელუსი. კეისარი დაუყოვნებლივ შეუდგა ისეთ ფართო ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც სენატის საწინააღმდეგო იყო. კეისრის მიერ წამოყენებულ ღონისძიებათა შესახებ პლუტარქე ამბობს: „მათი წამოყენება ვინმე უტიფარ ხალხო ტრიბუნს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე კონსულსო". კეისრის კოლეგა ბიბულუსი, რომელიც სენატის პოზიციების დამცველობას

კისრულობდა, ამაოდ ცდილობდა ხელი შეეშალა მისი პროექტების გატარებისათვის, თავის სახლში მაგრად ჩაიკეტა და კონსულობის დანარჩენი დრო ასე გაატარა. თავისი პროტესტების დასასაბუთებლად გულუბრყვილოდ „ცუდის მომასწავებელ ნიშნებზე“ მიუთითებდა და მომზენის მოსწრებული თქმით. თავისებური „პოლიტიკური ასტრონომიით“ ერთობოდა. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი 59 წელს მომხდარ ამბავს ასე ათარიღებდა: „იულიუსისა და კეისრის კონსულობაში“, სენატს კეისარი ანგარიშს არ უწევდა და, პირიქით, იმდენად დაუშინებია სენატორები, რომ სენატის სხდომებს ზოგიერთი მათგანი თავს არიდებდა. სამაგიეროდ, ის ფართოდ ემყარებოდა სახალხო კრებას, რომელზეც ზეგავლენას ხშირად სხვადასხვა ხერხის გამოყენებით აღწევდა.

გავეცნოთ ზოგადად კეისრის მიერ გატარებულ ღონისძიებებს და დავიწყოთ მისი ორი აგრარული კანონის განხილვით. ეს კანონები თითქმის იმავე პრინციპებზე იყო აგებული, როგორზედაც სერვილიუს რულუსის აგრარული კანონპროექტი. კანონები ითვალისწინებდა ვეტერანებისა და ღარიბებისათვის მიწების დანაწილებას. თუ პირველ კანონში გასანაწილებელი ფონდიდან კამპანიის სახელმწიფო მიწები გამორიცხული იყო, მეორეში ისინი იგულისხმებოდა, მაგრამ ვინაიდან ეს ფონდი საკმარისი არ იყო, საჭიროდ ჩაუთვლიათ კერძო პირებისაგან მიწების შესყიდვა. საცენზო სიებში აღნიშნული ფასების მიხედვით. მიწის ნაკვეთები უნდა მიეღო 20 ათას ადამიანს. პირველად პომპეუსის ვეტერანებს და შემდეგ ხელმოკლე მოქალაქეებს, რომლებსაც სამ შვილზე ნაკლები არ ჰყავდათ. კეისრის ამ გაერთიანებულ კანონს სენატის დიდი ოპოზიცია მოჰყოლია, მაგრამ ის მაინც შეუტანია სახალხო კრების განსახილველად. ძველი ავტორების გადმოცემით სახალხო კრება ფრიად მღელვარე პირობებში მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ ღამით შეიარაღებულ მომხრეებს დაუკავებიათ ფორუმი და კრებას დასწრებიან პომპეუსის ვეტერანები. კეისარს უფლება არ მიუქცევია იმისათვის, რომ მეორე კონსულს, კალპურნიუს ბიბულუსს და სახალხო ტრიბუნებს წარმოდგენილი კანონის წინააღმდეგ ინტერცესიოს უფლება გამოუყენებიათ. ამტყდარ შეხლა-შემოხლაში ორი ტრიბუნიც კი დაუჭერიათ, ხოლო პრეტორი კატონ უმცროსი ძალით წაუყვანიათ საპყრობილეში, მაგრამ, მისადმი ხალხის თანაგრძნობის გამოვლინების გამო გაუნთავისუფლებიათ. კანონი სახალხო კრებას მაინც მოუწონებია. მის გასატარებლად აირჩიეს ოცწევრიანი კომისია. კომისიაში შევიდნენ ცნობილი სენატორები და ციცერონიც, რომელიც კანონის მომხრე არ იყო, და, თუ პლუტარქეს დაუჯერებთ, მან პირველმა მიიჩნია კეისარი საშიშ პიროვნებად, მაგრამ ისიც და სხვა სენატორებიც, სასტიკი სასჯელის შიშით, იძულებული გახდნენ

ამ კანონისადმი ერთგულების ფიცი მიეღოთ. მხოლოდ კატონი და ერთი სენატორი ჯიუტობდნენ და ფიცის მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ბოლოს ისინიც დათანხმდნენ და ფიცი მიიღეს.

კეისრის მეორე კანონით დამტკიცდა პომპეუსის მიერ აღმოსავლეთში გატარებული ღონისძიებები, რასაც უწინ სენატი ეწინააღმდეგებოდა. კეისარმა საყურადღებო კანონი გაატარა გამოძალვათა შესახებ. ეს კანონი ისეთ ღონისძიებებს შეიცავდა, რომლებიც პროვინციელების მდგომარეობის შემსუბუქებას გულისხმობდა. ის ზუსტად განსაზღვრავდა პროვინციების მმართველთა კომპეტენციას, აწესებდა გადასახადთა ნორმებს და აძლიერებდა სასჯელს გამოძალვისათვის. სამაგიეროდ, მხედართა წოდების გულისმოსაგებად კეისარმა გაატარა კანონი, რომლის ძალით საიჯარო თანხა მესამედით შემცირდა. ამ კანონმა ტრიუმვირატის მხარეზე ფართოდ მიიზიდა მხედრები.

კეისრის მიერ 50 წელს გატარებული კანონმდებლობა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს გულისხმობდა. მან ისეთი კანონიც გაატარა, რომელიც გალიის პროვინციებს შეეხებოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა კეისრის მიერ შემოღებული წესი სენატისა და სახალხო კრების დადგენილებათა გამოქვეყნებისა საყოველთაო ცნობისათვის. არსებითად ეს ისტორიაში პირველი გაზეთი იყო. ცნობებს წერდნენ დიდ თეთრ დაფებზე, რომლებსაც ქალაქის სხვადასხვა ნაწილში გამოჰკიდებდნენ ხოლმე. ოფიციალურ განკარგულებებს ზოგჯერ უმატებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ მნიშვნელოვან ცნობებს.

ჯერ კიდევ 60 წელს, სენატმა, გაიუს გრაკხუსის კანონის მიხედვით, 59 წლის კონსულებისათვის გაითვალისწინა მეორეხარისხოვანი პროვინციები. ეს რასაკვირველია, კეისარს ვერ დააკმაყოფილებდა და, როცა დადგა დრო მისი რწმუნებულების ვადის დამთავრებისა, მისმა ბომბრე სახალხო ტრიბუნმა, პუბლიუს ვიტინიუსმა კრებაში გაატარა კანონი, რომელმაც შეცვალა სენატის წინანდელი დადგენილება და კეისარს მიაკუთვნა ხუთი წლით გამგებლობა ციზალპურ გალიასა და ილირიაში. იგი აღჭურვეს უდიდესი უფლებამოსილებით და შეეძლო თავისი შეხედულებით დაენიშნა ლეგატები ორმაგი რიცხვით, გაეყვანა მოქალაქეთა ახალშენები და შეედგინა არმია ორი ლეგიონისაგან. მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა ნარბონის გალიის მმართველი — ცეცილიუს მეტელუს ცელერი და სენატმა კეისრის პროვინციებს დაუმატა ნარბონის გალია და მის არმიას კიდევ ერთი ლეგიონი. მაგრამ კეისარი თავის ვადის გასვლისთანავე როდი წავიდა მისდამი მიკუთვნებულ პროვინციებში, არამედ ერთ დროს რომის მიდამოებში იმყოფებოდა და თვალყურს ადევნებდა რომში მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლას. მას არ უნდოდა დაშორებოდა რომს, ვიდრე იქ მისი მო

რი ეროწინააღმდეგე კატონი და ციცერონი იქნებოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კატონი, ვითომც დიპლომატიური დავალების შესრულების მიზნით კვიპროსზე გაგზავნეს, ხოლო ციცერონი რომიდან გააძევეს, კეისარი პროკონსულის წოდებით გაემგზავრა თავის პროვინციაში. ციცერონის გაძევების რთული საქმე კი დაკავშირებული იყო სახალხო ტრიბუნის პუბლიუს კლოდიუსის მოღვაწეობასთან.

3. პუბლიუს კლოდიუსის ტრიბუნობა

59 წლის 10 დეკემბერს სახალხო ტრიბუნის მოვალეობის შესრულებას შეუდგა პუბლიუს კლოდიუსი, რომელიც ამ თანამდებობის მიღებისათვის პატრიციების წრიდან პლებეებში გადავიდა.

კლოდიუსმა გაატარა ოთხი დემოკრატიული კანონი: პირველი აუკრძალა ფასის გადახდას იმ პურზე, ყოველთვიურად რომ ურიგდებოდა უღარიბეს მოსახლეობას; ციცერონის აზრით, ამით მან სახელმწიფო აზარალა შემოსავლის ოცი პროცენტით შემცირების გამო. შესაძლოა, კატონ უმცროსის გაგზავნა კვიპროსზე ამ კანონთან იყო დაკავშირებული, რომ ამ კუნძულის შემოერთებით დაეფარათ უფასო პურის დარიგებაზე გაწეული ხარჯები. მეორე კანონით მაღალ მაგისტრატებს აეკრძალათ კომიციების დღეებში ეწარმოებინათ ციურ მოვლენათა დაკვირვება. ეს კანონი საშუალებას უსპობდა ოპტიმატებს, ხელი შეეშალათ კომიციების სხდომებისა და მათთვის მიუღებელი კანონების გატარებისათვის. ვითომც არასასიკეთო ციური მოვლენების შესაბამისად. მესამე კანონმა შეზღუდა ცენზორების უფლება თავისი შეხედულებით სენატიდან იმ წევრების გამორიცხვისა, რომლებიც მათ მიუღებლად მიაჩნდათ. ის, ალბათ, იმ სენატორებს გულისხმობდა, რომლებიც სენატორთა უმრავლესობას ოპოზიციას უწევდა, ამიერიდან სენატიდან მხოლოდ იმ პირების გამოყვანა შეიძლებოდა, რომელთა მიმართ ორივე კონსულის მიერ აღიარებული ოფიციალური ბრალდება იქნებოდა წაყენებული. მეოთხე კანონი შეეხებოდა ძველი კვარტალური კოლეგიების აღდგენასა და ახლების დაარსებას. ეს კოლეგიები რომის სენატს აუკრძალავს 64 წელს, კატილინას წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ეს კვარტალური კოლეგიები ისეთი გაერთიანებები იყო, რომლებშიც მონაწილეობდნენ არა მარტო თავისუფალი ადამიანები, არამედ მონებიც. ისინი მონათმფლობელურ რომში თავისებურ პოლიტიკურ კლუბებს განასახიერებდნენ. მათში შედიოდნენ ხელოსნები, ღარიბები, აზატები და, როგორც ვთქვით, მონებიც. აქ იხილავდ-

ნენ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს და იმუშავებდნენ პოლიტიკური გამოსვლების გეგმებს. ამას გარდა, ყოველთვიური მცირე შესატანის გადახდით მათ უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საერთო ტრაპეზებში და სიკვდილის შემთხვევაში მათ ოჯახებს დახმარება ეძლეოდათ. კოლოდიუსმა ეს კლუბები არა მარტო აღადგინა, არამედ ახლების დაარსებაც განიზრახა.

მაგრამ, როცა კოლოდიუსი დარწმუნდა, რომ მისი პოპულარობა გაიზარდა და ხალხში სახელი მოიხვეჭა, გადაწყვიტა პირდაპირი იერიში მიეტანა ციცერონზე. ამ მიზნით მან წამოაყენა კანონპროექტი, რომელიც გაძევებით ემუქრებოდა ყველას, ვინც გაუსამართლებლად დასაჯა რომაელი მოქალაქე.

ცხადია, კანონი ციცერონის წინააღმდეგ იყო მიმართული. პლუტარქეს სიტყვით, ციცერონი სამართალში მისცეს და განსაცდელში ჩავარდნილმა ციცერონმა, სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილმა, უბან-უბან სიარული იწყო და ხალხებს ემუდარებოდა დამიფარეთო, მაგრამ უშედეგოდ. დახმარება მან ვერც პომპეუსისაგან მიიღო და მარტოდმარტო დარჩენილმა რომი დატოვა. ხოლო როცა მისი გაქცევა ცნობილი გახდა, კლოდიუსმა სახალხო კრებაზე გაატარა მეორე კანონი, რომლის ძალითაც ყველას ეკრძალებოდა რომიდან ხუთასი მილის მანძილზე მიეწოდებინა მისთვის ცეცხლი და წყალი და მიეცათ თავშესაფარი. ციცერონის ქონებას კონფისკაცია უყვეს. კოლოდიუსმა ყველა მისი აგარაკი დაანგრია, სახლი პალატინზე გადაწვა, მისი ნასახლარის ნაწილი საჯარო ვაჭრობით გაყიდა, ხოლო მეორე ნაწილზე თავისუფლების ტაძარი ააგო.

4. კეისარი გალიაში (58—56 წწ.).

როგორც ვთქვით, თავის პროვინციაში კეისარი მხოლოდ მაშინ გაემგზავრა, როცა კატონმა და ციცერონმა რომი დატოვეს. ვიდრე საუბარს გავაგრძელებდეთ, პროვინციაში მის მოღვაწეობაზე საჭიროა ზოგადად გავითვალისწინოთ ის, თუ რას წარმოადგენდა მაშინ გალია. იმ დროს რომი უკვე მთლიანად ფლობდა ციზალპურ გალიას (ალპების ამიერი მხარის გალია) და ნაწილს ტრანსალპური გალიისას — (ალპების იმიერი მხარის გალია). ამ უკანასკნელის უმეტესი სივრცე კი, რომელიც შეიცავდა ახლანდელი საფრანგეთისა და ბელგიის ტერიტორიებს და შვეიცარიისა და ჰოლანდიის ნაწილებს, ჯერ კიდევ თავისუფალი იყო. გალიის ამ თავისუფალ ნაწილს, რომაელები „ბანჯგვლიან გალიას“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ თავისუფალ გალებს გრძელი თმა ჰქონდათ. მას რომაელები უპირისპირებდნენ რომანიზებულ „ტოგამოსილ გალიას“.

გალიის ძირითად მოსახლეობას კელტური ტომები წარმოადგენდ-ნენ. სამხრეთით, მდინარე გარონისა და პირენეებს შორის ბინადრობ-დნენ აქვიტანები, იბერიული ელემენტების შემცველი კელტური ტომი; ჩრდილოეთით, მდინარეებს, სექვანასა (სენას) და რეინს შორის დამკვიდრებული იყვნენ ბელგები, კელტურ-გერმანული ტომი, რომელიც კულტურის ყველაზე დაბალ დონეზე იდგა; ცენტრალურ ნაწილში, სენასა და გარონას შორის ცხოვრობდნენ საკუთრივ კელტები, რომლებსაც რომაელები გალებს უწოდებდნენ. ბრიტანეთის სანაპიროს მცხოვრებლები კი პრემორიკების, ე. ი. „ნაპირის ადამიანების“ სახელით იყვნენ ცნობილი.

გალია ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას წარმოადგენდა. მოსახლეობის მეურნეობის საფუძველი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. განსაკუთრებით მისდევდნენ მეღვინეობას, რომელიც მასალით გაჰქონდათ. ამას გარდა, ადრე განვითარებულა აქ ვაჭრობა. ჯერ კიდევ ცეზარის ლაშქრობამდე იტალიელი ვაჭრები კარგად იცნობდნენ თავისუფალი გალიის რაიონებს და მათთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. საქონელი აქედან მდინარეებით გაჰქონდათ და დროთა მსვლელობაში მდინარეებსა და გზაჯვარედინებზე წარმოქმნილა ქალაქური ტიპის გამაგრებული ცენტრები. მათში გარემო მცხოვრებნი თავს იფარავდნენ მტრებისაგან. აქვე ხდებოდა ლაშქართა შეკრება, ეწყობოდა ბაზრობა და სრულდებოდა რელიგიური დღესასწაულები. აქვე ცხოვრობდნენ ადგილობრივი ხელოსნები და ბაზრობაზე თავს იყრიდნენ რომაელი და ბერძენი ვაჭრები. როგორც არქეოლოგიური ძეგლები მოწმობს, ხელოსნობას აქ განვითარების საკმაოდ მაღალი საფეხურისათვის მიეღწევია და კელტებს კარგად აუთვისებიათ ლითონის დამუშავება.

თავისუფალი გალიის მოსახლეობა მრავალ დამოუკიდებელ და ურთიერთშორის მტრულად განწყობილ ტომად იყო დანაწილებული. ეს ტომები განვითარების სხვადასხვა სტადიას განიცდიდნენ. ზოგი მათგანის ცხოვრება ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების დონეზე იყო. სხვებს უკვე ემჩნეოდათ ამ წყობილების დაშლის, „მნიშვნელოვანი სოციალური დიფერენციაციისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი“. კელტურ ტომებს შორის დიდად გავლენიანი იყო ქურუმთა კასტა—დრუიდები. მათ მითვისებული ჰქონდათ ადათის განმარტების უფლება და კელტების საუკუნეობრივი სიბრძნის დაცვა. მხოლოდ დრუიდები სარგებლობდნენ დამწერლობით, რომელიც ბერძნული გრაფიკისაგან მომდინარეობდა, მაგრამ ბერძნული ანბანისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. დრუიდებმა ტაძრები არ იცოდნენ და ღვთისმსახურებას ხშირ ტყეებში ასრულებდნენ. მხოლოდ დრუიდებმა იცოდნენ მკურნალობის წესები და ისინივე ზრდიდნენ წარჩი-

ნებულთა ახალგაზრდობას. დრუიდები წმინდად იცავდნენ თავიანთი მსახურების წესებს და მოძღვრებას. ცალკეული ტომების სათავეში იდგა გვაროვნული დიდკაცობა, რომლის წრიდან გამოდიოდნენ ტომების მეთაურები, ბელადები, სხვებს თავისი გავლენით და სიმდიდრით რომ აღემატებოდნენ.

გალიის ტომებს შორის თითქმის შუდმივი ომი მიმდინარეობდა. ასეთი შეხლა-შემოხლის პროცესში ძვ. წ. II საუკუნეში არვერნების ბელადებმა მოახერხეს რამდენიმე ტომის დაქვემდებარება და საკმაოდ ძლიერი გაერთიანების შექმნა, მაგრამ რომაელების მიერ დამარცხებისა და შიგნით განხეთქილების შედეგად იგი დაიშალა. შემდეგ განსაკუთრებით აღსანიშნავია გელვეტების ტომის მიერ წინანდელი ადგილსამყოფელის გადანაცვლება. ძვ. წ. პირველი საუკუნის პირველ მესამედში გელვეტების ტომმა დატოვა წინანდელი საცხოვრებელი ადგილი მაინსა და ზედა რეინს შორის და ახლანდელი შვეიცარიის დასავლეთ ნაწილში დასახლდა. მას თან მიჰყვა გერმანელი ტომი — სვებები. ისინი ზედა რეინის მხარეში შეიკრნენ. თვითონ გალიის შიგნით ერთიმეორეს ებრძოდნენ ედუები და სეკვანები. უკანასკნელებმა ედუების წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად მიმართეს გერმანელი ტომის სვებების ბელადს არიოვისტს. იგი დიდი რაზმით გადავიდა რეინზე და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დაახლოებით 60 წელს. დაამარცხა ედუები. სამაგიეროდ, სეკვანებმა არიოვისტს დაუთმეს თავისი მიწების ნაწილი ახლანდელ ელზასში. ედუები რომაელების მეგობრებად ითვლებოდნენ და დახმარებისათვის რომის სენატს მიმართეს. სენატის ჩარევის შედეგად არიოვისტმა შეწყვიტა ედუების წინააღმდეგ საომარი მოქმედება და იგი რომაელების მეგობრადაც კი აღიარეს. მაგრამ მდგომარეობა მაინც რთული რჩებოდა: ერთი მხრივ, გალების მეზობელ ტომებს გერმანელების შესევა დაემუქრა. ხოლო, მეორე მხრივ, ვინაიდან გელვეტებმა მდინარე გარუმნას შესართავთან გადასახლება გადაწყვიტეს, მათ აუცილებლად უნდა გაეელოთ რომაელთა სამფლობელოზე.

მოკლედ ასეთი იყო ვითარება გალიაში, როცა კეისარი თავის პროვინციაში მივიდა. უპირველესად, მან ყველაფერი იღონა გელვეტების წინააღმდეგ. ამ მიზნით იგი თავისი ლაშქრით პროვინციის ჩრდილოეთ საზღვრებთან გაჩნდა, რამაც გელვეტები აიძულა სხვა გზა აერჩიათ და სეკვანებისა და ედუების მხარეზე გაეელოთ. მაშინ ედუებმა დასახმარებლად კეისარს მიმართეს, რამაც კეისარს გალიის საქმეებში ჩარევის საბაბი მისცა. მან გადალახა თავისი პროვინციის საზღვრები და 58 წლის ზაფხულში გელვეტები ბიბრაქტესთან სასტიკად დაამარცხა, მუსრი გაავლო, გელვეტების გადარჩენილი ნაწილი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და რომთან ზავი და კავში-

რი დაედო. შემდეგ კეისარმა გერმანელი ტომის — სვებების წინააღმ-
ეგ დაიწყო მოქმედება. არიოვისტთან ბრძოლა მთელი გალიის საქ-
მედ რომ გაეხადა, კეისარმა ხელი შეუწყო ბიბრაქტეში გალების
ტომთა წარმომადგენლების შეკრებას. მათ კეისრისათვის უთხოვიათ
დაეცვა ისინი არიოვისტის შეტევებისაგან. კეისარს არიოვისტისათვის
გარკვეული მოთხოვნები წარუდგენია, მაგრამ უკანასკნელს შესრულე-
ბაზე უარი უთქვამს. მაშინ კეისარს მისთვის ომი გამოუცხადებია.
ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ომის დაწყებას კეისრის ჯარში ერთ-
სულად საგანგაშო განწყობილება შეუქმნია, მაგრამ კეისარს თავისი
ნაბედული ლონისძიებებით ყოველი ასეთი დაბრკოლება გადაულახავს.

58 წლის შემოდგომაზე კეისარმა, სვებების მტკიცე წინააღმდეგო-
ბასა და არიოვისტის ნაცადი ტაქტიკის მიუხედავად, ისინი სასტიკად
დაამარცხა ახლანდელ ქალაქ სტრასბურგის რაიონში. ამ გამარჯვებას
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: რომაელებმა პირველად მიაღწიეს მდი-
ნარე რეინს, რომელიც ამიერიდან დიდხანს იყო აღმოსავლეთის სა-
ზღვარი რომაელების სამფლობელოსი ევროპაში; მეორე მხრივ, მან
თავიდან ააცდინა გალიას გერმანელი ტომების ახალი შემოსევა; მესა-
მე მხრივ, ფრიად განამტკიცა კეისრის გავლენა ცენტრალურ გალიაში.

ამის შემდეგ, რამდენიმე თვე კეისარი ციზალპურ გალიაში იმყო-
ფებოდა და პროკონსულის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 57 წლის
გაზაფხულზე მან 8 ლეგიონით გაილაშქრა ჩრდილოეთ კელტური ტო-
მების — ბელგების წინააღმდეგ. ამ მამაცმა ტომებმა მას ფრიად მედ-
ეგი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბრძოლა მათთან თითქმის ორი წელი
გაგრძელდა და ბრძოლის პროცესში იყო ისეთი საბედისწერო მომენ-
ტი, როცა რომაელების ჯარს განადგურება დაემუქრა და თვით მთა-
ვარსარდლის სიცოცხლეს დაღუპვა მოელოდა, მაგრამ კეისრის მხე-
დართმთავრულმა ნიჭმა და ბელგებს შორის გამოვლენილმა უთანხ-
მოებამ გადაარჩინა ისინი ამ საშინელ განსაცდელს. ბელგების ყველა
ტომი იქნა დაპყრობილი. დამარცხებულ ბელგებს რომაელებმა დააბ-
რალეს, მუხანათურად თავს დაგვესხნენო, და ამ საბაბით, სასჯელის
სახით, მათი წრიდან 53 ათასი კაცი მონებად გაიყიდა. ბელგების და-
მარცხების შემდეგ კეისარი მთელი გალიის დაპყრობას შეუდგა. ამა-
ში მას დახმარებას უწევდნენ თავისი ლეგატები. მისმა ერთმა ლეგატ-
მა, პუბლიუს კრასუსმა დაიმორჩილა დასავლეთ გალიის ტომები —
არმორიკები და აკვიტანები. აჯანყების მოწყობა სცადეს ჩრდილო-
დასავლეთის ტომებმა, რომელთაც ბრიტანების დახმარებით დიდი
ფლოტის შექმნაც კი მოახერხეს, მაგრამ ლუარის შესართავთან კეი-
სარმა ისინი დაამარცხა.

ახლა მთელი გალია კეისარს დაექვემდებარა და რომის პროვინ-

ციად გამოცხადდა. კეისრის ასეთმა ბრწყინვალე მიღწევებმა მთელი რომი გააოცა და აღაფრთოვანა. ამ ლაშქრობის შედეგად უდიდესი ნაღავლი ხვდათ რომაელებს, საქონლის, ძვირფასი ლითონების და აუარებელი მონის სახით. თვითონ კეისარი და მისი ლეგატები ჯერაოდ გამდიდრებული დაბრუნდნენ რომში. მისმა ერთმა ლეგატმა, ტიტუ ლაბიენმა იმდენი ქონება შეიძინა, რომ პიცენუმში მთელი ქალაქი ააგო. ჯარისკაცებს, გარდა ნადავლის ნაწილისა, ჯამაგირი გაუორკეცეს, უხვად უზრუნველყვეს სურსათ-სანოვაგითა და მონებსაც კი ურიგებდნენ. დიდი ქონება შეიძინა თვითონ კეისარმაც და იგი ერთ-ერთი უმდიდრესი რომაელთაგანი გახდა. რომში მან 55 წელს ახალი საუცხოოდ მოკაზმული ფორუმის აგება დაიწყო („იულიუსის ფორუმი") და მარტო საჭირო მიწის ნაკვეთის შესაძენად 100 მილიონ სესტერცზე მეტი დაიხარჯა.

5. გართულებული მდგომარეობა რომში და უეხვედრა ლუკაში

ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცანით რომში მდგომარეობის გართულებას. გავლენიანი სახალხო ტრიბუნის კლოდიუსის საწინააღმდეგოდ სენატორების პარტიამ ტიტე ანიუს მილონი გამოიყვანა და რომში ციცერონის დაბრუნების საკითხიც დადებითად გადაწყვიტა. თვითონ ციცერონიც ჩაება ბრძოლაში და სენატორთა პარტიის მხარეზე იბრძოლა. ვინაიდან მის დაბრუნებაში პომპეუსმაც მიიღო მონაწილეობა, ციცერონი, ერთი მხრივ, შეეცადა სენატორებთან მის შერიგებას, და, მეორე მხრივ, სენატში აღძრა საკითხი პომპეუსის განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურვისა რომის სურსათ-სანოვაგით მომარაგების უზრუნველსაყოფად. საქმე ის არის, რომ იმხანად რომი სურსათის მხრივ დიდ სიძნელეს განიცდიდა და სასურსათო საგნებზე ფასებმა მნიშვნელოვნად აიწია. ციცერონი გვარწმუნებს, რომ ფასები განსაკუთრებით გაიზარდა ჩემი დაბრუნების პირველ დღეებშიო. ხალხი ამაში ბრალს კლოდიუსს სდებდა. კანონპროექტი, რომელიც კომიციებში ერთმა სახალხო ტრიბუნმა წარადგინა, მიღებულ იქნა და პომპეუსს ხუთი წლით მიენდო იმპერიის განმგებლობა და ყველა იმ საქმეთა გაძღოლა, რომლებიც რომის პურით მომარაგებას შეეხებოდა. „ეიმშილისაგან შეეიწროებულმა რომაელებმა, — გადმოგვცემს აპიანე, — პომპეუსს მიანიჭეს შეუზღუდავი რწმუნებულება ქალაქის სურსათ-სანოვაგით მომარაგებისათვის და, როგორც წინათ პირატების ლიკვიდაციის დროს, მისცეს მას 20 ლეგატი სენატორთა წრიდან. ხოლო 56 წლის აპრილში სენატის დადგენილებით პომპეუსს პურის შესაძენად 400 მილიონი სესტერცი გადაეცა. ეს ამბავი კი პომპეუსის

დიდი მოწინააღმდეგის, კოლოდიუსის გავლენის სისუსტის მომასწავებელი იყო.

პომპეუსის ავტორიტეტი უკვე ერთგვარად შეირყა. კვლავ დაიძაბა მისი ურთიერთობა კრასუსთან, რომელიც იმ დროს პოლიტიკურ ასპარეზზე ნაკლებად ჩანდა და არ ერიდებოდა პომპეუსის წინააღმდეგ ზოგჯერ კლოდიუსისათვის დაეჭირა მხარი. ასეთ ვითარებაში არც კეისარი დაუტოვებიათ უყურადღებოდ. სენატორთა წრეში წარმოიქმნა ოპოზიცია მისი აგრარული კანონის მიმართ. ციცერონმა, რომელიც თავიდანვე უარყოფითად შეხვდა ამ კანონს, ახლაც მის წინააღმდეგ გაილაშქრა და, მისი წინადადებით, სენატმა გადაწყვიტა, დანიშნულ დროს გადაესინჯა კამპანიაში მიწების დანაწილების საკითხი. მართალია, პომპეუსის თხოვნით, ციცერონი სენატის სხდომაზე არ გამოცხადებულა და ეს საკითხიც აღარ დასმულა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სენატორთა წრეში კეისრის კანონის გადასინჯვის აზრი წარმოიშვა, იმას გვიმოწმებს, რომ დაიწყო კეისრის გავლენის შერყევის ცდები.

ასეთი ვითარება აიძულებდა ტრიუმვირატის წევრებს, დაეძლიათ მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოება და კვლავ გაემაგრებინათ თავიანთი პოზიციები.

56 წლის გაზაფხულზე კეისარი ციზალპურ გალიაში იმყოფებოდა და ითვალისწინებდა იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ტრიუმვირატის მდგომარეობა და გავლენა უნდა განემტკიცებინა. რავენაში იყო ინახულა კრასუსმა და შემდეგ ისინი პომპეუსთან ერთად საზეიმო ვითარებაში შეხვდნენ ერთმანეთს კეისრის საზაფხულო რეზიდენციაში — ლუკაში. აქ ტრიუმვირატის წევრებმა შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს: პომპეუსსა და კრასუსს კონსულობა უნდა მიეღოთ მომავალი 55 წლისათვის, ხოლო ვადის დამთავრების შემდეგ — ხუთი წლით პროკონსულობა, პომპეუსს—ესპანეთში, კრასუსს — სირიაში, კეისარს კი გაუდიდეს პროკონსულობის რწმუნება ხუთი წლით, მაშასადამე, 48 წლამდე, როცა მას კვლავ უზრუნველყოფილი უნდა ჰქონოდა კონსულობა. ასეთი შეთანხმება ტრიუმვირატის ყველა წევრისათვის ხელსაყრელი იყო, მაგრამ შეთანხმებაში გათვალისწინებული პირობების განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მართალია, კლოდიუსმა შეწყვიტა ტრიუმვირატის საწინააღმდეგო მოქმედება, მაგრამ სენატორთა ნაწილმა უფრო გაამახვილა თავისი შეტევები.

რომში დაბრუნებული პომპეუსი და კრასუსი შეუდგნენ კონსულობაზე არჩევნებისათვის სამზადისს. კონსულობის კანდიდატურის წამოყენების ვადა უკვე გასული იყო და ამიტომ არჩევნები მხოლოდ 55 წელს ჩატარდა. ამ თანამდებობის ყველა მაძიებელმა თავის

კანდიდატურაზე უარი განაცხადა, გარდა ზემოთ მოხსენიებული აჰენობარბუსისა, რომელიც პომპეუსის განკარგულებით ფორუმზე არ შეუშვეს. საარჩევნო კრებაში შეიარაღებულ ადამიანთა რაზმიც კი იღებდა მონაწილეობას. ასეთი გზით მიაღწიეს პომპეუსმა და კრასუსმა კონსულებად არჩევას. ამავე დროს პრეტორის თანამდებობაზე ასარჩევად წამოყენებული იყო ტრიუმვირატის დიდი მოწინააღმდეგე, კატონ უმცროსი. პომპეუსმა ხელი შეუშალა მის არჩევას და პრეტორად გაატარა „თავისი კაცი“ — ვატინიუსი.

კონსულებად არჩეულ პომპეუსსა და კრასუსს ევალებოდათ კანონის ხასიათი მიეცათ ლუკაში მიღწეული შეთანხმების ცალკეული პუნქტისათვის. უპირველესად საჭირო იყო საკონსულო პროვინციების პროექტის დამტკიცება. ძალმომრეობისა და მოსყიდვის გზით გაატარეს სახალხო ტრიბუნის — გაიუს ტრებონიუსის კანონი, რომელმაც დაადასტურა პომპეუსის ხუთი წლით პროკონსულობა ესპანეთში და კრასუსის პროკონსულობა სირიაში, ამავე ვადით და პართიელებთან ომის წარმოების უფლებით. გადასაწყვეტი დარჩა კეისრისათვის პროკონსულობის ვადის გაგრძელების საკითხი, და ორივე კონსულმა წამოაყენა და გაატარა ისეთი კანონი, რომელმაც ცეზარს პროკონსულობის ვადა ხუთ წლამდე გაუგრძელა. საყურადღებოა, რომ ეს კანონი შედარებით მშვიდობიან პირობებში გაატარეს. თუ პლუტარქეს დავუჯერებთ ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოსულა და პროტესტი განუცხადებია მხოლოდ კატონის მიმდევარს, ვინმე ფავონიუსს, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. „ზოგს პომპეუსისა და კრასუსისა ეშინოდა, ხოლო უმრავლესობამ კეისრის ხათრით შეიკავა თავი, ვინაიდან იგი სწორედ ცეზარზე დამყარებული იმედებით ცხოვრობდა“.

კრასუსმა თავისი კონსულობის ვადის სრულ დამთავრებას აღარ დაუცადა და სირიაში გაემგზავრა; პომპეუსმა კი იტალიაში დარჩენა ამჯობინა და თავის პროვინციას ლეგატების მეშვეობით განაგებდა. მაგრამ უკვე 55 წლის ბოლოსათვის რომში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება. 54 წლის კონსულად არჩეულ იქნა ტრიუმვირატისათვის არასასურველი დომიციუს აჰენობარბუსი და პრეტორად მათი მთავარი მოწინააღმდეგე, კატონ უმცროსი. ხოლო 54 და 53 წლებში საზოგადოებრივი ურთიერთობა ფრიად გამწვავდა; ხშირი გახდა არჩევნების დროს შეტაკება და ამომრჩეველთა თავაშვებული მოსყიდვა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტრიუმვირის მომხრეების, ვატინიუსისა და გაბინიუსის სამოსამართლო პროცესები მოსყიდვის ბრალდების წაყენებით. მართალია, ვატინიუსი გამართლდა, მაგრამ გაბინიუსი, თუმცა ყოველგვარი ღონისძიება გაატარეს, მხილებულ იქნა.

არეულობა განსაკუთრებით 53 წელს გამოვლინდა. 53 წლისათვის კონსულების არჩევა შეუძლებელი გახდა და მათ მოვალეობას ასრულებდნენ დროებითი მმართველები, რომლებიც ყოველ ხუთ დღეში იცვლებოდნენ. მხოლოდ 53 წლის მიწურულში გახდა შესაძლებელი მომავალი წლის მაგისტრატების საარჩევნო კამპანიის დაწყება. კონსულობაზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა მილონმა, ხოლო პრეტორობაზე — კლოდიუსმა. საარჩევნო ბრძოლა ფრიად მწვავე ფორმებში მიმდინარეობდა. კლოდიუსისა და მილონის მომხრეები თავს ესხმოდნენ ერთიმეორეს და ხოცავდნენ. ერთ დროს გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ კლოდიუსი და მილონი და მათ შორის ხელჩართული ბრძოლა ატყდა. ამ ბრძოლაში მილონმა მოკლა კლოდიუსი. მისი გვამი პლებეებსა და მონებს ატრიუმში გადაუსვენებიათ და მეორე დილას ფორუმზე გადაუტანიათ.

იმ დროს წარმოქმნილი მძიმე მდგომარეობის ფართო სურათს გვიხატავს აპიანე: „მილონის თავხედობა იქამდე მისულა, რომ მას იმდენად კლოდიუსის მოკვლის პასუხისმგებლობისა კი არ ეშინოდა, არამედ აღშფოთებდა კლოდიუსის პატივით დაკრძალვა: მან შეაგროვა მონებისა და სოფლელების ბრბო, დაურიგა ხალხს ფული, მოისყიდა სახალხო ტრიბუნი მარკუს ცეცილიუსი და რომში დაბრუნდა. იგი შევიდა თუ არა ქალაქში, ცეცილიუსმა ფორუმზე წაიყვანა, სადაც წინასწარ თავმოყრილი იყვნენ მოსყიდული ადამიანები". მილონს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიც უტიფრად მოუხსენიებია კლოდიუსი და მისი მომხრეები, რომელთაც დაწვეს მისი გვამი და მასთან ერთად კურიაც. როცა იგი ლაპარაკობდა, დანარჩენი სახალხო ტრიბუნები და ხალხის შეიარაღებული მოუსყიდველი ნაწილი ფორუმზე შეჭრილან და მონის ტანსაცმელში გადაცმულმა მილონმა გაქცევით უშველა თავს. დაწყებულა მასობრივი მკვლელობა, წარმოქმნილი არეულობით უსარგებლიათ მონებს, დაუწყიათ ძარცვა-გლეჯა და არავითარი დანაშაული სათაკილოდ არ მიუჩნევიათ; მრავალი დღის განმავლობაში მილონი საბაბი გამხდარა ცეცხლისა, ხოცვისა და სხვადასხვა მსგავსი საქმისა.

მაშინ, იმავე აპიანეს გადმოცემით, სენატორებს უფიქრიათ, რომ მდგომარეობა დიქტატურის დადგენას მოითხოვსო, თუმცა ამჯერად სახელმწიფოში წესრიგის აღდგენა ინტერრექსის, სახალხო ტრიბუნებისა და პროკონსულ პომპეუსისათვის დაუვალებიათ; მაგრამ მალე დაუნახავთ, რომ ეს ზომა საკმარისი არ იყო. მაშინ კეისრის ყოფილ თანაკონსულს — ბიბულუსს, სენატში წინადადება შეუტანია პომპეუსის უკოლეგო კონსულად დანიშვნის შესახებ იმ პირობით, რომ მას, თავის მხრივ, თვითონ დაენიშნა მეორე კონსული. სენატს ეს წინადა-

დება მიუღია და კომიციებსაც დაუდასტურებიათ. პომპეუსის ასეთი უფლებებით აღჭურვა უდავოდ ეწინააღმდეგებოდა რომის რესპუბლიკის ტრადიციებს: ერთსა და იმავე დროს იგი იყო კონსული, ესპანეთის პროკონსული და რომის სურსათით მომმარაგებელი.

რა ზომები მიუღია პომპეუსს სახელმწიფოში წესრიგის აღსადგენად? სენატთან შეთანხმებით, მას ორი კანონი გაუტარებია: ერთი ფორუმზე მომხდარი ამბების განხილვას გულისხმობდა, მეორე არჩევნების დროს მოსყიდვისათვის სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდა. ამავე დროს მას რომში ჯარები შეუყვანია, ექსცესების თავიდან ასაცილებლად.

თავის მხრივ ოპტიმატები იძულებული ყოფილან კლოდიუსის მკვლელის, მილონის გასამართლებაზე დათანხმებულიყვნენ. თუ კლოდიუსის მოკვლას საერთო ფართო გულისწყრომა მოჰყვა, მას დაუფარავი სიხარულით შეხვდნენ ციცერონი, კატონი და ბრუტუსი. ამიტომ სამართალში მიცემულმა მილონმა დამცველად ციცერონი აიყვანა. იმის შიშით, რომ ქალაქში მღელვარება არ დაწყებულიყო, სენატმა პომპეუსს დაავალა საქმის გარჩევის ხელმძღვანელობა. ციცერონის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. სასამართლომ მილონი დამნაშავედ ცნო.

ამავე დროს პომპეუსი თავის მესამე კონსულობის დროს იმდენად დაუახლოვდა სენატორების წრეს, რომ ეს უკანასკნელნი დიდ გავლენას ახდენდნენ მასზე. მართალია, მასსა და კეისარს შორის ურთიერთობა არ შეცვლილა და კეისარი კმაყოფილიც იყო, რომ მან რომში წესრიგი აღადგინა, მაგრამ მალე მათ შორის ისეთი გაუგებრობა და უკმაყოფილება წარმოქმნილა, რომელიც ბოლოს მწვავე კონფლიქტით დამთავრებულა. პომპეუსის ოპტიმატებთან დაახლოებას ორ სდევდა კეისრის მტრების ოპოზიციური მოქმედების გაძლიერება. 51—49 წლებში კონსულებად ირჩევდნენ მის მოწინააღმდეგე პირებს. ეს კი უკვე ტრიუმვირის გავლენის შერყევას და სამოქალაქო ომის მოახლოებას მოასწავებდა.

მაგრამ რას აკეთებდა ამ დროს სირიაში ტრიუმვირატის მესამე წევრი — კრასუსი?

6. კრასუსის ომი პართიელებთან

კრასუსს განზრახვა ჰქონდა სირიაში ყოფნის დროს, სამხედრო სარდლის სახელი მოეხვეჭა და ისედაც დიდი სიმდიდრე უფრო გადიდებინა და ამ მიზნით ომი გაეჩაღებინა პართიელების წინააღმდეგ. თუმცა მათ ამისათვის არავითარი საბაბი არ მიუციათ. პართიას ეკავა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და როგორც დამოე-

კიდებელი სამეფო, ძვ. წ. III საუკუნიდან არსებობდა. რომაელების ურთიერთობა პართიელებთან ჯერ კიდევ 92 წელს დაიწყო, როცა სულამ, რომელსაც კაპადოკიის ტახტზე ტიგრან მეორის მიერ გამოძევებული არიობარზანე უნდა აღედგინა, მოლაპარაკება გამართა პართიელებთან.

პომპეუსის ბრწყინვალე გამარჯვებებისა და ახალი ქვეყნების შემოერთების შემდეგ პართიის უშუალო მეზობლები გახდნენ რომის მოკავშირე სახელმწიფოები — არმენია, კაპადოკია და კომაგენე, აგრეთვე რომის პროვინცია. პართიის მეფემ ფრაატ მესამემ ტრაგიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე: იგი მოკლეს მისმა ვაჟებმა, ოროდემ და მითრიდატემ და მერე ძმებს შორის დაუნდობელი ბრძოლა ატყდა ტახტის გარშემო. გაიმარჯვა და ტახტი მიისაკუთრა ოროდემ, რომელიც ოროდე მეორის სახელით პართიის მეფე გახდა. მისი ძმა — მითრიდატე კი იძულებული გახდა გაქცეულიყო სირიის მმართველ ავლუს გაბინიუსთან იმ იმედით, რომ იგი ტახტის მიღებაში დაეხმარებოდა. გაბინიუსს თავდაპირველად საჭიროდ ჩაუთვლია დახმარების აღმოჩენა და გალაშქრება განუზრახავს, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია და ეგვიპტეში გაგზავრებულა ალექსანდრიელების მიერ გამოძევებული პტოლემეოს ავლეტის სამეფო ტახტზე აღსადგენად. ათი ათასი ტალანტით ქრთამის აღებით, იგი გაბინიუსმა მართლაც აღადგინა ტახტზე. სოლო მისი მოწინააღმდეგეები მკაცრად დასაჯა. ყოველივე ეს მან სენატთან შეუთანხმებლად მოიმოქმედა და დიდი ნადავლით რომს დაბრუნდა. აქ იგი სამართალში მისცეს სათანადო ბრალდების წაყენებით. მან შეძლო მოესყიდა მოსამართლეები და გამართლდა, მაგრამ სახალხო კრებამ მაინც დამნაშავედ ცნო. პართიაში კი საქმე ისე წარიმართა, რომ იქ ოროდეს მეფობა განმტკიცდა.

ასეთი იყო მდგომარეობა პართიის სამეფოში. როცა კრასუსმა, რომელსაც მოსენებას არ აძლევდა ფიქრი, როგორმე გათანასწორებოდა კეისარსა და პომპეუსს სამხედრო სახელის მოხვეჭაში, პართიაზე გალაშქრება განიზრახა. მაგრამ მისი პართიაზე გალაშქრების პირველი და მთავარი შეცდომა თვითონ ლაშქრობას რომ თავი დავანებოთ, ის იყო, რომ სირიაში თავისი მოქმედებით მან პართიელებს საშუალება მისცა თავდაცვისათვის მომზადებულიყვნენ, ვინაიდან სირიაში ის უფრო კომერციულ საქმიანობას მისდევდა, ვიდრე მხედართმთავრის მოვალეობის შესრულებასო. მას გაუძარცვავს ტაძრები, მათ შორის იერუსალიმის ტაძარი და სასყიდლის მიღებით გაუნთავისუფლებია მოკავშირე ქალაქები და მეფეები დამხმარე ჯარების გამოყვანის მოვალეობისაგან.

54 წლის გაზაფხულზე რომაელების ჯარები, კრასუსის მეთაურობით, მესოპოტამიაში შეიჭრნენ და შედარებით ადვილად შეძლეს

რამდენიმე პუნქტის დაპყრობა. ამ პირველი წარმატების შედეგად კრასუსი საზამთროდ ისევ სირიაში დაბრუნდა. კრასუსის განკარგულებაში იყო შვიდი ლეგიონი და რამდენიმე ათასი დამხმარე მეომარი. ამასთან ერთად, მას მოკავშირეების — არმენიის მეფის არტავაზდ მეორისა და სხვათა დახმარების იმედი ჰქონდა. რაკი პართიელებმა დაინახეს, რომ რომაელები მათ დაპყრობით ემუქრებოდნენ, თვითონაც იწყეს თავდაცვისათვის მზადება. მეორე წელს კრასუსმა განაახლა შეტევა. რომაელებს ომი მოუხდათ მესოპოტამიის მათთვის უჩვეულო ბუნებრივ პირობებში და ამ გარემოებას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა ომის მსვლელობაში. პართიელები ფიქრობდნენ, რომ რომაელები მათზე თავდასხმისათვის აირჩევდნენ გზას ევფრატის გაყოლებით, ამიტომ ძირითადი ლაშქრით არმენიაში შეიპრა იმ მიზნით, რომ რომაელებთან არტავაზდის შეერთებისათვის ხელი შეეშალა. მან მესოპოტამიის დაცვა მიანდო თავის სარდალს, სურენს, რომლის განკარგულებაში 11 ათასი აბჯარასხმული ცხენოსანი მეომარი იმყოფებოდა.

მაგრამ კრასუსი ზევგმასთან გადავიდა ევფრატზე და ფიქრობდა, მესოპოტამიის ტრამალების გადალახვით, დადეენებოდა სურენის არმიას. ეს მისთვის გამანადგურებელი დამარცხება მოეყენებინა. პართიელები პირველად პირდაპირ შეტაკებას თავს არიდებდნენ, მაგრამ ქალაქ კარას მახლობლად მოხდა მათი საბრძოლო შეხვედრა რომაელთა ლეგიონებთან. პართიელების ცხენოსანი ჯარი გარს შემოერტყა რომაელებს. ბოლო ს

უმდიდრესი ადამიანი, ოქროს ხარბი იყო". სვეტონიუსი შეადარებს პლუტარქეს: კრასუსის მოკვეთილი თავი და ხელი სურენმა არტაშატში გადაგზავნა, სადაც იმ დროს არმენიის მეფე არტავაზდთან ატუმრად იმყოფებოდა პართიელთა მეფე ოროდე. აქ სასახლის კარის თეატრში, გამარჯვების აღსანიშნავად, დადგეს ბერძენთა ცნობილი მწერლის — ევრიპიდეს „ბაკხების" სცენები. როცა პიესის თანახმად სცენაზე ბაკხების მიერ დაგლეჯილი პენთევსის თავი უნდა გამოეტანათ, ტრაგიკოსმა იასონმა გამოიტანა კრასუსის მოკვეთილი თავი, რამაც დამსწრენი დიდად აღაფრთოვანა. ასე მოექცნენ გამარჯვებულები დამარცხებულ და თავმოკვეთილ კრასუსს.

რომაელთა ლაშქრის გადარჩენილ და გაფანტულ ნაწილს ალავი მოუყარა კრასუსის კვესტორმა გაიუს კასიუს ლონგინუსმა და მოახერხა სირიაში გადასვლა. მთელ მესოპოტამიას კვლავ პართიელები დაეპატრონენ. მათ ისიც კი შეძლეს, რომ გადავიდნენ ევფრატზე და, თუმცა რომაელების დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ, სირიაშიც გადაგრდნენ. მაგრამ მათ სამეფოში მალე თავი იჩინა შინაურმა მეტოქეობამ, რომელმაც აიძულა ისინი, სირია დაეტოვებინათ და კვლავ ევფრატის გადაღმა გადასულიყვნენ. პართიელებთან ომში რომაელების დამარცხებას ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან შეარყია მათი მდგომარეობა მცირე აზიაში, სირიასა და პალესტინაში და ხელი ჩერა მათი შემდგომი წინსვლა ევფრატის მიმართულებით. პართიელების სამეფომ არამც თუ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, არამედ ამიერიდან რომის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა.

7. კეისრის ლაშქრობები გერმანიასა და ბრიტანეთში. გალების აჯანყება. თავისუფალი გალიის საბოლოო დაპყრობა

როგორც აღვნიშნეთ, კეისარს ხუთი წლით გაუგრძელეს პროკონსულობა გალიაში და იგი კვლავ დაუბრუნდა თავისი თანამდებობის შესრულებას. ამჟამად მისი მთავარი ამოცანა იყო პროვინციის საზღვრების უზრუნველყოფა. 56—55 წლების ზამთარში ორი გერმანული ტომის — უსიპეტებისა და ტენკტერების ურდოებმა გადმოლახეს ქვედა რეინი. ისინი მოდიოდნენ ბავშვებით და ცოლებით ახალი საცხოვრებელი ადგილების მოსაპოვებლად. კეისარმა მოტყუებით მიიპატიჟა ამ ტომების მეთაურები, ვითომცდა მოსალაპარაკებლად; მოულოდნელად ვერაგულად თავს დაესხა მათ და უმეტესი ნაწილი ამოჟლიტა, მხოლოდ მათმა ცხენოსანმა ლაშქარმა მოასწრო რეინის გადმა გაქცევა და სუგამბრების ტომთან იპოვა თავშესაფარი.

კეისარს კი რეინზე გადასვლა განუზრახავს, რათა დაეშინებინა

გერმანელები, რომლებიც გალიისაკენ მიისწრაფვოდნენ, და ეჩვენებინა მათთვის, რომ რომაელების არმიას ეყოფა ძალა და სიმტკიცე რეინის გადასალახავად (კეისარი, ომი გალებთან). რეინზე გადასასვლელად კეისრის ლაშქარს ათი დღის განმავლობაში აუგია ხიმინჯებიანი ხიდი, რომელიც თურმე რომაელთა საინჟინრო საქმის დიდი მიღწევა იყო და რომლის აღწერილობა თვითონ კეისარმა დაგვიტოვა. კეისარმა 18 დღე დაჰყო რეინის მარჯვენა ნაპირზე, სისრულეში მოიყვანა ის, რისთვისაც ჯარი გადაიყვანა, სახელდობრ, გერმანელებს ჩაუნერგა შიში და დარწმუნებული, რომ საკმაოდ მოემსახურა რომაელი ხალხის დიდებას, გალიაში დაბრუნდა და ხიდი დაანგრევინა. შემდეგ კეისარმა გადაწყვიტა ბრიტანეთზე გალაშქრება, ვინაიდან იქ მოსახლე კელტების ტომები ხშირად ეხმარებოდნენ რომაელების წინააღმდეგ თავის კონტინენტალურ თანამეტომეებს. 55 წლის შემოდგომაზე კეისარს ორი ლეგიონით გაულაშქრია ამ კუნძულზე. ადგილობრივ მცხოვრებლებს მისთვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ და იგი იძულებული ყოფილა, მათთან ზავი დაედო და გამობრუნებულიყო.

მეორე წლის გაზაფხულზე კეისარმა კვლავ მოაწყო ბრიტანიაზე გაცილებით უკეთესად მომზადებული ლაშქრობა. 800 ხომალდისაგან შემდგარი ფლოტისა და 5 ლეგიონის თანხლებით, იგი გადავიდა კუნძულზე. ბრიტანელებმა ჯერ უკან დაიხიეს, მერე კი წინააღმდეგობის გაწევას შეეცადნენ, მაგრამ დამარცხება განიცადეს და რომაელებს დამორჩილდნენ; კეისარს მძევლები მისცეს და აღუთქვეს ხარკის გადახდა.

ამ ამბების შესახებ კეისრის მოხსენების პასუხად რომის სენატმა ოცდღიანი პარაკლისი დაადგინა. სენატის მხრივ ასეთი საგანგებო პატივი იმით აიხსნება, რომ ამ წელს კეისარმა რომაელებს ორი უცნობი ქვეყანა — ბრიტანია და გერმანია აღმოუჩინა.

ამასობაში გალიაში თანდათან ღრმავდებოდა რომაელებისადმი სიძულვილი და აჯანყება მზადდებოდა, რომელმაც 54—53 წლების ზამთარში იფეთქა ბელგების მხარეში. იქ მყოფი რომაელების ექვსი ლეგიონი ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით იყვნენ განლაგებული და ეს გარემოება აჯანყებულებმა კარგად გამოიყენეს. აჯანყების პროცესში მათ გაანადგურეს ორი ლეგიონი და დანარჩენი ლეგიონებიც მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენეს. მაგრამ საკმარისი იყო მათ დასახმარებლად სასწრაფოდ მოსულიყო კეისარი, რომ ამბოხებულმა ტომებმა მოქმედების ტემპი შეამცირეს და თითქოს მიწყინარდნენ. მაგრამ თავიდან მაინც ვერ აიცილეს დამსჯელი ექსპედიციების სასტიკი თარეში. აჯანყებული ტომებისათვის დახმარება გაუწევია რეინის გაღმიდან გერმანელ ტომს — სვებებს. ამიტომ კეისარმა მათ წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო, ააგებინა ახალი ხიდი რეინ-

ზე, წინანდელის ზემოთ, გადავიდა მდინარეზე და კვლავ შეიჭრა გერმანიაში. მაგრამ სვებებმა რომაელებთან შეტაკებას თავი აარიდეს და უკან დაიხიეს. კეისარმა ხიდი აღარ დაანგრევინა, მის დასაცავად სამხედრო ნაწილი დატოვა და თვითონ ჩრდილოეთ იტალიაში დაბრუნდა.

გალიაში გარეგნულად თითქოს სრული სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ფარულად აჯანყება მზადდებოდა.

აჯანყება ცენაბუმში (ორლეანში) დაიწყო. ამბოხებულებმა ამოხოცეს იქ მყოფი ყველა რომაელი. აჯანყება უდიდესი სისწრაფით ვრცელდებოდა და ღრმავდებოდა. აჯანყებულ ტომებს მეთაურობდნენ გულადი და გამძლე არვერნები, რომლებიც წინათ რომის ერთგულებას იცავდნენ და ახლა რომაელებს თავგანწირვით ებრძოდნენ. საერთო აჯანყების ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო არვერნების ბელადი, ვერცინგეტორიქსი, ადამიანი კეთილშობილი, მამაცი და ენერგიული. იგი არვერნების მეფედ და მთელი გალიის წინამძღოლად აღიარეს. აჯანყება იმდენად გაფართოვდა, რომ მას ისეთი ტომებიც შეუერთდნენ, რომლებიც წინათ რომის ერთგულებას იჩემებდნენ. სხვადასხვა ადგილას დაბანაკებული რომის ლაშქრის ნაწილები ფრიად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მაგრამ სასწრაფოდ გამოძახებული კეისარი დაუყოვნებლივ გაჩნდა ბრძოლის ადგილას და ჩვეულებრივი ენერგიითა და გაბედულებით შეუდგა აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებას. თუ ვერცინგეტორიქსის უახლოესი მიზანი ჩრდილოეთის ჯარებისაგან კეისრის მოწყვეტა იყო, კეისარმა თავის მხრივ სასწრაფოდ მოუყარა თავი ჯარებს, აჯანყებულებს რამდენიმე დამარცხება მიაყენა, დაწვა ცენაბუმი, საიდანაც აჯანყების პირველი სიგნალი გაისმა და გარემოიცვა ქალაქი ავარიკუმი, რომელიც ხანგრძლივი ალყის შემდეგ მას დანებდა. აქ რომაელებმა შეუბრალებლად ამოხოცეს 40 ათასამდე ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები.

ამის შემდეგ კეისარმა თავისი ლეგატი ლაბიენი ოთხი ლეგიონით წარგზავნა პარისიების წინააღმდეგ, რომლებიც კელტების გალიაში მდინარე სეკვანთან ბინადრობდნენ და რომელთა მთავარი ქალაქი ლუტეცია (პარიზი) იყო. ხოლო თვითონ ექვსი ლეგიონით არვერნების მხარეში შეიჭრა და მათ სატახტო ქალაქს — გერგოვიას მიადგა. ვერც ინგეტორიქსმა შეიტანა ქალაქში სურსათის დიდი მარაგი და თვითონაც მის კედლებთან გამაგრებულ ბანაკში დამკვიდრდა. კეისარმა თავისი ძალებით ვერ შეძლო ამ ქალაქის იერიშით აღება და უკან დაიხია. ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა გალების ტომებზე, რომ აჯანყება კიდევ უფრო გაფართოვდა და რომს ედუები და შემდეგ ბელგებიც განუდგნენ და, ამასთან ერთად, რომაელების ლაშქარს ციზალპური გალიისაგან მოწყვეტა დაემუქრა. ასეთ საბედისწერო მომენტში კეისარმა მთლიანად გამოაელინა იშვიათი სამხედრო ნიჭი და

არაჩვეულებრივი ენერგია. ჩრდილოეთ იტალიაში იგი შეუერთდა ლაბიენს და გაერთიანებული ძალებით სამხრეთისაკენ დაიძრა, რათა რომის პროვინცია დაეცვა აჯანყებულთა შესევისაგან. გზაზე მათ შეტაკება მოუხდათ ვერცინგეტორიქსის ძლიერ ცხენოსან ლაშქართან, მაგრამ შეტაკება თავდამსხმელთა დამარცხებით დამთავრდა. მაშინ ვერცინგეტორიქსი იძულებული გახდა უკან დაეხია და თავისი ძირითადი ლაშქრით ალესიაში გამაგრდა. ქალაქი ალესია ბორცვის მწვერვალზე მდებარეობდა. კეისარმა დაათვალიერა მისი ადგილმდებარეობა და მას ალყა შემოარტყა. მძიმე პირობებში მყოფმა ვერცინგეტორიქსმა მოუწოდა გალების ტომთა წინამძღოლებს, სასწრაფოდ მიშველებოდნენ და იგი და მისი ჯარი დაეხსნათ გარემოცვისაგან. მოწოდების საპასუხოდ მას მართლაც მიშველებია 200 ათასამდე მეომარი, მაგრამ ალესიის გარემოცვის გარღვევა ვერც მათ მოუხერხებიათ და მათი ნაწილი დაღუპულა, ნაწილი კი გაფანტულა. ასეთი მარცხითა და მის ბანაკში ჩამოვარდნილი შიმშილობით შეძრწუნებული ვერცინგეტორიქსი იძულებული გახდა მტერს დანებებოდა. ვერცინგეტორიქსი ცეზარისათვის გადაუციათ. იგი დაბორკილი მიწისქვეშეთში ჰყავდათ პატიმრად და ტრიუმფის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ასე დაამთავრა სახელოვანი სიცოცხლე გალების ტომთა თავისუფლებისათვის მებრძოლმა ვერცინგეტორიქსმა.

მისმა დამარცხებამ საბოლოოდ გადაწყვიტა აჯანყების ბედი. მართალია, გალების ცალკეული ჯგუფები აქა-იქ კიდევ განაგრძობდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ 51 წელს მათი უკანასკნელი კერა ჩაახშეს და 50 წელს გამარჯვებული კეისარი ციზალპურ გალიაში დაბრუნდა, სადაც დიდი პატივით შეეგებნენ.

კეისრის მიერ თავისუფალი გალიის დაპყრობას ძველი რომის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პლუტარქე გადმოგვცემს: „ათი წლის მანძილზე კეისარმა გალიაში იერიშით აიღო რვაასზე მეტი ქალაქი და დაიმორჩილა სამასი სხვადასხვა ტომის ხალხი. მეფული ამ ხნის მანძილზე კეისარი სამი მილიონი კაცის წინააღმდეგ იბრძოდა“. დაპყრობილი თავისუფალი გალია რომაელებს პროვინციად არ გამოუცხადებიათ: გალების ტომთა ნაწილი — ედუები, ლინგონები, რემები მათ რომაელი ხალხის მეგობრებად აღიარეს. უმეტესი ნაწილი კი დაპყრობილებად ჩათვალეს. ამასთან ერთად, გალიის მცხოვრებლებს ყოველწლიურად 40 მილიონი სესტერცის რაოდენობით ხარკის გადახდა დაეკისრათ. ხარკის აღება კეისარმა რომაელ პუბლიკანებს კი არ დაავალა, არამედ ცალკეულ ტომთა წარმომადგენლებს, რაც ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის საგრძნობი შეღავათი იყო. მალე რომაელებმა ამ ქვეყანაში ახალშენების გაყვანა დაიწყეს, ამას-

თან, იტალიასა და მათ შორის სავაჭრო ურთიერთობა უფრო გაფართოვდა და წარმოქმნილი ქალაქები შერეული გალურ-რომაული კულტურის ცენტრები გახდა.

8. საგარეო ომი პომპეუსსა და კეისარს შორის

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ კრასუსის სიცოცხლეში ხშირი იყო გაუგებრობა და უთანხმოება ტრიუმვირატის წევრებს შორის. ამას კარგად გვიხასიათებს პლუტარქე: „კეისარს უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა პომპეუსის დამხობა და პომპეუსსაც, რაღა თქმა უნდა, კეისრის განადგურება სურდაო. რაც შეეხება კრასუსს, იგი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მათ შორის ჩამოვარდნილ შუღლს და მზად იყო ერთ-ერთი მათგანის დამარცხების შემთხვევაში გამარჯვებულს ჰკვეთებოდა; მაგრამ მოხდა ის, რომ კრასუსი პართიელებთან ბრძოლაში დაიღუპაო“. კეისარსა და პომპეუსს შორის ურთიერთობის გამწვავებას ყოველნაირად ცდილობდა სენატორთა წოდების უკიდურესი კონსერვატორული ფრთა და, რაც მეტად იზრდებოდა კეისრის ძლევამოსილება და პოპულარობა, მით უფრო ღრმავდებოდა მათ შორის მტრული დამოკიდებულება და ადვილდებოდა პომპეუსის დაახლოება ოპტიმატებთან. ამ ნიადაგზე 52—51 წლებში საფუძველი ეყრება კავშირს სენატსა და პომპეუსს შორის. კეისარს ფართოდ მიუნიჭებია რომის მოქალაქის უფლებები ციზალპელი მცხოვრებლებისათვის. 51 წლის კონსულს, მარკუს კლავდიუს მარცელუსს, კეისრის დასამცირებლად განკარგულება გაუცია ერთი ასეთი მოქალაქე ფიზიკურად დაესაჯათ. ამასთან, მას განუცხადებია: „დარტყმა არამოქალაქეობრიობის ნიშანიაო“ და დასჯილისათვის წინადადება მიუცია: „ნაჭიბურები კეისარს აჩვენეო“. მასვე მოუთხოვია, ვადის დამთავრებამდე კეისრისათვის შემცვლელები გაეგზავნათ, მაგრამ პომპეუსს უარი განუცხადებია, იმ ფარისევლური საბაბით, თითქოს არ ღირს დარჩენილ მცირე ვადამდე შეურაცხყოფა ისეთი ბრწყინვალე ადამიანისა, როგორიც კეისარიაო. „ამით პომპეუსმა მიუთითა, რომ ვადის გასვლის შემდეგ კეისარს ხელისუფლება უნდა ჩამოერთვასო“.

კეისრის მოწინააღმდეგეთა რიცხვი რომში თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მას მომხრეებიც ბევრი ჰყავდა. მათ წრეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა 50 წლის სახალხო ტრიბუნი სკრიპონიუს კურიონი. ძველი ავტორების გადმოცემით, კურიონი ბრწყინვალე ორატორი, თავდაპირველად კეისრის დიდი მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მისგან ქრთამის მიღების შემდეგ მისი ერთგული კაცი გახდა. თუმცა რესპუბლიკის მიუდგომელი დამცველის როლი რომ გაეთამაშებინა, გარეგნულად იგი როგორც პომპეუსის, ისე კეისრის წინააღმდეგ გამოდიოდა.

სენატის ერთ-ერთ სხდომაზე, როცა კეისრის მტრები მოითხოვდნენ მისგან რწმუნებულებაზე ხელის აღებას, კურიონმა წამოაყენა წინადადება პომპეუსისა და კეისრის მიერ უფლებამოსილებაზე ერთდროული უარისთქმის შესახებ. სენატმა ეს წინადადება დიდი უმრავლესობით მიიღო. პომპეუსი მაშინ სენატში არ ყოფილა, ხოლო თავმჯდომარეს, კონსულ მარცელუსს განუცხადებია: „გაამარჯვეთ, რათა კეისარი გყავდეთ ბატონადო“ და სენატის სხდომა დაუხურავს. ამავე დროს, რომში მოულოდნელად ყალბი ხმები გავრცელებულა, კეისარმა ალპები გადმოლახა და რომზე მოდისო. ამტყდარა დიდი არეულობა და ყველა შიშს მოუცავს. ამის გამო მარცელუსს უთქვამს: „თუ მე ხელს მიშლიან საერთო დადგენილებით მოვაწყო საქმე სახელმწიფოს სასარგებლოდ, მაშინ მე როგორც კონსული ჩემი სახელით მოვაწყობ მასო“. იგი სენატთან ერთად მისულა პომპეუსთან და მისთვის ჯარების სარდლობა დაუკისრებია. სახალხო ტრიბუნი კურიონი ამის შემდეგ სასწრაფოდ წასულა კეისართან.

კეისარი ამ დროს იტალიის მოსაზღვრე რავენაში იმყოფებოდა, მან გულთბილად მიიღო კურიონი და კმაყოფილება გამოთქვა რომში მისი მოქმედების გამო. კურიონი მას ურჩევდა, ჯარები შეეგროვებინა და რომზე გაელაშქრა. კეისარი კი საჭიროდ თვლიდა, მოპირდაპირეებთან შერიგებას და ამ მიზნით რომში თავის მომხრეებს ურჩევდა, დაერწმუნებინათ ყველა, რომ იგი უარს განაცხადებს ყველა პროვინციასა და ჯარზე და შეინარჩუნებს მხოლოდ ორ ლეგიონსა და ილირიას ციზალპურ გალიასთან ერთად, ვიდრე კონსულად არ იქნება დანიშნული. როცა სენატმა კეისრის ასეთი წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა, მაშინ მან სენატს წერილი გაუგზავნა, რომელიც კურიონმა წაიღო და გამოაქვეყნა სენატის სხდომაზე 49 წლის 1 იანვარს. წერილში კეისარი აღნიშნავდა თავის დიდ დამსახურებას და თანხმობას აცხადებდა, დაეშალა ჯარი, თუ პომპეუსიც ამასვე მოიმოქმედებდა; თუ არადა, პირდაპირ აცხადებდა, რომ შეძლებდა თავისა და საშშობლოს დაცვას. ამ წერილის მოსმენის შემდეგ სენატორთა უმრავლესობა შემრიგებლურად განეწყო. კერძოდ, კილიკიიდან ახლად დაბრუნებული ციცერონი, სადაც იგი პროკონსულად იყო, მთელი ძალღონით ცდილობდა მოწინააღმდეგენი დაეზავებინა. მაგრამ უკიდურესმა ოპტიმატებმა თავისი გაიტანეს, მათ პომპეუსიც მიემხრო და სენატმა გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით კეისარს ევალებოდა, უახლოეს დროში უარი ეთქვა თავის რწმუნებულებაზე, გადაეცა ის შემცვლელისათვის და გაეშვა ჯარები, იგი თუ ასე არ მოიქცეოდა, მაშინ სამშობლოს მტრად გამოცხადდებოდა. სენატის ამ დადგენილებას კეისრის მომხრე სახალხო ტრიბუნებმა, მარკუს ანტონიუსმა და

კვინტუს კასიუსმა ვეტო დაადეს, ინტერცესიოს უფლების გამოყენებით. უნდა გვახსოვდეს, რომ სენატის დადგენილების წინააღმდეგ ტრიბუნის ინტერცესიოს შემთხვევაში სამი შედეგი იყო შესაძლებელი: ან სენატის დადგენილება გაუქმებულად ითვლებოდა, ან ცდილობდნენ ტრიბუნების დარწმუნებას, რომ ინტერცესიო უკან წაეღოთ, ანდა კონსულებს ენიჭებოდათ უფლება, ინტერცესიოსათვის ყურადღება არ მიექციათ და გაეტარებინათ სენატის დადგენილება. მოცემულ შემთხვევაში ოპტიმატებმა ანგარიში არ გაუწიეს ტრიბუნების უფლებებს და 7 იანვარს სენატმა რესპუბლიკა განსაცდელში მყოფად გამოაცხადა და პომპეუსს იტალიაში ჯარების შეგროვება დაავალა. ასეთი გადაწყვეტილების გატარებას დიდად შეუწყეს ხელი 49 წლის კონსულებმა, კეისრის მოწინააღმდეგეებმა, ლუციუს კორნელიუს ლენტულუსმა და გაიუს კლავდიუს მარცელუსმა. სახალხო ტრიბუნებს, ანტონიუსსა და კვინტუს კასიუსს კი პომპეუსის ჯარისკაცებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და ისინი მონებად გადაცმულნი, კეისართან გაიქცნენ რავენაში.

როცა კეისარს შეატყობინეს რომში მომხდარი ამბები, იგი ალპისაკენ დაიძრა და მიადგა მდინარე რუბიკონს, „რომელიც მისთვის გადაცემულ საგამგებლო მხარეს იტალიისაგან საზღვრავდა". აქ ერთხანს ფიქრობდა იგი, გადაელახა თუ არა რუბიკონი. შემდეგ წარმოთქვა ცნობილი ფრაზა, „წილი ნაყარიაო", გადავიდა მდინარეზე და დაიკავა ქალაქი არიმინუმი. ასე დაიწყო დიდი სამოქალაქო ომი, რომელმაც რომის მთელი სამფლობელო მოიცვა. იტალიაში პროკონსულის ჯარით შესვლა კანონის საწინააღმდეგო მოქმედება იყო, მაგრამ კეისარი თავს იმართლებდა, „პროვინცია ბოროტმოქმედებათათვის კი არ გადმოვლახე, არამედ იმისათვის, რომ თავი დამეცვა მტრების აბუჩად აგდებისაგან, აღმედგინა სახალხო ტრიბუნების ღირსება, რომელნიც ულმერთოდ განდევნეს მოქალაქეთა წრიდან, გამენთავისუფლებინა ჩემი თავი და რომაული ხალხი ოლიგარქოსების ხროვის კერძებისაგან".

კეისრის რუბიკონზე გადმოსვლა მისი მოწინააღმდეგეებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო და ამ განსაცდელს პოუმზადებელ შეხვდნენ. იტალიაში პომპეუსს არ ჰყავდა ისეთი სამხედრო ძალა, რომელსაც კეისრის ჯარების შეჩერება შეეძლო. ამიტომ პომპეუსი, ორივე კონსული და სენატორთა უმრავლესობა რომიდან გაიქცა და ბრუნდიზიუმიდან საბერძნეთში გადავიდა. გაქცეულებმა ვერ მოასწრეს თან წაეღოთ სახელმწიფო ხაზინა (ერარიუმი) და ის მხოლოდ დაბეჭდეს. კეისრის მხარეზე გადავიდნენ იტალიაში დარჩენილი პომპეუსის ჯარები.

აქვე, ზედმეტი არ იქნება, გავეცნოთ მებრძოლი მხარეების ძალთა

თანაფარდობას. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევს ციცერონის მიერ გადმოცემული ცნობები. როგორც ჩანს, კეისარს მხარს უჭერდნენ მხედართა წრე და პლებსი როგორც რომში, ისე იტალიის ქალაქებში და, რაც მთავარია, ძლიერი და საუკეთესოდ გაწრთვნილი არმია. პლებსის ის ნაწილი, რომელიც წინათ კლოდიუსისა და კატილინას მიმდევართა რიგებში იბრძოდა, იმედოვნებდა, რომ კეისარი გააუქმებდა სავალო ვალდებულებებს და მდგომარეობას შეუმსუბუქებდა, ხოლო მეომრები კეისრისაგან დიდ ნადავლსა და მიწის ნაკვეთების დარიგებას მოელოდნენ. პომპეუსის შესახებ კი გავრცელებული იყო ხმა, რომ იგი აღმოსავლეთში შეგროვებული ჯარით და ფლოტით იტალიის გარემოცვას და უცხოელების მიერ მის დარბევას აპირებსო.

იტალიის გლეხობა და საშუალო შეძლების მოქალაქეები მზად იყვნენ იმას მიმხრობოდნენ, ვინც მშვიდობასა და მათი ქონების ხელშეუხებლობას უზრუნველყოფდა, მაგრამ მათ წრეშიც ძლიერი იყო ოლიგარქოსებისა და მდიდრების ბატონობის წინააღმდეგ მიმართული განწყობილება და ამიტომ ისინი უფრო კეისრისაკენ იხრებოდნენ.

როცა კეისარი იტალიას დაეუფლა, მან შეძლო თავისაკენ მიეზიდა მიწის მფლობელები და შეძლებული მოქალაქეებიც — იმით, რომ არ გამოუცხადებია მათთვის საშიში პროსკრიპციები, პირიქით, სასტიკად დაგმო სულას რეჟიმი და თავის ლოზუნგად „ლმობიერება“ გამოაცხადა.

კეისარს მრავალი მომხრე ჰყავდა პროვინციებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გალების ტომთა მესვეურები, რომლებიც მას მეომრებსა და სურსათს აწვდიდნენ. მას მხარს უჭერდა აგრეთვე სავაჭრო ქალაქთა უმრავლესობა ილირიკში, დალმაციაში, ესპანეთსა და აფრიკაში.

ვის ემყარებოდა პომპეუსი? სენატორთა მმართველ წრესა და იტალიის მსხვილ მიწათმფლობელებს. მისი მთავარი იმედი იყო რომზე დამოკიდებული მეფეები და ცალკეულ ტომთა მესვეურები, აღმოსავლეთის პროვინციებმა და თრაკიის მეფემ მას დამხმარე ჯარი და ფლოტი მიაშველეს, ხოლო ნუმიდიის მეფე იუბასთან მან ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დადო კავშირი და მას რომაელი ხალხის „მეგობრისა“ და „მოკავშირის“ ტიტულიც კი მიანიჭა. წარჩინებული წოდება დალმაციასა და ილირიკში, რომელიც გლეხების სასტიკ ექსპლოატაციას ეწეოდა და ზღვის პირის ქალაქებთან მტრულ განწყობილებაში იყო, აგრეთვე მხარს უჭერდა პომპეუსს. მრავალი მომხრე ჰყავდა მას კელტიბერების არისტოკრატიაშიც, რომლის გული მან ჯერ კიდევ სერტორიუსთან ბრძოლის დროს მოინადირა.

ასეთი იყო მოკლედ მებრძოლი ჯგუფების ძალთა თანაფარდობა.

კეისარი რამდენიმე დღით შევიდა რომში, უმთავრესად ურარიუ-

მის გახსნისათვის. პლუტარქეს თქმით კეისარმა ხაზინიდან იმდენი ფული ამოიღო, რამდენიც სჭირდებოდა, მაგრამ „იგი ყველას ლმობიერად ექცეოდა და ამშვიდებდა“ და, როცა კეისრის ასეთი ლმობიერების ამბავი რომში შეიტყვეს, მოქალაქეებს შვება მიეცათ და ზოგიერთი ლტოლვილიც კი უკან დაბრუნდა. ამგვარად, არ გამართლდა კეისრის მოწინააღმდეგეთა წინასწარმეტყველება, რომ იგი რისხვად მოევლინებოდა რომის მცხოვრებლებს. რომი დაუბრუნდა საქმიან ცხოვრებას და მთავრობის დაწესებულებებმაც კი დაიწყეს მოქმედება. რომში მან დროებით მმართველად 78 წლის კონსულის ვაჟი, მარკუს ემილიუს ლეპიდუსი დატოვა და „სულ რაღაც სამოცი დღის განმავლობაში, სისხლის დაუღვრელად კეისარი მთელი იტალიის ბატონ-პატრონი გახდა“.

ამის შემდეგ კეისარი ესპანეთში გაემგზავრა, სადაც პომპეუსის მთავარი ძალები იყვნენ თავმოყრილი. იგი ფიქრობდა, პომპეუსის ლეგიონებზე თავდასხმით თავიდან აეცდინა მათი იტალიაზე შეტევა. გზაზე მას გაჩერება მოუხდა მასილიასთან, რომელმაც დახმარებაზე უარი უთხრა და თავის მხრივ ნეიტრალიტეტის დაცვა განიზრახა. კეისარმა ამ ქალაქის გარემოცვისათვის სამი ლეგიონი დატოვა, თვითონ კი ესპანეთისაკენ გაეშურა. „მას გადაწყვეტილი ჰქონდა, პომპეუსის ლეგატები, აფრანიუსი და ვარონი ესპანეთიდან გაეძევებინა, იქაური ჯარები და პროვინციები დაემორჩილებინა და მერე პომპეუსის წინააღმდეგ დაძრულიყო ისე, რომ ზურგში აღარც ერთი მტერი არ ჰყოლოდა დატოვებული“. როცა კეისარს გალიიდან მაშველი ჯარი შეუერთდა ებროს ჩრდილოეთით, ქალაქ ილერდასთან მან დაამარცხა პომპეუსის ჯარები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მას დანებდა და შემდგომ ასევე მოიქცნენ შორეულ ესპანეთში მყოფი ჯარებიც. პირენეების ნახევარკუნძულზე მისვლიდან 40 დღის განმავლობაში კეისარმა მიაღწია იმას, რომ პომპეუსის ჯარების ერთი ნაწილი მის სამსახურში დარჩა ესპანეთში, მეორე ნაწილი კი სამსახურიდან დაითხოვა. ილერდასთან გამარჯვებამ უზრუნველყო კეისრის ხელისუფლება ესპანეთში. მან გააუქმა პომპეუსელების მიერ გატარებული ლონისძიებები, კერძოდ, მოსახლეობისათვის დადებული კონტრიბუციები და ადგილობრივი არისტოკრატიული პარტიის წინააღმდეგ მებრძოლ მცხოვრებლებს დაუბრუნა ჩამორთმეული მიწები. ამას გარდა, ქ. გადესს — რომის მოქალაქის, ხოლო ქ. ტარაკონს ახალშენის უფლებები მიანიჭა.

ესპანეთიდან დაბრუნებისას 49 წლის შემოდგომაზე კეისარმა აიღო ქალაქი მასილია, რომელიც ურჩობისათვის იმით დასაჯა, რომ წარუკვეთა დამოუკიდებლობა და ტერიტორიის დიდი ნაწილი ჩამოართვა. რაც შეეხება რომის დასავლეთ პროვინციებს, სიცილიამ და

სარდინიამ კეისარს მორჩილება გამოუცხადეს და მის მხარეზე გადავიდნენ. აფრიკაში კი კეისარმა სკრიბონიუს კურიონი გაგზავნა ორი ლეგიონით. კურიონის ეს ექსპედიცია აფრიკაში მარცხით დამთავრდა ნუმიდიის მეფე იუბამ პომპეუსის აფრიკაში დარჩენილ მომხრეებთან ერთად გაანადგურა მისი ჯარი. კურიონმა გადარჩენა არ მოინდომა და იარაღით ხელში დაიღუპა. აფრიკა ამის შემდეგაც ხანგრძლივად დარჩა პომპეუსის მომხრეთა მთავარ ბურჯად.

49 წლის ნოემბერში კეისარი რომს დაბრუნდა და დიქტატორად გამოცხადდა. „მან სამშობლოდან გაძევებული ხალხი უკან დააბრუნა, სულას დროს გაუბედურებულ რომაელთა შვილები პატივით აღადგინა და ვალთა სარგებლის ნაწილობრივი გაუქმებით მოვალეთა მდგომარეობა შეამსუბუქა. კეისარმა კიდევ გაატარა ამის მსგავსი სხვა რამდენიმე პოლიტიკური ღონისძიება და თერთმეტი დღის შემდეგ დიქტატორობაზე უარი თქვა. მან თავისი თავი სერვილიუს ისაკრიკუსთან ერთად კონსულად გამოაცხადა და მთლიანად რომს მიეცა". 49 წლის ნოემბერში კეისარი საბერძნეთს გაემგზავრა.

ამასობაში პომპეუსის გარშემო მეტად დიდმა ძალამ მოიყარა თავი. მის განკარგულებაში იყო რომაელთა 9 ლეგიონი და მრავალი დამხმარე რაზმი რომის აღმოსავლეთი მოკავშირეებიდან. მრავლად მოიყარეს მასთან თავი ემიგრანტებმაც. „მისი ფლოტი ყოველმხრივ უძლეველი ჩანდა. ის ხუთას საბრძოლო ხომალდსა და აურაცხელ მსუბუქ და სახვერავ კანჯოს შეიცავდა. პომპეუსის შვიდათასიანი მხედრობა საუკეთესო რომაელებისა და იტალიელებისაგან შედგებოდა". პომპეუსის ძლიერი ფლოტი ადრიატიკის ზღვაზე ბატონობდა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მთელი დასავლეთი სანაპირო მის ხელში იყო. როგორც შეიარაღებული ძალებით და სურსათის მომარაგებით, ისე ძლიერი ფლოტით უპირატესობა პომპეუსს ეკუთვნოდა, თუმცა კეისრის ჯარი უკეთ იყო გაწვრთნილი და დისციპლინებული. ამას გარდა. პომპეუსს ზურგი მყარი არ ჰქონდა. საქმე ის არის, რომ მოსახლეობა პომპეუსელებისაგან მეტად მძიმე კონტრიბუციების გადახდით იყო შეწუხებული. ოპტიმატები სარგებლობდნენ საომარი მდგომარეობით და ადიდებდნენ სავახშო პროცენტებს. ზოგიერთმა მდიდარმა ქალაქმა, მათ შორის პერგამონმა, ჯარისკაცებისაგან დიდი დარბევა განიცადა. მაშინ, როცა კეისრის ეპირში გადმოსვლისას ეპირის. მაკედონიის, ეტოლიისა და თესალიის რომაელმა და ბერძენმა მოქალაქეებმა მისდამი კეთილგანწყობილება გამოიჩინეს, ელჩების შემწეობით მასთან ურთიერთობა დაამყარეს და მისი გარნიზონებიც კი შეუშვეს თავიანთ კედლებში.

48 წლის იანვარში კეისარი დაიძრა ბრუნდიზიუმიდან, ზღვა გადალახა და ჯარი ნაწილ-ნაწილად გადაიყვანა, რადგან პომპეუსის

ფლოტი ხელს უშლიდა. მოპირდაპირეთათვის კეისარი მოულოდნელად ილირიის ქალაქ აპოლონიაში გაჩნდა. პლუტარქეს გადმოცემით, კეისარმა ერთხელ კიდევ ოსტატურად სცადა პომპეუსთან დაზავება. მან პომპეუსს შესთავაზა შემდეგი პირობები: ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ და შეხვედრის მესამე დღეს ორივეს უნდა დაეშალა მხედრობა, მერე მეგობრობის ფიცი მიეღოთ და იტალიაში დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ როგორც ჩანს, პომპეუსს კეისრის მიერ წამოყენებული პირობები მის მორიგ ფანდად ჩაუთვლია.

პომპეუსელთა მთავარი ბაზა დასავლეთ სანაპიროზე იყო ილირიაში ქალაქ დირაქიუმი (ძველად ეპიდამნი). როცა პომპეუსს კეისრის გადმოსვლა შეუტყვია, მაკედონიიდან წასულა და დაუკავებია ეს პუნქტი. კეისარმა კი ვერ შეძლო მისი აღება. მთელი ზამთარი ორივე მებრძოლი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და კეისარი ვერ ბედავდა რაიმე მოქმედება დაეწყო, სანამ იტალიიდან დამხმარე ძალა არ მოვიდა. მაშინ კეისარი გამხნევდა და პომპეუსი ბრძოლაში გამოიწვია. პომპეუსი ფრიად ხელსაყრელ ადგილზე იყო დაბანაკებული და ხმელეთით და ზღვით საკმაოდ მარაგდებოდა. კეისარს კი თავიდანვე არ ჰქონდა კარგი მომარაგება, ხოლო შემდეგ ხანებში სურსათის ნაკლებობამ იგი მეტისმეტად შეაწუხა. პომპეუსის წინააღმდეგ კეისარი ხშირად აწყობდა (ერთგვარი წარმატებით) ცალკეულ შეტაკებებს. მაგრამ ერთი ასეთი ბრძოლის დროს დამარცხდა და კინაღამ ბანაკი დაკარგა. პომპეუსმა კი ბოლომდე ვერ ისარგებლა ამით და კეისარს საშუალება მისცა აპოლონიისაკენ დაეხია. ამის გამო მას მოსწრებულად უთქვამს: „დღეევანდელ დღეს გამარჯვება მტრის მხარეზე იქნებოდა, მას რომ გამარჯვების შემძლებელი წინამძღოლი ჰყოლოდაო“.

აპოლონიიდან კეისარი თესალიისაკენ დაიძრა. როგორც ჩანს, აქ მას ბრძოლისათვის უკეთესი პირობები ეგულებოდა: წინათ აქეთ წარმოგზავნილი ჰყავდა ჯარის ნაწილები სურსათის შესაგროვებლად. მაშასადამე, მხედრობის სურსათით მომარაგება უკეთესად მოეწყობოდა და, რაც მთავარია, აქ მას შეეძლო იტალიიდან სმელეთით მოსულ დამხმარე ჯართან შეერთება და თავისი ძალების გადიდება. კეისარი ჩვეულებრივი სისწრაფით მოძრაობდა. პომპეუსი და მისი მრჩეველები კი ფიქრობდნენ, რომ დირაქიუმთან დამარცხების შემდეგ კეისარი ადვილად ვერ მოახერხებდა მდგომარეობის გამოსწორებას და ამიტომ პომპეუსის ჯარები შედარებით ნელა მოძრაობდნენ კეისრის ლაშქრის უკან და ხელი ვერ შეუშალეს მის მიერ ცალკეული საბრძოლო ნაწილების გაერთიანებას. გადამწყვეტი ბრძოლა კეისარსა და პომპეუსს შორის მოხდა 48 წლის ზაფხულში, სამხრეთ თესალიაში, ქ. ფარსალოსთან. პომპეუსმა ამ ბრძოლაში სრული დამარცხება განიცადა და სასოწარკვეთილი კუნძულ ლესბოსზე, ქ. მიტილენაში გაიქ-

ცა, მაგრამ დიდხანს არც იქ დარჩა, ჩაჯდა ხომალდში და ცოლსა და უმცროს ვაჟთან ერთად ეგვიპტეს მიაშურა. მას იმედი ჰქონდა, რომ პტოლემაიოს აულეტის მემკვიდრე მას თავშესაფარს მისცემდა. ეგვიპტელებმა მას ნება დართეს ნაპირზე გადმოსულიყო და მის ხომალდთან ნავიც კი გაგზავნეს, მაგრამ როცა პელუზიონთან ნავი ნაპირს მიუახლოვდა, იგი მუხანათურად მოკლეს ცოლისა და ვაჟის თვალწინ. ასე დაამთავრა სიცოცხლე 58 წლის ასაკში რომის ერთმა გამოჩენილმა მხედართმთავარმა და სახელმწიფო მოღვაწემ, რომელსაც მუდმივი პოლიტიკური მერყეობა და ცვალებადობა ახასიათებდა.

აპიანე, რომელიც კეისრისა და პომპეუსის ბრძოლას დაწვრილებით გვიამბობს, გადმოგვცემს, რომ პომპეუსის მკვლელებმა მოინდომეს კეისრისათვის გადასაცემად შეენახათ პომპეუსის მოკვეთილი თავი და დარწმუნებული ყოფილან, რომ კეისარი მათ დიდ მადლობას გადაუხდიდა, მაგრამ კეისარმა ისინი ღირსეულად დასაჯა ვერაგობისათვის.

პომპეუსის სიკვდილი სრულებითაც არ მოასწავებდა ამ საბედისწერო საშოქალაქო ომის დასასრულს. პირიქით, კეისრის წინ კიდევ იდგა პომპეუსის მომხრეებთან ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობა (ალექსანდრიის ომი, ომი პომპეუსის მომხრეებთან აფრიკასა და ესპანეთში). მხოლოდ მუნდთან ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ დამარცხდნენ კეისრის მოწინააღმდეგენი. ყოველივე ამაზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

4. კეისარი ეგვიპტეში და ალექსანდრიის ომი. ფარნაკეს განადგურება

როცა კეისარმა შეიტყო, რომ პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა, დაედევნა მას და ხომალდით რამდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ გადავიდა ეგვიპტის სატახტო ქალაქ ალექსანდრიაში. მაგრამ პომპეუსს მან, რასაკვირველია, ვეღარ მიუსწრო: როგორც ვიცით, აქ მხოლოდ მოკლული პომპეუსის თავი მიართვეს მას. ეგვიპტე ამ დროს დიდ შინაგან არეულობას განიცდიდა ტახტის გარშემო ატეხილი ბრძოლის გამო. საქმე ის არის, რომ 51 წელს გარდაიცვალა ეგვიპტის მეფე პტოლემეოს XI აულეტი და ტახტზე ავიდნენ მისი შვილები, 17 წლის ქალიშვილი კლეოპატრა და მცირეწლოვანი ვაჟი, პტოლემეოს XII დიონისე, კლეოპატრას ძმაც და მეუღლეც. ძმასა და დას შორის ატყდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომელიც ნამდვილ ომად გადაიქცა. პტოლემეოს დიონისეს მეტი მომხრე აღმოაჩნდა და გაიმარჯვა, კლეოპატრა კი სირიაში გაიქცევს.

კეისარს მხედველობაში ჰქონდა პომპეუსელებთან ბრძოლის სიძნელეები და მისი წარმატებით დამთავრებისათვის დიდი სახსრები ესა-

პიროებოდა. ამ სახსრების მოპოვებას კი მდიდარ ეგვიპტეში ფიქრობდა. ამიტომ მან მოიმიზეზა, ერთი მხრივ, ეგვიპტელების მიერ პომპეუსის მოკვლა, მეორე მხრივ, პტოლემაიოს ავლეტის დაჩენილი ვალები რომის სახელმწიფოს წინაშე და ეგვიპტის მმართველობას დიდძალი თანხის გადახდა დააკისრა. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეგვიპტელები იძულებული იყვნენ დაეთმოთ სატაძრო სამკაულები და სამეფო სასახლის საუნჯენი. კეისრის სასარგებლოდ ასეთი უდიდესი გადასახადის გაღებამ ალექსანდრიელებში დიდი უკმაყოფილება წარმოქმნა.

ამას ისიც დაერთო, რომ კლეოპატრამ მოახერხა სირიიდან დაბრუნება, სასახლეში გამოჩენა და კეისრის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა. მშვენიერ კლეოპატრას სხვადასხვა დროს დიდად მოუხიბლავს ზოგიერთი წარჩინებული რომაელი და კეისარმაც განიცადა ამ ახალგაზრდა დედოფლის ტრფიალი. პლუტარქეს თქმით, დატყვევებული ყოფილა კლეოპატრას სიმკვირცხლით, მოქცევითა და სიკოხტავით და მისგან შესძენია ვაჟი, რომლისთვისაც ალექსანდრიელებს ცეზარიონი დაურქმევიათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, კეისრისთანა გამოცდილ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწეს კლეოპატრასთან ურთიერთობაში იმდენად მიჯნურობა არ იტაცებდა, რამდენადაც შორსგამიზნული ჩანაფიქრის განხორციელება. ამიტომ კეისარმა შეედიატორის როლი იკისრა და მოქიშპე დისა და ძმის შერიგება განიზრახა. ის დარწმუნებული იყო, რომ უფლისწულებს შორის დავის ვადაწყვეტა ექვემდებარებოდა რომაელ ხალხსა და მის კონსულს და ეს მით უფრო ეხება მის თანამდებობას, რომ მის წინანდელ კონსულობაში, ხალხისა და სენატის დადგენილებით, მათ მამასთან, პტოლემეოს XI ავლეტთან კავშირი დაიდო; ამიტომ, ბერძენი, მეფე პტოლემეოს დიონისემ და მისმა დამ, კლეოპატრამ, თავიანთი ჯარები უნდა გაუშვან და დავა გადაწყვიტონ ლეგალური გზით და არა იარაღით.

მეფის მკირეწლოვანების გამო სამეფოს განაგებდა საკურისი პოთინე, რომელიც აღშფოთებულა კეისარი მეფეს სამართალში იწვევს თავის საქმის დასაცავადო. მას ფარულად გამოუწვევია ჯარი პელუზიონიდან და მის სარდლად დაუნიშნავს სამეფოს ჯარების უფროსი აქილა. იმიტომ, რომ კეისარმა ძმაცა და დაც ეგვიპტის მეფედ გამოაცხადა და ტახტზე დაამკვიდრა, კარისკაცების გავლენიან ჯგუფს, ალექსანდრიელების უმრავლესობა რომ ემხრობოდა, მის წინააღმდეგ ძლიერი აჯანყება მოუწყვია, რომელიც ნამდვილ ომად გადაქცეულა. ეს ომი „ალექსანდრიის ომის“ სახელით არის ცნობილი. რომაელი მეომრებისა და კეისრის სიცოცხლე უდიდეს საფრთხეში ჩავარდნილა. ეს ომი (48—47 წწ.) სპეციალურად აგვიწერა ერთმა ძველმა ავ-

ტორმა, რომლის ვინაობა სადავოა. თვითონ კეისარს თუ დავუჯერებთ, ამ ომის წინ ალექსანდრიაში სამასათასამდე მარტო თავისუფალი ადამიანი ითვლებოდა. კეისრის განკარგულებაში კი სულ სამი ათასი ლეგიონერი და 800 მხედარი იმყოფებოდა.

აჯანყებული ალექსანდრიელები და პტოლემეოსის ჯარები გარს-შემოერტყნენ კეისარსა და კლეოპატრას სამეფო სასახლეში. კეისარმა ასეთი მძიმე განსაცდელის პირობებში სასწრაფოდ მოუხმო დამხმარე ჯარებს აღმოსავლეთი პროვინციებიდან, მაგრამ მათ მოსვლამდე ექვსი თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში კეისარი დადგა საშინელი საფრთხის წინაშე.

ამასობაში კეისარს დამხმარე ძალები მოეშველნენ და მან შეძლო ქალაქიდან გასვლა და მათთან შეერთება. იგი შეტევაზე გადავიდა და ნილოსის დელტაში მტერს გამანადგურებელი დამარცხება მიაყენა. ამ ბრძოლაში მრავალი ეგვიპტელი დაიღუპა. რაც შეეხება მეფე პტოლემეოს დიონისეს, იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ასეთი გამარჯვების შემდეგ, 47 წლის მარტში, კეისარი ალექსანდრიაში დაბრუნდა, რომლის მცხოვრებლებმა მას სრული მორჩილება განუცხადეს. კეისარმა მეფის უფლებებში აღადგინა კლეოპატრა, ქალაქში ძლიერი გარნიზონი დააყენა და ეგვიპტეში 9 თვე ყოფნის შემდეგ დატოვა ეს მხარე და სირიაში გაემგზავრა.

კეისარი ამის შემდეგ კიდევ სამი წელი ებრძოდა პომპეუსელებს. პომპეუსელებმა მრავლად მოიყარეს თავი და გამაგრდნენ მცირე აზიაში, აფრიკასა და ესპანეთში. აღმოსავლეთში კეისრის მოწინააღმდეგეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა პომპეუსის მიერ ბოსფორის მეფედ დაყენებული, მამის მოღალატე ფარნაკე. ჯერ კიდევ ფარსალოსთან ბრძოლამდე იგი შეიჭრა თავისი მამის ყოფილ სამეფოში, პონტოში და დაიკავა ამ სამეფოს წინანდელი სატახტო ქალაქი სინოპი. ალექსანდრიის ომის დროს მან აიღო რომაელების ერთგული ქალაქი ამისო და მისი მცხოვრებლები მონებად აქცია, დაიპყრო აგრეთვე მცირე არმენია და თავს დაესხა კაპადოკიას. მან დაამარცხა კეისრის ლეგატი დომიციუსი და შემდეგ დაიკავა ბითვინია.

სირიაში საქმეების მოწესრიგების შემდეგ კეისარი სასწრაფოდ დაიძრა ფარნაკესთან საბრძოლველად და ქალაქ ზელასთან დიდი ბრძოლა გაუმართა. ბრძოლის დროს კეისარმა წარმოსთქვა: „ნუთუ ეს მამისმკვლელი დაუყოვნებლივ არ მიიღებს თავის სასჯელს“? მერე მოახტა ცხენს, პირველი შეტევისთანავე გააქცია ფარნაკე და ირონიით წამოიძახა: „ოი, ბედნიერო პომპეუსო! მაშ, ჩანს, იმისათვის გთვლიდნენ შენ დიდად და გიწოდეს დიდი, რომ შენ ამ კაცის მამის, მითრიდატეს დროს ასეთ ადამიანებს ებრძოდიო“. ფარნაკეზე ასეთი სწრაფი გამარჯვების ამბავი კეისარმა სენატს სამი სიტყვით აცნობა:

„მიველ, ვნახე, დავამარცხეო“. დამარცხებული ფარნაკე კი პანტიკაპეონში გაიქცა, სადაც იგი მოკლა მის მიერ ბოსფორის სამეფოს მმართველად დატოვებულმა მხედართმთავარმა ასანდროსმა.

ამის შემდეგ კეისარი იტალიაში გადავიდა და რომში დაბრუნდა.

10. მდგომარეობა რომში. კეისრის საბოლოო გამარჯვება

სამოქალაქო ომის გაჩაღებასთან ერთად მთელ იტალიაში დაეცა კრედიტი, როგორც ამას თვითონ კეისარი გვიმოწმებს. ფულის ღირებულება დაეცა, ფასებმა აიწია და შეწყდა ვალების გადახდა. კრედიტორები კი კატეგორიულად მოითხოვდნენ მევალეებისაგან სესხად მიღებული თანხების სრულ დაბრუნებას. ამ ნიადაგზე მრავალი გაუგებრობა იყო. კრედიტის აღდგენის მიზნით, კეისარს ჯერ კიდევ 49 წელს შემდეგი ღონისძიება გაუტარებია: იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს არ შეეძლო ვალის გადახდა, განსაკუთრებულ შუამავლებს (სამეღიატორო სასამართლოებს) უნდა შეეფასებინათ მათი მიწის ნაკვეთი და მოძრავი ქონება ომამდელი ღირებულების მიხედვით და ამის შესაბამისად დაეკმაყოფილებინათ კრედიტორები. ამასთან ერთად, ყველას აეკრძალა, ჰქონოდა ხელთ 60 ათასზე მეტი სესტერცის ოქროს თუ ვერცხლის მონეტა, დანარჩენი ფული ბრუნვაში უნდა ყოფილიყო. ამით წარმოქმნილი დეპრესია დაძლეულ იქნა და კრედიტი აღდგა, მაგრამ ასეთმა ღონისძიებამ ვერ დააკმაყოფილა ვერც კრედიტორები და ვერც მოვალეები. იტალიაში მოვალეები ძალიან ღელავდნენ და ვალების კასაციას მოითხოვდნენ.

ასეთ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული კეისრის აღმოსავლეთში ყოფნის დროს პრეტორ მარკუს ცელიუს რუფუსის მოღვაწეობა რომში. ვინ იყო რუფუსი? ცნობილი ორატორი, ციცერონის მოწაფე და მეგობარი, ერთ დროს კეისარს ემხრობოდა და მისგან პრეტურა მიიღო, მაგრამ ქალაქის პრეტორი ის კი არ გახდა, არამედ ტრებონიუსი და ამით უკმაყოფილო დარჩა. მან ხელი მოჰკიდა მოვალეების საქმეს; თანამდებობის შესრულების დაწყებისთანავე ცელიუსს გამოუქვეყნებია კანონ-პროექტი, რომელიც აუქმებდა პროცენტებს და ვალების გადახდისათვის ექვსწლიან ვადას აწესებდა. ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გაულაშქრიათ კონსულ სერვილიუსს და სხვა მაგისტრატებს და ცელიუსს ის უკან წაუღია.

სამაგიეროდ, მას უფრო რადიკალური შინაარსის კანონპროექტი გამოუქვეყნებია, რომელიც ყველა სავალო ვალდებულებას აუქმებდა და ბინის დამქირავებელთ ერთი წლის ქირისაგან ათავისუფლებდა. მისმა კანონპროექტმა მმართველი წრეები დიდად აღაშფოთა და ის

იძულებული გახდა, რომიდან გაქცეულიყო. მაშინ მან ფარულად შიკრიკი გაუგზავნა მასილიაში თავის მეგობარ მილონს. რომელიც როგორც ვიცით, 52 წელს რომიდან იყო გაძევებული კლოდიუსის მოკვლისათვის, და იტალიაში მიიწვია. დაბრუნებულ მილონთან მან კავშირი დადო და იგი გაგზავნა მონა მწყემსების ასაჯანყებლად. საერთოდ, ცელიუსმა და მილონმა მრავალად მოუყარეს თავი შეუძლო მოვალეებს და უკმაყოფილო ელემენტებს და იქამდეც კი მივიდნენ, რომ სოფლის მონებს ერგასტულუმების კარებს უღებდნენ და ათავისუფლებდნენ. მაგრამ მათი მოქმედების გარშემო წარმოქმნილ ბრძოლაში ორივე დაიღუპა. მაგრამ ცელიუს რუფუსის მოძრაობის დამარცხებით ვალების კასაციისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა. 47 წლის სახალხო ტრიბუნმა, პუბლიუს კორნელიუს დოლაბელამ კვლავ წამოაყენა კანონპროექტი, რომელიც ეხებოდა ვალების გაუქმებასა და ქალაქში მცხოვრებ დამქირავებელთა ბინის ქირის გადახდისაგან განთავისუფლებას. რომის მთელმა პლებსმა ამ კანონპროექტს მხურვალედ დაუჭირა მხარი. მოწინააღმდეგეთა ხმის მიცემისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, მათ ფორუმისაკენ მიმავალ გზებზე ბარიკადები აღმართეს. მაშინ კეისრის მიერ ქალაქში მმართველად დატოვებულმა, ცხენოსანი ჯარის უფროსმა მარკუს ანტონიუსმა, რომელიც წინათ პომპეუსს ემხრობოდა, შემდეგ კი კეისრის მხარეზე გადავიდა, რომის ქუჩებში ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გამართა და სახალხო კრება გარეკა. ბრძოლაში 800-მდე კაცი დაიღუპა. ამას გარდა, აფრიკაში პომპეუსელების გაძლიერებასთან დაკავშირებით ნობილიტეტისა და ცეზარის მოქმედებით უკმაყოფილო ელემენტების წრეში კვლავ აღორძინდა იმედი, რომ კეისარი დამარცხდებოდა. როცა ყოველივე ეს კეისარმა შეიტყო, სასწრაფოდ გამოეშურა რომისაკენ.

ასეთი იყო მდგომარეობა რომში, როცა კეისარი 47 წელს აღმოსავლეთიდან დაბრუნდა. ასეთ პირობებში მისთვის ცხადი გახდა, რომ მისი მთავარი დასაყრდენი მხოლოდ პლებსი შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორ უყურებდა კეისარი რომის თავისუფალი მოსახლეობის დაბალი ფენების ბრძოლას მევახშე-კრედიტორების წინააღმდეგ და ვალების კასაციის პრობლემას? ძველი პოპულარული ისტორიკოსი კასიუს დიო (155—235 წწ.) ამ კითხვაზე გვიპასუხებს, კეისარს არ გაუტარებია ვალების კასაცია, როგორც ეს პლებსს სურდაო. იმპერატორების ეპოქის მწერალი სვეტონიუსიც (75—160 წწ.) გვარწმუნებს, კეისარმა ვერ ვაამართლა მისგან მოსალოდნელი იმედი ვალების გაუქმებისაო. თვითონ კეისარი კი ერთ ადგილას ამბობს: „რა თავხედობაა და რა უტიფრობა თავს მოვალედ ცნობდე და ამავე დროს ცდილობდე, შენი ქონება ხელშეუხებელი შეუნარჩუნო?“ მაგრამ როგორ შორსაც არ უნდა ყოფილიყო კეისარი ვალების კასაციისაგან, მას მაინც არ შეეძ-

ლო გვერდი აეხვია სავალო საკითხის მოწესრიგებისათვის. ამიტომ რომში დაბრუნების შემდეგ მან უკმაყოფილება არ გამოთქვა ანტონიუსის მიმართ, მის მიერ დოლაბელას წინააღმდეგ მიღებული ზომების გამო, მაგრამ არც დოლაბელა გააძევა იტალიიდან და, თუ კასიუს დიოს დავუჯერებთ მას მფარველობასაც კი უწევდა.

მეორე მხრივ, მან აღადგინა მოვალეთა ქონების ომამდელი ღირებულების მიხედვით შეფასების წესები და დაადგინა მოვალეების მიერ გადახდილი პროცენტები ვალის ანგარიშში ჩაერიცხათ. არ დავიწყებია კეისარს ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მდიდრების მრავალსართულიან სახლებში ქირით ბინადრობდა. სვეტონიუსის გადმოცემით, კეისარმა ერთი წლით გაათავისუფლა ბინის ქირის დავალიანებისაგან ის მცხოვრებლები, რომლებიც რომში ბინის ქირას წლიურად 2 ათას სესტერცამდე და იტალიის ქალაქებში 500 სესტერცამდე იხდიდა. იგივე სვეტონიუსი გვარწმუნებს, ღარიბ მოქალაქეთათვის სამუშაოს შოვნა რომ გაეადვილებინა, დაავალა შესაქონლეებს, რათა თითოეულ მათგანს მწყემსებად აეყვანათ ისინი ერთ მესამედზე არანაკლები რაოდენობით. საერთოდ, კეისარი მოსახლეობულად უქმნიდა რომის ღარიბ მოსახლეობას ილუზიას, რომ იგი მათი ერთგული დამცველი იყო. თუმცა მის საქმიანობას ოდნავ შესამჩნევი წინააღმდეგობა ახასიათებდა: ერთი მხრივ, იგი ცდილობდა ღარიბებისათვის სასურსათო და ფულად დახმარებათა რაციონის გადიდებას, ხოლო, მეორე მხრივ, მანვე შეამცირა 320 ათასიდან 150 ათასამდე იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც ყოველთვიურად იღებდნენ უფასო პურს. ამასთან, კეისარი ხალხს დემოკრატიზმის დამცველად და პოპულარების პარტიის ლიდერად ევლინებოდა, თუმცა მმართველობის უკანასკნელ წლებში არ მოერიდა კვლავ აეკრძალა ის კვარტალური კოლეგიები — დემოკრატიზმის ბურჯი.

კეისრის რომში ყოფნის დროს მოხდა ლეგიონების ამბოხება. ეს ლეგიონები კამპანიაში იყვნენ დაბანაკებული აფრიკაში გასალაშქრებლად. მოედანზე თავმოყრილი ჯარისკაცები ყვირილით მოითხოვდნენ დაპირებული ჯილდოების დაუყოვნებლივ დარიგებასა და სახლებში გაშვებას. მათ უმრავლესობას კეისრის ძველი მოლაშქრენი შეადგენდნენ, რომელნიც გულგატეხილი იყვნენ დაპირებათა შეუსრულებლობით და გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. ისინი რომისაკენ დაიძრნენ და გზაზე ორი სენატორიც კი მოკლეს, რომლებიც მათ დასამშვიდებლად იყვნენ გამოგზავნილი. ხოლო როცა მათთან მოვიდა კეისრის მიერ მივლინებული ისტორიკოსი — სალუსტიუს კრისპუსი, გააფთრებულმა ჯარისკაცებმა ისიც კინაღამ მოკლეს, მხოლოდ მაშინ, როცა მათ წრეში მოულოდნელად გაჩნდა თვითონ კეისარი და ჩვეული სიმშვიდით, თავდაჯერით და თავისებური მჭევრმეტყველური

სიტყვით მიმართა ამბოხებულ მეომრებს, ისინი დამშვიდნენ და წესრიგი ადვილად აღადგინა.

როცა კეისარმა რომში მოაწესრიგა საქმეები, ექვსი ლეგიონით აფრიკაში გაილაშქრა. აფრიკაში ამ დროს თავმოყრილი იყო პომპეუსელების მთავარი ძალები, რომელთაც კეისრის დაუძინებელი მტრები — ლუციუს სციპიონი და პორციუს კატონი მეთაურობდნენ. აქვე იყვნენ პომპეუსის სიმამრი, ცეცილიუს მეტელუსი, კეისრის ყოფილი ლეგატები ესპანეთში — პეტრეუსი და აფრანიუსი, აგრეთვე ლაბიენი, რომელმაც მას უღალატა სამოქალაქო ომის დასაწყისშივე, პომპეუსის შვილები გნეიუს უმცროსი და სექსტუსი და მრავალი სხვა. მოძრაობის იდეოლოგი იყო პორციუს კატონი უმცროსი, ხოლო მოკავშირე და დამხმარე — ნუმიდიის მეფე იუბა. პომპეუსელებს აქ ცალკე ახალი სენატიც კი შეუქმნიათ სამასი წევრისაგან, რომელიც ქალაქ უტიკაში იკრიბებოდა. აფრიკაში პომპეუსელების განკარგულებაში იყო მნიშვნელოვანი ფლოტი. საკმაოდ დიდი არმია და ფართო სამხედრო მარაგი.

პირველი შეტაკება პომპეუსის ჯარებთან კინალამ კეისრის საბედისწერო დამარცხებით დამთავრდა. კეისარს დაუპირისპირდნენ სციპიონის თანაშემწენი, ლაბიენი და პეტრეუსი და მასზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს, გააქციეს მისი ჯარი და სდევნიდნენ მას ვიდრე დაჭრილმა ცხენმა ლაბიენი არ გამოაგდო; პეტრეუსმა კი იმ მოსაზრებით, რომ „ნუ წავართმევთ ჩვენს მხედართმთავარს სციპიონს გამარჯვებასო“, დაწყებული შეტევა აღარ განაგრძო. მან კეისარს საშუალება მისცა, სრულ წესრიგში მოეყვანა თავისი ჯარები და შეემზადებინა მეომრები სპილოებთან მათთვის უჩვეულო ბრძოლისათვის. ამავე დროს მან ნუმიდიის მეფის იუბას წინააღმდეგ გამოიყვანა მავრიტანიის მეფე ბოკუსი, რომელმაც დაიკავა იუბას რეზიდენცია — ცირტა, რამაც აიძულა იუბა სასწრაფოდ გაბრუნებულიყო და სციპიონს მხოლოდ 30 სპილო დაუტოვა. კეისრის მეომრებს კვლავ დაუბრუნდათ სიმხნევე და გაბედულება. 46 წლის აგვისტოში ტაფსუსთან კეისრის ექვეითი ჯარი თავს დაესხა პომპეუსელებს, როცა ისინი ბანაკს აგებდნენ სატყორცნი ჭურვებით შეშინებული მტრის სპილოები შეკრთნენ და თავისიანებსვე დაერივნენ. პომპეუსელებმა იარაღი დაყარეს და მხოლოდ შებრალებას ითხოვდნენ. მაგრამ კეისრის გააფთრებული მეომრები არავის ზოგავდნენ და განუკითხავად სპობდნენ.

ამავე დროს კეისრის მეორე არმიამ გაანადგურა იუბა და დეპატრონა ნუმიდიას. იუბამ თავი მოიკლა. ასევე მოიქცა პომპეუსელთა მეთაურების უმრავლესობა. კატონ უმცროსმა, რომელიც ვერ შეუ-

რიგდა კეისრის გამარჯვებასა და რესპუბლიკის დამხობას, უტიკაში თავის მოკვლით დაამთავრა სიცოცხლე. ამიტომ მას შერჩა ისტორიაში „კატონ უტიკელის“ მეტსახელი. უტიკელი სენატის წევრები ტყვედ ჩაუვარდა კეისარს და მისი ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ ლაბიენმა და პომპეუსის ვაჟებმა — გნეიუსმა და სექსტუსმა ესპანეთში გაქცევით უშველეს თავს. ნუმიდია რომის პროვინციად გამოაცხადეს და მას „ახალი აფრიკა“ უწოდეს, ხოლო მისი მმართველობა სალუსტიუს კრისპუსს ჩააბარეს. ძველი რომის ცნობილი ისტორიკოსი სალუსტიუს კრისპუსი (86—35 წწ.) მტერი იყო პომპეუსის და მისი პარტიისა. 50 წელს იგი გამოაძევეს სენატიდან, მაგრამ კეისარმა აღუდგინა მას თავისი წოდება და პასუხსაგებ დავალებებს აკისრებდა. ამ ომში იგი პროპრეტორის რწმუნებით იყო აღჭურვილი და ახლა პროვინცია „ახალი აფრიკის“ მმართველად დაინიშნა პროკონსულის უფლებებით.

კეისრის ეს ომი ცნობილია „აფრიკის ომის“ სახელით

46 წლის ივლისში კეისარი რომში დაბრუნდა და ზედიზედ ოთხი ტრიუმფი გადაიხადა: გალებზე, ეგვიპტეზე, ფარნაკეზე და ნუმიდიაზე.

მაგრამ კეისრის გამარჯვება მოპირდაპირეებზე სრულყოფილი არ იქნებოდა, თუ ის ბოლოს არ მოუღებდა ესპანეთში პომპეუსელების ბატონობას. ესპანეთში ამ დროს კეისრის წინააღმდეგ დიდ მზადებაში იყვნენ გნეიუს და სექსტუს პომპეუსები. აფრიკაში დამარცხების შემდეგ მათ დაიკავეს ბალეარის კუნძულები და შემდეგ გადავიდნენ ესპანეთის ხმელეთზე. მათ მიემხრო აფრიკის ჯარების გადარჩენილი ნაწილი, მათ განდევნეს შორეული ესპანეთის მმართველი და ისე მჭიდროდ დაუკავშირდნენ ლუზიტანებსა და კელტიბერებს, რომ მათგან ძლიერი ადგილობრივი არმია შექმნეს.

ვინაიდან კეისრის ლეგატები ვერას გახდნენ პომპეუსელებთან ბრძოლაში, ამიტომ 46 წლის ბოლოს იგი თვითონ გაემგზავრა ესპანეთში საუკეთესო ჯარებით და 27 დღე მოუნდა იქ მისვლას. 45 წლის მარტში მუნდასთან (კორდუბთან) კეისარმა ფრიად მძიმე ბრძოლა ვადაიტანა და მისმა 8 ლეგიონმა დაამარცხა მოპირდაპირის 13 ლეგიონი. სექსტუს პომპეუსის გარდა, რომელმაც ჩრდილოეთ ესპანეთში გაქცევით უშველა თავს, პომპეუსელების ყველა მეთაური დაიღუპა. 45 წლის სექტემბერში ძლევამოსილი კეისარი რომს დაბრუნდა და ზეიმით გადაიხადა მეხუთე ტრიუმფი.

ასე დამთავრდა ეს დიდი სამოქალაქო ომი, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და რომლის პროცესში ძველი რესპუბლიკური წყობილების სრული შერყევა გამოვლინდა. ერთპიროვნული ხელისუფლებისათვის ბრძოლას ართულებდა აჯანყებები იტალიასა და პროვინციებში და მღელვარება ჯარებში, დიდად მწვავ-

დებოდა სოციალური ბრძოლა, ღრმავდებოდა სამეურნეო დაქვეითება და მორიგ საკითხად ისმებოდა სამხედრო დიქტატურის დადგენა. მაგრამ მას შემდეგაც კი, როცა კეისარმა ასეთი დიქტატურა სინამდვილედ აქცია, რესპუბლიკურ ოპოზიციას ფარხმალი არ დაუყრია, საკმაოდ ხანგრძლივად განაგრძობდა ბრძოლას და ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებოდა, ვიდრე არ გაიმარჯვა მონარქისტულმა ტენდენციებმა.

თავი მეჩვიდმეტე

რესპუბლიკური წყობილების დაცემა

1. კეისრის დიქტატურა; რესპუბლიკელების შეთქმულება და კეისრის მოკვლა

პუნდასთან გამარჯვების შემდეგ კეისარი რომის სახელმწიფოს ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა. არც ერთ მის წინამორბედს ისე ძლიერ არ დაურღვევია რომის რესპუბლიკური ტრადიციები, როგორც კეისარს, რომლის მთავარი მიზანი რომის მონარქიად გარდაქმნა იყო.

ჯერ კიდევ 49 წელს, როცა კეისარი ესპანეთიდან რომს დაბრუნდა, მას დიქტატორის ხელისუფლება მიენიჭა, მაგრამ მაშინ ეს თანამდებობა მან მხოლოდ 11 დღეს შეინარჩუნა, 48 წლის კონსულად არჩევის შემდეგ მასზე უარი განაცხადა და პომპეუსთან საბრძოლველად გაემგზავრა. ამის შემდეგ იგი ორჯერ იყო დიქტატორად არჩეული: 48 წელს ვადის დაუდგენლად, და 46 წელს ათი წლის ვადით, ხოლო 44 წელს, სიკვდილის წინ, რომის სენატის დადგენილებით მას უკვე მუდმივი დიქტატურა მიეკუთვნა.

დიქტატურის გარდა კეისრის ხელში გადადის უმნიშვნელოვანესი მაგისტრატურების შეთავსება და მასვე აძლევენ მთელ რიგ საპატიო ტიტულებს. ხუთი წლით სენატმა მას მიანიჭა უფლება, ერთდროულად დაეკავებინა კონსულის თანამდებობა; 48 წელს მიაკუთვნეს ტრიბუნის ხელისუფლება. სიკვდილამდე, რაც მის პიროვნებას შეუხებელს ხდიდა, თუმცა ჩვეულებრივ სახალხო ტრიბუნების არჩევნებიც გრძელდებოდა; 46 წელს მასვე დაეკისრა ზნე-ჩვეულების პრეფექტურა, რაც არსებითად ცენზორის უფლებებს ანიჭებდა: კეისარს აგრეთვე უწოდეს „სამშობლოს მამა" და ეს მას ხალხის თვალში საღვთო შარავანდედით მოსავდა; ჩვენ ვიცით, რომ 63 წლიდან კეისარი უმაღლესი პონტიფექსი იყო და, მაშასადამე, სარწმუნოებრივი ორგანიზაციის მეთაურად ითვლებოდა; მასვე ეკუთვნოდა ტრიუმფატორის ტანსაცმლის მუდმივი ჩაცმის უფლება და ყოველივე ეს მის ხელისუფლებას სარწმუნოებრივ ელფერს ანიჭებდა.

ეაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კეისრის ხელისუფ-
ლების გათვალისწინების საქმეში მისთვის იმპერატორის ტიტულის მი-
ნიჭებას. ცნობილია, რომ რესპუბლიკის პერიოდში ძლევამოსილ სარ-
დალს ზეომრები ჩვეულებრივ იმპერატორად აცხადებდნენ და თავდა-
პირველად იგი ამ ტიტულს გამარჯვებიდან რომში ტრიუმფის გადახ-
დამდე ინარჩუნებდა. წინათ მხოლოდ სულამ შეინახა ეს ტიტული
სიკვდილამდე. თავისთავად იბადება კითხვა, თუ როგორი მნიშვნელო-
ბით და შინაარსით უნდა გავიგოთ კეისრისადმი მიკუთვნებული ტი-
ტული იმპერატორისა?

კეისრის მიერ მიღებული იმპერატორის წოდება არსებითად არა
ჰარტო პრენომენსა და საპატიო ტიტულს წარმოადგენდა, არამედ
უმაღლეს ხელისუფლებაზე მითითებასაც. როგორც იმპერატორი კეი-
სარი „იმპერიუმის“ მატარებელი გახდა. ასეთი მნიშვნელობით გადა-
ვიდა ეს ტერმინი მის მოადგილეებზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კეისრის მონეტებზე განსაკუთრებით
უფრო გვიანდელ დროს, დიქტატურის წოდების გვერდით უმეტესად
იმპერატორის ტიტული გვხვდება და ზოგიერთ მის კანონშიც იგი იმ-
პერატორის სახელწოდებით არის მოხსენიებული. ცნობილია, რომ
წელს სენატის დადგენილებით, მონეტებზე კეისრის გამოსახულების
ამოკრა დაიწყეს. პირველი შემთხვევა იყო რომის ისტორიაში, როცა
მმართველს მის სიცოცხლეშივე გამოსახავდნენ მონეტებზე. ჩვენამდე
ასეთი მონეტების საკმაო რიცხვმა მოაღწია.

საყურადღებოა აგრეთვე იმ დროის ისეთი მონეტები, რომლებზეც
დედამიწის სფეროს გამოსახულება გვხვდება. ეს გამოსახულება
მსოფლიო ბატონობის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს და ამ მხრივ
შემთხვევითი არ იყო, რომ კეისარი თავის იდეალად ალექსანდრე მა-
კედონელს თვლიდა. არც ის უნდა ყოფილიყო შემთხვევითი, რომ
კეისრის მოკვლის წინ რომში გაჩნდა კლეოპატრა და მისი ქანდაკება
ვენერა მშობლის ტაძარში დადგეს. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვ-
დეს, რომ ძველი დროიდან კაპიტოლიუმზე იმ მეფეების 7 ქანდაკება
იდგა, რომელთაც ისტორიული ტრადიცია იხსენიებდა; კეისარმა გან-
კარგულება გასცა, იქვე მათ გვერდით აღემართათ მისი საკუთარი
მერვე ქანდაკება. კეისრისადმი მოწიწებისა და მოკრძალების გარეგა-
ნი ნიშნები ფართოდ ვლინდებოდა იმდროინდელ რომში. ამავე დროს,
ძველი წყაროები მოგვითხრობს, თუ რა უპატივცემულოდ შეხვდა
კეისარი სენატის წევრებს, როცა ისინი მასთან მივიდნენ მუდმივი
დიქტატურისა და სხვა პატივის მინიჭების მისალოცავად.

ამავე გადმოგვცემს კეისრის მეფედ გამოცხადების რამდენიმე
ცდას. ეაგრამ მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა შემთხვევა,
რომელიც 44 წლის 15 თებერვალს მოხდა. ამ დღეს, — მოგვითხრობს

აპიანე, — კეისარი იჯდა ფორუმზე ოქროს სავარძელში და ლუპერკალიებს[1] უყურებდა; მასთან მიირბინა ანტონიუსმა და მისი თავი სამეფო გვირგვინით შეამკო, მაყურებლის ნაწილი ამას ტაშის კვრით შეხვდა, უმრავლესობამ კი დაიკვნესა. მაშინ კეისარმა გადმოიგდო დიადემა, ანტონიუსმა კვლავ დაადგა, კეისარმა კვლავ გადმოიგდო. როცა ხალხმა შეამჩნია, რომ კეისარი მტკიცე უარზე იდგა, მხიარული ყვირილი ატეხა და მის მოქმედებას იწონებდაო, სვეტონიუსის ოქმით კეისარმა არამც თუ უკუაგდო სამეფო გვირგვინი, არამედ ბრძანა წაეღოთ ის კაპიტოლიუმზე იუპიტერის ტაძარში. აპიანესა და სვეტონიუსის მსგავს ცნობებს გვაწვდის პლუტარქეც.

ამრიგად, კეისარმა თითქოს უკუაგდო სამეფო გვირგვინი, მაგრამ, როგორც ძველი წყაროები მოგვითხრობს, როცა კეისარს პართიელებზე გალაშქრება განუზრახავს, კვლავ გავრცელებულა ხმები, რომ სიბილას[2] წიგნები წინასწარმეტყველებით პართიელების დამარცხებას რომაელები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მათ წინააღმდეგ წინამძღოლად მეფე ეყოლებათო, ამიტომ ზოგიერთი კვლავ მოითხოვდა კეისრის მეფედ გამოცხადებასო.

მაგრამ, ვიდრე კეისრის თავგადასავალზე საუბარს გავაგრძელებდეთ, საჭიროა ზოგადად მაინც გავეცნოთ მის მოღვაწეობასა და საქმიანობას რომის ერთპიროვნულ მბრძანებლად ყოფნის დროს.

კეისარი მრავალი წლის განმავლობაში პოპულარების ბელადად გამოდიოდა და მათი დახმარებით მიაღწია უმაღლეს ხელისუფლებას. მერე გაამართლა თუ არა მან პლებსის იმედები, განსაკუთრებით ვალების კასაციის საქმეში? უკვე ნათქვამი იყო, რომ კეისრის ბატონობის დროსაც რომის საზოგადოებრივი ცხოვრების ფრიად მტკივნეული საგანი ვალების საკითხის მოწესრიგება იყო. როგორც უკვე ვთქვით, ცეზარმა ამ მხრივ ვერ გაამართლა იმედი და იმით დაკმაყოფილდა, რომ ძალაში დატოვა ის წესი, რომლის თანახმად მოვალის ქონება სამოქალაქო ომამდე არსებული ღირებულების მიხედვით ფასდებოდა და ასეთი შეფარდებით აკმაყოფილებდა იგი კრედიტორებს; ამის გარდა, ვალის ანგარიშში უნდა ჩაერიცხათ კრედიტორებისათვის გადახდილი პროცენტები. ამით, კრედიტორები დაახლოებით ერთი მეოთხედით დაზარალდნენ. კეისარს არც ღარიბების მიერ ბინის ქირის გადახდის საკითხი დავიწყებია. მაგრამ აქაც, როგორც ვიცით, მან კომპრომისული ღონისძიება გაატარა სოფლის ღარიბი მოსახლეობის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, საყურადღებოა კეისრის ღონისძიება,

---

[1] ლუპერკალია — ძველრომაული დღესასწაული ღმერთ ფაუნის პატივსაცემად, რომელიც ტყეების მფარველად და ჯოგების მცველად ითვლებოდა.

[2] სიბილა — ძველი ბერძნებისა და რომაელების წინასწარმეტყველი, მოსავლის მარჩიელი ქალი.

რომლის მიხედვით მან მესაქონლეებს დაავალა, რათა მათ თავისი მწყემსების ერთ მესამედზე არანაკლები თავისუფალ სრულწლოვან მოქალაქეთაგან აეყვანათ. მართალია, კეისარმა 320 ათასიდან 150 ათასამდე შეამცირა იმ პლებეების რიცხვი, რომელთაც უფლება ჰქონდათ სახელმწიფოსაგან უფასოდ მიეღოთ პური და ზოგიერთი სხვა პროდუქტები, მაგრამ ათი მოდიუმი პურისა და ათი გირვანქა ზეითუნის გარდა ღარიბებს დაურიგა სამას-სამასი სესტერცი და დამატებით კიდევ ასი სესტერცი — დარიგების დაგვიანებისათვის. მიწათმოქმედების განვითარების მიზნით უნდა გატარებულიყო კეისრის კანონი, რომელიც ზღუდავდა იმ თანხებს, რომლებიც შეიძლებოდა ხელთ ჰქონოდათ ცალკეულ პირებს (არა უმეტეს 15 ათასი ოქროსა და ვერცხლის დენარისა) და აგრეთვე ის ფართო პროექტები, რომლებიც მიზნად ჰაობების ამოშრობასა და გზების გაყვანას ისახავდნენ. რომში უსახლკარო და უმუშევარი ღარიბების რიცხვის შემცირებისა და მათთვის საარსებო საშუალებათა მიცემის მიზნით, კეისარს იტალიის გარეშე ახალშენებში გადაუყვანია 80 ათასამდე კაცი. ახალშენები დაარსდა კართაგოსა და კორინთოს ადგილას, ესპანეთში, სამხრეთ გალიაში, მაკედონიაში, შაეი ზღვის სამხრეთ ნაპირზე და სირიაში.

ასეთ ღონისძიებებთან ერთად კეისარი ზოგიერთ ისეთ განკარგულებას სცემდა, რომლებიც პლებსის წინააღმდეგ იყო მიმართული და ოპტიმატების სულისკვეთებას უფრო შეესაბამებოდა. მაგ., მან დაშალა ყველა კოლეგია, იმათ გარდა, რომლებიც ძველად იყო დაარსებული. ჩვენ კი გვახსოვს, რომ კლოდიუსის კანონით კოლეგიები რომში დემოკრატიზმის ბურჯად გადაიქცნენ. მიუხედავად კეისრის ასეთი და სხვა მსგავსი ღონისძიებისა, რომაელი პლებსი მაინც იმედით შესცქეროდა და მისგან რადიკალურ რეფორმებს მოელოდა. თვითონ კეისარიც ბოლომდე სარგებლობდა დემოკრატიული ფრაზეოლოგიით და გარეგანი დემოკრატიზმით: სადად და უბრალოდ ხვდებოდა ის ყველას და მოთმინებით ისმენდა საჩივრებსა და თხოვნებს.

იტალიაში დაბრუნებულმა კეისარმა მოპირდაპირეებისადმი შეწყალება გამოიჩინა, პროსკრიპციებისათვის არ მიუმართავს და თითქმის ყველა გამოჩენილი პომპეუსელი არამცთუ შეიწყნარა, არამედ ბევრი მათგანი დააწინაურა. მაგრამ მათ მხოლოდ ფორმალურად სცნეს ყოვლადძლიერი დიქტატორის ხელისუფლება და გარეგნულად მას ფეხქვეშ ეგებოდნენ, მაგრამ გულში მისადმი დიდი მტრობა და სიძულვილი ედოთ. მან მარკუს ტულიუს ციცერონიც შეირიგა, მოწყალედ მიიღო და წარსული დავიწყებას მისცა. მაგრამ ციცერონს, პლუტარქეს სიტყვით, სახელმწიფო მოღვაწეობისათვის თავი მიუნებებია და თავისუფალ დროს იმ ახალგაზრდებს ამეცადინებდა, რომელთაც ფილოსოფიის შესწავლა სურდათ

კეისარს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ოპტიმატების ის პროექტები, რომლებიც იმდროინდელ რომში ზნე-ჩვეულების განმტკიცებას გულისხმობდა და თავის მხრივ ფუფუნებისა და გარყვნილების წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოუცია. იგი ხალხს უკრძალავდა ტახტრევნით სარგებლობას, ძოწეული ტანისამოსის ჩაცმას, თვალმარგალიტით შემკობას, ზოგიერთი პირის გამოკლებით, რომელთაც ეს არ ეკრძალებოდათ მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში. სასურსათო ბაზრების გარშემო მას ზედამხედველები დაუყენებია, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ არავის შეეძინა აკრძალული პროდუქტები; ლიქტორები და ჯარისკაცები დადიოდნენ კერძო სახლებში და ართმევდნენ მოსახლეობას იმ პროდუქტებს, რომლების მოხმარებაც აკრძალული იყო ფუფუნების საწინააღმდეგო კანონით.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა კეისარი პროვინციების მმართველობის მოწესრიგებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. იგი უხვად ურიგებდა რომაელი და ლათინური მოქალაქეობრიობის უფლებებს არა მარტო კერძო პირებს, არამედ მთელ ქალაქებსაც. ციზალპური გალიის თემებს მან მიანიჭა რომის მოქალაქის უფლებები და მალე ციზალპური გალია უკვე არა პროვინციად, არამედ იტალიის ნაწილად ჩაითვალა. რომის მოქალაქის უფლებები მიენიჭათ აგრეთვე ესპანეთის ცალკეულ ქალაქებს, თავისუფალი გალიის ბევრ მცხოვრებს, ხოლო ლათინური უფლებები — სიცილიის, ნარბონის გალიისა და ესპანეთის მკვიდრთ. ასეთი პოლიტიკა და ფართო კოლონიზაცია დიდად უწყობდა ხელს ამ მხარეების რომანიზაციას.

პროვინციებში მმართველობის მოწესრიგების თვალსაზრისით საყურადღებოა მისი ღონისძიებები გადასახადების აკრეფის სისტემის შეცვლის დარგში. ჯერ კიდევ კონსულად ყოფნის დროს, 59 წელს კეისარმა გამოსცა პროვინციებში გამოძალვათა საწინააღმდეგო კანონი, რომელიც რომაელ მოხელეებს გამოძალვისათვის სასტიკი სასჯელით ემუქრებოდა. ამ კანონს თავისი მნიშვნელობა მთლიანად არ დაუკარგავს იმპერიის არსებობის მანძილზე, ამასთან ერთად, კეისარმა გაუმჯობესა საგადასახადო პოლიტიკა: ბევრ პროვინციაში პირდაპირი გადასახადების აკრეფის უფლება ჩამოართვა პუბლიკანებს, და უშუალოდ ადგილობრივ თემთა წარმომადგენლებს გადაეცა, კეისრის აგენტების ზედამხედველობით. საიჯარო სისტემა დარჩა მხოლოდ არაპირდაპირი გადასახადების დარგში. ბევრი თემი სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან. კეისარმა პროვინციების მმართველებს ჩამოართვა აგრეთვე სამხედრო ხელისუფლება და დაუტოვა მხოლოდ სამოსამართლო და სამოქალაქო ადმინისტრაცია და ისიც თავისი კონტროლით. პროვინციების ჯარების

სასამართლოში კი თავისი ლეგატები დააყენა, პროპრეტორის წოდებით, ხოლო პროვინციების მმართველებად თავის მახლობელ ადამიანებს ნიშნავდა.

იტალიის მოსახლეობის ინტერესების თვალსაზრისით უდავო მნიშვნელობა ჰქონდა კეისრის მუნიციპალურ კანონს. ჩვენამდე მოღწეული სახით იგი შეიცავს ქალაქების მმართველობის ზოგიერთი მხარის აღწერილობას, მუნიციპალური საბჭოს და ადმინისტრაციის შემადგენლობის გარკვევას და ცენზის წარმოების წესებს. კანონით ქალაქის მოსახლეობას ენიჭება ავტონომია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში; არჩევნები თავისუფალია და რომაელთა ხელისუფლება მათში არ ერევა, მაგრამ უპირატესობა ყოფილ სამხედრო პირებს ეკუთვნის: განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ჯარიდან დაბრუნებულ პირებს შეეძლოთ დაწესებულ ოცდაათწლიან ასაკზე უფრო ადრე კამხდარიყვნენ დეკურიონები და მაგისტრატები, ხოლო უპატიოსნო საქციელისათვის ჯარიდან გამოგდებული პირები კარგავენ პასიურ საარჩევნო უფლებებსაც. აღსანიშნავია, რომ კანონში არის მუხლები, რომლებიც რომს შეეხება. როგორც ჩანს, კეისარი რომს მიაკუთვნებდა მხოლოდ სახელმწიფოს მთავარი ქალაქისა და მონარქის რეზიდენციის მნიშვნელობას, ძველად თურმე ისეთი ხმაც კი იყო გავრცელებული, თითქოს კეისარს განზრახვა ჰქონდა სატახტო ქალაქი ალექსანდრიაში ან ილიონში გადაეტანა.

კეისარმა ცვლილებები შეიტანა სახელმწიფო აპარატშიც; სენატის წევრთა რიცხვი მან 900-მდე გაზარდა. სენატის ახალ წევრებად დაინიშნენ ჰეედართა წოდების პირები, იტალიის მუნიციპალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, დამსახურებული სამხედრო პირები და ზოგიერთი პროვინციელიც. სპეციალისტების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ახალ სენატორთა წრეში მთავარი ადგილი ეკუთვნოდათ მხედრებს და მათ შვილებს, მათ მიჰყვებოდნენ იტალიის მუნიციპალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. იტალიკებიდან იყვნენ გამოსული აგრეთვე ის ცენტურიონები, რომლებმაც კეისრის დროს სენატორის რანგს მიაღწიეს. ცეზარმა გაზარდა პრეტორთა, ედილთა, კვესტორთა და სხვა მეორეხარისხოვან მაგისტრატთა რიცხვი; მის დროს ირჩევდნენ 40 კვესტორს, 8 ედილს და 16 პრეტორს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი პლებეურ-სენატორული გვარი პატრიციების წოდებას მიეკუთვნა, ამით მან ერთგვარად ასიმილაციონა ძველ გამოჩენილ სენატორულ ოჯახებს და, მეორე მხრივ, თითქოს თავისთვის აღიდგინა ტრადიციით რომაელი მეფეების კუთვნილი უფლება.

კეისრის დიქტატურის დროს სახალხო კრება, რასაკვირველია, განაგრძობდა არსებობას, მაგრამ იგი უმეტეს წილად მისი ნება-სურვი-

ლის შემსრულებელი იყო. კეისარი უსაზღვროდ სარგებლობდა ასარჩევი პირების კანდიდატურის რეკომენდაციის უფლებით და არჩევნები არსებითად დანიშვნებად გადაიქცა. იყო ზოგიერთი სახალხო ტრიბუნის ცალკეული ცდები ხმა აღემაღლებინათ კეისრის მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ იგი ადვილად ახერხებდა მათ თავიდან მოცილებას იმავე კომიციების საშუალებით.

ფართო და მრავალფეროვანი იყო კეისრის ღონისძიებები, რომლებიც მან გაატარა თუ მხოლოდ დასახა ძველი რომაელების ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესაცვლელად. გატარებულ ღონისძიებათა შორის აღვნიშნავთ ორს: ოქროს მონეტის დამკვიდრებასა და კალენდრის რეფორმას. კეისრის დროიდან რომში რეგულარულად იჭრებოდა ოქროს მონეტა და რომაული ოქროს დენარი მთელ დასავლეთში ერთიანი მონეტა გახდა. რაც შეეხება კალენდარს, სვეტონიუსის თქმით, მან შეასწორა კალენდარი, რომელიც პონტიფექსების შეცოდებათა წყალობით არეული იყო. სახელგანთქმული ეგვიპტელი მათემატიკოსის სოზიგენესის დახმარებით კეისარმა 45 წლის პირველი იანვრიდან შემოიღო ახალი წელთაღრიცხვა, ეგრეთ წოდებული იულიუსის კალენდარი. რასაც თავის დროზე დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ კეისრის განკარგულებით რომში პირველად იწყეს სენატისა და სახალხო კრების დადგენილებათა გამოქვეყნება, რაზეც საუბარი თავის ადგილას გვქონდა.

დიდ ყურადღებას აქცევდა კეისარი ქალაქ რომის კეთილმოწყობას. მან რომში ააგო იულიუსის ფორუმი, თეატრი, ტაძრები, საჯარო ბიბლიოთეკა. სააღებმიცემო ურთიერთობის გასაადვილებლად მას განზრახული ჰქონდა კორინთოს ყელის გათხრა, ოსტიას გაფართოება და, საერთოდ, მთელი რიგი გრანდიოზული ღონისძიებების გატარება. მაგრამ მათი განხორციელება ვეღარ მოასწრო.

კეისრის ერთპიროვნული ხელისუფლების უაღრესად უკმაყოფილო ელემენტებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. გაჩნდა პოლიტიკური პამფლეტები და ანტიმონარქიულმა პროპაგანდამ ადგილი თეატრშიც პოვა. ძველი წყაროების მიხედვით კეისრის საწინააღმდეგო ოპოზიცია უმთავრესად სენატორთა წრეში განვითარდა და თანდათან შეთქმულების ხასიათი მიიღო. შეთქმულებაში ოთხმოცი კაცამდე მონაწილეობდა; მათში იყვნენ ნაწილობრივ ის პომპეუსელები, რომლებიც კეისარმა შეიწყნარა და დიდი თანამდებობებიც მიანიჭა, ნაწილობრივ ის კეისრელები, რომლებიც რესპუბლიკელების ბანაკში გადავიდნენ. შეთქმულების მთავარი ორგანიზატორები იყვნენ მარკუს იუნიუს ბრუტუსი, დეციმუს იუნიუს ბრუტუსი და გაიუს კასიუს ლონგინუსი. მოძრაობის იდეოლოგად ითვლებოდა მარკუს იუნიუს ბრუ-

ტუსი, რომელსაც ფილოსოფიით გატაცება ხელს არ უშლიდა, ყოფილიყო შეუბრალებელი მევახშე. იგი ჯერ პომპეუსის მხარეზე იბრძოდა, ხოლო ფარსალოსთან ბრძოლის შემდეგ კეისრის მხარეზე გადავიდა. ბრუტუსი არამცთუ გადარჩა, არამედ იმასაც კი მიაღწია, რომ ერთ დროს გალიას განაგებდა, ხოლო 44 წელს პრეტორი იყო. ძველად მას, ერთი მხრივ, თავისუფლებისა და რესპუბლიკის სიმბოლოდ აღიარებდნენ. მეორე მხრივ კი, უდიდეს ბოროტმოქმედად თვლიდნენ. თუ ამალი საუკუნეების მიჯნაზე პოეტი დანტე მას იუდა ისკარიოტელთან ერთად ჯოჯოხეთში ათავსებს, საფრანგეთის რევოლუციის მეთაურები მასში თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს ხედავდნენ.

როცა ბრუტუსმა და კასიუსმა დაინახა, — აღნიშნავს აპიანე, — რომ შეთქმულთა რიცხვი საკმარისია და მეტის მიზიდვა საჭირო აღარ არისო, ურთიერთშორის ხელშეკრულება დადეს ფიცის მიუღებლად და მსხვერპლის შეუწირავად, ხოლო არც ერთ მათგანს უკან არ დაუხევია და გამცემი არ აღმოჩენილაო.

როცა კეისარმა მზადება დაიწყო პართიელებზე გასალაშქრებლად და რომში ფართოდ გავრცელდა ხმა, თითქოს კუმის წინასწარმეტყველი ქალის, სიბილას წიგნების მიხედვით პართიელების დამარცხება მხოლოდ მეფეს შეუძლიაო, შეთქმულებმა დაჩქარეს კეისრის მოკვლა და ამ განზრახვის შესასრულებლად აირჩიეს სენატის სხდომა (15 მარტს). შემონახული ცნობების მიხედვით ხმებმა შეთქმულების შესახებ კეისრის ყურამდეც მიაღწია და ის, თითქოს, არაერთხელ გააფრთხილეს მეგობრებმა და მეუღლემ მოსალოდნელი საბედისწერო საფრთხისაგან. მაგრამ მან ამას ყურადღება არ მიაქცია და წავიდა სენატის სხდომაზე, ეგრეთ წოდებულ პომპეუსის კურიაში. ნიკოლოზ დამასკელი გადმოგვცემს, ბრუტუსის წამქეზებელ სიტყვებს: „რას ამბობ, კეისარო! ნუთუ შენ, ესოდენ დიდი, ქალის სიზმრებსა და ვიგინდარების შეგონებათ ყურადღებას მიაქცევ და არ გამოხვალ სახლიდან და ამით შეურაცხყოფ შენს მიერვე მოწვეულ სენატს, რომელმაც შენ ესოდენი პატივი დაგდო? გამიგონე მე, უკუაგდე სიზმრების ახსნა და გამომყევი...“ ამ სიტყვებმა იგი დაარწმუნა და წავიდაო.

როცა კეისარი კურიაში შედიოდა, მას მიაწოდეს წერილი, რომელიც აფრთხილებდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მაგრამ მას წერილი არც კი გაუხსნია. 44 წლის 15 მარტს მას თავს დაესხნენ მახვილებით შეიარაღებული შეთქმულები, მრავალი ჭრილობა მიაყენეს და მოკლული კეისარი პომპეუსის ქანდაკების წინ დაეცა. ასე ჩავიდა სამარეში ძველი ისტორიის ერთი ფრიად გამოჩენილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე, იშვიათი ნიჭის, ფართო თვალთახედვისა და მაღალი კულტურის ადამიანი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული

რომში ელინისტური სახის მონარქიის დამკვიდრება. იგი მოკლეს, მაგრამ ამას თან არ მოჰყოლია რესპუბლიკის აღდგენა და მონარქიული წყობილების განმტკიცების პროცესი შენელებული ტემპით მიმდინარეობდა.

შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ მოკლული კეისრის გვამი გადაეგდოთ ტიბრში, ჩამოერთმიათ ქონება და გაეუქმებინათ ყველა მისი განკარგულება, მაგრამ კონსულ მარკუს ანტონიუსისა და ცხენოსანი ჯარის უფროსის ლეპიდუსის შიშით ეს ვერ გაბედეს.

2. მდგომარეობა რომში კეისრის მოკვლის შემდეგ

ნიკოლოზ დამასკელის გადმოცემით კეისრის მკვლელებს წინასწარ ამოურჩევიათ თავისი მიზნისათვის ბევრი გლადიატორი, რომლებიც დაუყენებიათ პომპეუსის გალერეაში თეატრსა და კურიის შენობას შორის. ისინი შეუმზადებიათ დეციმუს ბრუტუსს ვითომც რაღაც სხვა მიზნისათვის. ნამდვილად კი ეს იყო მომზადება მკვლელობისათვის, რათა შეთქმულთ თანაშემწეები ჰყოლოდა იმ შემთხვევაში, თუ კეისრის დამცველები რაიმეს განიზრახავდნენ.

მისივე სიტყვით, რომის ქუჩებსა და მოედნებზე, კეისრის მოკვლის შემდეგ, წარმოუდგენელი ყვირილი ამტყდარა. ზოგი ამბობდა, გლადიატორები სენატორებს ხოცავენო, სხვები გაპყვიროდნენ, კეისარი მოკლესო. დაბნეულობა გრძელდებოდა, ვიდრე ყველამ არ ღაინახა მკვლელები და მათ შორის ბრუტუსიც, რომელიც ხალხს ამშვიდებდა: არაფერი ცუდი არ მომხდარაო. მკვლელების სიტყვების ზოგადი აზრი კი ის იყო, რომ მათ მოკლეს ტირანი.

რას აკეთებდნენ იმ დროს კეისრის მახლობელი პირები, განსაკუთრებით 44 წლის კონსული მარკუს ანტონიუსი და ცხენოსანი ჯარის უფროსი ემილიუს ლეპიდუსი? ნიკოლოზ დამასკელი გვარწმუნებს, რომ ძეგობრები, რომლებიც მკვლელობას ესწრებოდნენ, მიმოიფანტნენ, სხვები თავიანთ სახლებში მიიმალნენო. კერძოდ, ანტონიუსი 15 მარტს შეთქმულებმა სენატის შესასვლელთან განზრახ შეაჩერეს და, როცა კეისარს თავს მახვილებით შეიარაღებული შეთქმულები დაესხნენ, დაბმარების ნაცვლად მან გაიძრო კონსულის სამოსელი და გაქცევა ამჯობინა. იმავე დღეს ღამით კი თავისთან გადაატანინა კეისრის მთელი ქონება, დოკუმენტები და ძვირფასეულობა, დაცვის საბაბით.

რაც შეეხება ლეპიდუსს, მან პირველმა დაიწყო ლაპარაკი კეისრის მკვლელობისათვის შურისძიებაზე და ანტონიუსს ერთად მოქმედებაზე შეუთანხმდა, ქალაქში ჯარი შეიყვანა და ფორუმი დაიკავა.

კეისრის მკვლელებს განუზრახავთ, სენატში სიტყვა წარმოთქვათ, მაგრამ იქ არავინ დარჩენილა, ამიტომ მონებით და გლადიატორებით

გარშემორტყმულებმა დატოვეს პომპეუსის კურია და ფორუმის გავლით კაპიტოლიუმისაკენ გაეშურნენ. გზაზე ისინი გაჰყვიროდნენ, რომ მოკლეს მეფე და ტირანი და მოუწოდებდნენ ხალხს, აღედგინათ მამაპაპათა წყობილება, იგონებდნენ ძველ ბრუტუსს და ძველ რომაელებს, რომლებმაც აგრეთვე შეთქმულება მოაწყვეს ძველი მეფეების წინააღმდეგო. მაგრამ, როცა ხალხი შეთქმულებს არ გაჰყვა, ისინი დაიბნენ და შეშინდნენო, გვარწმუნებს აპიანე. მაშინ შეთქმულებს კაპიტოლიუმის დაკავება და გამაგრება გადაუწყვეტიათ და გზადაგზა გაჰკიოდნენ, საერთო თავისუფლების საქმე ჩავიდინეთო.

მეორე დღეს, 16 მარტს ფორუმზე მივიდა პრეტორი ლუციუს კორნელიუს ცინა, რომელმაც ჩამოიგლიჯა პრეტორის განმასხვავებელი ნიშნები, ვითომც იმ საბაბით, რომ არ სურს ეკეთოს ისინი, ვინაიდან ტირანისაგან აქვს მინიჭებული.

შემდეგ ფორუმზე გამოცხადებულა დოლაბელა, რომელიც თვითონ კეისრის მიერ იყო კონსულად დანიშნული წლის ბოლოსთვის. ის უკვე კონსულის სამოსში იყო გამოწყობილი და კონსულის ნიშნები ჰქონდა. იგი კიცხავდა იმას, ვისგანაც ეს ნიშნები ჰქონდა მიღებული და ირწმუნებოდა, თითქოს სავსებით თანაუგრძნობდა კეისრის მოკვლას და მხოლოდ შემთხვევით არ მიუღია მასში ფიზიკური მონაწილეობა. ზოგიერთი თურმე იმასაც ამტკიცებდა, რომ მან წინადადება წამოაყენა კეისრის მოკვლის დღე ისევე ვიდღესასწაულოთ, როგორც ქალაქის დაბადების დღეო.

ბოლოს მოედანზე მისულან სენატორებით და გლადიატორებით გარშემორტყმული მეთაურები შეთქმულებისა — კასიუსი და ბრუტუსი. აქ კასიუსსა და ბრუტუსს დამსწრეთათვის სიტყვით მიუმართავს, რომელსაც აპიანე სხვადასხვა ადგილას გადმოგვცემს. ისინი მიმართავდნენ მათ მოწოდებით, მიებაძათ იმ წინაპრებისათვის, მეფეები რომ განდევნეს, რომლებიც სახელმწიფოს კეისარივით ძალადობით კი არ განაგებდნენ, არამედ კანონით იყვნენ არჩეულნი. ამასთან ერთად, მათ წინადადება წამოუყენებიათ, გამოეწვიათ პომპეუს დიდის ვაჟი სექტუს პომპეუსი, რომელიც მათი სიტყვით, ესპანეთში ჯერ კიდევ იბრძოდა დემოკრატიისათვის და აღედგინათ თანამდებობაზე კეისრის მიერ ვადაყენებული ტრიბუნები. მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ხალხის განწყობილება სულ უფრო კეისრის მომხრეებისაკენ იხრებოდა და მით უმეტეს, რომ როგორც ნიკოლოზ დამასკელის ცნობიდან ჩანს, უკანასკნელებმა ფორუმი დაიკავეს და უკვე შეტევაზე გადასვლისათვის ემზადებოდნენ.

ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა აიძულებდა მოპირდაპირე ჯგუფებს როგორც კეისრელებს, ისე მოწინააღმდეგეთ. თავიანთ ურთიერთობაში რაიმე კომპრომისი გამოენახათ. ძველი წყაროების ცნობით,

შეთანხმდნენ, რომ 17 მარტს ანტონიუსი, როგორც კონსული, სენატს მოიწვევდა. სენატის სხდომა შედგა დედამიწის ქალღმერთის ტაძარში. სხდომას თავმჯდომარეობდა ანტონიუსი. დაიწყო ხანგრძლივი კამათი. შეთქმულთა უკიდურესი ფრთა მოითხოვდა კეისრის ტირანად აღიარებას და ბრუტუსისა და კასიუსისათვის მადლობის გამოცხადებას მისი მოკვლისათვის. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ უნდა გაეუქმებინათ კეისრის ყველა განკარგულება, რაც მრავალი ადამიანისა და დაწესებულების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამის გარდა, კეისრის ტირანად გამოცხადების შემთხვევაში მისი გვამი ტიბრში უნდა გადაეგდოთ, სენატის წევრებმა კი იცოდნენ, რომ ამას პლებსი არასოდეს შეურიგდებოდა. მაშინ სენატის სხდომაზე კომპრომისული წინადადებით გამოსულა ციცერონი. პლუტარქეს ცნობით შეთქმულებაში ციცერონს მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ბრუტუსის ყველაზე უფრო ახლობელი მეგობარი იყო და აწმყოთი უკმაყოფილო ისე ნატრობდა წინანდელ წესრიგს, როგორც არავინ. მას სიტყვა წარმოუთქვამს.

რას წარმოადგენდა ციცერონის კომპრომისული წინადადება? იგი მოუწოდებდა სენატის წევრებს, გამოეჩინათ შესაფერი სიბრძნე, მოეგონებინათ ათენელების მოქმედება შინაბრძოლების დროს და გამოეცხადებინათ ამნისტია და საყოველთაო მშვიდობა. მის მიერ ნახმარი ბერძნული სიტყვა „ამნისტია“ კი პატიებას, დავიწყებას გულისხმობდა. მაშასადამე, მისი წინადადებით, კეისრის მკვლელები ყოველგვარი სასჯელისაგან უნდა გაენთავისუფლებინათ და, სამაგიეროდ, უნდა დაეემტკიცებინათ კეისრის არა მარტო სიცოცხლეში გატარებული ყველა განკარგულება, არამედ ის ღონისძიებებიც, რომელთა განხორციელებას იგი აპირებდა. ამ მხრივ, პირველ რიგში ვეტერანების ის ახალშენები უნდა ვიგულისხმოთ, რომელთა მოწყობა კეისარს ჰქონდა განზრახული. ციცერონის ეს წინადადება მიიღეს და მოპირდაპირენი შეერგდნენ. იმავე სხდომაზე მიიღეს კეისრის სახელმწიფო ხარჯზე დაკრძალვის წინადადება.

ვიდრე კეისრის ნეშტს ფორუმზე მიასვენებდნენ, ცნობილი გახდა მისი ანდერძი. ქონების უდიდესი ნაწილი კეისარს თავისი დისწულის შვილის ოქტავიანესათვის უანდერძებია და იგივე გამოუცხადებია თავის შვილობილად. ქონების დანარჩენი ნაწილი მას ოქტავიანეს სხვა ნათესავებისათვის დაუტოვებია. იმ შემთხვევაში, თუ კეისრის რომელიმე მემკვიდრე ამაზე უარს განაცხადებდა, სამემკვიდრეოს მარკუს ანტონიუსი და დეციმუს ბრუტუსი უნდა დაპატრონებოდნენ. ხალხზე ანდერძის იმ ნაწილმა მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება, რომელშიც რომის უღარიბეს მოქალაქეებს 300—300 სესტერცი ჰქონდათ ნაანდერძევი. საყურადღებო იყო ისიც, რომ რომაელ ხალხს მან უანდერძა ტიბრის ირგვლივ გაშენებული თავისი ბაღები.

კეისარი დაკრძალეს 20 მარტს. მის დაკრძალვას და მასთან დაკავშირებულ ამბებს ფართოდ აღწერენ ძველი ავტორები, განსაკუთრებით აპიანე, როცა კეისრის ნეშტი ფორუმზე მოუსვენებიათ, იქვე მრავლად მოუყრია თავი შეიარაღებულ ადამიანებს. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოუთქვამს ანტონიუსს: „ღირსეული არ არის, მოქალაქენო, ასეთი ადამიანის გვამთან საქებარი სიტყვა მარტო მე წარმოვთქვა, განუცხადებია მას. იგი მთელ სამშობლოს უნდა წარმოეთქვა. ის, რასაც ჩვენ თანაბრად სენატიცა და მასთან ერთად ხალხიც, მისი გმირობით აღტაცებულები, გულახდილად გამოვთქვამდით ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, ამას აღვნიშნავ მე არა როგორც ჩემი ე. ი. ანტონიუსის სიტყვას, არამედ, ვგულისხმობ, როგორც თქვენ ხმასო“. ანტონიუსის ამ ანტისენატორულმა მგზნებარე სიტყვამ, რომელშიც ის ხაზს უსვამდა კეისრის დამსახურებას და მსმენელებს მოაგონებდა მისადმი მიცემულ ფიცს, ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განზრახული ჰქონდათ კეისრის გვამი კაპიტოლიუმზე წაესვენებინათ, მაგრამ ამას წინ აღუდგნენ ქურუმები და დამკრძალავი კოცონი ფორუმზე დაანთეს. როცა ხალხმა დაინახა, — გვიამბობს პლუტარქე, — კეისრის გვამი და მახვილებით დაცხრილული მისი წამოსასხამი, რისხვამორეული ხალხი ფორუმზევე შეუდგა შეთქმულთა ძებნასო. სხვათა შორის, ხალხმა დაგლიჯა სახალხო ტრიბუნი ცინა, რომელიც მიიჩნიეს იმ ცინად, რომელმაც კეისრის სიკვდილის შემდეგ, ზიზღით უარყო თავისი რწმუნება. შემდეგ ჩირაღდნებისათვის უტაცნიათ ხელი და მკვლელების სახლების დასაწვავად დაძრულან. შეთქმულებს წინასწარ უხმარიათ საჭირო ზომები, მაგრამ მაინც იძულებული გამხდარან, ქალაქი დაეტოვებინათ.

8. მეორე ტრიუმვირატი

რომში ასეთი გართულებული მდგომარეობის გამო ანტონიუსი თანდათან უახლოვდება სენატორთა პარტიის ზომიერ ფრთას და მასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს. მაგრამ რესპუბლიკელები მაინც ფიქრობდნენ, რომ ადრე თუ გვიან მათ დასჭირდებოდათ ბრძოლა ანტონიუსთან, ვინაიდან იგი დიქტატორობას ფიქრობსო. ამიტომ, მთლიანად რომ გაეფანტა ასეთი ეჭვი, ანტონიუსმა გაატარა კანონი, რომლის ძალით ყველას ყოველგვარ მდგომარეობაში სამუდამოდ ეკრძალებოდა აღეძრა ვისმესთვის დიქტატურის მინიჭების საკითხი ან თვითონ მიეღო იგი. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევდა, მისი მოკვლა პირველ შემხვედრსავე შეეძლო. მან, ერთი მხრივ, მეგობრუ-

ლად მიმართა ციცერონს და ცდილობდა მისი გულის მოგებას, ხოლო, მეორე მხრივ, წამოაყენა წინადადება ესპანეთიდან სექსტუს პომპეუსის გამოწვევის, ჩამორთმეული ქონების ანაზღაურებისა და რომის ფლოტის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. ასეთი მოქმედებით გაკვირვებულმა სენატმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. სენატის დადგენილებით ანტონიუსს საგამგებლოდ დაენიშნა მაკედონია, ხოლო დოლაბელას — სირია. ამასთან ერთად, ანტონიუსს სენიტა უფლება ჰყოლოდა თავის ნებაზე შედგენილი ექვსათასიანი ჯამცველი რაზმი. რაკი სენატმა კეისრის ყველა განკარგულება დაადასტურა, ანტონიუსმა ამის საფუძველზე დანიშნა სენატის ახალი წევრები და პრივილეგიები მიანიჭა პროვინციებსა და ვასალურ სამეფოებს. მაგრამ სენატორთა პარტიასთან დაახლოების გამო პლებეებსა და ვეტერანებში საგრძნობლად შეირყა ანტონიუსის ავტორიტეტი, ვერც სენატორთა პარტიის უმრავლესობაში მოიპოვა მან ნდობა. ცნობილია ციცერონის ნათქვამი: „ტირანი დაემხო, მაგრამ ტირანია ცოცხალია“: ხე მოჭრილია, მაგრამ არა მოთხრილიო“. ასეთი იყო მდგომარეობა რომში, როცა იტალიაში მოვიდა კეისრის ანდერძით მის მემკვიდრედ აღიარებული 19 წლის ახალგაზრდა ოქტავიანე.

ვინ იყო იგი? კეისრის დის — იულიას ასულის — ატიას ვაჟი. კეისრის სიკვდილი მან შეიტყო ილირიაში, სადაც იგი განათლებას იღებდა. იგი გამოემგზავრა იტალიაში, მაგრამ, ვიდრე რომში ჩავიდოდა, გადაწყვიტა, თავისი შემდგომი მოქმედების გასარკვევად, წინასწარ ზოგიერთ გამოჩენილ პირს მოლაპარაკებოდა. ბრუნდიზიუმში იგი შეხვდა კეისრის მრავალ ერთგულ ვეტერანს, ხოლო ნეაპოლში მისვლისას — ციცერონს. როგორც ჩანს, ოქტავიანეს ციცერონზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია და აზრი დაბადებია იგი თავისი გეგმის სასარგებლოდ გამოეყენებინა. რომში ჩამოსვლისას ოქტავიანეს აღტაცებით შეხვდნენ პლებეები, მეომრები და ვეტერანები. პლებეებს იმედი ჰქონდათ, რომ იგი გაანაღდებდა კეისრის მიერ თითოეული მათგანისათვის ანდერძით დატოვებული 300 სესტერციის დარიგებას, ხოლო მეომრები და ვეტერანები იმედოვნებდნენ, რომ მიიღებდნენ ფულად საჩუქრებსა და მიწის ნაკვეთებს. ოქტავიანეს ხალხისათვის სიტყვით მიუმართავს და აღუთქვამს, რომ შეუდგებოდა მემკვიდრეობის მიღებას უმთავრესად იმ მიზნით, რომ გაენაღდებინა ანდერძით გათვალისწინებული ქველმოქმედება.

პლუტარქე შედარებით ვრცლად გვიამბობს ოქტავიანესა და ციცერონს შორის დამყარებულ ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ ციცერონი მასთან, უწინარეს ყოვლისა, ანტონიუსისადმი მიმართულმა ზიზღმა დააკავშირა და, მეორე მხრივ, სუსტმა ხასიათმა დიდებისაკენ სწრაფვაშიო. ანტონიუსი, პირიქით, ქედმაღლურად და უკნაკო-

ფილოდ შეხვდა კეისრის მემკვიდრეობის პრეტენდენტს და მათ შორის მალე პირადი ქიშპობაც დაიწყო. ანტონიუსმა იმაშიც კი შეუშალა ხელი ოქტავიანეს, რომ კურიატულ კომიციებში გაეტარებინა კეისრის მიერ მისი შვილად აყვანის აქტი. თავის მხრივ ოქტავიანეც, რომელიც თავს მაინც გაიუს იულიუს კეისარს უწოდებდა, ანტონიუსის საწინააღმდეგო აგიტაციას იწყებს და მას ბრალს სდებს, ერთი მხრივ, იმაში, რომ შეურიგდა კეისრის მკვლელებს, მეორე მხრივ, იმაში, რომ პლებსს მოაგონებდა იმ როლს, რომელიც მან, როგორც ცხენოსანი რაზმის უფროსმა, თავის დროზე შეასრულა.

გამწვავდა ანტონიუსის ურთიერთობა სენატთანაც. ანტონიუსი ცდილობდა, თავისი მდგომარეობა კეისრის ჯარებსა და ვეტერანებზე დამყარებით განემტკიცებინა და ამ მიმართულებით მან მათთვის სასარგებლო რამდენიმე კანონი გაატარა. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ კანონს, რომელიც მისმა ძმამ, სახალხო ტრიბუნმა ლუციუს ანტონიუსმა გაატარა. კანონში გათვალისწინებული იყო ნაკვეთების დარიგება ვეტერანებისათვის დაუნაწილებელი სახელმწიფო მიწებიდან. სენატის გამოჩენილ წევრებს კი, პირიქით, მიზნად კეისრელების გავლენისაგან სახელმწიფოს სრული განთავისუფლება ჰქონდათ დასახული. განსაკუთრებით გაამწვავა მდგომარეობა ანტონიუსის მიერ კომიციებში გატარებულმა კანონმა „პროვინციათა გაცვლის შესახებ". ამ კანონით დეციმუს ბრუტუსს საგამგებლოდ ეძლეოდა მაკედონია, ხოლო ანტონიუსს ორივე გალია. გალიას ანტონიუსისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ მის მმართველს შეეძლო სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა იტალია და თვითონ რომიც. ბრუტუსმა ეს კანონი თავისთვის მიუღებლად ჩათვალა და მისი სავალდებულო ხასიათი არ ცნო სენატში წარმოქმნილ ანტონიუსის საწინააღმდეგო ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა ციცერონი, რომელსაც იგი რესპუბლიკის ყველაზე უფრო დიდ მტრად მიაჩნდა. მიუხედავად შორსმჭვრეტელი ბრუტუსის წინააღმდეგობისა, ციცერონი საჭიროდ თვლიდა, ოქტავიანე სენატთან დაეახლოვებინა და ანტონიუსთან ბრძოლაში გამოეყენებინა. ოქტავიანე ადვილად დასთანხმდა ასეთ კავშირზე და თავის გადაწყვეტილებას ვეტერანების წინაშე იმით ამართლებდა, რომ მას ანტონიუსი მტრულად ეპყრობოდა და, როგორც კი მას გადააყენებენ, იგი დაუყოვნებლივ გამოამჟღავნებს თავის სულისკვეთებას და მოითხოვს „მამის" მკვლელების სასტიკ დასჯას. ის მოგზაურობდა კეისრის ახალშენებში, უხვად არიგებდა ფულს, კარგი მოპყრობით და ყურადღებით იზიდავდა ყველას და წარმატებით აგროვებდა ჯარებს მოსალოდნელი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ასეთ პირობებში ანტონიუსმა 44 წლის 1 სექტემბერს მოიწვია

სენატის სხდომა, რომელზეც გადასაწყვეტად დასვა კეისრის სარწმუნოებრივი თაყვანისცემის შესახებ წინადადების დამტკიცება. რომში დაბრუნებული ციცერონი სენატის ამ სხდომას, ვითომცდა დაღლილობის გამო, არ დაესწრო. ანტონიუსს უნდოდა, იგი ძალით მიეყვანა სხდომაზე, მაგრამ თავი შეიკავა. ციცერონს შეუტყვია ანტონიუსის ასეთი განზრახვა და თავი შეურაცხყოფილად უგრძვნია. კეისრისადმი სარწმუნოებრივი პატივის მინიჭება სენატს დაუმტკიცებია. მეორე დღეს სენატის სხდომა გაგრძელებულა. ამ სხდომას ციცერონი უკვე დასწრებია, ანტონიუსი კი არა. ამ სხდომაზე ციცერონმა წარმოთქვა ანტონიუსის წინააღმდეგ მიმართული პირველი სიტყვა. ციცერონს ანტონიუსის საწინააღმდეგო 14 სიტყვა წარმოუთქვამს, რასაც მან დემოსთენეს მიბაძვით, „ფილიპინკები" უწოდა. ეს სიტყვები ჩინებული ორატორის თავისებური გედის სიმღერაა. მათში გაისმის 44—43 წლების ამბავთა გამოძახილი, მაგრამ ნათლად ამჩნევია ციცერონისათვის ჩვეული ტენდენციურობა, თავისი როლის გაზვიადებით წარმოდგენა და, პირიქით, მოპირდაპირეთა დამცირება და ამიტომ მათში „ეჭვავე ინვექტივა ჭარბობს.

თავის პირველ „ფილიპიკებში" მას ჯერ კიდევ თავშეკავებულად გაულაშქრია ანტონიუსის წინააღმდეგ, არ უარუყვია ზოგიერთი მისი დამსახურება, მაგრამ მისთვის ბრალი დაუდვია კონსტიტუციის დარღვევისა და ჯარისკაცებისა და ვეტერანებისათვის სრულ თავაშვებულებაში. კეისრის მკვლელები კი სამშობლოს განმათავისუფლებლად გამოუცხადებია. ამ ნიადაგზე ანტონიუსსა და მას შორის ოავისებური პაექრობა გამართულა. სენატის ერთ მომდევნო სხდომაზე, რომელსაც ციცერონი კვლავ არ დასწრებია, ანტონიუსს პასუხი გაუცია ციცერონის პირველ ფილიპიკეზე. მას, თავის მხრივ, ბრალი დაუდვია ციცერონისათვის უმადურობასა და მრავალი ბოროტმოქმედების ჩადენაში. ციცერონს მისთვის პასუხი გაუცია გამომწვევი პამფლეტით, რომელიც მეორე „ფილიპიკედ" არის ცნობილი და, რომელშიც ანტონიუსს მძიმე ბრალდებები აქვს წაყენებული.

მდგომარეობა რომში სულ უფრო მწვავდებოდა, ოქტავიანე სენატის ნებართვით, სასწრაფოდ შეუდგა ჯარების შეგროვებას. ჯარისკაცების უმრავლესობას იმედი ჰქონია, რომ გახდებოდნენ ანტონიუსისა და ოქტავიანეს შერიგების მოწმენი და, როცა ეს იმედი არ გაუმართლდათ, ბევრ მათგანს რომი დაუტოვებია, იქ მხოლოდ ისინი დარჩენილან ვისაც სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული გამორჩენა და აღთქმული დასაჩუქრების განაღდება იზიდავდა.

ციცერონი კვლავ დაუღალავად ილაშქრებდა ანტონიუსის წინააღმდეგ. დეკემბერში მან სენატში წარმოთქვა თავისი მესამე „ფილიპიკე", რომელშიც ქება-დიდებით მოიხსენია ოქტავიანე და მომავალი

კონსულები, ხოლო ანტონიუსი სამშობლოს მტრად და ტირანად დაახასიათა. მალე მან სიტყვით მიმართა აგრეთვე ხალხს — წარმოთქვა მეოთხე „ფილიპიკე“, რომელშიც მსმენელებზე უფრო მეტი შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, ანტონიუსი სპარტაკსა და კატილინას შეადარა ბაგრამ, მიუხედავად მისი ყოველგვარი ცდისა, ანტონიუსი მაინც კონსულად რჩებოდა. ციცერონი კი არ ცხრებოდა და ანტონიუსის წინააღმდეგ გამოსვლებს განაგრძობდა.

ანტონიუსი 43 წლის დასაწყისში გაემგზავრა ციზალპურ გალიაში, რათა შესდგომოდა თავისი პროვინციის გამგებლობას. ბაგრამ დეციმუს ბრუტუსი მას არ დაემორჩილა და მუტინაში ჩაიკეტა. 43 წლის აპრილში ამ ადგილის მახლობლად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ანტონიუსი დამარცხდა და დაიხია ნარბონის გალიაში, სადაც შეუერთდა იქ მდგომ ლეპიდუსის ჯარებს. მათვე მიემხრნენ დასავლეთ პროვინციებში ჯარების მეთაური კეისრელები. ანტონიუსის დეკნა სენატმა არა ოქტავიანეს, არამედ ბრუტუსს მიანდო. საერთოდ სენატორების პარტიამ მუტინასთან გამარჯვება ანტონიუსის სრულ დამარცხებად და კეისრელების საბოლოო განადგურებად ჩათვალა, იგი სამშობლოს მტრად გამოაცხადა და დამოკიდებულება ოქტავიანესადმი თანდათან საგრძნობლად შეცვალა. ციცერონიც კი, რომელიც ებრძოლა მას, უკვე გულგრილად უყურებდა მის საქმიანობას. გასაგებია, რომ სენატის ასეთმა დამოკიდებულებამ შეცვალა ოქტავიანეს განწყობილებაც.

რაკი ოქტავიანე დარწმუნდა, რომ სენატმა კონსულად არჩევაზე კატეგორიულად განუცხადა უარი, სათავეში ჩაუდგა 8 ლეგიონს და ცხენოსან ჯარს და რომზე გაილაშქრა. ოქტავიანემ ქალაქი უბრძოლველად დაიკავა. ამის შემდეგ კურიატულმა კომიციებმა დაამტკიცეს კეისრის ანდერძი.

მალე ოქტავიანე კონსულად აირჩიეს. მან გაატარა კანონი, რომლის ძალით კეისრის მკვლელებს აღეკვეთათ „წყალი და ცეცხლი“. ბრალდებულნი სასამართლოში არ გამოცხადებულან, ამიტომ დაუსწრებლად გაასამართლეს. მისჯილთა შორის იყო ის დეციმუს ბრუტუსიც, რომელიც წინათ ოქტავიანეს მოკავშირედ ითვლებოდა. გაუქმდა აგრეთვე სენატის დადგენილებები ანტონიუსისა და ლეპიდუსის წინააღმდეგ. ეს უკვე ერთგვარი გზის გაწმენდა იყო ანტონიუსთან შერიგებისათვის, რასაც მისი ჯარებიც დაჟინებით მოითხოვდნენ. ასე შემზადდა ნიადაგი ანტონიუსის, ლეპიდუსისა და ოქტავიანეს შეხვედრისათვის.

შეხვედრა მოხდა 43 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბონონიის მახლობლად. აპიანეს თქმით, ორი დღის განმავლობაში

დილიდან საღამომდე თათბირობდნენ ისინი და ასეთი დადგენილება მიიღეს: ოქტავიანეს ხელი უნდა აეღო კონსულობაზე და სამივეს — ანტონიუსს, ლეპიდუსსა და ოქტავიანეს უნდა მინიჭებოდათ განსაკუთრებული ხელისუფლება, ახალი საგანგებო მაგისტრატურა სახელმწიფო საქმეთა წესრიგში მოსაყვანად. ეს შეთანხმება „მეორე ტრიუმვირატის" სახელით გახდა ცნობილი. გადაწყდა პროვინციების მმართველობა შემდეგნაირად გაენაწილებინათ: ანტონიუსს — მთელი გალია, ლეპიდუსს — ნარბონის გალია და ოქტავიანეს — აფრიკა. შეთანხმების მთავარი მიზეზი კი იტალიაში დარჩენილ მოპირდაპირეებთან სასტიკი და გამანადგურებელი ბრძოლა იყო. მეორე ტრიუმვირატის წევრებმა გამოიყენეს სულას ძველი, ნაცადი ხერხი და მიმართეს პროსკრიპციებს. პირველი ასეთი სია, რომელიც 17-მდე ადამიანს შეიცავდა, რომში გადაუგზავნეს კონსულ პედიუსს. სიამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა რომში სენატორებსა და მათ მახლობელ პირებზე.

ნოემბრის დასასრულს ტრიუმვირატის წევრები საზეიმო ვითარებაში პირადად გამოცხადდნენ რომში. აქ სახალხო ტრიბუნმა პუბლიუს ტიციუსმა კომიციებში გაატარა კანონი, რომლის ძალით ტრიუმვირატს ხუთი წლით შეუზღუდავი ხელისუფლება მიენიჭა (38 წლის 1 იანვრამდე). დაიწყო პოლიტიკური მკვლელობები.

ისეთი საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ბევრი სიამოვნებით იგონებდა სულას დიქტატურას. ზოგიერთი განწირული ცდილობდა გაქცევით ეშველა თავისათვის, მაგრამ ყველგან დაძრწოდნენ შეიარაღებული რაზმები და გულმოდგინედ ეძებდნენ საპროსკრიპციო სიებში შეტანილ ადამიანებს. სიებში პირველი ადგილი ეჭირათ კეისრის მკვლელებს, ტრიუმვირთა პირად მტრებსა და ცალკეულ მდიდარ პირებს, რომელთა ქონება სამხედრო საჭიროებას უნდა მოხმარებოდა. ტრიუმვირატის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა იტალიის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა, მაგრამ ცნობილი ორატორი ციცერონი, ანტონიუსის მთავარი მოწინააღმდეგე, იტალიაში იყო. დაუძინებელ მტერს. ანტონიუსს კატეგორიულად მოუთხოვია მისი სიაში შეტანა. პირველი ორი დღის განმავლობაში ოქტავიანე თურმე თავგამოდებით იბრძოდა ციცერონის გადასარჩენად, მაგრამ მესამე დღეს დათმობაზე წასულა და იგი გაუწირავს. როგორც ჩანს, ციცერონი გაქცეულა, მაგრამ ზღვაზე მგზავრობის დროს იძულებული გამხდარა ნაპირზე გადმოსულიყო. აქ ერთ მეჩექმეს, იმ კლოდიუსის კლიენტს, რომელიც ციცერონის უსასტიკესი მტერი იყო, მისი ადგილსამყოფელი უჩვენებია ცენტურიონ ლენატუსისათვის. ის დადევნებია ციცერონს, გადმოუგდია საკაცედან და თავი მოუჭრია, მოუკვეთია აგრეთვე ის ხელი, რომლითაც ციცერონმა თავისი „ფილიპიკები"

დაწერა. ზოგი ცხენით, ზოგი გემით დაუყოვნებლივ გაეშურა ანტონიუსთან ამ ამბის შესატყობინებლად. ლენატუსს შორიდან უჩვენებია მისთვის ციცერონის მოკვეთილი თავი და ხელი. ანტონიუსს იგი უხვად დაუჯილდოებია, ციცერონის თავი და ხელი კი კარგა ხანს ყოფილა გამოკიდებული ტრიბუნის წინ ფორუმზე, საიდანაც წინათ იგი ჩვეულებრივ ხალხს მიმართავდა სიტყვით.

ასე დაამთავრა თავისი მშფოთვარე და წინააღმდეგობით სავსე სიცოცხლე სახელგანთქმულმა რომაელმა ორატორმა და მოღვაწემ. პროსკრიპციების მსხვერპლი გახდა მისი ძმაც და მრავალი მახლობელიც.

გარდა პირდაპირი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა, სასჯელს ვერ ასცდნენ ისეთი პირებიც, რომელთა სიმდიდრე ტრიუმვირთა უურადღებას იპყრობდა. გარდა პროსკრიპციებისა, ტრიუმვირმა სამხედრო ხარჯების დაფარვის მიზნით, იტალიის ყოველ მოქალაქეს დააკისრა განსაზღვრული ტრიბუტის გადახდა. დღემდე საკამათოა, თუ რა რაოდენობით იყო ეს ტრიბუტი, მაგრამ უფრო მიღებულია მისი ქონების ერთი მეათედი რაოდენობით განსაზღვრა.

ყოველივე ამასთან ერთად, ტრიუმვირატი არ ივიწყებდა კეისრის მოგონებასა და მისი სახელის უკვდავყოფას. ოქტავიანემ თავიდანვე მიაგო თავის მამობილს ღვთაებრივი პატივი, ხოლო შემდეგ რომის სენატმა და ხალხმა 42 წლის 1 იანვრის კანონით ოფიციალურად ცნო კეისრის გაღმერთება. 1 იანვარს ტრიუმვირატმა მის წინაშე ფიცი მიიღო. ფიცის მიღება ყოველწლიურად მეორდებოდა. თვეს, რომელშიც კეისარი დაიბადა, იულიუსი—ივლისი უწოდეს.

4. ბრძოლა პროვინციებში; ფილიპი; ბრძოლა პერუზიასთან

როცა ტრიუმვირატის წევრები თავიანთ მოპირდაპირეებს ებრძოდნენ და პროსკრიპციებით იყვნენ გართული, მათი მდგომარეობა პროვინციებში ფრიად საშიში გახდა. აქ რესპუბლიკელები დიდი ენერგიით ემზადებოდნენ კეისრელებთან საბრძოლველად. სარდინია და სიცილია სექსტუს პომპეუსს დაემორჩილნენ. მასთან გარბოდნენ აგრეთვე პროსკრიბირებულები და მონები. რაც შეეხება აღმოსავლეთ პროვინციებს (სირიას, აზიას, საბერძნეთსა და მაკედონიას), ილირიიდან დაწყებული ისინი ბრუტუსისა და კასიუსის ხელში აღმოჩნდნენ. ადგილობრივი მოსახლეობისადმი ყოველგვარი ძალადობის გამოყენებით მათ შეძლეს დიდი თანხისა და სამხედრო ძალების შეგროვება. ბრუტუსი ჯერ ილირიასა და მაკედონიაში მოქმედებდა, კასიუსი კი — სირიაში, მერე ისინი შეერთდნენ და თავიანთ ძალებს თავი მოუყარეს

ქ. ფილიპისთან, მაკედონიაში და აქ გამაგრდნენ. მათ წინააღმდეგ დაიძრა კეისარიელების ლაშქარი ანტონიუსისა და ოქტავიანეს წინამძღოლობით. ბრუტუსმა და კასიუსმა განიზრახეს პირდაპირი ომისაგან თავი შეეკავებინათ და მოწინააღმდეგეთათვის ისეთი პირობები შეექმნათ, რომ ისინი შიმშილით დაემარცხებინათ. მაგრამ ანტონიუსმა ისინი აიძულა ომში ჩაბმულიყვნენ. ანტონიუსმა გაიმარჯვა და კასიუსმა თავი მოიკლა. მეორეში, პირველი მარცხის შემდეგ ოქტავიანემ გაიმარჯვა და ბრუტუსმაც თავი მოიკლა. მათი ფლოტის ნაწილი სექსტუს პომპეუსთან წავიდა, მეომართა უმრავლესობა კი ტრიუმვირატის მხარეზე გადავიდა. ასეთი მარცხი რესპუბლიკელებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა, მაგრამ არც ტრიუმვირატის მდგომარეობა იყო მტკიცე.

ფილიპისთან ბრძოლის შემდეგ, ოქტავიანემ და ანტონიუსმა საზეიმო მსხვერპლწირვა შეასრულეს და ჯარს დიდი ქება მიუძღვნეს. პირველი იტალიაში მეომრებისათვის მიწის ნაკვეთების დასარიგებლად და ახალშენებში მათ დასანაწილებლად გაემგზავრა, ხოლო მეორე — აღმოსავლეთ პროვინციებში, საპირო ფულადი თანხების შესაგროვებლად. ამასთან ერთად, მათ მოუხდენიათ პროვინციების ახალი დანაწილება: ლეპიდუსს ღალატი დასწამეს და ჩამოართვეს პროვინციები. მას ოქტავიანესათვის უნდა გადაეცა ესპანეთი. ხოლო ანტონიუსისათვის — ნარბონის გალია. შემდგომში კი ის შეიწყნარეს და სამმართველოდ აფრიკა მისცეს.

ანტონიუსი აღმოსავლეთში გაემგზავრა, რათა შეეგროვებინა საპირო სახსრები პართიელებზე გასალაშქრებლად. მდგომარეობა რთული იყო, სამოქალაქო ომებმა ადგილობრივი ქალაქები ფრიად დააზიანა. ანტონიუსი შეეცადა აქაური საქმეების მოწესრიგებას. იგი კილიკიაში იმყოფებოდა, როცა მასთან მივიდა ეგვიპტის მეფე-ქალი, იშვიათი სილამაზით დაჯილდოებული და განათლებული კლეოპატრა. ანტონიუსს მასთან წინასწარ მოციქულები ჰყავდა წარგზავნილი, რომელთაც იგი უნდა გამოეწვიათ იმ ბრალდების გასაბათილებლად, თითქოს კასიუსს ემხრობოდა. თავის გასამართლებლად კლეოპატრა მასთან მივიდა კილიკიაში. კლეოპატრამ ანტონიუსი მოხიბლა და, თავის საწადელს მიაღწია. ანტონიუსი კლეოპატრას თან გაჰყვა ალექსანდრიაში, სადაც როგორც კერძო პირი ცხოვრობდა, ალექსანდრიის ქუჩებში, ბერძნულად გამოწყობილი ჩნდებოდა და სახლიდან მიდიოდა მხოლოდ ტაძრებსა და გიმნაზიებში ან სწავლულებთან სასაუბროდ. დროს ატარებდა ბერძნებთან და კლეოპატრასთან. თავისი შოვალეობა მას მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა იტალიაში ახალი სამოქალაქო ომი ატყდა და აღმოსავლეთ პროვინციებს პართიელები შეესივნენ.

ფილიპისთან ბრძოლის შემდეგ ოქტავიანე იტალიაში დაბრუნდა. მდგომარეობა იქ უაღრესად მძიმე იყო. რამდენიმე ათეული ათასი ვეტერანი მიწის ნაკვეთის დარიგებას ელოდა. ამავე დროს იტალიას ზღვიდან სექსტუს პომპეუსის მიერ ალყა ჰქონდა შემორტყმული და სურსათ-სანოვაგის მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ოქტავიანემ ჯერ ჯარისკაცების მიწის ნაკვეთებით დაკმაყოფილება განიზრახა. დაიწყეს 16 ქალაქის ტერიტორიის კონფისკაცია ვეტერანების დასახლებისათვის. მცხოვრებლებს ართმევდნენ არა მარტო მიწებს, არამედ მონებსა და ინვენტარს. შეუბრალებლად ;რეკებოდნენ მათ მამულებიდან და ვეტერანები ისე იქცეოდნენ, როგორც ნამდვილი დამპყრობლები. უტიფრად ითვისებდნენ წინანდელი მფლობელების ქონებას და მათდამი მტრულ ურთიერთობას ააშკარავებდნენ. ბუნებრივია, რომ ასეთ მოპყრობასა და დარბევას იტალიის მოსახლეობის უდიდესი უკმაყოფილება და მღელვარება მოსდევდა. ტრიუმვირებსა, და კერძოდ. ოქტავიანეს წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ და კიდეც ემუქრებოდნენ.

იტალიის მოსახლეობის ასეთი განწყობილებით ისარგებლეს მარკუს ანტონიუსის ძმამ, ლუციუსმა და ცოლმა — ფულვიამ. ლუციუსს 41 წელს კონსულის თანამდებობა ეკავა. ისინი არსებითად, მოქმედებდნენ როგორც ანტონიუსის აგენტები; აგიტაციას ეწეოდნენ ოქტავიანეს წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, რომ მისი ბრალია ყველა ბოროტება და ძალმომრეობა იტალიის მოსახლეობის მიმართო; მას უპირისპირებდნენ ანტონიუსს, რომელიც, მათი თქმით, როგორც კი დაბრუნდება, უარს იტყვის თავის რწმუნებაზე და თავისუფლებას აღადგენსო. სავარაუდოა, ფულვიას ასეთ მოქმედებაში იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ იგი გულდამშვიდებით ვერ უყურებდა მშვენიერ კლეოპატრასთან თავისი ქმრის ხანგრძლივ ყოფნას და სურდა მისი დაბრუნება დაეჩქარებინა.

ლუციუსსა და ფულვიას გარშემო თავი მოუყრიათ უკმაყოფილო ელემენტებსა და მეომრებს. ერთ დროს ლუციუსს მცირე ხნით რომიც კი დაუკავებია, მაგრამ მერე იძულებული გამხდარა ჩრდილოეთით დაეხია და ეტრუსკულ ქალაქ პერუზიაში გამაგრებულიყო. ქალაქს ოქტავიანემ ისეთი ალყა შემოარტყა, რომ მალე იქ შიმშილობა დაიწყო. გარემოცულები იძულებული გახდნენ, იარაღი დაეყარათ. გამარჯვებულმა ოქტავიანემ აჯანყებულთა მხარეზე გადასული სენატორები და მხედრები სასტიკად დასაჯა, ხოლო ლუციუს ანტონიუსს აპატია და ნება დართო ძმასთან წასულიყო, მაგრამ მან ესპანეთში გამგზავრება ამჯობინა. მისი ძმის ცოლი კი საბერძნეთში გაიქცა და იქ გარდაიცვალა. დამარცხებული ლუციუსის ჯარისკაცები გამარჯვებული ოქტავიანეს მხარეზე გადავიდნენ.

მაგრამ მალე მდგომარეობა კვლავ გართულდა. 40 წელს ეგვიპტიდან დაბრუნებული ანტონიუსი შეუთანხმდა დომიციუს აჰენობარბუსს, რომელიც რესპუბლიკელების ფლოტით მიემხრო მას, და სექსტუს პომპეუსს. წარმოიქმნა ოქტავიანეს საწინააღმდეგო კოალიცია. გადამწყვეტი ბრძოლა ბრუნდიზიუმთან უნდა მომხდარიყო, მაგრამ ახლაც ჯარისკაცებმა აიძულეს თავიანთი სარდლები ურთიერთშორის კვლავ შეთანხმებულიყვნენ. მოხდა, ეგრეთ წოდებული ბრუნდიზიუმის შეთანხმება და ომებით განაწამებ იტალიის მცხოვრებლებს იმედი დაებადათ, რომ ხანგრძლივი მშვიდობიანობა დამყარდებოდა. კვლავ მოხდა პროვინციების გადანაწილება: ოქტავიანეს ერგო დასავლეთი პროვინციები, ანტონიუსს — აღმოსავლეთი პროვინციები, ხოლო ლეპიდუსს ისევ აფრიკა დარჩა.

ოქტავიანემ და ანტონიუსმა პირობა დადეს, რომ ერთიმეორეს დაეხმარებოდნენ სექსტუს პომპეუსსა და პართიელებთან ბრძოლაში. მოხდა მათ შორის დამოყვრებაც: ანტონიუსმა ცოლად შეირთო ოქტავიანეს და — ოქტავია.

3. პუტეოლის შეთანხმება; ბრძოლა ოქტავიანესა და სექსტუს პომპეუსს შორის

ბრუნდიზიუმში დამყარებული შეთანხმების შედეგად იტალიაში მშვიდობიანობა არ დამყარებულა. სექსტუს პომპეუსთან მრავლად გარბოდნენ პროსკრიპციებით შეშინებული ოპტიმატები და მასთან თავშესაფარს პოულობდნენ გაქცეული მონებიც, რომელთაც ის ჯარსა და ფლოტში ღებულობდა. სარდინიასა და სიცილიაზე მისი მეთაურობით წარმოიქმნა ისეთი თავისებური სახელმწიფო, რომელიც იტალიის ნაპირებს არ ასვენებდა და ფრიად აძნელებდა რომში პურის შეტანას. ამიტომ დიდად იმატა როგორც პურის, ისე პროდუქტების ფასებმა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და ზრდიდა ტრიუმვირატის საწინააღმდეგო განწყობილებას. ამასთან ერთად, ტრიუმვირატს დიდი სახსრები ესაჭიროებოდა და ახალ გადასახადებს აწესებდა ისედაც ღონეგამოცლილ მცხოვრებლებს. აპიანე ამბობს: „რომი განიცდიდა შიმშილს, ვინაიდან აღმოსავლეთიდან ვაჭრებს აკავებდა შიში პომპეუსისა და სიცილიის წინაშე, დასავლეთიდან კი — ის გარემოება, რომ სარდინია და კორსიკა აგრეთვე პომპეუსის ხელში იყვნენ; აფრიკიდან პური არ მოდიოდა, ვინაიდან იგივე მტრები ბატონობდნენ ზღვის ორსავე ნაპირზე. რომში ყველა პროდუქტის ფასებმა აიწია და, ვინაიდან გასაჭირის მიზეზად ბელადების ურთიერთისადმი მტრობა მიაჩნდათ, მათ კიცხავდნენ და მოითხოვდნენ მათ

შერიგებას პომპეუსთან". მათ შემოუღიათ ახალი გადასახადები მონებსა და მემკვიდრეობაზე. ასეთ ღონისძიებას ხალხი აღშფოთებით შეხვედრია და იგი ფრიად მღელვარე ფორმებში გამოუთქვამს. ოქტავიანეს უცდია ხალხის დაშოშმინება, მაგრამ უშედეგოდ. მას დაუპარებია ანტონიუსი, მაგრამ ესეც ქვებით გამასპინძლებია აბობოქრებული ხალხი. მაშინ დასახმარებლად გამოუწვევიათ შეიარაღებული ძალა. დაწყებულა ხელჩართული ბრძოლა. „სახურავებიდან მოიხსნოდაო,— ამბობს აპიანე, — ქვითინი და კივილი... როცა ბრბო გაიფანტა, გვამები წყალში გადაყარეს, რომ მათი დანახვით ხალხი არ გალაზიანებულიყო.

ასეთი მდგომარეობის გამო ოქტავიანე და ანტონიუსი იძულებული გახდნენ მოლაპარაკება დაეწყოთ სექსტუს პომპეუსთან. მათი შეხვედრა მოხდა 39 წელს პუტეოლში. შეხვედრას თან მოჰყვა შეთანხმება, რომლის თანახმად რომი წყდებოდა და ვაჭრობის თავისუფლება მყარდებოდა; სექსტუს პომპეუსი საზღვაო ძალების სარდლად ცნეს. მას საგანმგებლოდ გადაეცა სიცილია, სარდინია, კორსიკა და აგრეთვე პელოპონესი და აღუთქვეს მისი მამის ჩამორთმეული ქონების ღირებულების ანაზღაურება. სამაგიეროდ, მას აღარ უნდა მიეღო გაქცეული მონები და ვალდებული იყო რომისათვის წესიერად მიეწოდებინა პური. იმ გაქცეულ მონებს, რომლებიც მის ჯარში მსახურობდნენ, თავისუფლება ენიჭებოდათ, ხოლო იმ პირს, რომლებიც პროსკრიპციებს გაექცნენ და მასთან შეაფარეს თავი, — პატიება და სამშობლოში დაბრუნების უფლება. იმათი გამოკლებით, ვინც ცეზარის მკვლელობაში იყვნენ ბრალდებულნი.

ამ შეთანხმებამ რომი დიდად აღაფრთოვანა. ფიქრობდნენ, რომ სამოქალაქო ომს ბოლო მოეღო და განაწამები მოსახლეობა შედარებით თავისუფლად ამოისუნთქავდა. მაგრამ ასეთი იმედი არც ეხლა გამართლდა: გართულებული იყო მდგომარეობა აღმოსავლეთ პროვინციებშიც. პართიელებმა ისარგებლეს რომში შექმნილი ვითარებით და დაიკავეს მთელი სირია და აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ანტონიუსის სარდალმა ვენტილიუს ბასუსმა 39 წელს მათ საგრძნობი დამარცხება მიაყენა, მაგრამ მათი შემოსევის შიში მაინც არსებობდა, ამიტომ ანტონიუსმა აღმოსავლეთში გალაშქრება გადაწყვიტა. 39—38 წლები მან ოქტავიასთან ერთად ათენში გაატარა, რომ ძალები მოეკრიბა პართიელების წინააღმდეგ. მას მიზნად ჰქონდა დასახული კრასუსის დაღუპვისათვის პართიელებისათვის სამაგიერო მიეზღო. მისი თანხმობა ოქტავიანესთან, თითქოს, ურყევი ჩანდა. იმ დროის მონეტებზე მას ოქტავიანესთან ერთად აღბეჭდავდნენ. რაც შეეხება სექსტუს პომპეუსს, მასა და ოქტავიანეს შორის მალე წარმოიშვა და გაღრმავდა კონფ-

ლიქტი. პომპეუს უმცროსი კვლავ განაგრძობდა გაქცეულ მონათა ფართოდ მიღებას, რის გამოც მონათმფლობელნი უკმაყოფილონი იყვნენ. ერთი ძველი ავტორის თქმით, მას უწოდებდნენ „თავისი მონების მონას და გააზატებულების გააზატებულს“.

რა თქმა უნდა, პომპეუსი თავშესაფარს აძლევდა გაქცეულ მონებს არა მათდამი კეთილი განწყობილების გამო, არამედ თავისი ჯარების შევსების მიზნით და ზოგიერთ შემთხვევაში არც მათ ჯვარზე გაკვრას ერიდებოდა. პომპეუსი კვლავ აძნელებდა იტალიის პირით მოძარაგებას. თუ თავდაპირველად მას ისეთ მოღვაწედ სთვლიდნენ, რომელიც ტრიუმვირისაგან გაათავისუფლებდა იტალიას და რესპუბლიკას აღადგენდა, ახლა მასაც უნდობლად უყურებდნენ.

ოქტავიანეს პირველი შეტაკება პომპეუსთან მარცხით დამთავრდა, მან ვერ შეძლო სიცილიის დაუფლება. ამიტომ იძულებული გახდა, ანტონიუსთან ახალი შეთანხმებისათვის მიეღწია. ანტონიუსი მომხრე იყო პომპეუსთან ომისა და ამიტომ მათ შორის კვლავ უთანხმოებამ იჩინა თავი. როცა 37 წლის გაზაფხულზე ანტონიუსი იტალიაში დაბრუნდა, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ტარენტოში და ურთიერთშორის შეთანხმების ნიადაგზე 5 წლით კიდევ გააგრძელეს თავიანთი საგანგებო რწმუნებები. შეთანხმდნენ იმაშიც, რომ ოქტავიანე პომპეუსთან ბრძოლას გააგრძელებდა და ანტონიუსს მისთვის გადაუცია 130 ხომალდი, ხოლო ოქტავიანე, თავის მხრივ, მას შეპირებია, რომ პართიელებზე გალაშქრებისათვის მიაშველებდა 20 ათას მეომარს.

ოქტავიანემ სექსტუს პომპეუსთან ომისათვის დიდი მზადება ჩაატარა, ფლოტი მნიშვნელოვნად გააძლიერა, მის სათავეში მარკუს აგრიპა ჩააყენა და 36 წელს ბრძოლა განაახლა. მან დახმარება მოსთხოვა ლეპიდუსს და მანაც თავისი სახმელეთო ძალებით მონაწილეობა მიიღო ომში. ორ საზღვაო ბრძოლაში — მილესა და მოლოხოსთან სექსტუს პომპეუსმა გამანადგურებელი დამარცხება განიცადა, მცირე აზიაში გაიქცა და მილეტში მოკლეს 35 წელს, ანტონიუსის ბრძანებით.

ასეთი გამარჯვების შემდეგ ლეპიდუსმა განიზრახა სიცილიის მისაკუთრება, მაგრამ ამას წინ აღუდგა ოქტავიანე. ლეპიდუსის მეომრების უმრავლესობა ოქტავიანეს მხარეზე გადავიდა და მან ადვილად შეძლო ჩამოერთმია მისთვის ტრიუმვირატის წევრის წოდება და პროვინციები. ამრიგად, ოქტავიანე მთელი დასავლეთის ბატონ-პატრონი გახდა.

სექსტუს პომპეუსზე გამარჯვების შემდეგ ოქტავიანეს მდგომარეობა განსაკუთრებით განმტკიცდა. შენელდა მეკობრეების თავდასხმები იტალიაზე, განახლდა სავაჭრო მიმოსვლა, პურზე ფასებმა დაიკლო და შიმშილი შეწყდა.

6. ანტონიუსი აღმოსავლეთში; ანტონიუსის დამარცხება და სიკვდილი

ტარენტოში ოქტავიანესთან ახალი შეთანხმების შემდეგ ანტონიუსი თავის ცოლ ოქტავიასთან ერთად აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა, მაგრამ გზაზე მას დასცილდა და ოქტავია რომს დაბრუნდა. ანტონიუსმა ანტიოქიაში გაიწვია კლეოპატრა და მასთან კავშირი არამცთუ აღადგინა, არამედ, რომის სამართლის დარღვევით, ოქტავიას ოფიციალურად არ გაპყრია, ამავე დროს კლეოპატრასთან დაქორწინება ზეიმით გადაიხადა და მასა და მის შვილებს მისცა ლიბია, სირია, ფინიკია, კილიკია და ჯერ კიდევ დაუპყრობელი პართია. ჩვენ ვიცით, რომ ანტონიუსისა და კლეოპატრას ურთიერთობამ სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც პოვა მხატვრული გამოსახვა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ შორის არა მარტო ტრფიალსა და გატაცებას ჰქონდა ადგილი, არამედ თითოეულ მათგანს საკუთარი პოლიტიკური მიზანი ჰქონდა დასახული. კლეოპატრას სურდა გავლენიან და ძლევამოსილ რომაელ სარდალზე დამყარებით აღედგინა ლაგიდების სამეფო თავის წინანდელ ფარგლებში, ანტონიუსი კი ფიქრობდა პართიელებთან ბრძოლაში ფართოდ გამოეყენებინა ეგვიპტელი მეფეების ულევი საჰსრები.

36 წლის გაზაფხულზე ანტონიუსი დიდ არმიას ჩაუდგა სათავეში და პართიელების წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო. მისი ეს ლაშქრობა საკმაოდ ვრცლად აგვიწერეს ძველმა ავტორებმა, განსაკუთრებით კასიუს დიომ და პლუტარქემ. როგორი იყო იმ დროს პართიელების სამეფოში საშინაო მდგომარეობა? აქ მეფე ოროდი ტახტიდან გადადგა და ის თავის ვაჟს ფრაატ IV გადასცა. უკანასკნელმა თავისი 30 ძმა მოაკვლევინა. ამ ნიადაგზე სამეფო შინაურმა დინასტიურმა ბრძოლამ მოიცვა. ანტონიუსს იმედი ჰქონდა, რომ ლაშქრობაში მას დაეხმარებოდნენ პართიისაგან დამოკიდებული მეფეები და, კერძოდ, არმენიის მეფე არტავაზდი. ანტონიუსმა ლაშქრობის გზად აირჩია არმენიის მთები, საიდანაც მიდიაში ჩავიდა და ალყა შემოარტყა მის სატახტო ქალაქს ატროპატენა-ფრაასპს. მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მის ლაშქარს მოსვენებას არ აძლევდნენ პართიელების ჯარებიც, ამიტომ იგი იძულებული გახდა, ქალაქისათვის ალყა მოეხსნა და მეომართა დიდი დანაკლისით უკან დაბრუნებულიყო. რომის სენატს კი მოხსენება გაუგზავნა, რომ ლაშქრობა წარმატებით ჩაატარა.

34 წელს მან კვლავ მოაწყო ლაშქრობა, ახლა უკვე არმენიაზე; სადაც მას თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მან ბრძანა, მეფე არტავაზდი შეეპყრათ, მისთვის ვერცხლის ბორკილები

დაედოთ და ალექსანდრიაში გადაეგზავნათ. ეს ლაშქრობა ანტონიუსმა ისე ჩათვალა, ვითარცა დიდი გამარჯვება და, წინააღმდეგ მიღებული წესებისა, ალექსანდრიაში ბრწყინვალე ტრიუმფი გადაიხადა. ანტონიუსი ეგვიპტეში იქცეოდა არა როგორც რომაელი პროკონსული, არამედ ვითარცა ნამდვილი აღმოსავლეთელი დესპოტი. კლეოპატრა მან დედოფალთა დედოფლად, ხოლო მისი ვაჟი კეისრისაგან ცეზარიონი მეფეთა მეფედ გამოაცხადა. კლეოპატრას სხვა შვილებიც აამაღლა და ოლქებით დააჯილდოვა. მისი ასეთი მოქმედების შედეგად ეგვიპტის სამეფო იმდენად გაიზარდა, რომ გასცილდა თავის პირვანდელ საზღვრებს.

ანტონიუსი ფიქრობდა პართიელებზე გალაშქრების განახლებას, მაგრამ მასსა და ოქტავიანეს შორის ჩამოვარდა სრული განხეთქილება. 32 წლის 1 იანვარს დამთავრდა ტრიუმვირატის რწმუნების ვადა. ანტონიუსის მომხრეებმა სცადეს, მისი მოქმედების სრული გამართლება და პირიქით, ოქტავიანეს წამოუყენეს პირდაპირი ბრალდებები. მაგრამ ოქტავიანემ მოპირდაპირე მხარე აიძულა ასეთ შეტევაზე ხელი აეღოთ, ხოლო 32 წლის ორივე კონსულს და 300 სენატორს ნება მიეცათ დაეტოვებინათ რომი და ანტონიუსთან გაქცეულიყვნენ. ამასობაში ანტონიუსმა ოქტავიას ოფიციალურად გამოუგზავნა განქორწინება. ოქტავიანემ ხელთ იგდო და გამოაქვეყნა მისი ანდერძი, რომელშიც ის სურვილს გამოთქვამდა, დაეკარხათ ალექსანდრიაში კლეოპატრასთან ერთად და ადასტურებდა მის მიერ მიღებულ ღონისძიებებს მისი შვილების მიმართ. მაშინ სენატის დარჩენილმა ნაწილმა და სახალხო კრებამ მას ჩამოართვა ტრიუმვირის უფლებამოსილება და ოფიციალურად ომი არა მას, არამედ კლეოპატრას გამოუცხადა, ვითომც იმ საბაბით, რომ მან რომაელი ხალხის საკუთრება მიითვისა.

როცა ამ ამბავმა ანტონიუსის ყურამდე მიაღწია, მან სასწრაფოდ მიაღებინა ერთგულების ფიცი თავის რომაელ ჯარებს და აღმოსავლეთით მოკავშირეების ლაშქარს. ასევე მოიქცა ოქტავიანეც როგორც იტალიაში, ისე დასავლეთ პროვინციებში. იმ დროს ანტონიუსის მიერ გამოშვებული მონეტების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მის განკარგულებაში იყო 30 ლეგიონი: მონეტების ერთ გვერდზე გამოსახული იყო სამხედრო ხომალდი, მეორეზე კი ლეგიონის ნიშანი. ძლიერი იყო აგრეთვე მისი ფლოტიც. ოქტავიანეს ძალები შედარებით უფრო მცირე იყო. მაგრამ მათი ორგანიზაცია და ბრძოლისუნარიანობა უკეთესი იყო და ფლოტსაც პირველხარისხოვანი სარდალი აგრიპა მეთაურობდა.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 31 წლის სექტემბერს, ეპირში, აქციუმის კონცხთან. ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა. კლეოპატრამ

თავის ფლოტითურთ დასაწყისშივე დატოვა ბრძოლის ასპარეზი და აფრიკისაკენ დაიძრა. მას თან მიჰყვა ანტონიუსიც. ჯარების დარჩენილი ნაწილები ჯერ განაგრძობდნენ ბრძოლას უსარდლოდ, მერე კი ოქტავიანეს მხარეზე გადავიდნენ. ოქტავიანემ ამ ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი დაითხოვა. თვითონ ათენში გადავიდა, იქიდან — კუნძულ სამოსზე. მაგრამ იტალიაში ვეტერანების წრეში მღელვარება ატყდა და მათ დასამშვიდებლად ოქტავიანე დროებით უკან დაბრუნდა. ვეტერანებს მან მიწები დაურიგა და დაამშვიდა; აღსანიშნავია, რომ დასარიგებელი მიწის ნაკვეთები მან მოიპოვა არა კონფისკაციის გზით, არამედ ქალაქებისაგან შესყიდვით.

ამასობაში ანტონიუსი ალექსანდრიაში დაბრუნდა. იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა და მთლიანად თავაშვებულ ქეიფს მიეცა. მან თავისთან შეაგროვა იმედდაკარგული ემიგრანტი ახალგაზრდობა და შექმნა ეგრეთ წოდებული „სიუნპოტანუმენების" (ერთად სიკვდილის მსურველთა) საზოგადოება. ოქტავიანემ კი, სამოსზე დაბრუნების შემდეგ, მოინახულა მცირე აზია და სირია, რომლებიც მის მხარეზე გადავიდნენ და 30 წლის ზაფხულში ეგვიპტეზე გაილაშქრა. ანტონიუსი შეეცადა ალექსანდრიასთან მისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ მისი ჯარები მტრის მხარეზე გადავიდნენ. მაშინ მან თავი მოიკლა. კლეოპატრა კი შეეცადა ძვირფასი საჩუქრებით მოესყიდა ოქტავიანე, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო როცა მას ჩაუვარდა ხელში, ამ დაუდეგარმა ქალმა-მბრძანებელმა ერთხელ კიდევ სცადა თავისი მომხიბვლელობის ძალა ოქტავიანეზეც გამოეცადა, მაგრამ, რაკი დარწმუნდა, რომ იგი მას რომში გაგზავნას უპირებდა ტრიუმფში მონაწილეობის მისაღებად, თავი მოიკლა (გადმოცემით შხამიან გველს აკბენინა). ოქტავიანემ მოაკვლევინა როგორც კესარიონი, ისე კლეოპატრას უფროსი ვაჟი, ანტონიუს ანტულუსი, ხოლო კლეოპატრას დანარჩენი შვილები ანტონიუსისაგან აღსაზრდელად აიყვანა ოქტავიამ.

ოქტავიანე ზეიმით შევიდა ალექსანდრიაში და ეგვიპტე რომის საჭელმწიფოს ნაწილად გამოაცხადა. მდიდარი ნადავლით მან უხვად დააჯილდოვა თავისი მეომრები და თავი მთელი ეგვიპტის მიწა-წყლის მესაკუთრედ აღიარა. ამიერიდან ეგვიპტეს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რომის პურით უზრუნველყოფის საქმეში. 29 წლის შემოდგომაზე ოქტავიანე რომში დაბრუნდა და სამდღიანი ბრწყინვალე ტრიუმფი გადაიხადა. ის გახდა რომის სამფლობელოს ერთპიროვნული და შეუჭღუდავი უმაღლესი მმართველი.

ასე დამთავრდა რომში დიდი სამოქალაქო ომები და რესპუბლიკურმა წყობილებამ ადგილი ახალ პერიოდს — იმპერიის ხანას დაუთმო.

ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

I. პირველწყაროთა გამოცემები

ᲐᲞᲘᲐᲜᲔ, მითრიდატეს ომები, ბერძნულიდან ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, 1959.

დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, 1966.

ᲞᲚᲣᲢᲐᲠᲥᲔ, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, წ. I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ, 1957.

ᲞᲚᲣᲢᲐᲠᲥᲔ, რჩეული ბიოგრაფიები, წ. II, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო აკაკი ურუშაძემ, 1987.

ᲖᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ გ., ძველი ისტორიის ქრესტომათია, ტ. I, 1955, ტ. II, 1958.

ᲧᲐᲣᲮᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ თ., მემნონის „ჰერაკლეის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 34, 1962.

ᲧᲐᲣᲮᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, 1957.

Аппиан, Римская история, пер. С. П. Кондратьева, «Вестник древней истории» (ВДИ), 1950, № 2-4.

Катон, Земледелие, пер. М. Е. Сергеенко, М.—Л., 1950.

Ливий, Тит, Римская история от основания города, пер. под ред. П. Адрианова, т. I—VI, М., 1892—1899.

Полибий, Всеобщая история в сорока книгах, пер. с греч. Ф. Г. Мищенко, ц. I—III, М.. 1890—1899.

Плутарх, Сравнительные жизнеописания, пер. с греч. В. Алексеева, т. I—IX, СПб, 1893—1895.

Плутарх, Избранные биографии, пер. с греч. под ред. С. А. Лурье, М.—Л., 1941.

Саллюстий Криспа, Гай, Заговор Катилины, Югуртинская война, пер. П. Б. Гольденвейзера, М., 1916.

Страбон, География, под общей ред. С. П. Утченко, М., 1964.

Цезарь, Гай Юлий, Записки Юлия Цезаря и его продолжателей о Галльской войне, о гражданской войне, пер. комментарии М. М. Покровского, М.—Л., 1948.

Цицерон, Марк Тулий, Речи, изд. подгот. В. О. Горенштейн, М. Е. Грабарь—Пассек, т. I—II,М., 1962.

Историки Рима, переводы с латинского, М., 1970.

Хрестоматия по истории Древнего мира, т. III, Рим, под ред. В. В. Струве, М., 1953.

Хрестоматия по истории Древнего Рима, под ред. С. Л. Утченко, М., 1962.

II. ზოგადი კურსები

სერგეევი ე., ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1939, ტ. II, 1940,

წერეთელი ა., ძველი რომი, ტ. I, 1957, ტ. II, 1961.

Всемирная история, т. I, М., 1955; т. II, 1956.

Дьяков В. Н. История древнего Рима: в книге «История Древнего мира», под ред. В. Н. Дьякова и Н. М. Никольского, М., 1952.

Ковалев С. И. История Рима, Л., 1948.

Ковалев С. И. и Штаерман Е. М. Очерки истории Древнего Рима, М., 1950.

Машкин Н. А. История Древнего Рима, М., 1956.

Моммзен Т. История Рима, т. I, М.—Л., 1936; т. II, 1937; т. III, 1941, т. V, 1949.

История Древнего Мира, ч. II, Греция и Рим, под ред. А. Г. Бокщанина, М., 1982.

IV. ლიტერატურა რომის ისტორიის ცალკეულ პერიოდებსა და საკითხებზე

ალექსიშვილი მ., აი რას ამბობს ისტორია, 1952.

ალექსიშვილი მ., გაიუს იულიუს ცეზარი, 1961.

ალექსიშვილი მ., მონობა ანტიკურ ქვეყნებში, 1971.

ალექსიშვილი მ., მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში, 1974.

გამრეკელი გ., სალუსტიუსი ისტორიოგრაფიაში, „თსუ შრომები", ტ. 127, ისტ. მეცნ. სერია, 1968.

ლომოური ნ., სპარტაკი, 1963.

სანიკიძე ლ., ანტიკური ქვეყნების ისტორია, პუნიკური ომების ეპოქა, 1953.

სანიკიძე ლ., პონტოს სამეფო, 1956.

სანიკიძე ლ., რომის იმპერია, II გამოც., 1984.

ქავთარია გ., ესპანური ტომების განმათავისუფლებელი ბრძოლა ვირიატეს მეთაურობით, „სსქ. მეცნ. აკად. მოამბე", ტ. 59, № 1, 1970.

ქავთარია გ., ჰანიბალი, 1979.

ქავთარია გ., ძველი გრაკხუსები, 1990.

წერეთელი ა., მარკუს ტულიუს ციცერონი, 1959.

Античная цивилизация, под ред. В. Д. Блавацкого, М., 1973.

Бокщанин А. Г. Битва при Каррах, ВДИ, 1949, № 4.

Бокщанин А. Г. Социальный кризис Римской империи в I в. н. э., М., 1954.

Гайдукевич В. Ф. Боспорское царство, М.—Л., 1949.

Георгиев В. О. О происхождении этрусков, ВДИ, 1952, № 4.

Дельбрюк Г. История военного искусства в рамках политической истории, т. I, М.—Л., 1936.

Дератани Н. Ф., Нахов И. М., Полонская К. П., Чернявский М. И. История римской литературы, М., 1954.

Ельницкий Л. Этруски. Из новейшей литературы об этрусках, ВДИ, 1940, № 3-4.

Жебелев С. А. Северное Причерноморье. М.—Л., 1953.

Жебелев С. А. и Ковалев С. И. Великие восстания рабов II—I вв. до н. э. в Риме, «Известия Гос. акад. ист. мат. культуры», 1934, № 101.

Залесский Н. Н. К истории этрусской колонизации Италии в VII—IV вв. до н. э., Л., 1965.

Игнатович Г. Г. Юлий Цезарь, М., 1940.

Каллистов Д. П. Причерноморье в античную эпоху, М., 1952.

Ковалев С. И. К вопросу о датировке начала восстания Спартака, ВДИ, 1956, № 2.

Ковалев С. И. Проблема происхождения патрициев и плебеев, «Труды юбилейной научн. сессии Ленингр. ун-та», Секция истор. наук, 1948.

Лапин Н. Л. Ганнибал, 1939.

Ломоури Н. Ю. Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.

Ломоури Н. Ю. К истории Понтийского царства, Тб., 1979.

Майяни З. Этруски начинают говорить, М., 1966.

Манандян Я. А. Тигран Второй и Рим в новом освещении по первоисточникам, Ереван, 1943.

Машкин Н. А. Карфагенская держава до пунических войн, ВДИ, 1948, № 4.

Машкин Н. А. Последний век пунического Карфагена, ВДИ, 1949, № 2.

Машкин Н. А. Римские политические партии в конце II и начале I в. до н. э., ВДИ, 1947, № 3.

Машкин Н. А. Принципат Августа, М.—Л., 1949.

Маяк И. Л. Взаимоотношения Рима и италийцев в III—II вв. до н. э. (до гракхианского движения), М., 1971.

Мишулин А. В. Античная Испания, М., 1952.

Мишулин А. В. Спартаковское восстание, М., 1936.

Мотус-Беккер А. А. Из истории восстания Спартака, «Ученые зап. Гос. педаг. ин-та им. Герцена», 1948, с. 68.

Немировский А. И. История раннего Рима и Италии, Воронеж, 1962.
Немировский А. И. Этруски, от мифа к истории, М. 1983.
Нечай Ф. М. Образование римского государства, Минск, 1972.
Разин Е. А. История военного искусства, т. I, М., 1955.
Сергеенко М. Е. Жизнь Древнего Рима, очерки быта, М.-Л., 1971.
Соколов Г. И. Искусство Древнего Рима, М., 1971.
Утченко С. Л. Древний Рим, события, люди, идеи, М., 1969.
Утченко С. Л. Идейно-политическая борьба в Риме накануне падения республики (Из истории политических идей I в. до н. э.), М., 1952.
Утченко С. Л. Кризис и падение Римской республики, М., 1965.
Утченко С. Л. Цицерон и его время, М., 1973.
Штаерман Е. М. Древний Рим, Проблемы экономического развития, М., 1978.
Юлкина О. И. Пергамский декрет 133 г. до н. э. ВДИ, 1947, № 4.

ქრონოლოგიური ცხრილი *

VI ს. ეტრუსკების ბატონობა ლაციუმში.
VI ს. დასასრული — აჯანყება ეტრუსკების წინააღმდეგ და სამეფო ხელისუფლების დამხობა.
494 (დიოდორეთი 471) — პლებეების პირველი სეცესიო და ტრიბუნატის დაწესება (ტრადიციული თარიღი).
451—450—XII დაფის კანონების შედგენა (ტრადიციული თარიღი).
449 — პლებეების მეორე სეცესიო და წოდებათა შეთანხმება (ტრადიციული თარიღი).
445 — სახალხო ტრიბუნის კანულეუსის კანონი.
443 — ცენზურის შემოღება (ტრადიციული თარიღი).
406—396 — უკანასკნელი ომი ვეისთან (ტრადიციული თარიღი).
390 (ან 387) — გალების შემოვრა იტალიაში და რომის აღება.
367 — ლიციინიუს-სექსტიუსის კანონები.
354 — რომის კავშირი სამნიტებთან.
348 — ფურიუს კამილიუსის გამარჯვება გალებზე. ხელშეკრულების დადება კართაგოსთან.
343—341 — პირველი სამნიტური ომი (ტრადიციული თარიღი).
340—338 — ლათინური ომი. რომის გაბატონება ლაციუმში.
327—304 — მეორე სამნიტური ომი.
321 — ბრძოლა კავდინის ხეობაში.
300 — სახალხო ტრიბუნების ოგულნიუსების კანონი.
298—290 — მესამე სამნიტური ომი.
287 — ჰორტენზიუსის კანონი.
283 — ბრძოლა ვადიმონის ტბასთან.
280—275 — ეპირის მეფის პიროსის ლაშქრობა იტალიასა და სიცილიაში. რომის მიერ სამხრეთ იტალიის დაპყრობა.
265 — ქ. ვოლსინიის დამორჩილება და იტალიის დაპყრობის დამთავრება.
264—241 — პირველი პუნიკური ომი.
260 — ბრძოლა მილესთან.
256 — რეგულუსის ექსპედიცია აფრიკაში.
241 — ბრძოლა ეგატის კუნძულებთან. საზავო ხელშეკრულების დადება კართაგოსთან.
240—220 წლებს შორის — ცენტურიატული კომიციების რეფორმა.
238 — რომის მიერ სარდინიისა და კორსიკის დაპყრობა.
232 — ფლამინიუსის ტრიბუნატი.
229—219 — ომები ილირიელებთან.

---

* თარიღები ძველი წელთაღრიცხვითაა მოცემული.

226 — ხელშეკრულება პასდურბალთან.
222 — გალებთან ომის დასასრული; პლაცენციისა და კრემონის დაარსება.
219 — ჰანიბალის მიერ საგუნტის აღება.
218—201 — მეორე პუნიკური ომი.
218 — ჰანიბალის ალპებზე გადმოსვლა. ბრძოლები ტიცინასა და ტრებიასთან.
217 — ბრძოლა ტრაზიმენის ტბასთან.
216 — რომაელების დამარცხება კანესთან.
215—205 — პირველი ომი მაკედონიასთან.
211 — ჰანიბალი რომის კედლებთან. რომაელების მიერ სირაკუზის აღება.
210 — კორნელიუს სციპიონის ლაშქრობა ესპანეთში.
209 — რომაელების მიერ ახალი კართაგოს აღება.
202 — ბრძოლა ზამასთან.
201 — საზავო ხელშეკრულების დადება კართაგოსთან.
200—197 — მეორე ომი მაკედონიასთან.
198 — ლაციუმში მონების შეთქმულება.
196 — მონების აჯანყება ეტრურიაში.
196 — რომაელების მიერ საბერძნეთის „თავისუფლების" გამოცხადება.
195—190 — ომი ანტიოქოს მესამესთან.
190 — ბრძოლა მაგნეზიასთან.
171—167 — მესამე ომი მაკედონიასთან. მაკედონიის დაქვემდებარება.
168 — ბრძოლა პიდნასთან.
154—139 — ესპანეთის ტომების აჯანყება ვირიატის მეთაურობით.
149—148 — ანდრისკეს (ცრუ-ფილიპეს) აჯანყება მაკედონიაში. მაკედონია — რომის პროვინცია.
149—146 — მესამე პუნიკური ომი.
146 — კორინთოს განადგურება და საბერძნეთის დამორჩილება.
146 — კართაგოს განადგურება და პროვინცია აფრიკის დაარსება.
138—133 — ომი ჭ. ნუმანციასთან.
138—132 — მონების პირველი აჯანყება სიცილიაში.
133 — ტიბერიუს გრაკხუსის ტრიბუნატი.
133 — პერგამონის სამეფოს რომთან შეერთება.
132—130 — არისტონიკეს აჯანყება პერგამონში.
123—122 — გაიუს გრაკხუსის საკანონმდებლო მოღვაწეობა.
113—101 — ომი კიმბრებსა და ტევტონებთან.
111—105 — იუგურთასთან ომი.
106—43 — მარკუს ტულიუს ციცერონი.
105 — ბრძოლა არაუზიონთან.
104—101 — მონების მეორე აჯანყება სიცილიაში.
102 — ბრძოლა სექსტიის აქვებთან.
101 — ბრძოლა ვერცელასთან.
100 — აპულეუს სატურნინის მოძრაობა.
100—44 — გაიუს იულიუს კეისარი.
91 — მარკუს ლივიუს დრუზუსის ტრიბუნატი.
90—88 — მოკავშირეთა ომი.
89—84 — პირველი ომი მითრიდატესთან.
88 — სულას გადატრიალება.
83—82 — სულას ბრძოლა მარიუსელებთან.
82—79 — სულას დიქტატურა.

80—72 — ომი სერტორიუსთან.
77 — ემილიუს ლეპიდუსის აჯანყება.
74—71 — მონების აჯანყება სპარტაკის მეთაურობით.
74—64 — მესამე ომი მითრიდატესთან.
67 — გაბინიუსის კანონი.
66 — მანილიუსის კანონი.
65 — პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში.
64 — პომპეუსის ლაშქრობა სირიაში.
64—63 — სერვიუს რულუსის კანონპროექტი.
63—62 — კატილინას შეთქმულება.
60 — შეთანხმება პომპეუსს, კრასუსსა და კეისარს შორის (პირველი ტრიუმვირატი).
59 — კეისრის კონსულობა.
58—50 — კეისრის მიერ გალიის დაპყრობა.
56 — ტრიუმვირების შეხვედრა ლუკაში.
53 — ბრძოლა კარასთან და კრასუსის დაღუპვა.
49—45 — სამოქალაქო ომი.
48 — ფარსალთან ბრძოლა
47 — კეისრის გამარჯვება ფარნაკეზე.
46 — ბრძოლა ტაპსასთან.
45 — ბრძოლა მუნდასთან.
44, 15 მარტი — კეისრის მოკვლა.
43 — მუტინასთან ბრძოლა.
43 — მეორე ტრიუმვირატის შექმნა.
42 — ბრძოლა ფილიპებთან.
41—40 — პერუზიული ომი.
35 — სექსტუს პომპეუსის დამარცხება.
36 — ანტონიუსის ლაშქრობა პართიაში.
31 — აქციუმთან ბრძოლა.
30 — ანტონიუსისა და კლეოპატრას სიკვდილი, ეგვიპტის გადაქცევა რომაულ პროვინციად.

შინაარსი

რედაქტორისაგან 3

თავი პირველი

აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა 6

1. აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები . . 6
2. მოსახლეობა 9
3. ეტრუსკები . 13

თავი მეორე

რომის ისტორიის დასაბამითი პერიოდი 19

1. რომაელები ლაციუმში და რომის დაარსების საკითხი . 19
2. შეიცა მეფე (რექსი) რომში 24
3. რომის უძველესი საზოგადოებრივი წყობა, პატრიციები, კლიენტები; პლებეები, მმართველობის სისტემა 26
4. ეგრეთ წოდებული სერვიუს ტულიუსის კონსტიტუცია და მისი ძრწუნველობა 31
5. რომის ადრინდელი კულტურა . 35

თავი მესამე

რომის ადრინდელი რესპუბლიკა 38

1. რესპუბლიკის ადრინდელი პერიოდის რომაული საზოგადოება და სახელმწიფოებრივი წყობილება 38
2. რომის ადრინდელი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა. გალების შემოსევა .

თავი მეოთხე

ბრძოლა პატრიციებსა და პლებეებს შორის და რომის მიერ იტალიის დაპყრობა . 46

1. პლებეების პირველი სეცესიო და ტრიბუნატის დაარსება . 46
2. XII დაფის კანონები 47
3. ლიცინიუსისა და სექსტუსის კანონები 51
4. აპიუს კლავდიუსის ცენზურა; ჰორტენზიუსის კანონი; პატრიციებსა და პლებეებს შორის ბრძოლის დასრულება; ნობილილეტი 53
5. კარტაგენის შემოერთება; ლატინური და სამნიტური ომები . 54
6. ომი პიროსთან და სამხრეთ-იტალიის დაპყრობა . 56

თავი მეხუთე

რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება იტალიის დაპყრობის შემდეგ 61

1. ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა 61
2. სახელმწიფოებრივი წყობილება; იტალია რომის ჰეგემონიის ქვეშ . 64

თავი მეექვსე

ბრძოლა რომსა და კართაგოს შორის . . . 70

1. პირველი პუნიკური ომი (264—241 წწ.) და მისი შედეგები . 70
2. მეორე პუნიკური ომი (218—201 წწ.) 78

თავი მეშვიდე

რომის საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში

1. რომი და აღმოსავლეთის ელინისტური სახელმწიფოები 88
2. მეორე ომი მაკედონიასთან (200—197 წწ.) . . . 91
3. ომი რომსა და ანტიოქოს III შორის და მისი შედეგები . 94
4. მესამე ომი მაკედონიასთან 96
5. პერგამონის სამეფოს რომთან შეერთება . . . 101
6. მესამე პუნიკური ომი და კართაგოს დასასრული . 102

თავი მერვე

რომის სახელმწიფო ძვ. წ. II საუკუნის პირველ ნახევარში 106

1. მონობის როგორც სამეურნეო სისტემის განვითარება. მსხვილი მიწათმფლობელობის (ლატიფუნდიების) წარმოქმნა; სოფლის მეურნეობის ხასიათი 106
2. გლეხების პაუპერიზაცია; ხელოსნობის, ვაჭრობისა და ფულადი-საკუთ. კაპიტალის ზრდა 112
3. რომის პროვინციები და მათი ორგანიზაცია . . 115
4. საზოგადოებრივი ბრძოლა რომში . . 118

თავი მეცხრე

ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევრის რომაული კულტურა . 122

1. ელინისტური კულტურის გავლენა . . 122
2. სარწმუნოება 124
3. რომაული დრამისა და სანახაობათა წარმოშობა; პირველი რომაელი პოეტები 126
4. ისტორიოგრაფია 134
5. ცვლილებები რომაულ საკართველში 139
6. ხელოსნობა, ხეროთმოძღვრება და სახვითი ხელოვნება . . 141

თავი მეათე

კლასობრივი ბრძოლა რომში ძვ. წ. II საუკუნის 30—20-იან წლებში . 146

1. სიცილიის მონათა პირველი აჯანყება 146
2. აჯანყება პერგამონის სამეფოში 151
3. ტიბერიუს გრაკხუსი და მისი მოღვაწეობა 153
4. გაიუს გრაკხუსი და მისი რეფორმები 162
5. გრაკხუსების მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა და შემდგომი ცვლილებები აგრარულ საკითხში 171

თავი მეთერთმეტე

რომის საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს . 175

1. ომი იტალიის ჩრდილოეთით 175
2. ომი ნუმიდიის მეფე იუგურთასთან 177
3. კიმვრებისა და ტეუტონების შემოსევა; მარიუსის სამხედრო რეფორმა 181

თავი მეთორმეტე

ხაზოგადოებრივი ბრძოლის განახლება რომში 185

1. სიცილიის მონათა მეორე აჯანყება 185
2. დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა; სატურნინი და გლაუცია . 189
3. სამოქალაქო ტრიბუნი ლივიუს დრუზუს უმცროსი და მოკავშირეთა ომი . 193

თავი მეცამეტე

გართულებანი აღმოსავლეთში და სოციალური ბრძოლის გაწყვეტა რომის სახელმწიფოში . 201

1. პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი . . 201
2. სოციალური ბრძოლის გაწყვეტა რომში . 205
3. პირველი ომი მითრიდატეს წინააღმდეგ . . 209
4. სულას დაბრუნება რომში და მისი დიქტატურა 212

თავი მეთოთხმეტე

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდი 220

1. ლეპიდუსის გამოსვლა და სერტორიუსის ომი 220
2. მითრიდატეს მეორე ომი რომაელებთან 224
3. მონათა უდიდესი აჯანყება სპარტაკის მეთაურობით . . 226
4. სულამდელი კონსტიტუციის აღდგენა 232
5. მეკობრეების თარეში და პომპეუსის ბრძოლა მათ წინააღმდეგ 234

თავი მეთხუთმეტე

რომის საგარეო და შინაგანი მდგომარეობა ძვ. წ. I საუკუნის სამოციან წლებში 237

1. მითრიდატესთან მესამე ომის პირველი ეტაპი . . . 237
2. მითრიდატესთან მესამე ომის უკანასკნელი ეტაპი . . . 242
3. რომის შინაური მდგომარეობა და კატილინას პირველი შეთქმულება . 248
4. სეკვილიუს რულუსის აგრარული კანონპროექტი 251
5. კატილინას „მეორე" შეთქმულება 253

თავი მეთექვსმეტე

რომის შინაგანი და საგარეო მდგომარეობა ძვ. წ. I საუკუნის სამოციან და ორმოცდაათიან წლებში . 257

1. პირველი ტრიუმვირატი 257
2. იულიუს კეისრის კონსულობა 259
3. პუბლიუს კლოდიუსის ტრიბუნობა 262
4. კეისარი გალიაში (58—56 წწ.) . 263
5. გართულებული მდგომარეობა რომში და შეხვედრა ლუკაში 267
6. კრასუსის ომი პართიელებთან 271
7. კეისრის ლაშქრობები გერმანიასა და ბრიტანეთში; გალების აჯანყება; თაკისუფალი გალიის საბოლოო დაპყრობა 274
8. სამოქალაქო ომი პომპეუსსა და კეისარს შორის . . . 278
9. კეისარი ეგვიპტეში და ალექსანდრიის ომი; ფარსალეს განადგურება . 285
10. მდგომარეობა რომში; კეისრის საბოლოო გამარჯვება . . . 288

თავი მეჩვიდმეტე

რესპუბლიკური წყობილების დაცემა . . 294

1. კეისრის დიქტატურა; რესპუბლიკელების შეთქმულება და კეისრის მოკვლა 294
2. მდგომარეობა რომში კეისრის მოკვლის შემდეგ 302
3. მეორე ტრიუმვირატი 305
4. ბრძოლა პროვინციებში; ფილიპი; ბრძოლა პერუზიასთან 311
5. პუტეოლის შეთანხმება; ბრძოლა ოქტავიანესა და სექსტუს პომპეუსს შორის 314
6. ანტონიუსი აღმოსავლეთში; ანტონიუსის დამარცხება და სიკვდილი . 317

დამხმარე ლიტერატურა 320

ქრონოლოგიური ცხრილი 324

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ბახტაძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ე. წერეთელი

გადაეცა წარმოებას 26.05.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.06.92.
საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,75.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 18,8.
ტირაჟი 1500. შეკვეთის № 220.

ფასი 10 ნან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.